ზემოთ მითითებულ სქემაში წარმოდგენილ კომერციულ იურიდიულ პირთა გარდა, ბანკი ასევე არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული, არამომგებიანი, არაკომერციული იურიდიული პირის „სიცოცხლის ხის ფონდის“ კონტრიბუტორი.

ბოლოდროინდელი მოვლენები

გლობალურ პანდემიის კოვიდ 19-ის გამო, ბანკმა დანერგა მდგრადობის შენარჩუნების და საქმიანობის უწყვეტობის ყოვლისმომცველი გეგმა ("**BCP**"), რომლის მიზანია საქართველოში კოვიდ -19-ის გავრცელების შეჩერება, ბიზნესსა და საზოგადოებაზე ზემოქმედების შერბილება და საქართველოს სამთავრობო ორგანოების მიერ მიღებული რეგულაციების და გაიდლაინების შესრულება. ბანკმა დაიწყო საქმიანობის უწყვეტობის ყოვლისმომცველი გეგმის განხორციელება 2020 წლის იანვრის ბოლოდან, იმგვარად, რომ მისი ოპერაციები წარმატებით იქნა ადაპტირებული ახალ საოპერაციო გარემოსთან, რითაც პერსონალის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება გამოცხადდა პრიორიტეტად. საქმიანობის უწყვეტობის ყოვლისმომცველი გეგმა ორიენტირებული იყო სამ მთავარ ელემენტზე: რეალური ეფექტურობა (თანამშრომლები, კლიენტები და საზოგადოება), კაპიტალი და ლიკვიდურობისა და დაფინანსების პოზიციები.

საქმიანობის უწყვეტობა და ეფექტურობა. ბანკმა დანერგა რამდენიმე ინიციატივა საიმისოდ, რომ შემცირდეს ფიზიკური ურთიერთობა და თავიდან იქნას აცილებული კორონავირუსი, და იმავდროულად შეინარჩუნა სრული საბანკო საქმიანობის მოცულობა, რომელიც საჭიროა მისი კლიენტების დასახმარებლად და მხარდასაჭერად.

უსაფრთხოების ღონისძიებები

- ბანკის მთავარი ფილიალები ღია იყო ქვემოთ წარმოდგენილი უსაფრთხოების დამატებითი ღონისძიებებით. ბანკმა შეამცირა ბანკირების ფიზიკური ყოფნა ბანკის მომსახურების ცენტრებში. ორკვირიანი ცვლა დაინერგა ოფისებში და სხვა მომსახურების სფეროებში მთელი ბიზნესის ფარგლებში, რათა გარანტირებული იყოს ჯგუფის წევრების ხელმისაწვდომობა.
- საბანკო მომსახურებები, სადაც შესაძლებელია, ხორციელდება ექსკლუზიურად ქოლ ცენტრების საშუალებით, რომლებიც მუშაობენ დისტანციურად, ხოლო თანამშრომლები, მუშაობენ სახლიდან გაზრდილი რესურსებით 2020 წლის მარტიდან.
- განისაზღვრა სამთვიანი შეღავათიანი პერიოდი ძირ თანხაზე და პროცენტის გადახდაზე ყველა საცალო სესხზე, რათა მნიშვნელოვნად შემცირდეს კლიენტების მიმართ მოთხოვნა ფიზიკურად მივიდნენ ბანკის ფილიალებში.
- ბანკმა დამატებით გაზარდა ფოკუსირება მის ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლის სტრატეგიაზე და დანერგა სხვადასხვა ინიციატივები საიმისოდ, რომ კლიენტები გადავიდნენ ციფრულ არხებზე.
- ბანკის სამუშაო ოფისის პერსონალის უმეტესობა ამჟამად მუშაობს სახლიდან.
- დამატებითი უსაფრთხოების ღონისძიებები დაინერგა ბანკებში; დამონტაჟდა მინის ბარიერები ოპერატორების და მოლარეებისთვის, რათა გარანტირებული იყოს კლიენტებთან უსაფრთხო ურთიერთობა, ყველა თანამშრომელი ვალდებულია ატაროს ხელთათმანები და ნიღაბი და იქონიოს ხელის დამუშავების სანიტარული საშუალებები. ბანკის შენობები ისევე როგორც ბანკომატები და თვითმომსახურების ტერმინალები სანიტარულად მუშავდება ორჯერ დღეში, და ბანკში შემსვლელმა ყველა კლიენტმა და თანამშრომელმა უნდა გაიაროს სხეულის ტემპერატურის კონტროლი. ერთდროულად დაშვებულია მხოლოდ სამი კლიენტის შეშვება ფილიალის შენობაში. საკასო ცენტრი გაყოფილია ორ ლოკაციად და მუშაობს ორკვირიანი ცვლით, სადაც კლიენტებმა უნდა დაიცვან უფრო მკაცრი პროტოკოლები და პროცედურები საიმისოდ, რომ მინიმუმდე შემცირდეს ინფექციის რისკის ფულად სახსრების საშუალებებით გადადება.

კლიენტებისა და საზოგადოების მხარდაჭერა

- ყველა საცალო კლიენტს მიეცა შესაძლებლობა გადაავადოს სესხის ძირი თანხა და პროცენტის გადახდა სამი თვით.
- კორპორატიულ კლიენტს და ყველა იურიდიულ პირს, რომელიც მუშაობს ტურიზმის ინდუსტრიაში მიეცეს კრედიტის მყისიერი რესტრუქტურიზაციის შესაძლებლობა, სპეციფიკური კლიენტები არიან სასტუმროები, ასევე რესტორნები, სამოგზაურო სააგენტოები, და მგზავრთა გადამყვანი სატრანსპორტო კომპანიები.
- იმისთვის, რომ გარანტირებული იყოს კლიენტებისთვის უსაფრთხო უწყვეტი მომსახურება და დისტანციური არხების გამოყენების სტიმულირება, ბანკმა დროებით გააუქმა ინტერნეტ და მობილური ბანკინგის საშუალებით განხორციელებულ ტრანზაქციებზე გადასახადი სამი თვით. უფრო მეტიც, საქართველოში მობილური მომსახურების პროვაიდერებთან თანამშრომლობით, საქართველოს ბანკმა უზრუნველყო mBank-ზე სრული წვდომა ინტერნეტის კავშირის გარეშე. და ბოლოს, ბანკმა დაიწყო ქვეყნის მასშტაბით საგანმანათლებლო კამპანია საინფორმაციო და ინსტრუქციის შემცველი ვიდეოებით (100 საგანმანათლებლო შინაარსზე მეტი), რომელიც ეხმარება ადამიანებს გაეცნონ და ისწავლონ mBank -ის აპლიკაციის მარტივად გამოყენება.

- ბანკმა დააფინანსა და დაასპონსორა კოვიდ-19 -ის 20,000 ლაბორატორიული ტესტის, 10 რესპირატორის, 50,000 ნიღბის და 60,000 ხელთათმანის შეძენა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსთვის, რათა თავისი წვლილი შეეტანაა ვირუსის გავრცელებასთან ბრძოლაში.

მთავრობის ანტი-კრიზისული გეგმა. მთავრობამ გამოაცხადა დამხმარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა მიზანია შემცირდეს კოვიდ-19-ის უარყოფითი ზემოქმედება. განახლებული სახელმწიფო ბიუჯეტი პარლამენტმა 2020 წლის ივნისში დაამტკიცა. გადახედული ბიუჯეტი მოიცავს IMF -თან შეთანხმებულ ფისკალურ პარამეტრებს, ასევე, 1,5 მილიარდი აშშ დოლარი გამოყენებული იქნება კორონავირუსით დაზარალებული მოქალაქეების დასახმარებლად და ბიზნესის სტიმულირებისთვის. ბიზნესის დახმარება შეადგენს მშპ-ს 3.8%-ს და სოციალური დახმარება მშპ-ს 2.7%-ს, 2020 წლის ბიუჯეტის დოკუმენტის მიხედვით.

ბიზნესის მხარდაჭერა/2020 წლის ბიუჯეტი. ბიზნესის მხარდამჭერი პაკეტი შეადგენს 1.889 მილიარდ ლარს, ან მშპ-ის 3.8%-ს, და მოიცავს:

- 330 მილიონი ლარი საკრედიტო საგარანტიო სქემისთვის
- 600 მილიონი ლარი კომერციული ბანკებისთვის გამოყოფილი ადგილობრივი ვალუტის ლიკვიდურობის რესურსებისთვის
- 180 მილიონი ლარი სოფლის მეურნეობის სექტორისა და სამშენებლო სექტორის დასახმარებლად, მათ შორის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირებისთვის
- 115 მილიონი ლარი ტურიზმის სექტორის, მათ შორის საკრედიტო პროცენტის გადახდების სუბსიდირებისთვის და სასტუმროებისთვის საკუთრებაზე გადასახადისგან გათავისუფლებისთვის.
- 45 მილიონი ლარი ფრენებისა და კარანტინის მომსახურებების მხარდასაჭერად.
- 600 მილიონი ლარი ბიზნესისთვის დამატებითი დღგ-ს გადასახდელად
- 20 მილიონი ლარი სხვადასხვა დამხმარე ღონისძიებებისთვის
- ადგილობრივი ბანკების დახმარებით, იურიდიულ პირებს მიეცათ კრედიტის რესტრუქტურიზაციის შესაძლებლობა

ფიზიკური პირების დახმარება /2020 ბიუჯეტი. სოციალური დახმარების პაკეტი ფიზიკური პირებისთვის შეადგენს 1.375 მილიარდს, ან მშპ- 2.7% -ს , და მოიცავს კოვიდ 19-თან დაკავშირებით ჯანდაცვასთან დაკავშირებული ხარჯებს, ჯანდაცვის სისტემის მზადყოფნის გაუმჯობესებას; ერთჯერად კომპენსაციას თვითდასაქმებული პირებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამუშაო; ექვს -თვიან კომპენსაციას კერძო სექტორის თანამშრომლებისთვის, ვინც დაკარგა სამუშაო; საშემოსავლო გადასახადის შეღავათი ბიზნესებისთვის, რომლებმაც შეინარჩუნეს თანამშრომლები ექვსი თვის განმავლობაში; ექვსთვიანი კომპენსაცია მოწყვლადი და დიდი ოჯახებისთვის, ასევე უნარშეზღუდული მოზრდილებისა და ბავშვებისთვის ; სამ თვიანი კომუნალური მომსახურების გადასახადების სუბსიდირებას.

საერთაშორისო დახმარება. საქართველოს სახელმწიფო ორგანოებმა მოახდინეს 3.0 მილიარდი აშშ დოლარის მობილიზება საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან ("IMF") და სხვა საერთაშორისო პარტნიორებისგან (აშშ, ევროკავშირი, მსოფლიო ბანკი, KFW, AFD, EBRD, EIB, ADB, და სხვა) რათა ეფექტურად მოხდეს კოვიდ-19 პანდემიასთან ასოცირებული ეკონომიკური კრიზისის დაძლევა. ამ თანხიდან 1.5 მილიარდი აშშდ გამიზნულია საჯარო სექტორისთვის და 1.5 მილიარდი აშშდ კერძო სექტორისთვის. IMF -ის დაფინანსება შეადგენს 400 მილიონ აშშდ-ს, საიდანაც 200 მილიონი აშშდ უკვე გადახდილია ბიუჯეტში.

2020 წლის მარტის ბოლოს, სებ-მა შემოიღო განახლებული სამეთვალყურეო გეგმა საქართველოს საბანკო სექტორისთვის, რომლის მიზანია ნეგატიური ფინანსური და ეკონომიკური გამოწვევის დაძლევა, რომელიც წარმოქმნა გლობალურმა კოვიდ -19 -ის პანდემიამ საქართველოში, ეს ღონისძიებები, რომლებიც მყისიერად დაინერგა ძირითადად ფოკუსირებულია კაპიტალის ადეკვატურობასა და ლიკვიდურობის ინიციატივებზე, რომელიც საშუალებას აძლევს ბანკებს გამოიყენოს არსებული მარეგულირებელი კაპიტალის ბუფერები კლიენტების დასახმარებლად არსებულ სტრესულ ფინანსურ გარემოში, გააგრძელოს ნორმალური ბიზნეს საქმიანობა რაც შეიძლება დიდხანს, და დაეხმაროს ეკონომიკას მიმდინარე საკრედიტო ოპერაციების საშუალებით.

კაპიტალის ადეკვატურობის ინიციატივები

- კომბინირებული ბუფერი - კონსერვაციის ბუფერის მოთხოვნები რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები 2.5%-დან შემცირდა 0%-მდე განუსაზღვრელი ვადით.
- კომპონენტი 2 -ის (Pillar 2) მოთხოვნები:
    - ვალუტით გამოწვეული საკრედიტო ბუფერის (CICR) მოთხოვნები შემცირდა 2/3-ით განუსაზღვრელი ვადით
    - დამატებითი საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერის განსაზღვრა (HHI) და სუფთა GRAPE ბუფერის მოთხოვნები 1-ლი რიგის საკუთარ კაპიტალზე (CET1) და 1 რიგის კაპიტალზე, რომელიც დაიგეგმა 2020 წლის მარტის ბოლოს, გადაიდო განუსაზღვრელი ვადით.

- შესაძლებლობა სრულად ან ნაწილობრივ გაუქმდეს Pillar 2-ის ბუფერის დარჩენილი მოთხოვნები (HHI, CICR, net GRAPE), კვლავაც ღიად რჩება

- იმ პერიოდში, როცა ბანკებს უფლება აქვთ ნაწილობრივ და სრულად გამოიყენონ Pillar 2 და კონსერვაციის ბუფერები, ბანკებს ეკრძალებათ კაპიტალის განაწილება ნებისმიერი ფორმით.

კრედიტებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვირება კოვიდ-19-თან დაკავშირებით. სებ-მა მოსთხოვა საქართველოს ბანკებს შექმნან რეზერვები ადგილობრივი აღრიცხვის ბაზაზე 2020 წლის პირველ კვარტალში, აღრიცხვის ბაზა არის ის, რომელიც გამოიყენება კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის გასაანგარიშებლად. კონკრეტული რეზერვი ასახავს სებ-ის არსებულ მოლოდინებს საკრედიტო დანაკარგებთან დაკავშირებით საბანკო სისტემის საკრედიტო portfolio-ების მიხედვით მთლიანი ეკონომიკური ციკლისთვის, მოცემული მიმდინარე მოლოდინების ფარგლებში, სებ თვლის რომ საბანკო სისტემის კაპიტალის კოეფიციენტი საკმარისია საიმისოდ, რომ გადააჭარბოს მინიმალურ კაპიტალის მოთხოვნებს, რათა შესაძლებელი იყო ამ საერთო რეზერვის შეწოვა, ისე რომ შენარჩუნდეს საკმაოდ კომფორტული ბუფერი მოთხოვნილ მინიმალურ კაპიტალურ კოეფიციენტებზე.

ლიკვიდურობის ინიციატივები

- ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) მოთხოვნები (ადგილობრივი და უცხოური ვალუტისთვის, ასევე მთლიანი მოთხოვნა) შესაძლოა გადაიხედოს და შემცირდეს, თუ აუცილებელია. 2020 წლის 1 მაისს სებ-მა დროებით გააუქმა 75% LCR მოთხოვნა ადგილობრივი ვალუტისთვის ერთწლიანი პერიოდისთვის, ან სანამ დამატებით არ იქნება კომუნიკაცია სებ-ის მხრიდან.
- სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნები შეიძლება გადაიხედოს და შემცირდეს, თუ ეს საჭიროა
- რეპოში დაგირავებადი ფასიანი ქაღალდების შესაბამისობის კრიტერიუმები უკვე გაფართოვდა სებ-ის მიერ და შეიძლება დამატებით იქნას გადახედული, თუ ეს აუცილებელია, რათა დაეხმაროს ლარის ლიკვიდურობას.

საქართველოს ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი, დაფინანსება და ლიკვიდურობის პოზიციები ძლიერი იყო, და დარჩა ბანკის მინიმალური მარეგულირებელი მოთხოვნების ზემოთ. 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ბანკის საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი იყო 135.4% და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი 136.6%, მოთხოვნილ მინიმალურ 100% დონესთან შედარებით. CET1, 1-ლი რიგის და სრული კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი იყო 9.9%, 12.0% და 17.4 .6% შესაბამისად, რომელიც აღემატება მინიმალური მოთხოვნის დონეებს 6.9%, 8.7% და 13.3%, შესაბამისად).

სებ-ი თვლის, რომ ბანკის კაპიტალის კოეფიციენტი საკმარისად აღემატება მინიმალურ მოთხოვნებს საიმისოდ, რომ მოხდეს ამ რეზერვის შეწოვა და კვლავ დარჩეს საკმარისი რაოდენობის ბუფერი, რომელიც აღემატება მოთხოვნილ მინიმალურ კაპიტალურ კოეფიციენტს. ამას მხარს უჭერს ბანკის ძლიერი მომგებიანობისა და სიმძლავრის არსებული ჩანაწერები, რათა მოხდეს შიდა კაპიტალის მაღალი დონის გენერირება.

გარდა ამისა, 2020 წლის 2 აპრილს, ბანკმა ამოწურა მეორე ტრანშის 107 მილიონი აშშ დოლარი, რომელიც, ექვემდებარება 2019 წელს ხელმოწერილ სინდიცირებულ კრედიტს 55 მილიონი აშშ დოლარის მოცულობით. ბანკმა მიიღო სებ-ის დასტური სესხის კლასიფიკაციის შესახებ, რადგან ბანკის მე-2 რიგის კაპიტალური ინსტრუმენტი გახდა III-ის რეგულაციის შესაბამისად 2020 წლის 2 აპრილიდან და შემდეგში გააუმჯობესებს ბანკის საერთო კაპიტალიზაციას.

კოვიდ 19-ის გლობალური პანდემიის ზემოქმედება ფინანსურ შედეგებსა და ეკონომიკაზე. მაკროეკონომიკური პერსპექტივიდან გამომდინარე, აშკარად ნეგატიური გავლენა მოახდინა ეკონომიკის ყველა სფეროზე. შეზღუდვების დაწესებამ გამოიწვია ეკონომიკური აქტივობის შემცირება 2020 წლის აპრილ -მაისში, თუმცა მთავრობის მხრიდან კოვიდ-19-თან დაკავშირებით განხორციელებულმა მყისიერმა და წარმატებულმა ღონისძიებებმა შესაძლებელი გახადა ხელახლა გახსნილიყო ადგილობრივი ეკონომიკა გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე რეგიონის სხვა ქვეყნებში. და ჩვენ უკვე დავინახეთ ეს შედეგები ივნისში შეზღუდვების მოხსნისა და მთელს ქვეყანაში ადგილობრივი ტურიზმის განახლების შემდეგ. ამას მოჰყვა მთავრობის მიერ გამოცხადებული ანტიკრიზისული სტიმულირების გეგმა, რომელიც მოიცავს სოციალური პაკეტის შემოღებას ფიზიკური პირებისთვის, ასევე გადასახადისგან გათავისუფლებას და სხვადასხვა დაფინანსების მექანიზმებს ბიზნესისათვის, და სტიმულირების გეგმებს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებისთვის.

ადგილობრივ ვალუტაში დაფინანსებამ მნიშვნელოვანი ზეწოლა გამოიწვია, რის გამოც გაიზარდა საპროცენტო განაკვეთი 2020 წლის აპრილსა და მაისში. თუმცა ეს ზემოქმედება შემდგომში დასტაბილურდა უფრო ნორმალურ დონემდე ლარის ლიკვიდურობის დასახმარებლად საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ ბაზარზე შემოღებულ ადგილობრივ ვალუტაში ახალი დაფინანსების შედეგად.

ჩვენ მოსალოდნელზე უფრო უკეთესი შედეგები გვაქვს ბიზნეს აქტივობაში, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მთავარი ეკონომიკური სფეროები და მიუახლოვდა კოვიდ-19-მდე არსებულ დონეებს: თანხების გადარიცხვები გაუმჯობესდა 2020 წლის მაისში და წინა წელთან შედარებით გაიზარდა მნიშვნელოვნად 17.8%-ით 2020 წლის ივნისში, მომხმარებლის მოთხოვნა გაუმჯობესდა 2020 წლის ივნისში საბანკო ბარათის გადახდის აქტივობების და დღგ ბრუნვის სტატისტიკის საფუძველზე; (ვარდნა 32.8% წინა წელთან შედარებით 2020 წლის ივნისში); ვარდნა 22.2% წინა წელთან შედარებით 2020 წლის მაისში, და ვარდნა 6.2% წინა წელთან შედარებით 2020 წლის ივნისში), ასევე გამოვლინდა ბიზნეს აქტივობა, ძირითადად ვაჭრობის, მშენებლობის, უძრავი ქონების და წარმოების სფეროებში.

2020 წლის მეორე კვარტლის პერიოდში, ქართული ლარი მოქმედებდა ძალიან კარგად და გამყარდა 7.0%-ით აშშ დოლართან მიმართებაში, უმეტესწილად გამყარებულია სებ-ის ინტერვენციებით, გარე ფინანსური დახმარებითა და ფულადი გზავნილების ძლიერი ნაკადებით. ფრთხილად განხორციელდა საერთაშორისო საზღვრების ხელახალი გახსნა, მაგრამ ჩვენ არ მოველით რომ ვნახავთ საერთაშორისო ტურიზმის რაიმე მნიშვნელოვან დონეებს 2020 წლის დარჩენილ პერიოდში. ამის შედეგად, ჩვენ მოველით რომ საქართველოს ეკონომიკა შემცირდება 5.1%-ით 2020 წლის განმავლობაში. რასაც მოჰყვება 5.0-5.5%-მშპ-ის ზრდა 2021 წელს , რაც ეფუძნება ჩვენი საბროკერო და საინვესტიციო ქვედანაყოფის, გალტ ენდ თაგარტის შეფასებას.

2020 წლის მეორე კვარტლის შედეგებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა გარემომ, რომელშიც ჩვენ ვმოქმედებთ და ღონისძიებებმა, რომელიც ჩვენ გამოვიყენეთ ამ კრიზის მართვისთვის. ყველაზე დიდი ზემოქმედება იგრძნობოდა ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ბიზნესში, რაზეც გავლენა მოახდინა საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული შეზღუდვებით გამოწვეულმა ეკონომიკური აქტივობის ჩაკეტვამ, ექსპრეს ფილიალების დროებითმა დახურვამ (უმეტესობა გაიხსნა ისევ ივნისში) ციფრული არხების საშუალებით ტრანზაქციებზე მოსაკრებლების დროებითმა შეჩერებამ, შენელებულმა დაკრედიტებამ, კრედიტებზე სამთვიანმა საშეღავათო პერიოდებმა და სხვა საკითხებთან ერთად გაძვირებულმა ადგილობრივი ვალუტით დაფინანსებამ.

- სუფთა გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი წინა წელთან შედარებით შემცირდა მხოლოდ 9.9%-ით 2020 წლის ივნისში, რაც მოჰყვა წინა წელთან შედარებით უფრო დიდ 42.5%-იანი კლებას აპრილში და 21.2% მაისში. ეს აჩვენებს აღდგენის ძლიერ დინამიკას მაისიდან და ივნისიდან წარმოქმნილ ჩვენს საკომისიო შემოსავალზე, მომხმარებლის გაზრდილ მოთხოვნას ივნისში, რომელიც შეფასდა მაისსა და ივნისში საბანკო ბარათის გადახდებით და ადგილობრივ ბიზნესში დღგ-ს ბრუნვის სტატისტიკის აღდგენით.
- ამ კვარტალში კლიენტის დეპოზიტები მნიშვნელოვნად გაიზარდა 6.9%-ით (მუდმივი ზრდა ფულად ერთეულზე წინა კვარტალთან შედარებით იყო 11.9%) რაც აჩვენებს იმას, რომ კლიენტის თანხების მყისიერი გადინებები 2020 წლის მარტში იყო კოვიდ -19-ის პანდემიით გამოწვეულ შოკზე რეაგირება, რაც სწრაფად დასტაბილურდა.

მიმოხილვა

ფინანსური საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები

ნომინალურ გარემოში მნიშვნელოვანი ცვლილებებით გამოწვეული უწყვეტი მდგრადი დინამიკა, რომელიც ასახულია 2019 წლის ფინანსურ შედეგებში ახალ საბაზისო წელს.

ოპერაციიდან შემოსავალი
(მილნ ლარი)

1,072.2

+8.1% y-o-y

2017	860.7
2018	991.7
2019	1,072.2

საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტიcredit risk ratio

0.8%

-90 bps y-o-y

2017	2.3%
2018	1.7%
2019	0.8%

ხარჯებისა და შემოსავლის შეფარდება (კორექტირებული)[1]

36.0%

+0 bps y-o-y

2017	37.6%
2018	36.0%
2019	36.0%

ხარჯებისა და შემოსავლის შეფარდება (ასახული)

37.2%

+120 bps y-o-y

2017	37.6%
2018	36.0%
2019	37.2%

მოგება ერთჯერადი ხარჯების გარეშე[2]
(მლნ ლარი)

527.1

+27.0% y-o-y

2017	338.9
2018	415.1
2019	527.1

მოგება (ასახული)

512.9

+49.3% y-o-y

2017	338.9
2018	343.5
2019	512.9

საკუთარი კაპიტალის საშუალო რენტაბელურობა (ROAE) (კორექტირებული) Error! Bookmark not defined.

27.8%

+150 ბტ/წ წინა წელთან შედარებით

2017	24.4%
2018	26.3%
2019	27.8%

საკუთარი კაპიტალის საშუალო რენტაბელურობა (ROAE) (ასახული)

27.0%

+520 ბტ/წ წინა წელთან შედარებით

2017	24.4%
2018	21.8%
2019	27.0%

[1] 2019 წელს ხარჯებისა და შემოსავლის შეფარდებაში გათვალისწინებულია 12.4 მლნ ლარი თანამშრომლის ხარჯების ერთჯერადი გადასახადებით გამოწვეული მოგება (ბრუტო საშემოსავლო გადასახადი) რომელიც უკავშირდება ყოფილი აღმასრულებელი მენეჯერის საქმიანობის შეწყვეტიდან მიღებულ სარგებელს .

[2] 2019 წელის მოგება-ზარალის კორექტირებული ანგარიშგება გამორიცხავს საშემოსავლო ანგარიშის კორექტირებულმა მოგებამ გადააჭარბა თანამშრომლის ერთჯერადი ხარჯების 14.2 მლნ ლარს (საშემოსავლო გადასახადის გარეშე) რომელიც უკავშირდება ყოფილი აღმასრულებელი მენეჯერის საბოლოო ანაზღაურებას. ეს თანხა მოიცავდა 12.4 მლნ ლარს (მთლიანი საშემოსავლო გადასახადი) რომელიც იქვითება ხელფასიდან და თანამშრომელთა სხვა სარგებლიდან, რომელიც იქვითება არაერთჯერადი პუნქტიდან. 2019 წელს საშემოსავლო ანგარიშის კორექტირებული მოგება გამორიცხავს 3.9 მლნ ლარს თანამშრომლის ერთჯერადი გადახდების ღირებულებიდან (სუფთა საშემოსავლო გადასახადი) , რომელიც უკავშირდება ყოფილი დირექტორის საბოლოო ანაზღაურებას და 67.7 მლნ ლარი დაყოფასთან დაკავშირებული ხარჯები (სუფთა საშემოსავლო გადასახადი) და გადავადებული საგადასახადო ნამთის ერთჯერადი გადასახადის ზემოქმედება. 2019 წელს და 2018 წელს ROAE-ს კორექტირება მოხდა შესაბამისად.

კრედიტები რეზერვების გამოკლებით[3]
(მლნ ლარი)

2017	7,510.9
2018	9,229.3
2019	11,766.8

11,766.8

+27.5% წინა წლოვან შედარებით

კლიენტის დეპოზიტები (მლნ ლარი)

2017	7,123.9
2018	8,196.6
2019	10,136.7

10,136.7

+23.7% წინა წლოვან შედარებით

საბაზისო მოგება ერთ აქციაზე
(ლარი)

2017	12.18
2018	12.35
2019	18.33

18.33

+48.4% წინა წელთან შედარებით

პირველი დონის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი
(NBG , Basel III)

2017	12.4%
2018	12.2%
2019	13.6%

13.6%

+140 bps წინა წელთან შედარებით

[3] მმართველობის ანაგრიმგებაში ყველგან კლიენტებზე გაცემული მთლიანი კრედიტები და შესაბამისი გაუფასურების რეზერვები წარმოდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გარეშე (ECL) კონტრაქტის შესაბამისად დარიცხულ საპროცენტო შემოსავალზე. ეს გავლენას არ ახდენს კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთზე რეზერვების გამოკლებით კრედიტებზე . ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ გამოკლებული ნაშთები ყველაზე კარგად ასახავს ჯგუფის საკრედიტო პორტფელის მდგომარეობას.

ძირითადი საოპერაციო მაჩვენებლები

2019 წლის ძირითადი საოპერაციო მაჩვენებლები ასახავს ბანკის ზონის მზარდ გაფართოებას

ბანკის ფიზიკური პირების საბანკო მომსახურება

2.5 MLN

+4.1% (2018 წელს)

საბანკო მომსახურების ფილიალები

272

-4 (2018 წელს)

ბარათების რ-ბა

2.1 MLN

-1.5% (2018 წელს)

სწრაფი გადახდის ტერმინალები

3,217

+102 (2018 წელს)

სავაჭრო წერტილების ტერმინალები

21,869

+4,999 (2018 წელს)

ბანკომატები

933

+57 (2018 წელს)

mBank -ის ტრანზაქციების რაოდენობა

35.9 MLN

+129.2% (2018 წელს)

ტრანზაქციები ციფრული არხების საშუალებით (%)

93.2%

+1.1 ppts (2018 წელს)

ერთი შეხედვით

საცალო საბანკო მომსახურება

კლიენტზე ორიენტირებული და მულტი-ბრენდულ სტრატეგიაზე დაფუძნებული გადაწყვეტები 2.5-მილიონზე მეტი კლიენტისთვის

ჩვენ ვართ ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების სფეროში წამყვანი მოთამაშე საქართველოში, ვემსახურებით 2.5 მილიონზე მეტ კლიენტს 267 მომსახურების ოფისების ყველაზე ფართო ქსელის - 933 ბანკომატის და 3,217 სწრაფი გადახდის (თვითმომსახურების) ტერმინალების, 3,200 ადამიანზე მეტი გაყიდვების პერსონალის და ჩვენი მრავალფეროვანი პროდუქტებისა და მომსახურებების საშუალებით. ჩვენი საცალო საბანკო მომსახურება, რომელიც წარმოადგენს ჩვენი საქმიანობის მთავარ კომპონენტს მოქმედებს კლიენტზე ორიენტირებულ და მზარდი ციფრულ მულტიბრენდულ სტრატეგიაზე დაფუძნებული გადაწყვეტების საფუძველზე, რომელიც მოიცავს კლიენტი-ფიზიკური პირების მთელ სპექტრს საიმედო და აღიარებული სამი ბრენდის საშუალებით:

ექსპრესი
შექმნილია იმისთვის რომ მოემსახუროს პერსპექტიულ ფიზიკურ პირებს მინიმალური საოპერაციოს ხარჯებით ეკონომიურად ეფექტური დისტანციური არხების საშუალებით, როგორიცაა სწრაფი (ექსპრეს) გადახდის ტერმინალები, ინტერნეტ და მობილური ბანკინგი, და მაღალ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ექსპრესს ფილიალები.

საქართველოს ბანკი
უზრუნველყოფს საიმედო ტრადიციულ საბანკო მომსახურებებს ჩვენი კლიენტი- ფიზიკური პირების ფართო სპექტრისთვის.

სოლო
გათვლილია პრემიალური კლასის კლიენტებზე და უზრუნველყოფს უნიკალურ შერეულ საბანკო მომსახურებას და ცხოვრების სტილს მორგებულ პროდუქტებს და მომსახურებებს.

მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესი
საქართველოს ბანკი ემსახურება მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს (MSME) საცალო კლიენტებისთვის საბანკო მომსახურების ფარგლებში არსებული ორი სპეციალურად შექმნილი სეგმენტის საშუალებით. 2019 წლის ბოლოსთვის, ჩვენი მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნეს კლიენტების ბაზა 220,603 კლიენტამდე გაიზარდა.

მთლიანი საკრედიტო პორტფელი
(მილიარდი ლარი)

7.5

↑18.0% წინა წელთან შედარებით

ბაზრის წილი[1]

38.8%

კლიენტის დეპოზიტები
(მილიარდი ლარი)

5.7

↑31.7% წინა წელთან შედარებით

ბაზრის წილი[1]

40.3%

[1] ბაზრის წილი კრედიტების და ფიზიკური პირების დეპოზიტების მიხედვით ეფუძნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოქვეყნებულ ბუღალტრის დამოუკიდებელ ანგარიშებს.

კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურება

ინტეგრირებული გადაწყვეტა ჩვენი კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურების(CIB) კლიენტებისთვის

ბანკი არის იურიდიული პირების წამყვანი დამფინანსებელი ქვეყანაში, დარგის ღრმა ცოდნით და ადგილობრივი გამოცდილებით. ჩვენი კორპორატიული საბანკო მომსახურება მოქნილად რეაგირებს ჩვენი კორპორატიული კლიენტების ინდივიდუალურ მოთხოვნებზე და სთავაზობს მათ პროდუქტებისა და მომსახურებების ქვეყანაში არსებულ ყველაზე ყოვლისმომცველ დიაპაზონს. ჩვენ ვამაყობთ რომ შეგვიძლია მოვემსახუროთ 2,700 ბიზნესს საქართველოში და ჩვენი წვლილი შევიტანოთ სხვადასხვა დარგის განვითარებაში, როგორიცაა ვაჭრობა, ენერგეტიკა, მრეწველობა და ტურიზმი და სხვა. კორპორატიული ბანკინგი დამატებით ახორციელებს სავაჭრო ოპერაციების დაფინანსებას საქართველოში და უზრუნველყოფს ლიზინგის მომსახურებებს ბანკის სრულ მფლობელობაში არსებული შვილობილი კომპანიის, საქართველოს სალიზინგო კომპანიის (GLC) საშუალებით.

კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურება აწყობს ინდუსტრიულ საკითხებზე კვარტალურ ლექციების კურსს მისი კლიენტებისთვის, სადაც გალტ ენდ თაგარტი წარმოადგენს სამრეწველო ტრენდებს და ყველაზე ბოლოდროინდელი კვლევის შედეგებს. აქ ჩვენი მიზანია გადავცეთ ჩვენი ცოდნა და ყველაზე თანამედროვე მონაცემები ჩვენს კლიენტებს, რათა მათ ჰქონდეთ წარმოდგენა ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ მოვლენებსა და საინვესტიციო პოტენციალზე.

ჩვენ მიგვაჩნია ჯგუფი ქვეყანაში კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურები საუკეთესო სპეციალისტების ერთერთ მიმზიდველ დამსაქმებლად. დიდი კორპორაციების ფართო სპექტრისთვის კორპორატიული დაფინანსების და სტრატეგიის საკითხებს ასევე იმ ახალგაზრდა პროფესიონალების მოწვევას დიდი ხნის ისტორია აქვს, რომლებსაც სურთ თავიანთი კარიერა გააგრძელონ ჯგუფის კომპანიებში.

ეს მრავალასპექტიანი ფინანსური მომსახურებები, ჩვენი კლიენტებისთვის საუკეთესო კლასის მომსახურებების გაწევაზე ფოკუსირებასთან ერთად, აქცევს ჩვენს ბანკს უნივერსალურ და პრიორიტეტულ კონსულტანტად საქართველოში არსებული კორპორაციებისთვის.

საკრედიტო პორტფელის მთლიანი მოცულობა[5]
(მილიარდი ლარი)

3.7

+42.5% y-o-y

ბაზრის წილი[6]

31.0%

კლიენტების დეპოზიტები[5]
(მილიარდი ლარი)

3.8

+10.1% y-o-y

ბაზარი[6]

30.9%

[5] მოიცავს ქონების მართვის მთლიან კრედიტებს და კლიენტის დეპოზიტებს შესაბამისად..
[6] ბაზრის წილები იურიდიული პირების კრედიტების და დეპოზიტების მიხედვით , შესაბამისად ეფუძნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოქვეყნებულ ბანკების დამოუკიდებელ ანგარიშებს.

ქონების მართვა

ჩვენ ვართ საქართველოში ბანკის კლიენტების ინვესტიციების მართვის მომსახურებების სფეროში ავტორიტეტული ლიდერი

საქართველოს ბანკი აქტიურად მონაწილეობად აქტივებისა და ქონების მართვის სფეროში 2005 წლიდან. 1,557 ადგილობრივი და მსოფლიოს 77 ქვეყნის უცხოელი კლიენტის მონაცემებით, ჩვენი ქონების მართვის ბიზნესი უზრუნველყოფს შეძლებული ფიზიკურ პირების საბანკო მომსახურებებს და სთავაზობს ინვესტიციის მართვის პროდუქტებს საერთაშორისო მასშტაბით და აღმოსავლეთ ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და გაერთიანებულ სამეფოში არსებული შვილობილი კომპანიების და თავისი წარმომადგენლობების საშუალებით. ჩვენი მომსახურების მაღალი დონე, ადგილობრივ ეკონომიკურ სტაბილურობასთან, ბიზნესზე ორიენტირებულ გარემოსთან და საქართველოში არსებულ ხელსაყრელ საგადასახადო რეჟიმთან ერთად, უზრუნველყოფს ჩვენი კლიენტებისთვის საქართველოში ინვესტიციის განხორციელების უნიკალურ შესაძლებლობას. ბევრ უცხოელი კლიენტს ეს შეთავაზება ძალიან მიმზიდველად მიაჩნია. ბანკი დარწმუნებულია, რომ მისი ქონების მართვის ფრანჩიზამ შესაძლოა სარგებელი მოიტანოს ადგილობრივი კრედიტის განაწილებაზე ფოკუსირების გზით.

2017 წლიდან, ჩვენ მასპინძლობას ვუწევთ და ვაფინანსებთ ქონების მართვის რეგიონულ კონფერენციას თბილისში და საზღვარგარეთ. ამ ღონისძიებების მიზანია წარმოადგინოს საქართველო როგორც რეგიონული ჰაბი კერძო საბანკო მომსახურების სფეროში. საქართველოს რეგიონულ საბანკო ცენტრად ქცევის პერსპექტივა და გამოწვევები, მათ შორის საინვესტიციო კლიმატი საქართველოში და ასევე ქვეყნის ეკონომიკური და საბანკო სექტორი, განხილული იქნა კონფერენციის ფარგლებში, ჩვენ ვგეგმავთ მომავალშიც გავაგრძელოთ რეგიონული ღონისძიებების აქტიური მხარდაჭერა.

2019 წლის იანვრიდან საქართველოს ბანკმა გახსნა ახალი ოფისი თბილისის ცენტრში, რომლის მიზანია მოემსახუროს ჩვენს ქონების მართვის კლიენტებს.

WM AUM
(მილიარდი ლარი)

1.5

კლიენტების რაოდენობა

1,557

ქვეყნების რაოდენობა

77

BNB

კარგად კაპიტალიზებული მცირე და საშუალო საწარმოების ბანკი ბელორუსში.

სს ბელორუსკი ნაროდნი ბანკი (BNB) სთავაზობს ინდივიდუალურ და ბიზნეს საბანკო მომსახურებებს მცირე და საშუალო საწარმოებს და საშუალო შემოსავლიან საცალო ბანკინგის კლიენტებს ბელორუსში. BNB, რომელიც შეიქმნა 1992 წელს, იყო ერთერთი პირველი კერძო მფლობელობაში არსებული ბანკი ბელორუსში. BNB აპირებს გააფართოვოს თავისი საცალო კლიენტებთან მომსახურება ბელორუსში ციფრული არხებით შეღწევის გზით.

სტრატეგია

ბაზრისა და დარგის მიმოხილვა

გლობალური მასშტაბით მთავარი რეფორმატორი

საქართველო არის ღია სწრაფად მზარდი ახალი ბაზარი. მაკროეკონმიკური მაჩვენებელი პოზიტიური იყო ბოლო ათწლეულის განმავლობაში, და იზრდება უფრო სწრაფად ვიდრე პარტნიორთა უმეტესობა, აქვს გაუმჯობესებული გარეშე ბალანსი, გაიზარდა საგარეო რეზერვები, აქვს კარგად მართული ფისკალური დეფიციტი, და სტაბილური საბანკო სექტორი ვალუტის გაუფასურების მიუხედავად. ამ ყოველისმომცველი რეფორმებით, ქვეყანა აგრძელებს ეკონომიკის მხარდაჭერას, რათა მოხდეს მისი პოტენციალის რეალიზება გლობალურ ეკონომიკაში სრული ინტეგრაციით.

საქართველოში ბიზნესის ადვილად კეთების ინდექსი 2020 წელს

მე-2

ბიზნესის დაწყებაში

მე-7

მცირე ინვესტორების დაცვაში

მე-5

ქონების რეგისტრაციაში

მე-7

საერთო რეიტინგი

საქართველო არის უმაღლესი რეინტინგის მქონე ეკონომიკა ევროპასა და ცენტრალური აზიის რეგიონში

წყარო: მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთება



ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი მინიჭებულია საქართველოსთვის 2020 წელს

12-ე

საქართველოს მინიჭებული აქვს 6-ე ადგილი ევროპის რეგიონის 45 ქვეყანაში, და მისი საერთო ქულა საკმაოდ აღემატება რეგიონულ და მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს

წყარო: მემკვიდრეობის ფონდი

კორუფციის აღქმის ინდექსი 2019 წელს

44-ე

საქართველო არის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ლიდერი

წყარო: საერთაშორისო გამჭვირვალობა 2019

რეფორმებით გარანტირებული წარმატება

საქართველო ინარჩუნებს მმართველობასა და საქმიანი წრეების ინტერესებზე მორგებული მთავარი რეფორმატორის რეპუტაციას. ამის გამო, საქართველოში მაკროეკონომიკური მაჩვენებელი პოზიტიური იყო ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მის ყველა პარტნიორზე უფრო მაღალი ზრდით. გაუმჯობესებული საგარეო ოპერაციების სალოდოთი, კარგად მართული ფისკალური დეფიციტით, და სავალუტო კურსის შემცირების მიუხედავად სტაბილური საბანკო სექტორით.

რეგიონში არსებული შენელებული ტემპის გამო 2015-2016 წლებში ნელი ზრდის შემდეგ , ზრდა დაიწყო და გაძლიერდა საგარეო ოპერაციების სალდო. ზრდა დაჩქარდა 5.1%-ით 2019 წელს, მიუხედავად რუსეთის მხრიდან ფრენების აკძალვისა. არის რა ღია ეკონომიკა , საქართველოს არ აქვს იმუნიტეტი გარეშე შოკების მიმართ, თუმცა მისი დივერსიფიცირებული ეკონომიკური საფუძველი და დივერსიფიცირებული ეკონომიკური კავშირები მინიმუმამდე ამცირებს ნებისმიერი კონკრეტული პარტნიორი ქვეყნის პოტენციურ ნეგატიურ ზემოქმედებას.

ეკონომიკური თავისუფლების აქტი , რომელიც ძალაშია 2014 წლის იანვრიდან, უზრუნველყოფს საქართველოსთვის საიმედო ფისკალურ და მონეტარულ სტრუქტურას. ფისკალური დეფიციტის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ)-ს 3%-მდე და სახელმწიფო ვალის მშპ-ს 60 %-მდე გაზრდით. ეკონომიკური თავისუფლების აქტი ასევე მოითხოვს ელექტორატის დასტურს ქვეყნის მასშტაბით რეფერენდუმის საშუალებით, რათა დაწესდეს ახალი გადასახადები და გაიზარდოს არსებული საგადასახადო განაკვეთები, გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით.

საქართველოს აქვს მსოფლიოში ყველაზე ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმი, მას შემდეგ რაც 2004 წელს 31 გადასახადიდან ამოღებული იქნა რამდენიმე გადასახადი და ამჟამად დარჩა მხოლოდ ექვსი. საგადასახადო ტვირთი შემცირდა და შემდგომი ბოლო წლების საგადასახადო ინიციატივები მოიცავს მხოლოდ განაწილებულ მოგებაზე კორპორატიულ საშემოსავლო გადასახადს 2017 წლიდან და ხუთჯერ შემცირებულ საგადასახადო განაკვეთს მცირე ბიზნესისთვის 2018 წლიდან.


საქართველო არის დასავლეთზე ორიენტირებული ქვეყანა, აქვს ახლო კავშირები საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან (IFIs) და ღია სავაჭრო პოლიტიკა. 2014 წლის ივნისში საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების ხელშეკრულებას და დაკავშირებულ ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას (DCFTA) ევროკავშირში უვიზო მგზავრობა შეუძლია ქართული პასპორტის მფლობელებს 2017 წლის მარტიდან. ეს ქართული საგარეო პოლიტიკის კიდევ ერთი მთავარი წარმატებაა. დარჩა რა ერთგული ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართ, საქართველომ ასევე მოახერხა რუსეთთან თავისი ურთიერთობების სტაბილიზება, რადგან ამ უკანაკნელმა ემბარგო დააწესა ქართულ პროდუქტზე 2013 წელს. უფრო მეტიც ქართულ-ჩინური ეკონომიკური კავშირები იზრდება და თავისუფალ სავაჭრო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2017 წელს , რომელიც სავარაუდოდ გზას გაუხსნის ჩინური ბაზრისკენ ქართულ ექსპორტს. საქართველო მონაწილეობს ჩინეთის ეკონომიკური სარტყელის და გზის ინიციატივაში, რომელიც ასევე პოზიტიურ გავლენას მოახდენს ქართულ ეკონომიკაზე და მთლიანად რეგიონზე.

ქვეყნის მიმდინარე პროგრამა IMF-თან როგორც ჩანს ეხმარება ქვეყანას ეკონომიკური სიდუხჭირის შემცირებაში და ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. ყველაზე დიდი საკრედიტო რეიტინგის სააგენტოები (Moody's, Fitch Ratings and S&P Global Ratings) ადასტურებს ქვეყნის ეკონომიკურ და ინსტიტუციურ სიძლიერეს და გლობალური შოკების მიმართ მედეგობას. ეს აისახა საქართველოს ერთი საფეხურით მაღლა ასვლაში 2019 წლის თებერვალში ფიჩის BB- რეიტინგიდან BB-მდე. და 2019 წლის ოქტომბერში S&P გლობალური რეიტინგიდან. მთავარობა ყურადღებას ამახვილებს მზარდ კაპიტალურ ხარჯებზე, ასევე განთლებაზე დანახარჯებზე, რათა გაძლიერდეს პოტენციური ზრდა, და იმავდროულად შენარჩუნდეს დაბალი ფისკალური დეფიციტი.

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიზანია შეამციროს გარეშე ზემოქმედების მიმართ წინააღმდეგობა ეკონომიკაში დოლარიზაციის შემცირებით და ხელი შეუწყოს კაპიტალური ბაზრის განვითარებას.

2019 წლიდან საპენსიო რეფორმის განხორციელება ხელს უწყობს ინვესტიციისთვის დანაზოგების მობილიზაციას , რომლის მიზანია დახმარება გაუწიოს საშუალო ვადიან ზრდას და უზრუნველყოს შემდგომი უსაფრთხოება ასაკოვანი ადამიანებისთვის.

მთლიანი სახელმწიფო ვალი (მშპ-სთან მიმართებაში), 2019



Source: IMF, GeoSTat, MOF

რეგიონული ეკონომიკური ჰაბი

საქართველოს აქვს კარგი მდებარეობა საიმისოდ, რომ მისი შედარებით თანამედროვე მარეგულირებელი სისტემა ბიზნესისთვის ხელსაყრელი იყოს. განვითარებული ინფრასტრუქტურით, სტაბილური ენერგო მომარაგებით, მოქნილი შრომითი კანონმდებლობით. მას აქვს მყარი საბანკო სექტორი, სტრატეგიული გეოგრაფია და მთავრობა, რომელიც მზადაა განახორციელოს სტრუქტურული ცვლილებები ქვეყანაში.

საქართველო არის ბუნებრივი სატრანსპორტო და ლოგისტიკური ჰაბი, რომელიც აკავშირებს მნიშვნელოვან რეგიონებს და 2.8 მილიარდიან კლიენტების ბაზარს საბაჟო მოსაკრებლების გარეშე. საქართველო მდებარეობს ენერგო მატარებლებით მდიდარ აღმოსავლეთის ქვეყნებსა, რომლებსაც არ აქვთ გასასვლელი ზღვაზე და დასავლეთით ევროპულ ბაზრებს შორის. მთავრობის არსებული ინფრასტრუქტურული ინვესტიციები და გაზრდილი დანახარჯები გზებზე, ენერგეტიკა, ტურიზმი და მუნიციპალური ინფრასტრუქტურა ასევე გაამყარებს ამ პოტენციას.

საქართველო არის რეგიონის ენერგო კორიდორი, რომელიც მოიცავს დაახლოებით მსოფლიო ნავთობის და გაზის მარაგის სატრანზიტო მოცულობის 1.6%-ს. საქართველოში თავისუფალი სავაჭრო გარიგებები (EU, CIS, EFTA, თურქეთი, ჩინეთი, ჰონგ-კონგი და მიმდინარე მოლაპარაკებები ინდოეთთან,), საშუალებას აძლევს მას შევიდეს 2.8 მილიარდიანი კლიენტების მქონე ბაზარზე. ამით შემდგომში გაძლიერდება საქართველოს, როგორც რეგიონული ბაზრებისთვის სავაჭრო პლატფორმის პოზიცია.

საქართველო უკვე არის პოპულარული ტურისტული ადგილი. მოგზაურთა ნაკადები საქართველოსთვის უცხოური ვალუტის მნიშვნელოვანი წყაროა, ტურისტების რაოდენობამ უკვე გადააჭარბა ადგილობრივ 3.7 მილიონ მოსახლეობას. 2019 წელს ტურისტების რაოდენობამ მიაღწია 5.1 მილიონს, რის შედეგადაც მოხდა 3.3 მილიარდი აშშ დოლარის ან მშპ-ს 8.4% -ის მობილიზება. მთავრობა ხელს უწყობს საქართველოს პოზიციონირებას წელიწადის ოთხ დროზე გათვლილ ტურიზმზე სხვადასხვა რეგიონს შორის გაუმჯობესებული კონტაქტით, რომელიც მიზნად ისახავს მათ პოტენციალში შეღწევას.

სტაბილური ენერგო მომარაგება და ელექტროენერგიის სატრანზიტო ჰაბის პოტენციალი. საქართველოს აქვს განვითარებული, სტაბილური და კონკურენტული ენერგო სექტორი. ქვეყანამ დაძლია ქრონიკური ენერგო დეფიციტი და გაზის მიწოდების შეწყვეტა ათი წლის წინ ახალი ჰიდროელექტრო სადგურების (ჰესი) აშენებით და ძველების განახლებით, გადამცემი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ბუნებრივი გაზის იმპორტიორი პარტნიორების დივერსიფიკაციის გზით. ქვეყანაში ენერგიაზე მოთხოვნა მოგვარდა ჰესების მშენებლობით და შიდა და გარეშე ელექტრომომარაგების ქსელებისა და ბუნებრივი გაზის მილსადენების განახლებისა და რეაბილიტაციის საშუალებით.

ამჟამად გამოიყენება მხოლოდ საქართველოს ჰიდრო პოტენციალის 25%. მთავრობის პოლიტიკამ ბოლო ათწლეულის მანძილზე ხელი შეუწყო ჰიდროენერგიის სექტორში ინვესტიციას, რის შედეგადაც 2012-2019 წლებში 43 ახალი ჰესი დაემატა, რომელთა მთლიანი სიმძლავრე შეადგენს 485 მვტ-ს. საინვესტიციო პროექტების მილსადენი ენერგეტიკულ სექტორში შეფასებულია დაახლოებით 5-6 მილიარდი აშშ დოლარად მომდევნო ხუთიდან შვიდ წლამდე პერიოდში, მათ შორის ტრადიციული და ჰიდრო, ქარის და მზის პროექტები განვითარების სხვადასხვა ეტაპზეა.

საქართველოს გადამცემი ხაზების სიმძლავრე შესაძლებელია გაიზარდოს და უზრუნველყოს დამატებითი დადგმული სიმძლავრე 3.5 გვტ 2017 წლისთვის, რათა დაკმაყოფილდეს ექსპორტის და ადგილობრივი მოთხოვნები. საქართველო პროგნოზირებულია, რომ იქნება ელექტროენერგიის გადამცემი ჰაბი მეზობელი ქვეყნებისთვის. 2016-2019 წლებში, 1,253 გვტსთ უკვე გადაეცა საქართველოს გავლით მეზობელ ქვეყნებს.

მიმზიდველი ადგილი უცხოელი ინვესტორებისთვის. უცხოური პირდაპირი ინვესტიცია (FDI) არის საქართველოში დაფინანსების ზრდის მნიშვნელოვანი წყარო, ასევე საქართველოს მიმდინარე საოპერაციო დეფიციტის დაფინანსების საიმედო წყარო. საქართთველოს ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემო მის მდგრადი ზრდის პერსპექტივებთან ერთად იზიდავს მნიშვნელოვან ფინანსურ დაფინანსებას, რაც საშუალოდ შეადგენს მშპ-ს 8.7%-ს ბოლო ათწლეულის განმავლობაში. მთავარი ბენეფიციარები არიან ტრანსპორტის, ტურიზმის, მშენებლობის, ფინანსური და ენერგო სექტორები, ევროკავშირი რჩება მთავარ ინვესტორად.

საქართველოს ჯერ კიდევ არ შეუღწევია საერთაშორისო ბაზრებზე. თავისუფალი ვაჭრობის გარიგებების ზრდი მიუხედავად, საქართველოში ჯერ კიდევ დომინირებს მეორეული მანქანების და მატერიალური რესურსებისა და მინერალური ნივთიერებების რეექსპორტი. ამასობაში მოხდა ექსპორტის კარგად დივერსიფიცირება მთავარი საექსპორტო ბაზრების რეორიენტაციით, რაც გულისხმობდა მიზნობრივ მთავარ საექსპორტო ბაზრებს (აზერბაიჯანი და რუსეთი), რომლებსაც აქვთ მხოლოდ 26% წილი მთლიანობაში. მიზნობრივი ბაზრების ყველაზე დიდი ცვლილებები იყო რუსეთის ბაზრიდან რეორიენტაცია 2005 წლის ემბარგოს შემდეგ, რამაც აიძულა ქართველი მეწარმეები შეეცვალათ თავიანთი ექსპორტის მიმართულება თანამეგობრობის დამოუკიდებელ სახელმწიფოების მიმართულებით (დსთ, ევროკავშირი და სხვა ბაზრები. ახალ დიდ ბაზრებზე წვდომა (ევროკავშირი და ჩინეთი) შესაძლებელს გახდის ბაზრის პოტენციალის ზრდას. არსებობს ასევე შესაძლებლობა მოხდეს სოფლის მეურნეობის ექსპორტების დივერსიფიკაცია, მას შემდეგ რაც ხარისხი და სტანდარტები გაუმჯობესდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (EU DCFTA) შესახებ შეთანხმების შესაბამისად.

საქართველოს ეკონომიკა 2019 წელს და შემდეგ

2012 წლის შემდეგ საქართველოს ეკონომიკამ პირდაპირი რეისების აკრძალვის მიუხედავად ყველაზე სწრაფი ზრდა 2019 წელს განიცადა (+5.1%). მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 2019 წელს მიაღწია ისტორიულ დაბალ ნიშნულს, საქონლის ექსპორტი წინა წელთან შედარებით 12.4%-ით, გადარიცხვები წინა წელთან შედარებით 9.7%-ით გაიზარდა, ტურიზმიდან შემოსავლი წინა წელთან შედარებით 1.4%-ით გაიზარდა. კორპორატული კრედიტების ძლიერი ზრდა სახელმწიფო ინფრასტრუქტურული დანახარჯები ასევე მნიშვნელოვანი იყო ზრდისათვის. ინფლაცია გაიზარდა და 7.0%-ს მიაღწია 2019 წლის დეკემბერში, და ასახა უფრო მაღალი აქციზები თამბაქოზე და ლარის გაუფასურება. სებ-მა გაზარდა ფულად საკრედიტო პოლიტიკით გათვალისწინებული განაკვეთი და გაყიდა უცხოური სავალუტო რეზერვები იმისთვის, რომ გადაეწყვიტა გაზრდილი ინფლაციით გამოწვეული ზეწოლის შედეგები .

მიუხედავად გამომწვევი გარემოსი, საერთაშორის რეზერვები გაიზარდა 3.5 მილიარდ აშშ დოლარამდე. ყველაზე დიდი საკრედიტო რეიტინგული სააგენტოები (Moody's, Fitch Ratings and S&P Global Ratings) ადასტურებს გლობალური შოკებისადმი მედეგობას, და ასახავს ერთი საფეხურით რეიტინგის აწევას ფიჩის რეიტინგიდან და S&P გლობალური რეიტინგიდან 2019 წელს (Moody'ð გააკეთა იგივე 2017 წელს).

2020 წლის აპრილსა და მაისში მნიშვნელოვანი კლება შეიმჩნეოდა ეკონომიკურ საქმიანობაში იმ შეზღუდვების ფონზე, რომელიც უკავშირდებოდა კოვიდ 19-ის პანდემიას. საქართველოს მთავრობამ მყისიერი და ეფექტური რეაგირება მოახდინა კოვიდ -19 პანდემიაზე, რამაც შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ეკონომიკა ხელახლა გახსნილიყო უფრო სწრაფად ვიდრე ეს მოხდა რეგიონის ნებისმიერ სხვა ეკონომიკაში. ამის შედეგად, საქართველო უკეთესად და სწრაფად ახერხებს ბიზნეს აქტივობების განახლებას, რაც მნიშვნელოვნად გამოსწორდა ივნისსა და ივლისში. 2020 წლის მეორე კვარტალში, ქართული ლარის მდგომარეობა გაუმჯობესდა და გამყარდა 7.0%-ით აშშ დოლართან მიმართებაში. რასაც ნაწილობრივ დაეხმარა სებ-ის ინტერვენციები, საგარეო დაფინანსება და მოსალოდნელზე უფრო ძლიერი ფულადი გზავნილების ნაკადები. ძალიან ფრთხილად მოხდა საერთაშორისო საზღვრების გახსნა, მაგრამ ჩვენ არ მოველით რომ 2020 წლის დარჩენილ პერიოდში საერთაშორისო ტურიზმი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. ამის გამო, ჩვენ ახლა მოველით რომ საქართველოს ეკონომიკა 5.1%-ით გაიზდება 2020 წლის განმავლობაში. რასაც მოჰყვება მშპ- ს ზრდა 5.0-5,5%-ით 2021 წელს. ეს მოლოდინი ეფუძნება ჩვენი საბროკერო და საინვესტიციო განყოფილების გალტ ენდ თაგარტის მონაცემებს.

კარგად კაპიტალიზებული საბანკო სექტორი დაბალი ვადაგადაცილებული კრედიტებით (NPLs)


საქართველოს საბანკო სექტორი იყო ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორი საქართველოს ეკონომიკაში. საბანკო სექტორის აქტივების ზრდის ტემპი 18.1 % (ათწლიანი მთლიანი წლიური ზრდა) საკმაოდ აჭარბებს ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპს იმავე პერიოდში, საბანკო სექტორი მთლიანად კერძო საკუთრებაშია და საკმაოდ კონცენტრირებულია ორ ყველაზე დიდ ბანკში, რომლებიც 2019 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მთლიანი საბანკო აქტივების 74.5%-ს შეადგენს.

გონივრული რეგულაციისა და კონსერვატიული კონტროლის დაწესება საქართველოს ცენტრალური ბანკის მიერ, რაც უზრუნველყოფს სტაბილურობას და ფინანსური სექტორის საიმედოობას ეკონომიკაში სხვადასხვა შოკების დროს. საქართველოს საბანკო სექტორი დარჩა კვლავაც მომგებიანი და შეინარჩუნა თავისი საკრედიტო რეიტინგი სტაბილური პერსპექტივით. 2015-2016 წლებში რეგიონში სხვა ბანკების მომსახურებების მრავალჯერ შემცირების ფონზე. სებ-ის კონსერვატიული რეგულაციები, ლიკვიდურობისა და კაპიტალიზაციის განაკვეთების გამო საბანკო სექტორში კაპიტალიზაციის დონე ისტორიულად მაღალი იყო. მიუხედავად ამისა სექტორის მომგებიანობა კვლავაც მაღალი იყო. , გასული სამი წლის განმავლობაში 21.8% -იან საკუთარი კაპიტალზე შემოსავლიანობით.

2019 წელს საშუალო მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი კვლავაც მიახლოებული იყო 19%-ს, საკრედიტო დავალიანებების წილი იყო 1.9%-ზე და საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი კვლავ მაღალი იყო, დაახლოებით 40%. კორპორატიული კრედიტები შეადგენდა მშპ-ს 31.0%-ს , დეპოზიტის დოლარიზაციამ მიაღწია 64.1%-ს და კრედიტის დოლარიზაცია 2019 წელს იყო 55.1%, 2017 წლის დონეზე ნაკლები, როცა რეფორმა დაიწყო.

ამის შედეგად კლიენტებისთვის კრედიტების გაცემაზე სებ-ის მიერ 2018 წლიდან შემოღებული რეგულაციების შედეგად, უფრო რისკიანი საცალო საკრედიტო პორტფელი შემცირდა. ხოლო კორპორატიული, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების და იპოთეკის საფუძველზე კრედიტების გაცემა საკმაოდ გაიზარდა, და პოზიტიური გავლენა მოახდინა საქართველოს საბანკო სექტორზე, საქართველოს ეკონომიკურ პოტენციალსა და ზრდის პერსპექტივაზე.

საკრედიტო დავალიანებები 2019



წყარო: IMF, NBG

ჩვენი მისია

ჩვენ აქ ვართ რათა
დავეხმაროთ ადამიანებს
უფრო მეტი პოტენციალის
მიღწევაში

ჩვენ აქ ვართ რათა დავეხმაროთ ადამიანებს მიაღწიონ უფრო მეტ პოტენციალს. ამ კონტექსტში მიღებული იქნა ახალი ბრენდ პლატფორმა და ჩვენი პირველი ახალი ბრენდ კამპანია დაიწყო 2019 წლის ოქტომბრის დასაწყისში. საქართველოს ბანკი არის ბრენდი, რომელიც ნიშნავს მოქმედების გახორციელებას და მოითხოვს ყურადღებას; ჩვენ აქ ვართ იმისთვის რომ მხარი დავუჭიროთ ჩვენს კლიენტებს და თანამშრომლებს. საქართველოს ბანკის მიზანია დახმარება გაუწიოს იმ ადამიანებს, რომლებსაც სურთ წარმატების მიღწევა მათი გამოწვევების მიუხედავად. ჩვენ გვინდა გავაერთიანოთ ჩვენი თანამშრომლები ჩვენი საერთო ღირებულებების გარშემო და დარჩნენ ამ ღირებულებების ერთგული. ჩვენ მხარს ვუჭერთ უკუ კავშირის კულტურას ჩვენი ბანკის ფარგლებში, იმისთვის, რომ გვქონდეს ეფექტური შიდა საკომუნიკაციო სისტემები რათა თანამშრომლები უკეთ დაუკავშირდნენ ერთმანეთს აზრთა გაზიარების მიზნით , ჩვენ სამუშაო ადგილას შევქმენით ფეისბუქ პლატფორმა ოფისში შიდა მოხმარების მიზნით.

ჩვენი მისია ეფუძნება წარმატებისთვის საჭირო სამ ფუნდამენტურ პრინციპს: ჩვენი თანამშრომლები , კორპორატიულ სოციალური პასუხისმგებლობა და ჩვენი კლიენტები. ქვემოთ წარმოდგენილი სქემა ასახავს იმას, როგორ დავგეგმოთ თითოეული ამ მიმართულების განვითარებას.

თანამშრომლის ჩართულობა

ღირებულებებზე დაფუძნებული ორგანიზაცია	უკუკავშირის კულტურა	ეფექტური შიდა კომუნიკაცია

ჩვენი ახალი სტრატეგიის წარმატება, დამოკიდებულია ორ მთავარ მიმართულებაზე: კლიენტის დაკმაყოფილება და თანამშრომლის ჩართულობა. ჩვენ შევამოწმეთ ხელმძღვანელობის ზედა რგოლის საქმიანობის ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები (KPIs), რომელიც უნდა მოიცავდეს კლიენტების ლოიალობის მაჩვენებელს (NPS) და თანამშრომლის ლოიალობის მაჩვენებლებს (ENPS). ბიზნეს ხაზებში შეინიშნება ძალიან წამახალისებელი ნიშნები, რომლებიც აჩვენებს კლიენტების კმაყოფილების გაუმჯობესებულ მაჩვენებელს (CSAT) და თანამშრომლის ჩართულობის უფრო მაღალ მაჩვენებელს. გარდა ამისა, ჩვენ განვახორციელეთ ინვესტირება მომხმარებლის გამოცდილების მართვის პლატფორმაში "მედალია". ის დაგვეხმარება ჩვენ მოვიცვათ და განვსაზღვროთ კლიენტის გამოხმაურების დიდი რაოდენობა. ეს პირველად გამოყენებული იქნა ბანკის ციფრული არხების საშუალებით, და ჩვენ ვგეგმავთ მის გაფართოებას ქოლ ცენტრისა და ფილიალების შექმნის მიმართულებით 2020 წელს.

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა

განათლება	დასაქმება	ბიზნესი

ჩვენი ახალი კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) სტრატეგია შესაბამისობაშია ჩვენს ახალ მისიასთან- დაეხმაროს ადამიანებს უფრო მეტი პოტენციალის მიღწევაში. ჩვენ ვაკეთებთ ამას სამ მთავარ საფეხურზე ფოკუსირებით: განათლება, დასაქმება და მიკრო , მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება.

კლიენტის გამოცდილების მართვა

საქართველოს ბანკმა ინვესტირება მოახდინა #1 გამოცდილების მართვის პლატფორმაში

ყოველი მომხმარებლის ჩართულობა	ყოველი თანამშრომლის ჩართულობა	ყველა გამოცდილების გაუმჯობესება
მოიცავს მოგზაურობას და არხებს ეფექტურად „ წრის ჩაკეტვა“ ყოველი კლიენტისთვის	თანამშრომლების წახალისება უკუკავშირზე მყისიერი რეაგირება მიეწოდოს თანამშრომლებს დროული/დეტალური მონაცემები	გამოცდილების სისტემატური გაუმჯობესება პრობლემის მიზეზების დაფიქსირება ან სისტემატურად დადებითი გამოცდილების შექმნა

ბიზნეს მოდელი და სტრატეგია

საქართველოს ბანკი არის საქართველოზე ფოკუსირებული საბანკო ბიზნესი, რომელიც უზრუნველყოფს მთავარი შემოსავლების და აქციონერის ღირებულების მაქსიმალურად ზრდის დაფიქსირებას. საქართველოს ბანკი არის ფინანსურად გონივრული, ინოვაციური და ნამდვილად საჯარო ფინანსური ინსტიტუტი, კორპორატიული მმართველობის სტანდარტებით და გამჭვირვალობით და ფინანსური და ადამიანური კაპიტალის მოზიდვის თვალსაზრისით ძალიან ძლიერი კონკურენტული უპირატესობით ადგილობრივ ბაზარზე .

თავისი კლიენტთან ძლიერი ურთიერთობებით, უწყვეტი ციფრული ინოვაციით და გადაწყვეტებზე დაფუძნებული საბანკო მიდგომებით, ჯგუფის მიზანია გაგრძელოს თავისი სტრატეგიის განხორციელება, რომელიც ეფუძნება სულ მცირე 20%-იან გამოყენებულ აქტივებზე მოგებას და მისი საკრედიტო პორტფელის დაახლოებით 15% -იან ზრდას საშუალო და გრძელ ვადაში.

სს საქართველოს ბანკი, მუდმივად მნიშვნელოვანი და წამყვანი უნივერსალური ბანკი, არის ჯგუფის მთავარი ორგანიზაცია. ჯგუფი სთავაზობს საქართველოს მოსახლეობას საცალო საბანკო მომსახურებას, კორპორტიულ და საინვესტიციო საბანკო მომსახურებებს (მათ შორის ქონების მართვას) საქართველოში, და საბანკო ოპერაციები ბელორუსში „ბელორისის ნაროდნი ბანკის“ საშუალებით.

მთავარი, საშუალო და გრძელვადიანი მიზნები

საკრედიტო პორტფელის ზრდა	ROAE (უკუგება საკუთარ კაპიტალზე)	დივიდენდის გადახდა
c.15%	20%+	25-40%

წამყვანი საბანკო ჯგუფი საქართველოში

- 20%+ ROAE ბოლო სამი წლის განმავლობაში
- c.35-36% ბაზრის წილი კრედიტებსა და დეპოზიტებზე
- 93%+ ციფრული არხების საშუალებით ტრანზაქციების წილი
- ძლიერი საცალო და კორპორატიული საბანკო ფრანშიზა
- გამჭვირვალობის და მმართველობის მაღალი სტანდარტები


ჩვენი სტრატეგიის განხორციელება ცხოვრებაში

დაპირებული სერიოზული შედეგების განხორციელების წარმატებული სამუშაო პრაქტიკა

მთავარი მიზნები

ROAE

20%+



საკრედიტო პორტფელის ზრდა


c.15%



გონივრული კაპიტალური მართვის წარმატებულ პრაქტიკა

- **კაპიტალის პოზიცია:** ჩვენი მიზანია შევინარჩუნოთ +200 საბაზისო პუნქტიანი ბუფერული ადგილი CET1 და 1 რიგის კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტი მინიმალური მარეგულირებელი მოთხოვნების საშუალებით, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში.
- **რეგულარული დივიდენდის გადახდის უზრუნველყოფა : რომლის მიზანია 25-40% დივიდენდის გადახდა საშუალო და გრძელვადიან პერიოდში**
- **GEL 653მლნ ლარი+** ფულადი დივიდენდი გადახდილია 2013-2019 წლებში. გასული შვიდი წლის განმავლობაში მიზნობრივი გადახდის კოეფიციენტის ფარგლებში.

რეგულარული დივიდენდები



2019 ROAE (კორექტირებული)[3] 27.8%

ჯგუფს აქვს 20%-ზე მაღალი არგუმენტირებული სამუშაო პრაქტიკა. 2019 წელს ჯგუფმა წარმოადგინა საოპერაციო შემოსავალი 1,072.2 მილიონი ლარი, დაახლოებით 8.1 % ზრდა წინა წელთან შედარებით, და კორექტირებული მოგება 527.1 მილიონი ლარის ოდენობით, დაახლოებით 27.0%-ით მეტი წინა წელთან შედარებით. ინდივიდუალური საკრედიტო პროდუქტების მაჩვენებელი კვლავ სტაბილურია. ჩვენი მზარდი ფოკუსი იპოთეკური კრედიტის სეგმენტზე და უფრო მცირე მარჟით კორპორატიულ და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოს კლიენტებზე, გამოიწვია ნეგატიური მიქს ეფექტი ყველა კრედიტზე და სუფთა საპროცენტო მარჟაზე, რომელიც შემცირდა 90 საბაზისო პუნქტით წინა წელთან შედარებით (2019). ჩვენი მზარდი საკრედიტო პორტფელი ჯერ კიდევ წარმატებულად გადაჯგუფებამ გამოიწვია სუფთა საპროცენტო შემოსავლის 7.1% ზრდა წინა წელთან შედარებით, ხოლო სუფთა საკომისიო შემოსავალი შეადგენს 17.6%-ით მეტს წინა წელთან შედარებით (2019).

პროდუქტის მიქსის გადაჯგუფებამ გაუმჯობესა ჩვენი აქტივის ხარისხის მეტრიკა (საკრედიტო რისკის კოეფიციენტი შემცირდა 90 საბაზისო პუნქტით) და შეამცირა რისკი-აქტივის და ჩვენი საკრედიტო ზრდის კაპიტალის ინტენსივობა. ამან შესაძლებლობა მოგვცა და იმედია ასეც გაგრძელდება, იმისთვის, რომ შევინარჩინოთ ჯგუფის შემოსავალი კაპიტალზე და მომგებიანობის პროფილი.

2019-2018 წლებში, ერთჯერად დანახარჯებზე დაკორექტირებული ხარჯების შეფარდება შემოსავალთან იყო 36.0%, რაც ძირითადად განაპირობა საინფორმაციო ტექნოლოგიებში, ციფრულ და მონაცემთა შესაძლებლობებში მიმდინარე ინვესტიციებმა და მარკეტინგისა და ფილიალების ქსელის განვითარების ხარჯმა. ეს ინვესტიციები გამოყენებული იქნა ფრანჩიზის განვითარებასა და ჯგუფის მომგებიანობის გაზრდისათვის. გარდა ამისა ჩვენ ველით, რომ გავაგრძელებთ ამ შესაძლებლობების მშენებლობაში ინვესტირებას და გამიზნულია რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს ჩვენი დანახარჯების კოეფიციენტის მნიშვნელობა მიზნობრივ 35% დონემდე.

---

[1] 2018 წლის ROAE დაკორექტირდა 45.4 მლნ ლარით გაყოფასთან დაკავშირებული ხარჯების გამო, 80მლნ ლარი არის გაყოფასთან დაკავშირებული კორპორატიული საშემოსავლო გადასახადიდან მოგება, 30.0 მლნ ლარი არის გადავადებული საგადასახადო ნაშთები ხელახალი შეფასების ერთჯერადი გადახდის ზემოქმედების შედეგად და 3.9 მლნ ლარი ყოფილი დირექტორის საბოლოო ანაზღაურების ხარჯები,

[2] 2019 წლის ROAE - დაკორექტირა 14.2 მლნ ლარით ყოფილი დირექტორის და აღმასრულებელი მენეჯმენტის საბოლოო ანაზღაურების ხარჯები,.

2019 საკრედიტო პორტფელის ზრდა 27.5%

ჩვენ მოვახდინეთ აშკარა პროგრესის დემონსტრირება , რომელიც ეხება მის ადაპტირებას ახალ საბანკო მარეგულირებლ გარემოსთან. უზრუნველყოფის გარეშე სამომხმარებლო კრედიტზე მნიშვნელოვანი მარეგულირებელი ცვილებების შედეგად მაღალ-რისკიანი უზრუნველყოფის გარეშე სამომხმარებლო კრედიტის პორტფელი მომწიფდა ჩვენი ნაშთის ფარგლებს გარეთ და შეიცვალა ნაკლებ რისკიანი , დიდი მოცულობის პორტფელით. ზრდა საკმაოდ მაღალი იყოს მთელს ბიზნესში, კერძოდ მცირე და საშუალო საწარმოებში და იპოთეკურ პორტფელში, რამაც გამოიწვია მთლიანი საკრედიტო პორტფელის 27.5%-იანი ზრდა 2019 წელს. კლიენტის საკრედიტო ზრდა საცალო და კორპორატიულ და საინვესტიციო ბიზნესის სეგმენტში იყო 18.5% და 48.1 % წინა წელთან შედარებით, შესაბამისად. მუდმივი ვალუტის საფუძველზე, საცალო და კორპორატიული და საინვესტიციო ბიზნესის საკრედიტო პორტფელი გაიზარდა შესაბამისად 15.1%-ით და 40.1 %-ით.


მომავალში ჩვენ მოველით , რომ კლიენტებზე კრედიტის გაცემა საშუალო და გრძელვადიან პერიოდში დაახლოებით 15%-იანი ტემპით გაიზრდება.

საცალო საბანკო მომსახურება


კლიენტზე ორიენტირებული და გადაწყვეტაზე დაფუძნებული მულტიბრენდული სტრატეგია

გასული ათწლეულის პერიოდში, საცალო საბანკო მომსახურება ჯგუფის განვითარების მთავარი ბერკეტი იყო და შედეგად ჯგუფმა მოიზიდა 2.5 მილიონზე მეტი კლიენტი, უზრუნველყო წინა წელთან შედარებით 18.5 % -იანი საცალო საკრედიტო პორტფელის ზრდა, და 2019 წელს საცალო საბანკო მომსახურების 18.5%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით, და გამოყენებულ აქტივებზე უკუგება საცალო ბანკინგზე 28.6%. ამასობაში ჩვენ მნიშვნელოვნად გავაუმჯობესეთ ჩვენი კლიენტების პოზიცირება ბევრ მთავარ სფეროში. 2019 წლის ნოემბრის მდგომარეობით გამოკითხვისა და მონაცემების მიხედვით საქართველოს ბანკი ითვლება ყველაზე საიმედო ფინანსურ ინსტიტუტად საქართველოს მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფში.

2.5-ზე მეტი მიმზიდველი საბანკო მომსახურების კლიენტი



ყველაზე მიმზიდველი ბანკი ახალგაზდებისთვის



Source: Bank of Georgia and National Statistics Office of Georgia

November 2019

სტრატეგიული მიზნები

ჩვენი საცალო საბანკო მომსახურება შედგება ოთხი სეგმენტისგან: ექსპრეს ბანკი ახალი საცალო კლიენტებისთვის; საქართველოს ბანკი მასობრივი საცალო ბრენდის ფლაგმანი; სოლო- მაღალშემოსავლიანი საცალო კლიენტებისთვის; და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების საბანკო მომსახურება. თითოეული ორიენტირებულია და მორგებულია მათი შესაბამისი კლიენტების საჭიროებებზე.

გასული რამდენიმე წლის განმავლობაში ბანკმა წარმატებული ტრანსფორმაცია განიცადა პროდუქტზე ფოკუსირებული მოდელიდან ის გადავიდა კლიენტზე ორიენტირებულ ბიზნეს მოდელზე, რამაც გამოიწვია უფრო ეფექტურ მორგებულ მომსახურებებზე გადასვლა საქართველოს ბანკის მულტი-ბრენდული სტრატეგიის საშუალებით. ჩვენ კარგად გვესმის ჩვენი კლიენტების მოთხოვნები, რაც გვეხმარება იმაში, რომ გავუწიოთ მათ პერსონალიზებული და რელევანტური მომსახურება. გარდა ამისა, ჩვენი მიზანია ვიყოთ ბანკი რომელიც ფოკუსირებულია ჩვენი კლიენტების წარმატებაზე. ეს გულისხმობს იმას რომ გვქონდეს ყოვლისმომცველი ინფორმაცია მათი ფინანსური და არაფინანსური მოთხოვნების მოლოდინებისა და მომავალი გეგმების შესახებ. ეს ინფორმაცია აუცილებელია ჩვენთვის რათა მხოლოდ ფინანსური მომსახურებების ნაცვლად შეთავაზოთ მათ ფართო სპექტრის გადაწყვეტილებების პაკეტები

ფოკუსირება პროდუქტზე

კლიენტების ფინანსური და არაფინანსური საჭიროებებისა და მოლოდინების ნათლად გააზრება

ფოკუსირება კლიენტის ფინანსურ მოთხოვნებზე

ისეთ გადაწყვეტების მიღება, რომელიც მორგებულია მათ ცხოვრების სტილზე და გააუმჯობესებს მათი ცხოვრების

ფოკუსირება კლიენტის წარმატებაზე

ყველაზე მოხერხებული და უკეთესი არხების შეთავაზება

ძირითადი პრიორიტეტები

იმისათვის, რომ გავამყაროთ ჩვენი კლიენტზე ორიენტირებული მიდგომა, დავნერგეთ გადაწყვეტაზე დაფუძნებული შეთავაზება ციფრული ეკოსისტემის შექმნით, რომლითაც ჩვენს კლიენტებს შეუძლიათ დაიკმაყოფილონ სხვადასხვა მოთხოვნები ერთი კომპლექსური მომსახურების საშუალებით. ჩვენ მნიშვნელოვანი წარმატებები გვაქვს ძალიან პოპულარული ციფრული პლატფორმის შექმნის მიმართულებით როგორიცაა მობილური და ინტერნეტ ბანკინგის აპლიკაციები (mBank and Business iBank) ჩვენი საცალო და ბიზნეს კლიენტებისთვის. ჩვენი გადახდის ეკოსისტემა და მოხერხებული არხები არის საქართველოს ბანკთან გამართული და სასიამოვნო ურთიერთობის მთავარი ქვაკუთხედი. ლოიალობის პროგრამები შეიქმნა იმისთვის, რომ შევთავაზოთ სხვადასხვა ბენეფიტები ჩვენ კლიენტებს. ჩვენ გვყავს მოწინავე ანალიტიკოსები, რათა შევისწავლოთ მათი მოთხოვნები და შევინარჩუნოთ ჩვენი მომსახურებების რელევანტურობა. უფრ ო მეტიც, ჩვენ შევქმენით „ მედალია“ - რათა ვიყოთ უფრო ინფორმირებული ჩვენი კლიენტების ჩვენთან ურთიერთობის შესახებ. ეს ინიციატივები წამოადგენს ჩვენს კლიენტებზე ორიენტირებული ბიზნეს მოდელის განუყოფელ ნაწილს, რომელიც ამჟამად გაძლიერებულია გადაწყვეტილებებზე-დაფუძნებული ბანკინგის მიდგომებით, და ჩვენი ყურადღება მიმართულია იქითკენ, რომ უფრო განვავითაროთ კლიენტთან ურთიერთობა.

მოხერხებული არხები | **გადახდის ეკოსისტემა** | ციფრული ეკოსისტემა | კლიენტის გამოცდილება | ღრმა ანალიზი

მოხერხებული არხები

საქართველოს ბანკი-2019 შეუდარებელი ახალი და მასობრივი საცალო ბანკინგის ფრანშიზა

მომსახურების მოდელი	პროდუქტზე ორიენტირებული ჯვარედინი გაყიდვები	360° ფინანსური დაგეგმვა
ფილიალების რაოდენობა	162	93
კლიენტების რაოდენობა	543K	1,727K
გაყიდული პროდუქტების რაოდენობა	805K	1,979K
სულ ტრანზაქციების რაოდენობა	46MLN	23MLN
თვითმომსახურების ტრანზაქციების წილი	89%	67%

ჩვენი ექსპრეს ბანკის ბრენდი ორიენტირებულია პერსპექტიულ რენტაბელურ მოსახლეობაზე ექსპრეს პლატფორმა გულისხმობს იმას, რომ ამჟამად ბანკის გარეთ მყოფი მოსახლეობა ჩართოს საბანკო მომსახურებაში, მისი მთავარი ფოკუსირება ხდება იმაზე, რომ შესაძლებლობა მისცეს კლიენტს სწრაფად და მარტივად განახორციელოს ტრანზაქცია. ჩვენ ვყიდით მხოლოდ ლიმიტირებულ საბანკო პროდუქტებს ჩვენს ექსპრეს ბანკინგის კლიენტებზე.

ჩვენ დავიწყეთ ჩვენი ექსპრესს ბანკინგის სტრატეგიის განხორციელება 2012 წელს მცირე ფორმატის ექსპრეს ფილიალების შექმნით, რომელიც კლიენტებს სთავაზობდა ძირითადად საბანკო მომსახურებებს ბანკომატების და ექსპრეს გადახდის ტერმინალების საშუალებით. 2019 წლის ბოლოს, ჩვენ გვქონდა 162 ექსპრეს ფილიალი, რომელმაც მოიცვა 61% საცალო ფილიალი და 3,217 ექსპრეს გადახდის ტერმინალი, რომელიც ემსახურებოდა ჩვენს კლიენტებს.

ჩვენ ვართ ლიდერები საქართველოში გადახდის სისტემის ბაზარზე. 2019 წელს ტრანზაქციების მოცულობა, რომელიც განხორციელდა ჩვენი ექსპრეს გადახდის ტერმინალებით წინა წელთან შედარებით გაიზარდა 22.3%-ით 8.2. მილიარდ ლარამდე, ხოლო ტრანზაქციების რაოდენობა გაიზარდა წინა წელთან შედარებით 0.1%-ით 108 მილიონამდე. ამ უკანასკნელზე ძირითადად გავლენა მოახდინა 2019 წელს კლიენტების წარმატებულმა მიგრაციამ მობილურ და ინტერნეტ ბანკინგის მიმართულებით. ამჟამად მთლიანად არსებული 162 ექსპრეს ფილიალიდან 102 მდებარეობს თბილისში.

ექსპრესი არის ერთერთი მთავარი ბერკეტი საცალო ბანკინგის ფრანჩიზიდან ჩვენი საკომისიოდან შემოსავლების სფეროში და ძლიერი არხი, რომელიც იზიდავს ბანკში იმ მოსახლეობას, რომელიც ადრე არ იყენებდა საბანკო მომსახურებას, რითაც პრაქტიკულად ეს მომხმარებლები ხდებიან ჩვენი მასობრივი საცალო მომხმარებლები.

საქართველოს ბანკის ბრენდის ქვეშ ჩვენ ვემსახურებით მასობრივ საცალო კლიენტს - საცალო საბანკო ფრანჩიზის ყველაზე დიდი სეგმენტს – ვისთვისაც ჩვენ წარმატებით მოვახდინეთ საოპერაციო მოდელის ოპტიმიზაცია და შევქმენით საოპერაციო მოდელი ჩვენი მასობრივი საცალო ფილიალებისთვის კლიენტზე ორიენტრებული მიდგომის ფარგლებში.

ჩვენ გვინდა გვქონდეს ნათელი წარმოდგენა ჩვენი კლიენტების ფინანსური და არაფინანსური საჭიროებების შესახებ. ჩვენ პრაქტიკულად ვკონტაქტობთ მათთან და ვთავაზობთ და ვურჩევთ მათ ფინანსურ პროდუქტებს და გადაწყვეტებს, რომლებიც საუკეთესოდ ერგება მათ ცხოვრების სტილსა და ინდივიდუალურ მოთხოვნებს. ჩვენი მულტიარხის პლატფორმა შეიქმნა იმისთვის, რომ უზრუნველყოს კომფორტი და მოემსახუროს ინდივიდუალურ ფიზიკურ პირებს.

საცალო ბანკინგი -გადახდის ეკოსისტემა


ჩვენ გვაქვს ყველაზე დიდი სადისტრიბუციო არხი საქართველოში. ჩვენი გადახდის ეკოსისტემა დამოკიდებულია POS და თვითმომსახურების ტერმინალების ფიზიკურად არსებობაზე ექსკლუზიურად ოთხი საერთაშორისო გადახდის სისტემის (American Express, Diners Club, Discover and JCB) უზრუნველყოფისთვის, Visa და Mastercard-თან ერთად და არის გადახდის მომსახურების ექსკლუზიური პროვაიდერი საზოგადოებრივ ტრანსპორტირებაში. ინოვაცია მნიშვნელოვანია გადახდის ეკოსისტემაში და ჩვენ წარმოვადგენთ პრეზენტაციას ჩვენ ციფრულ არხებში : mBank and iBank. იხილეთ გვერდები 42 -დან 43 - მდე ციფრული გამოცდილების შესახებ ინფორმაციისთვის.

იმის გათვალისწინებით, რომ ორ მილიონ ადამიანს რეგულარულად აქვს კონტაქტი ბანკის არხებთან, გადახდის ბიზნესში სამი ფუნდამენტური საფრთხიდან ერთერთი არის კლიენტის კმაყოფილება. ჩვენი მეორე საფრთხე, ანალიტიკური მონაცემები, გვეხმარება ჩვენ გადავამუშაოთ 700,000 -ზე მეტი სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია კლიენტის შესახებ დღეში და გავაკეთოთ კლიენტზე მორგებული შეთავაზებები. რენტაბელობის თვალსაზრისით, მესამე კომპონენტმა, ჩვენი გადახდის ბიზნესმა დააგენერირა სუფთა გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლის 25%.

კლიენტი	**ანალიტიკური მონაცემები**	**შემოსავალი**
კმაყოფილება	წყარო	კონტრიბუტორი
ორ მილიონზე მეტ ადამიანს აქვს კონტაქტი ბანკთან		
700,000-ზე მეტ ი სხვადასხვა ინფორმაცია კლიენტის შესახებ დღეში		
მთლიანი საკომისიო შემოსავლიდან 25%		

2017 წელს ჩვენ მოვიგეთ თბილისის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერი, რომელიც ეხებოდა თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადახდის სისტემის მოდერნიზაციას. შედეგად, ბანკი კვლავაც რჩება ქალაქის საზოგადოებრივი სატრანსპორტო ქსელის გადახდის მომსახურების ერთადერთ პროვაიდერად, და ამუშავებს ექსპრეს ცენტრებს თბილისის მეტროს სადგურებში მომდევნო ათი წლის განმავლობაში. როგორც სატენდერო მანდატის და ბანკის საკუთარი დიგიტალიზაციის სტრატეგიის ნაწილი, საქართველოს ბანკი ნერგავს თანამედროვე ციფრულ გადახდის სისტემას საზოგადოებრივ სატრანსპორტო ქსელში თბილისში, მათ შორის გადახდა შეიძლება Visa და Mastercard ბარათების გამოყენებით, და ქმნის ციფრულ პლატფორმას ბილეთების რეზერვირებისთვის და შესყიდვისთვის მობილური აპლიკაციის საშუალებით.

ჩვენი გადახდის ეკოსისტემის მასშტაბი



კამპანიის მართვა

ჩვენ კვლავაც გვაქვს ზრდა გაყიდვების მოცულობაში და კლიენტზე ორიენტირებულ ცენტრებში გაყიდული პროდუქტების რაოდენობაში, რის შედეგადაც საცალო საკრედიტო პორტფელში წინა წელთან შედარებით კონტრიბუცია იყო 18.5%. იმისთვის, რომ გაიხსნას ყველა არსებული კლიენტის სრული პოტენციალი და გაიზარდოს პროდუქტის კლიენტის კოეფიციენტი, ჩვენ ავამოქმედეთ ლოიალობის პროგრამა სახელწოდებით Plus+. ეს პროგრამა არის მასობრივი საცალო კლიენტზე ორიენტირებული მიდგომა, და სთავაზობს კლიენტებს სხვადასხვა სტატუსის დონეს და ბონუს ქულებს. ისინი ახდენენ ქულების აკუმულირებას ბანკთან თავიანთი ურთიერთობის საფუძველზე და შეუძლიათ გამოისყიდონ ქულები პარტნიორი კომპანიების პროდუქტებით და/ან მომსახურებებით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით Plus+ ბარათების რაოდენობა წინა წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა და ბანკს ჰქონდა 858, 707 აქტიური Plus+ ვადაგასული ბარათები , მაშინ როცა წევრების მთლიანი რაოდენობა გაიზარდა 1.9 მილიონამდე.

პროგრამის წევრები
სულ მიზნობრივი კლიენტები

გაზრდილი განაკვეთი
გაანგარიშებულ 10%-თან შედარებით

გაყიდვების ზრდა
მოვაჭრის კამპანიის დროს

სპეციალური კამპანიები

ტრანზაქციები ქულებით თვეში
+118% ზრდა წინა წელთან შედარებით



კლიენტების გამოცდილება

იმისთვის, რომ მუდმივად გაუმჯობესდეს ჩვენი მიღწევები რომელიც ეხება კლიენტზე მორგებული საბანკო მომსახურების გამოცდილებას. ჩვენ განვახორციელეთ ინვესტირება კლიენტის გამოცდილების მართვის პლატფორმაში -„მედალია“. ჩვენ ვაპირებთ გამოვიყენოთ ყველა მონაწილე მხარის მიერ მიღებული გამოცდილება და გავხადოთ კლიენტის ჩვენს ბანკთან ურთიერთობა, ისეთი. რომ ის გახდეს უფრო შესრულებადი. დამატებითი ინფორმაცია ამ პლატფორმის შესახებ იხილეთ გვერდზე 44.

ღრმა ანალიზი

ჯგუფის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მივიღოთ კლიენტის განცხადებები და ვიმოქმედოთ მათი კონკრეტული და უშუალო საჭიროებების მიხედვით, ამისთვის საჭიროა ღრმა ანალიტიკის გამოყენება. იმ დროში, როცა კლიენტის ფინანსური შესაძლებლობების შეფასება და ალბათობის მოდელის შექმნა ხდება მანქანური ალგორითმების გამოყენებით, რაც ჩვეულებრივ საქმიანობად ითვლება, ჩვენ ვაპირებთ რამდენიმე ნაბიჯი გადავდგათ კლიენტების გადინების კონტროლის მიმართულებით, და კიდევ ვაპირებთ ვიმოქმედოთ და გადავიდეთ რეალურ-დროში მარკეტინგზე. იმისთვის, რომ ვიწინასწარმეტყველოთ გადინება, ჩვენ ვიყენებთ ღირებულებების, ჩართულობის დონის და პროდუქტის შენახვის მიხედვით კლიენტის სეგმენტაციის მოდელს. რამდენიმე დამატებითი საიდენტიფიკაციო მექანიზმის და მოდელის დახმარებით, რომელიც აფასებენ კლიენტის გადინების ალბათობას, ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ პროდუქტები შეკავების უფლებით და გამოვიყენოთ მიწოდების არხები კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფებისთვის. ყოველთვიური მოგება-ზარალის ანგარიში მიმართულია აქტივირებული და დეაქტივირებული კლიენტებისკენ და ნეგატიურიდან პოზიტიურზე გადასვლა მოხდა 2019 წლის მარტიდან 2019 წლის ბოლომდე. ამ ინდიკატორმა გადააჭარბა თანაბრად განაწილებულ სტანდარტს 2019 წლის ივნისში, ამის შედეგად კუმულაციური სუფთა მოგებამ შეადგინა 6.7 მილიონი 2019 წლის მეორე ნახევარში. 2019 წლის სუფთა ზარალი იქნებოდა 16.7 მილიონი ლარი უკუმიმართულებით ტრენდის შებრუნების არარსებობის შემთხვევაში. ფაქტობრივი წლიური წმინდა მოგება იყო 2.3 მილიონი, რამაც გამოიწვია 19 მილიონი ლარის ხელსაყრელი მოგება.

სოლო - პრემიუმ ბანკინგის ფუნდამენტურად განსხვავებული მიდგომა

SOLO ბრენდი გამოიყენება მასობრივი შეძლებული სეგმენტისთვის. ჩვენი ახალი SOLO მოდელი დაინერგა 2015 წელს. ის ფუნდამენტურად განსხვავებულად უდგება პრემიუ ბანკინგს. როგორც ახალი სტრატეგიის ნაწილი, ბანკის SOLO კლიენტებს ეძლევათ ექსკლუზიურ პროდუქტებზე წვდომის უფლება და კონსიერჟის მომსახურება ჩვენ სპეციალურად დაპროექტებულ სოლო დასასვენებელ ოთახში. ისინი ასევე იღებენ ახალ ცხოვრების სტილის შესაძლებლობებს, როგორიცაა ექსკლუზიური ღონისძიება და შერჩეული ცხოვრების სტილისთვის დამახასიათებელი პროდუქტები. იზომება რა კრედიტისა და დეპოზიტის პორტფელით, ჩვენი SOLO სეგმენტი ტექნიკურად არის მესამე ყველაზე დიდი ბანკი საქართველოში.

SOLO | პრემიუმ საცალო ბანკინგის ლიდერი

გაცემული კრედიტების მოცულობა

GEL 2.2 BLN

+ 23.3% y-o-y

დეპოზიტები

GEL 2.2 BLN

+ 31.2% y-o-y

ბაზრის პოზიცია

მე-3 ბანკი საქართველოში პორტფელის მიხედვით

კლიენტების რაოდენობა

55K

უკუგება საკუთარ კაპიტალზე (ROAE)[9]

22.2%

SOLO-ს მომსახურების მიღებისთვის კლიენტს უნდა ჰქონდეს 3,000 ლარი შემოსავალი თვეში. SOLO-ს მოსასვენებელ ოთახებში კლიენტებს სტუმრობენ პერსონალური ბანკირები და გარდა საბანკო პროდუქტებისა სთავაზობენ მათ პრემიალურ საქონელს და ცხოვრების სხვა სტილისთვის შესაფერის შეთავაზებებს თვითღირებულებით, მათ შორის ტურისტულ ჟურნალებს და

[9] 2019 წელს მოგება და გამოყენებულ აქტივებზე მოგება დაკორექტირდა თანამშრომლის ერთჯერადი გადახდის დანახარჯებით (სასმოსვალო გადასახადის გარეშე) რომელიც უკავშირდება ყოფილი დირექტორის და აღმასრულებელი მენეჯმენტის საბოლოო ანაზღაურებას.

გასართობებს. SOLO ორგანიზებას უკეთებს კონცერტებს მსოფლიოს ცნობილი არტისტების მონაწილეობით. ასეთი მოვლენები შემოიფარგლება SOLO-კლიენტებით და ქმნიან დამატებით ინტერესს SOLO ფრანშიზის მიმართ.

მოგება ერთ SOLO კლიენტზე აღწევს 1,640 ლარს 2019 წელს დაახლოებით 21^9 ჯერ მეტს ვიდრე ჩვენ გვქონდა საქართველოს ბანკის ფარგლებში მასობრივი საცალო სეგმენტში. SOLO-ს მთლიანი საკრედიტო პორტფელი და დეპოზიტის პორტფელი ასახავს 23,3% და 31.2%-იან ზრდას წინა წელთან შედარებით, ხოლო მოგება 2019 წელს გაიზარდა 42,5%-ით წინა წელთან შედარებით.

ჩვენ წარმატებით მივაღწიეთ ჩვენს მიზანს - 40,000 SOLO კლიენტი 2018 წლის ბოლოს, 2015 წელს არსებული 8,282 კლიენტის ნაცვლად. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით SOLO ემსახურება 54,542 კლიენტს. 2019 წელს შეძენილი ახალი კლიენტების წილი წლის ბოლოს შეადგენდა მთლიანი SOLO კლიენტების 27%-ს, რაც ზუსტად ასახავს ფრანშიზის მიმდინარე პოპულარობას ჩვენს ადგილობრივ ბაზარზე.

SOLO-ს კლუბი, SOLO-ს წევრების ჯგუფი, შეიქმნა 2017 წელს, ის სთავაზობს თავის წევრებს ექსკლუზიურ წვდომას SOLO პროდუქტებზე და შეთავაზებებს სხვა SOLO კლიენტებისთვის უფრო მაღალ ფასად. ამაში შედის American Express Platinum ბარათი, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ SOLO-ს კლუბის წევრებისთვის, 2019 წლიდან SOLO-ს კლუბის წევრებს შეუძლიათ ასევე ისარგებლონ პერსონალური დახმარების მომსახურებით ცხოვრების სტილის შეთავაზებისთვის, 2019 წლის 31 დეკემბრისთვის SOLO კლუბს ჰყავდა 5,482 წევრი, დაახლოებით ნაზრდი 43,3%.

კლიენტის საჭიროებებზე წინასწარ ფიქრი

ბანკინგი

კლიენტზე ორიენტირებული მიდგომის მაქსიმალიზაცია

ცხოვრების სტილი

TOP affluent
საკონსულტაციო მომსახურებები ბანკინგში და ცხოვრების სტილის გადაწყვეტები

Mass affluent
პერსონალური ბანკინგი და ცხოვრების სტილის შეთავაზება

განათლება

მოგზაურობა

გართობა

ჯანმრთელობა

იმისთვის, რომ დამატებით გაძლიერდეს ჩვენ კლიენტზე ორიენტირებული მოდელი SOLO კლიენტებისთვის, ჩვენ შევქმენით ორი შიდა ქვესეგმენტი: top affluent და mass affluent კლიენტები. თითოეულისთვის ხდება მათზე მორგებული საბანკო მომსახურებების შეთავაზება და ცხოვრების სტილის გადაწყვეტები, რომელიც ყველაზე კარგად შეესაბამება მათ საჭიროებებსა და ცხოვრების სტილს.

SOLO -ს ექსკლუზიური ხასიათის გამო, ჩვენ ძირითადად განვსაზღვრავთ ზრდას არსებული კლიენტების საშუალებით კლიენტის ლოიალობის და ჩართულობის გაზრდით, და ფოკუსირება მოახდინა ერთ კლიენტზე მოგების მაქსიმალურად გაზრდაზე და პროდუქტის ზომაზე ერთ კლიენტზე.

საშუალო ვადიანი მთავარი მიზანი

კლიენტის ბრწყინვალე მომსახურება

უფრო მაღალი დიგიტალიზაცია

მორგებული თანხლები შეთავაზება

SOLO არის მისი ცხოვრების სტილის აქტიურად დივერსიფიცირებული შეთავაზებები, რომლებიც ეხება მოგზაურობას, გართობას, განათლებას და კეთილდღეობას, რათა ფრანშიზა გახდეს უფრო ცნობადი და სასიამოვნო. 2019 წელს ჩვენ დავნერგეთ ახალი ცხოვრების სტილთან დაკავშირებული შეთავაზებები მოგზაურობისა და ჯანდაცვის სფეროში. ჩვენი ტურების პაკეტი სხვადასხვა ქვეყანაში ძალიან კარგად იქნა მიღებული SOLO კლიენტების მიერ, ჯანდაცვაში ჩვენ შევქმენით პოპულარული სადაზღვევო პრდუქტები სასიკვდილო დაავადებების წინააღმდეგ, რითაც ჩვენ ვთავაზობთ წინასწარ განსაზღვრული ხარჯების პირდაპირ ანაზღაურებას.

მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების კრედიტირება

საქართველოს ბანკი ემსახურება თავის მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების კლიენტებს და სთავაზობს მათ ფინანსური მომსახურებების ფართო სპექტრს, რომელიც კომბინირებულია ახალი თანამშრომლების ადაპტირებასთან, დამხმარე და საკონსულტაციო პროგრამებთან, და უამრავ სხვადასხვა ციფრული არხების ზრდასთან, რომელიც ეხმარება მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებს მიაღწიონ უფრო მეტ პოტენციალს.

ჩვენ ფოკუსირებული ვართ ახალი ფინანსური ინსტრუმენტების შექმნაზე მცირე და საშუალო საწარმოებისთვის და მათი ბიზნესისთვის ახალი გადაწყვეტების შეთავაზებაზე. რამაც მიგვიყვანა იქამდე, რომ შეგვემუშავებინა ინიციატივები, რომლის მიზანია დაეხმარონ ჩვენს მცირე და საშუალო საწარმოების კლიენტებს მართონ მათი ბიზნეს პროცესები და საჭიროებები უფრო ეფექტურად.

ჩვენ შევიძინეთ და განვავითარეთ ფაქტორინგის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც იქნება პირველი და ერთადერთი ციფრული ფაქტორინგის გადაწყვეტა საქართველოში, როცა ჩვენ დავიწყებთ 2020 წელს.
უფრო მეტიც, ჩვენ ვართ მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების პროგრამის ტესტირების პროცესში, რომელთა მიზანია ბიზნესი და ფინანსური პროცესები არ იყოს ძვირი და იყოს უფრო ეფექტური მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. 2019 წელს ჩვენ დავნერგეთ ინოვაციური მოწყობილობა Smart POS. ის მოიცავს ტრადიციულ POS და ნაღდი ფულის ტერმინალებს, რაც საშუალებას მისცემს ჩვენს კლიენტებს დაზოგონ ხარჯები და მიიღონ საკრედიტო ლიმიტები, როგორც ფულად, ასევე ბარათით ტრანზაქციის საფუძველზე.

გარდა ამისა, ვართ რა „წადი ბანკში ფინანსური პროდუქტებისთვის“ პრინციპის დამცველი, ჩვენ გვინდა მუდმივად შევთავაზოთ ყველაზე ეფექტური და მიზანშეწონილი საბანკო გამოცდილება ჩვენი მცირე და საშუალო საწარმოების კლიენტებს. ახალი თანამშრომლების ადაპტირების პროცესი საქართველოს ბანკში მოითხოვს მხოლოდ ერთ ვიზიტს და ამისთვის სჭირდება ერთ საათზე ნაკლები და ამ დროში, მცირე და საშუალო საწარმოებს შეუძლიათ დაარეგისტრირონ თავიანთი ბიზნესები, მიიღონ საგადასახადო საინდენტიფიკაციო ნომერი და ჩვენი მომსახურებების სრული პაკეტი, მათ შორის ანგარიში, ბიზნეს ბარათი, iBank და POS და ნაღდი ფულის ტერმინალები. 2020 წელს ჩვენ დავიწყეთ ციფრული End-2-End პროცესი იურიდიული საწარმოებისთვის, რომლებიც შემდგომში გაამარტივებს ახალი თანამშრომლების ადაპტირების პროცესს.

ჩვენ წარმატებულად ვიყენებთ ღრმა ანალიზის ინსტრუმენტებს და ტექნოლოგიას, რომელიც აუცილებელია მიკრო ბიზნესისთვის ყველაზე სწრაფი კრედიტების მისაცემად, ჩვენ კონცენტრირებული ვართ საკრედიტო გადაწყვეტილების მიღებაზე და დავნერგეთ კრედიტუნარიანობის რეიტინგი, რისკზე დაფუძნებული ფასები და კრედიტირების ტექნოლოგიის ბარათები. ეს საშუალებას გვაძლევს გავავრცელოთ ჩვენი მომსახურებები სოფლად მცხოვრებ კლიენტებზეც.

ბაზრის წილი[10]

31.6% MSME

37.0% MICRO

26.8% SME

მნიშვნელოვანი ზღვრული პოტენციალი

გაცემული კრედიტების თანხა

GEL 2.7 BLN

+23.9% y-o-y

დეპოზიტები

GEL 808 MLN

+21.6% y-o-y

უკუგება საკუთარ კაპიტალზეROAE[11]

26.4%

მიკრო ბიზნესისთვის ახალი თანამშრომლობის ადაპტაცია, კლიენტთან პირველი შეხვედრიდან და კრედიტის ანაზღაურებით დამთავრებული, გრძელდება 30 წუთიდან ერთ საათამდე.

ჩვენი მიზანია წარმატებულად გავაგრძელოთ ჩვენი კრედიტირების ტრანსფორმაცია. ამიტომ ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ შემდგომ გაუმჯობესებაზე საიმისოდ, რომ გვქონდეს საბოლოო მიღწევების კრედიტირების პროცესის ბოლოს.
ჩვენ დახმარებას ვუწევთ ჩვენი მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების კლიენტებს ახალი თანამშრომლების ადაპტაციის პროცესში ჩვენი საუკეთესო დახმარებისთვის საჭირო ინიციატივების საშუალებით, რომელეთა შორისაა: businesshub.ge, რომელიც შეიცავს საკონსულტაციო კონტენტს ბიზნესისთვის: #icreate, სადაც ჩვენ კლიენტს შეუძლია აჩვენოს თავისი წარმატების მაგალითები; და ქალი ბიზნესში-პროგრამა რომელიც ფინანსურ პროდუქტებთან ერთად, სთავაზობს ბიზნესმენ ქალებს საკონსულტაციო მომსახურებებს.

ჩვენ მიგვაჩნია რომ მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების კლიენტების მრავალი არხის საშუალებით მოცვა ჩვენი სიძლიერეა. ჩვენ საკმაოდ კარგად ვართ წარმოდგენილი საქართველოში ჩვენი ფილიალური ქსელის, 267 საცალო ფილიალის, 9333 ბანკომატის და 3,217 თვითმომსახურების ტერმინალების საშუალებით, და გაყიდვების კომპეტენციის მქონე ქოლ ცენტრით . უფრო მეტიც, ჩვენ ვქმნით ციფრულ დამატებითი ღირებულების პროდუქტებს ჩვენი კლიენტების დახმარებითა და მონაწილეობით

2019 წელს, ბანკმა შესთავაზა თავის ბიზნეს კლიენტებს სრულად განახლებული ბიზნე ინტერნეტ ბანკი (Business iBank). ის საშუალებას აძლევს მათ გამოიყენონ ერთი მანდატი და იმოქმედონ და მართონ მრავალი ბიზნესი და პერსონალური ანგარიშები.

გარდა ამის ჩვენი ფოკუსირება კლიენტზე ორიენტირებულ მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების სექტორზე იქნება უფრო ღრმა. ჩვენ ვგეგმავთ შევქმნათ კლიენტის სეგმენტაციის სქემა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს დავარეგულიროთ ჩვენი გაყიდვების მოდელი შესაბამისად და მოვემსახუროთ ჩვენს კლიენტებს მათი მახასიათებლებისა და საჭიროებების მიხედვით.

2020 წელს ჩვენ გავხსენით საქართველოს ბანკის ბიზნეს ფილიალი, სადაც საბანკო მომსახურებების კონსულტაციის საკითხებში კარგად მომზადებული ბანკირები შესთავაზებენ ერთი ფანჯრის პრინციპით საბანკო მომსახურებას და საკონსუტაციო მომსახურებას ჩვენს მთავარ მცირე და საშუალო საწარმოების კლიენტებს.
ჩვენ მზად ვართ დავეხმაროთ მათ წარმატებული საწარმოს შექმნაში, ამიტომაც ვგეგმავთ ასევე შევიტანოთ საგანმანათლებლო და საკონსუტაციო კომპონენტი ჩვენს მომსახურებებში. ეს ბიზნეს ფილიალი შეიქმნება მსგავსი კონცეფციის გარშემო როგორც წარმატებული ბიზნესის მქონეთა სეგმენტი საცალო ბანკინგის სფეროში -SOLO – და ფოკუსირებული იქნება ჩვენი კლიენტებისთვის გამორჩეული საბანკო მომსახურებების გაწევაზე როგორც ინოვაციური პროდუქტების, ასევე ბიზნესზე ორიენტირებული და ბანკირებისგან საკონსულტაციო მომსახურებების მიღების თვალსაზრისით. ჩვენი მიზანია

[10] წყარო: შიდა მეფასება ეფუძნება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების კონსოლიდირებული მონაცემებს. წლიური ანგარიშები და მონაცემთა გაცვლა რამდენიმე ქართულ ბანკთან.
[11] 2019 წლის გამოყენებულ აქტივებზე მოგება დაკორექტირდა თანამშრომლის ერთჯერადი გადახდის დანახარჯებით (საშემოსავლო გადასახადის გარეშე) რომელიც უკავშირდება ყოფილი დირექტორის და აღმასრულებელი მენეჯმენტის საბოლოო ანაზღაურებას.

გავზარდოთ ჯვარედინი გაყიდვების შესაძებლობები SOLO და მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტებს შორის, და უკვე გვაქვს ამისთვის განსაზღვრული განყოფილება, რომელიც ჩაერთვება არსებულ პოტენციალში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ბაზარზე.

2019 წლის ბოლოსთვის, ჩვენ გვყავდა 220, 603 მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების კლიენტები, (დაახლოებით 195,230 2018 წელს) და 2,696 მილიონი ლარის საკრედიტო პორტფელი 2019 წელს (დაახლოებით 2,176 მილიონი 2018 წელს.

მიზნები

საქართველოს ბანკი – მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის საჭირო სპეციალური საბანკო მომსახურებისთვის შესაფერისი ბანკი , მაღალი კლასია საკონსუტაციო მომსახურებებით და მოწინავე ფინანსური პროდუქტების საკითხში ექსპერტის დონეზე ინფორმირებული ბანკი

ძლიერი მხარეები

უნივერსალური ახალი პერსონალის ადაპტირების საკითხში	ყველაზე ტექნოლოგიური მოწინავე მიკრო კრედიტების გამცემი საქართველოში	სერვისული დახმარება	ყველაზე დიდი მულტიარხული დაფარვა ბაზარზე

კონკრეტული მაგალითების ანალიზი: ქართული მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების დახმარება

#12 Boutique Hotel გაიხსნა 2011 წელს ძველი თბილისის რაიონში, ეს თანამედროვე გარეგნობის მქონე სასწუმრო მდებარეობს ცენტრში და აქვს სოფლის სახლისთვის დამახასიათებელი მყუდრო ატმოსფერო. დროთა განმავლობაში, სასტუმრო პოპულარული გახდა ტურისტებს შორის, ხოლო მისმა მფლობელებმა შეიძინეს სასტუმროს მართვის მდიდარი გამოცდილება. მათ შემდეგში შეიძინეს სხვა კარგი მდებარეობის მქონე სასტუმრო და ღვინის ბარი ძველი თბილისის ერთერთ ყველაზე პუპულარულ ადგილას.
რადგან მათი გამოცდილება ტურიზმის სფრში გაიზარდა, მფლობელებმა დაიწყეს ინვესტირება უფრო დიდი მასშტაბის პროექტში. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მათ დაიწყეს მუშაობა საქართველოს ბანკთან. ჩვენ დავაფინანსეთ მათი მესამე სასტუმროს – g.Vino City Wine Hotel- მშენებლობა, რომელიც მდებარეობს თბილისის მეორე ცენტრალურ უბანში.

საქართველოს ბანკი ძალიან დიდ დახმარებას უწევს ტურიზმის სექტორში არსებულ ინიციატივებს და თავის წვილი შეაქვს ამ საქმეში, ისევე როგორც ჩვენ კლიენტებს.

DCFTA -ს ფარგლებში ჩვენ დავაფინანსეთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან მოზიდული სახსრებიდან საწარმო. ჩვენს მიერ გაცემულმა კრედიტმა სარგებელი მოუტანა მათ სპეციალური 15%-იანი კრედიტის ქეშბექით. ამან საშუალება მისცა მათ მოეხდინათ ამ თანხის რეინვესტირება ბიზნესში. ეს არის თანამშრომლობის ტიპი, რომელსაც ჩვენ სიხარულით ვაკეთებთ და ვხედავათ როგორ აღწევს ცვენი კლიენტი წარმატებას თავის საქმიანობაში.

საქართველოს ბანკში ჩვენ ვთავაზობთ მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების კლიენტებს უფრო მეტს ვიდრე დაფინანსება. ჩვენ ვეხმარებით მათ მიიღონ გამოცდილება თავიანთ ბიზნესში, და დაუკავშრდნენ სხვა საკითხის მცოდნე ადამიანებს და პოტენციურ პარტნიორებს. საქართველოს ბანკი არის EBRD -ის პარტნიორი ბევრი წლის განმავლობაში. ერთად ჩვენ შევთავაზეთ ტექნიკური დახმარება ბანკის უამრავ კლიენტს, ერთერთია „ქალები ბიზნესში". ამ პროგრამის ფარგლებში, ჩვენ ვეხმარებით ქალ მეწარმეებს ფინანსურ და არაფინანსურ საკითხებში. ჩვენ დავაფინანსეთ დაახლოებით 3,000 პროექტი 2016 წლიდან , გაცემული კრედიტების მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 57 მილიონი ლარი.

2019 წელს, ჩვენ მოვაწყვეთ გამოცდილების გაზიარების ღონისძიება ბიზნესმენი ქალებისთვის, სადაც ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა ჰანა ლოიკანენმა გაუზიარა თავისი 20 წლიანი გამოცდილება მოწვეულ სტუმრებს. მან განიხილა ქალების როლი ბიზნესსა და ეკონომიკაში, ის სირთულეები და გამოწვევები, რომელთა წინაშეც ისინი აღმოჩნდებიან ხოლმე, დ ის თუ როგორ დაძლიონ ეს სირთულეები.
2019 წელს ჩვენ დავაფინანსეთ ჩვენი მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოს კლიენტების მონაწილეობა Stockholm Food and Wine 2019-ში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენ ასევე დავასპონსორეთ ჩვენი კლიენტები Vinexpo Bordeaux 2019-ში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენი მიზანია დავეხმაროთ ქართული ღვინის ბიზნესს გავიდნენ სხვა ბაზრებზე, დაუკავშირდნენ ბაზრის მნიშვნელოვან მოთამაშეებს და პოტენციურ კლიენტებს, 2019 წლის ერთერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა სოფლის მეურნეობის სექტორში.
ბანკმა დააფინანსა კლიენტების მონაწილეობა Sommet de L'Élevage საფრანგეთში. ასეთი ღონისძიებები აუცილებელია ქართველი ფერმერებისთვის რათა ისინი შეხვდნენ ბაზრის ლიდერებს სოფლის მეურნეობის სექტორში, გაეცნონ წარმოებისა და ეფექტურობის საუკეთესო პრაქტიკას და დაამყარონ მნიშვნელოვანი კონტაქტები. ქართული საწრმოების ექსპონირება მსოფლიო ბაზრებზე შესაძლებლობას უხსნის მათ ისწვლონ, გაფართოვდნენ და გაუმჯობესდნენ. ეს სასარგებლოა არა მხოლოდ ბიზნესისთვის, არამედ მთლიანად ეკონომიკისათვის.

2019 წელს, ჩვენ მხარი დავუჭირეთ რამდენიმე დაჯილდოების ცერემონიალს, კონფერენციისა და ტრენინგის ჩატარებას. ჩვენ კვლავაც აქტიურად დავეხმარებით მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, როგორც ფინანსური, ასევე არაფინანური თვალსაზრისით

კორპორატიული და საინვესტიციო ბანკინგი

2019 წლის ბოლოსთვის არსებული 2,700 კლიენტით, საქართველოს ბანკის კორპორატიული და საინვესტიციო ბანკინგი (CIB) არის კორპორატიული ბანკინგის მომსახურების გადაწყეტების სფეროში მთავარი პროვაიდერი საქართველოში. ჩვენი კორპორატიული და საინვესტიციო ბანკინგის ფრანშიზა ეფექტურად იყენებს კლასის თვალსაზრისით პროდუქტის დიზაინში თავის საუკეთესო გამოცდილებას და 360° -ით ითვალისწინებს ყოველი კლიენტის მოსაზრებას განახორციელოს მომგებიანი ტრანზაქციები ბანკისთვის და შესთავაზოს საუკეთესო მომსახურებები კლიენტებს. ჩვენი მასშტაბის ფარგლებში საბანკო მომსახურებებისა და პროდუქტების მდიდარი პორტფელის, დარგსა და პროდუქტებთან დაკავშირებული ჩვენი გამოცდილების, გამო ჩვენ ვართ უნივერსალური ბანკი, რომელიც მაღალი და საშუალო დონის კონსულტაციას უწევს საქართველოს კორპორაციებს. ჩვენ ასევე დარწმუნებული ვართ რომ ჩვენი თანამშრომლები ჩვენი ყველაზე გამორჩეული აქტივია და ამაყობენ რომ არიან საუეთესო სპეციალისტების დამქირავებლი ორგანიზაციის თანამშრომლები ქვეყანაში.

კორპორტიული და საინვესტიციო ბანკინგის სუფთა საკრედიტო პორტფელი აღწევდა 3.6 მილიარ ლარს 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, დაახლოებით 48.1%-ით მეტი წინა წელან შედარებით, ხოლო ზრდა მუდმივი გაცვლითი კურსის მიხედვით იყო 40.15% წინა წელთან შედარებით.

კორპორტაიული და საინვესტიციო ბანკინგის ტოპ ათეულის კონცენტრაცია იყო მთლიანი საკრედიტო პორტფელის 9% 2019 წლის ბოლოს, 2018 წლის 31 დეკემბრისთვის არსებულ 9%-თან შედარებით. იმ მიზნით, რომ მოხდეს კორპორატიული და საინვესტიციო ბანკინგის საკრედიტო პორტფელის ჯანსაღი ზრდა, საქართველოს ბანკი გააგრძელებს კონცენტრაციის რისკის გონივრულ მართვას იმგვარად, რომ მისი ტოპ ათეული კლიენტებისთვის არსებული საფრთხე შენარჩუნდეს მთლიანი საკრედიტო პორტფელის 10%-ის ფარგლებში, ჩვენ შევქმენით სპეციალური ჯგუფი, რომელიც ფოკუსირებული იქნება მცირე ზომის კორპორატიულ საწარმოებზე , რომლებიც ჩვენი რწმენით მნიშვენლოვან ზრდას მიაღწევენ ჩვენს ბიზნესში.

კორპორატიული და სიანვესტიციო ბიზნესი მუშაობს ფორმირებისა და გადანაწილების მოდელით, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავაუმჯობესოთ პორტფელის რისკი-მოგება კაპიტალის განთავისუფლებით და სინდიკატების საშუალებით მოსაკრელებიდან შემოსავლებით ზრდის მხარდაჭერით. უფრო მეტიც, 2019 წელს საქართველოს მთავრობისგან მიღებული მთავარი ინფრასტრუქტურულმა ხარჯებმა თავისი წვლილი შეიტანა ვაჭრობის დაფინანსების ოპერაციებიდან მოსაკრებელის ბიზნესში ჩვენს წარმატებაში. უწყვეტი ფოკუსირება მცირე კაპიტალის უპროცენტო შემოსავალზე ხელს უწყობს ჩვენს გამოყენებულ აქტივებზე მოგებიდან შემოსავლს, მოცემული ლიმიტირებული საკრედიტო რისკის პირობებში. კორპორტიული, საინვესტიციო ბანკინგის და საკრედიტო პორტფელის გაზრდა განსაზღვრულია 15%-ით და ჩვენი მიზანია გავზარდოთ მომგებიანობა გამოყენებულ აქტივებზე რათა უკუგება საკუთარ კაპიტალზე (ROAE) იყოს 20%+ საშუალო და ხანგრძლივ ვადაში.

კორპორატიული და საინვესტიციო ბანკინგის ბიზნესი ასევე უზრუნველყოფს ლიზინგის მომსახურებას ბანკის სრულ მფლობელობაში არსებული შვილობილი კომპანიის - GLC. საშუალებით. ეს კომპანია გვტავაზობს სხვადასხვა ტიპის ფინანსურ პროდუქტებს, რომელიც მორგებულია სხვადასხვა სეგმენტზე, როგორიცაა მცირე და საშუალო ზომის ბიზნესი და დაბალი-საშუალო და მაღალ შემოსავლიანი კლიენტები.

იმისთვის, რომ შევთავაზოთ უნივერსალური საბანკო პლატფორმა ჩვენს კლიენტებს, კორპორატიული და საინვესტიციო ბანკინგი თანამშრომლობს სხვა ბიზნეს სეგმენტებთან ჯგუფის ფარგლებში, რაც სასარგებლოა გამოცდილების გაზიარების, იდეების გენერირებისა და ჯვარედინი გაყიდვებისთვის.

გაცემული კრედიტების მოცულობა

GEL 3.7 BLN

+42.1% წინა წელთან შედარებით

დეპოზიტები

GEL 3.8 BLN

+10.1% წინა წელთან შედარებით

ბაზრის წილი[12] – კრედიტე

31.0%

ბაზრის წილი[12] – დეპოზიტები

30.9%

უკუგება საკუთარ კაპიტალზე ROAE[13]

27.1%

ძლიერი მხარეები

- სინდიკატები და კაპიტალის ბაზრების ჯგუფი
- მნიშვნელოვანი საკითხების კონსულტანტი
- უპირატესობის მქონე უნივერსალური ბანკი
- საუკეთესო სპეციალისტების მოზიდვა

კონკრეტული მაგალითის ანალიზი: საქართველოს კორპორატიული სექტორის დახმარება

მას შემდეგ რაც „ზოდი“ დაარსდა 2017 წელს, კომპანია გახდა საქართველოში სამშენებლო მასალების ერთერთი წამყვანი იმპორტიორი და მწარმოებელი. კომპანიის მთავარი ბიზნეს მიმართულებებია: ინტერიერისა და ექსტერიერის კარების იმპორტი და საცალო გაყიდვები; ბუნებრივი ქვები (მარმარილო, გრანიტო, კვარცი, ტრავერტინი); ასევე სარემონტო მასალები. კომპანია მართავ ექვს შოურუმს თბილისში და საქართველოში (მარნეული, რუსთავი, გორი, ქუთაისი და ზუგდიდი).

2017 წელს საქართველოს ბანკისგან მიღებული დაფინანსებით, „ზოდმა“ გახსნა ახალი შოურუმი თბილისში.

2018 წლის მეორე ნახევარში, „ზოდმა“ დაიწყო მუშაობა საქართველოში ბუნებრივი ქვების ქარხნის გახსნის იდეაზე, რომელიც შესთავაზებდა მაღალი ხარისხის და კონკურეტული ფასის ქართული ქვების მასალებს ბაზარს. საქართველოს ბანკის დახმარებით სამთავრობო სააგენტოს „Enterprise Georgia“-ს თან თანამშრომლობით, ეს იდეა წარმატებით განხორციელდა 2019 წელს. კომპანია ახლა ამუშავებს ქარხანას, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე იტალიური, თურქული და ჩინური მანქანა-დანადგარებით, და აქვს წლიური მწარმოებლურობა 50,000 კვ მეტრი.

[12] იურიდიული პირების ბაზრის წილი კრედიტებისა და დეპოზიტების მიხედვით ეფუძნება 2019 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ დამოუკიდებელ ანგარიშებს .

[13] 2019 წლის გამოყენებულ აქტივებზე მოგება დაკორექტირდა თანამშრომლის ერთჯერადი გადახდის დანახარჯებით, რომელიც უკავშირდება ყოფილი დირექტორის და აღმასრულებელი მენეჯმენტის საბოლოო ანაზღაურებას.

ქონების მართვა

საქართველოს ბანკის ქონების მართვა არის ჩვენი კორპორატიული და საინვესტიციო ბანკინგის კერძო ბანკინგის განყოფილება, რომელიც ემსახურება მაღალშემოსავლიან კლიენტურას და სთავაზობს საინვესტიციო მართვის პროდუქტებს საზღვარგარეთ თავისი წარმომადგენლობების და ლონდონში, ბუდაპესტში, სტამბულსა და თელ-ავივში არსებული შვილობილი კომპანიების საშუალებით. 2005 წელს საქმიანობის დაწყებიდან, ჩვენ ქონების მართვის სფეროში ჩვენი კლიენტების ბაზა გაიზარდა 1,557 კლიენტამდე 77 ქვეყნიდან და ხელძღვანელობის ქვეშ არსებული ჯგუფის აქტივები გაიზარდა 1,506.5 მილიონამდე 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, დაახლოებით 6.6%-ით წინა წელთან შედარებით.

2019 წლის იანვარში საქართველოს ბანკმა გახსნა ახალი ოფისი თბილისის ცენტრში, რომელიც გათვლილია ჩვენს ქონების მართვის კლიენტებზე. ბანკის ქონების მართვის ბრენდის იდენტიფიკაცია ეფუძნება როგორც თვითონ ბანკის, ასევე საქართველოს მორალურ პრინციპებს. ქვეყანა გვთავაზობს უმარავ უპირატესობას როგორიცაა სტაბილურობა, ლიბერალური საგადასახადო სისტემა, ინოვაციური ფინანსური მომსახურებები, მზარდი ეკონომიკა და უცხოელი ინვესტორების უსაფრთხოება.

საქართველოს ბანკი არის წამყვანი ბრენდი, რომელიც ცნობილია საკმაოდ კარგი მოგებით, მუდმივი ინოვაციებით და საიმედოობით. ჩვენი სტრატეგია, რომელიც ფოკუსირებულია ქონების მართვაზე, გულისხმობს კერძო საბანკო საქმიანობისთვის მის რეგიონულ ჰაბად გადაქცევას და კლიენტების წრის გაფართოებას მეზობელ ქვეყნებში. სტაბილური ბიზნეს გარემო საქართველოში და საქართველოს ბანკის რეპუტაცია და გამოცდილება აქცევს მას სრულყოფილ ბანკად შეძლებული ფიზიკური პირებისთვის, რომელთანაც ისინი აკეთებენ ბიზნესს. საქართველოს ბანკი არის ციფრული ტექნოლოგების გამოყენების თვალსაზრისით ძლიერი ბანკი, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვიყენებთ ადამიანზე კარგად მორგებულ მიდგომას, როცა საქმე ეხება ჩვენი კლიენტების საჭიროებებს.

ჩვენი მიზანია გავხდეთ რეგიონული ჰაბი ქონების მართვის შეთავაზების სფეროში და მივაღწიოთ 3 მილარდ აშშდოლარს AUM 2024 წლისთვის, ჩვენ ვგეგმავთ მივაღწიოთ ამ მიზანს გაყიდვების ფართო დიაპაზონისა და მარკეტინგული ინიციატივების საშუალებით ჩვენი ქონების მართვის პროდუქტის გამყარებით და ცხოვრების სტილის შეთავაზებით. მრავალ პროდუქტს შორის ჩვენი შეთავაზება მოიცავს ადგილობრივ მაღალშემოსავლიან ობლიგაციებს, გლობალურ ინვესტიციებს, სპეციალურ შეთავაზებას ჩვენი ქონების მართვის კლიენტებისთვის, პირდაპირ კერძო ინვესტირების გარიგებებს საქართველოში, საგადასახადო და იურიდიულ კონსულტაციას, და ინვესტიციებს საქართველოში არსებული ეფექტური საგადასახადო სტრუქტურის საშუალებით. ჩვენი ცხოვრების სტილის შეთავაზება მოიცავს კონსიერჟის მომსახურებას და შემოთავაზებებს ადგილობრივი სასტუმროებიდან და პრემიუმ სამოგზაურო სააგენტოებიდან. ჩვენი მიზანია გამოვიყენოთ მსოფლიოში არსებული ჩვენი რეფერალური აგენტების ქსელი და პარტნიორი როგორც ბრენდის ელჩები და მომსახურების კომპანიები საიმისოდ, რომ რეკლამირება გავუკეთოთ ბანკსაც და საქართველოსაც.

ციფრული ბანკინგის გამოცდილება

საქართველო ბანკი იყენებს ციფრული მიდგომების გამოყენებას თანამედროვე ბანკინგში როგორც ეს დამახასათებელია მისი იდენტობისა და სტრატეგიისთვის. ჩვენ აქტიურად განვახორციელეთ ინვესტირება საინფორმაციო ტექნოლოგიურ გადაწყვეტებში, რათა შეგვეთავაზებინა ჩვენი საცალო და კორპორატიული კლიენტებისთვის თავის კლასში საუკეთსო ციფრული ბანკინგის არხები, რომელიც დაეხმარება მათ ყოველდღიური ცხოვრებისა და ბიზნესის გამარტივებაში და უფრო მეტი წარმატების მიღწევაში. იმისთვის, რომ დარჩეს რელევანტური და თანამედროვე ყოველდღიურად ციფრული გადაწყვეტების რაოდენობის გაზრდით, ჩვენ ვაკვირდებით უახლეს ბრენდებსა და პრაქტიკას, ვაანალიზებთ პოტენციურ სიახლეებს და სწრაფად ვნერგავთ მიღებულ ცოდნას კლიენტებისთვის საჭირო მომსახურებებში.

ინტერნეტ ბანკინგი

2019 წელს ჩვენ დავნერგეთ ბრენდული ახალი ბიზნეს ინტერნეტ ბანკინგის პლატფორმა (iBank for Business) ჩვენი მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისა და კორპორატიული კლიენტებისთვის, ამისთვის საჭიროა უამრავი ადვილად სამართავი ფუნქცია, რომელიც შეიქმნა იმისთვის, რომ მისი გამოყენება იყოს ადვილად გასაგები და უპრობლემო. ხელახლა შეიქმნა უამრავი მახასიათებელი, დაემატა რამდენიმე ახალიც. ჩვენ მივმართეთ ჩვენი შეთავაზებები ბიზნესისთვის iBank - ის შესაქმნელად, უფრო სასარგებლოდ ბიზნეს ტრანზაქციებისთვის, აღრიცხვისა, გადახდებისთვის ფულადი გადარიცხვებისა და ადმინსიტრაციისთვის.

მოხდა ბევრი არსებული მახასიათებლის მოდერნიზება, და დაემატა რამდენიმე ახალი. ჩვენ ფოკუსირებული ვართ იმაზე, რომ ჩვენი ბიზნესისთვის განკუთვნილი iBank გახდეს უფრო სასარგებლო ბიზნეს ტრანზაქციებისთვის, გადახდებისთვის, ფულის გადარიცხვისა და ადმინისტრირებისთვის.


მობილური ბანკინგი

მას შემდეგმ რაც ბანკმა აამოქმედა თავისი მობილური ბანკინგის აპლიკაციის (mBank) პლატმორმა 2017 წელს, ჩვენ მუდმივად ვზრდიდით მის შესაძლებლობებსა და ეფექტურობას. 2019 წელს, ჩვენ Strands-თან (მსოფლიოში ერთერთი წამყვანი PFM მომსახურების პროვაიდერი) პარტნიორობით **დავამატეთ პერსონალური ფინანსური მენეჯერი** (PFM). PFM სასარგებლო ინსტრუმენტია შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზისა და კატეგორიზაციისთვის. წარმოდგენილი მონაცემების გამოყენებით, PFM შეისწვლის მომხმარებლის ფინანსურ ქცევა და სთავაზობს მას რეკომენდაციებს გამოვლენილი შედეგების საფუძველზე. Strands-თან პარტნიორობა საშუალებას გვაძლევს გავამყარო ჩვენი პრაქტიკული და ტექნიური გამოცდილება იმ წარმოდგენილი ინსტრუმენტების საშუალებით, რომლებიც ინტეგრირებულია ჩვენს mBank-ში.

მობილური და ინტერნერ საბანკო ტრანზაქციების რაოდენობა



ციფრული ტრანზაქციების შედარება არაციფრულთან



ტრანზაქციების დანაწილება არხების მიხედვით



ღია ბანკინგის სტრატეგია

მას შემდეგ რაც დავნერგეთ საქართველოს ბანკის BOG Fintech (ფინჩი) – 2018 წელს შექმნილი სტრატეგიული მიმართულება ბანკის ღია საბანკო სტრატეგიის ფარგლებში -ჩვენ აქტიურად ვუჭერთ მხარს ფინჩის ღია ბანკინგს და სხვა ტექნოლოგიასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. ღია ბანკინგის კონცეფცია ქმნის ახალ შესაძლებლობებს ინოვატორებისთვის, რათა შექმნან ახალ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ფინანსური მომსახურებები კლიენტებისთვის. ის ხსნის საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურას და ახალ რესურსებს ფინჩისთვის, რათა ბანკთან პარტნიორობით შეიქნას ინოვაციური მომსახურებები.
საქართველოს ბანკის Fintech (ფინჩი) არის საქართველოში ღია ბანკინგის კონცეფციის მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი. ის შედგება სამი მთავარი კომპონენტისგან: ფინჩის მომხმარეების დახმარება; აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისი (API) მოსახურება; და სტარტაპების დახმარება.

2019 წელს BOG Fintech იყო DevFest Tbilisi-ის გენერაური სპონსორი, რომელიც არის Google-ის ყოველწლიური დეველოპერი ფესტივალის ნაწილი, რომელიც ეწყობა მთელს მსოფლიოში. ჩვენ ასევე თანასპონსორობას ვუწევთ Startup Grind-ს თბილისში - სტარტაპების დამფუძნებლების ყველაზე დიდ საერთაშირისო ქსელს, 2019 წელს ჩვენ პარტნიორობას ვიწევდით ოპერანიზაციებს, როგორიცაა Google Developers Group Tbilisi, Startup Grind Georgia, Dribbble Georgia, Data Science Tbilisi, Touch Digital Summit and Product Tank Tbilisi. უფრო მეტიც 2019 წელს ჩვენ ორგანიზება გავუწიეთ Fintech Hackathon-ს, რომელშიც მონაწილეობდა 20 გუნდი. ჩვენ მომავალშიც გავაგძელებთ ტექნოლოგიური სახის ღონისძიებების მხარდაჭერას.
2019 წელს დავიწყეთ თანამშრომლობა საქართველოს ეროვნულ ბანკთან და საქართველოს პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექციასთან საქართველოში ღია ბანკინგის რეგულაციების შესაძლოა დანერგვასთან დაკავშირებით.

Omni-channel მრავალი არხის გამოყენების გამოცდილება

2019 წელს როგორც ჩვენი მრავალარხიანი ციფრული გამოცდილების სტრატეგიის ნაწილი ჩვენ დავასრულეთ საქართველოს ბანკის მთავარი ვებგვერდის -www.bankofgeorgia.ge - ფორმირება და ლიცენზირება - და გავხადეთ ის უფრო ყოველიმოცველი და გამოსადეგი. განახლებული ვებგვერდი დაპროეტებულია ერთი ფანჯრის პრინციპით საქართველოს ბანკის მიერ შემოთავაზებული ყველა პროდუქტისა და მომსახურებისთვის. მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ვებგვერდი სრულად მოიცავს ციფრულ პლატფორმას როგორც საცალო, ასევე კორპორატიული კლიენტებისთვის. ერთი ლოგოს ფარგლებში, კლიენტს შეუძლია შევიდეს მის სასურველ ციფრულ პლატფორმაში. შესვლის შემდეგ კლიენტს შეუძლია ადვილად გამოიყენოს ნებისმიერი პროდუქტი შენიუდან, და რადგან კლიენტის მონაცემები ავტომატურად გადადის სხვა ციფრული არხებიდან, მოხდეს აპლიკაციის შევსება რაც არ ყოფილა არასდროს ასე ადვილი. იმისთვის რომ ეს გამოცდილება გახდეს უფრო მიზანშეწონილი, ვებგვერდი გვთავაზობს პროდუქტის შედარების გვერდებს, კალკულატორებს, ვალუტის კონვერტაციის დანართს, GPS ლოკაციას და სხვა.

ჩვენ ასევე გავაფართოვეთ ის ღონისძიებები, რომელიც აუმჯობესებს ბანკომატის და Pay Boxes -ების მომხმარებლების გამოცდილებას. ჩვენ მთლიანად გამოვცვალეთ ჩვენი ბანკომატების ინტერფეისული დიზაინი უფრო თანამედროვე გარეგნობით და გაცილებით გავამარტივეთ მომხმარებლის მიერ მათი გამოყენება, რაც შეეხება Pay Boxes-ებს, ჩვენ დავუმატეთ სმარტ დაკვეთის ფუნქცია, რომელიც აანალიზებს ყველაზე პოპულარულ მომსახურებებს თითოეულ მანქანაზე თითოეულ ლოკაციაზე და ავტომატურად უკვეთავს ყველაზე ხშირად გამოყენებულ მომსახურების პროვაიდერებს, ისე, რომ მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ ერთი დაწკაპებით. Plus+ ლოიალობის პროგრამის პლატფორმა
ასევე მთლიანად განახლდა, ჩვენ დავუმატეთ კატალოგს პუნქტები, რომელიც ჩვენს კლინტებს აძლევს შესაძლებლობა ს მოახდინონ თავიანთი პლიუს ქულების გადაცვლა.

კლიენტის გამოცდილების მართვა Medallia-ს საშუალებით

ჩვენი ახალი სტრატეგიის წარმატების ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია კლიენტის კმაყოფილება. გასულ წელს, ჩვენ ინვესტირება განვახორციელეთ წამყვანი კლიენტის გამოცდილების მართვის პლატფორმაში, Medallia, რომელიც გვეხმარება ავამოქმედოთ ჩვენი კლიენტის გამოცდილება, მოვიცვათ დიდი რაოდენობის კლიენტების გამოხმაურების პრიორიტეტულობის განსაზღვრა და გავერკვეთ მასში რეალურ დროში, წარმოადგენს მოწინავე იდეას და გულისხმობს ღონისძიებებს კლიენტის გამოცდილების გასაუმჯობესებლად.

კლიენტის გამოცდილების მართვის მიზანია:

- ჩართოს თითოეული კლიენტი, რათა თავისი წვლილი შეიტანოს მათი მოგზაურობისა და არხების მოცვის საშუალებით;
- ეფექტურად „ჩაკეტოს წრე" თითოეული კლიენტისთვის, რათა გადაწყდეს ნებისმიერი ღია საკითხი და მოხდეს შესაბამისი შეფასება ;
- ჩართოს ტვითოეული თანამშრომელი მათთვის დროული მონაცემების და ინსტრუმენტების მიწოდებით, რათა მან იმოქმედოს მყისიერად; და
- გაამუჯობესოს თითოეული გამოცდილება წარმოშობის მიზეზების გამოვლენით და კლიენტის სასიცოცხლო ციკლის შესახებ ყველა ეტაპზე გამოცდილების გასაუმჯობესებლად. რადგან ჩვენ მივდივართ უფრო კლიენტზე ორიენტირებული კულტურისკენ, ჩვენი კლიენტების ხმების სრულად გათვალისწინებით რადგან უნარი იმოქმედოს დროულად ჩვენი კლიენტების გამოხმაურებაზე, ძალიან მნიშვნელოვანი ხდება ჩვენი თანამშრომლების ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ჩვენ პირველად დავნერგეთ Medallia ციფრული არხებში 2019 წლის ოქტომბერში და გავავრცელეთ ის ქოლ ცენტრში და ფილიალებში 2020 წლის მარტში. თითოეულ არხში და კურსში ჩვენ მოვიცავთ კლიენტის გამოხმაურებას, რომელიც გვაწვდის NPS და CSAT ქულებს, ასევე თითოეული ქულის მოტივ , რომელსაც ჩვენ ვამოწმებთ ყოველდღიურადა Medallia პლატფორმაზე. დამატებითი უნიკალური ინფორმაცია მიღებულია ეფექტური „წრის დახურვის" პროცესის საშუალებით, რომელიც გვეხმარება ჩვენ მივაწოდოთ ჩვენ კლიენტებს მყისიერი გადაწყვეტა, ან განვსაზღვროთ ამ პრობლემის მთავარი მიზეზი.

მაღალი კვალიფიკაციის ჯგუფი შეირცა იმისთვის, რომ დასრულებულიყო ციფრული გამოკითხვის ყველა ურთიერთქმედება. რაც შეეხება ფილიალებსა და ქოლ ცენტრს, ფილიალის მენეჯერები ან ჯგუფის ხელმძღვანელები არიან „ წრის დახურვის" პროცესის მფლობელები და უზრუნველყოფენ , რომ ჩვენმა კლიენტებმა მიიღონ საუკეთესო გამოცდილება და მათმა გამოხმაურებამ მიაღწიოს შესაბამის ჯგუფამდე რაც შეიძლება სწრაფად.

2019 ნოემბერი-2020 წლის თებერვლისთვის, ჩვენ ვნახეთ 17%-იანი გამოხმაურება ჩვენი კლიენტებისგან, რაც მნიშვნელოვანია, მსოფლიოში არსებული პრაქტიკის მიხედვით, და 71%-იანი გამოხმაურება „წრის ჩაკეტვის" პროცესზე. გამოხმაურების დიდი მოცულობა, რომელიც მომდინარეობს ჩვენი კლიენტებისგან გვეხმარება მუდმივად ვიცოდეთ ჩვენი პროგრესისა და დამატებითი განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

მრავალი გაუმჯობესებაზე ორიენტირებული პროექტი გამოვლინდა და დაინერგა კლიენტის გამოხმეურების საფუძველზე 2019 წლის ოქტომბრიდან. კლიენტის ხმა ასევე გვაცნობს მნიშვნელოვან დასკვნებს ჩვენი თანამშრომლების ტრენინგისა და სწავლების შესახებ, რაც მნიშვნელოვანია წარმატებული კლინეტის Medallia-სთან გამოცდილი კლიენტის წარმატებული მართვისთვის.

პროცესის ეფექტურობა მწარმოებლურობის ზრდის მაჩვენებელი – Agile ტრანსფორმაცია

იმისთვის, რომ წარმატებით შესრულდეს ჩვენი ბიზნეს მიზნები, ჩვენ ინვესტირება მოვახდინეთ პროექტის წარმოდგენის სრულყოფასა და ეფექტურობაში საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ბიზნესის დამატებით ინტეგრაციის გზით.


რადგან დავიწყეთ Agile ტარნსფორმაცია 2018 წელს, ჩვენი მიზანი იყო უკეტესად დაგვეკმაყოფილებინა კლიენტის ბიზნეს მოთხოვნები, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და გამჭვირვალობის გაზრდით რესურსის გამოყოფის დროს. ტრადიუციული მოდელის (კასკადი) გამოყენების ნაცვლად, რომელშიც ორგანიზაციული სტრუქტურა დაყოფილია ფუნქციურ ბარიერებად, რომლებიც იმათება ზემოდან ქვემოთ, ჩვენ გადავწყვიტეთ გავხდეთ სწარაფი (Agile) კომპანია, სადაც უნივერსალური ჯგუფები შეიქმნა ერთიანი მიზნის გარშემო. ეს ჯგუფები კოლექტიურად პასუხისმგებელი არიან თავიდან ბოლომდე თავიანთ პროდუქტზე და მომსახურებებზე, ერთი პროდუქტის მფლობელით- პირი რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები პროდუქტის მარაგზე. Agile მოდელში პროდუქტის განვითარება ხდება თანდათან და რამდენჯერმე, და პროდუქტის გამოშვება ხდება რაც შეიძლება სწრაფად და მუდმივად ხდება საბოლოო მომხმარებლის გამოხმაურობების მოგროვება და დამუშავება. ეს მრავალფუნციურმა ჯგუფებმა გააზიარეს ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები, რომელიც უფრო მეტად იძლევა სტიმულს ერთად იქნას მიღწეული საერთო მიზანი, და ვიდრე ამას აკეთებს თითოეული მენეჯერისთვის, ჯგუფის წევრისა დ ან ფუნქციისთვის ეფექტურობი ძირითადი მაჩვენებლების პოტენციურად საწინააღმდეგო ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები.

2019 წლის მაისში, Agile ტარნსფორმაცია სრულად იქნა რეალიზებული. 2019 წელს ჩვენ შევქმენით 34 უნივერსალური ჯგუფი, 300-ზე მეტი თანამშრომლით, რომლებიც მუშაობდნენ Agile -ს მიწოდების მოდელზე, და შექმნა კორპორატიული კულტურა, რომელზეც უფლებამოსილია ეს ჯგუფები. იმისთვის, რომ შემცირდეს დანერგვის ვადა, ჩვენ ხშირად ვავრცელებთ და ვავითარებთ მინიმალურ სიცოცხლისუნარიან საქონელს (MVPs) და ვიყენებთ რეგულარული კლიენტის გამოხმაურებას. ჩვენი მიზანია ოპტიმალურად გავზარდოთ პრიორიტიზაციის პროცესი პროდუქტის განვითარებისთვის და იმავდროულად გავზარდოთ პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხი და სტაბილურობა.

ჩვენი ამბიციაა გადავიყვანოთ ბანკი ინტეგრირებული ციფრული მიწოდების მოდელზე, რომელიც იყენებს მომდევნო თაობის ტექნოლოგიებს იმისთვის, რომ გამოიყენოს ინტეგრირებული და ავტომატური სამუშაო პროცესი და დააკავშიროს პროქტის აქციონერები მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში განვითარებაზე მომუშავე ჯგუფთან. მიზანია მინიმუმამდე შემცირდეს სიჭარბე და მაქსიმალურად გაიზარდოს ჯგუფებს შორის ოპერატიული თავსებადობა.

პროცესები / Agile ტრანსფორმაცია

სრულად ინტეგრირებული საწარმოს სწრაფი გადაცემა



- ფოკუსირება კლიენტის გამოცდილებაზე
- მიწოდების ეფექტურობის გაუმჯობესება
- დანერგვის ვადის შემცირება
- გაუმჯობესდეს თვით ორგანიზებული ჯგუფები პროდუქტების და ციფრული არხების გარშემო
- გამოყენებული იქნას შემდეგი თაობის ტექნოლოგიები და სრულად ავტომატიზირებული პროცესი

მწარმოებლურობის ზრდის მაჩვენებელი – ოპტიმიზაციის პროექტის სისტემა LEAN

2018 წლიდან, საქართველოს ბანკმა მოიცვა პროექტის Lean შედეგად ეფექტური შესაძლებლობები, რომელიც ფოკუსირებული იყო ოპერაციების ტრანსფორმაციასა და ოპტიმიზაციაზე ბანკის სამ სფეროში : მომსახურების ცენტრები, პროცესები და ფუნქციები.

სერვის ცენტრების ტარნსფორმაცია განხორციელდა იმ მიზნით, რომ გაზრდილიყო კლიენტების რაოდენობა და მათთვის მიყიდული პროდუქტები. ამჟამად ბანკის ყველა მთავარი ფილიალი ტრანსფორმირდა და გახდა უფრო პროდუქტიული და ეფექტური მომსახურების გაწევის სფეროში. ჩვენ შევქმენით შემდგომი მართვის სისტემა, რათა გაუმჯობესდეს კლიენტის გამოცდილება და გაიზარდოს კლიენტის კმაყოფილება და გაუნაწილებელი მოგების პროცენტი უფრო სწრაფი და მაღალი ხარისხის მომსახურებებით. შედეგად კლიენტების 98%, რომელიც შედიან ტარნსფორმირებულ ცენტრში იღებენ მომსახურებებს, მაშინ როცა ოპტიმიზაციამდე გამოყენებული მაჩვენებელი არის 83%. ჩვენ დავნერგეთ ხშირად შემოწმებული მოკლევადიანი ეფექტურობის ძითითადი მაჩვნებლები ჩვენი ბანკირებისთვის, რომელთა მიზანია გაზარდოს გაყიდვები იმ კლიენტების რაოდენობით, რომლებსაც მომსახურებას უწევენ და ერთ ბანკირზე გაყიდული პროდუქტების რაოდენობით. ამის შედეგად, გაყიდვები ტრანსფორმირებულ მომსახურების ცენტრებში გაიზარდა 20%-ით 2019 წლის ბოლოს, კლიენტების კმაყოფილებამ ასევე აჩვენა პოზიტიური ტენდენცია, რომელმაც მიაღწია 90%-ს, მომავალში ჩვენს 95%-იან მიზანთან ერთად.

ჩვენ მოვახდინეთ იმ გზი ოპტიმიზაცია, რომლითაც ჩვენ ვამუშავებთ იპოთეკურ აპლიკაციებს საცალო ბანკინგში, და საკრედიტო აპლიკაციებს კორპორატიულ და საინვესტიციო ბანკინგში. იმისთვის, რომ ეფექტურად იქნას გამოყენებული იპოთეკური აპლიკაციების დამუშავებისთვის და შეამციროს შეცდომების რაოდენობა მინიმუმამდე, ჩვენ დავნერგეთ სტანდარტული საოპერაციო პროცედურები და საკონტროლო ჩამონათვალები. შედეგად ჩვენ შევამცირეთ შეცდომების რაოდენობა 50%-ით.

გარდა ახალი პროცედურების გამოყენებისა, ჩვენ ასევე განვაახლეთ აპლიკაციის ნაკადის დამუშავება, რომელიც ახლა მოიცავს კრედიტთან დაკავშრებით მიღებული გადაწყვეტილების დრო და საშუალებას გვაძლევს აცნობოს კლიენტებს მათი აპლიკაციის შედეგი მისი წარდგენიდან ერთი საათის განმავლობაში.
ზოგადად ჩვენი მიზანი იყო შეგვემცირებინა იმ დროის მოცულობა, რომელიც საჭიროა იპოთეკის აპლიკაციის დასამუშავებლად 7.5 დღიდან მხოლოდ სამი დღე, ამჟამად ეს არის ოთხ დღეს.

გარდა პროცესის ტარნსფორმაციისა, იმისთვის რომ მივაღწიოთ რესურსების უფრო ეფექტურ გამოყენებას, ჩვენ ასევე მოვახდინეთ ფუნქციების ოპტიმიზაცია რამდენიმე დეპარტამენტში და ვაპირებთ ვიმუშაოთ სხვებთან უახლოე მომავალში. ჩვენ გავაუმჯობესეთ დავალების ნაკადების ეფექტურობა ოპერაციებში, რომელიც ეხმარება განყოფილებას და გაამარტივა პროცესები ფულადი და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების განყოფილებაში.

ჩვენ ასევე გადავაჯგუფეთ ფუნქციები კორპორატულ კრედიტირებაში, იმგვარად, რომ კორპორატიული ბანკირები სულ უფრო და უფრო ფოკუსირებენ გაყიდვებზე და კლიენტებთან ურთიერობებზე, უფრო მეტიც, ჩვენ გავათავისუფლეთ SOLO ფილიალები დამუშავების განყოფილების ფუნქციებისგან, რომლებიც სანაცვლოდ ცენტრალიზებულია ბანკის სათაო ოფისში.

2019 წელს, ჩვენი მცდელობები მივმართეთ SOLO და მცირე და საშუალო საწარმოს სეგმენტებზე. SOLO -ში ჩვენ მოვახდინეთ კრედიტორების პროცესების ოპტიმიზაცია იპოთეკებში და SOLO ბიზნეს კრედიტირების ცენტრალიზაცია. ეს პროცესები ახლა უფრო სწრაფია და უფრო ეფექტურია, რომელიც თავის მხრივ, ზრდის კლიენტის კმაყოფილების დონეებს. იმისთვის, რომ მიღწეული იქნას ფუნქციების ეფექტურობა SOLO -ში ჩვენ გადავიტანეთ დარჩენილი არაპროფილური სამუშაო დატვირთვა, როგორიცაა ტრანზაქციის მომსახურებები, SOLO ბანკირებისგან დოკუმენტების დამუშავების განყოფილებაში, რათა ბანკირებს ჰქონდეთ მეტი დრო კლიენტებთან ხარისხიანი ურთიერთობისთვის.

ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი 2019 წელს იყო საკრედიტო ადმინისტრაციული ჰაბი, რომელიც მოიცავს ყველა კომპეტენციას, რომელიც აუცილებელია SOLO -სა და მცირე და საშუალო საწარმობის სეგმენტების საკონტრაქტო ეტაპისთვის. კონტრაქტის ადმინისტრაციის გადაყვანით დოკუმენტების დამუშავების განყოფილებაში ერთი ჰაბის ქვეშ, ხელშეკრის პროცესი გახდა სწრაფი და მოდერნიზებული, და გამეორება ბანკირებსა და იურისტებს შორის შემცირდა ერთამდე.

ეფექტურობის გაზრდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც შეიქმნა 2019 წელს, არის ჩვენი მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფა, რომელიც საშუალებას აძლევს მცირე და საშუალო საწარმოების ბანკირებს ფოკუსირება გააკეთოს ძირითადად გაყიდვებსა და კლიენტის ურთიერთობებზე. მანამდე, მცირე და საშუალო საწარმოების ბანკირები ჩართული იყვნენ ყოველდღიური ინციდენტების გადაწყვეტაში, რომლებმაც მოიხმარეს მათი რესურსების უმეტესობა. ჩვენი მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფი მოიცავს გაცხადებული ინციდენტების 98%-ს დღენახევარში.

2020 წელს SOLO სეგმენტი დაემატა მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფას

ახალი თანამშრომლების ადაპტირების პროცესი დაიწყო 2019 წელს იურიდიული მიღებისთვის კიდევ ერთი წარმატებაა, რაც აღსანიშნავია. 2019 წელს ჩვენ შევქმენით სპეციალური ჯგუფი დოკუმენტების დამუშავების განყოფილებაში, რომელიც ითვალისწინებს იურიდიული პირების მიერ წარმოდგენილ არსებულ აღრიცხვის მოთხოვნებს. ამით ჩვენ შევამცირეთ დრო, რომელიც აუცილებელია იურიდიული პირებისთვის, გახსნან ანგარიში 60%-ით. იმისთვის, რომ დაჩქარდეს ეს პროცესი, ჩვენ დავიწყეთ თანამშრომლობა საჯარო რეესტრთან . ამ პროექტში ჩვენი შემდგომი ნაბიჯი იქნება ადაპტირების პროცესის მონაცემთა ბაზის მიღება ონლაინ რეჟიმში.

ახალ თანამშრომელთა ადაპტირების პროცესი დაიწყო 2019 წელს.

პროცესი | არახელსაყრელი ტრანსფორმაცია

კლიენტის კმაყოფილება

- ფილიალები

მოდერნიზებული პროცესები – e2e

- ☐ გარანტიების გაცემის პროცესი
- ☐ POS ტერმინალის პროცესი
- ☐ საკრედიტო ინფორმაციის პროცესი
- ☐ SOLO ბიზნეს კრედიტირება
- ☐ ფილიალები
- ☐ იპოთეკა
- ☐ SOLO კრედიტირება
- ☐ კორპორატიული და საინვესტიციო კრედიტირება
- ☐ კანცელარია
- ☐ მიკრო კრედიტირება
- ☐ მცირე და საშუალო საწარმოების კრედიტირება
- ☐ კადრები
- ☐ ლოგისტიკა

ეფექტურობა ფუნქციონალურ ელემენტებში

- ☐ დოკუმენტების დამუშავების განყოფილება
- ☐ კადრების ფუნქცია
- ☐ SOLO
- ☐ WM
- ☐ RB დახმარება
- ☐ შესყიდვა
- ☐ მცირე და საშუალო საწარმო
- ☐ მონეტარული ცენტრი
- ☐ BNB -ის დამუშავების განყოფილება
- ☐ CB ფუნცია
- ☐ საკონტაქტო ცენტრი
- ☐ ახალი თანამშრომლების ადაპტირება
- ☐ მიკრო ბანკინგი
- ☐ პარტნიორული ურთიერთობა

ბარჯების დაზოგვა: 7.7 მილიონი ლარი



საუკეთესო წვდომა დაფინანსებაზე

საქართველოს ბანკმა დადასტურა წვდომა როგორც კაპიტალზე, ასევე მოზიდულ კაპიტალზე. ეს უზრუნველყოფს მოქნილობას პასუხისმგებლობის მართვით და არის ერთერთი ჩვენი მთავარი კონკურენტული უპირატესობაა ჩვენი ამბიციის რეალიზაციაში, რათა მოიცვას საქართველოში მიმზიდველი შესაძლებლობები.

ფინანსური ინსტიტუტებს, რომელთანაც ჩვენ გვაქვს პარტნიორული ურთიერთობა არის City, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC), FMO – ჰოლანდიის სამეწარმეო განვითარების ბანკი - DEG – Deutsche Investitions- und Entwicklungsgesellschaft, სამხრეთაღმოსავეთის ევროპის ფონდი (EFSE), Green for Growth Fund (GGF), შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი (BSTDB), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), აზიის განვითარების ბანკი (ADB), საზღვარგარეთ კერძო ინვესტიციის კორპორაცია (OPIC), responseAbility, Symbiotics Group, სამრეწველო კორპორაციის ფინური ფონდი (Finnfund), Obviam, შვედეთის განვითარების ფინანსური ინსტიტუტი – Swedfund International AB and BlueOrchard მიკროფინანსური ფონდი, და სხვა.

2017 წელს საქართველოს ბანკი არის პირველი ლარში დენომინირებული ობლიგაციების გამოშვება ინვესტორების ფართო მასშტაბისთვის ირლანდიის სავალუტო ბირჟაზე. 500 მილიონი ლარის გამოშვება იყო პირველი საერთაშორისო ადგილობრივ ვალუტაში ობლიგაცია, რომლის შეთავაზება ხდება უფრო ფართო კორპორატიული და საინვესტიციო სისტემის რეგიონიდან გარდა რუსეთისა) გასული ათი წლის განმავლობაში და წარმოადგენდა ნიშნებიან ტრანზაქციას საქართველოში.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, დედოლარიზაციის ინიციატივების კვალდაკვალ, რომელიც დაინერგა სებ-ის მიერ, საქართველოს ბანკმა მოიზიდა ადგილობრივი დაფინანსება საკრედიტო ინსტიტუტებისგან და უცხოელ ინვესტორებთან ერთად 1 მილიარდ ლარზე მეტი მოცულობით, 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის ადგილობრივი სავალუტო დეპოზიტები შეადგენს მთლიანი დეპოზიტების 30.9% -ს, 2018 წელს 32.5%. საკრედიტო პორტფელის ლარიზაციამ მთლიანი საკრედიტო პორტფელის 42.1 %-ს მიაღწია 2019 წელს, 39.2% 2018 წელს.

ჩვენი ფრანშიზის და ბრენდ სახელწოდების სიმყარე გადადის ფასწარმოქმნის უნარში დეპოზიტების ღირებულების შემცირებით. უფრო ძვირად ღირებული სესხების უფრო იაფიანი დაფინანსებით ჩანაცვლება, ასევე იწვევს ფონდირების ხარჯების გაუმჯობესებას:


- კლიენტის დეპოზიტებსა და ობლიგაციებზე ხარჯები 2010 წლის 7.5%-იდან 2019 წელს 3.0%-მდე შემცირდა;
- 2019 წელს ფონდირების ხარჯები 2010 წელს 8.2%-დან 2019 წელს 4.5%-მდე შემცირდა.

2019 წლის მარტში, საქართველოს ბანკმა გამოუშვა თავისი საპილოტე 100 მილიონი აშშ დოლარი 11.125% დამატებითი 1-ლი რიგის კაპიტალის უვადო სუბორდინირებული ობლიგაციები. რომელთა გამოსყიდვა შესაძლებელია 5.25 წლის შემდეგ და ყოველ მომდევნო პროცენტის გადახდის დღეს, ექვემდებარება სებ-ის წინასწარ თანხმობას 100.00% გამოშვების ფასით. ობლიგაციები წარმოდგენილია ირლანდიის საფონდო ბირჟის ლისტინგში რეიტინგით B- (Fitch Ratings).ეს გამოშვება იყო დამატებითი 1-ლი რიგის კაპიტალის ობლიგაციების პირველი საერთაშორისო შეთავაზება საქართველოდან და სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან. ბაზელ III -ის რეგულაციები, რომლებიც ბოლოდროს დაინერგა საქართველოში ახლა საშუალებას იძლევა მოხდეს ამ ტიპის კაპიტალის ოპტიმიზაცია და ამ აშშ დოლარის გამოშვებამ უზრუნველყო ბანკისთვის შესაძლებლობა მოეხდინა კაპიტალის სტრუქტურის დივერსიფიკაცია უცხოური ვალუტის პერპექტივიდან და უზრუნველყო ბუნებრივი ჰეჯირება ეკონომიკაში დოლარიზაციის წინააღმდეგ. ობლიგაციების კლასიფიკაციებზე კომპეტენტური ორგანოების დასტური, როგორც დამატებითი 1-ლი რიგის ინსტრუმენტი მიღებული იქნა 2019 წლის აპრილში.

კაპიტალის პოზიციის გაძლიერება რათა შესაძლებელი გახდეს ზრდის პოტენციალის რეალიზაცია

საქართველოს ბანკმა გამოუშვა საპილოტე დამატებითი 1-ლი რიგის კაპიტალის ობლიგაციები

ტრანზაქციის აღწერა	ინვესტორის ფასიანი ქაღალდების განაწილება რეგიონის მიხედვით
ობლიგაციები	100 მილიონი აშშდ, 11.125% გამოუხმობი 5.25 წელი AT1 ობლიგაციები
ლისტინგი	ირლანდიის საფონდო ბირჟა
ობლიგაციების რეიტინგი	Fitch BB-
ერთობლივი წამყვანი მენეჯერები / ბანკის კურიერის	J.P. Morgan, UBS
კომენეჯერი	JSC Galt & Taggart



ეს ტრანზაქცია იყო პირველი ნიშნები AT1 ტრანზაქცია საქართველოდან და პირველი AT1 ემისია დსთ-ს ქვეყნებიდან 2018 წლის იანვრის შემდეგ

ეს ემისია დაეხმარა საქართველოს ბანკს მოახდინოს მისი კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაცია უცხოური ვალუტის პერსპექტივიდან და უზრუნველყოს ბუნებრივი ჰეჯირება დოლარიზებულ ეკონომიკაში ოპერირების წინაალმდეგ

ამ ტრანზაქციამ დაუმატა დაახლოებით 230 საბაზისო ქულა ბანკის 1 რიგის კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტს ემისიის დროს.

საქართველოს ბანკმა ხელი მოაწერა სუბორდინირებული მე-2 რიგის საკრედიტო ხელშეკრულებას

2019 დეკემბერში საქართველოს ბანკმა ხელი მოაწერა ათწლიან 107 აშშ დოლარის სუბორდინებულ სინდიცირებულ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას, რომელიც შეთანხმდა FMO-ს - ჰოლანდიური სამეწარმეო განვითარების ბანკის მიერ სხვა მონაწილე გამსესხებლებთან თანამშრომლობით, მათ შორის შპს Industrial Cooperation-ის ფინური ფონდი Obviam , შვედეთის საინვესტიციო ფონდის ახალი ბაზრისთვის (SIFEM), შვედეთის განვითარების ფინანსური ინსტიტუტი - , Swedfund International AB, BlueOrchard Microfinance Fund (BOMF) და სიმბიოტიკური ჯგუფი. 52 მილიონი აშშ დოლარის უკვე გადახდილი ნაწილი შეტანილია ბანკის მე-2 რიგის კაპიტალში, სებ-ის დასტურით ბაზელ III-ის სისტემის შესაბამისად 2019 წლის დეკემბრიდან. კრედიტის დარჩენილი აუთვისებელი ნაწილები ასევე მოსალოდნელია, რომ შეტანილი იყოს ბანკის მე-2 რიგის კაპიტალში დაექვემდებაროს გადახდას და რელევანტურ სებ-ის დასტურებს. ეს სესხი ასევე აუმჯობესებს ბანკის საერთო კაპიტალიზაცია ბაზელ III-ის რეგულაციების შესაბამისად და დახმარებას გაუწევს დამატებით კრედიტირების ზრდას, იმავდროულად შეინარჩუნებს რა ძლიერ კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტს.

საერთო ჯამში 2019 წელს ჩვენ მოვიზიდეთ სულ 227 მილიონი აშშ დოლარი ჩვენი კაპიტალის პოზიციის დასახმარებლად და უფრო მეტი შესაძლებლობისთვის, რომ გავრცელდეს დაფინანსება ჩვენს კლიენტებზე.

საქმიანობის ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები

სერიოზული შედეგები რომელიც განპირობებულია კარგი მაჩვნებლებით ყველა სეგმენტში

2019 წლისთვის ჯგუფის ეფექტურობის ძირთადი მაჩვენებლები ასახავს უწვეტ მაღალ შედეგებს, საუკეთესო კლიენტის ფრანშიზის ზრდას სოლიდური მარჟით, ძლიერი საბალანსო ზრდით და განსაკუთრებული რენტაბელობით.

ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები მიახლოებულია ჩვენს სტრატეგიასთან და ჯგუფმა უზრუნველყო თავისი ძითითადი სტრატეგიული მიზნების შესრულება. ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები შეიძლება შეიცვალოს თუ 75 – 83 გვერდებზე მითითებული რომელიმე მთავარი რისკი და გაურკვევლობა, მატერიალიზდება.

გლობალური პანდემიის კოვიდ -19 -ის ზემოქმედებამ ბოლო თვეების განმავლობაში გასაკუთრებულად გამოსცადა ჯგუფის ისევე როგორც ყველა მისი კოლეგისა და კლიენტის მოქნილობა და ხასიათი. უფრო მეტიც, ჯგუფმა დახმარება გაუწია საქართველოს ეკონომიკას, მის კლიენტებს და თანამშრომლებს. საქართველოს ბანკის ჯგუფის საქმიანობა ძალიან მყარი გააზრებული იყო 2020 წლის პირველ ნახევარში, და უზრუნველყო მნიშვნელოვანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვები (ECL) პირველ კვარტალში რათა მოეცვა გლობალურ პანდემიასთან კოვიდ -19-თან დაკავშირებული ყველა მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი სრული ეკონომიკური ციკლის განმავლობაში. ჯგუფის საქმიანობა 2020 წლის მეორე კვარტალში უკიდურესად სიცოცხლისუნარიანი გახდა, თავისი ძლიერი რენტაბელობით იმ დროის განმავლობაში როცა საქართველოს ეკონომიკა აქტიურად განიცდიდა ვარდნას რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში.

ჯგუფის მისია და მისი სტრატეგია უცვლელი რჩება. საქართველოს ბანკს აქვს ორი ზუსტად განსაზღვრული საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიული მიზანი: მიაღწიოს სულ მცირე 20%-იან უკუგებას საკუთარ კაპიტალზე, და უზრუნველყოს საკრედიტო პორტფელის 15%-იანი ზრდა. მისი ზუსტად განსაზღვრული მიზნების პირობებში საქართველო ფოკუსირებული იყო იმაზე, რომ მის საქმიანობაზე 2020 წელს აუცილებლად მოახდენდა გავლენას ადგილობრივი კოვიდ-19-ზე, თუმცა ჯგუფმა უკვე დაიწყო მისი მიზნობრივი რენტაბელობისს მიმართულებით მუშაობა. მისი საქმიანობა და საბალანსო ანგარიში ასახავს საიმედოობას, აქტივის ხარისხი სიცოცხლისუნარიანობას და ჯგუფი რჩება კომფორტულ მდგომარებაში, მისი ეკონომიკური სცენარის სტრესზე გამოცდის ვარაუდების პირობებში, მნიშვნელოვანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვები ადეკვატურობით , რომელიც შეიქმნა 2020 წლის პირველ კვარტალში. ჯგუფს აქვს კარგი პოზიცია სამომავლოდ, თავისი გამორჩეული ჯგუფით, კარგად ფონდირებასა და ლიკვიდურობასთან და კაპიტალურ რესურსებთან ერთად.

საკრედიტო პორტფელის მდგრადმა განვითარებამ, როგორც საცალო ასევე კორპორატიულ და საინვესტიციო ბიზნესში, დასტაბილურა ინდივიდუალური პროდუქტზე გაცემული კრედიტის შემოსავლიანობა, შეამცირა ფონდირების ღირებულება, და გაზარდა აქტივის ხარიხის, შედეგად 2019 წელსწინა წელთან შედარებით 27.0 %-ით გაიზარდა კორექტირებული მოგება. საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლების ზრდამ გამოიწვია საოპერაციო შემოსავლის 8.1%-ით ზრდა წინა წელთან შედარებით

ჩვენმა სულ უფრო მზარდმა ფოკუსირებამ კრედიტირებაზე იპოთეკურ სეგმენტში და უფრო დახვეწილ მარჟიან კორპორატიულ და მცირე და საშუალო საწარმოების კლიენტებში, გამოიწვია ნეგატიური შერეული ეფექტი კრედიტებიდან მთლიან შემოსვალზე და სუფთა საპროცენტო მარჟაზე, რომელიც 2019 წელს შემცირდა 90 საბაზისო პუნქტით წინა წელთან შედარებით.

2020 წელს და შემდეგ, ჩვენ გავაგრძელებთ ფოკუსირებას რენტაბელური შემოსავლების ზრდაზე, რომელიც უნდა უზრუნველყოს კლიენტის კრედიტირების ზრდის მდგრადმა დონეებმა აქტივის ხარისხის შემცირების გარეშე, გაზარდოს შემოსავლის წილი ანაზღაურებადი ოპერაციების შექმნით და ეკონომიური ეფექტურობის გაძლიერებით.

რენტაბელობის KPI-ები

დივერსიფიცირებული შემოსავლის წყარო, მზარდი საკრედიტო პორტფელი, გაუმჯობესებული აქტივის ხარისხი ხარჯების მოწესრიგებული მართვა, და საკომისიოებიდან შემოსავლის ზრდა, მომგებიანობის თვალსაზრისით განსაკუთრებული შედეგების ძირითადი საშუალებები იყო.

საკრედიტო პორტფელის მდგრადმა განვითარებამ, როგორც საცალო, ასევე კორპორატიულ და საინვესტიციო ბიზნესში, დასტაბილურა ინდივიდუალური პროდუქტზე გაცემული კრედიტის შემოსავლიანობა, შეამცირა ფონდირების ღირებულება, და გაზარდა აქტივის ხარიხი, შედეგად წინა წელთან შედარებით 27.0 %-ით გაიზარდა კორექტირებული მოგება 2019 წელს. საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლების ზრდამ გამოიწვია საოპერაციო შემოსავლის წინა წელთან შედარებით 8.1%-ით ზრდა.

ჩვენი სულ უფრო უფრო მზარდმა ფოკუსირებამ კრედიტირებაზე იპოთეკურ სეგმენტში და უფრო დახვეწილი მარჟიან კორპორატიულ და მცირე და საშუალო საწარმების კლიენტებში, გამოიწვია ნეგატიური შერეული ეფექტი კრედიტებიდან მთლიან შემოსვალზე და სუფთა საპროცენტო მარჟაზე, რომელიც 2019 წელს შემცირდა 90 საბაზისო პუნქტით წინა წელთან შედარებით.

2020 წელს და შემდეგ, ჩვენ გავაგრძელებთ ფოკუსირებას რენტაბელური შემოსავლების ზრდაზე, რომელიც უნდა უზრუნველყოს კლიენტის კრედიტირების ზრდის მდრადმა დონეებმა ატქივის ხარისხის შემცირების გარეშე, გაიზარდოს შემოსავლის წილი ანაზღაურებადი ოპერაციების შექმნით და ეკონომიური ეფექტურობის გაძლიერებით.

კორექტირებული მოგება [1]
(მილიონი ლარი)

527.1

2017	338.9
2018	415.1
2019	527.1

ერთჯერადად გადახდებთან დაკავშირებით კორექტირებული მოგება განგარიშებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად და ასახავს სხვა დაკავშირებული საწარმოების ოპერაციებიდან შემოსავალს და მოგებას, გამოკლებული საოპერაციო ხარჯები, და რისკის ღირებულებას, არაერთჯერად პუნქტებს და საშემოსავლო გადასახადის ხარჯებს.

საკუთარი კაპიტალის საშუალო რენტაბელობა (კორექტირებული) (ROAE)
Error! Bookmark not

27.8%

2017	24.4%
2018	26.3%
2019	27.8%

-30 bps y-o-y

აქციონერებისთვის განკუთვნილი მოგება დაყოფილია მთლიანი კაპიტალის საშუალო თვიურ მაჩვენებზე რომელიც განკუთვნილია აქციონერებისთვის. აქციონერებს მიკუთვნებული მთლიანი კაპიტალი შედგება საკუთრების კაპიტალისგან, დამატებით გადახდილი კაპიტალისგანშ სახაზინო აქციებისგან , გაუნაწილებელი მოგებისგან და სხვა რეზერვებისგან.

მოგება (ასახული)
(მილიონი ლარი)

512.9

2017	338.9
2018	343.5
2019	512.9

მოგება გაანგარიშებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად და ასახავს სხვა დაკავშირებული საწარმოების ოპერაციებიდან შემოსავალს და მოგებას, გამოკლებული საოპერაციო ხარჯები, და რისკის ღირებულებას, არაერთჯერად პუნქტებს და საშემოსავლო გადასახადის ხარჯებს.

საკუთარი კაპიტალის საშუალო რენტაბელობა (ROAE) (ასახული)

27.0%

2017	24.4%
2018	21.8%
2019	27.0%

+250 bps y-o-y

აქციონერებისთვის განკუთვნილი მოგება დაყოფილია მთლიანი კაპიტალის საშუალო თვიურ მაჩვნებზე რომელიც განკუთვნილია აქციონერებისთვის. აქციონერებს მიკუთვნებული მთლიანი კაპიტალი შედგება საკუთრების კაპიტალისგან, დამატებით გადახდილი კაპიტალისგანშ სახაზინო აქციებისგან , გაუნაწილებელი მოგებისგან და სხვა რეზერვებისგან..

სააზისო შემოსავლები ერთ აქციაზე (ლარი)

18.33

2017	12.18
2018	12.35
2019	18.33

აქციონერებისთვის მიკუთვნებული მოგება გაყოფილია გადაუხდელი აქციების ზეწონილი სამუალო რაოდენობაზე, გამოკლებული სახაზინო აქციები.

[1] 2019 წელს ჩვენ დავაკორექტირეთ მოგება და გამოყენებულ აქტივებზე მოგება და გამოვრიცხეთა 14.2 მლნ ლარის თანამშრომლების ხარჯების ერთჯერადი გადახდა (საშემოსავლო გადასახადის გამოკლებით), რომელიც უკავშირდებოდა ყოფილი დირექტორის და აღმასრულებელი მენეჯმენტის საბოლოო ანაზღაურებას, 2018 წელს კორექტირებული მოგება და გამოყენებულ აქტივებზე მოგება 71.5 მლნ ლარის გამოკლებით (საშემოსავლო გადასახადის გამოკლებით) ხელახლა შეფასებული გადავადებული საგადასახადო ბალანსები, დაყოფასთან დაკავშირებული ხარჯები, და ყოფილი დირექტორის საბოლოო ანაზღაურებისთვის თანამშრომლის ხარჯების ერთჯერადი გადახდის გავლენა.

ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები

ჩვენი მოწინავე ტექნოლოგიის ციფრული საბანკო არხები, როგორიცაა mBank და iBank, ისევე როგორც ექსპრეს გადახდის ტერმინალები, არის ჩვენი ბიზნესის ეფექტურობის მთავარი სტიმული. ჩვენს საინფორმაციო ტექნოლოგიებში არსებულმა ინვესტიციამ, ციფრულმა და ინფორმაციულმა შესაძლებლობებმა, ისევე როგორც მარკეტინგულმა და ფილიალის ქსელმა 2019 წელს 8.3 %-მდე გაზარდა საოპერაციო ხარჯები წინა წელთა შედარებით. 2019 წელს ერთჯერადი გადახდების ხარჯების გამოკლებით .

თუმცა ამ ინსვეტიციამ გამოიწვია როგორც ძლიერი ფრანშიზის ზრდა ასევე რენტაბელობა. ეს უკვე აისახა გაცილებით მაღალი მობილური საბანკო მომსახურებების ტრანზაქციებით, რის შედეგადაც ტრანზაქციები თითქმის გაორმაგდა 2019 წელს 35.9 მილიონ ტრანზაქციამდე, რადგან ჩვენ გავაგრძელეთ მობილური ბანკინგის ტრანზაციებზე გადასვლა სხვა არხებიდან, მთლიანობაში ფიზიკური კლიენტების 93%-ზე მეტი ყოველდღიური ტრანზაქცია ახლა ხორციელდება ციფრული არხების საშუალებით.

2018 წლიდან დაწყებული, ჩვენ განვახორციელეთ სწრაფი მიწოდება ჩვენი საინფორმაციო ტექნოლოგიის განყოფილებში, რომლის მიზანია განახორციელოს სამუშაოს ოპტიმიზაცია და კოორდინაციის პროცესი, და გაზარდოს საბოლოო პროდუქტის ხარისხი და სარგებლიანობა. 2018 წელს, ბანკმა ასევე დანერგა წამყვანი პროექტი, რომელმაც გამოასწორა დოკუმენტების დამუშავების პროცედურები, და დანერგა პროცესის მთლიანი ეტაპის ოპტიმიზაცია ბიზნესში. ყველა ეს ინიციატივა მიმართულია პოტენციურ ეფექტურობაში შემდგომი პოტენციალის ზრდის გამოყენების მიმართულებით.

გარდა ამისა, ჩვენ მოველით რომ გავაუმჯობესებთ ჩვენი ხარჯი შემოსავლების შეფარდებას რათა მივიღოთ 35%-იანი დონე

ხარჯის შემოსავალთან შეფარდება (კორექტირებული)[15]

36.0%

2017	37.6%
2018	36.0%
2019	36.0%

საოპერაციო ხარჯები დაყოფილია საოპერაციო შემოსავლების მიხედვით.

საოპერაციო ბერკეტი (კორექტირებული)[15]

-0.2%

2017	-4.5%
2018	5.0%
2019	-0.2%

Operating leverage is measured as the percentage change in operating income less the percentage change in operating expenses.

ხარჯი შემოსავალთან შეფარდება (ასახული)

37.2%

2017	37.6%
2018	36.0%
2019	37.2%

საოპერაციო ხარჯები დაყოფილი საოპერაციო შემოსავლის მიხედვით

სუფთა საკრედიტო პორტფელი

27.5%

2017	17.5%
2018	22.9%
2019	27.5%

კლიენტებზე გაცემული სუფთა კრედიტები და ფინანსური იჯარიდან მისაღები თანხები წლის ბოლოს წინა წელთან შედარებით

საკრედიტო პორტფელი 2019 წელს 27.5%-ით გაიზარდა. დაფიქსირდა 18.5%-იანი ზრდა საცალო ბანკინგის ბიზნესის საკრედიტო პორტფელში და 48.1%-ით გაიზარდა კორპორატიული და საინვესტიციო ბანკინგის საკრედიტო პორტფელში. ჩვენ მოველით, რომ კლიენტის კრედიტირების ზრდა საშუალო და გრძელვადიანი პერიოდში იქნება დაახლოებით c.15%.

[15] 2019 წელს ჩვენ დავაკორექტირეთ მოგება და გამოყენებულ აქტივებზე მოგება და გამოვრიცხეთ 14,2 მლნ ლარის თანამმრომლების ხარჯების ერთჯერადი გადახდა (საშემოსავლო გადასახადის გამოკლებით), რომელიც უკავშირდებოდა ყოფილი აღმასრულებელი მენეჯმენტის საბოლოო ანაზღაურებას,.

აქტივის ხარისხის ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები

ჩვენი აქტივის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 2019 წელს, და ძირითადად ასახავს ახალ მარეგულირებელ გარემოს, ასევე ჩვენი ჯგუფის რისკი მართვის პოლიტიკას, კარგი კრედიტირების დისციპლინას, დაბალრისკიანი პორტფელს და საქართველოს ეკონომიკის არსებულ კონცენტრაციას. საკრედიტო რისკის კოეფიციენტი 2018 წელს 1.7%-დან 0.8%-მდე შემცირდა 2019 წელს. ვადაგადაცილებული კრედიტები 2018 წლის ბოლოს 3.3%-დან გაუმჯობესდა 2.1%-მდე 2019 წლის ბოლოს, ხოლო ვადაგადაცილებული კრედიტების მოცვის კოეფიციენტი 2018 წელს 90.0%-დან შემცირდა 77.7%-მდე 2019 წლის ბოლოს.

ხარჯი საკრედიტო რისკის შეფარდება

0.8%

2017	2.3%
2018	1.7%
2019	0.8%

საკრედიტო რისკის ღირებულება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის/ კლიენტებზე გაცემული კრედიტების სამაზრო სამართლიანი ღირებულების და ფინანსური იჯარიდან მისაღები თანხების შემცირების ტოლია წლისთვის , რომელიც გაყოფილია იმავე წელს კლიენტებზე გაცემული ყოველთვიური საშუალო მთლიანი კრედიტების და ფინანსური იჯარიდან მისაღები თანხების

ვადაგადაცილებული კრედიტის მოცვის კოეფიციენტმა დააკორექტირა უზრუნველყოფის დისკონტირებული ღირებულება

136.4%

2017	129.8%
2018	129.4%
2019	136.4%

ვადაგასული კრედიტების მოცვის კოეფიციენტი კორექტირებულია უზრუნველყოფის დისკონტირებულ ღირებულებასთან დაკავშირებით და უდრის მოსალოდნელი კრედიტის დანაკარგის რეზერვს/კლიენტებზე გაცემული კრედიტების სამაზრო სამართლიანი ღირებულების და ფინანსური იჯარიდან მისაღები თანხები გაყოფილი ვადაგასულ კრედიტებზე (უზრუნველყოფის დისკონტირებულ ღირებულება ემატება უკან მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს/გაუფასურებულ სიდიდის რეზერვს).

კაპიტალის ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩვენი ბაზელ III 1-ლი რიგის საბაზისო კაპიტალი (CET1), 1-ლი რიგის და მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი შესაბამისად იყო 11.5%, 13.6% და 18,6% ნიშნულზე, ყველა იყო მინიმალურ მოთხოვნილ დონეებზე 10.1%, 12.2% და 17.1%, მეტი. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის რისკ-შეწონილი აქტივები გაიზარდა 22.3%-ით წინა წელთა შედარებით და ასახა წლის განმავლობაში პროცენტიანი მოგების მომტანი აქტივების ზრდა. ჩვენ კვლავაც გვაქვს შიდა კაპიტალის მაღალი დონეები შიდა კაპიტალზე, როგორც საშუალო კაპიტალზე ბანკის მაღალი შემოსავლის, ასევე ახალი ნომინალური გარემოს წყალობით ჩვენი კრედიტირების ზრდის ლიკვიდური აქტივების გაუმჯობესების შედეგად.

საშუალო ვადაში, ჩვენი მიზანია შევინარჩუნოთ დაახლოებით 200 სბაზისო პუნქტის ბუფერი 1-ლი რიგის საბაზისო კაპიტალი (CET1), 1-ლი რიგის და მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი მინიმალური ნომინალური მოთხოვნების შესაბამისად.

1-ლი რიგის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (NBG, Basel III)

საქართველოს ბანკი

13.6%

2017	12.4%
2018	12.2%
2019	13.6%

სებ (ბაზელ III) 1-ლი რიგის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი უდრის 1-ლი რიგის კაპიტალი გაყოფილი მთლიანი რისკის შეწონილ აქტივზე, ორივე განგარიშებულია სებ-ის მითითებების შესაბამისად

ეკონომიკური ბერკეტი (ჯერადობა)

7.8

2017	7.5
2018	7.4
2019	7.8

ეკონომიკური ბერკეტი (ჯერადობა) უდრის მთლიანი ვალდებულებები გაყოფილი მთლიან კაპიტალზე.

არა-ფინანსური ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები

ბანკი ინარჩუნებს კლიენტის კმაყოფილების დონეს მრავალი გამოკითხვის არხის და რამდენიმე ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლის საშუალებით, რასაც მოსდევს „ წრის დაკეტვის“ პროცესი. ბანკი ითვალისწინებს კლიენტების გამოხმაურებებს, რომელსაც ის აგროვებს ყოველდღიურ რეჟიმში და ყოველდღიურად მუშაობს რომ კლიენტის გამოცდილება ჩართოს თავის პროცესში. ჩვენ დავიწყეთ პერსონალის მხარდაჭერის სუფთა ინდექსის (ENPS) შეფასება 2019 წელს და გავაგრძელებთ მის მონიტორინგს ექვს თვეში ერთხელ.

მომავალში ჩვენ ვაპირებთ გავაუმჯობესოთ ეს არაფინანუსური ეფეტურობის ძირითადი მაჩვენებელები და გავხდეთ „საყვარელი ბანკი“ საქართველოში.

კლიენტების ლოიალობის მაჩვენებელი (NPS)

საქართველოს ბანკი

42.3%

2017 27.4%
2018 38.8%
2019 42.3%

კლიენტის ლოიალობის მაჩვენებლი კითხვები: 0-10 -ის მასშტაბი, რას ურჩევდით ჩვენს ბანკს როგორც მეგობასრ ან კოლეგას?
პასუხები: 9 და 10- მხარდამჭერები 7 და 8- ნეიტრალურები; 1-6 მოწინააღმდეგები.
საბოლოო შედეგი კლიენტსი ლოიალობის მაჩვენებლი ტოლია მხარდამჭერების პროცენტს გამოკლებული მოწინააღმდეგეების პროცენტი

კლიენტი კმაყოფილება (CSAT)

საქართველოს ბანკი

28.1%

2017 25.0%
2018 25.3%
2019 28.1%

CSAT კითხვები: 1-5, რამდენად კმაყოფილი ხართ კონკრეტული არხით ან პარამეტრით?
საბოლოო შედეგი არის მთლიანი რესპოდენტების რაოდენობიდან რესპონდენტების პროცენტი რომელმაც უპასუხა 5-ს

პერსონალის მხარდაჭერის სუფთა მაჩვენებელი (ENPS)

საქართველოს ბანკი

46.0%

კლიენტის ლოიალობის მაჩვენებლი კითხვები: 0-10 , თქვენ როგორც თანამშრომელი რას ურჩევდით ჩვენს ბანკს როგორც მეგობასრ ან კოლეგას, როგორც დამქირავებელი?
პასუხები: 9 და 10- მხარდამჭერები 7 და 8- ნეიტრალურები; 1-6 მოწინააღმდეგები.
საბოლოო შედეგი პერსონალის მხარდაჭერის სუფთა მაჩვენებელი ტოლია მხარდამჭერების პროცენტს გამოკლებული მოწინააღმდეგეების პროცენტი

რისკის მართვა

კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულობის კულტურის შექმნა

ჩვენ ვავლენთ, ვაფასებთ, ვმართავთ და ვაკონტროლებთ ჩვენს წინაშე არსებულ რისკებს, ინტეგრირებული კონტროლის სისტემის საშუალებით, რომელიც გამყარებულია ოფიციალური წესებითა და პროცედურებით, ზუსტად განსაზღვრული უფლებამოსილების დონეებით და ყოვლისმომცველი ანგარიშგებით. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო ადასტურებს, რომ ჩვენი სისტემა გამოცდილია წლების განმავლობაში და ამ წლიური ანგარიშის დამტკიცების თარიღისთვის და რომ ის ინტეგრირებულია როგორც ჩვენი ბიზნეს საქმიანობის დაგეგმაში, ასევე მისი სიცოცხლისუნარიანობის შეფასების პროცესში.

მიმოხილვა

ჩვენი სამეთვალყურეო საბჭო, რომელსაც დახმარებას უწევს მისი აუდიტის და კორპორატიული მართვისა და რისკის კომიტეტები და დირექტორთა საბჭო, საბოლოოდ პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვასა და შიდა კონტროლზე. ბანკი დარწმუნებულია, რომ იმისთვის, რომ ჰქონდეს ეფექტური რისკის მართვის სისტემა, საჭიროა ძლიერი რისკის მართვის კულტურა ბანკის ფარგლებში და აქედან გამომდინარე, რისკის მართვა ინტეგრირებულია ყოველდღიურ ბიზნეს საქმიანობის პირობებში. ბანკი ცდილობს შექმნას გარემო, სადაც ღიად და გამჭვირვალედ ჩანს, თუ როგორ მიიღება გადაწყვეტილებები და იმართება რისკები, და სადაც ბიზნეს მენეჯერები ანგარიშვალდებულნი არიან თავიანთ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების მართვაზე და შიდა კონტროლის პროცესებზე. ბანკის კულტურა ასევე ცდილობს უზრუნველყოს, რომ რისკის მართვა იყოს ეფექტური, მომავალზე ორიენტირებული და თანმიმდევრული.

ჩვენი სტრუქტურა

სამეთვალყურეო საბჭოს მანდატი მოიცავს ბანკის რისკისადმი მიდრეკილებასა და რისკისადმი ტოლერანტულობის შეფასებას, ასევე, რისკის საფრთხეების მონიტორინგს, რათა ბანკის წინაშე არსებული მთავარი რისკების ხასიათი და მოცულობა შეესაბამებოდეს ბანკის საერთო და სტრატეგიულ მიზნებს.

სამეთვალყურეო საბჭო ანგარიშვალდებულია სისტემის ეფექტურობისა და რისკის მართვის პროცესის და შიდა კონტროლის შემოწმებაზე. ამ ვადებულების შესრულებაში მას დახმარებას უწევს აუდიტისა და კორპორატიული მართვის და რისკის კომიტეტები. სამეთვალყურეო საბჭოს, კომიტეტისა და დირექტორთა საბჭოს დონეზე, ჩვენ შევიმუშავეთ ოფიციალური წესები და პროცედურები, რომლებიც განმარტავს თუ როგორ უნდა მოხდეს რისკების სისტემატური გამოვლენა, შეფასება, შეჯამება, მართვა და მონიტორინგი.

თითოეული ბიზნესი მონაწილეობს რისკის მართვის პროცესში და ავლენს იმ მთავარ რისკებს, რომელიც გამოიყენება მისი ბიზნესის მიმართ. ჯგუფის წინაშე არსებული გაურკვევლობებს და მთავარი რისკები გამოვლენილია მისი „ქვემოდან-ზემოთ“ ტექნოლოგიის პროცესის გამოყენებით.

ყოველდღიურ რეჟიმში ბანკის დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვასა და სხვა შიდა კონტროლის წესებსა და პროცედურებზე. ჩვენი რისკის კულტურის საფუძველზე, მენეჯერებს გააჩნიათ რისკები მათი ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით. ბიზნესის ნებისმიერ დონეზე გამოვლენილი თითოეული რისკისთვის რისკი იზომება, რბილდება (თუ შესაძლებელია) ჩვენი პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად, რაც ექვემდებარება მონიტორინგს. მენეჯერები ვალდებული არიან განაცხადონ გამოვლენილი რისკის შესახებ და რეაგირება მოახდინონ ასეთ რისკებზე მუდმივად და ხშირად. დირექტორთა საბჭო რეგულარულად განიხილავს ქვემოდან-ზემოთ პროცესს დამოუკიდებელი გამოწვევის უზრუნველყოფით და რისკის მართვის შეფასებით და შიდა კონტროლი პოლიტიკის და პროცედურების საშუალებით. ჩვენი ანგარიშგების პროცესი საშუალებას იძლევა ძირითადი რისკების მართვა მოხდეს შესაბამისი უფლებამოსილების დონეზე და უზრუნველყოს მეტი დამაჯერებლობა კომიტეტებისა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის. ძირითადი სახეცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენს ჩვენს მთავარ რისკებზე და დაკავშირებულ შერბილების ღონისძიებებზე მოწმდება კვარტალურად (ან უფრო ხშირად, თუ აუცილებელია, სიტუაციიდან გამომდინარე სცილდება რეგულარული ანგარიშგების პროცესს) აუდიტის და კორპორატიული მართველობის და რისკის კომიტეტების მიერ, ყარემოებიდან გამომდინარე, და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. ჯგუფის წინაშე არსებული მთავარი რისკები და გაურკვევლობები ვლინდება ზემოთ მითითებული პროცესების საშუალებით.

ამ მთავარი რისკების დაგაურკვევლობების აღწერა, მათ შორის ბოლოდროინდელი ტრენდები და პერსპექტივები, ასევე შერბილების ღონისძიებები, შეგიძლიათ იხილოთ ანგარიშის 75 – 83 გვერდებზე.

შიდა კონტროლი

სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია შეამოწმოს და დაამტკიცოს შიდა კონტროლის ჯგუფის სისტემა და მისი ადეკვატურობა და ეფექტურობა. კონტროლი ს ღონისძიებები მოწმდება რათა გარანტირებული იყოს ჩვენს წინაშე არსებული რისკების ეფექტური მართვა. გარკვეული საკითხები -როგორიცაა მთავარი კაპიტალური დანახარჯების დამტკიცება, მნიშვნელოვანი შენაძენები ან გაყიდვები და მთავარი კონტრაქტები- ექსკლუზიურად სამეთვალყურეო სბაჭოს პრეროგატივაა, სხვა საკითხებზე, სამეთვალყურეო საბჭოს ხშირად ეხმარება როგორც აუდიტის და კორპორატიული მართვის , ასევე რისკის კომიტეტები.

ფინანსურ ანგარიშგებაზე მათ შორის ჯგუფის კონსოლიდაციის პროცესზე შიდა კონტროლთან დაკავშირებით, ჩვენი ფინანსური პროცედურები მოიცავს სისტემის, ტრანსაქციულ და მენეჯმენტის კონტროლის ღონისძიებებს. ჯგუფმა მოამზადა დეტალური ყოველთვიური ანგარიშები, რომელიც მოიცავს შედარებასთან ერთად შედეგების ანალიზს, რელევანტურ სტრატეგიულ გეგმებს, ბიუჯეტს, პროგნოზებსა და წინასწარ შედეგებს. ისინი წარმოდგენილია და მათ ამოწმებს დირექტორთა საბჭო, ყოველ კვარტალში – ბანკის მთავარი ფინანსური დირექტორის მოადგილე, და ფინანსური ჯგუფის სხვა წევრები განიხილავენ ფინანსური ანგარიშგების და დაკავშირებული შიდა კონტროლის ღონსძიებებს აუდიტის და კორპორატიული მმართველობის კომიტეთან ერთად, რომელიც მნიშვნელოვანი გამოვლენილი შედეგების შესახებ აცნობებს სამეთვალყურეო საბჭოს. აუდიტისა და კორპორატიული მმართველობის კომიტეტი ასევე კვარტალურად განიხილავს ნახევარი წლის და სრული წლის ფინანსურ ანგარიშგებებს და აცხადებს შესაბამის შედეგებს, და აცნობებ სამეთვალყურეო საბჭოს. გარეშე და შიდა აუდიტორები ესწრებიან აუდიტისა და კორპორატიული მმართვეობის კომიტეტის კრებას, და აუდიტის კომიტეტი ხვდება მათ რეგულარულად როგორც დირექტორთა საბჭოსთან ერთად, ასევე მის გარეშე.

ჩვენი აუდიტის და კორპორატიული მმარველობის და რისკის კომიტეტები ამოწმებენ საოპერაციო და რისკთან შესაბამისობის შიდა კონტროლის ღონისძიებებს ბანკის რისკების მთავარი დირექტორის მოადგილესთან და საწარმოო საკითხების დირექტორთან, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისა (AML) და შესაბამისობის განყოფილების ხელმძრვანელთან, შიდა აუდიტის ხელმძღვანელთან და დირექტორთა საბჭოს სხვა წევრებთან ერთად, კვარტალში ერთხელ. ნებისმიერი გამოვლენილი პრობლემის შესახებ ეცნობება სამეთვალყურეო საბჭოს. სამეთვალყურეო საბჭო ასევე იღებს რეგულარულ განცხადებებს უშუალოდ ბანკის თითოეული რისკის განყოფილებიდან. მთავარი რისკი და შიდა კონსტროლის საკითხები განხილულია თითოეულ განცხადებაში. შიდა აუდიტი ამოწმებს რისკის სფეროების რაოდენობას აუდიტისა და კორპორტაიული მმართველობის კომიტეტის მიერვე დამტკიცებული წლიურ პროგრამის საშუალებით. ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკითხი ან რისკები, რომლებიც წარმოიქმნა შიდა აუდიტის საშუალებით ეცნობა აუდიტის და კორპორატიული მმართველობის კომიტეტს, რომელიც აკონტროლებს რომ შესაბამისი ღონისძიებები განხორციელდეს დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების უზრუნველყოფისთვის. შიდა აუდიტის ხელმძღვანელს აქვს პირდაპირი კავშირი უფლება აუდიტისა და კორპორატიული კომიტეტის თავმჯდომარის წინაშე.

ჩვენი შიდა კონტროლის სისტემები ასევე მხარდაჭერილია ჩვენი შეტყობინების პოლიტიკით, რომელსაც ახლავს ონლიან რეჟიმში შეტყობინების პოლიტიკა, რაც საშუალებას აძლევს თანამშრომლებს და კლიენტებს ანონიმურად წარმოადგინონ დარღვევების შესახებ ინფორმაცია. შეტყობინების პოლიტიკაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სამეთვალყურეო საბჭოს, და სამეთვალყურეო საბჭო და აუდიტის და კორპორატიული მმართველობის კომიტეტი იღებს კვარტალურად და გარემოებიდან გამომდინარე პოლიტიკის მოქმედების შესახებ ბანკის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისა (AML) და შესაბამისობის განყოფილების ხელმძრვანელისგან ინფორმაციას ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.

ეფექტურობის შემწომება

ყოველ წელს, ჩვენ ვამოწმეთ ჩვენი რისკის მართვის პროცესების და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობას, აუდიტისა და კორპორატიული მმრთველობის და რისკის კომიტეტების დახმარებით. ეს შემოწმება მოიცავს ყველა მატერიალურ სისტემებს, მათ შორის ფინანსურ, საოპერაციო და შესაბამისობის კონტროლის ღონისძიებები. უკანასკნელმა შემოწმებამ მოიცვა 2019 წლის 31 დეკემბრამდე ფინანსური წელი და მოიპოვა დასტური დირექტორთა საბჭოსა და შიდა აუდიტის განყოფილებიდან. სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია დაასკვნას გონივრულად , რომ სათანადო შიდა კონტროლის ღონისძიებები და რისკის მართვის სისტემები შენარჩუნდეს და იმოქმედოს ეფექტურად 2019 წლის განმავლობაში, და რომ სისტემამ განაგრძოს ეფექტურად ოპერირება ამ წლიური ანგარიშის დამტკიცების თარიღამდე, ამ შემოწმებამ არ გამოავლინა მნიშვნელოვანი სუსტი და უარყოფითი მხარეები სისტემებში. რადგან ჩვენ არ გამოვავლინეთ რაიმე მნიშვნელოვანი ნაკლი ან სუსტი მხარე, ჩვენ ვაგრელებთ ჩვენი სისტემის გაუმჯობესებას და მთავარი რისკების განსაკუთრების კი გამოკვეთილი რისკების, შემდგომი შერბილების მიმართულებით.

ბანკის რისკის მართვა

ბანკი არის ჯგუფის შემოსავლების მთავარი ოპერატორი და მოქმედებს ფინანსური მომსახურების სექტორში, ამიტომ მისი რისკის მართვა და შიდა კონტროლის სისტემები ფუნდამენტურია ამ ჯგუფისთვის. ეს ბანკის რისკის მართვის ორგანოების მიერ განხორციელებული სამუშაო უბრუნდება უშუალოდ ჯგუფს.

ბანკის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბანკის რისკის მართვის და შიდა კონტროლის სისტემა აღწერილია ქვემოთ.

ბანკის როლი რისკის მართვის მთლიან სტრუქტურაში

რისკის მართვა ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ჯგუფისთვის და ჯგუფის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტია. ბანკის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი მთავარი რისკებია: საკრედიტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი, ბაზრის რისკი (მათ შორის, სავალუტო და გაცვლითი კურსის რისკები) და საოპერაციო რისკები და სამართლებრივი რისკები. მომდევნო პარაგრაფებში აღწერილია ბანკის რისკის მართვის პოლიტიკა და ამ რისკებთან დაკავშირებული პროცედურები. ბიზნეს რისკები, როგორიცაა გარემოს, ტექნოლოგიის და მრეწველობის ცვლილება, კონტროლდება ბანკის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის საშუალებით.

ბანკის რისკის მართვის სისტემა ეფუძნება ნებისმიერი ოპერაციის პერიოდში რისკის მუდმივად შეფასების პრინციპს და მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- რისკის იდენტიფიკაცია;
- კონკრეტული რისკის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება;
- მისაღები რისკის დონის განსაზღვრა;
- რისკის მონიტორინგი და ზიანის შემცირება;
- მიმდინარე მონიტორინგი და კონტროლი, რაც ეფექტური კორექტირებების საშუალებას იძლევა რაიმე ნეგატიური ცვლილების აღმოჩენის შემთხვევაში იმ მონაცემებში, რომლებზე დაყრდნობითაც გაკეთდა წინასწარი რისკის შეფასება;
- რისკის მართვის სისტემის ეფექტიანობის ანალიზი.

ბანკის რისკის მართვის ორგანოები



ბანკის რისკის მართვის ორგანოები

ბანკის რისკის მართვის მთავარი ორგანოები არის: სამეთვალყურეო საბჭო, აუდიტის და კორპორატიული მართვის კომიტეტი, რისკის კომიტეტი, მმართველი საბჭო, შიდა აუდიტი, საკრედიტო კომიტეტი, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO) , ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის და შესაბამისობისა და იურიდიულ დეპარტამენტი. სამეთვალყურეო საბჭო , აუდიტის და კორპორატიული მმართველობის კომიტეტი და რისკის კომიტეტი ასრულებს იმავე როლს რასაც ჯგუფის საბჭო, ჯგუფის აუდიტის კომიტეტი და ჯგუფის რისკის კომიტეტი ბანკის დონეზე.

დირექტორთა საბჭო. დირექტორთა საბჭოს აქვს საერთო პასუხისმგებლობა ბანკის აქტივის, ვალდებულებისა და რისკის მართვის აქტივობებზე, პოლიტიკასა და პროცედურებზე. იმისთვის, რომ ეფექტურად განხორციელდეს რისკის მართვის სისტემა, დირექტორთა საბჭო გადასცემს ინდივიდუალურ რისკის მართვის ფუნქციებს ბანკის ფარგლებში სხვადასხვა გადაწყვეტილების მიმღებსა და აღმასრულებელ ორგანოს.

შიდა აუდიტის დეპარტამენტი. შიდა აუდიტის დეპარტამენტი პასუხისმგებელია ბანკის ოპერაციების, მოქმედებების, სისტემებისა და პროცესების რეგულარულ შემოწმებასა და აუდიტზე, რათა შეაფასოს და მოიპოვოს გონივრული, დამოუკიდებელი და ობიექტური მხარდაჭერა და დამატებითი ღირებულებისა და ბანკის ოპერაციების გაუმჯობესებისთვის საჭირო საკონსულტაციო მომსახურებები.
ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტი დამოუკიდებელია ბანკის დირექტორთა საბჭოსგან. ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ინიშნება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და ანგარიშს აბარებს უშუალოდ ბანკის აუდიტისა და კორპორატიული მმართველობის კომიტეტს. ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტი განიხილავს ყველა შეფასებას ბანკის მმართველ საბჭოსთან და ანგარიშს აბარებს ბანკის აუდიტისა და კორპორატიული მმართველობის კომიტეტს მის მიერ გამოვლენილი შედეგებისა და რეკომენდაციების შესახებ.
შიდა აუდიტის კომიტეტის მიზანია განსაზღვროს არის თუ არა დირექტორთა საბჭოს მიერ შექმნილი და დანერგილი ბანკის რისკის მართვის, შიდა კონტროლისა და კორპორატიული მართვის პროცესები ადეკვატური და ფუნქციონირებს საიმისოდ, რომ უზრუნველყოს:

- მატერიალური რისკები, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ, საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და საოპერაციო რისკებს, სათანადოდ იყოს იდენტიფიცირებული, შეფასებული, გაზომილი და მართული მთელს ბანკში, აუთსორსინგზე გადაცემული საქმიანობის ჩათვლით;
- სათანადოდ განხორციელდეს სხვადასხვა შიდა მმართველ ჯგუფებთან ურთიერთობა;
- მნიშვნელოვანი ფინანსური, მმართველობითი და საოპერაციო ინფორმაცია იყოს ზუსტი, საიმედო და დროული;
- ბანკი და მისი თანამშრომლები მოქმედებდნენ პატიოსნად და მათი ქმედებები შეესაბამებოდეს ნორმებს, სტანდარტებს, პროცედურებს და მოქმედ კანონმდებლობებსა და რეგულაციებს;
- რესურსების შეძენა ხდებოდეს ეკონომიურად, გამოიყენებოდეს ეფექტურად, და დაცული იყოს ადეკვატურად;
- პროგრამები, გეგმები და მიზნები სრულდებოდეს; და
- მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ან მარეგულირებელი საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზაციაზე, გამოვლინდეს და იმართოს დროულად და სათანადოდ.

იმისთვის, რომ შეასრულოს თავისი ფუნქციები, ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტს შეუზღუდავად მიუწვდება ხელი ბანკის ყველა ფუნქციაზე, ჩანაწერებზე, ქონებასა და პერსონალზე.

საკრედიტო კომიტეტი. ბანკს აქვს ხუთი საკრედიტო კომიტეტი (ერთობლივად „საკრედიტო კომიტეტები"), სადაც თითოეული პასუხისმგებელია ფიზიკური პირებისა და შეძლებული კლიენტების, კორპორატიული სესხების და კონტრაგენტების სესხებთან დაკავშირებით ბანკის საკრედიტო რისკის ზედამხედველობასა და მართვაზე. ეს სამი კომიტეტია: ფიზიკური კლიენტების საბანკო მომსახურების კომიტეტი, კორპორატიული საბანკო მომსახურების საკრედიტო კომიტეტი და ფინანსური და სამთავრობო კონტრაგენტის რისკის მართვის კომიტეტი (FGCRMC). ეს კომიტეტი მართავს, ამოწმებს და აკონტროლებს კონტრაგენტის რისკს ბანკის ფინანსურ და სამთავრობო კონტრაგენტებთან დაკავშირებით. თითოეული საკრედიტო კომიტეტი ამტკიცებს ინდივიდუალურ საკრედიტო ტრანზაქციას.

საკრედიტო კომიტეტის ქვეკომიტეტები საცალო და კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო კრედიტებისთვის

	ქვეკომიტეტი თავმჯდომარე	დასტურის ლიმიტი კორპორატიული საბანკო კრედიტებისთვის (აშშ)
რიგი I	შესაბამისი საკრედიტო რისკის დეპარტამენტის რისკის მენეჯერი	გამოკლებული 2.0 მილიონ აშშ დოლარზე ნაკლები
რიგი II	საკრედიტო რისკი დეპარტამენტის ხელმძღვანელი და მოადგილე	2.0 მილიონ აშშ დოლარსა და 10 მილიონ აშშ დოლარს შორის
რიგი III	ხელმძღვანელი/საკრედიტო რისკის შეფასება	10 მილიონ აშშ დოლარზე მეტი

	ქვეკომიტეტი თავმჯდომარე	დასტურის ლიმიტი საცალო საბანკო კრედიტებისთვის (აშშ)
რიგი I	შესაბამისი საკრედიტო რისკის მართვის განყოფილება	200,000 აშშ დოლარზე ნაკლები
რიგი II	საკრედიტო რისკის მართვის განყოფილების ხელმძღვანელი	200,000 -სა და 2.0 მილიონ აშშდ-ს შორის
რიგი III	საკრედიტო რისკის შეფასება/შესაბამისი საცალო ბანკინგის მიმართულების ხელმძღვანელი	2.0 მილიონი აშშ დოლარზე მეტი

თითოეული საკრედიტო კომიტეტი შედგება რიგი ქვეკომიტეტებისგან. ფინანსური და სამთავრობო კონტრაგენტის რისკის მართვის კომიტეტი მოიცავს ორ ქვეკომიტეტს. ეს კომიტეტი შედგება ექვსი წევრისგან - გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მიმართულებით, გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების საკითხებში, დირექტორის მოადგილე კორპორატიული საინვესტიციო ბანკინგის მიმართულებით, რაოდენობრივი რისკის მართვის დეპარატმენტის ხელმძღვანელი, ხაზინის ხელმძღვანელი და სავაჭრო ფინანსების ხელმძღვანელი. ხმათა უმრავლესობა საკმარისია დასამტკიცებლად. თუ პოტენციური საკრედიტო მოცულობა აღემატება 10.0 მილიონ აშშ დოლარს, მაშინ გადაწყვეტილება მისაღებად გადაეცემა ALCO-ს.

ნაკლები მოცულობის საკრედიტო განცხადებებს ამტკიცებენ შესაბამისი საკრედიტო რისკის კომიტეტის საკრედიტო რისკის მენეჯერები. 1.0 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის მცირე და საშუალო საწარმოების სესხებს ამტკიცებს მცირე და საშუალო საწარმოების საკრედიტო რისკის ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელი. კორპორატიული სესხების საკრედიტო კომიტეტი შედგება სამი ქვეკომიტეტისგან. გენერალური დირექტორის მონაწილეობა საჭიროა 10.0 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის კრედიტის დროს. მსესხებელთა ერთი ჯგუფისთვის 35.0 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის ყოველი კრედიტის შემთხვევაში, აუცილებელია სამეთვალყურეო საბჭოს დასტური. ქვედა რგოლის ქვეკომიტეტები იკრიბებიან ყოველდღიურად, მაშინ როცა უფრო მაღალი რგოლის ქვეკომიტეტები ჩვეულებრივ იკრიბებიან სამჯერ-ოთხჯერ კვირაში. საკრედიტო კომიტეტების თითოეული ქვეკომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს შესაბამისი წევრების ხმათა უმრავლესობით.

პრობლემური აქტივების კომიტეტს ხელმძღვანელობს ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი: პრობლემური სესხების მართვის დეპარტამენტის ხელძღვანელი (პირველი დონე უკავშირდება 500,000 ლარამდე სესხებს), გენერალური დირექტორის მოადგილე ოპერაციების მიმართულებით (მეორე დონე უკავშირდება სესხებს 500,000-1,000,000 ლარის დიაპაზონში) და გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მიმართულებით (მესამე დონე უკავშირდება 1,000,000 ლარზე მეტ სესხებს). პრობლემური სესხების მართვის დეპარტამენტი მართავს ბანკის რისკებს პრობლემურ სესხებთან მიმართებაში და ანგარიშს აბარებს გენერალური დირექტორის მოადგილეს ოპერაციების მიმართულებით. გადაწყვეტილებები ყველა კორპორატიულ კრედიტებთან დაკავშირებით, რომელიც იმართება პრობლემური კრედიტების მართვის დეპარტამენტის მიერ ხორციელდება გენერალური დირექტორის მიერ, ოპერაციების მიმართულებით და გენერალური დირექტორის მიერ რისკის მიმართულებით,

კორპორატიული სესხების ამოღების კომიტეტს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მიმართულებით და ის პასუხისმგებელია სესხებთან დაკავშირებით ბანკის ყველა რისკის მონიტორინგზე, რომლებსაც მართავს კორპორატიული სესხების ამოღების დეპარტამენტი. კორპორატიული სესხების ამოღების დეპარტამენტი ანგარიშს აბარებს გენერალური დირექტორის მოადგილეს კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურების მიმართულებით.

აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO). აქტივისა და ვალდებულების მართვის კომიტეტი არის მთავარი რისკის მართვის ორგანო, რომელიც განსაზღვრავს კაპიტალის ადეკვატურობასთან, საბაზრო რისკებთან და შესაბამის ლიმიტებთან, დაფინანსების ლიკვიდურობის რისკთან და შესაბამის ლიმიტებთან, საპროცენტო განაკვეთისა და წინასწარ გადახდის რისკებთან და შესაბამის ლიმიტებთან, ფულის ბაზრის საერთო პირობებსა და საკრედიტო რისკის ლიმიტებთან დაკავშირებულ წესებსა და მიმართულებებს. აქტივისა და ვალდებულების მართვის კომიტეტი ქმნის და პრაქტიკაში ნერგავს შესაბამის რისკის მართვისა და სტრეს ტესტის მოდელებს და რეგულარულად აკონტროლებს არსებულ რისკის ლიმიტებთან შესაბამისობას, და ამტკიცებს არასტანდარტული პირობების სახაზინო გარიგებებს. კერძოდ, აქტივისა და ვალდებულების მართვის კომიტეტი:

- განსაზღვრავს ფულის ბაზრის საკრედიტო რისკის მოცულობას / კრედიტის ლიმიტებს;
- განსაზღვრავს ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტებს სადღეღამისო პოზიციებთან დაკავშირებით;
- განსაზღვრავს „სტოპ-ლოსის“ ლიმიტებს სავალუტო ოპერაციებისა და ფასიანი ქაღალდებისათვის;
- აკონტროლებს არსებულ სავალუტო რისკთან, საპროცენტო განაკვეთის რისკთან და დაფინანსების ლიკვიდურობის რისკთან დაკავშირებული რისკის მართვის მოდელებთან შესაბამისობას;
- განსაზღვრავს სხვადასხვა ვადიანობის მიხედვით საპროცენტო განაკვეთების დიაპაზონებს, რომლებშიც ბანკს შეუძლია განათავსოს თავისი ლიკვიდური აქტივები და მოიზიდოს დაფინანსება, და
- ამოწმებს ფინანსური დეპარტამენტის და ფინანსური და სამთავრობო კონტრაგენტის რისკის მართვის კომიტეტის მიერ მომზადებულ სხვადასხვა სტრეს ტესტებსა და კაპიტალის ადეკვატურობის მოდელებს.

აქტივისა და ვალდებულების კომიტეტს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი და კომიტეტი იკრიბება ნებისმიერ დროს, როცა ის ამას საჭიროდ ჩათვლის, და გადაწყვეტილებების მიღება ხდება მისი წევრების ხმათა უმრავლესობით. აქტივისა და ვალდებულების კომიტეტის წევრები არიან: გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების საკითხში, გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მიმართულებით, გენერალური დირექტორის მოადგილე კორპორატიული საბანკო საქმიანობის მიმართულებით, გენერალური დირექტორის მოადგილე ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების მიმართულებით, და სახაზინო დეპარტამენტის ხელმძღვანელი. აქტივისა და ვალდებულების კომიტეტი ყოველთვიურად განიხილავს გასული პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებებს და ინდექსებს, მათ შორის, ბანკის ლიმიტებს/კოეფიციენტებს, ბალანსს, ოპერაციების ანგარიშგებებს, დაფარვის ვადიანობის დეფიციტს, საპროცენტო პოზიციას, კურსის ცვლილებებს, სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და დაფინანსების ლიკვიდურობის რისკის ანგარიშგებებს, მთლიანი ფულადი ნაკადების ანალიზს, კლიენტის ფულადი ნაკადების ანალიზს და კონცენტრაციის რისკის ანალიზს, და ასევე სამომავლო პროგნოზებს, სხვა ფინანსურ ანალიზს და მომავალი ზრდის გეგმებს.

აქტივისა და ვალდებულების კომიტეტი არის კაპიტალის ადეკვატურობის მართვის, ასევე შესაბამისი რისკების იდენტიფიკაციისა და მართვის მთავარი მმართველი ორგანო. აქტივისა და ვალდებულების კომიტეტი განსაზღვრავს ლიმიტებს და განიხილავს ამ ლიმიტების ფაქტობრივ შესრულებას, როგორც სებ-ის, ასევე, ბაზელ I-ის და ბაზელ II/III-ის კაპიტალის ადეკვატურობის რეგულაციებთან მიმართებაში. ფინანსური დეპარტამენტი პასუხისმგებელია რეგულარულ ყოველთვიურ მონიტორინგზე და ანგარიშის ჩაბარებაზე, რომელშიც გამოჩნდება სებ-ის, ბაზელ I-ის და და ბაზელ II/III-ის კაპიტალის ადეკვატურობის შესაბამისობა თავდაპირველ განცხადებებთან და აქტივისა და ვალდებულების კომიტეტის პოლიტიკებთან. კაპიტალის ადეკვატურობის მართვა, ასევე, ბანკის წლიური და ექვსთვიანი ბიუჯეტის დამტკიცება და ბიუჯეტის განხილვის პროცესები, ბანკის ყოველთვიური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია. ფინანსური დეპარტამენტი ამზადებს სებ-ის, ბაზელ I-ისა და ბაზელ II/III-ის კაპიტალური ადეკვატურობის ფაქტობრივ ანგარიშებს, ასევე, მათ პროგნოზებსა და ბიუჯეტებს და სხვადასხვა სტრეს სცენარებს ორივე რეგულაციისთვის, ხოლო, აქტივისა და ვალდებულების კომიტეტი და დირექტორთა საბჭო რეგულარულად განიხილავს მათ, გამოავლენს რისკებს, გასცემს რეკომენდაციებს, და საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგენს სამოქმედო გეგმებს.

იურიდიული დეპარტამენტი. იურიდიული დეპარტამენტის მთავარი მიზნებია იმის უზრუნველყოფა, რომ ბანკის საქმიანობები შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას და მინიმუმამდე ამცირებდეს სამართლებრივი რისკების მატერიალიზაციიდან წარმოქმნილ დანაკარგებს. იურიდიული დეპარტამენტი პასუხისმგებელია ბანკის საქმიანობებში სამართლებრივი რისკების დროულად გამოვლენისთვის საჭირო მექანიზმების გამოყენებასა და განვითარებაზე, ბანკის საქმიანობის გამოძიებაზე,რათა გამოვლინდეს ნებისმიერი სამართლებრივი რისკი, გამოვლენილი სამართლებრივი რისკების აღმოსაფხვრელად ყველა აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაზე, ბანკის სახელით სასამართლო პროცესებში მონაწილეობაზე, საჭიროების შემთხვევაში, და ბანკის იურიდიული დოკუმენტაციის ფორმატიანობის გაზრდის შესაძლებლობების შესწავლასა და მისი ბანკის ყოველდღიურ საქმიანობებში დანერგვაზე. იურიდიული დეპარატმენტი ასევე პასუხისმგებელია ბანკის და/ან მისი შვილობილი კომპანიების სტრუქტურული დაწყოფებისთვის იურიდიული დახმარების გაწევაზე.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა (AML) და შესაბამისობა. ბანკის ფულის გათეთრებასთან ბრძოლისა და შესაბამისობის დეპარტამენტი პასუხისმგებელია ბანკის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის დანერგვაზე (მათ შორის, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკასა და პროცედურების შემუშავებაზე, ტრანზაქციის მონიტორინგსა და ანგარიშგებაზე, და თანამშრომლების ტრენინგზე) მთელს ბანკში და მის შვილობილ კომპანიებში. ფულის გათეთრებასთან ბრძოლის პროგრამა ეფუძნება საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, FATF/Basel-ის, ევროპის პარლამენტის, აშშ-ს სანქციების პროგრამების სახაზინო დეპარტამენტის რეკომენდაციებს, დირექტივებსა და მოთხოვნებს, და ასევე, ადგილობრივ რეგულაციებს. ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტი ახორციელებს ბანკის ფულის გათეთრებასთან ბრძოლის სისტემებისა და კონტროლების შეფასებებს და უზრუნველყოფს შიდა კონტროლის ღონისძიებების დამოუკიდებლობას.

ბანკმა მიიღო რისკზე დაფუძნებული მიდგომა ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების მიმართ, მათ შორის, ფულის გათეთრებასთან ბრძოლის საერთო პოლიტიკა, კლიენტების მიღების პოლიტიკა და ფინანსური სანქციების შესაბამისობის პოლიტიკა. ბანკის რისკზე დაფუძნებული მიდგომა ნიშნავს, რომ ის იყენებს გაფართოებულ ფინანსურ ექსპერტიზას ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების მიმართ, ის განსაზღვრავს პროდუქტების, კლიენტების, მომსახურებების და იურისდიქციების მაღალი რისკის კატეგორიებს.

ბანკი ვალდებულია შეატყობინოს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ყველა ტრანზაქციის შესახებ, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ეს ანგარიშები ამჟამად წარმოდგენილია ფულის გათეთრებასთან ბრძოლისა და შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ ელექტრონული ფორმით კავშირს გარეთ რეჟიმში. ანგარიშგების პროცესი სრულად ავტომატიზებულია და გამყარებულია სპეციალური პროგრამული აპლიკაციით. უფრო მეტიც, ბანკი იყენებს ფულის გათეთრებასთან ბრძოლის სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც აკმაყოფილებს ინდუსტრიის მოთხოვნებს. ეს პროგრამა მოიცავს სანქციების, ასევე, აკრძალული პირებისა და ორგანიზაციების ჩამონათვალს, რომელიც განსაზღვრულია OFAC-ის, ევროკავშირის, გაეროსა და სხვა მსგავსი ორგანოების მიერ. მათ შორი გლობალური ახალი ამბები მონაცემთ ბაზა). ის საშუალებას იძლევა განხორციელდეს ყველა ტრანზაქციის სრულად ავტომატიზებული მონიტორინგი სპეციალური სიის მიხედვით. იმისათვის, რომ გამოავლინოს საეჭვო ტრანზაქციები.

ბანკს აქვს მარეგილირებელი ცვლილებოს მართვის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ახალ რეგულაციებთან დროულ შესაბამიობას, მათ შორის კონკრეტული სამოქმედო გეგმების მომზადებას, მონიტორინგს უწევს განხორციელების პროცესს და ზრდის ცნობიერებას თანამშრომლების ტრენინგის პროგრამის საშუალებით.

რისკის მართვის სისტემის დამნერგავი ორგანოები

ბანკის რისკის მართვის სისტემა ხორციელდება შემდეგი ორგანოების მიერ: საკრედიტო რისკის მართვის, რაოდენობრივი რისკის მართვისა და რისკის ანალიზის დეპარტამენტი, ხაზინის, საოპერაციო რისკის მართვის, იურიდიული, ფულის გათეთრებასთან ბრძოლისა და რეგულაციებთან შესაბამისობის და უსაფრთხოების დეპარტამენტები, ფინანსური დეპარტამენტი და სხვა დეპარტამენტები. საკრედიტო რისკის მართვის, რაოდენობრივი რისკის მართვისა და რისკის ანალიზის დეპარტამენტი და საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტები ანგარიშს აბარებენ გენერალური დირექტორის მოადგილეს რისკების მიმართულებით, ხოლო, იურიდიულ დეპარატმენტს ზედამხედველობას უწევს გენერალური იურიდიული კონსულტანტი, რომელიც პირდაპირ ანგარიშვალდებულია გენერალური დირექტორის წინაშე. ფინანსური დეპარტამენტი და სახაზინო დეპარტამენტი ანგარიშვალდებულნი არიან ფინანსების საკითხებში გენერალური დირექტორის მოადგილის წინაშე. ფულის გათეთრებასთან ბრძოლისა და შესაბამისობის დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია ოპერაციების მიმართულებით გენერალური დირექტორის მოადგილის წინაშე.

რაოდენობრივი რისკის მართვისა და რისკის ანალიზის დეპარატამენტი, ხაზინასთან კოორდინაციით, ახორციელებს ბანკის საბაზრო რისკის პოლიტიკას, არსებულ ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტებთან, კონტრაგენტის ლიმიტებთან, შესაძლო დანაკარგების VAR ლიმიტებთან და აქტივისა და ვალდებულების კომიტეტის მიერ განსაზღვრული საპროცენტო განკვეთის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფით.

სახაზინო დეპარტამენტი მართავს ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებს და მის მთლიან ფინანსურ სტრუქტურას, და ასევე უპირატესად პასუხისმგებელი არიან დაფინანსების და ბანკის ლიკვიდურობის რისკების მართვაზე.

ის მართავს სავალუტო კურსებს, ფულის ბაზარს, ფასიანი ქაღალდების პორტფელს და დერივატივების ოპერაციებს, აკონტროლებს ამ ოპერაციებისთვის აქტივისა და ვალდებულების კომიტეტის მიერ განსაზღვრულ ლიმიტებთან შესაბამისობას. სახაზინო დეპარტამენტი ასევე პასუხისმგებელია მოკლევადიანი ლიკვიდურობისა და სახაზინო თანხების ნაკადის მართვაზე, და აკონტროლებს ნაღდი ფულის მოცულობას ბანკის ბანკომატებში და მის სერვის ცენტრებში.

საკრედიტო რისკის მართვის დეპარატმენტი მართავს საკრედიტო რისკებს კონკრეტულ მსესხებლებთან დაკავშირებით და ფასებს მთლიანი საკრედიტო პორტფელის რისკებს. ის პასუხისმგებელია ბანკის საკრედიტო პოლიტიკასთან შესაბამისობასა და ბანკის სესხის პორტფელის ხარისხის მართვაზე.

პორტფელის რისკების მართვის დეპარატმენტი მართავს და აფასებს საკრედიტო რისკებს კონკრეტულ მსესხებლებთან დაკავშირებით და აფასებს მთლიანი საკრედიტო პორტფელის რისკებს და პასუხისმგებელია საკრედიტო დანაკარგების მინიმუმამდე შემცირების მიზნით საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ რეკომენდაციების უზრუნველყოფაზე. ის შეიმუშავებს ბანკის პორტფელის ხარისხის კონტროლის მოდელებს/მეთოდებს და უზრუნველყოფს ბანკის საკრედიტო პოლიტიკასა და არსებულ ლიმიტებთან შესაბამისობას.

საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტი გამოავლენს და აფასებს საოპერაციო რისკს ბანკის პროცესებისა და ოპერაციების ფარგლებში. ის ასევე გამოავლენს კრიტიკული რისკის არეალებს ან გაზრდილი რისკის დონის მქონე ოპერაციების ჯგუფებს და ავითარებს შიდა კონტროლის პროცედურებს საიმისოდ, რომ შეამციროს რისკები, ბიზნეს პროცესის ხელახალი დაგეგმვის სქემის საშუალებით (სხვა საშუალებებთან ერთად), მათ შორის, დოკუმენტების ცირკულაციით, ინფორმაციის ნაკადებით, ფუნქციების განაწილებით, წებართვებითა და პასუხისმგებლობებით.

საინფორმაციო უსაფრთხოების დეპარტამენტი ამოწმებს და მართავს საქართველოს ბანკის კიბერ უსაფრთხოებისა და საინფორმაციო სისტემებს.

იურიდიული დეპარტამენტი ამოწმებს ყველა ცვლილებას, რომელიც კი ხდება კანონმდებლობასა და რეგულაციებში. ის ასევე უზრუნველყოფს ინფორმაციას საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ყველა შესაბამის დეპარტამენტს ბანკის ფარგლებში. იურიდიული დეპარტამენტი მონაწილეობას იღებს კანონმდებლობის და რეგულაციების დოკუმენტების შედგენაში კანონმდებლებისა და მარეგულირებლების, გარკვეული ასოციაციების და სხვა პროფესიონალური ორგანოების თხოვნის შემდეგ.

საგადასახადო ანგარიშგება და საგადასახადო რისკების მართვის განყოფილება ფოკუსირებულია ბანკის საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობაზე, უზრუნველყოფს პრაქტიკულ კონსულტაციას და ამოწმებს საგადასახადო მოთხოვნებთან შესაბამისობას ბანკის ფარგლებში,

თითოეულ ჩამოთვლილ დეპარტამენტს აქვს თავისი პოლიტიკა და/ან სახელმძღვანელოები, რომლებიც დამტკიცებულია ბანკის დირექტორთა საბჭოს და/ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ (საჭიროების შემთხვევაში). სახელმძღვანელოები და პოლიტიკები მოიცავს ყოვლისმომცველ განმარტებებს ტრანზაქციის თითოეულ ეტაპზე, მათ შორის, და არა მხოლოდ, სახელმძღვანელოებს, რომლებიც ხაზს უსვამს აქტივისა და ვალდებულების მართვის წესებს, სავალუტო ოპერაციების პროცედურებს, ფიქსირებული შემოსავლების ინვესტიციების მითითებებს, ფიზიკური პირების საბანკო საქმიანობის პროცედურებს, სადეპოზიტო პოლიტიკას და საკრედიტო პოლიტიკას.

რისკის შეფასება და ანგარიშგება

ბანკი აფასებს რისკს იმ მეთოდის გამოყენებით, რომელიც ასახავს როგორც მოსალოდნელ დანაკარგს, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ნორმალურ გარემოებებში, ასევე მოულოდნელ დანაკარგებს, რომლებიც წარმოადგენს სხვადასხვა პროგნოზირების მოდელების საფუძველზე განსაზღვრულ საბოლოო ფაქტობრივი დანაკარგის მაჩვენებელს. ეს მოდელები იყენებს ძველი გამოცდილების საფუძველზე დაანგარიშებულ ალბათობებს, რომლებიც პერიოდულად კორექტირდება რათა ასახოს ეკონომიკური გარემო. ბანკი ასევე აკვირდება ყველაზე უარეს სცენარებს, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას უკიდურესი მოვლენების შემთხვევაში.

რისკების მონიტორინგი და კონტროლი ძირითადად ხორციელდება ბანკის მიერ განსაზღვრული ლიმიტების საფუძველზე. ეს ლიმიტები ასახავს ბანკის ბიზნეს სტრატეგიას და საბაზრო გარემოს, ასევე იმ რისკის დონეს, რომელიც მისთვის მისაღებია, შერჩეულ ინდუსტრიებზე დამატებითი ყურადღების გამახვილებით. ბანკი ასევე ახორციელებს მიმდინარე მონიტორინგსა და კონტროლს, რომელიც ეფექტური კორექტირებების საშუალებას იძლევა იმ შემთხვევაში, თუ მოულოდნელი ცვლილება მოხდა იმ გარემოებებში, რომლებსაც ემყარებოდა რისკის წინასწარი შეფასებები. გარდა ამისა, ბანკი აკონტროლებს და ზომავს მთლიან რისკის აღების უნარიანობას, შეწონილი რისკის საფრთხესთან მიმართებაში, ყველა რისკის ტიპისა და აქტივობის ფარგლებში.
ბანკს აქვს მართვის საანგარიშგებო სისტემა, რომელიც მოითხოვს საკრედიტო რისკის მართვის, რაოდენობრივი რისკის მართვისა და ანალიტიკური, ფინანსური და სახაზინო დეპარტამენტებისგან, მოამზადონ გარკვეული ანგარიშები ყოველდღიურად და ყოველთვიურად. ყოველდღიურად, თითოეულმა დეპარტამენტმა უნდა მოამზადოს ოპერაციების ანგარიშები, ბალანსი და ხაზინის ანგარიში (რომელიც მოიცავს ბანკის ღია სავალუტო პოზიციებს, ფულის ნაკადებს, ლიმიტებს და სხვა ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთებს), და იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ სავალდებულო ფინანსურ კოეფიციენტებთან შესაბამისობა დაცული იყო. ყოველთვიურად წარმოდგენილი უნდა იყოს სტრუქტურული ლიკვიდურობის დეფიციტი ანგარიში, საპროცენტო განაკვეთის რისკის ანგარიში, ყოველთვიური ფინანსური ანგარიშგებები და ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს კვარტალური ანგარიში, რომელიც მოიცავს ბანკის საქმიანობის ანალიზს ბიუჯეტთან მიმართებაში. ყველა ბიზნესიდან მიღებული ინფორმაცია მოწმდება და მუშავდება, რათა გაანალიზდეს, გაკონტროლდეს და გამოვლინდეს რისკები ადრეულ ეტაპზე. ეს ინფორმაცია წარმოდგენილია და განმარტება დირექტორთა საბჭოს და თითოეული ბიზნეს განყოფილების ხელმძღვანელს. ეს ანგარიში მოიცავს მთლიან საკრედიტო რისკებს, ლიკვიდურობის კოეფიციენტებს და რისკის პროფილის ცვლილებებს. ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აფასებს საკრედიტო დანაკარგების რეზერვის გონივრულობას. ბანკის დირექტორთა საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო იღებს ყოვლისმომცველ რისკის ანგარიშს კვარტალში ერთხელ, რომელიც მოიცავს ყველა უცილებელ ინფორმაციას ბანკის რისკის შესაფასებლად და დასკვნების გასაკეთებლად.

კონკრეტული რისკის ანგარიშები მზადდება და ვრცელდება ყველა დონეზე ბანკის ფარგლებში, რათა ყველა განყოფილებას მიუწვდებოდეს ხელი ყოვლისმომცველ, რელევანტურ და განახლებულ ინფორმაციაზე. ბანკის დირექტორთა საბჭოსა და ბანკის ყველა შესაბამის თანამშრომელს ყოველდღიურად მიეწოდება მოკლე ინფორმაცია საბაზრო ლიმიტების გამოყენებაზე, კერძო ინვესტიციებისა და ლიკვიდურობის, ასევე, ნებისმიერი სხვა რისკის განვითარების შესახებ.

რისკის შემცირება და ჭარბი რისკის კონცენტრაცია

მთლიანი რისკის მართვის ფარგლებში, ბანკი იყენებს დერივატივებსა და სხვა ინსტრუმენტებს, რათა მართოს საპროცენტო განაკვეთების, უცხოური ვალუტების, საკრედიტო რისკების ცვლილებების შედეგად წარმოშობილი პოზიციები და ფორვარდული ტრანზაქციების შედეგად წარმოქმნილი პოზიციები. თუმცა, ეს დერივატივები გამიზნულია ჰეჯირებისთვის, ისინი არ აკმაყოფილებენ ჰეჯირების აღრიცხვის პრინციპებს.

საკრედიტო რისკების შესამცირებლად, ბანკი აქტიურად იყენებს უზრუნველყოფას.

იმისათვის, რომ თავიდან იყოს აცილებული რისკების ჭარბი კონცენტრაცია, ბანკი ყურადღებას ამახვილებს დივერსიფიცირებული პორტფელის შენარჩუნებაზე. საკრედიტო რისკების გამოვლენილი კონცენტრაციები კონტროლდება და იმართება შესაბამისად. კონცენტრაციები წარმოიქმნება, როცა რამდენიმე კონტრაგენტი, ან შესაბამისი აქციონერები ჩართული არიან მსგავს ბიზნეს საქმიანობებში, ან იმ საქმიანობებში რომლებიც ერთსა და იმავე გეოგრაფიულ რეგიონშია მოქცეული, ან აქვთ მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლები, რომლის დროსაც ეკონომიკურ, პოლიტიკურ ან სხვა პირობებში განხორციელებული ცვლილებები მსგავს გავლენას იქონიებდა მათ მიერ საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების უნარიანობაზე. კონცენტრაციები ასევე მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის მთლიან ნაშთთან შედარებით, დიდი და მნიშვნელოვანი კრედიტების კომბინირებულ, მთლიან პოზიციას.

კონცენტრაციები მიუთითებს ბანკის შედეგების შეფარდებით სენსიტიურობაზე იმ განვითარებებთან მიმართებაში, რომლებიც გავლენას ახდენენ კონკრეტულ ინდუსტრიაზე ან გეოგრაფიულ მდებარეობაზე. გამოვლენილი საკრედიტო რისკების კონცენტრაციები კონტროლდება და იმართება შესაბამისად.

საკრედიტო რისკი

განმარტება: საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მსესხებელმა ან კონტრაგენტმა შეიძლება ვერ გადაიხადოს თანხები მთლიანად ან ნაწილობრივ, როცა მათი გადახდის დრო დადგება. საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოიქმნება ბანკის საკრედიტო საქმიანობის კონტექსტში.

ზიანის შემცირება: ბანკის საკრედიტო პოლიტიკის ზოგადი პრინციპები წარმოდგენილია საკრედიტო პოლიტიკებში. საკრედიტო პოლიტიკები ასევე გამოყოფს საკრედიტო რისკის კონტროლისა და მონიტორინგის პროცედურებს და ბანკის საკრედიტო რისკის მართვის სისტემებს. საკრედიტო პოლიტიკები განიხილება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად, საჭიროების შემთხვევაში. ამ განხილვების შედეგად შემოიღება სესხის რესტრუქტურიზაციის ახალი ინსტრუმენტები. ბანკი ასევე იყენებს სებ-ის დარეზერვების მეთოდოლოგიას, რათა შესაბამისობაში იყოს სებ-ის მოთხოვნებთან.

ბანკი თავის საკრედიტო პოლიტიკას მართავს ინდივიდუალურ კორპორატიულ მსესხებლებთან ან დაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფებთან, სადაზღვევო კომპანიების ვალდებულებასთან, და საბანკო ოპერაციების ტიპებთან მიმართებაში რისკის დასაშვებ დონეზე ლიმიტების დაწესებით, და სებ-ის მიერ განსაზღვრული პოზიციების ლიმიტების დაცვით. ბანკი აკონტროლებს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას, ითხოვს დამატებით უზრუნველყოფას ხელშეკრულების შესაბამისად და აკონტროლებს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას, როცა აფასებს კრედიტის სავარაუდო გაუფასურების გათვალისწინებით შექმნილი რეზერვის ადეკვატურობას. ბანკი ასევე ამცირებს თავის საკრედიტო რისკს უზრუნველყოფის მიღებით და სხვა უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენებით. ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული პოზიციების შესაბამისი რისკები იმართება შიდა და გარე საბალანსო პოზიციებზე ლიმიტების დაწესებით, და ასევე, ანგარიშსწორების ლიმიტებით ისეთ სავაჭრო ტრანზაქციებთან მიმართებაში, როგორიცაა სავალუტო კონტრაქტები.

საკრედიტო კომიტეტი ამტკიცებს ინდივიდუალურ ტრანზაქციებს, ხოლო, საკრედიტო რისკის მართვის დეპარტამენტი განსაზღვრავს საკრედიტო რისკის კატეგორიებს და დარეზერვების განაკვეთებს, რომლებიც წარმოდგენილია დარეზერვების მეთოდოლოგიაში. გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მიმართულებით და საკრედიტო რისკების მართვის დეპარტამენტი ყოველთვიურად ამოწმებენ პორტფელის საკრედიტო ხარისხს და განსაზღვრავენ დარეზერვების განაკვეთებს, ბანკის გენერალურ დირექტორთან და ფინანსების საკითხებში გენერალური დირექტორის მოადგილესთან კონსულტაციების საფუძველზე.

ბანკის საკრედიტო ხარისხის შემოწმების პროცესი უზრუნველყოფს კონტრაგენტების კრედიტუნარიანობაში შესაძლო ცვლილებების ადრეულ ეტაპზე გამოვლენას, მათ შორის, უზრუნველყოფის საშუალებების რეგულარულ შეფასებას. კონტრაგენტის ლიმიტები განისაზღვრება საკრედიტო რისკის კლასიფიკაციის სისტემის მეშვეობით, რომელიც ანიჭებს რისკის რეიტინგს თითოეულ კონტრაგენტს. რისკის რეიტინგები ექვემდებარება რეგულარულ გადახედვას. კრედიტის ხარისხის შემოწმების პროცესი საშუალებას აძლევს ბანკს შეაფასოს რისკების შედეგად წარმოქმნილი პოტენციური დანაკარგი, და განახორციელოს გამოსასწორებელი ღონისძიება. ბანკი აძლევს კლიენტებს გარანტიებს / აკრედიტივებს, რომლებმაც შესაძლოა ბანკს მოსთხოვოს მათი სახელით გადახდების განხორციელება. კლიენტებისგან ასეთი თანხების ამოღება ხდება გარანტიების / აკრედიტივების პირობების შესაბამისად. ისინი ბანკს უქმნიან სესხების მსგავს რისკებს და მათი შემცირება ხდება იმავე კონტროლის პროცესებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

სესხის დამტკიცების პროცედურა

კრედიტების დამტკიცების, კრედიტის ხარისხის მონიტორინგის, და არსებული კრედიტების გაგრძელების, რეფინანსირებისა და/ან რესტრუქტურიზაციის პროცედურები წარმოდგენილია ბანკის საკრედიტო პოლიტიკებში, რომლებსაც ამტკიცებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო და/ან დირექტორთა საბჭო. საკრედიტო კომიტეტები ამტკიცებენ ინდივიდუალურ ტრანზაქციებს.

ბანკი აფასებს კორპორატიული საინვესტიციო საბანკო მომსახურებების კლიენტებს მათი ფინანსური მდგომარეობის, საკრედიტო ისტორიის, ბიზნეს ოპერაციების, ბაზრის პოზიციის, მართვის, აქციონერის მხარდაჭერის დონის, შემოთავაზებული ბიზნესის და ფინანსური გეგმის და შემოთავაზებული უზრუნველყოფის ხარისხის საფუძველზე. სათანადო საკრედიტო კომიტეტის შესაბამისი დონე პასუხისმგებელია კრედიტის დამტკიცებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაზე, საკრედიტო მემორანდუმის საფუძველზე და, თუ საჭიროა, საკრედიტო რისკის მენეჯერის ანგარიშზე დაყრდნობით. კრედიტის დამტკიცების პროცედურა ფიზიკური პირების საბანკო მომსახურებებთან დაკავშირებით დამოკიდებულია ფიზიკურ პირებზე გაცემული პროდუქტების ტიპზე.

კრედიტის დამტკიცების პროცედურა ფიზიკური პირების საბანკო მომსახურებებთან დაკავშირებით დამოკიდებულია ფიზიკურ პირებზე გაცემული პროდუქტების ტიპზე. სამომხმარებლო კრედიტებთან დაკავშირებული განცხადებების, მათ შორის, საკრედიტო ბარათებისა და 50,000 ლარამდე ავტო სესხების დამტკიცება ხდება ქულების სისტემით. ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების კლიენტების იპოთეკურ სესხებზე განაცხადი კეთდება იპოთეკური სესხის ოფიცრის მიერ და წარედგინება საკრედიტო რისკის მენეჯერს, რომელიც აფასებს საკრედიტო რისკებს და განსაზღვრავს კრედიტის მოცულობას და პირობებს, რომლებიც უნდა დამტკიცდეს საკრედიტო კომიტეტის შესაბამის დონეზე. მიკრო საფინანსო სესხების შემთხვევაში, კრედიტ ოფიცრები აფასებენ საკრედიტო განცხადებებს, ამზადებენ პროექტის ანალიზს და წარუდგენენ შეთავაზებებს შესაბამის საკრედიტო კომიტეტს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. მცირე და საშუალო საწარმოებისთვის 1.0 მილიონ აშშ დოლარზე მეტის დასამტკიცებლად საჭიროა მცირე და საშუალო საწარმოების საკრედიტო რისკის ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის მიერ. მიკრო სესხები 40,000 ლარამდე უნდა დამტკიცდეს ქულების შიდა მოდელით.

უზრუნველყოფა

ბანკი ჩვეულებრივ მოითხოვს საკრედიტო უზრუნველყოფას ან უზრუნველყოფის საგანს მის მიერ გაცემული სესხებისა და საკრედიტო სახსრების სანაცვლოდ. საკრედიტო უზრუნველყოფის მთავარი ფორმებია გარანტიები და ბანკში მსესხებლის ანგარიშზე არსებულ თანხებზე ან სხვა აქტივებზე მოთხოვნის უფლებები. კორპორატიული კრედიტორებისთვის უზრუნველყოფის მთავარი ფორმებია უძრავი ქონება, მოწყობილობები, ინვენტარი და სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, ხოლო, ფიზიკურ პირებზე გაცემული კრედიტებისთვის – საცხოვრებელ ქონებაზე იპოთეკა. კორპორატიული კრედიტების შემთხვევაში, ბანკი ჩვეულებრივ მოითხოვს პერსონალურ გარანტიას მსესხებლის აქციონერებისგან. ბანკის შიდა სახელმძღვანელოს მითითებების შესაბამისად, უზრუნველყოფა წარმოდგენილი უნდა იყოს (თუ ის მოთხოვნილია) საიმისოდ, რომ დაფაროს ვალდებულებები ტრანზაქციის მთელი პერიოდის განმავლობაში.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის, კლიენტებზე გაცემული კრედიტების 86.9% უზრუნველყოფილი იყო. შემოთავაზებული უზრუნველყოფის შეფასების ანგარიში მზადდება აქტივის შეფასებისა და განკარგვის დეპარტამენტის მიერ ან მესამე მხარის აქტივის შეფასების კომიტეტის მიერ წარედგინება შესაბამის საკრედიტო კომიტეტს, საკრედიტო განცხადებასთან და საკრედიტო რისკის მენეჯერის ანგარიშთან ერთად.

შეფასება

პოზიციის რისკები და ლიმიტები უნდა შემოწმდეს ყოველწლიურად ან უფრო ხშირად. ბანკის შესაბამისობა საკრედიტო რისკის ლიმიტებთან მუდმივად მოწმდება საკრედიტო რისკის მართვის დეპარტამენტის მიერ. რეზერვი ეფუძნება მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს (ECL), რომელიც უკავშირდება ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობას მომდევნო 12 თვეში, თუ არ იქნება მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში კრედიტის გაცემის შემდეგ. რომელ შემთხვევაშიც რეზერვი ეფუძნება მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აქტივის ექსპლუატაციის ბოლომდე. საკრედიტო დანაკარგის რეზერვი ეფუძნება მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას, რომელიც ითვალისწინებს წარსულ მოვლენებს, არსებულ მდგომარეობას და მომავალ ეკონომიკურ მდგომარეობას.

ბანკმა შექმნა მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ფინანსური აქტივები კოლექტირდება და ინდივიდუალურ საფუძველზე, როცა ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურდება. ბანკი ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს კონკრეტული მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის, ვადაგადაცილების დღეების რაოდენობის, კრედიტის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკში ცვლილებების, და იმ კომერციულ, ფინანსურ ან ეკონომიკურ პირობებზე არახელსაყრელი ცვლილებების ნებისმიერი პროგნოზის გათვალისწინებით, რომლებიც გავლენას ახდენს მსესხებლის კრედიტუნარიანობაზე და სხვა ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, როგორიცაა გარეშე ბაზარი ან ზოგადი ეკონომიკური პირობები. თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების დანაკარგის თანხა შემცირდება და თუ ეს კლება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ წარმოქმნილ მოვლენას, ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგი აღდგება კორექტირებული რეზერვის ანგარიშით. გაუფასურების შედეგად დანაკარგების რეზერვის განსაზღვრა ეფუძნება რისკის ქვეშ არსებული აქტივების ანალიზს და ასახავს მოცულობას, რომელიც ბანკის ხელმძღვანელობის აზრით ადეკვატურია წარმოქმნილი დანაკარგების უზრუნველყოფისთვის მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

რეზერვები იქმნება მთლიანი საკრედიტო თანხის და დარიცხული პროცენტის მიხედვით. ბანკის შიდა საკრედიტო დანაკარგის რეზერვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება ფასს-ის მოთხოვნებს, ბანკი ყოფს თავის საკრედიტო პორტფელს მნიშვნელოვან და არამნიშვნელოვან კატეგორიებად. მნიშვნელოვანი კრედიტები განსაზღვრულია როგორც კრედიტები, რომლებიც აღემატება 1.0 მილიონ აშშ დოლარს, ხოლო, არამნიშვნელოვანი კრედიტები განსაზღვრულია, როგორც 1.0 აშშ დოლარზე ნაკლები თანხის კრედიტები. საკრედიტო რისკის მართვის დეპარტამენტი ახორციელებს ყველა დეფოლტირებული მნიშვნელოვანი კრედიტის ინდივიდუალურ შეფასებას. არადეფოლტირებული მნიშვნელოვან კრედიტებს ენიჭებათ კოლექტიური შეფასების კოეფიციენტი. რეზერვირების მიზნით, ყველა კრედიტი დაყოფილია სხვადასხვა ჯგუფად (როგორიცაა, იპოთეკური, სამომხმარებლო, მიკროსაფინანსო კრედიტები).

2005 წელს ბანკმა, გარკვეულ სხვა ქართულ ბანკებთან და საკრედიტო ინფორმაციის პროვაიდერ „საკრედიტო ინფორმაციის ჯგუფთან" ერთად შექმნა სს „კრედიტ ინფო ჯორჯია", რომელიც წარმოადგენს ცენტრალიზებულ საკრედიტო ბიუროს საქართველოში. 2005 წლის ივლისიდან, ყველა ქართული ბანკი უზიარებს მას ნეგატიურ საკრედიტო ინფორმაციას კლიენტებზე. 2009 წლიდან, ისინი აწვდიან და უზიარებენ სს „კრედიტ ინფო ჯორჯიას" პოზიტიურ და ნეგატიურ საკრედიტო ინფორმაციას კლიენტებზე.

2018 წლის 1 იანვრიდან გაცემული 1.0 მილიონ აშშ დოლარამდე კრედიტები, რომლებიც უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით ჩამოიწერება, თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა 1,460 დღეზე მეტია. უზრუნველყოფის გარეშე კრედიტები და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილის გარდა სხვა უზრუნველყოფილი კრედიტები ექვემდებარება ჩამოწერას, თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა 150 დღეზე მეტია.

კორპორატიული კრედიტები და 1.0 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის კრედიტები, რომლებიც უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, შეიძლება ჩამოიწეროს რისკის მიმართულების ბანკის გენერალური დირექტორისა და საკრედიტო რისკის დეპარტამენტის მიერ შეფასების შემდეგ.

შემდგომი გამოყენებული საკრედიტო ზარალის რეზერვის შეფასებები, რომელიც წარმოიქმნა კოვიდ-19-ის ნეგატიური ეკონომიკური ზემოქმედების შედეგად

ეკონომიკური იზოლაციის ფონზე, ბანკის კლიენტის კრედიტორების ხარისხი მაინც მოქნილია, რომელიც ასახავს მნიშვნელოვან შემცირებას ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ბანკის კლიენტის კრედიტირების პორტფელის რისკში. კორპორატიულ სექტორში მაღალი დონის და მთავრობის ძლიერი მხარდაჭერის პროგრამები როგორც ფიზიკური პირების, ასევე კორპორატიული პროგრამების სახით, მოსალოდნელია, რომ ნაწილობრივ შეამცირებს კოვიდ 19-ის ნეგატიურ ეკონომიკურ ზემოქმედებას.

2020 წელს ბანკმა განახორციელა რეზერვირება, რათა მოეცვა მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები მთლიანი ეკონომიკური ციკლისთვის და გამოეყენებინა მაკრო-ეკონომიკური პროგნოზირების სცენარები, რომლებიც გამოაქვეყნა სებ-მა 2020 წლის მაისში სამწლიან პერიოდისთვის.

ქვემოთ წარმოდგენილი ვარაუდები გამოყნებული იქნა რეზერვების მოცულობის შესაფასებლად

ბანკმა გამოიყენა მაკრო პარამეტრები საქართველოს ეროვნული ბანკის პროგნოზირებული სცენარებისთვის–სამი სცენარი (საბაზისო, უარყოფითი და მზარდი) სამწლიანი პერიოდზე გათვლილი მაკრო პარამეტრების საფუძველზე, შესაბამისი ალბათობების დაშვებით. ამ სცენარების შეწონილი საშუალოს შედეგები შემდეგში გათვალისწინებულია შეფასებულ მოსალოდნელ საკრედიტო რეზერვებში(ECL):

	საბაზისო (50% ალბათობა)			უარყოფითი (25% ალბათობა)			ზრდა (25% ალბათობა))		
	2020	2021	2022	2020	2021	2022	2020	2021	2022
რეალური მშპ-ს ზრდა	-4.0%	4.5%	5.0%	-9.0%	2.5%	4.0%	-3.0%	6.0%	5.0%
CPI ინფლაცია	4.5%	1.5%	2.5%	7.0%	2.0%	2.5%	5.5%	4.0%	3.0%
GEL/US$ შეფარდება	3.20	3.20	3.20	3.52	3.70	3.51	3.04	2.89	2.89

- კოვიდ -19-ის პანდემიის უპრეცენდენტო ხასიათისა და მათთან დაკავშირებული გაურკვევლობების გამო ბანკმა ხელახლა გაითვალისწინა არსებული გაუფასურების მოდელი და გამოიყენა მენეჯმენტის გამოცდილება მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, რომელიც ასახავს კოვიდ -19-ის ეფექტს საკრედიტო რისკის რეზერვში, კერძოდ მსესხებლებისთვის სამწლიანი საგადასახადო შეღავათის მიცემა ავტომატურად არ იყო გათვალისწინებული როგორც SICR ღონისძიება (ე.ი 1 ეტაპის რისკების მე-2 ეტაპზე გადატანა)

- ბანკმა განახორციელა საკრედიტო პორტფელის და მოკლე და საშუალო ვადაში გამოვლენილ იმ რისკების ხარჯების უფრო ღმა ანალიზი, რომელსაც ზიანი მიაყენა კოვოდ -19-ის პანდემიამ (ტურიზმი და ჰოსპიტალური სექტორი, ასევე ზოგიერთი საცალო კლიენტი) და ამ საფრთხეების მე-2 ეტაპზე გადატანა. იგივე მიდგომა იქნა გამოყენებული მსესხებლებისთვის, ვინც დაკარგა სამუშაო და შემოსავალი კოვიდ -19 პანდემიის გამო და ვინც შეიტანალი იქნა მთავრობის საკომპენაციო პროგრამის სიაში.

- გარდა ამისა, შეფასებული საკრედიტო ზარალის რეზერვი ზემოთ მითითებული მსესხებლებისთვის უარყოფით სცენარში ჩვენ მივანიჭეთ დეფოლტის ალბათობა 1 და საკრედიტო ზარალის რეზერვი გაანგარიშდა როგორც შეწონილი საშუალო შეკვეცა საბაზისო ხაზში და 15%-იანი შეკვეცა კლებას სცენარში უძრავი ქონების უზრუნველყოფის ღირებულებები ლარში, რომელშიც აისახა სებ-ის პროგნოზი უძრავი ქონების ფასებზე და დაკორექტირდა აღდგენის განაკვეთების ვარდნა

ლიკვიდურობის რისკი

განმარტება: ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ბანკი ვერ შეძლებს თავისი გადახდის ვალდებულებების შესრულებას, როცა მათი გადახდის დრო დადგება ნორმალურ ან სტრესულ გარემოებებში.

მონიტორინგი: ლიკვიდურობის რისკი იმართება აქტივისა და ვალდებულების კომიტეტის მიერ დამტკიცებული ლიკვიდურობის ფარგლებში. ხაზინა მართავს ლიკვიდურობას ყოველდღიურად. იმისათვის, რომ მართოს ლიკვიდურობის რისკი, ის ახორციელებს კლიენტებისა და საბანკო ოპერაციების მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების ყოველდღიურ მონიტორინგს, რომელიც არის აქტივების / ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილი. ფინანსური დეპარტამენტი ამზადებს და წარუდგენს ყოველთვიურ ანგარიშებს აქტივისა და ვალდებულების კომიტეტს. აქტივისა და ვალდებულების კომიტეტი აკონტროლებს არსებული გადასახდელი თანხების პროპორციას, რათა ის შეესაბამებოდეს დეპოზიტიდან მოხსნად თანხებს, და ბანკთაშორის და სხვა ნასესხები სახსრების თანხებს, რომლებიც უნდა არსებობდეს სტანილი თანხების დასაფარად მოულოდნელი მოთხოვნის დროს.

ლიკვიდურობის რისკის მართვის სისტემა განსაზღვრავს ბანკის შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თავისი გადახდის ვალდებულებები, როგორც ნორმალურ პირობებში, ასევე კრიზისის დროს. ბანკმა შეიმუშავა მოდელი ბაზელ III-ის ლიკვიდურობის მითითებების საფუძველზე. ეს მიდგომა განსაზღვრულია იმის საგარანტიოდ, რომ სახსრების მართვის სისტემა საკმაოდ მოქნილი იქნება საიმისოდ, რომ უზრუნველყოს ლიკვიდურობა ბაზრის პირობების ფართო დიაპაზონის ფარგლებში. ლიკვიდურობის მართვის სისტემა პერიოდულად მოწმდება საიმისოდ, რომ ის შესაბამისობაში იყოს ბანკის მიმდინარე და დაგეგმილ საქმიანობებთან. ასეთი შემოწმება მოიცავს დაფინანსების მოდელირებულ სცენარებს, მოდელირების მიდგომას, საბითუმო ფონდირებას, ლიმიტის განსაზღვრას და ლიკვიდური აქტივების მინიმალურ ზღვრელობას. ლიკვიდურობის სისტემა მოწმდება აქტივისა და ვალდებულების კომიტეტის მიერ, ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებამდე.

სახაზინო და დაფინანსების დეპარტამენტები ასევე ახორციელებენ ყოველწლიური დაფინანსების შემოწმებას, რომელიც განსაზღვრავს მომავალი წლისთვის არსებული დაფინანსების სტრატეგიას. ეს შემოწმება მოიცავს ტრენდებს სავალო ვალდებულებების გლობალურ ბაზრებზე, დაფინანსების ალტერნატივებს, გარემე ანალიზს, ბანკის მომავალი დაფინანსების მოთხოვნების შეფასებებს, ბაზრის დაფინანსების მოცულობის შეფასებას და დაფინანსების რისკის ანალიზს. წლიური დაფინანსების გეგმა მოწმდება ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ და მტკიცდება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, როგორც წლიური ბიუჯეტის ნაწილი. დაფინანსებისა და სახაზინო დეპარტამენტები პერიოდულად ასევე ამოწმებენ სხვადასხვა დაფინანსების ვარიანტებს და აფასებენ ასეთი ვარიანტების რეფინანსირების რისკებს.

ზიანის შემცირება: ბანკის შესაძლებლობა განახორციელოს თავისი ვალდებულებები დამოკიდებულია მის უნარზე განახორციელოს აქტივების ეკვივალენტური მოცულობის რეალიზება დროის იმავე პერიოდში. ბანკს აქვს მაღალ მოთხოვნადი და დივერსიფიცირებული აქტივების პორტფელი, რომელიც მისი აზრით, შესაძლებელია ადვილად იქნას ლიკვიდირებული, ფულადი სახსრების ნაკადის გაუთვალისწინებელი შეწყვეტის შემთხვევაში. მას ასევე აქვს სავალდებულო საკრედიტო ხაზები, რომელზეც მას ხელი მიუწვდება საიმისოდ, რომ დააკმაყოფილოს თავისი ლიკვიდურობის მოთხოვნები. ასეთი საკრედიტო ხაზები ხელმისაწვდომია სებ-ის რეფინანსირების საშუალებით. გარდა ამისა, ბანკს აქვს ფულადი დეპოზიტი (სავალდებულო რეზერვი) სებ-ში, რომლის მოცულობა დამოკიდებულია კლიენტებისგან მოზიდული სახსრების დონეზე. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კლიენტების დეპოზიტების 25% გადაიდო მინიმალური რეზერვების სახით. გარდა ამისა, ქართულ ლარში დენომინირებული კლიენტების დეპოზიტების 5%-ის სახით, ბანკი ინარჩუნებს მინიმალურ საშუალო ნაშთს სებ-ში საკორესპონდენტო ანგარიშზე. საბითუმო დაფინანსებასა და სადეპოზიტო სერტიფიკატებთან დაკავშირებით, სებ-ი მოითხოვს ბანკისგან, რათა ამ უკანასკნელმა გადადოს თავისი არასუბორდინირებული უცხოური ვალუტის საბითუმო დაფინანსების 25% იმ ვალდებულებებიდან, რომელთა გადახდის დარჩენილი ვადა ერთ წელზე ნაკლებია, და 15% იმ ვალდებულებებიდან, რომელთა გადახდის ვადა ერთი-ორი წელია, ხოლო, არასუბორდინირებული ქართული ლარის საბითუმო დაფინანსების 5% გადადოს იმ სესხებიდან, რომელთა გადახდის დარჩენილი ვადა ერთ წელზე ნაკლებია. ქართულ ლარში დენომინირებული სადეპოზიტო სერტიფიკატებისთვის არ არსებობს მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები.

დაფინანსება: საქართველოს ბაზარზე, საბრუნავი საშუალებების შესავსები კრედიტი მოკლევადიანია, რომელთან დაკავშირებითაც განახლების დროის განსაზღვრა არის მოსალოდნელი. როგორც ასეთი აქტივების საბოლოო დაფარვის ვადა შეიძლება განსხვავდებოდეს ნებისმიერ ადგილას წარმოდგენილი ანალიზისგან. გარდა ამისა დაფარვის ვადებს შორის შუალედის ანალიზი არ ასახავს არსებული ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას.

ბანკის ლიკვიდურობის მთავარი წყაროებია:

- დეპოზიტები;
- სესხები საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებიდან;
- ბანკთაშორისი სადეპოზიტო ხელშეკრულებები;
- ობლიგაციების გამოშვება
- ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან ამონაგები; და
- კრედიტებზე ძირი თანხის გადახდები;.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის, კონსოლიდირებული კლიენტის დეპოზიტები და ობლიგაციები თანხა იყო 10,136.7 მილიონი ლარი (2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებთან შედარებით 8,196 მილიონი ლარი და 7,123,9 მილიონი ლარი) და წარმოადგენს მთლიანი ვალდებულებების 62,4%-ს (2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის 64.1%-სა და 64.0%-ს). საქართველოს კანონდებლობის შესაბამისად ბანკი ვალდებულია გადაიხადოს ასეთი დეპოზიტი დეპოზიტარის მიერ მთხოვნის შემთხვევაში. ვადაზე ადრე გამოტანის შემთხვევაში, დეპოზიტზე პროცენტი იგივე დარჩება ან შემცირდება. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის საკრედიტო ინსტიტუტებისთვის გადასახდელი თანხა და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების ღირებულება იყოს 5,825,7 მილიონ ლარი (2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის არსებულ 4.460,4 მილიონ ლართან და 3,911,9 მილიონ ლართან შედარებით) და წარმოადგენდა მთლიანი ვალდებულების 35.9%-ს (2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს არსებულ 34.9%-თან და 35.1%-თან შედარებით). საკრედიტო ინსტიტუტებისთვის გადასახდელი თანხა და სასესხო ფასიანი ქაღალდების თანხის აღება მოხდება კონტრპარტნიორების ფართო დიაპაზონიდან.
ბანკის მართვის საბჭო დარწმუნებულია, რომ ბანკის ლიკვიდურობა საკმარისია იმისთვის, რომ დაკმაყოფილდეს არსებული მოთხოვნები. ჯგუფის ლიკვიდური აქტივების, ვალდებულებების და ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადის დადგომის პროფილის შესახებ, ისევე როგორც ჯგუფის ლიკვიდურობის რისკი შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნების 27-ე და 29-ე შენიშვნა.

ნასესხები თანხების გადახდის განრიგი

ათას ლარი	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029
ევრობრენდები და ობლიგაციები	174	–	–	339	–	–	–	–	–	–
პირველი რიგის კრედიტი	142	87	34	89	48	11	9	–	–	–
სუბორდინირებული სესხები	–	–	–	–	–	90	–	–	–	72
სულ	**316**	**87**	**34**	**428**	**48**	**101**	**9**	**–**	**–**	**72**
მთლიანი აქტივების %	**4.9%**	**1.3%**	**0.5%**	**6.6%**	**0.7%**	**1.6%**	**0.1%**	**0.0%**	**0.0%**	**1.1%**

ბაზრის რისკი

განმარტება: ბანკზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი (მათ შორის, სავალუტო კურსის რისკი და საპროცენტო განაკვეთის რისკი), რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის მერყეობას ბაზრის ცვლადი მაჩვენებლების ცვლილებების გამო. საბაზრო რისკის საფრთხე წარმოიქმნება ყველა იმ აქტივისა და ვალდებულების დაფარვის ვადიანობისა და ვალუტებს შორის სხვაობის გამო, რომლებზეც ბაზრის ცვალებადობა გავლენას ახდენს.

ზიანის შემცირება: ბანკის საბაზრო რისკის მართვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია აქტივისა და ვალდებულების კომიტეტის მიერ. ბანკის მიზანია, შეზღუდოს და შეამციროს ღია საბაზრო პოზიციებზე შესაძლო დანაკარგების მოცულობა, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას ბანკში, სავალუტო კურსისა და საპროცენტო განაკვეთების ნეგატიური ცვლილებების გამო. ბანკი ახდენს საბაზრო რისკის სავაჭრო ან არასავაჭრო პოზიციებად კლასიფიკაციას. სავაჭრო და არასავაჭრო პოზიციები იმართება და კონტროლდება სხვადასხვა სენსიტიურობის ანალიზის გამოყენებით. იმისთვის, რომ აღმოიფხვრას ეს რისკები, აქტივისა და ვალდებულების კომიტეტი თითოეული ტიპის ოპერაციისთვის სპეციალურად განსაზღვრავს რისკის ქვეშ არსებული მოცულობის (VAR) ლიმიტებს შესაძლო დანაკარგებზე (ამჟამად, VAR განსაზღვრულია მხოლოდ უცხოური ვალუტის გაცვლითი ოპერაციებისთვის) და რაოდენობრივი რისკის მართვისა და რისკის ანალიტიკური დეპარტამენტი აკონტროლებს ასეთ ლიმიტებთან შესაბამისობას.

სავალუტო კურსის რისკი: სავალუტო კურსის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება იქნება მერყევი სავალუტო კურსში არსებული ცვლილებების გამო. ბანკზე გავლენას ახდენს თავისი ფინანსური პოზიციის ფარგლებში არსებული სავალუტო კურსების მერყეობით გამოწვეული შედეგები. ბანკის სავალუტო რისკი გაანგარიშდება, როგორც ღია პოზიციების ერთობლიობა და კონტროლდება ბანკის სავალუტო კალათასთან მიმართებით VAR-ის დათვლით (განსაზღვრულია აქტივისა და ვალდებულების კომიტეტის მიერ).

ბანკი იყენებს ისტორიული სიმულაციის მეთოდს, რომელიც იყენებს 400 სამუშაო დღის სტატისტიკურ მონაცემებს. მისი ღია სავალუტო პოზიციები იმართება სახაზინო დეპარტამენტის მიერ ყოველდღიურად და კონტროლდება რაოდენობრივი რისკის მართვისა და რისკის ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ. აქტივისა და ვალდებულების კომიტეტი განსაზღვრავს ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტებს როგორც დღე-ღამეში, ასევე დღის განმავლობაში პოზიციებთან და „სტოპ-ლოსების" ლიმიტებთან დაკავშირებით. ამჟამად, ბანკის კერძო სავაჭრო პოზიცია ლიმიტირებულია აქტივისა და ვალდებულების კომიტეტის მიერ, სებ-ის მიერ განსაზღვრული ბანკის მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის მაქსიმუმ 10.0%-ით. სავალუტო პოზიცია ასევე ლიმიტირებულია აქტივისა და ვალდებულების კომიტეტის მიერ, 50 მილიონი ლარის ოდენობის დღიური VAR-ით ერთდღიან სავაჭრო პერიოდზე, 98.0%-იანი „დასაშვები ზღვარით".

აქტივისა და ვალდებულების კომიტეტის ლიმიტები უფრო კონსერვატიულია, ვიდრე სებ-ის მოთხოვნები, რაც შესაძლებლობას აძლევს ბანკებს იქონიონ საზედამხედველო კაპიტალის 20.0%-მდე ღია პოზიციები. ბანკი ასევე იყენებს სენსიტიურობის სტრეს ტესტებს თავისი ღია სავალუტო პოზიციების მიმართ, რათა შეფასდეს მის სუფთა აქტივებსა და მოგებებზე პოტენციური ნეგატიური ზემოქმედება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი: ბანკს აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი, რაც გამოწვეულია ფიქსირებულ და ცვლად საპროცენტო განაკვეთებში კრედიტების გაცემით, რომელთა თანხა და ვადიანობა განსხვავდება ფიქსირებულ და ცვლად საპროცენტო განაკვეთებში წარმოშობილი ვადიანი ვალდებულებების შესაბამისი პირობებისგან. საპროცენტო მარჟები, ძირითადად გადახდის ვადის მქონე აქტივებსა და ვალდებულებებზე, შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში ცვლილებების შედეგად.

სხვა ქართული ბანკების მსგავსად, ბანკის აქტივებისა და დეპოზიტების უმრავლესობას აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები. იმისთვის, რომ მინიმუმამდე შემცირდეს საპროცენტო განაკვეთის რისკი, ბანკი აკონტროლებს თავისი საპროცენტო განაკვეთის (ფასების გადახედვა) დეფიციტს და ინარჩუნებს საპროცენტო განაკვეთის მარჟას (პროცენტის მომტანი აქტივების სუფთა საპროცენტო შემოსავალი აქტივების გაუფასურებამდე, გაყოფილი პროცენტის მომტანი აქტივების საშუალოზე) იმ დონეზე, რომელიც საკმარისია საოპერაციო ხარჯების და რისკის პრემიუმის დასაფარად. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ლიმიტების ფარგლებში, აქტივისა და ვალდებულების კომიტეტი ამტკიცებს იმ საპროცენტო განაკვეთების დიაპაზონებს, სხვადასხვა დაფარვის ვადიანობის მიხედვით, რომლის ფარგლებშიც ბანკს შეუძლია განათავსოს აქტივები და მოიზიდოს ვალდებულებები. რაოდენობრივი რისკის მართვისა და რისკის ანალიზის დეპარტამენტი აანალიზებს ვადიანობის დეფიციტს და კაპიტალის სენსიტიურობას საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების მიმართ. თითოეული ვალუტის საპროცენტო განაკვეთის რისკის დონეები კონტროლდება ფინანსური, სახაზინო და რაოდენობრივი რისკის მართვისა და რისკი ანალიზის განყოფილების მიერ.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის სესხების მცოცავი განაკვთი შეადგენდა მთლიანი ვალდებულებების 9.1%-ს.

წინასწარ გადახდის რისკი: ბანკი ასევე შესაძლოა დაუდგეს წინასწარ გადახდის რისკი. ეს არის რისკი იმისა, რომ ბანკს მიადგება ფინანსური ზარალი იმის გამო, რომ მისი კლიენტები და კონტრაგენტები იხდიან ან ითხოვენ გადახდას მოსალოდნელზე ადრე, როგორიცაა ფიქსირებულ-განაკვეთიანი იპოთეკები, როცა საპროცენტო განაკვეთები მცირდება. ბანკი ამოწმებს დროზე ადრე გადახდების წინა ისტორიას თითოეულ საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებით ინდივიდუალურად, დროზე ადრე გადახდების საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთის გაანგარიშებით, შემდეგ იყენებს ამ ისტორიულ განაკვეთებს თითოეული საკრედიტო პროდუქტის ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბალანსო ღირებულების მიმართ, და ბოლოს ამრავლებს პროდუქტს თითოეული პროდუქტისთვის საშუალო შეწონილის ეფექტურ წლიურ საპროცენტო განაკვეთებზე. ეს ბანკს საშუალებას აძლევს გაიანგარიშოს გაუთვალისწინებელი დანაკარგების მოსალოდნელი რაოდენობა დროზე ადრე გადახდის შემთხვევაში.

ჯგუფის ბაზრის რისკის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნა 27.

საოპერაციო რისკი

განმარტება: საოპერაციო რისკი არის ზარალის რისკი, რომელიც წარმოიქმნება სისტემის მწყობლიდან გამოსვლი, ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომის, თარლითობის ან გარეშე მოვლენების შედეგად. როცა ვერ ხორციელდება კონტროლი საოპერაციო რისკმა შესაძლოა ზიანი მიაყენოს რეპუტაციას, ჰქონდეს სამართლებრივი ან მარეგულირებელი სახის შედეგები, ან გამოიწვიოს ფინანსური დანაკარგი. ბანკი არ ვარაუდობს რომ შესაძლებელია ყველა საოპერაციო რისკის აღმოფხვრა, მაგრამ რისკის მართვის, ინტერგრირებული კონტროლის სისტემით და მონიტორინგისა და გამოხმაურების საშუალებით ბანკი ფიქრობს რომ მოახერხებს ამ რისკის მართვას. კიბერ რისკი, და ფული გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისა და შესაბამისობის რისკი, რამდენიმე სახის საოპერაციო რისკი, განხილულია მთავარ რისკებისა და გაურკვევლობების ნაწილში გვერდები75 - 83.

ზიანის შემცირება: ბანკი მართავს თავის საოპერაციო რისკებს ბანკის თანხის, გადახდების, ანგარიშგების, ვაჭრობის და ძირითადი დამუშავების ოპერაციების სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებული თავისი პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრის, მონიტორინგისა და მუდმივი გაუმჯობესებისა და მონაცემთა სარეზერვო ასლების და მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ აღდგენის ღონისძიებების საშუალებით.

ბანკმა შეიმუშავა სისტემა, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ ნორმატიულ აქტებს. პოლიტიკის რეგულარული შემოწმება და ცვლილებები ხორციელდება რისკების კომიტეტის მიერ, რომელიც ასევე პასუხისმგებელია საერთო რისკის აპეტიტის განსაზღვრაზე.

საოპერაციო რისკის მარვის დეპარტამენტი პასუხისმგებელია პროცედურების შემუშავებაზე, რათა იმართოს საოპერაციო რისკები ყველა პროდუქტში, საქმიანობაში, პროცესებსა და სისტემებში, და მთელი ბანკის მასშტაბით საოპერაციო რისკის სისტემის უწყვეტად დანერგვაზე. ეს დეპარტამენტი პასუხისმგებელია საოპერაციო რისკების იდენტიფიკაციასა და შეფასებაზე, კრიტიკული რისკების არეების გამოვლენაზე ან იმ ოპერაციათა ჯგუფების გამოვლენაზე, რომელთაც აქვთ გაზრდილი რისკის დონე; ის ავითარებს ზემდგომი ორგანოების მიერ განხილვის პროცესს, ითვალისწინებს ბიზნეს რეკომენდაციებს და ზიანის შემცირების სამოქმედო გეგმებს.

საოპერაციო რისკის მართვის კომიტეტი პასუხისმგებელია საოპერაციო რისკისადმი მიდრეკილებასა და ტოლერანტულობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების განსაზღვრაზე და გადახედვაზე.

საოპერაციო რისკები გამოვლენილია და შეფასებულია რამდენიმე მეთოდოლოგიის გამოყენებით, როგორებიცაა: შიდა დანაკარგის მონაცემთა ბაზის შეგროვება და ანალიზი, სცენარების ანალიზი, რისკისა და კონტროლის თვითშეფასება (RCSA), ახალი პროდუქტების შეფასება, ძირითადი რისკის ინდიკატორების (KRIs) ანალიზი, და სხვა. საოპერაციო რისკის ზემოქმედების შესამცირებლად, ბანკი იყენებს რამდენიმე მიდგომას, მათ შორის, კონტროლის ელემენტების დანერგვა ბიზნეს პროცესში, მოვალეობების განაწილება და პრევენციული კონტროლის ინსტრუმენტების განვითარება საოპერაციო სისტემების ფარგლებში.

იმისთვის, რომ გარანტირებული იყოს ადეკვატური რისკის მართვის კომპეტენციის დონეების მიღწევა და შენარჩუნება, როგორც რისკის მართვის პროცესის ნაწილი, ბანკი რეგულარულად უზრუნველყოფს პერსონალის საგანმანათლებლო და ტრენინგ კურსებს. კონკრეტული რისკის მართვის ტრენინგები ტარდება ყოველ წელს და მისი მიზანია რისკი მართვის სისტემის მიმოხილვის უზრუნველყოფა.

საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელიც ანგარიშვალდებულია რისკების მიმართულებით გენერალური დირექტორის მოადგილის წინაშე, პასუხისმგებელია ბანკის საოპერაციო რისკების ზედამხედველობაზე.

ახალი რისკი

ყველა ბიზნესიდან მოგროვილი ინფორმაცია მოწმდება და მუშავდება მისი ანალიზის, კონტროლის და ახალი რისკების გამოვლენის მიზნით. ეს ინფორმაცია წარედგინება და განიმარტება დირექტორთა საბჭოს და თითოეული განყოფილების ხელმძღვანელს. ბანკი ასევე ითვალისწინებს უფრო ფართო მაკროეკონომიკურ რისკებს და რეგულარულად აწვდის ამის შესახებ ინფორმაციას სამეთვალყურეო საბჭოს.

კოვიდ-19 პანდემიის გავრცელება შეფასდა როგორც ახალი რისკი და ბანკი აკვირდება მის ზემოქმდებას ბიზნესზე, კლეინტებსა და თანამშრომლებზე. ბანკს აქვს ბიზნესის უწყვეტობის გეგმა ზემოქმედების შესამცირებლად. არსებობს გაურკვევლობა გლობალური აქტივობის შენელების მოცულობასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოიქმნება ამ პანდემიის შედეგად. პანდემიის გავრცელებამ სულ მცირე მოკლევადიანი ნეგატიური ზემოქმედება მოახდინა ქვეყნის საერთო ეკონომიკურ აქტივობაზე და გამოიწვია გლობალურუ მასშტაბით ეკონომიკის შეფერხება. ზოგიერთი ეკონომიკური სექტორი, მათ შორის ტურიზმი, სასტუმროს ბიზნესი და გასართობი ბიზნესი განსაკუთრებით დაზარალდა ქვეყანაში ამ ვირუსის გავრცელების შედეგად. ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაწეული დახმარებების შედეგად მთავრობამ შეძლო ქვეყის ეკონომიკის დახმარება და რეცესიის ეფექტის შემცირება.

პანდემიის ზემოქმედების შესამცირებლად ჯგუფმა შეიმუშავა ბიზნესის უწყვეტობის გეგმა. თანამშრომლები აგრძელებენ მუშაობას დისტანციურად. იმისთვის რომ შეემცირებინა კლიენტების ფილიალებში მისვლის რაოდენობა და რისკი, ჯგუფმა თავსი კლიენტებს შესთავაზა ციფრულ არხებში ჩართვა რადგან მომსახურებების აბსოლუტური უმრავლესობა შესაძლებელია განხორციელდეს ფილიალში ვიზიტის გარეშე, გარდა ამისა, ჯგუფი ჩართულია მუდმივ კონტაქტშია კლიენტებთან და ეხმარება მათ პანდემიის შედეგების დაძლევაში. დივერსიფიცირებული პორტფელი ეხმარება ჯგუფს შეამციროს ვირუსის გავრცელების შედეგად წარმოქმნილი უარყოფითი ეფექტი, რომელიც გავლენას ახდენს მის ოპერაციებსა და რენტაბელობაზე.

კოვიდ-19-ის შედეგად წარმოქმნილი რისკის შესამცირებლად იხილეთ ბოლოდროინდელი მოვლენების ნაწილი გვერდი 5 და საკრედიტო ზარალის რეზერვების შეფასებები იხილეთ შემდგომ საკრედიტო ზარალის რეზერვის შეფასების ნაწილში, რომელიც გამოიყენება ეკონომიკაზე კოვიდ-19 -ის მიერ მიყენებული უარყოფითი ზემოქმედების შესაფასებლად. გვერდები 68 - 69.

ბანკი ასევე აღიარებს გამოწვევებს, რომელიც გამოიწვია კლიმატის ცვლილებამ. 2020 წელს ბანკი გაითვალისწინებს კლიმატის ცვლილების საკითხებს და რისკებს და განიხილავს ჯგუფისთვის შესაფერის მომდევნო ნაბიჯებს. ბანკი ასევე ჰპირებს ჩაერთოს პოლიტიკის შემქნელებთან რისკთან დაკავშირებით რომელსაც იწვევს კლიმატის ცვლილება და მიიღოს გადაწყვეტილებები, რომ ჯგუფის შემდგეშიც გააგრძელებს კლიმატთან დაკავშირებული რისკების მართვას, და გაითვალისწინებს კლიმატთან დაკავშიტრბული ფინანსური რისკების შესახებ მიზნობრივი ჯგუფის რეკომენდაციებს.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჩვენი რისკების დადგენა, პრიორიტეტებად დაყოფა და მართვა ჩვენი მიზნების და სტრატეგიული ამოცანების მხარდასაჭერად

ჩვენ წარმოვადგენთ ძირითად რისკებს და გაურკვევლობებს , რომლებიც დიდი ალბათობით გავლენას მოახდენენ ჩვენს სტარტეგიულ მიზნებზე, ბიზნეს მოდელზე, ოპერაციებზე, მომავალ ეფექტურობაზე, გადახდისუნარიანობაზე და ლიკვიდურობაზე. აღნიშნული ძირითადი რისკები აღწერილია ქვემოთ ცხრილში, სტრატეგიულ ბიზნეს მიზნებთან, ძირითად ფაქტორებთან/ტენდენციებთან, რისკების შერბილებისთვის განსაზღვრულ არსებით კონტროლთან და ჩვენს მიერ მიღებულ შემარბილებელ ზომებთან ერთად. ცნობილია, რომ ჯგუფი ჩამოთვლილზე მეტად ექვემდებარება რისკებს. ჩვენ წარმოგიდგენთ რისკებს, რომლებიც ჩვენი მოსაზრებით, ყველაზე დიდ გავლენას ახდენენ ჩვენს საქმიანობაზე და რომელიც სიღრმისეულად განხილულია ჯგუფის საბჭოს, აუდიტის და კორპორატიული მართვის ან რისკის კომიტეტის კრებებზე.

ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ჩამონათვალის რიგითობა არ აღნიშნავს მათ პრიორიტეტულ რიგს. შეუძლებელია ყველა ჩვენი რისკის სრული შერბილება. რისკის მართვის და შიდა კონტროლის ნებისმიერი სისტემა შექმნილია ბიზნეს მიზნების მიუღწევლობის რისკის მართვისთვის და არა აღმოფხვრისთვის და ითვალისწინებს მხოლოდ გონივრულ და არა სრულ გარანტიას, რომ წარმოდგენილი იქნება არსებითი უზუსტობების ან დანაკარგის გარეშე.

მაკროეკონომიკური გარემო

ძირითადი რისკი/ გაურკვევლობა

საქართველოსთან დაკავშირებულმა მაკროეკონომიკურმა ფაქტორებმა, მათ შორის ლარის გაუფასურებამ აშშ დოლარის მიმართ, შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს ჩვენჯს საკრედიტო პორტფელზე.

მთავარი ფაქტორები / ტენდენციები

ჯგუფი საქმიანობას ძირითადად ახორციელებს და მისი შემოსავლების ძირითადი წყარო განთავსებულია საქართველოში. საქართველოსთან დაკავშირებულმა მაკროეკონომიკურმა ფაქტორებმა, როგორიცაა ცვლილებები მშპ–ში, ინფლაციის და საპროცენტო განაკვეთებში, შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს ჩვენი საკრედიტო პორტფელის ხარისხზე, საკრედიტო ზარალზე, ჩვენს მარჟაზე და მომხმარებლის მოთხოვნაზე ჩვენს პროდუქტებზე და მომსახურებებზე. საქართველოს ეკონომიკამ მიაღწია რეალური მშპ–ს მყარ ზრდას, რომელიც შეადგენს 5.1% – 2019 წელს, რეალური მშპ–ს ზრდა შეადგენდა 4.8%–ს 2018 წელს და 2017 წელს საქსტატის შესაბამისად. გაურკვეველ და არასტაბილურ გლობალურ ეკონომიკურ მდგომარეობას შესაძლოა არსებითი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური შედეგები, რაც თავის მხრივ იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკაზე.

2020 წლის პირველი ნახევარის განმავლობაში, საქართველომ წარმოადგინა შეფასებული უარყოფითი რეალური მშპ–ს ზრდა, რომელიც შეადგენს 5.8%–ს საქსტატის მიხედვით, რადგან ქვეყანაში ამჟამად აღინიშნება ეკონომიკური ვარდნა კოვიდ–19 პანდემიის გამო. მოსალოდნელია, რომ რეალური მშპ შემცირდება 4%–ით 2020 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ("IMF") შეფასებების საფუძველზე, თუმცა პროგნოზების მიხედვით ჩვეულებრივზე მაღალი იქნება გაურკვევლობის დონე. შემცირებული ექსპორტი, გარე ტურიზმის არარსებობა და შესუსტებული გადარიცხვები სავარაუდოდ გააღრმავებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს მშპ–ს 11.3%–მდე 2020 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის შესაბამისად. გლობალური რისკის არმიღების ზრდამ შესაძლოა შემაციროს კერძო ფინანსური შემოდინებები და შეაფერხოს ინვესტიციები. შესაბამისმა ორგანოებმა მოითხოვეს კოვიდ 19–ის პანდემიის შეტანა და მისი ეკონომიკური ზემოქმედების შემსუბუქება, თუმცა წარმოიქმნა საგადახდო ბალანსის დეფიციტი. გაურკვეველმა და ცვალებადმა გლობალურმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ შესაძლოა განაპირობოს მძიმე პოლიტიკური და მაკროეკონომიკური შედეგები გლობალურად, რაც თავის მხრივ გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე.

2019 წელს, ლარი დოლართან მიმართებით გაუფასურდა 7.1%–ით, 2018 წელს – 3.3%–ით. ლარის მერყეობამ დოლართან მიმართებით შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჩვენი საკრედიტო პორტფელის ხარისხზე, ამასთან გაზარდოს საკრედიტო რისკის ხარჯი და და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის / გაუფასურების რეზერვები. ჩვენი კლიენტების კრედიტუნარიანობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან მიმართებით და გაართულოს მათთვის სესხების დაფარვა. ლარის გაუფასურებამ ასევე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჩვენი კლიენტების უზრუნველყოფის ღირებულებაზე.

2019 წლის 31 დეკემბერს, ჩვენი კორპორატიული საბანკო და საცალო საბანკო სესხების დაახლოებით 80.2% და 43.7% ბანკისთვის და ჯგუფისთვის დენომინირებული იყო უცხოურ ვალუტაში. ჩვენი საკრედიტო რისკის ხარჯი შეადგენდა 0.8%-ს ჯგუფისთვის 2019 წელს, ხოლო ეს მაჩვენებელი 2018 წელს შეადგენდა 1.7%–ს.

კორონავირუსი (კოვიდ–19) განისაზღვრა ახალ რისკად და ბანკი ახორციელებს საქმიანობაზე, კლიენტებზე და თანამშრომლებზე მისი ზემოქმედების მონიტორინგს. არსებობს გაურკვევლობა გლობალური ვარდნის მოცულობასთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეულია პანდემიის შედეგად. პანდემიის აფეთქებამ მოკლევადიანი უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის საერთო ეკონომიკურ საქმიანობაზე და გამოიწვია გლობალური ეკონომიკური ვარდნა. რიგ ეკონომიკურ სექტორებზე, მათ შორის ტურიზმის, სასტუმროების და გართობის სექტორებზე, განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ვირუსის აფეთქების შედეგებმა ქვეყანაში. დაფინანსების და დახმარების სხვა ფორმების მნიშვნელოვანი წილი მოდის ფინანსურ ინსტიტუტებზე და მთავრობაზე, ქვეყნის ეკონომიკის მხარდაჭერის და რეცესიის ეფექტის შემცირების მიზნით.

კვლავ არსებობს გაურკვევლობა გლობალური ვარდნის მოცულობის შესახებ, რომელიც გამოწვეულია კოვიდ–19 პანდემიის შედეგად. საქართველოს ეკონომიკა სათანადოდ დივერსიფიცირებულია, როგორც სექტორების მიხედვით, ასევე სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის დამოკიდებულების თვალსაზრისით, თუმცა თუ ვირუსის გამო გაგრძელდება გლობალური ვარდნა, ეს სავარაუდოდ მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე.

3. მაკროეკონომიკური გარემო (გაგრძელება)

შერბილება

ჯგუფი უწყვეტად აკონტროლებს ბაზრის მდგომარეობას და განიხილავს საბაზრო ცვლილებებს, ასევე ახორციელებს სტრეს და სცენარის ტესტებს მისი პოზიციის შესამოწმებლად უარყოფით ეკონომიკურ პირობებში, მათ შორის სავალუტო კურსის უარყოფითი ცვლილებების პირობებში.

ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი ადგენს ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტებს და ბანკის კერძო სავაჭრო პოზიციის ლიმიტებს, რომელიც უფრო კონსერვატულია ვიდრე საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ), ჩვენი მარეგულირებლის, მოთხოვნები. ხაზინის დეპარტამენტი ჩვენს ღია სავალუტო პოზიციას ყოველდღიურად მართავს. ღია სავალუტო პოზიციების მონიტორინგს ასევე ახორციელებენ ბანკის რაოდენობრივი რისკის მართვის და რისკის ანალიზის დეპარტამენტები.

ჩვენი კლიენტების კრედიტუნარიანობის შეფასების მიზნით, ჩვენ ვითვალისწინებთ სავალუტო კურსის რყევას როდესაც არსებობს სავალუტო შეუსაბამობა კლიენტის სესხსა და შემოსავალს შორის. ჩვენ გამოვყავით 75% დამატებითი კაპიტალი კლიენტების უცხოურ ვალუტაში სესხებისთვის, რომელთა შემოსავლის წყარო დენომინირებულია ლარში.

ბანკის საკრედიტო კომიტეტები და საკრედიტო რისკის დეპარტამენტი ადგენს კონტრაგენტის ლიმიტებს საკრედიტო რისკის კლასიფიკაციის და ინდივიდუალური ტრანზაქციების ქულათა სისტემის გამოყენებით. კრედიტის ხარისხის გადახედვის პროცესი უწყვეტია და უზრუნველყოფს კლიენტების კრედიტუნარიანობაში შესაძლო ცვლილებების ადრეულ დადგენას, მათ შორის უზრუნველყოფის რეგულარულ გადაფასებას, პოტენციურ ზარალს და რისკის შემცირებისთვის საჭირო გამოსწორების ზომებს, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს დამატებითი უზრუნველყოფის მოპოვებას სესხის ხელშეკრულებების შესაბამისად.

საპასუხისმგებლო კრედიტირების პრაქტიკის ხელშეწყობის მიზნით ბაზარზე, სებ–მა შემოიღო მაკროპრუდენციალური პოლიტიკის ინსტრუმენტები, რომელიც ცვლის კრედიტირების პირობებს ფიზიკური პირებისთვის. სესხის მომსახურებისა (PTI – payment to income ratio) და სესხის უზრუნველყოფის (LTV – Loan to value ratio) კოეფიციენტები, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 1 ნოემბრიდან კომერციული ბანკებისთვის და 2019 წლის 1 იანვრიდან სესხის ყველა ემიტენტისთვის, მოითხოვს ფინანსურმა დაწესებულებებმა გასცეს სესხი კლიენტის ვალის გადახდისუნარიანობის საფუძველზე და მისი მიზანია მაღალი რისკის პროდუქტების შემცირება ბაზარზე. ეს ინიციატივა უზრუნველყოფს ფინანსური სექტორის მდგრადობას უძრავი ქონების ფასის შემცირების შემთხვევაში და შემდგომ ამცირებს საკრედიტო პორტფელის ხარისხის რისკს. სებ–მა გაამარტივა ზემოხსენებული რეგულაცია 2020 წლის აპრილის თვიდან, კოვიდ–19 პანდემიაზე რეაგირების ფარგლებში. ცვლილებები ძირითადად ეხება ჰეჯირებულ მსესხებლებს, ხოლო PTI და LTV ზღვრები არაჰეჯირებული მსესხებლებისთვის უფრო კონსერვატული რჩება.

2016 წლიდან სებ–მა აქტიურად განახორციელა სხვადასხვა ზომები საქართველოს ეკონომიკის დედოლარიზაციისთვის.2019 წლის იანვარში მსესხებლების ჰეჯირებისთვის სავალუტო რისკების მიმართ, სებ–მა გაზარდა მცირე მოცულობის სესხების ზღვარი, რომლებიც უნდა გაიცეს მხოლოდ ადგილობრივ ვალუტაში 100,000 ლარიდან 200,000 ლარამდე.

სებ–ის ინიციატივებს შორის დედოლარიზაციის და ადგილობრივ ვალუტაში გრძელვადიან კრედიტირებაზე წვდომის გაზრდის მიმართულებით, არის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) ბაზელ III ფარგლებში, რომელიც ძალაშია 2017 წლის სექტემბრიდან. სებ–ის პრეფერენციალური მიდგომა ლართან მიმართებით გადაყვანილია 75% LCR–ში ადგილობრივი ვალუტის მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივებისთვის, ხოლო სავალდებულო კოეფიციენტი შეადგენს 100%–ს უცხოური ვალუტისთვის, ასევე ყველა ვალუტისთვის მთლიანობაში.

გარდა ამისა, სებ მოითხოვა ცვლილებები მინიმალური რეზერვების მოთხოვნებში ადგილობრივ და უცხოურ ვალუტაში მოზიდულ სახსრებზე. სებ–მა გაზარდა მინიმალური რეზერვის მოთხოვნები უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი სახსრებისთვის 20%–დან 25%–მდე, გადახდის ვადიდან გამომდინარე, რომელიც ძალაშია 2018 წლის 1 სექტემბრიდან და შემდეგ 30%–მდე, რომელიც ძალაშია 2019 წლის მაისის ბოლოდან, თუმცა აღნიშნული მოთხოვნა კვლავ შემცირდა 25%–მდე 2019 წლის ოქტომბერში. 2018 წლის ივნისში ფინანსური ინსტიტუტების სტიმულირებისთვის მოეხდინათ დაფინანსების გაზრდა ადგილობრივ ვალუტაში სებ–მა შეამცირა მინიმალური რეზერვის მოთხოვნები ადგილობრივ ვალუტაში დაფინანსებაზე 7%–დან 5%–მდე.

2016 წლის დასაწყისიდან ჩვენ ორიენტირებული ვიყავით ადგილობრივ ვალუტაში კრედიტირების ზრდაზე. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ IFIs-თან გრძელვადიანი დაფინანსებისთვის ლარში კლიენტებისთვის ლარში დენომინირებული სესხების გაზრდის მიზნით. გარდა ამისა 2017 წლის ივნისში ჩვენ განვახორციელეთ პირველი ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებული საერთაშორისო ობლიგაციის გამოშვება 500 მილიონი ლარის ოდენობით ადგილობრივ ვალუტაში კრედიტირების ჩვენი ლარში დენომინირებული საკრედიტო პორტფელისთვის.

2017 წლის დასაწყისიდან სებ–მა გააფართოვა აქტივების ჩამონათვალი, რომელთა გამოყენების უფლებაც ბანკებს აქვთ უზრუნველყოფის სახით რეპო ტრანზაქციებისთვის, რაც განაპირობებს დამატებით დაფინანსების წყაროს ჩვენი ლარში დენომინირებული საკრედიტო პორტფელისთვის.

მთავრობას და სებ–ს აქვს შესაბამისი ინსტრუმენტები ეკონომიკური საფრთხის შერბილების ხელშესაწყობად კონკრეტულ ფარგლებში და ეკონომიკური ზრდის შენარჩუნების მცდელობისთვის. ჩვენ ვაგრძელებთ კორონავირუსის პანდემიის მონიტორინგს და განვიხილავთ ჩვენი ბიზნესის მოქნილობის საკითხს.

რეგიონალური არასტაბილურობა

ძირითადი რისკები/ გაურკვევლობა

საქართველოს ეკონომიკაზე და ჩვენს საქმიანობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს რეგიონალურმა დაძაბულობამ და არასტაბილურობამ.

ჯგუფის საქმიანობას ძირითადად ახორციელებს და მისი შემოსავლების ძირითადი წყარო განთავსებულია საქართველოში. საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებულია რეგიონის ეკონომიკაზე კერძოდ რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის ეკონომიკაზე, რომლებიც მთავარ სავაჭრო პარტნიორებს წარმოადგენენ.

რეგიონში მიმდინარეობს გეოპოლიტიკური დაძაბულობა, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა და შეიარაღებული კონფლიქტი, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჩვენს საქმიანობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე.

რეგიონალური არასტაბილურობა (გაგრძელება)

მთავარი ფაქტორები / ტენდენციები

რუსული შეიარაღებული ძალები აგრძელებენ აფხაზეთის და ცხინვალის / სამხრეთ ოსეთის რეგიონების ოკუპაციას და დაძაბულობა რუსეთსა და საქართველოს შორის მუდმივად არსებობს. რუსეთი პოტენციურად ეწინააღმდეგება აღმოსავლეთით „ნატოს“ გაფართოებას, მათ შორის ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო. თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის შემოღებამ საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის სექტემბერში და უვიზო მიმოსვლა ევროკავშირში საქართველოს მოქალაქეებისთვის 2017 წლის მარტში, შესაძლოა გააძლიეროს დაძაბულობა აღნიშნულ ქვეყნებს შორის. მთავრობამ კონკრეტული ზომები მიიღო რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების მიმართულებით, მაგრამ წინამდებარე წლიური ანგარიშის თარიღისთვის ამ ზომებმა არ გამოიწვია ოფიციალური ან სამართლებრივი ცვლილებები აღნიშნულ ქვეყნებს შორის ურთიერთობებში.

2018 წლის ივნისში, ვადამდე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად თურქეთის კონსტიტუციაში ამოქმედდა ცვლილებები. ცვლილებები, რომელიც პრეზიდენტს ანიჭებს გაფართოებულ უფლებებს, სავარაუდოდ მოახდენს თურქეთის სამთავრობო სისტემის ტრანსფორმირებას საპარლამენტო სისტემიდან, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ სტაბილურობაზე თურქეთში.
2019 წლის 8 ივლისს, რუსეთის აკრძალვა პირდაპირ ფრენებზე საქართველოში, რომელიც დააწესა ივნისში ოკუპაციის წინააღმდეგ პროტესტის გამართვის გამო თბილისში, ამოქმედდა. ეს სანქცია სავარაუდოდ გავლენას მოახდენდა საქართველოს ტურიზმის სექტორზე. თუმცა, ამანს ასევე სხვა სტიმულები წარმოქმნა ქვეყნის ტურისტული ბაზის გამრავალფეროვნების კუთხით.

არსებობს მიმდინარე კონფლიქტი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, რაც გავლენას ახდენს რეგიონზე.

ზრნილება

ჯგუფი აქტიურ მონიტორინგს ახორციელებს რეგიონულ და საბაზრო პირობებზე და რისკებზე, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკურ არასტაბილურობასთან და ახორციელებს სტრეს– და სცენარის ტესტებს ჩვენი ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად. ასევე შემუშავებულია საპასუხო სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები.

საქართველოში ეკონომიკური ზრდა შენარჩუნდა მიუხედავად რუსეთის აკრძალვისა პირდაპირ ფრენებზე საქართველოში 2019 წლის ივლისიდან. 2019 წელს შეფასებული რეალური მშპ–ს ზრდამ მიაღწია 5.2%–ს და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მიაღწია ისტორიულ მინიმუმს 2019 წლის მეორე ნახევარში მთლიანობაში. მიმდინარე ანგარიშის ხელსაყრელი დინამიკის მიუხედავად, აკრძალვა რუსეთიდან ფრენებზე გავლენა მოახდინა ლარზე პოლიტიკური და გეოპოლიტიკური გაურკვევლობის ზრდის გამო. ინფლაცია დაჩქარდა სექტემბრიდან და მიაღწია 7.0%–ს 2019 წლის დეკემბერში. ფასის ზრდამ გამოიწვია თამბაქოს აქციზის ზრდა და ლარის ნომინალური გაუფასურება. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განახორციელა ინტერვენცია და გაყიდა უცხოური ვალუტა და გაზარდა მონეტარული პოლიტიკის კოეფიციენტი ინფლაციური ფაქტორების აღმოფხვრისთვის. კერძოდ 2019 წლის ოქტომბერში, S&P Global Ratings გაუმჯობესა საქართველოს საკრედიტო რეიტინგი BB–მდე, რაც მიუთითებს ეკონომიკურ სტაბილურობას გარეშე ფაქტორების მიმართ, შედარებით მაღალი ზრდის პერსპექტივებს, გონივრულ სახელმწიფო დაფინანსების მართვას, რეზერვების მატებას და სტაბილურ და ჯანსაღ ფინანსურ სექტორს. ვთვლით, რომ საქართველოს ძალისხმევები თავისი ეკონომიკური კავშირების დივერსიფიცირების, ახალი მსხვილი ბაზრების პოტენციალის გამოყენების მიმართულებით – ევროკავშირი და ჩინეთი – და თავისი ინსტიტუტების გაძლიერების მიმართულებით იმისათვის, რომ შედარებით უკეთ გაუმკლავდეს გარე „შოკებს’.

„ჰაიდელბერგცემენტი" არის სამშენებლო მასალების მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელი, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2006 წლიდან და არის ლიდერი ადგილობრივ ცემენტის ბაზარზე. უწყვეტი 14 წლიანი საქმიანობის შემდეგ საქართველოს შვილობილი კომპანია „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია", ამჟამად ამუშავებს ორ ინტეგრირებულ თანამედროვე ცემენტის ქარხანას (კასპი და რუსთავი), ცემენტის ქარხანას ფოთში, ცემენტის ტერმინალს შავი ზღვის სანაპიროზე და 13 მზა ბეტონის საწარმო საქართველოს სხვადასხვა ნაწილში. „ჰაიდელბერგცემენტმა" განახორციელა 300 მილიონ ევროზე მეტი ინვესტიცია საქართველოში, მათგან დიდი ნაწილი მიმართული იყო არსებული ცემენტის წარხნების მოდერნიზაციაზე და ბეტონის და აგრეგატების ბიზნეს ხაზების გაფართოებაზე. 2019 წელს დასრულდა კასპის ქარხნის მოდერნიზაცია ახალი სამრობით. პროექტი ნაწილობრივ დაფინანსდა საქართველოს ბანკის მიერ.

„ზოდი" არის სამშენებლო მასალების ერთ-ერთი წამყვანი იმპორტიორი და მწარმოებელი საქართველოში. 2018 წლის მეორე ნახევარში „ზოდმა" დაიწყო ქართული ბუნებრივი ქვის (გრანიტი, ტუფი, ორფუძიანი ბაზალტი და კირქვა) ქარხნის გახსნის იდეის შემუშავება და მაღალი ხარისხის და კონკურენტული ფასის შეთავაზება ბაზარზე. ბანკის დახმარებით და „აწარმოე საქართველოში" მხარდაჭერით, აღნიშნული იდეა წარმატებით განხორციელდა 2019 წელს და კომპანია ამჟამად ამუშავებს თანამედროვე იტალიური, თურქული და ჩინური დანადგარებით აღჭურვილ ქარხანას და წლიური მოცულობა შეადგენს 50,000 კვადრატულ მეტრს.

ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზნად რჩება. 2019 წელს საქართველოს ბანკმა გასცა გარანტიები, ჯამში 146 მილიონი ლარის ოდენობით სამშენებლო სამუშაოებისთვის ჩუმათელეთი-ხევის E-60 მაგისტრალის გაუმჯობესებაზე და ქვეშეთი-კობის გზის (გზის მონაკვეთი) მშენებლობაზე ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფანი (ქვეშეთი - კობი) გზის პროექტი.

ექსპორტი

2019 წელს, ისრაელში დაფუძნებული საერთაშორისო თავდაცვის რადიოელექტრონიკის კომპანიაElbit Systems, საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ საინვესტიციო ინსტრუმენტთან, საპარტნიორო ფონდთან თანამშრომლობით, გახსნა მაღალ-ტექნოლოგიური თანამედროვე საავიაციო ნაწილების ქარხანა თბილისში. ქარხანა აწარმოებს სამოქალაქო საავიაციო ნაწილებს და გააჩნია გრძელვადიანი მიწოდების კონტრაქტები თვითმფრინავების მსოფლიოს უმსხვილეს მწარმოებლებთან. პროდუქციის 100 იქნება ექსპორტირებული. საქართველოს ბანკმა დააფინანსა ობიექტის მშენებლობა და სპეციალურად დაპროექტებული დანადგარი საავიაციო მასალების წარმოებისთვის.

მომსახურებები

2018 წელს , „გრინვეი საქართველომ" გაიმარჯვა სახელმწიფო ტენდერში და აიღო ტექინსპექტირების 51 ახალი ხაზის გამართვის ვალდებულება მთელი საქართველოს მასშტაბით, ათწლიანი ლიცენზიით. ამჟამად „გრინვეი" ამუშავებს ათ ინსპექტირების ცენტრს დედაქალაქის ყველაზე მოხერხებულ ადგილებში, 16 ინსპექტირების ცენტრს რეგიონებში და სამ მობილურ ინსპექტირების სადგურს, 17 რეგიონში. ყველა ინსპექტირების ცენტრი აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა ექვსი თვის განმავლობაში, 2019 წლის ბოლოს. ამჟამად „გრინვეი საქართველო" უდავო ბაზრის ლიდერია სამაზრო წილის თვალსაზრისით. პროექტი ნაწილობრივ დააფინანსა საქართველოს ბანკმა.

„ჯი თი გრუპი“ (GT Group) ფლობს წამყვან პოზიციებს სატვირთო და სპეციალური ტექნიკის ვაჭრობის სფეროში საქართველოში. კომპანიის საქმიანობები ასევე მოიცავს იმპორტს და სასოფლო-სამეურნეო დანადგარების მომსახურებებს. 2019 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი 220 საზოგადოებრივი მომსახურების ავტობუსების შესყიდვაზე თბილისის თბილისის მერიისთვის. „ჯი თი გრუპმა“ მოიგო ტენდერი და საქართველოს ბანკმა დააფინანსა პროექტი.

საცალო საბანკო მომსახურება

საქართველოს ბანკი აგრძელებს მთელი რიგი ინოვაციური სოციალურად ორიენტირებული ფინანსური პროდუქტების და მომსახურებების შექმნას, რომელიც დამატებით სარგებელს მისცემს ფიზიკურ პირებს და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებს (SMEs) და დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს.

Express საბანკო მომსახურება

საქართველოს საბანკო სექტორი კვლავ აწყდება სირთულეებს ეკონომიკური და გეოგრაფიული ბარიერების დაძლევაში თავისი ფინანსური მომსახურებების გაფართოებასთან დაკავშირებით რეგიონებში და მოსახლეობის დაბალშემოსავლიან სეგმენტში.

ჩვენი Express საბანკო მომსახურება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ საკითხის მოგვარებაში.

- 2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით, 162 Express ფილიალის ქსელი და 3,217 Express Pay გადახდის აპარატი არის განთავსებული ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის დაშორებულ მთიან რეგიონებში.
- Express ფინანსური პროდუქტები, როგორიცაა Express ბარათი, Express ანაბარი და Express სესხი მარტივი, ადვილად ხელმისაწვდომი და ხელსაყრელია მოსახლეობის იმ სეგმენტისთვის, რომელსაც სხვაგვარად არ აქვს წვდომა საბანკო პროდუქტებზე და მომსახურებებზე. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკმა მოიზიდა 542,566 კლიენტი, მათგან 24,842 გახდა ბანკის კლიენტი 2019 წელს.

Express საბანკო მომსახურების ფარგლებში ჩვენ პრიორიტეტი მივანიჭეთ თვითმომსახურების უნარების განვითარებას. ჩვენ ვგეგმავთ გავაფართოოთ Express Pay გადახდის აპარატების მიერ შეთავაზებული მომსახურებები. ყველა ეს ცვლილება უფრო მეტად ხელმისაწვდომს გახდის საბანკო მომსახურებას ჩვენი კლიენტებისთვის. 2017 წელს ბანკმა შეიმუშავა ვებ-ბაზაზე განცხადების დამუშავების ინსტრუმენტები, რითაც შესაძლებელია სრული საკრედიტო ციკლის დასრულება დისტანციურად.

Express სტუდენტური ბარათი ითვალისწინებს სპეციალურ ფასდაკლებებს საზოგადოებრივ ტრანსპორტში და უფასო დისტანციურ საბანკო მომსახურებებს სხვა სარგებელთან ერთად. გარდა ამისა სტუდენტს შეუძლია მიიღოს სპეციალური # სტუდენტური შესვენების ფასდაკლებები სხვადასხვა მაღაზიაში, კაფეებში და გასართობ ცენტრებში. სტუდენტები ავტომატურად ერთვებიან Plus+ ლოიალობის პროგრამაში - ეს არის ბანკის ინიციატივა, რომელიც სხვადასხვა სტატუსის დონეებს სთავაზობს კლიენტებს და ანიჭებს ქულებს, რომლებიც გროვდება კლიენტის ბანკთან ურთიერთობის საფუძველზე და შეიძლება გადახდილ იქნას პარტნიორი კომპანიების პროდუქტებში და/ან მომსახურებებში, კლიენტის მოთხოვნით. Plus+ ქულები შეიძლება ასევე გადაიცვალოს მობილური ტელეფონის ბალანსის შევსებაზე და გამოყენებულ იქნას საზოგადოებრივ ტრანსპორტში, კომუნალური გადასახადების და სხვა პროდუქტების გადასახდელად. ეს პროგრამა სტიმულს აძლევს სტუდენტებს გამოიყენონ ფინანსური მომსახურებები და მხარს უჭერს მათ ფინანსურად სწავლის დასრულებამდე

ახალგაზრდების მხარდაჭერა

ჩვენ შევიმუშავეთ ფართო ფინანსური პროდუქტების ასორტიმენტი ახალგაზრდების მხარდასაჭერად საქართველოში. მაგალითად საბავშვო ანაბარის სპეციალური პირობებით ჩვენ მშობლებს ვაძლევთ შესაძლებლობას უზრუნველყონ თავიანთი შვილების მომავალი. ანაბარის გახსნა შესაძლებელია მინიმუმ 10 ლარიდან მინიმუმ ორი წლის ვადით ნებისმიერ დროს ბავშვის დაბადებიდან 18 წლამდე. წლიური საპროცენტო განაკვეთი (10.3% ლარში და 1.0%-3.5%-მდე უცხოურ ვალუტაში) ემატება საწყის შენატანს. 2019 წელს ჩვენ გავხსენით დაახლოებით 8,000 საბავშვო ანაბარის ანგარიში.

სხვა მაგალითი ბანკის პროდუქტებისა, რომლის მიზანია ახალგაზრდების მხარდაჭერა, არის სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტი "sCool Card" – მრავალფუნქციური ბარათი სკოლის მოსწავლეებისთვის. ამ პროექტის მთავარი მიზანია ასწავლოს ბავშვებს ფინანსური კულტურა და მიიღონ ცოდნა ფინანსური მომსახურებების შესახებ ადრეულ ეტაპზე.. sCool Card ხელმისაწვდომია უფასოდ და ასევე უფასოა ყველა ტრანზაქცია და მომსახურება. sCool Card სპეციალურ სარგებელს აძლევს საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებს. სარგებელში შედის უფასო საზოგადოებრივი ტრანსპორტი თბილისში (მეტრო, ავტობუსი) და ბათუმში (ავტობუსები) ფასდაკლება ბავშვებს შორის პოპულარულ გასართობ ცენტრებში, ასევე წიგნის მაღაზიებში, სათამაშოების მაღაზიებში, საბავშვო კაფეებში, აგრეთვე ქულების დაგროვება (sCoola) თითოეული ტრანზაქციით.

საბანკო პროდუქტების უკეთ გაგებაში ბავშვების დასახმარებლად, ბანკმა გახსნა sCool Card Business School, სადაც გამოცდილი პერსონალი ატარებს ტრენინგს ისეთ თემებზე, როგორიცაა „ფულის მნიშვნელობა“, „ბანკი და მე“, „ოჯახის ბიუჯეტი“, „მე ვარ მენეჯერი“ და სხვა. საქართველოს ბანკი და sCool Card არიან Child Friendly Banking Award 2017 ჯილდოს, The Global Inclusion Awards 2017 (ბერლინი, გერმანია) ჯილდოს ფინალისტები.

მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები (MSME)

ჩვენ ვაგრძელებთ MSMEs საწარმოების დაფინანსებას, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის ხერხემალს და ხელს უწყობს საქართველოს მდგრად განვითარებას. ჩვენი საკუთარი მიკროსაფინანსო და SME სესხის პროგრამების გარდა, ასევე მონაწილეობას ვიღებთ სხვადასხვა პროექტებში, რომლებიც მხარს უჭერს მეწარმეებს. 2015 წლიდან ბანკი არის სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს (APMA) პარტნიორი, რომელიც მხარს უჭერს MSMEs-ს სოფლის მეურნეობის სექტორში. ერთობლივად ჩვენ გვაქვს თანა-დაფინანსებული აგროსესხები, ფიქსირებული წლიური საპროცენტო განაკვეთით, რომელსაც ნაწილობრივ იხდის APMA. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მიერ MSMEs -ზე გაცემული მთლიანი სესხის საერთო თანხამ შეადგინა 2.7 მილიარდი ლარი, აქედან 173 მილიონი ლარი გაიცა Preferential Agriculture Lending Program პროგრამის მეშვეობით.

2018 წელს ბანკმა გააგრძელა მიკრობიზნესის მფლობელების დაფინანსება და ამ სეგმენტს თვლის პორტფელის ზრდის ერთ-ერთ მთავარ სფეროდ.

ბანკმა დანიშნა პერსონალი და განსაზღვრა პროცესები თავის Micro-Express სესხებთან დაკავშირებით მიკრო ბიზნესისთვის და სთავაზობს მათ სესხებს 40,000 ლარის ფარგლებში. ავტომატიზაციის და ციფრულ ფორმატზე გადასვლის ზრდა ბანკის მიკრო კრედიტირების სტრატეგიის ერთ-ერთი საფუძველია, რითაც საბანკო საქმიანობა ხდება სწრაფი, ერთგვაროვანი და სასიამოვნო.

საქართველოს ბანკი აპირებს დამატებით გააფართოოს MSMEs-ს დაფინანსება. გარდა ამისა ბანკი ისწრაფვის განავითაროს ფინანსური პროდუქტები და კრედიტირების პრაქტიკა კონკრეტულად იმ MSMEs-თვის, რომლებსაც უძღვებიან ქალები, რაც საბოლოოდ გაზრდის მათ ჩართულობას საქართველოს კერძო სექტორის განვითარებაში.

MSMEs-ის ფინანსური დახმარების გარდა, ბანკი აწარმოებს MSME პორტალს www.businesshub.ge. პორტალზე წარმოდგენილია ფინანსური და ბიზნესთან დაკავშირებული რჩევები მეწარმეებისთვის მათი ფინანსური განათლების და ხელმძღვანელობის უნარების გასაუმჯობესებლად და უზრუნველყოფს მათი ბიზნესების მდგრად განვითარებას. პორტალი აწვდის ინფორმაციას მეწარმეებს ტრენინგების შესახებ და უზრუნველყოფს ცოდნით და უნარებით ბუღალტრული აღრიცხვის, იურიდიული დოკუმენტების, ბიზნესის განვითარების, გაყიდვების და მარკეტინგის შესახებ.

ბანკი ეხმარება თავის კლიენტებს პროდუქტების მარკეტინგში ვიდეო მასალების მეშვეობით, რომელიც ჩვენი შექმნილია და გამოქვეყნებულია ჩვენს გვერდებზე სოციალურ მედიაში. #Icreate კუთხეები, რომლებიც განთავსებულია საქართველოს ბანკის ფილიალებში, ასევე ფართო შესაძლებლობებს აძლევს კლიენტებს წარმოადგინონ და რეკლამა გაუკეთონ თავიანთ პროდუქტებს უფასოდ.

MSME კლიენტების ეკოლოგიური და სოციალური რისკის მართვის პროცესები ჩართულია ბანკის მთლიან საქმიანობებში. ყოველისმომცველი ეკოლოგიური და სოციალური რისკის შეფასებებით და საჭირო სამოქმედო გეგმების განხორციელებით, ჩვენ ხელს ვუწყობთ ჩვენს MSME კლიენტებს დაიცვან ეკოლოგიური და სოციალური კანონმდებლობა.

ობიექტზე ვიზიტების დროს ჩვენს კლიენტებს ვაძლევთ რჩევებს და სახელმძღვანელოს სათანადო პრაქტიკაზე და სტანდარტებზე მოცემულ სფეროებში. ჩვენ მათ მივაწვდით ინფორმაციას გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების , ასევე შრომითი საკითხების შესახებ. ასევე ვახორციელებთ მათ მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური კანონმდებლობის დაცვას. შეუსაბამობის შემთხვევაში ჩვენი MSME კლიენტების ეკოლოგიური და სოციალური რისკების სათანადო და დროული მართვა ეხმარება მათ ისეთი პრობლემების მოგვარებაში, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ფინანსური და იურიდიული სანქციები სახელმწიფოს სამართალდამცავი უწყებიდან.

დამატებითი ინფორმაცია ჩვენს მიერ MSME მხარდაჭერის შესახებ იხილეთ გვერდებზე 35 - 38.

დაფინანსება და ქველმოქმედება

ჩვენი დაფინანსების და საქველმოქმედო ღონისძიებების ფარგლებში, ჯგუფი ორიენტირებულია ხელი შეუწყოს და გაუმჯობესოს წვდომა განათლებაზე, დაიცვას ბუნება, დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, განავითაროს სოციალური საწარმოები და ხელი შეუწყოს ინოვაციურ პროექტებს, რომელიც მიმართულია სოციალურ კეთილდღეობაზე. ჯგუფის სპონსორული და საქველმოქმედო პოლიტიკა ხელს უწყობს პარტნიორობას სხვადასხვა ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან (NGOs) მდგრადი შედეგების მისაღებად და დადებითი ცვლილებების განსახორციელებლად. საქველმოქმედო ფონდები დაკავშირებულია ბანკის ფონდის „სიცოცხლის ხის“ მეშვეობით, რომელიც თავის მხრივ ანაწილებს დაფინანსებას საგრანტო კონკურსების გზით, დაფინანსების გამჭვირვალე და სამართლიანი მეთოდებით. ჯგუფი ასევე ახორციელებს საკუთარ სოციალურ პროექტებს.

2019 წელს სიცოცხლის ხემ გამოყო დაახლოებით 1.9 მილიონი ლარი განათლების, ბუნების დაცვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, სოციალური პლატფორმების და სოციალური მეწარმეობის განვითარების მხარდასაჭერად. საქართველოს ბანკმა ფონდ „სიცოცხლის ხესთან“ ერთად შექმნა საქველმოქმედო პლატფორმა www.donate.ge, რომელიც აკავშირებს გაჭირვებულ ადამიანებს მათთან, ვისაც სურს მათი დახმარება სხვადასხვა საგნებით, ტანსაცმლით, წიგნებით და სხვა. პლატფორმა სთავაზობს საგნების შეგროვებას, დახარისხებას და მიწოდებას. 2018-2019 წლებში შეგროვდა 84,769 ნივთი 963 დონორისგან და www.donate.ge უკვე დაეხმარა 2,181 ბენეფიციარს

საქართველოს ბანკი აღიარებს ზემოქმედებას, რომელიც შესაძლოა მოახდინოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. აქედან გამომდინარე ბანკმა გამოსცა საგრანტო პროგრამა სოციალურად მართული საწარმოების მხარდაჭერაზე საქართველოში. 2016-2019 წლებში, საქართველოს ბანკმა მხარი დაუჭირა ათ სოციალურ 650,000 ლარით და 50,000 ლარით თითოეულ პროექტზე. ბანკი არის სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის პარტნიორი თავისი როლის მაქსიმალურად შესრულებაში საზოგადოებრივ საქმიანობაში.

განათლებაზე წვდომის ხელშეწყობა და გაუმჯობესება

2013 წელს ბანკი გახდა პირველი ქართული კომპანია, რომელიც თანამშრომლობს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სტიპენდიის პროგრამაზე მსოფლიოში - „ჩევნინგის სტიპენდიაზე" / Chevening scholarship. თანამშრომლობა შესაძლებლობას აძლევს ქართველ სტუდენტებს განათლება მიიღონ დიდ ბრიტანეთში. 2019 წელს ჯგუფმა უზრუნველყო 100 ათასი გირვანქა სტერლინგი სამი სტუდენტის სამაგისტრო პროგრამის დასაფინანსებლად. „ჩევნინგთან" პარტნიორობა გაგრძელდება მომდევნო წლის განმავლობაში და ჯგუფი შეარჩევს მათ სწავლას დიდ ბრიტანეთში.

2014 წელს საქართველოს ბანკმა ხელი მოაწერა პარტნიორობის ხელშეკრულება პრესტიჟულ აშშ ფულბრაიტის (Fulbright) სტიპენდიის პროგრამის ფარგლებში. საქართველოს ბანკის შენატანის წყალობით საქართველოდან შერჩეულ სტუდენტებს შეუძლიათ გაიარონ ორწლიანი სამაგისტრო პროგრამა აშშ-ს უნივერსიტეტში. 2019 წელს ორწლიან პროგრამაზე სტუდენტების დაფინანსებამ შეადგინა 100 ათასი აშშ დოლარი. 2014 წლიდან ბანკმა გამოყო 400 ათასი აშშ დოლარი აშშ ფულბრაიტის სტიპენდიის დაფინანსების პროგრამისთვის

CHEVENING

2018 წლიდან საქართველოს ბანკი მხარს უჭერს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს (SDSU) საქართველოში. 2018-2019 აკადემიურ წელს ბანკი დააფინანსებს სტიპენდიას ათი სტუდენტისთვის 80 ათასი აშშ დოლარით.

Miami Ad School Berlin კურსდამთავრებულის და საქართველოს ბანკის ყოფილი თანამშრომლის, ნიკა გუჯეჯიანის, რომელიც სამწუხაროდ გარდაიცვალა 2019 წელს, პატივსაცემად, საქართველოს ბანკმა და Miami Ad School Europe გადაწყვიტეს ნიკას სახელობის სტიპენდიის დაწესება. თანა-დამფუძნებელი, ნიკლას ფრინგს-რაპი, მმართველი დირექტორი, საბინე გეორგი და საქართველოს ბანკი გულწრფელად მხარს უჭერს ამ ინიციატივას. 2020 წლის დაწყებიდან ჩვენ გავეცით ნიკა გუჯეჯიანის სახელობის ერთი სტიპენდია 100% Miami Ad School Europe-ში.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ბანკი მხარს უჭერს საჯარო მეტყველების კონკურსს, რომელიც ჩატარდა ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთა კავშირის ორგანიზებით. კონკურსი უმაღლესი სკოლის გამოსაშვები და უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტებს აძლევს საშუალებას მოამზადონ სიტყვა წინასწარ შერჩეულ თემაზე და წარდგეს კომპეტენტური ჟიურის წინაშე. გამარჯვებულს ენიჭება ანაზღაურებული გამგზავრება ლონდონში საჯარო მეტყველების კონკურსზე დასასწრებად. ჩვენი მიზანია კვლავ დავიჭიროთ მხარი ამ კონკურსს 2020 წელს.

ბანკი მხარს უჭერს ყოველ TEDx Tbilisi კონფერენციას მისი პირველი ჩატარების თარიღიდან 2012 წლიდან. TEDx კონფერენცია არის ადგილობრივად ორგანიზებული TED ფორმატის ღონისძიება, სადაც საზოგადოება, ორგანიზაციები და ფიზიკური პირები იკრიბება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებზე ერთმანეთთან სასაუბროდ.

პრაქტიკული მაგალითი

2018 წელს საქართველოს ბანკის კორპორატიული საბანკო მომსახურების ჯგუფმა მოაწყო თანამედროვე ქართული ნახატების საქველმოქმედო აუქციონი-გამოფენა და მოიწვია თავისი ათი უმსხვილესი კლიენტი მონაწილეობის მისაღებად. შედეგად, აუქციონიდან შეგროვებული 75,000 აშშ დოლარი დაამრგვალა 100,000 აშშ დოლარამდე და აღნიშნული თანხა საქართველოს მთიანი რეგიონების ყველაზე ნიჭიერი ბავშვების დასაფინანსებლად მიმართა. პირველი ხუთი ბავშვი ისწავლის ინგლისში ზაფხულის სკოლაში დიდ ბრიტანეთში. ამ ბავშვებმა პოპულარობა მოიპოვეს სოციალურ მედიაში საქართველოს რეგიონების გაცნობისთვის.

მოზიდული სახსრების ნაწილი გამოყენებული იქნა მრავალფუნქციური ბიბლიოთეკების ორგანიზებისთვის ორი კონფლიქტის ზონის ტერიტორიაზე, სოფლებში დიცი და ხურვალეთი 260-ზე მეტ სტუდენტზე.

ინტერნეტზე წვდომის გასავრცელებლად ფინანსურად ნაკლებ უზრუნველყოფილი ოჯახებისთვის, ჩვენ მხარს ვუჭერთ სოციალურ პროექტს www.charte.ge. ვთვლით, რომ ეს პროექტი მნიშვნელოვანია განათლების ხელმისაწვდომობისთვის. პარტნიორობა გაგრძელდება 2020 წელსაც.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდაჭერა

2014 წლიდან ბანკი ორიენტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდაჭერაზე, რომლებიც ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად სოციალურ ჯგუფს წარმოადგენს საქართველოში. 2019 წელს ბანკმა ამ მიზნით ფონდს სიცოცხლის ხეს გადასცა 75 ათასი ლარი. ფონდი სიცოცხლის ხე ანაწილებს სახსრებს საგრანტო კონკურსების მეშვეობით - ერთ-ერთი განსაზღვრულია შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის, რომელიც მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან და მეორე მათგანის მიზანია სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობა. კონკურსში მონაწილეობისთვის წინადადებები და შეთავაზებები ორიენტირებული უნდა იყოს მცირე საწარმოს შექმნაზე, რომლის მიზანი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საარსებო პირობების გაუმჯობესება.

საკადრო საკითხები

ჩვენი წარმატების მთავარი ფაქტორია შეკრული და პროფესიონალი ჯგუფი, რომელსაც აქვს უნარი განახორციელოს ჯგუფის მიზნები. ჩვენი მიზანია მოვიზიდოთ საუკეთესო პროფესიონალები, ვიზრუნოთ და გავითვალისწინოთ მათი მოთხოვნები, დავაბანდოთ ინვესტიცია მათ განვითარებაში და გავაძლიეროთ მათი დაინტერესება.

ადამიანური კაპიტალის მართვის (HCM) დეპარტამენტი და მენჯმენტის სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი ყველაზე ძვირფასი აქტივის - ჩვენი თანამშრომლების მართვაში. HCM დეპარტამენტი ამუშავებს ადამიანური რესურსების (HR) პოლიტიკას და პროცედურებს, რომელიც განსაზღვრავს მთავარ პრინციპებს, სფეროებს, მიდგომებს და მეთოდებს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანური კაპიტალის მართვის სისტემების შექმნაში ყველა ჩვენს საქმიანობაში.

ამ ნაწილში წარმოდგენილია პრინციპები, რომელიც ეხება მოვალეობების შესრულებას ჩვენი თანამშრომლების წინაშე. აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების საშუალებები და მიღწეული პოლიტიკის მიზნები 2019 წლის განმავლობაში. საქართველოს ბანკის ადამიანური კაპიტალის მართვის (HCM) დეპარტამენტი აკონტროლებს აღნიშნულ პოლიტიკას დირექტორთა საბჭოსთან კოორდინაციით და უზრუნველყოფს შესაბამის განახლებებს ორგანიზაციული, სტრატეგიული ან სისტემური ცვლილებების შესაბამისად. მაგალითად, ჩვენი ანაზღაურების პოლიტიკა, ქცევის კოდექსი, ასევე ადამიანთა უფლებების პოლიტიკა გადაიხედა და შესწორდა 2019 წელს შემორებული მარეგულირებელი მოთხოვნების საფუძველზე.

ჩვენი HR პოლიტიკა და პროცედურები მოიცავს და არა მხოლოდ შემდეგს:

- საკადრო დაგეგმარება და თანამშრომელთა მიღება;
- HR ადმინისტრაცია;
- ანაზღაურება - კომპენსაცია და სარეგებელი;
- HR საქმიანობები – ბიუჯეტი და ანგარიშგება;
- თანამშრომელთა ქცევის კოდექსი;
- თანამშრომელთა სწავლება და განვითარება;
- ადამიანის უფლებები;
- საჩივრები;
- შემცირება; და
- ნეპოტიზმთან ბრძოლა.

ბანკის ადამიანური კაპიტალის მართვის (HCM) დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს ჩვენი შვილობილი კომპანიების HR მენეჯერებთან და ხელმძღვანელობასთან მთავარი პრინციპების სათანადოდ განხორციელების და საჭირო მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით ყველა HR -თან დაკავშირებულ საკითხზე.

ჩვენ ვაღიარებთ ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობას და ჩვენი მიზანია დავნერგოთ სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნეს პრაქტიკა.

ჩვენი ადამინური რესურსების პოლიტიკა განსაზღვრავს პრიორიტეტებს და კონტროლის პროცედურებს თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის და ნებისმიერ საფუძველზე, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების გამო დისკრიმინაციის ან შევიწროების პრევენციის მიზნით. ჩვენი ადამიანების უფლებების დაცვის პოლიტიკა ვრცელდება ყველა თანამშრომელზე და მოიცავს პროცედურებს შრომითიმოწყობის პროცესების (მათ შორის კადრების დაკომპლექტების პროცედურებს და პროცეცედურებს, რომლებიც არეგულირებს იმ თანამშრომელთა სამუშაო სტატუს უწყვეტობის საკითხს, რომელიც გახდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი საქმიანობის პერიოდში), ტრენინგის და განვითარების შესახებ.

თანამშრომლების ჩართულობა

ჩვენი მიზანია თანამშრომელთა ჩართულობა. და მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა თანამშრომელი ყველა დონეზე ინფორმირებული იყოს ჩვენი ჯგუფის შესახებ. ჩვენ ვცდილობთ უწყვეტად მივაწოდოთ ჩვენს თანამშრომლებს ინფორმაცია, მათ შორის და არამხოლოდ ინფორმაცია ჩვენი კორპორატიული კულტურის, ჯგუფის სტრატეგიის და ეფექტურობის, საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების, როგორიცაა ფინანსური და ეკონომიკური ფაქტორები და ჩვენი პოლიტიკის და პროცედურების შესახებ. ჩვენ ინფორმაციას წარმოვადგენთ სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის მენეჯერების, პრეზენტაციების, ახალი თანამშრომლების წარდგენის პროცესის, ინტრანეტის, კორპორატიული სოციალური ქსელის – Workplace – მეშვეობით, რაც იძლევა პირდაპირი „ონლაინ“ კომუნიკაციის, ელ-ფოსტის და რეგულარული შეკრებებისა და სამსახურის გარეთ შეხვედრების შესაძლებლობას. კორპორატიული სოციალური ქსელი, Workplace, ჩვენს შიდა სკომუნიკაციო ინსტრუმენტებს დაემატა 2019 წელს. ქსელი ხელს უწყობს თანამშრომელთა ჩართულობას გუნდური მუშაობის ახალი დონის, ღია, პირდაპირი და პერსონალიზებული კომუნიკაციის მეშვეობით..

2019 წელს ბანკმა კოლექტივთან ურთიერთობა გარდაქმნა თანამშრომლის შთაბეჭდილების მართვაში. ამ ინფორმაციის მიზანია თანამშრომლის შთაბეჭდილების და პასუხისმგებლობის ამაღლება ორგანიზაციის წინაშე ინტერაქტიული კონსულტაციის და კომუნიკაციის გზით ჩვენს თანამშრომლებთან და მენეჯერებთან და მათი კმაყოფილების და ჩართულობის უზრუნველყოფა საქართველოს ბანკში მუშაობის პერიოდში.

თანამშრომლის შთაბეჭდილების მართვა უზრუნველყოფს ჩვენი ღირებულებების დაცვას კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში და თითოეული თანამშრომლის დაინტერესებას, უფლებამოსილების მინიჭებას და უკუკავშირის და პატივისცემის კულტურის გაძლიერებას.

ჩვენ ვაფასებთ ჩვენი თანამშრომლების მოსაზრებებს. რეგულარულად გავდივართ კონსულტაციებს მათთან და ვახორციელებთ უკუკავშირის სისტემებს, როგორიცაა თანამშრომელთა კმაყოფილების რეგულარული კვლევა, რაც უზრუნველყოფს ჩვენი თანამშრომლების მოსაზრებების გათვალისწინებას იმ გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ ინტერესებზე. თანამშრომლების მოსაზრებების გაგება ასევე ხელს შეუწყობს კლიენტზე ორიენტირებული მიდგომის გაუმჯობესებას. 2018 წელს სამეთვალყურეო საბჭოს ინიციატივით, ბანკმა შემოიღო ღონისძიება Employee Voice on Board, სადაც ისწავლება გაზიარების კულტურა, უკუპასუხი, გამჭვირვალობა, თანაბარი შესაძლებლობები, დაფასება, ნდობა და პატივისცემა. 2019 წელს რეგულარული შეხვედრები მოცემული ინიციატივის ფარგლებში მხარდაჭერილი იყო სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ქ-ნი ჰანა ლოიკანენის მიერ, რომელიც მუშაობს თანამშრომელთა ჩართულობის საკითხებზე და თავმჯდომარე ნილ ჯანინის მიერ. საბჭოს სხვა წევრებმა მონაწილეობა მიიღეს აღნიშნულ განხილვებში, რომელიც ჩატარდა ღია და არაოფიციალურ ატმოსფეროში, სადაც მონაწილეებს შეეძლოთ საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი გამოწვევების და შესაძლებლობების, მოტივაციების და უარყოფითი ფაქტორების განსახილველად. აღნიშნული ინიციატივა ხელს უწყობს ერთობლივი პასუხისმგებლობის კულტურას და მუდმივ განვითარებას, თანამშრომლების და მათი როლის ასახვის გზით დიდ ორგანიზაციულ კონტექსტში.

ნდობის და ღია დიალოგის კულტურის ხელშესაწყობად, 2019 წელს, მმართველი საბჭო ეწვია ბანკის სერვის ცენტრებს, რამაც სხვა შესაძლებლობა მისცა თანამშრომლებს განიხილონ საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენენ მათზე და ანიჭებს უფლებას წვლილი შეიტანონ ორგანიზაციულ და სამუშაო ადგილის განვითარების პროცესში. მმართველმა საბჭომ დიდი ინტერესი გამოხატა პერსონალის და ორგანიზაციის საკითხებზე. თითოეულ მონაწილეს შეეძლო გამოეხატა მოსაზრებები და თითოეული მათგანი წახალისებული იქნა აელო პასუხისმგებლობა და უფრო აქტიურად ჩართულიყო ბანკის წარმატებაში / განვითარებაში. უკუკავშირი აღნიშნული ვიზიტებიდან და შესაბამისი ქმედებების კონტროლი პრობლემების აღმოსაფხვრელად, უზრუნველყოფილი იქნა თანამშრომლებისთვის გენერალური დირექტორის ბ-ნი არჩილ გაჩეჩილაძის მიერ, მის მოადგილესთან და სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად, რომლებიც აკონტროლებენ საცალო ბიზნესს. აღნიშნულის შესახებ ინფორმირება მოხდა Workplace პირდაპირი ეთერით და თანამშრომლებს მიეცათ წარმომდგენებთან პირდაპირი ურთიერთობის, შეკიტხვების დასმის და პასუხების მიღების შესაძლებლობა კონკრეტულ საკითხებზე უკუკავშირთან და შესაბამისი სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით.

Barrett Organisational Values შეფასების შემდეგ 2017 წელს, ჩვენ ყურადღებით ვაკონტროლებთ თანამშრომელთა ჩართულობას და კულტურულ ფაქტორებს. 2019 წელს ჩატარდა თანამშრომლების ჩართულობის კვლევა, Korn Ferry's Engaged Performance™ Framework გამოყენებით, უკრაინაში Korn Ferry წარმომადგენლობასთან თანამშრომლობით და განხორციელდა Barrett Organisational Values შეფასების მეორე ტალღა. კვლევების შედეგებმა, სხვადასხვა ინიციატივებიდან მიღებულ ინფორმაციასთან ერთად, ასახა ზუსტი და ღრმა ცოდნა არსებული მდგომარეობის და საჭიროებების შესახებ თანამშრომელთა ჩართულობასთან და თანამშრომლის პროდუქტიულობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით. საერთო 68% ჩართულობით, Korn Ferry კვლევის შესაბამისად, მეტი ფოკუსი თანამშრომლის წახალისებაზე და გუნდური მუშაობაზე, Barrett-ის შეფასებაში კულტურის სასურველ კომპონენტებად განისაზღვრა.

აღნიშნული შედეგების საფუძველზე, ბანკმა ფოკუსი გადაიტანა კლიენტზე ორიენტირებული კულტურის ახალ ასპექტებზე. თითოეულის გამოცდილების გაუმჯობესების მიზნით ჩვენ გავაერთიანეთ კლიენტის შთაბეჭდილება / კმაყოფილების და ადამიანური კაპიტალის მართვა ერთ ყოვლისმომცველ მიმართულებად, რადგან რთულია კლიენტის კმაყოფილების მაღალი დონის შენარჩუნება თანამშრომლის კმაყოფილების გაუმჯობესების და ამაღლების გარეშე. ამ მიდგომის განხორციელების ინიციატივების და მთავარი საქმიანობები დაინერგება 2020 წელს. ჩვენ ვაპირებთ გადავხედოთ, გავანალიზოთ და ახალი ფორმა მივცეთ პერსონალის საქმიანობას თანამშრომლის საუკეთესო შტაბეჭდილების შესაქმნელად ბაზარზე, განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობებით და თანამშრომლის ჩართულობის მაღალი დონის უზრუნველოფისთვის, საუკეთესო ტალანტების მოზიდვით და დასაქმებით.

კლიენტის და პერსონალის შთაბეჭდილების / კმაყოფილების ინტეგრაციასთან ერთად, 2019 წელი ასევე იყო სწრაფი ტრანსფორმაციის წელი. ბანკმა დაასრულა ტრანსფორმაცია სწრაფი მიწოდების მოდელზე. ჩვენი მთავარი ფოკუსი კეთდება კლიენტის შტაბეჭდილებაზე და შესაბამისად ვისწრაფვით გავაუმჯობესოთ მიწოდების ეფექტურობა და შევამციროთ დანერგვის ვადა თვითორგანიზებული კომპლექსური ჯგუფებისთვის უფლებამოსილების და შესაძლებლობების მიცემის გზით, პროდუქტებთან და ციფრულ არხებთან დაკავშირებით და ზედა დონის სტრატეგიის განხორციელების და მიზნების მიღწევის გზით ჯგუფის დონეზე. ჩვენი მოქნილი მიდგომა უზრუნველყოფს ტექნოლოგიის და ადამიანური გამოცდილების დაკავშირებას რეალური დროის, სწრაფი და პერსონალიზებული ციფრული მომსახურებების შექმნით.

აღნიშნული ტრანსფორმაციები მოიცავს რეგულარულ უკუკავშირს კლიენტებისგან, კომპანიებიდან და თანამშრომლებიდან - ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი უკუკავშირის კულტურის განვითარებას და გაუმჯობესებას ღია და კონსტრუქციული დიალოგით ორმხრივი ნდობის საფუძველზე. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ჩვენ ვეხმარებით ერთმანეთს ზრდასა და განვითარებაში. ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობები ამ კულტურის ნაწილია და ჩვენ რეგულარულად ხორციელდება 2019 წელს:

- მერიის შეხვედრები გენერალურ დირექტორთან;
- გენერალური დირექტორის საინფორმაციო ბიულეტენები, სამადლობელი ელ-ფოსტები და CEO VLOG – Workplace-ზე;
- საქმიანობის კვარტალური მიმოხილვა (QBRs) ხელმძღვანელობასთან; და
- Employee Voice on Board შეხვედრებზე.

თანამშრომლის ჩართულობის ინიციატივების წარმატების და ეფექტურობის შესაფასებლად და მათი მდგრადობის მონიტორინგისთვის, ჩვენ შემოვიღეთ ENPS პრგრამა, ჩვენი ადამიანური კაპიტალის მთავარი KPI (ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებელი) (დეტალები იხილეთ 56 გვერდზე). ჩვენ ვიყენებთ კლიენტის შთაბეჭდილების ონლაინ პლატფორმას Medallia რათა დავეხმაროთ თანამშრომლებს პროდუქტიულობის ამაღლებაში, ჩვენი კლიენტებისგან პირდაპირი უკუკავშირის ანალიზის და ჩვენი საქმიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოყენების გზით (იხილეთ დამატებითი ინფორმაცია Medallia-ზე კლიენტის შთაბეჭდილების ნაწილის გვერდზე 44).

სამართლიანი მიდგომის უზრუნველყოფის მიზნით ჩვენი თანამშრომლების და მათი ანაზღაურების მიმართულებით, ბანკი აკონტროლებს თანამშრომლების ანაზღაურების ტენდენციებს შრომის ბაზრის კომპენსაციის კვლევების საფუძველზე ფინანსურ სექტორში. 2019 წლის კვლევის შედეგები და ანალიზი შიდა მონაცემებით, ადასტურებს, რომ ბანკი ინარჩუნებს კონკურენტუნარიანი დამსაქმებლის პოზიციას.

ჩვენი ანაზღაურების სტრუქტურა ხელს უწყობს თანამშრომლის მუშაობას, რომელიც კონტროლდება რეგულარულად. საქმიანობის განხილვა ჩვენი უკუკავშრის პროცესის ნაწილია. მათი სიხშირე იცვლება პოზიციის მიხედვით და შეიძლება ჩატარდეს ყოველთვიურად, კვარტალურად, წელიწადში ორჯერ და ყოველწლიურად, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე.

ბანკის თანამშრომელთა ანაზღაურების პაკეტი მოიცავს შემდეგ ბენეფიტებს:

- დეკრეტული შვებულების კომპენსაცია (გადაეხადა 385 თანამშრომელს 2019 წელს);
- ჩვენი თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ფინანსური დახმარება ქორწინებასთან, შვილის შეძენასთან ან აყვანასთან, თანამშრომლის ან მისი ოჯახის წევრის გარდაცვალებასთან, თანამშრომლის ოჯახის წევრის ავადმყოფობასთან, თანამშრომლის ავადმყოფობასთან დაკავშირებით (კონკრეტულ შემთხვევებში) როდესაც სადაზღვევო პაკეტი არ ფარავს ხარჯებს;
- მოქნილი ერთდღიანი შვებულება(დეი-ოფ) საქართველოს შრომისნ კოდექსით დადგენილის გარდა; და
- სპეციალური ტარიფები საბანკო პროდუქტებზე და მომსახურებებზე.

საქართველოს ბანკი მისი აფილირებული პირები ისწრაფვიან ხელი შეუწყონ თანასწორობას და მრავალფეროვნებას, კულტურას, რომელიც აქტიურად აფასებს განსხვავებას და აღიარებს, რომ სხვადასხვა კვალიფიკაციის და გამოცდილების ადამიანებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი და სასარგებლო ინფორმაციის მიტანა სამუშაო ადგილზე. ჩვენი მიზანია ვიყოთ ინკლუზიური ორგანიზაცია, სადაც აფასებენ, პატივს სცემენ და ეყრდნობიან მრავალფეროვნებას და აქვს განსხვავებული პერსონალის მოზიდვის და დასაქმების უნარი.

ბანკის მიზანია უზრუნველყოს, რომ არ მოხდეს ფიზიკური პირის ან ჯგუფის პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით (გენდერული, ოჯახური მდგომარეობა, ეთნიკური წარმოშობა, შეზღუდული შესაძლებლობები, ასაკი, სექსუალური ორიენტაცია, წარმომავლობა და ეროვნება, პოლიტიკური ან რელიგიური რწმენა) დასაქმებასთან დაკავშირებით. ყველა ადამიანის უნივერსალური უფლებები, რომელიც ითვალისწინებს პატივისცემით, თანასწორად და ღირსეულ მოპყრობას, მხარდაჭერილი და დეკლარირებულია ჩვენს თანამშრომლის კორპორატიულ სახელმძღვანელოში და ადამიანური უფლებების პოლიტიკაში. ნეპოტიზმთან ბრძოლის პოლიტიკით ჩვენ ვუზრუნველყოფთ და მხარს ვუჭერთ სამართლიან და გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

2019 წელს, ბანკმა ჩაატარა თვით-შეფასება, ქალთა უფლებების გაძლიერების პრინციპებით გათვალისწინებული სახელმძღვანელოთი, რომელიც შეიქმნა „გაეროს გლობალური პაქტის და გაეროს - ქალების“ საფუძველზე. შედეგები შესაძლებლობას მოგვცემს გავაძლიეროთ ჩვენი მიდგომა გენდერული მრავალფეროვნების მიმართულებით.

დირექტორები
რაოდენობა

7



თანამშრომლების რაოდენობა ასაკის მიხედვით
საქართველოს ბანკი

5,879




უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა
რაოდენობა

52



თანამშრომლების რაოდენობა ასაკის მიხედვით
BNB

565



ყველა თანამშრომლის
რაოდენობა

6,547



Men Women

კვალიფიციური კადრების მოზიდვა და მართვა

ჩვენი საკადრო პოტენციალის მართვის სისტემის მიზანია ჩვენს ბაზარზე არსებული საუკეთესო კვალიფიციური კადრების მოზიდვა და აყვანა და მათი სრულად ჩართვა ჯგუფში. საკადრო პოლიტიკა ჯგუფური ინტერვიუებით, შესაბამისი კონტროლის პროცედურებით და ონლაინ პერსონალის შერჩევის ავტომატიზირებული სისტემით (ATS) უზრუნველყოფს სამუშაოზე აყვანის ობიექტურ პროცესს, რაც დასაქმების თანაბარ შესაძლებლობას აძლევს სხვადასხვა განათლების და გამოცდილების მქონე ყველა კანდიდატს ჩვენი საქმიანობის განვითარების და ახალი სამუშაო მოთხოვნების შესაბამისად.

განცხადების განხილვის პროცესი ხორციელდება არა-დისკრიმინაციული მიდგომით და კანდიდატებისგან არ მოითხოვს ინფორმაციას ასაკის, დაბადების თარიღის, სქესის შესახებ და/ან ფოტოს, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურობას და თანაბარ წვდომას დასაქმებაზე. ჩვენი მიზანია ასევე ვუზრუნველოოთ კადრების განვითარება შიდა ფარგლებში და ვაკანტური პოზიციების დაკავებისას პრიორიტეტი ენიჭება შიდა პერსონალს, განსაკუთრებით იმ სიტუაციაში, როდესაც ვაკანსიები ხელმძღვანელობის უმაღლეს და შუა რგოლს ეხება.

ახალგაზრდა ნიჭიერი კადრების მოზიდვის მიზნით ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ საქართველოს წამყვან ბიზნეს სკოლებთან და უნივერსიტეტებთან, და მუდმივად ვზრდით ჩვენი პარტნიორების რაოდენობას, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტებს შორის მრავალფეროვნებას და აფართოებს დისციპლინების სპექტრს, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ კადრების შერჩევისას. ბანკი რეგულარულად მონაწილეობს ვაკანსიების ბაზარზე და ახორციელებს ინტენსიურ სტაჟირების / სტუდენტების განვითარების პროგრამებს. 2012 წლიდან ჩვენ რეგულარულად ვახორციელებთ სტაჟირების პროგრამებს სპეციალურ ფორმატში და მუდმივად ვაუმჯობესებთ მათ. 2019 წლის განმავლობაში, 38 პირმა მიიღო მონაწილეობა ჩვენს სტუდენტის განვითარების პროგრამაში, მათგან 15 მონაწილე გახდა საქართველოს ბანკის სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელი. პროგრამა ამჟამად ხორციელდება Leaderator (ლიდერატორი) სახელით და სათანადოდ არის აღიარებული საქართველოს შრომის ბაზარზე სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შორის. 2019 წელს განხორციელდა განახლება, რესტრუქტურიზაცია და რამდენიმე მიმართულების დანერგვა: კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურება, რომელიც მოიცავს დაგროვებული ქონების მართვას, IT, SME, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი, ფინანსური მართვა, საცალო საბანკო მომსახურებები და ციფრული პროდუქტები, ბიზნესის განვითარების ანალიტიკა, ბიზნესის ეფექტურობა, საბანკო რეგულაციები და შესაბამისობა. პროგრამაში მონაწილეობა მხარდაჭერილია ფინანსურად და წარმოადგენს მოქნილ განრიგს სტუდენტების აკადემიური პროცესის ხელშეწყობის მიზნით. პროგრამა იზიდავს პერსპექტიულ კურსდამთავრებულებს და აძლევს მათ ბანკის 360° სურათის ნახვის, რეალურ პროექტებზე მუშაობის და „ქოუჩინგის“ მიღების და ბანკის უმაღლესი და საშუალო რგოლის ხელმძღვანელობისგან მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობას.

მონაწილეები გადიან პროფესიულ ტრენინგს და აქვთ შანსი გახდნენ ქვეყანაში წამყვანი ფინანსური ინსტიტუტის წევრები.

ბანკი აფასებს თავისი თანამშრომლების ნიჭს და უზრუნველყოფს სხვადასხვა აქტივობებს მათ შესანარჩუნებლად, ლიდერული თვისებების და უნარების განვითარების და სხვადასხვა პროფესიული სერტიფიკაციის პროგრამებში მათი ჩართვის გზით. ჩვენ ვქმნით თანაბარ შესაძლებლობებს სამუშაო ადგილზე, სადაც სხვადასხვა კულტურის და ღირებულებების მქონე ადამიანებს აქვთ საინტერესო და გამოწვევებით სავსე სამუშაო გარემო. თანამშრომლებს ეძლევათ სხვადასხვა კარიერული განვითარების, ასევე პერსონალური ზრდის, შესაძლებლობები, შიდა დაწინაურებები პროფესიონალი კადრების მოზიდვის და შენარჩუნების სისტემის შემადგენელი ნაწილია და ქმნის თანამშრომლების ლოიალობის და შენარჩუნების საფუძველს. განახლებების ანალოგიურად, რომელიც შემოვიღეთ 2019 წელს სტუდენტთა განვითარების პროგრამაში - Leaderator - ჩვენ ვგეგმავთ განვაახლოთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი ტოპ-კადრების განვითარების პროჰრამა 2020 წელს - რათა ისინი გახდნენ უფრო მეტად კონკურენუნარიანები და მორგებული ტოპ- პერსონალზე. კოვიდ-19 პანდემიის გამო პროგრამის განხორციელების განრიგი გადაიხედა. ბანკი ასევე სთავაზობს კონკურენტუნარიან ანაზღაურებას თავის თანამშრომლებს და ხელს უწყობს ბალანსის შენარჩუნებას პირად ცხოვრებასა და სამსახურს შორის, დამატებითი ერთდღიანი შვებულებების მიცემით, საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულის გარდა. ბანკი თავისი პროფესიონალი თანამშრომლების ჩართულობას და შრომას აჯილდოებს წლის საუკეთესო თანამშრომლის და გუნდის სტატუსის მინიჭებით.

ტრენინგი და განვითარება

ჩვენი თანამშრომლების მართვის მიზნით იმ ფორმით, რომელიც მაქსიმალურად ხელს შეუწყობს ჩვენს ბიზნეს სტრატეგიას, ჩვენ ვცდილობთ დავეხმაროთ მათ მონაწილეობა მიიღონ საქმიანობის ეფექტურობაში პერსონალური და პროფესიული განვითარების გზით. ჩვენი მიზანია ძლიერი და ეფექტური ლიდერის განვითარება, ამისათვის შევიმუშავეთ ლიდერშიპის განვითარების პროგრამა.

ბანკის კორპორატიული სასწავლო სისტემა შედგება შიდა და გარეშე სასწავლო კურსებისგან, რომელიც შედგენილია ფრონტ და ბექ ოფისის თანამშრომლების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ჯგუფში. შუა და ზედა რგოლის თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა გაიარონ ტრენინგი საქართველოს ფარგლებს გარეთ ცნობილ ინსტიტუტებში.

2014 წლიდან საქართველოს ბანკმა დაიწყო ლიდერშიპის განვითარების ხელმძღვანელობის კოუჩინგის პროგრამა - რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალურ მიდგომას ლიდერული უნარების განვითარების მიმართულებით. პროგრამა წარმატებით გაგრძელდა 2019 წლის განმავლობაში და შემდეგ გაგრძელდა ქვედა ლიდერშიპის დონეზე, რამაც სარგებელი მოუტანა მონაწილეებს პერსონალურად მორგებული განვითარების პროცესით.

პროგრამაში მონაწილე თანამშრომლებმა მიიღეს უდიდესი ცოდნა თავიანთი ლიდერული ძლიერი მხარეების და მომავალი ზრდის შესაძლებლობების შესახებ. წინა წლების გამოცდილების საფუძველზე ბანკი რეგულარულად ანახლებს და აუმჯობესებს თავის ლიდერშიპის განვითარების სისტემას 360 გრადუსიან უკუკავშირის პროცესთან ერთად. ლიდერშიპის კომპეტენციის მოდელების ბოლო განახლება წარმოდგენილი იყო 2018 წელს 360 გრადუსიანი უკუკავშირით.

ბანკმა შეიმუშავა ფართო სასწავლო პროგრამა ფრონტ ოფისის თანამშრომლებისთვის მათთვის შესაბამისი უნარების განვითარებისთვის, როგორიცაა ეფექტური კომუნიკაცია და კლიენტთან მყარი და ღირებული ურთიერთობების დამყარება.

2018 წელს ჩვენ პარტნიორული ურთიერთობა გვაქვს საერთაშორისო და საკონსულტაციო და ტრენინგ- კომპანიასთან Franklin Covey სასწავლო პროგრამების შემუშავებისთვის ჩვენი გაყიდვების პერსონალისთვის ბანკის კლიენტზე ორიენტირებული მიდგომის უკეთ შეცნობის მიზნით. აღნიშნული სასწავლო პროგრამების მონაწილეებმა გაიუმჯობესეს კლიენტებთან დიალოგის წარმოების უნარები საერთო მიზნების მიღწევის მიზნით, შეიმუშავეს კლიენტებისთვის გრძელვადიანი მდგრადი გადაწყვეტები და დაეხმარა მათ პროდუქტების და მომსახურებების ყიდვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შიდა კლიენტზე ორიენტირებული გაყიდვების პროგრამა შემუშავდა აღნიშნული გამოცდილების საფუძველზე ჩვენი ჯგუფის მიერ. პროგრამის მიზანია ჩვენი პერსონალის გაყიდვების და კლინტთან ურთიერთობის უნარების გაუმჯობესება ორმხრივად მომგებიანი ურთიერთობის შემუშავებისთვის კლიენტებთან, რაც აძლიერებს კლიენტზე ორიენტირებულ მიდგომას და აძლევს მათ შესაბამის გამოცდილებას და ტექნოლოგიას.

ბანკის მენტორობის პროგრამა ფრონტ ოფისის ტრენინგის შემადგენელი ნაწილია. თითოეულ ახალ თანამშრომელს რეგულარულად მიეწოდება რჩევა, სახელმძღვანელო მითითება და პრაქტიკული ინსტრუქციები დანიშნული მენტორისგან, რომელიც მოგვიანებით ასევე აფასებს ახალი თანამშრომლის საქმიანობას. ამ პროგრამის მეშვეობით ჩვენი მიზანია ინდივიდუალურად დავეხმაროთ ჩვენს თანამშრომლებს მათი პროფესიული მიზნების მიღწევაში.

2017 წელს ბანკმა განახორციელა ონლაინ სწავლების მართვის სისტემა (LMS) რომელიც მის თანამშრომლებს აძლევს კორპორატიული სწავლების ადვილი და კომფორტული წვდომის შესაძლებლობას. LMS მოიცავს 70-ზე მეტ დისტანციურ და შერეულ კურსს პროფესიული განვითარების თემაზე, სხვადასხვა ბლოგებს, ნათარგმნ სტატიებს და ვიდეო მასალას მნიშვნელოვანი თემების შესახებ. ერთ-ერთი თემა, რომელიც ინტენსიურად გაშუქდა ონლაინ ტრენინგით, არის შესაბამისობა, მათ შორის რისკები, უსაფრთხოება და შიდა და გარე ნორმების დაცვა, რომელიც ვრცელდება ყოველდღიურ სამსახურეობრივ მოვალეობებზე. აღნიშნული კურსები ამაღლებს ინფორმირებულობას საქმიანობების და ინიციატივების შესახებ, რომელიც იცავს ჩვენს ღირებულებებს.

ბანკი უზრუნველყოფს პირდაპირი შესაბამისობის კურსებს შიდა და გარე პროვაიდერებთან (შესაბამისობის ტრენინგის საათები გაიზარდა 50%-ზე მეტით 2018 წლიდან 2019 წლამდე).

ბანკმა განაახლა თავისი პერსონალის ადაპტაციის პროგრამა, რომელიც წარმოადგენს სპეციალურ ღია ღონისძიებას თანამშრომლებისთვის ყველა დონეზე. ეს არის საორიენტაციო პროგრამა, სადაც წარმოდგენილია და განიხილება ინფორმაცია ორგანიზაციული კულტურის, ბანკის ღირებულებების და ბენეფიტების შესახებ თანამშრომლებისთვის. მონაწილეები ასევე ინფორმაციას იღებენ ბანკის სოციალური პასუხისმგებლობების, კარიერული / დაწინაურების შესაძლებლობების, სწავლების, პერსონალური და პროფესიული განვითარების შესახებ.

აღნიშნული ინტენსიური ტრენინგი იყო 2019 წლის სასწავლო პროგრამის ნაწილი, რომელიც ტრანსფორმაციაში მონაწილე თანამშრომლებს აძლევს სხვადასხვა ტექნიკურ და პერსონალურ უნარებს (მაგ. Agile Bootcamps და შესაბამისი პროფესიული სერტიფიკატები, ეფექტური უკუკავშირის მიწოდება, ქოუჩინგი ჯგუფებში და სხვა) და უზრუნველყოფს თანაბარ გადასვლას და ეფექტურობას ახალი მოვალეობების შესრულებაში.

პოლიტიკა ადამიანის უფლებების სფეროში

საქართველოს ბანკის მიზანია დანერგოს მოწინავე პრაქტიკების ადამიანის უფლებების სფეროში თავის საქმიანობებში და იყენებს აღნიშნულ მიდგომას მართვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესის საფუძვლად. ჩვენ ვთვლით, რომ ადამიანის უფლებების დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალური პასუხისმგებლობების ღირებულებების შექმნაში. ჩვენი ადამიანების უფლებების დაცვის პოლიტიკა ითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს საქმიანობის შესრულების დროს:

- ჩვენ ვმოქმედებთ კეთილსინდისიერად, სამართლიანად და გამჭვირვალედ.
- ჩვენი კრიტერიუმები ინვესტიციებთან დაკავშირებით ითვალისწინებს ეკონომიკურ შემოსავალს, გარემოზე ზემოქმედებას, სოციალურ შედეგებს და ადამიანის უფლებებს;
- ადამიანებს ვეპყრობით სამართლიანად და პატივისცემით;
- ვქმნით ჯანსაღ, უსაფრთხო და დაცულ სამუშაო გარემოს; და
- ჩვენი ინიციატივებით, ხელს ვუწყობთ ადამიანის უფლებების დაცვას.

აღნიშნული პრინციპების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით ბანკის ყოველდღიურ საქმიანობებში, ადამიანის უფლებების პოლიტიკა ითვალისწინებს მკაფიო სტანდარტებს:

- თანაბარ შესაძლებლობებს დისკრიმინაციის გარეშე;
- სამუშაო გარემოს შევიწროების გარეშე; და
- საჩივრების განხილვის პოლიტიკას.

ადამიანური რესურსების და ადამიანის უფლებების პოლიტიკა თანამშრომლის ადაპტაციის პაკეტის განუყოფელი ნაწილია. პოლიტიკა ხელმისაწვდომია თანამშრომლებისთვის ინტრანეტში და შესწორებების კომუნიკაცია ხდება ელექტრონულად. ჩვენ ვაკონტროლებთ თანამშრომლების ინფორმირებულობას აღნიშნული პოლიტიკის შესახებ და ვუზრუნველყოფთ, რომ ჩვენი თანამშრომლები სრულად ისარგებლებენ შესაძლებლობებით.

ნეპოტიზმთან ბრძოლის პოლიტიკა

თანამშრომლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, საქართველოს ბანკი იცავს ნეპოტიზმთან ბრძოლის პოლიტიკას, რომლის მიზანია ნეპოტიზმის და ფავორიტიზმის შემთხვევების პრევენცია ბანკში, თანამშრომლების დაქირავების და მართვის ყველა პროცესში (განვითარება / სწავლება, დაწინაურება, ანაზღაურება და სხვა), უზრუნველოფს გამჭვირვალობას, მიუკერძოებლობას და თანაბარ შესაძლებლობებს.

ეთიკის კოდექსი, მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკა

ჯგუფს აქვს ეთიკის კოდექსი, ასევე მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკა, რომელიც ასევე ვრცელდება ჯგუფის კომპანიებზე. ბანკში კორპორატიული უსაფრთხოების განყოფილება პასუხისმგებელია მექრთამეობასთან ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით კონტროლის მექანიზმების მონიტორინგსა და განხორციელებაზე. დეპარტამენტში შემუსავებულია პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს მომწოდებლებთან და სხვა მესამე მხარეებთან ურთიერთობების დამყარების პროცესს, ასევე საჯარო ტენდერების ჩატარების და სხვა საკითხებს. კორპორატიული უსაფრთხოების განყოფილება უზრუნველყოფს წლიურ ონლაინ ტრენინგს თანამშრომლებისთვის კორუფციასთან ბრძოლის საკითხებზე, რომელიც ასევე შეტანილია საწყის ტრენინგებში. სხვა პერსონალისთვის, შექმნილია ონლაინ ტრენინგის პლატფორმა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა თანამშრომელმა გაიაროს წლიური ონლაინ ტრენინგი. ტრენინგებში ასევე შეტანილია მექრთამეობასთან ბრძლის საკითხები.

ბანკი, როგორც მექრთამეობის და კორუფციის პრევენციისთვის მოწოდებული ორგანიზაცია, უზრუნველყოფს შიდა კონტროლის მექანიზმების არსებობას ადგილზე და მათ ეფექტურად გამოყენებას.

მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკის განხორციელების პროცესი მოიცავს შემდეგს:

ინფორმაციის გამჟღავნების შიდა ცხელი ხაზის სისტემის მუშაობა;
ბანკის პერსონალის მიერ მიღებული ან მათთვის შეთავაზებული საჩუქრების ან სხვა სარგებელის, მათ შორის გამასპინძლების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება;
კორუფციის შესახებ ნებაყოფლობითი გამჟღავნება;
მესამე მხარის შემოწმება იმ რისკის დონის დასადგენად, რომელიც შესაძლოა წარმოექმნათ ასეთმა მესამე მხარეებმა;
ყველა საქველმოქმედო და პოლიტიკური დონაცია ნებადართული უნდა იყოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ.
დაინტერესებული პირების ინფორმირება კორუფციასთან და მექრთამეობასთან ბრძოლის პრინციპების შესახებ საქმიანი ურთიერთობების დაწყებამდე;
კორუფციასთან და მექრთამეობასთან ბრძოლის მუხლების შეტანის უზრუნველყოფა კლიენტებთან და მესამე მხარეებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში;
კორუფციასთან და მექრთამეობასთან ბრძოლის საკითხების შეტანის უზრუნველყოფა საკონტრაქტო ხელშეკრულებებში პარტნიორებთან / კონტრაგენტებთან; და
ონლაინ ტრენინგ პროგრამები, რომელთა მიზანია ინფორმირებულობის ამაღლება კორუფციასთან და მექრთამეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ჯგუფის მიერ მესამე მხარის შემოწმების ფარგლებში იმ რისკის დონის დასადგენად, რომელიც შესაძლოა შექმნან ასეთმა მესამე მხარეებმა, ჯგუფი ახორციელებს შემდეგ კომპლექსური შემოწმების პროცესებს: არაპირდაპირი კვლევა, რომელიც მოიცავს წარმოდგენილი ბიზნეს პარტნიორების მიერ განხორციელებული საქმიანობების ზოგად კვლევას, როგორიცაა აგენტები, ერთობლივი საწარმოს პარტნიორები, კონტრაქტორები, მომწოდებლები და სხვა მესამე მხარეები; მათი რეპუტაცია და ინფორმაცია არის თუ არა კომპანია დაკავშირებული მხარე.

ბანკს ასევე გააჩნია იცნობდე შენს კლიენტს (KYE) პროცედურები, რომლის საფუძველზე ბანკი ახორციელებს სხვადასხვა შემოწმების პროცედურებს კადრების დაკომპლექტების, დასაქმების და გათავისუფლების ეტაპებზე.

კლიენტის შთაბეჭდილება/კმაყოფილება

საქართველოს ბანკი განსაზღვრავს კლიენტის კმაყოფილებას ერთ-ერთ სტრატეგიულ პრიორიტეტად და შეაქვს მისი პრინციპები ყველა ურთიერთობაში / შეხების წერტილებში კლიენტებთან, ახალი პროდუქტის და ქსელის შემუშავებაში და ბექ- ოფისის ბიზნეს პროცესის ოპტიმიზაციაში. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ გვერდებზე 44-დან 47-მდე.

განათლება საბანკო საკითხებზე

ჯგუფი აღიარებს საზოგადოების ინტერესის მნიშვნელობას როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში. ბანკი იმ საზოგადოებაზე, სადაც ოპერირებს, დადებითი გავლენის მოხდენის მიზნით, მოტივირებულია მიაწოდოს სრული ინფორმაცია მათი უფლებების და ფინანსური ტრანზაქციების შესახებ.

ქვეყნის მასშტაბით ფინანსური განათლების ამაღლების მიზნით საქართველოს ბანკმა საქართველოს ეროვნულ ბანკთან (სებ) ერთად და გერმანიის შემნახველი ბანკების ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობისთვის მხარდაჭერით შექმნა ვებ-გვერდი www.grovia.com.ge სადაც მითითებულია ინფორმაცია მსოფლიოს დაზოგვის დღის, საბანკო პროდუქტების და მომსახურებების და კლიენტის უფლებების შესახებ. პროექტს საფუძვლად უდევს ფინანსური სექტორის მიმართ საზოგადოების ნდობის აღდგენის და ხალხსა და კომერციულ ბანკებს შორის არსებული ბარიერების დაძლევის იდეა.

გროვია, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო დაზოგვის დღის სიმბოლოს საქართველოში შეიქმნა პროექტის „დანაზოგების დაგროვება და ფინანსური შესაძლებლობები“-ს ფარგლებში, რომელსაც გერმანული შემნახველი ბანკების ფონდი საერთაშორისო თანამშრომლობისთვის (SBFIC) გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროსთან ერთად ახორციელებს. დანაზოგები მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვის, ფინანსური ინსტიტუტებისა და მოსახლეობისთვის. დანაზოგები მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვის და ფინანსური ინსტიტუტებისთვის. დაზოგვის კულტურა პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის ფინანსურ განათლებასთან და ეკონომიკურ საკითხებთან; ფინანსური განათლების ამაღლების საკითხი განიხილება როგორც ფინანსური მომსახურების, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, უკვე გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები ფინანსური მომსახურებების შესახებ მოსახლეობის განათლების შესაძლებლობების გაფართოების კუთხით. „გროვია“ ფინანსური განათლებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია, რომელიც მოსახლეობას ეხმარება დასაბუთებული და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში პირადი ფინანსების შესახებ.

გროვიას ერთ-ერთი მიზანია სკოლის მოსწავლეებში დაზოგვის უნარების განვითარება. სხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით, ჩვენ ორგანიზებას ვუწევთ სხვადასხვა შეხვედრების ჩატარებას სკოლებში და ვამაღლებთ ინფორმირებულობის დონეს ფინანსური რესურსების სათანადო მართვის საკითხებზე. გარდა ამისა საქართველოს ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობით მოვაწყობთ შეხვედრებს სკოლის მოსწავლეებთან და ვასწავლით მათ ფინანსების მთავარ პრინციპებს ინტერაქტიული ლექციების და თამაშების მეშვეობით. მსგავსი საგანმანათლებლო ღონისძიებები ასევე ორგანიზებულია საქართველოს რეგიონებში.

გროვიას გარდა საქართველოს ბანკმა შეადგინა საბანკო ტერმინოლოგიის ლექსიკონი, რომელიც ეხმარება კლიენტებს უკეთ გაიგონ მათთვის შეთავაზებული საბანკო პროდუქტები, წაიკითხონ და კომენტარი გააკეთონ კონტრაქტებზე, რომელსაც ხელი უნდა მოაწერონ და შედეგად მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით. ლექსიკონი მოიცავს 1000-ზე მეტ საბანკო, ფინანსურ, იურიდიულ, საბუღალტრო, სადაზღვევო და მარკეტინგულ ტერმინებს და ფრაზებს და ხელმისაწვდომია ბანკის სერვის ცენტრებში, ასევე ინტერნეტში, ვებ-გვერდზე: www.terminebi.ge. ნაბეჭდი ასლები ასევე ხელმისაწვდომია საჯარო ბიბლიოთეკებში და უნივერსიტეტებში. მსგავსი პროექტები წარმატებით განხორციელდა სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში, მათ შორის გერმანიასა და პოლონეთში

უსაფრთხოების საკითხები

საქართველოს ბანკი იღებს ზომებს თანამშრომლების უსაფრთხოების გარანტიისთვის. გარანტიისთვის. ბანკი რეგულარულად ახორციელებს სახანძრო და სხვა საგანგებო სიტუაციებში რეაგირების სწავლებებს და ტრენინგებს. ბანკის ყველა მთავარ ფილიალში შერჩეული თანამშრომლები პერიოდულად გადიან გადამზადებას პირველადი დახმარების გაწევის საკითხზე. 2019 წლის სექტემბრიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, რითაც დაგვეკისრა ვალდებულება შევქმნათ სამი ადამიანისგან შემდგარი განყოფილება (კანონი მოითხოვს ორგანიზაციებმა, რომლებსაც ჰყავთ 100-ზე მეტი თანამშრომელზე, განყოფილებაში ყვადეთ მინიმუმ ორი პირი). სამივე თანამშრომელს გავლილი აქვს ტრენინგი შესაბამის ინსტიტუტებში და მიღებული აქვთ სერტიფიკატები, რაც ასევე კანონის სავალდებულო მოთხოვნაა. განყოფილება მოიცავს როგორც სახანძრო და სხვა საგანგებო სიტუაციებში რეაგირების, ასევე გადაუდებელი სამედიცინო დახმარების და შრომის უსაფრთხოების საკითხებს. აღნიშნული განყოფილება ტრენინგს გადის მინიმუმ ორჯერ წელწიადში საქართველოს ბანკის ყველა ფილიალში საქართველოს მასშტაბით.

საქართველოს ბანკი იღებს ზომებს თანამშრომლების უსაფრთხოების გარანტიისთვის, მათი შანტაჟირების, შეურაცხყოფის, დევნის და სხვა შემთხვევაში. 2018 წელს ბანკმა განახორციელა პროექტი - „ჩემი იურისტი“ - რომელიც შეიქმნა თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების დასაცავად, მათ წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავად არიან სამართალდარღვევაში ბრალდებულნი. 2019 წელს ჩვენ დავიწყეთ ჩვენი პირველი შემთხვევების დამუშავება და ვგეგმავთ ვიმუშაოთ ჩვენს კოლეგებთან აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მხარდაჭერის მიზნით.

ბანკის ყველა სერვის ცენტრი აღჭურვილია უსაფრთხოების სისტემით და დაცულია პოლიციის მიერ განგაშის სიგნალის აქტივაციის შემთხვევაში. ბანკი ასევე იყენებს საკუთარ დაცვას, რომელიც 24 საათის განმავლობაში იცავს სერვის ცენტრებს. 2019 წელს ჩვენ შევქმენით უსაფრთხოების ახალი მოდელი ახლოს მდებარე ფილიალებში. ჩვენ შევცვალეთ დაცვის ადმინისტრატორები სათანადოდ გადამზადებული და აღჭურვილი საპატრულო ჯგუფებით. 24-საათიანი ფილიალები კონტროლდება ჩვენი მონიტორინგის ცენტრის მიერ. ჩვენ განვახორციელეთ 360° სათვალთვალო სისტემა ჩვენს სერვის ცენტრებში. ამჟამად ვმუშაობთ ვიდეო ანალიტიკის და სახის ამოცნობის სისტემების დანერგვაზე.

2019 წელს ჩვენ გავაძლიერეთ უსაფრთხოების სისტემები საქართველოს ბანკის ფილიალებში. ამის მიზანი იყო ძარცვის მცდელობის უკიდურესად გართულება. ჩვენ დავაწესეთ 24-საათიანი მონიტორინგის ცხელი ხაზი თანამშრომლებისთვის უსაფრთხოების საკითხების ანგარიშგების მიზნით. ბანკმა წარმოადგინა რიგი ინიციატივები ფიზიკური ურთიერთქმედების შემცირების და კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ბანკის სრული შესაძლებლობების შენარჩუნებით, რომელიც საჭიროა კლიენტების მხარდაჭერისა და დახმარებისთვის. დეტალები იხილეთ ბოლო მოვლენების ნაწილი, გვერდი 5.

ჯგუფის პოლიტიკა

ჯგუფის აქვს ქცევის კოდექსი, ასევე პოლიტიკა, რომელიც ეხება ეკოლოგიურ საკითხებს, თანამშრომლებს, სოციალურ საკითხებს, ჩვენს მიერ ადამიანის უფლებების დაცვას და მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლას.

შესრულება

ფინანსური შედეგების მიმოხილვა

უწყვეტი მძლავრი დინამიკა- შესანიშნავი ზრდა და განსაკუთრებული რენტაბელობა, გამყარებული ძლიერი აქტივის ხარისხით და კაპიტალის პოზიციით

ჯგუფმა წარმოადგინა მეორე წლის ძლიერი საბალანსო უწყისი და საკომისიო შემოსავლის ზრდა, კომბინირებულ რენტაბელობასთან ერთად , რომლის მიღება შესაძლებელი გახდა შესანიშნავი კლიენტის ფრანშიზის ზრდის , საცალო და კორპორატიულ და საინვესტიციო საბანკო მომსახურებების ბიზნესში ხარჯების კარგი მართვის საშუალებით, ძირითად შესაძლებლობებში ინვესტირების გაგრძელების ფონზე, და აქტივის ხარისხში მუდმივი სიახლეების მიღწევით, ახალი ხელმძღვანელობა წარმატებით ახორციელებს ახალ სტრატეგიას მნიშვნელოვნად დაბალი რისკის მქონე ნომინალურ გარემოში და ჯგუფი კვლავაც ინარჩუნებს ძალიან კარგ პოზიციას და აქვს კარგი დინამიკა და მომავალში მაღალი შემოსავლები.

მოგება-ზარალის ანგარიშგების მაჩავნებლები[16]

ათასი ლარი	2019	2018	Change y-o-y
სუფთა საპროცენტო შემოსავალი	783,573	731,544	7.1%
სუფთა შემოსავალი მოსაკრებლებიდან და საკომისიოებიდან	152,282	129,524	17.6%
უცხოური ვალუტიდან სუფთა მოგება სხვა სუფთა შემოსავალი	118,590	125,660	-5.6%
სხვა სუფთა შემოსავალი	17,728	4,986	255.6%
შემოსავალი ოპერაციიდან	**1,072,173**	**991,714**	**8.1%**
საოპერაციო ხარჯები	**(386,163)**	**(356,541)**	**8.3%**
მოგება დაკავშირებული საწარმოებიდან	789	1,339	-41.1%
საოპერაციო შემოსავალი რისკის ღირებულებამდე	**686,799**	**636,512**	**7.9%**
რისკის ღირებულება	(100,452)	(160,339)	-37.4%
სუფთა საოპერაციო შემოსავალი ერთჯერად ხარჯებამდე და მოგების გადასახადამდე	**586,347**	**476,173**	**23.1%**
სუფთა ერთჯერადი ხარჯები	(606)	(26,249)	-97.7%
მოგება მოგების გადასახადამდე და ერთჯერად ხარჯებამდე	**585,741**	**449,924**	**30.2%**
მოგების გადასახადის ხარჯები	(58,618)	(34,862)	68.1%
ერთჯერადად გადახდილ ხარჯების მიხედვით კორექტირებული მოგება	**527,123**	**415,062**	**27.0%**
ერთჯერადი ხარჯები	(14,236)	(71,534)	-80.1%
მოგება	**512,887**	**343,528**	**49.3%**

16 2019 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგების კორექტირებული მოგება გამორიცხავს თანამშრომლისთვის14.1 მლნ ერთჯერად გადახდის ხარჯებს (საშემოსავლო გადასახდის გარეშე) რომელიც უკავშირდებოდა ყოფილი დირექტორის და აღმასრულებელი მენეჯმენტის საბოლოო ანაზღაურებას, ეს თანხა მოიცავს 12.4 მლნ ლარს (მთლიანი საშემოსავლო გადასახადი) გამოკლებული არაერთჯერადი გადახდის გამოკლებული ხელფასებიდან და თანამშრომლის სხვა ანაზღაურებიდან და 4.0 მლნ ლარს (მთლიანი საშემოსავლო გადასახადი) გამოკლებული არაერთჯერადი გადახდის პუნქტებიდან. 2018 წელს მოგება-ზარალის ანგარიშგების კორექტირებული მოგება გამორიცხავს თანამშრომლისთვის 3.9 მლნ ერთჯერად გადახდის ხარჯებს (საშემოსავლო გადასახდის გარეშე) რომელიც უკავშირდებოდა ყოფილი დირექტორის და აღმასრულებელი მენეჯმენტის საბოლოო ანაზღაურებას, და დაყოფასთან დაკავშირებული ხარჯები (საშემოსავლო გადასახდის გარეშე) და გადავადებული საგადასახადო ნაშთის ერთჯერადი გადახდის გავლენა გამოირიცხება არაერთჯერადი გადახდის პუნქტებიდან, გამოყენებულ აქტივებზე მოგება და აქტივების საშუალო ღირებულებიდან მოგება დაკორექტირდა შესაბამისად ორივე წარმოდგენილი პერიოდისთვის.

საბალანსო უწყისის მაჩვენებლები

ათას ლარში	2019	2018	Change y-o-y
ლიკვიდური აქტივები	5,533,902	4,458,268	24.1%
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,159,205	1,220,524	76.9%
საკრედიტო ინსტიტუტებიდან მისაღები თანხები	1,613,674	1,305,191	23.6%
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	1,761,023	1,932,553	-8.9%
კლიენტებზე გაცემული კრედიტები და ფინანსური იჯარიდან მისაღები თანხები	11,766,754	9,229,320	27.5%
ძირითადი საშუალებები	339,726	312,017	8.9%
სულ აქტივები	**18,323,223**	**14,523,587**	**26.2%**
კლიენტის დეპოზიტები და ობლიგაციები	10,136,695	8,196,551	23.7%
საკრედიტო ინსტიტუტებისთვის გადასახდელი თანხები	3,684,921	2,749,348	34.0%
DFI-სგან მიღებული კრედიტები	1,397,345	1,125,127	24.2%
მოკლევადიანი კრედიტები ცენტრალური ბანკებიდან	1,551,953	1,118,957	38.7%
კრედიტები და დეპოზიტები კომერციული ბანკებიდან	735,623	505,264	45.6%
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	2,140,781	1,711,032	25.1%
სულ ვალდებულებები	**16,245,826**	**12,792,559**	**27.0%**
სულ კაპიტალი	**2,077,397**	**1,731,028**	**20.0%**

ძირითადი კოეფიციენტები

	2019	2018
ROAA (კორექტირებული)[17]	3.3%	3.1%
ROAA (ასახული)	3.2%	2.6%
ROAE (კორექტირებული)[17]	27.8%	26.3%
ROAE (ასახული)	27.0%	21.8%
სუფთა საპროცენტო მარჟა	5.7%	6.6%
ლიკვიდური აქტივების მომგებიანობა	3.5%	3.8%
კრედიტის შემოსავლიანობა	11.7%	13.5%
ფონდირების ღირებულება	4.5%	4.9%
ხარჯი/შემოსვალი (კორექტირებული)[18]	36.0%	36.0%
ხარჯი/შემოსვალი (ასახული)	37.2%	36.0%
ვადაგასული კრედიტები კლიენტებზე გაცემული მთლიან კრედიტებთან მიმართებაში	2.1%	3.3%
ვადაგასული კრედიტების მოცვის კოეფიციენტი	77.7%	90.0%
ვადაგასული კრედიტების მოცვის კოეფიციენტი, კორექტირებული უზრუნველყოფის დისკონტირებული ღირებულების მიხედვით	136.4%	129.4%
კრედიტთან დაკავშირებული ხარჯები	0.8%	1.7%
სებ (Basel III) CET1 კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	11.5%	12.2%
სებ (Basel III) Tier I კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	13.6%	12.2%
სებ (Basel III) სულ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	18.1%	16.6%

შედეგები

- **სანიმუშო შესრულება.** მოგება დაკორექტირდა ერთჯერადად გადახდილი თანხების მიხედვითდა შეადგინა 527 . 1 მლნ ლარი 2019 წელს დაახლობით 27,0%-ით მეტი წინა წელთან შედარებით, 27,8% მომგებიანობით (გამოყენებულ აქტივებზე უკუგება) 2019 წელს.
  2019.
- **საკრედიტო პორტფელის ზრდამ წინა წელთან შედარებით შეადგინა 27.5% 2019 წლის 31 დეკემბრისთვის. ზრდა ფულადი ერთეულის საფუძველზე იყო** 22.6% წინა წელთან შედარებით. საცალო საბანკო მომსახურების საკრედიტო პორტფელიის წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში იყო 67.1% 2019 წლის 31 დეკემბერს, 2018 წელს 71.1%.

---

[17] 2019 წელს მოგება-ზარალის ანგარიშგება დაკორექტირდა და მოგება გამორიცხავს 14.1 მლნ ლარს, ერთჯერად გადახდას თანამშრომლისთვის (საშემოსავლოს გარეშე) რომელიც უკავშირდება ყოფილი გენერალური დირექტორის და აღმასრულებელი მენეჯმენტის საბოლოო ანაზღაურებას. ამ თანხაში შედის 12.3 მლნ ლარი (ბრუტო საშემოსავლო გადასახადი) რომელიც გამოირიცხება ხელფასიდან და ხვა ანაზრაურებიდან 4.0 მლნ ლარი (ბრუტო საშემოსავლო გადასახადი) გამოქვითული ერაერთჯერადი გადახდიდან. . 2018 წელს სამემოსავლო გადასახადი დაკორექტირდა მოგება გამორიცხვას 3.9 მლნ ლარს ერჯერად გადახდას თანამშრომლისთვის (საშემოსვალოს გარეშე) რომელიც უკავშირდება ყოფილი გენერალური დირექტორის და აღმსრულებელი მენეჯმენტის საბოლოო ანაზღაურებას და 67.7 მლნ ლარი გაყოფასთან დაკავშირებული ხარჯები (სუფთა საშემოსავლო გადასახადის გარეშე), რომელიც უკავშირდება ყოფილი გენერალური დირექტორის საბოლოო ანაზღაურებას. ROAE და ROAA დაკორექტირდა შესაბამისად ორივე წარმოდგენილი პერიოდის მიხედვით.

[18] The 2019წელს ხარჯი/შემოსავლის შეფარდება დაკორექტირდა 12.4მლნ ლარი ერთჯერადი გადახდა თანამშრომლის ხარჯები (ბრუტო საშემოსავლო გადასახადი) რომელიც უკავშირდება ყოფილი გენერალური დირექტორის და აღმსრულებელი მენეჯმენტის საბოლოო ანაზღაურებას.

აქტივის კარგი ხარისხი. 2019 წელს საკრედიტო რისკის კოეფიციენტი გაუმჯობესდა 0.8%-მდე (წინა წელთა შედარები 90bps), რაც ძირითადად ასახავს მაღალი ხარისხის იპოთეკურ სეგმენტში და მცირე და საშუალო საწარმოს კლიენტებზე გაცემული კრედიტირებაზე ასევე საშუალო და მცირე ზომის კორპორატიული კრედიტების დაფარვაზე მზარდ ფოკუსირებას. გადავადებული კრედიტების მთლიანი საკრედიტო კოეფიციენტი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის 2.1%-მდე შემცირდა (2018 წელის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3.3%) , გადავადებული კრედიტების მოცვის კოეფიციენტი 77.7%-ის ნიშნულზე იყო, ხოლო უზრუნველყოფის დისკონტირებული ღირებულებით კორექტირებული გადავადებული კრედიტების მოცვის კოეფიციენტი 136.4% იყო (2018 წელლი 31 დეკემბერს 129.4%).

სარედიტო პორტფელის და კლიენტის დეპოზიტების დოლარიზაცია. საკრედიტო პორტფელის ადგილობრივი ვალუტა შეადგენდა მთლიანი საკრედიტო პორტფელის 42.1%-ს 2019 წლის 31 დეკემბრისთვის (39.2% ერთი წლის წინ). საკრედიტო პორტფელის შეცვლა ნაწილობრივ გამოწვეული იყო მთავრობის დედოლარიზაციის ინიციატივებით და ჩვენი მიზანი იყო ჩვენ პორტფელში გაზრდილიყო ადგილობრივი ვალუტის წილი. ამჟამად საკრედიტო პორტფელის ნაწილი, რომელიც უფრო სენსიტიურია უცხოური ვალუტის რისკების მიმართა უმეტესწილად დაექვემდებარა დე-დოლარიზაციას. საცალო ბანკინგის კრედიტების 72.6% გამოშვებული იქნა ადგილობრივ ვალუტაში 2019 წელს.

კაპიტალის ძლიერი პოზიციები. Basel III CET1, Tier 1 და მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი იყო 11.5 %, 13.6% და 18.1% ნიშნულზე 2019 წელის 31 დეკემბერს, ყველა აღემატებოდა მინიმალურ მოთხოვნილ დონეებს 10.1%, 12.2% და 17.1%.

2019 წლის მარტში, ბანკმა გამოუშვა თავისი საპილოტე 100მილიონი აშშ დოლარი. 11.125% .დამატებითი 1-ლი **რიგის კაპიტალის უვადო სუბორდინირებული ობლიგაციები.** მარეგულირებელმა დაადასტურა ამ ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაცია როგორც დამატებითი 1-ლი რიგის დამატებითი ინსტრუმენტი რაც მიღებული იქნა 2019 წლის აპრილში. გამოშვების დროს, ამან დაუმატა დაახლოებით 230 საბაზისო ქულა ბანკის 1-ლი რიგის კაპიტალის კოეფიციენტს.

2019 წლის დეკემბერში ბანკმა ხელი მოაწერა 10 წლიან 107 მლნ აშშ დოლარის სუბორდინირებულ სინდიცირებულ საკრედიტო ხელშეკრულებას, რომელიც უზრუნველყო FMO - გერმანული სამეწარმეო განვითარების ბანკმა სხვა მონაწილე კრედიტორებთან ერთად. ეს კრედიტი შეფასებულია როგორც ბანკის მე-2 რიგის კაპიტალის ინტრუმენტი (გადახდის შემდეგ და საქართველსო სებ-ის დასტურის შემდეგ) ბაზელ III-ის ფარგლებში, რაც დაეხმარება კაპიტალის პოზიციაში შემდგომ ცვლილებებს. 52 მლნ აშშდ უკვე დაიხარჯა ბანკის მიერ და მარეგულირებლის დასტურით მიენიჭა კლასიფიკაცია 2019 წლის დეკემბერში. სესხის დანარჩენი ნაწილი სავარაუდოდ გამოყენებული იქნება 2020 წელს ექვსი თვის განმავლობაში.

საცალო საბანკო მომსახურებას ("RB") კვლავაც მოაქვს სოლიდური სუფთა პროცენტიდან შემოსავალი, რომელიც დაგენერირდა მოსაკრებლებთან და საკომისიოდან მიღებულ შემოსავლებთან ერთად 2019 წელს. საცალო საბანკო მომსახურების სუფთა საკრედიტო პორტფელმა მიაღწია 7,427.7 მლნ -ს 2019 წლის 31 დეკემბერს, წინა წელთან შედარებით 18.5%-ით მეტს. ეს ზრდა უმეტესწილად მიღებული იქნა იპოთეკით და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმეობზე გაცემული კრედიტების საშუალებით, იმავდროულად საცალო საბანკო მომსახურების კლიენტების დეპოზიტები გაიზარდა 5,712 მლნ აშშ დოლარამდე 2019 წლის 31 დეკემბერს, წინა წელთან შედარებით 31.7%-ით მეტი. საცალო საბანკო მომსახურების სუფთა საპროცენტო მარჟა დასტაბილურდა 6.1%-მდე 2019 წელს.

კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურება ("CIB") ასახავს განსაკუთრებულ ზრდას, სუფთა საპროცენტო შემოსავალს და მოსაკრებლებიდან და საკომისიოდან შემოსავალს , კაპიტალის კარგ ხარისხთან ერთად. კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო საქმიანობის სუფთა საკრედიტო პორტფელმა მიაღწია 3,636.1 მლნ ლარს 2019 წლის 31 დეკემბერს, 48.1%-ს წინა წელთან შედარებით. ზრდა ფულად ერთეულებში იყო 40.1 % წინა წელთან შედარებით. კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურების კლიენტების ტოპ ათეულის კონცენტრაცია იყო 9% 2019 წლის 31 დეკემბერს (7% 2018 წლის 31 დეკემბრს) .

მმართველობის ქვეშ არსებული აქტივები ("AUM") ჯგუფის საინვესტიციო მართვის ბიზნესის ფარგლებში, გაიზარდა 1,506 მლნ ლარამდე 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, დაახლობით 6.6%-ით მეტი წინა წელთან შედარებით.

ციფრული არხები. ჩვენ აქტიურად ვაგრძელებთა ჩვენიი ციფრული სტრატეგიის განვითარებას .

ბანკმა გააგრძელა ახალი მახასიათბელების დანერგვა ჩვენ მობილურ საბანკო აპლიკაციაზე და ჩვენი ფიზიკური კლიენტებისთვის ინტერნეტ ბანკზე. ამის შედეგად, აქტიური ინტერნეტ და მობილური საბანკო მომსახურებების მომხმარებლებმა (დაახლოებით 53.9%-იანი ნაზრდი წინა წელთან შედარებით) ისევე როგორც ჩვენი მობილური და ინტერნეტ საბანკო მომსახურებების საშუალებით განხორციელებული ტარნზაქციების რაოდენობა გაიზარდა 2019 წელს, სულ ციფრული არხების საშუალებით 2019 წელს ყოველდღიურად განხორციელდა 93%-ზე მეტი ტრანზაქცია.

2019 წლის 1 კვარტალში ბანკმა შექმნა ახალი ბიზნეს ინტერნეტ ბანკინგის პლატფორმა **(Business iBank)** მიკრო , მცირე და საშუალო ზომოს საწარმეოების კლიენტებისთვის, რომელიც ბევრი მახასიათბელით დაპროექტებულია იმგვარად, რომ მისი გამოყენება იყო მარტივი და უპრობლემო. ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ იმაზე, რომ ჩვენი Business iBank უფრო სასარგებლო იყოს ბიზნეს ტრანზაქციებისთვის, რაც სამომავლოდ გაზრდის ციფრული არხებების აქტიურ მომხმარებელ კლიენტთა რაოდენობას. ამის შედეგად, 2019 წელს Business iBank -ის გამოყენების

შედეგად ჩვენ უკვე დავინახეთ მნიშვნელოვანი ზრდა რაოდენობრივად და ტრანსზაქციების მოცულობის თვალსაზრისით (დაახლოებით 57.6% და დაახლოებით 31.7% წინა წელთა შედარებით). 2019 წლის განმავლობაში იურიდიული პირების მიერ მთლიანი ტრანზაქციების 93%-ზე მეტი ტრანზაქცია ინტერნეტ ბანკის საშუალებით განხორციელდა.

შედეგების განხილვა

ჯგუფის ბიზნესი შედგება სამი სეგმენტისგან . (1) საცალო საბანკო მომსახურების ოპერაციები საქართველოში ძირთადად უზრუნველყოფს სამომხმარებლო კრედიტებს, იპოთეკურ კრედიტებს, ოვერდაფტებს, საკრედიტო ბარათებს და სხვა საკრედიტო მომსახურებას, სახსრების გადარიცხვას და ანგარიშსწორების მომსახურებებს, და მართავს კლიენტების დეპოზიტებს როგორც ინდივიდუალურად, ასევე იურიდი პირებისთვის. საცალო ბანკინგის მიზანია ახალი და მასობრიცი საცალო სეგემენტი,მცირე და საშუალო ზომის საწარმოები და მიკრო ბიზნესი. (2) კორპორატიული და საინვესტიციო ბანკინგი- მოიცავს კორპორატიულ საბანკო მომსახურებას და საინვეტიციო მართვის ოპერაციებს საქართველოში. კორპორატიული საბანკო მომსახურება ძირითადად უზრუნველყოფს კრედიტებს და სხვა საკრედიტო მომსახურებებს, თანხების გადარიცხვას და ანგარიშსწორების მომსახურებებს, სავაწრო ფინანსურ მომაახურებებს, დოკუმენტურ ოპერაციების დახმარებას, მართავს დანაზოგებს და ვადიან დეპოზიტებს კორპორატიული და ინატიტუციური კლიენტებისთვის. საინვეტიციო მენეჯმენტის ბიზნესი ძირითადად უზრუნველყოფს კერძო საბანკო მომსახურებას მდიდარი კლიენტებისთვის (3) **BNB**, რომელიც მოიცავს სს ბელორუსკი ნაროდნი ბანკს, ძირთადად უზრუნველეყოფს საცალო და კორპორატიულ საბანკო მომსახურებას კლიენტებისთვის ბელორუსში.

საოპერაციო შემოსავალი

ათასი ლარი

	2019	2018	Change y-o-y
პროცენტიდან შემოსვალაი	1,414,001	1,307,378	8.2%
საპროცენტო ხარჯი	(630,428)	(575,834)	9.5%
სუფტა პროცენტიდან შემოსავალი	**783,573**	**731,544**	**7.1%**
მოსაკრებლებიდან და საკომისიოდან შემოსავალი	278,251	223,320	24.6%
მოსაკრებლებისა და საკომისიოს ხარჯები	(125,969)	(93,796)	34.3%
მოსაკრებლებიდან და საკომისიოდან სუფთა შემოსავალი	**152,282**	**129,524**	**17.6%**
უცხოური ვალუტიდან სუფთა მოგება	118,590	125,660	-5.6%
სუფთა სხვა შემოსავალი	17,728	4,986	255.6%
საოპერაციო შემოსავალი	**1,072,173**	**991,714**	**8.1%**

შესრულება

- ***ძლიერი საოპერაციო შემოსავალი 1,072მლნ ლარი 2019 წელს,*** *8.1%-ით მეტი წინა წელთან შედარებით. საოპერაციო შემოსავლის ზრდა 2019 წელს ძირითადად განპირობებული იყო წმინდა საპროცენტო შემოსავალში 7.1% ზრდით წინა წელთან შედარებით, რაც გამომდინარეობდა ძლიერი საკრედიტო პორტფელის ზრდით წლის განმავლობაში. დამატებით, წმინდა მოსაკრებელის და საკომისიო შემოსავლის და სხვა წმინდა შემოსავლის შენატანებმა წვლილი შეიტანა საოპერაციო შემოსავლის ზრდაში წინა წელთან შედარებით. ეს უკანასკნელი ძირითადად განპირობებული იყო 12.8 მლნ ლარის მოგებით, საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგად 2019 წელს.*

- ***ჩვენი წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM) იყო 5.7% - 2019 წელს.*** *2019 წლის განმავლობაში, სესხის შემოსავლიანობა შემცირდა 180 bps (საბაზისო პუნქტით) წინა წელთან შედარებით, ხოლო ნასესხები სახსრების ხარჯი შემცირდა 40 საბაზისო პუქნტით წინა წელთან შედარებით, რამაც გამოიწვია წმინდა საპროცენტო მარჟის (NIM) შემცირება 90 საბაზისო პუნქტით წინა წელთან შედარებით. by 90bps y-o-y. წმინდა საპროცენტო მარჟის (NIM) შემცირება წინა წელთან შედარებით განპირობებული იყო ნაწილობრივ სებ-ის სავალდებულო გაზრდილი მინიმალური რეზერვის მოთხოვნებით.*

- ***ლიკვიდური აქტივების შემოსავალი.*** *ლიკვიდური აქტივების შემოსავლიანობა იყო 3.5% - 2019 წელს, რომელიც შემცირდა 30 საბაზისო პუნქტით წინა წელთან შედარებით, ძირითადად ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებული ლიკვიდური აქტივების შემოსავლის შემცირების გამო და ასახავს სებ-ის მონეტარული პოლიტიკის დინამიკას წლის განმავლობაში. ასევე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ლიკვიდური აქტივების შემოსავალი, რომელიც ასახავს: ა) სებ-ის სავალდებულო რეზერვების ზრდას, რომელიც ძირითადად განპირობებული იყო ცვლილებებით 2018 წლის სექტემბრიდან სებ-ის სავალდებულო მინიმალური რეზერვების მოთხოვნებში, რომლის საფუძველზე ადგილობრივი ბანკების მიერ მოზიდული სახსრები უცხოურ ვალუტაში, გადაიდო 25%-მდე სარეზერვო მოთხოვნებისთვის, დაფარვის ვადის მიხედვით, და 2019 წლის მაისიდან ამ მოთხოვნის 30%-მდე ზრდას (თუმცა სავალდებულო რეზერვების მოთხოვნები უცხოურ ვალუტაში მოზიდულ სახსრებზე შემცირდა 25%-მდე 2019 წლის ოქტომბერში); ბ) 2018 წლის 12 ივლისიდან, სებ-მა შეამცირა საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაში სავალდებულო რეზერვებზე US Fed განაკვეთიდან მაქსიმალურ ზღვრამდე, მინუს 50 საბაზისო პუნქტი - Fed განაკვეთის მაქსიმალურ ზღვრამდე მინუს 200 საბაზისო პუნქტი, შემცირდა ნულამდე აშშ დოლარის რეზერვებისთვის და ECB განაკვეთიდან მინუს 50 საბაზისო პუნქტი - ECB განაკვეთამდე მინუს 200 საბაზისო პუნქტი, შემცირდა უარყოფით 60 საბაზისო პუნქტზე ევროში დენომინირებული რეზერვებისთვის (თუმცა, 2019 წლის 3 ოქტომბრიდან მოქმედებს შემდეგი განაკვეთები - აშშ Fed განაკვეთის ზედა ზღვარი, მინუს 50 საბაზისო პუნქტი აშშ დოლარში რეზერვებისთვის და ECB განაკვეთი მინუს 20 საბაზისო პუნქტი ევროსი დენომინირებული რეზერვებისთვის).*

- **ნასესხები სახსრების ხარჯიანობა** . სახსრების ხარჯიანობა შეადგენდა 2.5%-ს 2019 წელს, რომელიც შემცირდა 40 საბაზისო პუნქტით წინა წელთან შედარებით. სახსრების ხარჯის შემცირება წინა წელთან შედარებით ძირითადად განპირობებული იყო კლიენტის დეპოზიტების და ობლიგაციები ღირებულების შემცირებით (შემცირდა 50 საბაზისო პუნქტით წინა წელთან შედარებით 2019 წელს) საკრედიტო ინსტიტუტებისთვის დავალიანების თანხების ღირებულების შემცირებასთან ერთად (შემცირდა 20 საბაზისო პუნქტით წინა წელთან შედარებით). ლიბორის განაკვეთის და დაბალი საშუალო სებ-ის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირების საფუძველზე 2019 წელს, ასევე 65 მილიონი სუბორდინირებული ვალის დაფარვის შესაბამისად 2019 წლის აპრილში. გარდა ამისა, 2019 წლის დაწყებიდან, ბანკმა გააფორმა კონკრეტული სავალუტო სვოპის ხელშეკრულებები წმინდა საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებისთვის ევროში კრედიტირებისთვის, რამაც ხელი შეუწყო სახსრების ხარჯის ყველა კომპონენტის შემცირებას წინა წელთან შედარებით. შემცირება ნაწილობრივ კომპენსირდა სახსრების ხარჯის გაზრდით, სადამფუძნებლო 100 მილიონი აშშ დოლარის გამოშვების შედეგად, დამატებითი 1 რიგის კაპიტალის უვადო სუბორდინირებული სესხის გაზრდით 2019 წლის მარტის ბოლოს.

- **წმინდა საკომისიო შემოსავალი.** წმინდა საკომისიო შემოსავალმა მიაღწია 152.3 მილიონ ლარს 2019 წელს, გაიზარდა 17.6%-ით წინა წელთან შედარებით. ზრდა ძირითადად განპირობებული იყო მნიშვნელოვანი საკომისიო შემოსავლების მიღებით ჩვენი კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო განყოფილების მიერ გაცემული აკრედიტივებიდან და გარანტიებიდან.

- **წმინდა მოგება საკურსო სხვაობით გამოწვეული.** სავალუტო რყევის, კლიენტის ნაკადების, ასევე უცხოური ფინანსური ინსტიტუტების ძლიერი ინტერესის შესაბამისად ადგილობრივ ვალუტაში, საკურსო სხვაობით გამოწვეული წმინდა მოგება შემცირდა 5.6% წინა წელთან შედარებით, 2019 წელს.

- **სხვა შემოსავალი.** სხვა შემოსავლისზრდა წინა წელთან შედარებით 2019 წელს მნიშვნელოვნად განპირობებული იყო 12.8 მილიონი ლარის წმინდა მოგებით, საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგად 2019 წელს.

წმინდა საოპერაციო შემოსავალი ერთჯერად ხარჯებამდე, რისკის ღირებულებამდე და მოგებამდე[19]

ათასი ლარი	2019	2018	ცვლილება წინა წელთან შედარებით
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი*	(211,245)	(202,225)	4.5%
ადმინისტარციული ხარჯები	(97,659)	(108,147)	-9.7%
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება	(73,275)	(42,413)	72.8%
სხვა საოპერაციო ხარჯები	(3,984)	(3,756)	6.1%
საოპერაციო ხარჯები	**(386,163)**	**(356,541)**	**8.3%**
მოგება მეკავშირე საწარმოებიდან	789	1,339	-41.1%
საოპერაციო შემოსავალი რისკის ხარჯამდე	**686,799**	**636,512**	**7.9%**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი / გაუფასურების ხარჯი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე.	(87,734)	(140,192)	-37.4%
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი / გაუფასურების ხარჯი ფინანსური იჯარის დებიტორულ დავალიანებებზე	(885)	(164)	NMF
სხვა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	347	(2,245)	NMF
რეზერვები რისკის ღირებულებასთან დაკავშირებით	(12,180)	(17,738)	-31.3%
რისკის ღირებულება	**(100,452)**	**(160,339)**	**-37.4%**
წმინდა საოპერაციო შემოსავალი ერთჯერად ხარჯებამდე და მოგების გადასახადამდე	**586,347**	**476,173**	**23.1%**
წმინდა ერთჯერადი ხარჯები	(606)	(26,249)	-97.7%
მოგება მოგების გადასახადამდე და ერთჯერად ხარჯებამდე	**585,741**	**449,924**	**30.2%**
მოგების გადასახადის ხარჯი	(58,618)	(34,862)	68.1%
მოგება კორექტირებული ერთჯერად ხარჯებზე	**527,123**	**415,062**	**27.0%**
ყოფილი გენერალური დირექტორის და აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილების შეწყვეტის ერთჯერადი ხარჯები (გადასახადის შემდეგ), გაყოფის ხარჯები გადასახადის შემდეგ) და გადავადებული საგადასახადო ნაშთის ხელახლა შეფასების ერთჯერადი გავლენა.	(14,236)	(71,534)	-80.1%
მოგება	**512,887**	**343,528**	**49.3%**

- **საოპერაციო ხარჯები** კორექტირებული თანამშრომლის ერთჯერად ხარჯებზე ყოფილი აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილების შეწყვეტის ანაზღაურებასთან დაკავშირებით (წილობრივ ინსტრუმენტებზე დაფუძნებული

[19] 2019 წლის კორექტირებული მოგება ცხრილში არ მოიცავს 14.2 მილიონი ლარის ერთჯერად მერჯონალის ხარჯებს (მოგების გადასახადის შემდეგ) ყოფილი გენერალური დირექტორის და აღმასრულებელი ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. ეს თანხა შეადგენს 12.4 მილიონ ლარს (მოგების გადასახადამდე) ამოღებულია ხელფასებიდან და სხვა სარგებლიდან და 4.0 მილიონი ლარი ლარს (მოგების გადასახადამდე) ამოღებულია ერთჯერადი მეხლებიდან. 2018 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგების კორექტირებული მოგება არ მოიცავს 3.9 მლნ ერთჯერად პერსონალის ხარჯებს (მოგების გადასახადის შემდეგ) ყოფილი გენერალური დირექტორის და აღმასრულებელი ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, და 67.7 მილიონი ლარის გაყოფის ხარჯებს (მოგების გადასახადამდე) და გადავადებული საგადასახადო ნაშთის ხელახლა შეფასების ერთჯერად გავლენას.

კომპენსაციის დაჩქარება) შეადგენდა 386.2 მილიონ ლარს 2019 წელს, გაიზარდა 8.3%-ით წინა წელთან შედარებით. ხელფასების და თანამშრომელთა სხვა სარგებელის ხარჯების ზრდა ძირითადად განპირობებული იყო გაზრდილი ინვესტიციებით ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ რესურსებში Agile ტრანსფორმაციის პროცესის ფარგლებში, ორიენტირებული ციფრულ ტექნოლოგიებზე, ინვესტიციებზე მარკეტინგში და ფილიალის ქსელში.

- წინა წელთან შედარებით შემცირება **ადმინისტრაციულ ხარჯებში** და ზრდა **ცვეთის, ამორტიზაციის და გაუფასურების ხარჯებში** 2019 წელს ძირითადად განპირობებულია ახალი სტანდარტის ფასს 16, იჯარები, მიღებით, რომელიც ცვლის ბასს 17, იჯარები, ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული სტანდარტის მიღების შედეგად, ჯგუფმა აღრიცხა თავის ბალანსზე აქტივები საიჯარო ქონების გამოყენების უფლებასთან დაკავშირებით საიჯარო კონტრაქტებით გათვალისწინებული გადახდების შესაბამის ვალდებულებებთან ერთად. ამ გავლენის გარდა, ცვეთის, ამორტიზაციის და გაუფასურების ხარჯების ზრდა გამოწვეული იყო გაზრდილი ინვესტიციებით 2019 წელს..
- **აქტივის გაუმჯობესებული ხარისხი.** საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტი შეადგენდა 0.8%-ს 2019 წელს, რომელიც შემცირდა 90 საბაზისო პუნქტით წინა წელთან შედარებით. RB-ს საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ხარჯი შეადგენდა 1.2%-ს 2019 წელს, შემცირდა 90 საბაზისო პუნქტით წინა წელთან შედარებით, ხოლო CIB-ის საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ხარჯი შეადგენდა 0.1%-ს 2019 წელს, შემცირდა 80 საბაზისო პუნქტით. RB-ს საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტის შემცირება ასახავს საკრედიტო პორტფელის გაუმჯობესებულ ხარისხს იპოთეკურ სეგმენტში და SME კლიენტებისთვის ჩვენს მიერ კრედიტირებაზე ორიენტირების გაზრდის გამო, ხოლო CIB-ის საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ხარჯის გაუმჯობესება წლის განმავლობაში ძირითადად განპირობებული იყო საშუალოდან მცირე მოცულობის კორპორატიული სესხების აღდგენით 2019 წელს.
- **ჩვენი საკრედიტო პორტფელის ხარისხი დარჩა ძლიერი 2019 წელს,** რაც დასტურდება შემდეგი კონტროლირებული მაჩვენებლებით. NPLs გაუმჯობესება გაცემულ სესხებზე ძირითადად განპირობებული იყო რამდენიმე პრობლემური კორპორატიული სესხის ჩამოწერით და დაფარვით 2019 წელს. NPL დაფარვის კოეფიციენტი ასევე შემცირდა წლის განმავლობაში განხორციელებული ჩამოწერების შედეგად. შესაბამისად წელს. NPL დაფარვის კოეფიციენტი, რომელიც კორექტირდა უზრუნველყოფის დისკონტირებულ ღირებულებაზე, გაუმჯობესდა წინა წელთან შედარებით 2019 წლის 31 დეკემბერს.

ათასი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული	2019	2018	ცვლილება წინა წელთან შედარებით
NPLs	252,695	318,356	-20.6%
NPLs მთლიან სესხებზე	2.1%	3.3%	
NPLs მთლიან სესხებზე, RB	1.5%	2.1%	
NPLs მთლიან სესხებზე, CIB	3.2%	5.9%	
NPL დაფარვის კოეფიციენტი	77.7%	90.0%	
NPL დაფარვის კოეფიციენტი, კორექტირებული უზრუნველყოფის დისკონტირებულ ღირებულებაზე	136.4%	129.4%	

- **BNB – ჯგუფის შვილობილი ბანკი ბელარუსში - რჩება ძლიერ კაპიტალიზებული,** კაპიტალის ადეკვატორობის კოეფიციენტით, რომელიც აღემატება ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მოთხოვნებს ("NBRB"). 2019 წლის 31 დეკემბერს, სულ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი შეადგენდა 15.0%-ს, რომელიც აღემატება 12.5%-იან მინიმალურ მოთხოვნას, ხოლო 1-ლი რიგის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი შეადგენდა 9.1%-ს, და აღემატებოდა ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის 7% მინიმალურ მოთხოვნებს. ROAE შეადგენდა 14.5% -ს 2019 წელს, ხოლო 2018 წელს შეადგენდა 14.6%-ს.
- **მთლიანობაში, მოგება, კორექტირებული ერთჯერად ხარჯებზე,** შეადგენდა 527.1 მილიონ ლარს 2019 წელს (გაიზარდა 27.0%-ით წინა წელთან შედარებით), ხოლო ROAE[5] შეადგენდა 27.8% -ს 2019 წელს (26.3% - 2018 წელს).

საბალანსო მაჩვენებლები

ათასი ლარი	2019	2018	ცვლილება წინა წელთან შედარებით
ლიკვიდური აქტივები	5,533,902	4,458,268	24.1%
წმინდა სესხები და ფინანსური იჯარის დებიტორული დავალიანებები	11,766,754	9,229,320	27.5%
კლიენტის დეპოზიტები და ობლიგაციები	10,136,695	8,196,551	23.7%
საკრედიტო დაწესებულებებისთვის გადასახდელი თანხები	3,684,921	2,749,348	34.0%
სესხები DFI-დან	1,397,345	1,125,127	24.2%
მოკლევადიანი სესხები ცენტრალური ბანკებიდან	1,551,953	1,118,957	38.7%
სესხები და დეპოზიტები კომერციული ბანკებიდან	735,623	505,264	45.6%
გაცემული სავალო ფასიანი ქაღალდები	2,140,781	1,711,032	25.1%
ლიკვიდობის და კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები			
წმინდა სესხები / კლიენტის დეპოზიტები და ობლიგაციები	116.1%	112.6%	
წმინდა სესხები / კლიენტის დეპოზიტები და ობლიგაციები+ DFI	102.0%	99.0%	
ლიკვიდური აქტივები / სულ აქტივები	30.2%	30.7%	
ლიკვიდური აქტივები / სულ ვალდებულებები	34.1%	34.9%	
სებ-ის ლიკვიდობის კოეფიციენტი	31.1%	31.9%	
სებ-ის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი	136.7%	120.1%	
სებ (ბაზელ III) CET1 კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	11.5%	12.2%	
სებ (ბაზელ III) Tier I კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	13.6%	12.2%	
სებ (ბაზელ III) სულ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	18.1%	16.6%	

ჩვენი ბალანსი რჩება მაღალ ლიკვიდური *(სებ ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტი შეადგენს 136.7%)* ***და ძლიერ კაპიტალიზებული*** *(სებ ბაზელ Basel III Tier I კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი - 13.6%)* ***სათანადოდ დივერსიფიცირებული დაფინანსების ბაზით*** *(კლიენტის დეპოზიტები მთლიან ვალდებულებებთან, რომელიც შეადგენს 62.4%).*

- ***ლიკვიდურობა.*** *ლიკვიდური აქტივები შეადგენს 5,533.9 მილიონ ლარს 2019 წლის 31 დეკემბერს, გაიზარდა 24.1%-ით წინა წელთან შედარებით. აღსანიშნავი ზრდა წლის განმავლობაში იყო სავალდებულო რეზერვები (სებ-ი) ჭარბ ლიკვიდობასთან ერთად, რომელიც გამოყენებული იქნა საკრედიტო დაწესებულებებში. სებ-ის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი შეადგენდა 136.7%-ს 2019 წლის 31 დეკემბერს (120.1% - 2018 წლის 31 დეკემბერს), აღემატება 100% მინიმალური მოთხოვნის დონეს .*
- ***საკრედიტო პორტფელი.*** *ჩვენი წმინდა საკრედიტო პორტფელი და ფინანსური იჯარის დებიტორული დავალიანებები აღწევდა 11,766.8 მილიონ ლარს 2019 წლის 31 დეკემბერს, გაიზარდა 27.5%-ით წინა წელთან შედარებით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საცალო საკრედიტო პორტფელი წარმოადგენდა საერთო სასესხო პორტფელის 67.1%-ს, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 71.1%-ს. როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ვალუტაში პორტფელები მნიშვნელოვნად გაიზარდა წინა წელთან შედარებით. ადგილობრივ ვალუტაში საკრედიტო პორტფელის ზრდა ნაწილობრივ განპირობებული იყო მთავრობის დე-დოლარიზაციის ინიციატივებით და ჩვენი მიზნით, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ ვალუტაში სესხების წილის ზრდას პორტფელში.*
- ***ჩვენი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია და კლიენტის დეპოზიტები*** *. საცალო კლიენტის საკრედიტო პორტფელი უცხოურ ვალუტაში შეადგენდა საერთო RB საკრედიტო პორტფელის 43.3%-ს 2019 წლის 31 დეკემბერს (49.5% - 2018 წლის 31 დეკემბერს), ხოლო საცალო კლიენტის დეპოზიტების უცხოურ ვალუტაში შეადგენდა საერთო RB დეპოზიტების 68.0% -ს 2019 წლის 31 დეკემბერს. 2019 წლის 31 დეკემბერს, CIB-ის საკრედიტო პორტფელი დენომინირებული იყო უცხოურ ვალუტაში (81.2% - 2018 წლის 31 დეკემბერს), ხოლო CIB-ის დეპოზიტების 65.9% დენომინირებული იყო უცხოურ ვალუტაში..*
- ***წმინდა სესხების კლიენტის სახსრებზე და DFI კოეფიციენტი.*** *ჩვენი წმინდა სესხები კლიენტის სახსრებზე და DFI კოეფიციანტი, რომელიც სათანადოდ კონტროლდება ხელმძღვანელობის მიერ, დარჩა მყარი 102.0% -ზე 2019 წლის 31 დეკემბერს, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 99.0%-ს.*
- ***დივერსიფიცირებული დაფინანსების ბაზა.*** *გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები გაიზარდა 25.1%-ით წინა წელთან შედარებით 2019 წლის 31 დეკემბერს. წინა წელთან შედარებით ზრდა ძირითადად განპირობებული იყო 100 მილიონი აშშ დამატებითი 1-ლი რიგის კაპიტალის გამოშვებით 2019 წლის მარტში.*
- ***კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები.*** *2019 წლის 31 დეკემბერს, ბაზელ III საბაზო კაპიტალის 1-ლრიგის, 1-ლრიგის და საერთო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციანტები შეადგენდა 11.5%, 13.6% და 18.1%, შესაბამისად, ყველა მათგანი აღემატება მინიმალური მოთხოვნის 10.1%, 12.2% და 17.1%.*
  - *2019 წლის მარტში ბანკმა გამოუშვა 100 მილიონი აშშ დოლარი, 11.125% დამატებითი 1 რიგის კაპიტალის უვადო სუბორდინირებული ობლიგაციები, გადასახდელი 5.25 წლის შემდეგ და ყოველ შემდგომ პროცენტის გადახდის დღეს,*

საქართველოს ეროვნული ბანკის წინასწარი თანხმობის საფუძველზე, 100.00% გამოშვების ფასით ("ობლიგაციები"). ობლიგაციები მითითებულია ირლანდიის საფონდო ბირჟაზე და მინიჭებული აქვს B- კატეგორია (Fitch). გამოშვება იყო 1 რიგის კაპიტალის ობლიგაციების პირველი საერთაშორისო შეთავაზება საქართველოდან და სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან. მარეგულირებლის ნებართვა აღნიშნული ობლიგაციების დამატებით 1 რიგის ინსტრუმენტად კლასიფიკაციის შესახებ მიღებულ იქნა 2019 წლის აპრილში.

- 2019 წლის დეკემბერში, ბანკმა ხელი მოაწერა ათწლიან 107 მილიონი აშშ დოლარის სუბორდინირებულ სინდიცირებულ სესხის ხელშეკრულებას შეთანხმების აგენტია FMO – Dutch entrepreneurial development bank სხვა მონაწილე კრედიტორებთან ერთად (ბანკის არსებული და ახალი აპრტნიორი ფინანსური ინსტიტუტები). რომელიც სავარაუდოდ განიხილება ბანკის 2 რიგის კაპიტალის ინსტრუმენტად (საქართველოს ბანკის მიერ გამოყოფის და დამტკიცების შემდეგ) ბაზელ III ფარგლებში, რაც ხელს შეუწყობს ბანკის კაპიტალის გაუმჯობესებას. მთლიანი კრედიტიდან 52 მილიონი აშშ დოლარი ბანკმა დახარჯა 2019 წლის დეკემბერში, ხოლო 55 მილიონ აშშ დოლარი 2020 წლის აპრილში და მარეგულირებლის ნებართვა კლასიფიკაციაზე მიღებული იქნა 2019 წლის დეკემბერში და 2020 წლის აპრილში.

მმართველობა

კორპორატიული მართვის ჩარჩო

ბანკი

ბანკის კორპორატიული ორგანოებია აქციონერთა საერთო კრება ("GMS"), სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო, რომელთაგან თითოეულს გააჩნია საკუთარი პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება საქართველოს კანონმდებლობის და ბანკის წესდების (`**წესდება**") შესაბამისად. აქციონერთა საერთო კრება არის ბანკის უმაღლესი შიდა მმართველი ორგანოა, იგი ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, რომლებიც პასუხს აგებენ დირექტორთა საბჭოს ზედამხედველობაზე. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს წევრებს დირექტორთა საბჭოში, რომელიც წარმოადგენს ბანკის ყოველდღიურ ოპერაციებზე პირდაპირ პასუხისმგებელ აღმასრულებელ ორგანოს. ბანკის საბოლოო მშობელი კომპანია საქართველოს ბანკის ჯგუფი, განსაზღვრავს ბანკის და მთლიანად ჯგუფის სტრატეგიას. კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად (**„კანონი საბანკო საქმიანობის შესახებ“**), (2018 წლის 26 სექტემბრით დათარიღებული სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება #215/04), საქართველოს კომერციული ბანკები ვალდებული არიან ჰქონდეთ აუდიტისა და რისკი კომიტეტები, რომლებიც არჩეულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე, სისტემურად მნიშვნელოვან ბანკებს დამატებით მოეთხოვებათ ჰქონდეთ კორპორატიული მმართველობის და ანაზღაურების კომიტეტები მათი სამეთვალყურეო საბჭოების დაქვემდებარებაში. როგორც ეს ქვემოთ 3.3 ნაწილშია აღწერილი დეტალურად ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ეხმარება ხუთი კომიტეტი, რომელიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან შემდგარი ხუთი კომიტეტისგან, კერძოდ: აუდიტისა და კორპორატიული მართვის კომიტეტის, რისკის კომიტეტი, ნომინაციის კომიტეტი, სპეციალური კომიტეტი და ანაზღაურების კომიტეტი. შესაბამისი კომიტეტები წევრები არჩეულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

ჯგუფი

ღსს საქართველოს ბანკის ჯგუფის დონეზე, საქართველოს ბანკის ჯგუფის დირექტორთა საბჭო (რომელიც ამჟამად შედგება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან, როგორც არა-აღმასრულებელი დირექტორებისგან, ბანკის გენერალური დირექტორისგან, როგორც მთავარი აღმასრულებელი დირექტორისგან, და ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისგან, როგორც თავმჯდომარისგან) („საქართველოს ბანკის ჯგუფის დირექტორთა საბჭო“), თავისი აუდიტის, რისკის, ნომინაციის და ანაზღაურების კომიტეტებით, საბოლოოდ პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვასა და შიდა კონტროლზე.

საქართველოს ბანკის ჯგუფსა და ბანკის კორპორატიული მმართველობის ჩარჩოს შორის ურთიერთობა დამატებით აღწერილია ქვემოთ.

აქციონერთა ჩართულობა და აქციონერთა საერთო კრების ფუნქციები

აქციონერთა ჩართულობის წესი, ბანკის წესდებაზე დაყრდნობით

ბანკის წესდების მიხედვით, ყოველწლიური აქციონერთა საერთო კრება (GMS) უნდა შეიკრიბოს ბანკის საბუღალტრო წიგნების გარე აუდიტის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი თვისა და ნებისმიერ შემთხვევაში - წინა ფისკალური წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ექვსი თვის შემდეგ.

აქციონერთა საერთო კრების დრო, ადგილი და დღის წესრიგი ქვეყნდება გეჭდურ მედიაში აღნიშნულ GMS-მდე არანაკლებ 20 დღით ადრე. წესდების თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს ჩანაწერის თარიღს აქციონერთა საერთო კრებისთვის. იმ აქციონერებს, რომელთაც უკავიათ მინიმუმ ხმის უფლების მქონე აქციების 1.0%, შეტყობინება ეგზავნებათ დაზღვეული ფოსტით. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში, შეტყობინებას იღებენ ბანკის საკუთარ კაპიტალში შედარებით მცირე წილის მფლობელებიც. ყოველწლიური GMS განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა წლიური ანგარიშგება და წლიური ანგარიშები, დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს შეთავაზებები დივიდენდების განაწილებაზე, ბანკის რეზერვები და დივიდენდების პოლიტიკა და ასეთი პოლიტიკის დასაბუთება დირექტორთა საბჭოს მიერ, აუდიტორის არჩევა და სხვა საკითხები, რომლებიც წარმოდგენილი იქნება განსახილველად დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, ასევე აქციონერების მიერ საქართველოს კანონმდებლობის და წესდების თანახმად წამოყენებული საკითხები.

აქციონერთა საერთო კრების ქვორუმი დაკმაყოფილებულია, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელთა მინიმუმ ნახევარი ან მათი წარმომადგენლები. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში, შეიკრიბება ახალი აქციონერთა საერთო კრება იმავე დღის წესრიგით და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ პერიოდში, კანონმდებლობით ან წესდებით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად. ახალი აქციონერთა საერთო კრების ქვორუმი დაკმაყოფილებულია, თუ მას ესწრებიან მინიმუმ ხმის უფლების მქონე აქციების 25.0%-ის მფლობელები. თუ აღნიშნულ ახალ აქციონერთა საერთო კრებაზე ქვორუმი არ შედგება, მოწვეული იქნება ახალი აქციონერთა საერთო კრება, რომლის ქვორუმიც დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, დამსწრე და ხმის უფლების მქონე აქციონერების ან მათი წარმომადგენლების რაოდენობის მიუხედავად.

საგანგებო აქციონერთა საერთო კრება ("EGM") მოწვეული იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც დირექტორთა საბჭო, სამეთვალყურეო საბჭო ან გამოცემული აქციების მინიმუმ 5.0%-ის მფლობელი აქციონერი/აქციონერთა ჯგუფი ასეთი კრების მოწვევას საჭიროდ მიიჩნევს. კანონის შესაბამისად, აქციონერები, რომლებიც ინდივიდუალურად ან ერთად ფლობენ სულ გამოშვებული კაპიტალის მინიმუმ 5.0%-ს, უფლებამოსილნი არიან, დაასახელონ განსახილველი საკითხი ბოლო აქციონერთა საერთო კრების ჩატარებიდან არანაკლებ ერთ თვეში და მოითხოვონ დირექტორთა საბჭოს მიერ საგანგებო აქციონერთა საერთო კრების მოწვევა. დირექტორთა საბჭო მოიწვევს ასეთ კრებას აქციონერებისგან მოთხოვნის მიღებიდან არაუმეტეს სამ თვეში. იმ შემთხვევაში, თუ აქციონერ(ებ)ის მიერ მოთხოვნილი საგანგებო აქციონერთა საერთო კრების ერთადერთი საკითხი დღის წესრიგში არის ერთი ან რამდენიმე დირექტორის გათავისუფლება და ეს მოთხოვნა 20 დღის განმავლობაში არ დაკმაყოფილდება, ინიციატორი აქციონერები უფლებამოსილნი არიან, მოიწვიონ საგანგებო აქციონერთა საერთო კრება აქციონერებისთვის დაზღვეული ფოსტით შეტყობინების გაგზავნის გზით. ასეთი საგანგებო აქციონერთა საერთო კრების ქვორუმი დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ მას ესწრებიან სულ მცირე ხმის უფლების მქონე აქციების 75.0%-ის მფლობელები. თუ საგანგებო აქციონერთა საერთო კრების ქვორუმი ვერ შედგება, აქციონერები უფლებამოსილნი არიან, განმეორებით მოიწვიონ კრება პირველი საგანგებო აქციონერთა საერთო კრებიდან არანაკლებ 20 დღეში. ასეთ შემთხვევაში, ქვორუმის მოთხოვნა იგივე იქნება. თუ მეორე კრების ქვორუმიც ვერ შედგება, აქციონერები უფლებამოსილნი არიან, მიმართონ შესაბამისი იურისდიქციის სასამართლოს, რომელიც დაავალდებულებს დირექტორთა საბჭოს, მოიწვიონ საგანგებო აქციონერთა საერთო კრება, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან სამი თვის განმავლობაში..

აქციონერთა საერთო კრება ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ან მისი არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოადგილე ან სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი სხვა წევრი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არყოფნის შემთხვევაში, კრებას ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. დგება კრების ოქმი, რომელსაც ამოწმებს ნოტარიუსი. საქართველოს კანონმდებლობით და წესდებით აქციონერები უფლებამოსილნი არიან, აქციონერთა საერთო კრებაზე მიიღონ დადგენილება შემდეგ საკითხებზე:

- წესდების დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა (მათ შორის, შეუზღუდავად, საწესდებო კაპიტალისა და კორპორატიული სახელის შეცვლა);
- სააქციო კაპიტალის ზრდა ან სააქციო კაპიტალის შემცირება;
- ბანკის ლიკვიდაცია;
- შერწყმის დამტკიცება, ბანკის გაყოფა ან სხვა იურიდიულ პირად გარდაქმნა;
- აქციების ყიდვის უპირატესი უფლების სრული ან ნაწილობრივი გაუქმება სააქციო კაპიტალის ზრდის დროს;
- სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს შეთავაზებების დამტკიცება მოგების განაწილების შესახებ, ან იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ორგანოებს არ შეუძლიათ ერთობლივი შეთავაზების წარმოდგენა, გადაწყვეტილების მიღება სუფთა მოგების გამოყენების შესახებ;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და გათავისუფლება და მათი მომსახურების პირობების განსაზღვრა;
- ქცევის კოდექსის დაწესება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის;
- სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს ანგარიშების დამტკიცება;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების დამტკიცება;
- აუდიტორების დანიშვნა;
- სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს წევრების წინააღმდეგ სამართალწარმოებაში მონაწილეობის დამტკიცება, მათ შორის, წარმომადგენლის დანიშვნა ასეთი სამართალწარმოების ფარგლებში.
- ბანკის აქტივების შეძენის, გაყიდვის, გადაცემის, გადაცვლის (ან მსგავსი ტრანზაქციების) დამტკიცება ან ბანკის აქტივების დატვირთვა, რომელთა ღირებულება აღემატება ბანკის საერთო აქტივების 25.0%-ს;
- წლიური ანგარიშების დამტკიცება; და
- კანონით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

წესდების თანახმად, გადაწყვეტილებებს ყველა სხვა საკითხის შესახებ იღებს სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში.

ჩატარებულ აქციონერთა კრებები და 2019 წელს მიღებული დადგენილებები

- 2019 წლის 28 თებერვალს ბანკის ხმის უფლების მქონე აქციების 75%-ზე მეტის მფლობელმა აქციონერმა -სს „ბიჯეო ჯგუფმა“ დაამტკიცა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების ტარიფები
- 2019 წლის 14 მაისს ბანკის ხმის უფლების მქონე აქციების 75%-ზე მეტის მფლობელმა აქციონერმა -სს „ბიჯეო ჯგუფმა“ დაამტკიცა 2018 ფინანსური წლის სრული მოგებიდან დივიდენდების განაწილება 139.200.000 ლარის ოდენობით
- 2019 წლის 13 აგვისტოს ბანკის ხმის უფლების მქონე აქციების 75%-ზე მეტის მფლობელმა აქციონერმა -სს „ბიჯეო ჯგუფმა“ დაამტკიცა ქ-ნ ჰანა ლოიკანენის როგორც სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრის დანიშვნა.

კომერციული ბანკის აქციების მფლობელთა წესი, სებ-ის რეგულაციების საფუძველზე

საბანკო საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად, პირი, რომელიც გასამართლებულია მძიმე ან უკიდურესად მძიმე დანაშაულისთვის, ტერორიზმის დაფინანსებისთვის და/ან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის, ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისთვის, არ არის უფლებამოსილი, ფლობდეს აქციების მნიშვნელოვან ნაწილს (განისაზღვრება, როგორც ავტორიზებული სააქციო კაპიტალის 10.0%-ზე მეტი, ან პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელობაში არსებული სრულად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალის 10.0%-ზე მეტი) კომერციულ ბანკში. სებ-ი უფლებამოსილია, ნორმატიული აქტით განსაზღვროს შესაბამისობის დამატებითი კრიტერიუმები აქციათა მნიშვნელოვანი ნაწილის მფლობელებისთვის.
საბანკო საქმიანობის შესახებ კანონის მიხედვით, პირი, რომელსაც განზრახული აქვს აქციების შეძენა ქართულ ბანკში და რომელიც შესაბამისი შესყიდვის შედეგად გახდება ბანკის სააქციო კაპიტალის 10%, 25% ან 50%-ის ბენეფიციარი მფლობელი, ვალდებულია, სებ-ს წარუდგინოს დეკლარაცია და მიიღოს მისგან წინასწარი დასტური. ზოგადად, სებ ვალდებულია, გამოსცეს ან გააუქმოს საკუთარი თანხმობა დეკლარაციის წარდგენიდან ერთი თვის განმავლობაში; თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის დამაკმაყოფილებელი სებ-ისთვის, იგი უფლებამოსილია, გაახანგრძლივოს აღნიშნული ვადა სამ თვემდე.

ტრანზაქცია, რომლითაც პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელობაში იღებს ქართული ბანკის ავტორიზებული სააქციო კაპიტალის ან სრულად ანაზღაურებული გამოშვებული სააქციო კაპიტალის 10%-ზე მეტს, სებ-ისთვის დეკლარაციის წარდგენის გარეშე ან სებ-ის თანხმობის გარეშე, ითვლება ბათილად და ძალადაკარგულად.

სებ უფლებამოსილია, მოსთხოვოს ბანკს დეკლარაციის წარდგენა ბანკის ავტორიზებული სააქციო კაპიტალის ან სრულად ანაზღაურებული გამოშვებული სააქციო კაპიტალის 10%-ზე მეტის პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელების შესახებ. ასეთ შემთხვევაში, სებ-ი უფლებამოსილია, დროებით ან განუსაზღვრელი ვადით შეუჩეროს შესაბამის პირს ხმის მიცემის უფლება ან მოითხოვოს აღნიშნული პირის მიერ აქციების მფლობელობის 10%-მდე შემცირება. სებ უფლებამოსილია, უარი განაცხადოს დამტკიცებაზე, თუ ტრანზაქციამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საქართველოს ფინანსური სექტორის სტაბილურობას, გამოიწვიოს საერთაშორისო ორგანიზაციების ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების მიერ განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევა, ან იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელსაც კომერციულ ბანკში აქციების შესყიდვა სურს, ვერ წარმოადგენს ყველა საჭირო ინფორმაციას ასეთი აქციების შესაძენად გამოყენებული ფულადი სახსრების წარმომავლობის შესახებ. სებ უფლებამოსილია, ნორმატიული აქტით განსაზღვროს შესაბამისობის დამატებითი კრიტერიუმები აქციების მნიშვნელოვანი წილის მფლობელებისთვის.

ამასთან, საბანკო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად პირი, ან ერთობლივად მოქმედი აქციონერთა ჯგუფი, რომლებსაც განზრახული აქვთ ქართულ ბანკში არსებული აქციების გაყიდვა, და რომელთა მფლობელობა, შესაბამისი გაყიდვის შედეგად 10%-ზე, 25%-ზე ან 50%-ზე ნაკლები ხდება, ვალდებულნი არიან, ასეთი გაყიდვის წინ აცნობონ სებ-ს და წარმოადგინონ დეტალური ინფორმაცია აღნიშნული ტრანზაქციის შესახებ.


არსებობს გარკვეული ანგარიშგების ვალდებულებები ქართული ბანკის აქციების მნიშვნელოვანი ნაწილის მფლობელობასთან დაკავშირებით. საბანკო საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად, კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან, წლიურ ანგარიშგებასთან ერთად სებ-ს წარუდგინონ ინფორმაცია მათი სააქციო კაპიტალის 10%-ზე მეტის ბენეფიციარისა და პირდაპირი მფლობელების შესახებ (სებ-ის 2006 წლის 23 მაისის ბრძანება No 145 აწესებს შედარებით დაბალ 5%-იან ზღვარს). ასეთი ინფორმაცია უნდა მომზადდეს კომერციული ბანკის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელმაც ასევე უნდა მიუთითოს, ადასტურებს თუ არა აღნიშნული ინფორმაციის სიზუსტეს. ამასთან, პირი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ბენეფიციურად ფლობს კომერციული ბანკის აქციების 10%-ზე მეტს, ვალდებულია, ყოველი კალენდარული წლის აპრილში სებ-ს წარუდგინოს დეკლარაცია წინა კალენდარული წლის 31 დეკემბრისთვის მის მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობის შესახებ. ბანკის აქციონერების ინფორმაცია წარმოდგენილია ზემოთ 2.1 ნაწილში (მფლობელობა).

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო, საქართველოს ბანკის ჯგუფის დირექტორთა საბჭო და კომიტეტები

წესდებისა და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ბანკის სამეთვალყურეო საბჭო ასრულებს მეტწილად ისეთივე როლს, როგორსაც საქართველოს ბანკის ჯგუფის დირექტორთა საბჭო ბანკის დონეზე. წესდების შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭომ ზედამხედველობა უნდა გაუწიოს ბანკის დირექტორთა საბჭოს, დაამტკიცოს ბანკის რისკის სტრატეგია და პრინციპები, და საბოლოოდ პასუხისმგებელია რისკების გამოვლენასა და კონტროლზე. ის ამტკიცებს საკრედიტო პოლიტიკას, რომელიც მოიცავს საკრედიტო რისკის კონტროლისა და მონიტორინგის პროცედურებს და ბანკის საკრედიტო რისკის მართვის სისტემებს, და ამტკიცებს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, რომელიც გათვალისწინებული არ არის შესაბამისი საკრედიტო კომიტეტის კომპეტენციის სფეროთი (მათ შორის 35.0 მლნ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის ერთჯერად სესხთან დაკავშირებულ რისკებს). დირექტორთა საბჭო ყოველ კვარტალში განსახილველად წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს საერთო საკრედიტო ანგარიშგების და ბაზრის ანგარიშგებას.

ანგარიშგების თარიღისთვის სამეთვალყურეო საბჭო შედგება შვიდი წევრისგან, რომელთაგან თითოეულს ირჩევს აქციონერთა საერთო კრება, სებ-ის დასტურის საფუძველზე. // თუმცა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამეთვალყურეო საბჭო შედგებოდა რვა წევრისგან (დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ) წევრები ინიშნებიან ოთხწლიანი ვადით, და მათი ხელახალი დანიშვნა და ვადის გაგრძელება შეუზღუდავია. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა მოვალეობების შესრულებისას უნდა იმოქმედონ ბანკის ყველა აქციონერის და მისი ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე. სამეთვალყურეო საბჭოს დახმარებას უწევს ხუთი სხვადასხვა კომიტეტი, რომლებიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან: აუდიტისა და კორპორატიული მართვის კომიტეტი, რისკის მართვის კომიტეტი, ნომინაციის კომიტეტი, ანაზღაურების კომიტეტი და სპეციალური კომიტეტი. შესაბამისი კომიტეტის წევრებს ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭოს რისკის, აუდიტის და კორპორატიული მართვის, ნომინაციისა და ანაზღაურების კომიტეტების ფუნქციები აღწერილი ქვემოთ.

ქვემოთ გრაფიკში წარმოდგენილია კომიტეტები, რომლებიც ოპერირებენ სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებაში და მათი ძირითა ვალდებულებები.



მეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ბანკის გრძელვადიან წარმატებაზე და ბანკის საქმიანობის მართვის შედეგად ციონერებისთვის მდგრადი ღირებულების შექმნასა და მიწოდებაზე. სამეთვალყურეო საბჭო ადგენს ბანკის ძირითად ირებულებებს; ადგენს და აკონტროლებს ბანკის სტრატეგიის შესრულებას ძლიერი და ეფექტური რისკის მართვის და და კონტროლის ფარგლებში; ხელს უწყობს კორპორაციული მართვის კულტურას საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, ეის მრავალ სხვა პასუხისმგებლობასთან ერთად.

სამეთვალყურეო საბჭოს ვალდებულებების სფერო და ანგარიშგება

თითოეულმა კომიტეტმა შეათანხმა ვალდებულებების სფერო, რომელსაც ყოველწლიურად განიხილავს თითოეული კომიტეტი და ნებისმიერი ცვლილება მტკიცდება საქართველოს ბანკის ჯგუფის დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

ყველა არა-აღმასრულებელ დირექტორს აქვს მუდმივი მიწვევა დაესწროს კომიტეტის კრებებს (და არა უბრალოდ კომიტეტის წევრების დასწრების შეზღუდვა).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ბანკის ჯგუფის დირექტორთა საბჭოს შედგება რვა წევრისაგან. 2020 წლის 31 იანვრის მდგომარეობით ბ-ნმა ანდრეს ვოლფმა დატოვა სამეთვალყურეო საბჭო. ქვემოთ წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და მათი პროფესიული წარსული:

- **ნილ ჯანინი**

  თავმჯდომარე

ნილ ჯანინი დაინიშნა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ 2010 წლის სექტემბერში და შემდეგ ხელახლა იქნა არჩეული წესდების შესაბამისად. ბ-ნ ჯანინი ასევე არის ბანკის ნომინაციის კომიტეტის თავმჯდომარე, ასევე ანაზღაურების კომიტეტის წევრი. ბ-ნი ჯანინი ასევე არის საქართველოს ბანკის ჯგუფის არა-აღმასრულებელი თავმჯდომარე, ასევე ჯგუფის ნომინაციის კომიტეტის თავმჯდომარე და მისი ანაზღაურების კომიტეტის წევრი. ბ-ნი ჯანინი ადრე მუშაობდა ბიჯეი გრუფ ფიელსის თავმჯდომარედ, რომელიც მოიცავს ბიჯეი გრუფ ფიელსის ნომინაციისა და ანაზღაურების კომიტეტებს. ბ-ნი ჯანონი ასევე მუშაობდა საქართველოს ჰელქეა გრუფ ფლს-ს არააღმასრულებელ დირექტორად 2015 წლის სექტემბრიდან 2018 წლის აპრილამდე.

უნარ-ჩვევები და გამოცდილება:

ბ-ნი ჯანინი ადრე იყოს ბიჯეი გრუფ ფიელსი თავმჯდომარე 2011 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის მაისამდე, რომელიც მოიცავდა პოზიციებს ჯგუფის ნომინაციისა და ანაზღაურების კომიტეტებში. ბ-ნი ჯანინი ასევე იყო საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის არა-აღმასრულებელი დირექტორი 2015 წლის სექტემბრიდან 2018 წლის აპრილამდე. ბ-ნი ჯანინი არის როგორც მომგებიანი, ასევე არამომგებიანი ორგანიზაციების აღმასრულებელი დირექტორების მრჩეველი და აგრძელებს საკონსულტაციო მომსახურებების გაწევას McKinsey & Company-თვის. ბანკში მუშაობის დაწყებამდე 2010 წელს, ბ-ნი ჯანინი იყო პარიზის ოფისში დაფუძნებული McKinsey & Company-ის დირექტორი 27 წლის განმავლობაში, 1982 წლიდან მის პენსიაზე გასვლამდე. McKinsey & Company-ში დაიწყო მუშობა საცალო, აქტივების მართვის და კორპორატიული საბანკო საქმიანობის სექტორებში, და აქტიურად იყოს ჩართული ორგანიზაციული პრაქტიკის ყველა ასპექტში, მათ შორის, დიზაინში, ხელმძღვანელობაში, მმართველობაში, წარმოების გაფართოებასა და ტრანსფორმაციაში. 2009 წელს, დირექტორების ფრანგული ინსტიტუტის წევრად ყოფნისას, ბატონმა ჯანინმა ნაშრომი გამოაქვეყნა კომპანიის სტრატეგიის განსაზღვრისა და დანერგვის საკითხებში დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობის შესახებ. McKinsey & Company-ში მუშაობის დაწყებამდე, ბატონი ჯანინი მუშაობდა Chase Manhattan Bank-ში (ამჟამად JP Morgan Chase) ნიუ იორკსა და პარიზში, ასევე, Procter & Gamble-ში ტორონტოში. ბატონი ჯანინი სხვადასხვა დროს მუშაობდა ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. ბატონი ჯანინი ასევე არის Neil Janin Limited-ის დირექტორი, რომლის მეშვეობითაც ახორციელებს საკონსულტაციო მომსახურებებს.

განათლება:

ბატონ ჯანინს მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი ტორონტოში და მინიჭებული აქვს საპატიო ხარისხი ეკონომიკისა და საბუღალტრო ანგარიშგების სფეროში მონრეალის მაკგილის უნივერსიტეტის მიერ.

- **ჰანა ლოიკანენი**

  უფროსი დამოუკიდებელი წევრი

ჰანა ლოიკანენი დაინიშნა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად 2015 წლის აგვისტოში და როგორც უფროსი დამოუკიდებელი წევრი 2019 წლის აგვისტოში. ქ-ნი ლოიკანენი არის ასევე ბანკის ნომინაციის კომიტეტის, ანაზღაურების კომიტეტისა და აუდიტისა და კორპორატიული მმართველობის კომიტეტის წევრი. ქ-ნი ლოიკანენი ასევე არის ჯგუფის უფროსი დამოუკიდებელი არა-აღმასრულებელი დირექტორი, ასევე ჯგუფის ფლს აუდიტისა და ნომინაციის კომიტეტის წევრი. ქ-ნი ლოიკანენი ადრე იყო ჯგუფის ფლს-ს დამოუკიდებელი არა-აღმასრულებელი დირექტორი რომელშიც შედის ჯგუფის ნომინაციისა და რისკი კომიტეტებში წევრობა.

უნარ-ჩვევები და გამოცდილება:
საბანკო მომსახურების ფილიალები

272

-4 **(2018 წელს)**

ბარათების რ-ბა

2.1 MLN

-1.5% **(2018 წელს)**

სწრაფი გადახდის ტერმინალები

3,217

+102 **(2018 წელს)**

სავაჭრო წერტილების ტერმინალები

21,869

+4,999 **(2018 წელს)**

ბანკომატები

933

+57 **(2018 წელს)**

mBank -ის ტრანზაქციების რაოდენობა

35.9 MLN

+129.2% **(2018 წელს)**

ტრანზაქციები ციფრული არხების საშუალებით (%)

93.2%

+1.1 ppts **(2018 წელს)**

ერთი შეხედვით

საცალო საბანკო მომსახურება

კლიენტზე ორიენტირებული და მულტი-ბრენდულ სტრატეგიაზე დაფუძნებული გადაწყვეტები 2.5-მილიონზე მეტი კლიენტისთვის

ჩვენ ვართ ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების სფეროში წამყვანი მოთამაშე საქათველოში, ვემსახურებით 2.5 მილიონზე მეტ კლიენტს 267 მომსახურების ოფისების ყველაზე ფართო ქსელის - 933 ბანკომატის და 3,217 სწრაფი გადახდის (თვითმომსახურების) ტერმინალების, 3,200 ადამიანზე მეტი გაყიდვების პერსონალის და ჩვენი მრავალფეროვანი პროდუქტებისა და მომსახურებების საშუალებით. ჩვენი საცალო საბანკო მომსახურება, რომელიც წარმოადგენს ჩვენი საქმიანობის მთავარ კომპონენტს მოქმედებს კლიენტზე ორიენტირებულ და მზარდი ციფრულ მულტიბრენდულ სტრატეგიაზე დაფუძნებული გადაწყვეტების საფუძველზე, რომელიც მოიცავს კლიენტი-ფიზიკური პირების მთელ სპექტრს საიმედო და აღიარებული სამი ბრენდის საშუალებით:

ექსპრესი
შექმნილია იმისთვის რომ მოემსახუროს პერსპექტიულ ფიზიკურ პირებს მინიმალური საოპერაციოს ხარჯებით ეკონომიურად ეფექტური დისტანციური არხების საშუალებით, როგორიცაა სწრაფი (ექსპრეს) გადახდის ტერმინალები, ინტერნეტ და მობილური ბანკინგი, და მაღალ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ექსპრესს ფილიალები.

საქართველოს ბანკი
უზრუნველყოფს საიმედო ტრადიციულ საბანკო მომსახურებებს ჩვენი კლიენტი- ფიზიკური პირების ფართო სპექტრისთვის.

სოლო
გათვლილია პრემიალური კლასის კლიენტებზე და უზრუნველყოფს უნიკალურ შერეულ საბანკო მომსახურებას და ცხოვრების სტილს მორგებულ პროდუქტებს და მომსახურებებს.

მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესი
საქართველოს ბანკი ემსახურება მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს (MSME) საცალო კლიენტებისთვის საბანკო მომსახურების ფარგლებში არსებული ორი სპეციალურად შექმნილი სეგმენტის საშუალებით. 2019 წლის ბოლოსთვის, ჩვენი მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნეს კლიენტების ბაზა 220,603 კლიენტამდე გაიზარდა.

მთლიანი საკრედიტო პორტფელი
(მილიარდი ლარი)

7.5

+18.0% წინა წელთან შედარებით

ბაზრის წილი[4]

38.8%

კლიენტის დეპოზიტები
(მილიარდი ლარი)

5.7

+31.7% წინა წელთან შედარებითი

ბაზრის წილი[4]

40.3%

[4] ბაზრის წილი კრედიტების და ფიზიკური პირების დეპოზიტების მიხედვით ეფუძნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოქვეყნებულ ბანკების დამოუკიდებელ ანგარიშებს.

კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურება

ინტეგრირებული გადაწყვეტა ჩვენი კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურების(CIB) კლიენტებისთვის

ბანკი არის იურიდიული პირების წამყვანი დამფინანსებელი ქვეყანაში, დარგის ღრმა ცოდნით და ადგილობრივი გამოცდილებით. ჩვენი კორპორატიული საბანკო მომსახურება მოქნილად რეაგირებს ჩვენი კორპორატიული კლიენტების ინდივიდუალურ მოთხოვნებზე და სთავაზობს მათ პროდუქტებისა და მომსახურებების ქვეყანაში არსებულ ყველაზე ყოვლისმომცველ დიაპაზონს. ჩვენ ვამაყობთ რომ შეგვიძლია მოვემსახუროთ 2,700 ბიზნესს საქართველოში და ჩვენი წვლილი შევიტანოთ სხვადასხვა დარგის განვითარებაში, როგორიცაა ვაჭრობა, ენერგეტიკა, მრეწველობა და ტურიზმი და სხვა. კორპორატიული ბანკინგი დამატებით ახორციელებს სავაჭრო ოპერაციების დაფინანსებას საქართველოში და უზრუნველყოფს ლიზინგის მომსახურებებს ბანკის სრულ მფლობელობაში არსებული შვილობილი კომპანიის, საქართველოს სალიზინგო კომპანიის (GLC) საშუალებით.

კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურება აწყობს ინდუსტრიულ საკითხებზე კვარტალურ ლექციების კურსს მისი კლიენტებისთვის, სადაც გალტ ენდ თაგარტი წარმოადგენს სამრეწველო ტრენდებს და ყველაზე ბოლოდროინდელი კვლევის შედეგებს. აქ ჩვენი მიზანია გადავცეთ ჩვენი ცოდნა და ყველაზე თანამედროვე მონაცემები ჩვენს კლიენტებს, რათა მათ ჰქონდეთ წარმოდგენა ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ მოვლენებსა და საინვესტიციო პოტენციალზე.

ჩვენ მიგვაჩნია ჯგუფი ქვეყანაში კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურები საუკეთესო სპეციალისტების ერთერთ მიმზიდველ დამსაქმებლად. დიდი კორპორაციების ფართო სპექტრისთვის კორპორატიული დაფინანსების და სტრატეგიის საკითხებს ასევე იმ ახალგაზრდა პროფესიონალების მოწვევას დიდი ხნის ისტორია აქვს, რომლებსაც სურთ თავიანთი კარიერა გააგრძელონ ჯგუფის კომპანიებში.

ეს მრავალასპექტიანი ფინანსური მომსახურებები, ჩვენი კლიენტებისთვის საუკეთესო კლასის მომსახურებების გაწევაზე ფოკუსირებასთან ერთად, აქცევს ჩვენს ბანკს უნივერსალურ და პრიორიტეტულ კონსულტანტად საქართველოში არსებული კორპორაციებისთვის.

საკრედიტო პორტფელის მთლიანი მოცულობა[5]
(მილიარდი ლარი)

3.7

+42.5% y-o-y

ბაზრის წილი[6]

31.0%

კლიენტების დეპოზიტები [5]
(მილიარდი ლარი)

3.8

+10.1% y-o-y

ბაზარი [6]

30.9%

[5] მოიცავს ქონების მართვის მთლიან კრედიტებს და კლიენტის დეპოზიტებს შესაბამისად..
[6] ბაზრის წილები იურიდიული პირების კრედიტების და დეპოზიტების მიხედვით , შესაბამისად ეფუძნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოქვეყნებულ ბანკების დამოუკიდებელ ანგარიშებს.

ქონების მართვა

ჩვენ ვართ საქართველოში ბანკის კლიენტების ინვესტიციების მართვის მომსახურებების სფეროში ავტორიტეტული ლიდერი

საქართველოს ბანკი აქტიურად მონაწილეობად აქტივებისა და ქონების მართვის სფეროში 2005 წლიდან. 1,557 ადგილობრივი და მსოფლიოს 77 ქვეყნის უცხოელი კლიენტის მონაცემებით, ჩვენი ქონების მართვის ბიზნესი უზრუნველყოფს შეძლებული ფიზიკურ პირების საბანკო მომსახურებებს და სთავაზობს ინვესტიციის მართვის პროდუქტებს საერთაშორისო მასშტაბით და აღმოსავლეთ ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და გაერთიანებულ სამეფოში არსებული შვილობილი კომპანიების და თავისი წარმომადგენლობების საშუალებით. ჩვენი მომსახურების მაღალი დონე, ადგილობრივ ეკონომიკურ სტაბილურობასთან, ბიზნესზე ორიენტირებულ გარემოსთან და საქართველოში არსებულ ხელსაყრელ საგადასახადო რეჟიმთან ერთად, უზრუნველყოფს ჩვენი კლიენტებისთვის საქართველოში ინვესტიციის განხორციელების უნიკალურ შესაძლებლობას. ბევრ უცხოელი კლიენტს ეს შეთავაზება ძალიან მიმზიდველად მიაჩნია. ბანკი დარწმუნებულია, რომ მისი ქონების მართვის ფრანჩიზამ შესაძლოა სარგებელი მოიტანოს ადგილობრივი კრედიტის განაწილებაზე ფოკუსირების გზით.

2017 წლიდან, ჩვენ მასპინძლობას ვუწევთ და ვაფინანსებთ ქონების მართვის რეგიონულ კონფერენციას თბილისში და საზღვარგარეთ. ამ ღონისძიებების მიზანია წარმოადგინოს საქართველო როგორც რეგიონული ჰაბი კერძო საბანკო მომსახურების სფეროში. საქართველოს რეგიონულ საბანკო ცენტრად ქცევის პერსპექტივა და გამოწვევები, მათ შორის საინვესტიციო კლიმატი საქართველოში და ასევე ქვეყნის ეკონომიკური და საბანკო სექტორი, განხილული იქნა კონფერენციის ფარგლებში, ჩვენ ვგეგმავთ მომავალშიც გავაგრძელოთ რეგიონული ღონისძიებების აქტიური მხარდაჭერა.

2019 წლის იანვრიდან საქართველოს ბანკმა გახსნა ახალი ოფისი თბილისის ცენტრში, რომლის მიზანია მოემსახუროს ჩვენს ქონების მართვის კლიენტებს.

WM AUM
(მილიარდი ლარი)

1.5

კლიენტების რაოდენობა

1,557

ქვეყნების რაოდენობა

77

BNB

კარგად კაპიტალიზებული მცირე და საშუალო საწარმოების ბანკი ბელორუსში.

სს ბელორუსკი ნაროდნი ბანკი (BNB) სთავაზობს ინდივიდუალურ და ბიზნეს საბანკო მომსახურებებს მცირე და საშუალო საწარმოებს და საშუალო შემოსავლიან საცალო ბანკინგის კლიენტებს ბელორუსში. BNB, რომელიც შეიქმნა 1992 წელს, იყო ერთერთი პირველი კერძო მფლობელობაში არსებული ბანკი ბელორუსში. BNB აპირებს გააფართოვოს თავისი საცალო კლიენტებთან მომსახურება ბელორუსში ციფრული არხებით შეღწევის გზით.

სტრატეგია

ბაზრისა და დარგის მიმოხილვა

გლობალური მასშტაბით მთავარი რეფორმატორი

საქართველო არის ღია სწრაფად მზარდი ახალი ბაზარი. მაკროეკონმიკური მაჩვენებელი პოზიტიური იყო ბოლო ათწლეულის განმავლობაში, და იზრდება უფრო სწრაფად ვიდრე პარტნიორთა უმეტესობა, აქვს გაუმჯობესებული გარეშე ბალანსი, გაიზარდა საგარეო რეზერვები, აქვს კარგად მართული ფისკალური დეფიციტი, და სტაბილური საბანკო სექტორი ვალუტის გაუფასურების მიუხედავად. ამ ყოველისმომცელი რეფორმებით, ქვეყანა აგრძელებს ეკონომიკის მხარდაჭერას, რათა მოხდეს მისი პოტენციალის რეალიზება გლობალურ ეკონომიკაში სრული ინტეგრაციით.

საქართველოში ბიზნესის ადვილად კეთების ინდექსი 2020 წელს

მე-2

ბიზნესის დაწყებაში

მე-7

მცირე ინვესტორების დაცვაში

მე-5

ქონების რეგისტრაციაში

მე-7

საერთო რეიტინგი

საქართველო არის უმაღლესი რეინტინგის მქონე ეკონომიკა ევროპასა და ცენტრალური აზიის რეგიონში

წყარო: მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთება



ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი მინიჭებულია საქართველოსთვის 2020 წელს

12-ე

საქართველოს მინიჭებული აქვს 6-ე ადგილი ევროპის რეგიონის 45 ქვეყანაში, და მისი საერთო ქულა საკმაოდ აღემატება რეგიონულ და მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს

წყარო: მემკვიდრეობის ფონდი

კორუფციის აღქმის ინდექსი 2019 წელს

44-ე

საქართველო არის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ლიდერი

წყარო: საერთაშორისო გამჭვირვალობა 2019

რეფორმებით გარანტირებული წარმატება

საქართველო ინარჩუნებს მმართველობასა და საქმიანი წრეების ინტერესებზე მორგებული მთავარი რეფორმატორის რეპუტაციას. ამის გამო, საქართველოში მაკროეკონომიკური მაჩვენებელი პოზიტიური იყო ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მის ყველა პარტნიორზე უფრო მაღალი ზრდით. გაუმჯობესებული საგარეო ოპერაციების სალოდოთი, კარგად მართული ფისკალური დეფიციტით, და სავალუტო კურსის შემცირების მიუხედავად სტაბილური საბანკო სექტორით.

რეგიონში არსებული შენელებული ტემპის გამო 2015-2016 წლებში ნელი ზრდის შემდეგ , ზრდა დაიწყო და გაძლიერდა საგარეო ოპერაციების სალდო. ზრდა დაჩქარდა 5.1%-ით 2019 წელს, მიუხედავად რუსეთის მხრიდან ფრენების აკძალვისა. არის რა ღია ეკონომიკა , საქართველოს არ აქვს იმუნიტეტი გარეშე შოკების მიმართ, თუმცა მისი დივერსიფიცირებული ეკონომიკური საფუძველი და დივერსიფიცირებული ეკონომიკური კავშირები მინიმუმამდე ამცირებს ნებისმიერი კონკრეტული პარტნიორი ქვეყნის პოტენციურ ნეგატიურ ზემოქმედებას.

ეკონომიკური თავისუფლების აქტი , რომელიც ძალაშია 2014 წლის იანვრიდან, უზრუნველყოფს საქართველოსთვის საიმედო ფისკალურ და მონეტარულ სტრუქტურას. ფისკალური დეფიციტის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ)-ს 3%-მდე და სახელმწიფო ვალის მშპ-ს 60 %-მდე გაზრდით. ეკონომიკური თავისუფლების აქტი ასევე მოითხოვს ელექტორატის დასტურს ქვეყნის მასშტაბით რეფერენდუმის საშუალებით, რათა დაწესდეს ახალი გადასახადები და გაიზარდოს არსებული საგადასახადო განაკვეთები, გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით.

საქართველოს აქვს მსოფლიოში ყველაზე ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმი, მას შემდეგ რაც 2004 წელს 31 გადასახადიდან ამოღებული იქნა რამდენიმე გადასახადი და ამჟამად დარჩა მხოლოდ ექვსი. საგადასახადო ტვირთი შემცირდა და შემდგომი ბოლო წლების საგადასახადო ინიციატივები მოიცავს მხოლოდ განაწილებულ მოგებაზე კორპორატიულ საშემოსავლო გადასახადს 2017 წლიდან და ხუთჯერ შემცირებულ საგადასახადო განაკვეთს მცირე ბიზნესისთვის 2018 წლიდან.


საქართველო არის დასავლეთზე ორიენტირებული ქვეყანა, აქვს ახლო კავშირები საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან (IFIs) და ღია სავაჭრო პოლიტიკა. 2014 წლის ივნისში საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების ხელშეკრულებას და დაკავშირებულ ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას (DCFTA) ევროკავშირში უვიზო მგზავრობა შეუძლია ქართული პასპორტის მფლობელებს 2017 წლის მარტიდან. ეს ქართული საგარეო პოლიტიკის კიდევ ერთი მთავარი წარმატებაა. დარჩა რა ერთგული ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართ, საქართველომ ასევე მოახერხა რუსეთთან თავისი ურთიერთობების სტაბილიზება, რადგან ამ უკანასკნელმა ემბარგო დააწესა ქართულ პროდუქტზე 2013 წელს. უფრო მეტიც ქართულ-ჩინური ეკონომიკური კავშირები იზრდება და თავისუფალ სავაჭრო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2017 წელს , რომელიც სავარაუდოდ გზას გაუხსნის ჩინური ბაზრისკენ ქართულ ექსპორტს. საქართველო მონაწილეობს ჩინეთის ეკონომიკური სარტყელის და გზის ინიციატივაში, რომელიც ასევე პოზიტიურ გავლენას მოახდენს ქართულ ეკონომიკაზე და მთლიანად რეგიონზე.

ქვეყნის მიმდინარე პროგრამა IMF-თან როგორც ჩანს ეხმარება ქვეყანას ეკონომიკური სიდუხჭირის შემცირებაში და ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. ყველაზე დიდი საკრედიტო რეიტინგის სააგენტოები (Moody's, Fitch Ratings and S&P Global Ratings) ადასტურებს ქვეყნის ეკონომიკურ და ინსტიტუციურ სიძლიერეს და გლობალური შოკების მიმართ მედეგობას. ეს აისახა საქართველოს ერთი საფეხურით მაღლა ასვლაში 2019 წლის თებერვალში ფიჩის BB- რეიტინგიდან BB-მდე. და 2019 წლის ოქტომბერში S&P გლობალური რეიტინგიდან. მთავარობა ყურადღებას ამახვილებს მზარდ კაპიტალურ ხარჯებზე, ასევე განათლებაზე დანახარჯებზე, რათა გაძლიერდეს პოტენციური ზრდა, და იმავდროულად შენარჩუნდეს დაბალი ფისკალური დეფიციტი.

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიზანია შეამციროს გარეშე ზემოქმედების მიმართ წინააღმდეგობა ეკონომიკაში დოლარიზაციის შემცირებით და ხელი შეუწყოს კაპიტალური ბაზრის განვითარებას.

2019 წლიდან საპენსიო რეფორმის განხორციელება ხელს უწყობს ინვესტიციისთვის დანაზოგების მობილიზაციას , რომლის მიზანია დახმარება გაუწიოს საშუალო ვადიან ზრდას და უზრუნველყოს შემდგომი უსაფრთხოება ასაკოვანი ადამიანებისთვის.

მთლიანი სახელმწიფო ვალი (მშპ-სთან მიმართებაში), 2019



Source: IMF, GeosTat, MOF

რეგიონული ეკონომიკური ჰაბი

საქართველოს აქვს კარგი მდებარეობა საიმისოდ, რომ მისი შედარებით თანამედროვე მარეგულირებელი სისტემა ბიზნესისთვის ხელსაყრელი იყოს. განვითარებული ინფრასტრუქტურით, სტაბილური ენერგო მომარაგებით, მოქნილი შრომითი კანონმდებლობით. მას აქვს მყარი საბანკო სექტორი, სტრატეგიული გეოგრაფია და მთავრობა, რომელიც მზადაა განახორციელოს სტრუქტურული ცვლილებები ქვეყანაში.

საქართველო არის ბუნებრივი სატრანსპორტო და ლოგისტიკური ჰაბი, რომელიც აკავშირებს მნიშვნელოვან რეგიონებს და 2.8 მილიარდიან კლიენტების ბაზარს საბაჟო მოსაკრებლების გარეშე. საქართველო მდებარეობს ენერგო მატარებლებით მდიდარ აღმოსავლეთის ქვეყნებსა, რომლებსაც არ აქვთ გასასვლელი ზღვაზე და დასავლეთით ევროპულ ბაზრებს შორის. მთავრობის არსებული ინფრასტრუქტურული ინვესტიციები და გაზრდილი დანახარჯები გზებზე, ენერგეტიკა, ტურიზმი და მუნიციპალური ინფრასტრუქტურა ასევე გაამყარებს ამ პოტენციას.

საქართველო არის რეგიონის ენერგო კორიდორი, რომელიც მოიცავს დაახლოებით მსოფლიო ნავთობის და გაზის მარაგის სატრანზიტო მოცულობის 1.6%-ს. საქართველოში თავისუფალი სავაჭრო გარიგებები (EU, CIS, EFTA, თურქეთი, ჩინეთი, ჰონგ-კონგი და მიმდინარე მოლაპარაკებები ინდოეთთან,), საშუალებას აძლევს მას შევიდეს 2.8 მილიარდიანი კლიენტების მქონე ბაზარზე. ამით შემდგომში გაძლიერდება საქართველოს, როგორც რეგიონული ბაზრებისთვის სავაჭრო პლატფორმის პოზიცია.

საქართველო უკვე არის პოპულარული ტურისტული ადგილი. მოგზაურთა ნაკადები საქართველოსთვის უცხოური ვალუტის მნიშვნელოვანი წყაროა, ტურისტების რაოდენობამ უკვე გადააჭარბა ადგილობრივ 3.7 მილიონ მოსახლეობას. 2019 წელს ტურისტების რაოდენობამ მიაღწია 5.1 მილიონს, რის შედეგადაც მოხდა 3.3 მილიარდი აშშ დოლარის ან მშპ-ს 8.4% -ის მობილიზება. მთავრობა ხელს უწყობს საქართველოს პოზიციონირებას წელიწადის ოთხ დროზე გათვლილ ტურიზმზე სხვადასხვა რეგიონს შორის გაუმჯობესებული კონტაქტით, რომელიც მიზნად ისახავს მათ პოტენციალში შეღწევას.

სტაბილური ენერგო მომარაგება და ელექტროენერგიის სატრანზიტო ჰაბის პოტენციალი. საქართველოს აქვს განვითარებული, სტაბილური და კონკურენტული ენერგო სექტორი. ქვეყანამ დაძლია ქრონიკური ენერგო დეფიციტი და გაზის მიწოდების შეწყვეტა ათი წლის წინ ახალი ჰიდროელექტრო სადგურების (ჰესი) აშენებით და ძველების განახლებით, გადამცემი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ბუნებრივი გაზის იმპორტიორი პარტნიორების დივერსიფიკაციის გზით. ქვეყანაში ენერგიაზე მოთხოვნა მოგვარდა ჰესების მშენებლობით და შიდა და გარეშე ელექტრომომარაგების ქსელებისა და ბუნებრივი გაზის მილსადენების განახლებისა და რეაბილიტაციის საშუალებით.

ამჟამად გამოიყენება მხოლოდ საქართველოს ჰიდრო პოტენციალის 25%. მთავრობის პოლიტიკამ ბოლო ათწლეულის მანძილზე ხელი შეუწყო ჰიდროენერგიის სექტორში ინვესტიციას, რის შედეგადაც 2012-2019 წლებში 43 ახალი ჰესი დაემატა, რომელთა მთლიანი სიმძლავრე შეადგენს 485 მვტ-ს. საინვესტიციო პროექტების მილსადენი ენერგეტიკულ სექტორში შეფასებულია დაახლოებით 5-6 მილიარდი აშშ დოლარად მომდევნო ხუთიდან შვიდ წლამდე პერიოდში, მათ შორის ტრადიციული და ჰიდრო, ქარის და მზის პროექტები განვითარების სხვადასხვა ეტაპზეა.

საქართველოს გადამცემი ხაზების სიმძლავრე შესაძლებელია გაიზარდოს და უზრუნველყოს დამატებითი დადგმული სიმძლავრე 3.5 გვტ 2017 წლისთვის, რათა დაკმაყოფილდეს ექსპორტის და ადგილობრივი მოთხოვნები. საქართველო პროგნოზირებულია, რომ იქნება ელექტროენერგიის გადამცემი ჰაბი მეზობელი ქვეყნებისთვის. 2016-2019 წლებში, 1,253 გვტსთ უკვე გადაეცა საქართველოს გავლით მეზობელ ქვეყნებს.

მიმზიდველი ადგილი უცხოელი ინვესტორებისთვის. უცხოური პირდაპირი ინვესტიცია (FDI) არის საქართველოში დაფინანსების ზრდის მნიშვნელოვანი წყარო, ასევე საქართველოს მიმდინარე საოპერაციო დეფიციტის დაფინანსების საიმედო წყარო. საქართველოს ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემო მის მდგრადი ზრდის პერსპექტივებთან ერთად იზიდავს მნიშვნელოვან ფინანსურ დაფინანსებას, რაც საშუალოდ შეადგენს მშპ-ს 8.7%-ს ბოლო ათწლეულის განმავლობაში. მთავარი ბენეფიციარები არიან ტრანსპორტის, ტურიზმის, მშენებლობის, ფინანსური და ენერგო სექტორები, ევროკავშირი რჩება მთავარ ინვესტორად.

საქართველოს ჯერ კიდევ არ შეუღწევია საერთაშორისო ბაზრებზე. თავისუფალი ვაჭრობის გარიგებების ზრდი მიუხედავად, საქართველოში ჯერ კიდევ დომინირებს მეორეული მანქანების და მატერიალური რესურსებისა და მინერალური ნივთიერებების რეექსპორტი. ამასობაში მოხდა ექსპორტის კარგად დივერსიფიცირება მთავარი საექსპორტო ბაზრების რეორიენტაციით, რაც გულისხმობდა მიზნობრივ მთავარ საექსპორტო ბაზრებს (აზერბაიჯანი და რუსეთი), რომლებსაც აქვთ მხოლოდ 26% წილი მთლიანობაში. მიზნობრივი ბაზრების ყველაზე დიდი ცვლილებები იყო რუსეთის ბაზრიდან რეორიენტაცია 2005 წლის ემბარგოს შემდეგ, რამაც აიძულა ქართველი მეწარმეები შეეცვალათ თავიანთი ექსპორტის მიმართულება თანამეგობრობის დამოუკიდებელ სახელმწიფოების მიმართულებით (დსთ, ევროკავშირი და სხვა ბაზრები. ახალ დიდ ბაზრებზე წვდომა (ევროკავშირი და ჩინეთი) შესაძლებელს გახდის ბაზრის პოტენციალის ზრდას. არსებობს ასევე შესაძლებლობა მოხდეს სოფლის მეურნეობის ექსპორტების დივერსიფიკაცია, მას შემდეგ რაც ხარისხი და სტანდარტები გაუმჯობესდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (EU DCFTA) შესახებ შეთანხმების შესაბამისად.

საქართველოს ეკონომიკა 2019 წელს და შემდეგ

2012 წლის შემდეგ საქართველოს ეკონომიკამ პირდაპირი რეისების აკრძალვის მიუხედავად ყველაზე სწრაფი ზრდა 2019 წელს განიცადა (+5.1%). მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 2019 წელს მიაღწია ისტორიულ დაბალ ნიშნულს, საქონლის ექსპორტი წინა წელთან შედარებით 12.4%-ით, გადარიცხვები წინა წელთან შედარებით 9.7%-ით გაიზარდა, ტურიზმიდან შემოსავლი წინა წელთან შედარებით 1.4%-ით გაიზარდა. კორპორატული კრედიტების ძლიერი ზრდა სახელმწიფო ინფრასტრუქტურული დანახარჯები ასევე მნიშვნელოვანი იყო ზრდისათვის. ინფლაცია გაიზარდა და 7.0%-ს მიაღწია 2019 წლის დეკემბერში, და ასახა უფრო მაღალი აქციზები თამბაქოზე და ლარის გაუფასურება. სებ-მა გაზარდა ფულად საკრედიტო პოლიტიკით გათვალისწინებული განაკვეთი და გაყიდა უცხოური სავალუტო რეზერვები იმისთვის, რომ გადაეწყვიტა გაზრდილი ინფლაციით გამოწვეული ზეწოლის შედეგები .

მიუხედავად გამომწვევი გარემოსი, საერთაშორის რეზერვები გაიზარდა 3.5 მილიარდ აშშ დოლარამდე. ყველაზე დიდი საკრედიტო რეიტინგული სააგენტოები (Moody's, Fitch Ratings and S&P Global Ratings) ადასტურებს გლობალური შოკებისადმი მედეგობას, და ასახავს ერთი საფეხურით რეიტინგის აწევას ფიჩის რეიტინგიდან და S&P გლობალური რეიტინგიდან 2019 წელს (Moody'მ გააკეთა იგივე 2017 წელს).

2020 წლის აპრილსა და მაისში მნიშვნელოვანი კლება შეიმჩნეოდა ეკონომიკურ საქმიანობაში იმ შეზღუდვების ფონზე, რომელიც უკავშირდებოდა კოვიდ 19-ის პანდემიას. საქართველოს მთავრობამ მყისიერი და ეფექტური რეაგირება მოახდინა კოვიდ -19 პანდემიაზე, რამაც შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ეკონომიკა ხელახლა გახსნილიყო უფრო სწრაფად ვიდრე ეს მოხდა რეგიონის ნებისმიერ სხვა ეკონომიკაში. ამის შედეგად, საქართველო უკეთესად და სწრაფად ახერხებს ბიზნეს აქტივობების განახლებას, რაც მნიშვნელოვნად გამოსწორდა ივნისსა და ივლისში. 2020 წლის მეორე კვარტალში, ქართული ლარის მდგომარეობა გაუმჯობესდა და გამყარდა 7.0%-ით აშშ დოლართან მიმართებაში. რასაც ნაწილობრივ დაეხმარა სებ-ის ინტერვენციები, საგარეო დაფინანსება და მოსალოდნელზე უფრო ძლიერი ფულადი გზავნილების ნაკადები. ძალიან ფრთხილად მოხდა საერთაშორისო საზღვრების გახსნა, მაგრამ ჩვენ არ მოველით რომ 2020 წლის დარჩენილ პერიოდში საერთაშორისო ტურიზმი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. ამის გამო, ჩვენ ახლა მოველით რომ საქართველოს ეკონომიკა 5.1%-ით გაიზდება 2020 წლის განმავლობაში. რასაც მოჰყვება მშპ- ს ზრდა 5.0-5,5%-ით 2021 წელს. ეს მოლოდინი ეფუძნება ჩვენი საბროკერო და საინვესტიციო განყოფილების გალტ ენდ თაგარტის მონაცემებს.

კარგად კაპიტალიზებული საბანკო სექტორი დაბალი ვადაგადაცილებული კრედიტებით (NPLs)

საქართველოს საბანკო სექტორი იყო ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორი საქართველოს ეკონომიკაში. საბანკო სექტორის აქტივების ზრდის ტემპი 18.1 % (ათწლიანი მთლიანი წლიური ზრდა) საკმაოდ აჭარბებს ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპს იმავე პერიოდში, საბანკო სექტორი მთლიანად კერძო საკუთრებაშია და საკმაოდ კონცენტრირებულია ორ ყველაზე დიდ ბანკში, რომლებიც 2019 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მთლიანი საბანკო აქტივების 74.5%-ს შეადგენს.

გონივრული რეგულაციისა და კონსერვატიული კონტროლის დაწესება საქართველოს ცენტრალური ბანკის მიერ, რაც უზრუნველყოფს სტაბილურობას და ფინანსური სექტორის საიმედოობას ეკონომიკაში სხვადასხვა შოკების დროს. საქართველოს საბანკო სექტორი დარჩა კვლავაც მომგებიანი და შეინარჩუნა თავისი საკრედიტო რეიტინგი სტაბილური პერსპექტივით. 2015-2016 წლებში რეგიონში სხვა ბანკების მომსახურებების მრავალჯერ შემცირების ფონზე. სებ-ის კონსერვატიული რეგულაციები, ლიკვიდურობისა და კაპიტალიზაციის განაკვეთების გამო საბანკო სექტორში კაპიტალიზაციის დონე ისტორიულად მაღალი იყო. მიუხედავად ამისა სექტორის მომგებიანობა კვლავაც მაღალი იყო. , გასული სამი წლის განმავლობაში 21.8% -იან საკუთარი კაპიტალზე შემოსავლიანობით.

2019 წელს საშუალო მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი კვლავაც მიახლოებული იყო 19%-ს, საკრედიტო დავალიანებების წილი იყო 1.9%-ზე და საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი კვლავ მაღალი იყო, დაახლოებით 40%. კორპორატიული კრედიტები შეადგენდა მშპ-ს 31.0%-ს , დეპოზიტის დოლარიზაციამ მიაღწია 64.1%-ს და კრედიტის დოლარიზაცია 2019 წელს იყო 55.1%, 2017 წლის დონეზე ნაკლები, როცა რეფორმა დაიწყო.

ამის შედეგად კლიენტებისთვის კრედიტების გაცემაზე სებ-ის მიერ 2018 წლიდან შემოღებული რეგულაციების შედეგად, უფრო რისკიანი საცალო საკრედიტო პორტფელი შემცირდა. ხოლო კორპორატიული, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების და იპოთეკის საფუძველზე კრედიტების გაცემა საკმაოდ გაიზარდა, და პოზიტიური გავლენა მოახდინა საქართველოს საბანკო სექტორზე, საქართველოს ეკონომიკურ პოტენციალსა და ზრდის პერსპექტივაზე.

საკრედიტო დავალიანებები 2019



წყარო: IMF, NBG

ჩვენი მისია

ჩვენ აქ ვართ რათა
დავეხმაროთ ადამიანებს
უფრო მეტი პოტენციალის
მიღწევაში

ჩვენ აქ ვართ რათა დავეხმაროთ ადამიანებს მიაღწიონ უფრო მეტ პოტენციალს. ამ კონტექსტში მიღებული იქნა ახალი ბრენდ პლატფორმა და ჩვენი პირველი ახალი ბრენდ კამპანია დაიწყო 2019 წლის ოქტომბრის დასაწყისში. საქართველოს ბანკი არის ბრენდი, რომელიც ნიშნავს მოქმედების გახორციელებას და მოითხოვს ყურადღებას; ჩვენ აქ ვართ იმისთვის რომ მხარი დავუჭიროთ ჩვენს კლიენტებს და თანამშრომლებს. საქართველოს ბანკის მიზანია დახმარება გაუწიოს იმ ადამიანებს, რომლებსაც სურთ წარმატების მიღწევა მათი გამოწვევების მიუხედავად. ჩვენ გვინდა გავაერთიანოთ ჩვენი თანამშრომლები ჩვენი საერთო ღირებულებების გარშემო და დარჩნენ ამ ღირებულებების ერთგული. ჩვენ მხარს ვუჭერთ უკუ კავშირის კულტურას ჩვენი ბანკის ფარგლებში, იმისთვის, რომ გვქონდეს ეფექტური შიდა საკომუნიკაციო სისტემები რათა თანამშრომლები უკეთ დაუკავშირდნენ ერთმანეთს აზრთა გაზიარების მიზნით , ჩვენ სამუშაო ადგილას შევქმენით ფეისბუქ პლატფორმა ოფისში შიდა მოხმარების მიზნით.

ჩვენი მისია ეფუძნება წარმატებისთვის საჭირო სამ ფუნდამენტურ პრინციპს: ჩვენი თანამშრომლები , კორპორატიულ სოციალური პასუხისმგებლობა და ჩვენი კლიენტები. ქვემოთ წარმოდგენილი სქემა ასახავს იმას, როგორ დავგეგმოთ თითოეული ამ მიმართულების განვითარებას.

თანამშრომლის ჩართულობა

ღირებულებებზე დაფუძნებული ორგანიზაცია	უკუკავშირის კულტურა	ეფექტური შიდა კომუნიკაცია

ჩვენი ახალი სტრატეგიის წარმატება, დამოკიდებულია ორ მთავარ მიმართულებაზე: კლიენტის დაკმაყოფილება და თანამშრომლის ჩართულობა. ჩვენ შევამოწმეთ ხელმძღვანელობის ზედა რგოლის საქმიანობის ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები (KPIs), რომელიც უნდა მოიცავდეს კლიენტების ლოიალობის მაჩვენებელს (NPS) და თანამშრომლის ლოიალობის მაჩვენებლებს (ENPS). ბიზნეს ხაზებში შეინიშნება ძალიან წამახალისებელი ნიშნები, რომლებიც აჩვენებს კლიენტების კმაყოფილების გაუმჯობესებულ მაჩვენებელს (CSAT) და თანამშრომლის ჩართულობის უფრო მაღალ მაჩვენებელს. გარდა ამისა, ჩვენ განვახორციელეთ ინვესტირება მომხმარებლის გამოცდილების მართვის პლატფორმაში “მედალია“. ის დაგვეხმარება ჩვენ მოვიცვათ და განვსაზღვროთ კლიენტის გამოხმაურების დიდი რაოდენობა. ეს პირველად გამოყენებული იქნა ბანკის ციფრული არხების საშუალებით, და ჩვენ ვგეგმავთ მის გაფართოებას ქოლ ცენტრისა და ფილიალების შექმნის მიმართულებით 2020 წელს.

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა

განათლება	დასაქმება	ბიზნესი

ჩვენი ახალი კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) სტრატეგია შესაბამისობაშია ჩვენს ახალ მისიასთან- დაეხმაროს ადამიანებს უფრო მეტი პოტენციალის მიღწევაში. ჩვენ ვაკეთებთ ამას სამ მთავარ საფეხურზე ფოკუსირებით: განათლება, დასაქმება და მიკრო , მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება.

კლიენტის გამოცდილების მართვა

საქართველოს ბანკმა ინვესტირება მოახდინა #1 გამოცდილების მართვის პლატფორმაში

ყოველი მომხმარებლის ჩართულობა	ყოველი თანამშრომლის ჩართულობა	ყველა გამოცდილების გაუმჯობესება
▫ მოიცავს მოგზაურობას და არხებს ▫ ეფექტურად „ წრის ჩაკეტვა“ ყოველი კლიენტისთვის	▫ თანამშრომლების წახალისება უკუკავშირზე მყისიერი რეაგირება ▫ მიეწოდოს თანამშრომლებს დროული/დეტალური მონაცემები	▫ გამოცდილების სისტემატური გაუმჯობესება ▫ პრობლემის მიზეზების დაფიქსირება ან სისტემატურად დადებითი გამოცდილების შექმნა

ბიზნეს მოდელი და სტრატეგია

საქართველოს ბანკი არის საქართველოზე ფოკუსირებული საბანკო ბიზნესი, რომელიც უზრუნველყოფს მთავარი შემოსავლების და აქციონერის ღირებულების მაქსიმალურად ზრდის დაფიქსირებას. საქართველოს ბანკი არის ფინანსურად გონივრული, ინოვაციური და ნამდვილად საჯარო ფინანსური ინსტიტუტი, კორპორატიული მმართველობის სტანდარტებით და გამჭვირვალობით და ფინანსური და ადამიანური კაპიტალის მოზიდვის თვალსაზრისით ძალიან ძლიერი კონკურენტული უპირატესობით ადგილობრივ ბაზარზე .

თავისი კლიენტთან ძლიერი ურთიერთობებით, უწყვეტი ციფრული ინოვაციით და გადაწყვეტებზე დაფუძნებული საბანკო მიდგომებით, ჯგუფის მიზანია გაგრძელოს თავისი სტრატეგიის განხორციელება, რომელიც ეფუძნება სულ მცირე 20%-იან გამოყენებულ აქტივებზე მოგებას და მისი საკრედიტო პორტფელის დაახლოებით 15% -იან ზრდას საშუალო და გრძელ ვადაში.

სს საქართველოს ბანკი, მუდმივად მნიშვნელოვანი და წამყვანი უნივერსალური ბანკი, არის ჯგუფის მთავარი ორგანიზაცია. ჯგუფი სთავაზობს საქართველოს მოსახლეობას საცალო საბანკო მომსახურებას, კორპორტიულ და საინვესტიციო საბანკო მომსახურებებს (მათ შორის ქონების მართვას) საქართველოში, და საბანკო ოპერაციები ბელორუსში „ბელორისის ნაროდნი ბანკის“ საშუალებით.

მთავარი, საშუალო და გრძელვადიანი მიზნები

საკრედიტო პორტფელის ზრდა	ROAE (უკუგება საკუთარ კაპიტალზე)	დივიდენდის გადახდა
c.15%	20%+	25-40%

წამყვანი საბანკო ჯგუფი საქართველოში

- 20%+ ROAE ბოლო სამი წლის განმავლობაში
- c.35-36% ბაზრის წილი კრედიტებსა და დეპოზიტებზე
- 93%+ ციფრული არხების საშუალებით ტრანზაქციების წილი
- ძლიერი საცალო და კორპორატიული საბანკო ფრანშიზა
- გამჭვირვალობის და მმართველობის მაღალი სტანდარტები


ჩვენი სტრატეგიის განხორციელება ცხოვრებაში

დაპირებული სერიოზული შედეგების განხორციელების წარმატებული სამუშაო პრაქტიკა

მთავარი მიზნები


ROAE

20%+



საკრედიტო პორტფელის ზრდა


c.15%



გონივრული კაპიტალური მართვის წარმატებულ პრაქტიკა

- **კაპიტალის პოზიცია:** ჩვენი მიზანია შევინარჩუნოთ +200 საბაზისო ბუფერული ადგილი CET1 და 1 რიგის კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტი მინიმალური მარეგულირებელი მოთხოვნების საშუალებით, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში.
- **რეგულარული დივიდენდის გადახდის უზრუნველყოფა :: რომლის მიზანია 25-40% დივიდენდის გადახდა საშუალო და გრძელვადიან პერიოდში**
- **GEL 653მლნ ლარი+** ფულადი დივიდენდი გადახდილია 2013-2019 წლებში. გასული შვიდი წლის განმავლობაში მიზნობრივი გადახდის კოეფიციენტის ფარგლებში.

რეგულარული დივიდენდები



2019 ROAE (კორექტირებული)[8] 27.8%

ჯგუფს აქვს 20%-ზე მაღალი არგუმენტირებული სამუშაო პრაქტიკა. 2019 წელს ჯგუფმა წარმოადგინა საოპერაციო შემოსავალი 1,072.2 მილიონი ლარი, დაახლოებით 8.1 % ზრდა წინა წელთან შედარებით, და კორექტირებული მოგება 527.1 მილიონი ლარის ოდენობით, დაახლოებით 27.0%-ით მეტი წინა წელთან შედარებით. ინდივიდუალური საკრედიტო პროდუქტების მაჩვენებელი კვლავ სტაბილურია. ჩვენი მზარდი ფოკუსი იპოთეკური კრედიტის სეგმენტზე და უფრო მცირე მარჟით კორპორატიულ და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოს კლიენტებზე, გამოიწვია ნეგატიური მიქს ეფექტი ყველა კრედიტზე და სუფთა საპროცენტო მარჟაზე, რომელიც შემცირდა 90 საბაზისო პუნქტით წინა წელთან შედარებით (2019). ჩვენი მზარდი საკრედიტო პორტფელი ჯერ კიდევ წარმატებულად გადაჯგუფებამ გამოიწვია სუფთა საპროცენტო შემოსავლის 7.1% ზრდა წინა წელთან შედარებით, ხოლო სუფთა საკომისიო შემოსავალი შეადგენს 17.6%-ით მეტს წინა წელთან შედარებით (2019).

პროდუქტის მიქსის გადაჯგუფებამ გააუმჯობესა ჩვენი აქტივის ხარისხის მეტრიკა (საკრედიტო რისკის კოეფიციენტი შემცირდა 90 საბაზისო პუნქტით) და შეამცირა რისკი-აქტივის და ჩვენი საკრედიტო ზრდის კაპიტალის ინტენსივობა. ამან შესაძლებლობა მოგვცა და იმედია ასეც გაგრძელდება, იმისთვის, რომ შევინარჩინოთ ჯგუფის შემოსავალი კაპიტალზე და მომგებიანობის პროფილი.

2019-2018 წლებში, ერთჯერად დანახარჯებზე დაკორექტირებული ხარჯების შეფარდება შემოსავალთან იყო 36.0%, რაც ძირითადად განაპირობა საინფორმაციო ტექნოლოგიებში, ციფრულ და მონაცემთა შესაძლებლობებში მიმდინარე ინვესტიციებმა და მარკეტინგისა და ფილიალების ქსელის განვითარების ხარჯმა. ეს ინვესტიციები გამოყენებული იქნა ფრანჩიზის განვითარებასა და ჯგუფის მომგებიანობის გაზრდისათვის. გარდა ამისა ჩვენ ველით, რომ გავაგრძელებთ ამ შესაძლებლობების მშენებლობაში ინვესტირებას და გამიზნულია რომ კიდევ უფრო გააუმჯობესდეს ჩვენი დანახარჯების კოეფიციენტის მნიშვნელობა მიზნობრივ 35% დონემდე.

[7] 2018 წლის ROAE დაკორექტირდა 45.4 მლნ ლარით გაყოფასთნ დაკავშირებული ხარჯების გამო, 80მლნ ლარი არის გაყოფასთან დაკავშირებული კორპორატიული საშემოსავლო გადასახადიდან მოგება, 30.0 მლნ ლარი არის გადავადებული საგადასახადო ნაშთები ხელახალი შეფასების ერთჯერადი გადახდის ზემოქმედების შედეგად და 3.9 მლნ ლარი (ყოფილი დირექტორის საბოლოო ანაზღაურების ხარჯები,

[8] 2019 წელს ROAE - დაკორექტირა 14.2 მლნ ლარით ყოფილი დირექტორის და აღმასრულებელი მენეჯმენტის საბოლოო ანაზღაურების ხარჯები,.

2019 საკრედიტო პორტფელის ზრდა 27.5%

ჩვენ მოვახდინეთ აშკარა პროგრესის დემონსტრირება , რომელიც ეხება მის ადაპტირებას ახალ საბანკო მარეგულირებლ გარემოსთან. უზრუნველყოფის გარეშე სამომხმარებლო კრედიტზე მნიშვნელოვანი მარეგულირებელი ცვილებების შედეგად მაღალ-რისკიანი უზრუნველყოფის გარეშე სამომხმარებლო კრედიტის პორტფელი მომწიფდა ჩვენი ნაშთის ფარგლებს გარეთ და შეიცვალა ნაკლებ რისკიანი , დიდი მოცულობის პორტფელით. ზრდა საკმაოდ მაღალი იყოს მთელს ბიზნესში, კერძოდ მცირე და საშუალო საწარმოებში და იპოთეკურ პორტფელში, რამაც გამოიწვია მთლიანი საკრედიტო პორტფელის 27.5%-იანი ზრდა 2019 წელს. კლიენტის საკრედიტო ზრდა საცალო და კორპორატიულ და საინვესტიციო ბიზნესის სეგმენტში იყო 18.5% და 48.1 % წინა წელთან შედარებით, შესაბამისად. მუდმივი ვალუტის საფუძველზე, საცალო და კორპორატიული და საინვესტიციო ბიზნესის საკრედიტო პორტფელი გაიზარდა შესაბამისად 15.1%-ით და 40.1 %-ით.


მომავალში ჩვენ მოველით , რომ კლიენტებზე კრედიტის გაცემა საშუალო და გრძელვადიან პერიოდში დაახლოებით 15%-იანი ტემპით გაიზრდება.

საცალო საბანკო მომსახურება


კლიენტზე ორიენტირებული და გადაწყვეტაზე დაფუძნებული მულტიბრენდული სტრატეგია

გასული ათწლეულის პერიოდში, საცალო საბანკო მომსახურება ჯგუფის განვითარების მთავარი ბერკეტი იყო და შედეგად ჯგუფმა მოიზიდა 2.5 მილიონზე მეტი კლიენტი, უზრუნველყო წინა წელთან შედარებით 18.5 % -იანი საცალო საკრედიტო პორტფელის ზრდა, და 2019 წელს საცალო საბანკო მომსახურების 18.5%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით, და გამოყენებულ აქტივებზე უკუგება საცალო ბანკინგზე 28.6%. ამასობაში ჩვენ მნიშვნელოვნად გავაუმჯობესეთ ჩვენი კლიენტების პოზიცირება ბევრ მთავარ სფეროში. 2019 წლის ნოემბრის მდგომარეობით გამოკითხვისა და მონაცემების მიხედვით საქართველოს ბანკი ითვლება ყველაზე საიმედო ფინანსურ ინსტიტუტად საქართველოს მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფში.

2.5-ზე მეტი მიმზიდველი საბანკო მომსახურების კლიენტი



ყველაზე მიმზიდველი ბანკი ახალგაზდებისთვის



Source: Bank of Georgia and National Statistics Office of Georgia

November 2019

სტრატეგიული მიზნები

ჩვენი საცალო საბანკო მომსახურება შედგება ოთხი სეგმენტისგან: ექსპრეს ბანკი ახალი საცალო კლიენტებისთვის; საქართველოს ბანკი მასობრივი საცალო ბრენდის ფლაგმანი; სოლო- მაღალშემოსავლიანი საცალო კლიენტებისთვის; და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების საბანკო მომსახურება. თითოეული ორიენტირებულია და მორგებულია მათი შესაბამისი კლიენტების საჭიროებებზე.

გასული რამდენიმე წლის განმავლობაში ბანკმა წარმატებული ტრანსფორმაცია განიცადა პროდუქტზე ფოკუსირებული მოდელიდან ის გადავიდა კლიენტზე ორიენტირებულ ბიზნეს მოდელზე, რამაც გამოიწვია უფრო ეფექტურ მორგებულ მომსახურებებზე გადასვლა საქართველოს ბანკის მულტი-ბრენდული სტრატეგიის საშუალებით. ჩვენ კარგად გვესმის ჩვენი კლიენტების მოთხოვნები, რაც გვეხმარება იმაში, რომ გავუწიოთ მათ პერსონალიზებული და რელევანტური მომსახურება.
გარდა ამისა, ჩვენი მიზანია ვიყოთ ბანკი რომელიც ფოკუსირებულია ჩვენი კლიენტების წარმატებაზე. ეს გულისხმობს იმას რომ გვქონდეს ყოვლისმომცველი ინფორმაცია მათი ფინანსური და არაფინანსური მოთხოვნების მოლოდინებისა და მომავალი გეგმების შესახებ. ეს ინფორმაცია აუცილებელია ჩვენთვის რათა მხოლოდ ფინანსური მომსახურებების ნაცვლად შევთავაზოთ მათ ფართო სპექტრის გადაწყვეტილებების პაკეტები

ფოკუსირება პროდუქტზე

კლიენტების ფინანსური და არაფინანსური საჭიროებებისა და მოლოდინების ნათლად გააზრება

ფოკუსირება კლიენტის ფინანსურ მოთხოვნებზე

ისეთ გადაწყვეტების მიღება, რომელიც მორგებულია მათ ცხოვრების სტილზე და გააუმჯობესებს მათი ცხოვრების

ფოკუსირება კლიენტის წარმატებაზე

ყველაზე მოხერხებული და უკეთესი არხების შეთავაზება

ძირითადი პრიორიტეტები

იმისათვის, რომ გავამყაროთ ჩვენი კლიენტზე ორიენტირებული მიდგომა, დავნერგეთ გადაწყვეტაზე დაფუძნებული შეთავაზება ციფრული ეკოსისტემის შექმნით, რომლითაც ჩვენს კლიენტებს შეუძლიათ დაიკმაყოფილონ სხვადასხვა მოთხოვნები ერთი კომპლექსური მომსახურების საშუალებით. ჩვენ მნიშვნელოვანი წარმატებები გვაქვს ძალიან პოპულარული ციფრული პლატფორმის შექმნის მიმართულებით როგორიცაა მობილური და ინტერნეტ ბანკინგის აპლიკაციები (mBank and Business iBank) ჩვენი საცალო და ბიზნეს კლიენტებისთვის. ჩვენი გადახდის ეკოსისტემა და მოხერხებული არხები არის საქართველოს ბანკთან გამართული და სასიამოვნო ურთიერთობის მთავარი ქვაკუთხედი. ლოიალობის პროგრამები შეიქმნა იმისთვის, რომ შევთავაზოთ სხვადასხვა ბენეფიტები ჩვენ კლიენტებს. ჩვენ გვყავს მოწინავე ანალიტიკოსები, რათა შევისწავლოთ მათი მოთხოვნები და შევინარჩუნოთ ჩვენი მომსახურებების რელევანტურობა. უფრ ო მეტიც, ჩვენ შევქმენით „ მედალია“ - რათა ვიყოთ უფრო ინფორმირებული ჩვენი კლიენტების ჩვენთან ურთიერთობის შესახებ. ეს ინიციატივები წამოადგენს ჩვენს კლიენტებზე ორიენტირებული ბიზნეს მოდელის განუყოფელ ნაწილს, რომელიც ამჟამად გაძლიერებულია გადაწყვეტილებებზე-დაფუძნებული ბანკინგის მიდგომებით, და ჩვენი ყურადღება მიმართულია იქითკენ, რომ უფრო განვავითაროთ კლიენტთან ურთიერთობა.

მოხერხებული არხები	**გადახდის ეკოსისტემა**	ციფრული ეკოსისტემა	კლიენტის გამოცდილება	ღრმა ანალიზი

მოხერხებული არხები

საქართველოს ბანკი-2019 შეუდარებელი ახალი და მასობრივი საცალო ბანკინგის ფრანშიზა

მომსახურების მოდელი	პროდუქტზე ორიენტირებული ჯვარედინი გაყიდვები	360° ფინანსური დაგეგმვა
ფილიალების რაოდენობა	**162**	**93**
კლიენტების რაოდენობა	**543K**	**1,727K**
გაყიდული პროდუქტების რაოდენობა	**805K**	**1,979K**
სულ ტრანზაქციების რაოდენობა	**46MLN**	**23MLN**
თვითმომსახურების ტრანზაქციების წილი	89%	67%

ჩვენი ექსპრეს ბანკის ბრენდი ორიენტირებულია პერსპექტიულ რენტაბელურ მოსახლეობაზე ექსპრეს პლატფორმა გულისხმობს იმას, რომ ამჟამად ბანკის გარეთ მყოფი მოსახლეობა ჩართოს საბანკო მომსახურებაში, მისი მთავარი ფოკუსირება ხდება იმაზე, რომ შესაძლებლობა მისცეს კლიენტს სწრაფად და მარტივად განახორციელოს ტრანზაქცია. ჩვენ ვყიდით მხოლოდ ლიმიტირებულ საბანკო პროდუქტებს ჩვენს ექსპრეს ბანკინგის კლიენტებზე.

ჩვენ დავიწყეთ ჩვენი ექსპრესს ბანკინგის სტრატეგიის განხორციელება 2012 წელს მცირე ფორმატის ექსპრეს ფილიალების შექმნით, რომელიც კლიენტებს სთავაზობდა ძირითადად საბანკო მომსახურებებს ბანკომატების და ექსპრეს გადახდის ტერმინალების საშუალებით. 2019 წლის ბოლოს, ჩვენ გვქონდა 162 ექსპრეს ფილიალი, რომელმაც მოიცვა 61% საცალო ფილიალი და 3,217 ექსპრეს გადახდის ტერმინალი, რომელიც ემსახურებოდა ჩვენს კლიენტებს.

ჩვენ ვართ ლიდერები საქართველოში გადახდის სისტემის ბაზარზე. 2019 წელს ტრანზაქციების მოცულობა, რომელიც განხორციელდა ჩვენი ექსპრეს გადახდის ტერმინალებით წინა წელთან შედარებით გაიზარდა 22.3%-ით 8.2. მილიარდ ლარამდე, ხოლო ტრანზაქციების რაოდენობა გაიზარდა წინა წელთან შედარებით 0.1%-ით 108 მილიონამდე. ამ უკანასკნელზე ძირითადად გავლენა მოახდინა 2019 წელს კლიენტების წარმატებულმა მიგრაციამ მობილურ და ინტერნეტ ბანკინგის მიმართულებით. ამჟამად მთლიანად არსებული 162 ექსპრეს ფილიალიდან 102 მდებარეობს თბილისში.

ექსპრესი არის ერთერთი მთავარი ბერკეტი საცალო ბანკინგის ფრანჩიზიდან ჩვენი საკომისიოდან შემოსავლების სფეროში და ძლიერი არხი, რომელიც იზიდავს ბანკში იმ მოსახლეობას, რომელიც ადრე არ იყენებდა საბანკო მომსახურებას, რითაც პრაქტიკულად ეს მომხმარებლები ხდებიან ჩვენი მასობრივი საცალო მომხმარებლები.

საქართველოს ბანკის ბრენდის ქვეშ ჩვენ ვემსახურებით მასობრივ საცალო კლიენტს - საცალო საბანკო ფრანჩიზის ყველაზე დიდი სეგმენტს – ვისთვისაც ჩვენ წარმატებით მოვახდინეთ საოპერაციო მოდელის ოპტიმიზაცია და შევქმენით საოპერაციო მოდელი ჩვენი მასობრივი საცალო ფილიალებისთვის კლიენტზე ორიენტრებული მიდგომის ფარგლებში.

ჩვენ გვინდა გვქონდეს ნათელი წარმოდგენა ჩვენი კლიენტების ფინანსური და არაფინანსური საჭიროებების შესახებ. ჩვენ პრაქტიკულად ვკონტაქტობთ მათთან და ვთავაზობთ და ვურჩევთ მათ ფინანსურ პროდუქტებს და გადაწყვეტებს, რომლებიც საუკეთესოდ ერგება მათ ცხოვრების სტილსა და ინდივიდუალურ მოთხოვნებს. ჩვენი მულტიარხის პლატფორმა შეიქმნა იმისთვის, რომ უზრუნველყოს კომფორტი და მოემსახუროს ინდივიდუალურ ფიზიკურ პირებს.

საცალო ბანკინგი -გადახდის ეკოსისტემა

ჩვენ გვაქვს ყველაზე დიდი სადისტრიბუციო არხი საქართველოში. ჩვენი გადახდის ეკოსისტემა დამოკიდებულია POS და თვითმომსახურების ტერმინალების ფიზიკურად არსებობაზე ექსკლუზიურად ოთხი საერთაშორისო გადახდის სისტემის (American Express, Diners Club, Discover and JCB) უზრუნველყოფისთვის, Visa და Mastercard-თან ერთად და არის გადახდის მომსახურების ექსკლუზიური პროვაიდერი საზოგადოებრივ ტრანსპორტირებაში. ინოვაცია მნიშვნელოვანია გადახდის ეკოსისტემაში და ჩვენ წარმოვადგენთ პრეზენტაციას ჩვენ ციფრულ არხებში : mBank and iBank. იხილეთ გვერდები 42 -დან 43 - მდე ციფრული გამოცდილების შესახებ ინფორმაციისთვის.


იმის გათვალისწინებით, რომ ორ მილიონ ადამიანს რეგულარულად აქვს კონტაქტი ბანკის არხებთან, გადახდის ბიზნესში სამი ფუნდამენტური საფრთხიდან ერთერთი არის კლიენტის კმაყოფილება. ჩვენი მეორე საფრთხე, ანალიტიკური მონაცემები, გვეხმარება ჩვენ გადავამუშაოთ 700,000 -ზე მეტი სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია კლიენტის შესახებ დღეში და გავაკეთოთ კლიენტზე მორგებული შეთავაზებები. რენტაბელობის თვალსაზრისით, მესამე კომპონენტმა, ჩვენი გადახდის ბიზნესმა დააგენერირა სუფთა გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლის 25%.

კლიენტი	**ანალიტიკური მონაცემები**	**შემოსავალი**
კმაყოფილება	წყარო	კონტრიბუტორი

ორ მილიონზე მეტ ადამიანს აქვს კონტაქტი ბანკთან
700,000-ზე მეტ ი სხვადასხვა ინფორმაცია კლიენტის შესახებ დღეში
მთლიანი საკომისიო შემოსავლიდან 25%

2017 წელს ჩვენ მოვიგეთ თბილისის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერი, რომელიც ეხებოდა თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადახდის სისტემის მოდერნიზაციას. შედეგად, ბანკი კვლავაც რჩება ქალაქის საზოგადოებრივი სატრანსპორტო ქსელის გადახდის მომსახურების ერთადერთ პროვაიდერად, და ამუშავებს ექსპრეს ცენტრებს თბილისის მეტროს სადგურებში მომდევნო ათი წლის განმავლობაში. როგორც სატენდერო მანდატის და ბანკის საკუთარი დიგიტალიზაციის სტრატეგიის ნაწილი, საქართველოს ბანკი ნერგავს თანამედროვე ციფრულ გადახდის სისტემას საზოგადოებრივ სატრანსპორტო ქსელში თბილისში, მათ შორის გადახდა შეიძლება Visa და Mastercard ბარათების გამოყენებით, და ქმნის ციფრულ პლატფორმას ბილეთების რეზერვირებისთვის და შესყიდვისთვის მობილური აპლიკაციის საშუალებით.

ჩვენი გადახდის ეკოსისტემის მასშტაბი



კამპანიის მართვა

ჩვენ კვლავაც გვაქვს ზრდა გაყიდვების მოცულობაში და კლიენტზე ორიენტირებულ ცენტრებში გაყიდული პროდუქტების რაოდენობაში, რის შედეგადაც საცალო საკრედიტო პორტფელში წინა წელთან შედარებით კონტრიბუცია იყო 18.5%. იმისთვის, რომ გაიხსნას ყველა არსებული კლიენტის სრული პოტენციალი და გაიზარდოს პროდუქტის კლიენტის კოეფიციენტი, ჩვენ ავამოქმედეთ ლოიალობის პროგრამა სახელწოდებით Plus+. ეს პროგრამა არის მასობრივი საცალო კლიენტზე ორიენტირებული მიდგომა, და სთავაზობს კლიენტებს სხვადასხვა სტატუსის დონეს და ბონუს ქულებს. ისინი ახდენენ ქულების აკუმულირებას ბანკთან თავიანთი ურთიერთობის საფუძველზე და შეუძლიათ გამოისყიდონ ქულები პარტნიორი კომპანიების პროდუქტებით და/ან მომსახურებებით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით Plus+ ბარათების რაოდენობა წინა წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა და ბანკს ჰქონდა 858, 707 აქტიური Plus+ ვადაგასული ბარათები , მაშინ როცა წევრების მთლიანი რაოდენობა გაიზარდა 1.9 მილიონამდე.


პროგრამის წევრები
სულ მიზნობრივი კლიენტები

გაზრდილი განაკვეთი
გაანგარიშებულ 10%-თან შედარებით

გაყიდვების ზრდა
მოვაჭრის კამპანიის დროს

სპეციალური კამპანიები

ტრანზაქციები ქულებით თვეში
+118% ზრდა წინა წელთან შედარებით



კლიენტების გამოცდილება

იმისთვის, რომ მუდმივად გაუმჯობესდეს ჩვენი მიღწევები რომელიც ეხება კლიენტზე მორგებული საბანკო მომსახურების გამოცდილებას. ჩვენ განვახორციელეთ ინვესტირება კლიენტის გამოცდილების მართვის პლატფორმაში -„მედალია“. ჩვენ ვაპირებთ გამოვიყენოთ ყველა მონაწილე მხარის მიერ მიღებული გამოცდილება და გავხადოთ კლიენტის ჩვენს ბანკთან ურთიერთობა, ისეთი. რომ ის გახდეს უფრო შესრულებადი. დამატებითი ინფორმაცია ამ პლატფორმის შესახებ იხილეთ გვერდზე 44.

ღრმა ანალიზი

ჯგუფის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მივიღოთ კლიენტის განცხადებები და ვიმოქმედოთ მათი კონკრეტული და უშუალო საჭიროებების მიხედვით, ამისთვის საჭიროა ღრმა ანალიტიკის გამოყენება. იმ დროში, როცა კლიენტის ფინანსური შესაძლებლობების შეფასება და ალბათობის მოდელის შექმნა ხდება მანქანური ალგორითმების გამოყენებით, რაც ჩვეულებრივ საქმიანობად ითვლება, ჩვენ ვაპირებთ რამდენიმე ნაბიჯი გადავდგათ კლიენტების გადინების კონტროლის მიმართულებით, და კიდევ ვაპირებთ ვიმოქმედოთ და გადავიდეთ რეალურ-დროში მარკეტინგზე. იმისთვის, რომ ვიწინასწარმეტყველოთ გადინება, ჩვენ ვიყენებთ ღირებულებების, ჩართულობის დონის და პროდუქტის შენახვის მიხედვით კლიენტის სეგმენტაციის მოდელს. რამდენიმე დამატებითი საიდენტიფიკაციო მექანიზმის და მოდელის დახმარებით, რომელიც აფასებენ კლიენტის გადინების ალბათობას, ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ პროდუქტები შეკავების უფლებით და გამოვიყენოთ მიწოდების არხები კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფებისთვის. ყოველთვიური მოგება-ზარალის ანგარიში მიმართულია აქტივირებული და დეაქტივირებული კლიენტებისკენ და ნეგატიურიდან პოზიტიურზე გადასვლა მოხდა 2019 წლის მარტიდან 2019 წლის ბოლომდე. ამ ინდიკატორმა გადააჭარბა თანაბრად განაწილებულ სტანდარტს 2019 წლის ივნისში, ამის შედეგად კუმულაციური სუფთა მოგებამ შეადგინა 6.7 მილიონი 2019 წლის მეორე ნახევარში. 2019 წლის სუფთა ზარალი იქნებოდა 16.7 მილიონი ლარი უკუმიმართულებით ტრენდის შებრუნების არარსებობის შემთხვევაში. ფაქტობრივი წლიური წმინდა მოგება იყო 2.3 მილიონი, რამაც გამოიწვია 19 მილიონი ლარის ხელსაყრელი მოგება.

სოლო - პრემიუმ ბანკინგის ფუნდამენტურად განსხვავებული მიდგომა

SOLO ბრენდი გამოიყენება მასობრივი შეძლებული სეგმენტისთვის. ჩვენი ახალი SOLO მოდელი დაინერგა 2015 წელს. ის ფუნდამენტურად განსხვავებულად უდგება პრემიუ ბანკინგს. როგორც ახალი სტრატეგიის ნაწილი, ბანკის SOLO კლიენტებს ეძლევათ ექსკლუზიურ პროდუქტებზე წვდომის უფლება და კონსიერჟის მომსახურება ჩვენ სპეციალურად დაპროექტებულ სოლო დასასვენებელ ოთახში. ისინი ასევე იღებენ ახალ ცხოვრების სტილის შესაძლებლობებს, როგორიცაა ექსკლუზიური ღონისძიება და შერჩეული ცხოვრების სტილისთვის დამახასიათებელი პროდუქტები. იზომება რა კრედიტისა და დეპოზიტის პორტფელით, ჩვენი SOLO სეგმენტი ტექნიკურად არის მესამე ყველაზე დიდი ბანკი საქართველოში.

SOLO | პრემიუმ საცალო ბანკინგის ლიდერი

გაცემული კრედიტების მოცულობა

GEL 2.2 BLN

+ 23.3% y-o-y

დეპოზიტები

GEL 2.2 BLN

+ 31.2% y-o-y

ბაზრის პოზიცია

მე-3 ბანკი საქართველოში პორტფელის მიხედვით

კლიენტების რაოდენობა

55K

უკუგება საკუთარ კაპიტალზე (ROAE)[9]

22.2%

SOLO-ს მომსახურების მიღებისთვის კლიენტს უნდა ჰქონდეს 3,000 ლარი შემოსავალი თვეში. SOLO-ს მოსასვენებელ ოთახებში კლიენტებს სტუმრობენ პერსონალური ბანკირები და გარდა საბანკო პროდუქტებისა სთავაზობენ მათ პრემიალურ საქონელს და ცხოვრების სხვა სტილისთვის შესაფერის შეთავაზებებს თვითღირებულებით, მათ შორის ტურისტულ ჟურნალებს და

[9] 2019 წელს მოგება და გამოყენებულ აქტივებზე მოგება დაკორექტირდა თანამშრომლის ერთჯერადი გადახდის დანახარჯებით (სასმოსვალო გადასახადის გარეშე) რომელიც უკავშირდება ყოფილი დირექტორის და აღმასრულებელი მენეჯმენტის საბოლოო ანაზღაურებას.

გასართობებს. SOLO ორგანიზებას უკეთებს კონცერტებს მსოფლიოს ცნობილი არტისტების მონაწილეობით. ასეთი მოვლენები შემოიფარგლება SOLO-კლიენტებით და ქმნიან დამატებით ინტერესს SOLO ფრანშიზის მიმართ.

მოგება ერთ SOLO კლიენტზე აღწევს 1,640 ლარს 2019 წელს დაახლოებით 21^9 ჯერ მეტს ვიდრე ჩვენ გვქონდა საქართველოს ბანკის ფარგლებში მასობრივი საცალო სეგმენტში. SOLO-ს მთლიანი საკრედიტო პორტფელი და დეპოზიტის პორტფელი ასახავს 23,3% და 31.2%-იან ზრდას წინა წელთან შედარებით, ხოლო მოგება 2019 წელს გაიზარდა 42,5%-ით წინა წელთან შედარებით.

ჩვენ წარმატებით მივაღწიეთ ჩვენს მიზანს - 40,000 SOLO კლიენტი 2018 წლის ბოლოს, 2015 წელს არსებული 8,282 კლიენტის ნაცვლად. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით SOLO ემსახურება 54,542 კლიენტს. 2019 წელს შემენილი ახალი კლიენტების წილი წლის ბოლოს შეადგენდა მთლიანი SOLO კლიენტების 27%-ს, რაც ზუსტად ასახავს ფრანშიზის მიმდინარე პოპულარობას ჩვენს ადგილობრივ ბაზარზე.

SOLO-ს კლუბი, SOLO-ს წევრების ჯგუფი, შეიქმნა 2017 წელს, ის სთავაზობს თავის წევრებს ექსკლუზიურ წვდომას SOLO პროდუქტებზე და შეთავაზებებს სხვა SOLO კლიენტებისთვის უფრო მაღალ ფასად. ამაში შედის American Express Platinum ბარათი, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ SOLO-ს კლუბის წევრებისთვის, 2019 წლიდან SOLO-ს კლუბის წევრებს შეუძლიათ ასევე ისარგებლონ პერსონალური დახმარების მომსახურებით ცხოვრების სტილის შეთავაზებისთვის, 2019 წლის 31 დეკემბრისთვის SOLO კლუბს ჰყავდა 5,482 წევრი, დაახლოებით ნაზრდი 43,3%.

კლიენტის საჭიროებებზე წინასწარ ფიქრი

ბანკინგი

კლიენტზე ორიენტირებული მიდგომის მაქსიმალიზაცია

ცხოვრების სტილი

TOP affluent
საკონსულტაციო მომსახურებები ბანკინგში და ცხოვრების სტილის გადაწყვეტები

Mass affluent
პერსონალური ბანკინგი და ცხოვრების სტილის შეთავაზება

განათლება

მოგზაურობა

გართობა

ჯანმრთელობა

იმისთვის, რომ დამატებით გაძლიერდეს ჩვენ კლიენტზე ორიენტირებული მოდელი SOLO კლიენტებისთვის, ჩვენ შევქმენით ორი შიდა ქვესეგმენტი: top affluent და mass affluent კლიენტები. თითოეულისთვის ხდება მათზე მორგებული საბანკო მომსახურებების შეთავაზება და ცხოვრების სტილის გადაწყვეტები, რომელიც ყველაზე კარგად შეესაბამება მათ საჭიროებებსა და ცხოვრების სტილს.

SOLO -ს ექსკლუზიური ხასიათის გამო, ჩვენ ძირითადად განვსაზღვრავთ ზრდას არსებული კლიენტების საშუალებით კლიენტის ლოიალობის და ჩართულობის გაზრდით, და ფოკუსირება მოახდინა ერთ კლიენტზე მოგების მაქსიმალურად გაზრდაზე და პროდუქტის ზომაზე ერთ კლიენტზე.

საშუალო ვადიანი მთავარი მიზანი

კლიენტის ბრწყინვალე მომსახურება

უფრო მაღალი დიგიტალიზაცია

მორგებული თანხლები შეთავაზება

SOLO არის მისი ცხოვრების სტილის აქტიურად დივერსიფიცირებული შეთავაზებები, რომლებიც ეხება მოგზაურობას, გართობას, განათლებას და კეთილდღეობას, რათა ფრანშიზა გახდეს უფრო ცნობადი და სასიამოვნო. 2019 წელს ჩვენ დავნერგეთ ახალი ცხოვრების სტილთან დაკავშირებული შეთავაზებები მოგზაურობისა და ჯანდაცვის სფეროში. ჩვენი ტურების პაკეტი სხვადასხვა ქვეყანაში ძალიან კარგად იქნა მიღებული SOLO კლიენტების მიერ, ჯანდაცვაში ჩვენ შევქმენით პოპულარული სადაზღვევო პრდუქტები სასიკვდილო დაავადებების წინააღმდეგ, რითაც ჩვენ ვთავაზობთ წინასწარ განსაზღვრული ხარჯების პირდაპირ ანაზღაურებას.

მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების კრედიტირება

საქართველოს ბანკი ემსახურება თავის მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების კლიენტებს და სთავაზობს მათ ფინანსური მომსახურებების ფართო სპექტრს, რომელიც კომბინირებულია ახალი თანამშრომლების ადაპტირებასთან, დამხმარე და საკონსულტაციო პროგრამებთან, და უამრავ სხვადასხვა ციფრული არხების ზრდასთან, რომელიც ეხმარება მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებს მიაღწიონ უფრო მეტ პოტენციალს.

ჩვენ ფოკუსირებული ვართ ახალი ფინანსური ინსტრუმენტების შექმნაზე მცირე და საშუალო საწარმოებისთვის და მათი ბიზნესისთვის ახალი გადაწყვეტების შეთავაზებაზე. რამაც მიგვიყვანა იქამდე, რომ შეგვემუშავებინა ინიციატივები, რომლის მიზანია დაეხმარონ ჩვენს მცირე და საშუალო საწარმოების კლიენტებს მართონ მათი ბიზნეს პროცესები და საჭიროებები უფრო ეფექტურად.

ჩვენ შევიძინეთ და განვავითარეთ ფაქტორინგის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც იქნება პირველი და ერთადერთი ციფრული ფაქტორინგის გადაწყვეტა საქართველოში, როცა ჩვენ დავიწყებთ 2020 წელს.
უფრო მეტიც, ჩვენ ვართ მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების პროგრამის ტესტირების პროცესში, რომელთა მიზანია ბიზნესი და ფინანსური პროცესები არ იყოს ძვირი და იყოს უფრო ეფექტური მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. 2019 წელს ჩვენ დავნერგეთ ინოვაციური მოწყობილობა Smart POS. ის მოიცავს ტრადიციულ POS და ნაღდი ფულის ტერმინალებს, რაც საშუალებას მისცემს ჩვენს კლიენტებს დაზოგონ ხარჯები და მიიღონ საკრედიტო ლიმიტები, როგორც ფულად, ასევე ბარათით ტრანზაქციის საფუძველზე.

გარდა ამისა, ვართ რა „წადი ბანკში ფინანსური პროდუქტებისთვის“ პრინციპის დამცველი, ჩვენ გვინდა მუდმივად შევთავაზოთ ყველაზე ეფექტური და მიზანშეწონილი საბანკო გამოცდილება ჩვენი მცირე და საშუალო საწარმოების კლიენტებს. ახალი თანამშრომლების ადაპტირების პროცესი საქართველოს ბანკში მოითხოვს მხოლოდ ერთ ვიზიტს და ამისთვის სჭირდება ერთ საათზე ნაკლები და ამ დროში, მცირე და საშუალო საწარმოებს შეუძლიათ დაარეგისტრირონ თავიანთი ბიზნესები, მიიღონ საგადასახადო საინდენტიფიკაციო ნომერი და ჩვენი მომსახურებების სრული პაკეტი, მათ შორის ანგარიში, ბიზნეს ბარათი, iBank და POS და ნაღდი ფულის ტერმინალები. 2020 წელს ჩვენ დავიწყეთ ციფრული End-2-End პროცესი იურიდიული საწარმოებისთვის, რომლებიც შემდგომში გაამარტივებს ახალი თანამშრომლების ადაპტირების პროცესს.

ჩვენ წარმატებულად ვიყენებთ ღრმა ანალიზის ინსტრუმენტებს და ტექნოლოგიას, რომელიც აუცილებელია მიკრო ბიზნესისთვის ყველაზე სწრაფი კრედიტების მისაცემად, ჩვენ კონცენტრირებული ვართ საკრედიტო გადაწყვეტილების მიღებაზე და დავნერგეთ კრედიტუნარიანობის რეიტინგი, რისკზე დაფუძნებული ფასები და კრედიტირების ტექნოლოგიის ბარათები. ეს საშუალებას გვაძლევს გავავრცელოთ ჩვენი მომსახურებები სოფლად მცხოვრებ კლიენტებზეც.

ბაზრის წილი[10]

31.6% MSME

37.0% MICRO

26.8% SME

გაცემული კრედიტების თანხა

GEL 2.7 BLN

+23.9% y-o-y

დეპოზიტები

GEL 808 MLN

+21.6% y-o-y

უკუგება საკუთარ კაპიტალზეROAE[11]

26.4%

მნიშვნელოვანი ზღვრული პოტენციალი

მიკრო ბიზნესისთვის ახალი თანამშრომლობის ადაპტაცია, კლიენტთან პირველი შეხვედრიდან და კრედიტის ანაზღაურებით დამთავრებული, გრძელდება 30 წუთიდან ერთ საათამდე.

ჩვენი მიზანია წარმატებულად გავაგრძელოთ ჩვენი კრედიტირების ტრანსფორმაცია. ამიტომ ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ შემდგომ გაუმჯობესებაზე საიმისოდ, რომ გვქონდეს საბოლოო მიღწევების კრედიტირების პროცესის ბოლოს.
ვადაგასული კრედიტების მოცვის კოეფიციენტი კორექტირებულია უზრუნველყოფის დისკონტირებულ ღირებულებასთან დაკავშირებით და უდრის მოსალოდნელი კრედიტის დანაკარგის რეზერვს/კლიენტებზე გაცემული კრედიტების საბაზრო სამართლიანი ღირებულების და ფინანსური იჯარიდან მისაღები თანხები გაყოფილი ვადაგასულ კრედიტებზე (უზრუნველყოფის დისკონტირებულ ღირებულება ემატება უკან მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს/გაუფასურებულ სიდიდის რეზერვს).

კაპიტალის ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩვენი ბაზელ III 1-ლი რიგის საბაზისო კაპიტალი (CET1), 1-ლი რიგის და მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი შესაბამისად იყო 11.5%, 13.6% და 18,6% ნიშნულზე, ყველა იყო მინიმალურ მოთხოვნილ დონეებზე 10.1%, 12.2% და 17.1%, მეტი. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის რისკ-შეწონილი აქტივები გაიზარდა 22.3%-ით წინა წელთა შედარებით და ასახა წლის განმავლობაში პროცენტიანი მოგების მომტანი აქტივების ზრდა. ჩვენ კვლავაც გვაქვს შიდა კაპიტალის მაღალი დონეები შიდა კაპიტალზე, როგორც საშუალო კაპიტალზე ბანკის მაღალი შემოსავლის, ასევე ახალი ნომინალური გარემოს წყალობით ჩვენი კრედიტირების ზრდის ლიკვიდური აქტივების გაუმჯობესების შედეგად.

საშუალო ვადაში, ჩვენი მიზანია შევინარჩუნოთ დაახლოებით 200 ბაზისო პუნქტის ბუფერი 1-ლი რიგის საბაზისო კაპიტალი (CET1), 1-ლი რიგის და მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი მინიმალური ნომინალური მოთხოვნების შესაბამისად.

1-ლი რიგის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (NBG, Basel III)

საქართველოს ბანკი

13.6%

2017	12.4%
2018	12.2%
2019	13.6%

სებ (ბაზელ III) 1-ლი რიგის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი უდრის 1-ლი რიგის კაპიტალი გაყოფილი მთლიანი რისკის შეწონილ აქტივზე, ორივე გაანგარიშებულია სებ-ის მითითებების შესაბამისად

ეკონომიკური ბერკეტი (ჯერადობა)

7.8

2017	7.5
2018	7.4
2019	7.8

ეკონომიკური ბერკეტი (ჯერადობა) უდრის მთლიანი ვალდებულებები გაყოფილი მთლიან კაპიტალზე.

არა-ფინანსური ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები

ბანკი ინარჩუნებს კლიენტის კმაყოფილების დონეს მრავალი გამოკითხვის არხის და რამდენიმე ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლის საშუალებით, რასაც მოსდევს „ წრის დაკეტვის“ პროცესი. ბანკი ითვალისწინებს კლიენტების გამოხმაურებებს, რომელსაც ის აგროვებს ყოველდღიურ რეჟიმში და ყოველდღიურად მუშაობს რომ კლიენტის გამოცდილება ჩართოს თავის პროცესში. ჩვენ დავიწყეთ პერსონალის მხარდაჭერის სუფთა ინდექსის (ENPS) შეფასება 2019 წელს და გავაგრძელებთ მის მონიტორინგს ექვს თვეში ერთხელ.

მომავალში ჩვენ ვაპირებთ გავაუმჯობესოთ ეს არაფინანუსური ეფეტურობის ძირითადი მაჩვენებელები და გავხდეთ „საყვარელი ბანკი“ საქართველოში.

კლიენტების ლოიალობის მაჩვენებელი (NPS)

საქართველოს ბანკი

42.3%

2017 27.4%
2018 38.8%
2019 42.3%

კლიენტის ლოიალობის მაჩვენებლი კითხვები: 0-10 -ის მასშტაბი, რას ურჩევდით ჩვენს ბანკს როგორც მეგობარს ან კოლეგას?
პასუხები: 9 და 10- მხარდამჭერები 7 და 8- ნეიტრალურები; 1-6 მოწინააღმდეგები.
საბოლოო სედეგი კლიენტსი ლოიალობის მაჩვენებლი ტოლია მხარდამჭერების პროცენტს გამოკლებული მოწინააღმდეგეების პროცენტი

კლიენტი კმაყოფილება (CSAT)

საქართველოს ბანკი

28.1%

2017 25.0%
2018 25.3%
2019 28.1%

CSAT კითხვები: 1-5, რამდენად კმაყოფილი ხართ კონკრეტული არხით ან პარამეტრით?
საბოლოო შედეგი არის მთლიანი რესპოდენტების რაოდენობიდან რესპონდენტების პროცენტი რომელმაც უპასუხა 5-ს

პერსონალის მხარდაჭერის სუფთა მაჩვენებელი (ENPS)

საქართველოს ბანკი

46.0%

კლიენტის ლოიალობის მაჩვენებლი კითხვები: 0-10 , თქვენ როგორც თანამშრომელი რას ურჩევდით ჩვენს ბანკს როგორც მეგობასრ ან კოლეგას, როგორც დამქირავებელი?
პასუხები: 9 და 10- მხარდამჭერები 7 და 8- ნეიტრალურები; 1-6 მოწიინააღმდეგები.
საბოლოო შედეგი პერსონალის მხარდაჭერის სუფთა მაჩვენებელი ტოლია მხარდამჭერების პროცენტს გამოკლებული მოწინააღმდეგეების პროცენტი

რისკის მართვა

კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულობის კულტურის შექმნა

ჩვენ ვავლენთ, ვაფასებთ, ვმართავთ და ვაკონტროლებთ ჩვენს წინაშე არსებულ რისკებს, ინტეგრირებული კონტროლის სისტემის საშუალებით, რომელიც გამყარებულია ოფიციალური წესებითა და პროცედურებით, ზუსტად განსაზღვრული უფლებამოსილების დონეებით და ყოვლისმომცველი ანგარიშგებით. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო ადასტურებს, რომ ჩვენი სისტემა გამოცდილია წლების განმავლობაში და ამ წლიური ანგარიშის დამტკიცების თარიღისთვის და რომ ის ინტეგრირებულია როგორც ჩვენი ბიზნეს საქმიანობის დაგეგმაში, ასევე მისი სიცოცხლისუნარიანობის შეფასების პროცესში.

მიმოხილვა

ჩვენი სამეთვალყურეო საბჭო, რომელსაც დახმარებას უწევს მისი აუდიტის და კორპორატიული მართვისა და რისკის კომიტეტები და დირექტორთა საბჭო, საბოლოოდ პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვასა და შიდა კონტროლზე. ბანკი დარწმუნებულია, რომ იმისთვის, რომ ჰქონდეს ეფექტური რისკის მართვის სისტემა, საჭიროა ძლიერი რისკის მართვის კულტურა ბანკის ფარგლებში და აქედან გამომდინარე, რისკის მართვა ინტეგრირებულია ყოველდღიურ ბიზნეს საქმიანობის პირობებში. ბანკი ცდილობს შექმნას გარემო, სადაც ღიად და გამჭვირვალედ ჩანს, თუ როგორ მიიღება გადაწყვეტილებები და იმართება რისკები, და სადაც ბიზნეს მენეჯერები ანგარიშვალდებულნი არიან თავიანთ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების მართვაზე და შიდა კონტროლის პროცესებზე. ბანკის კულტურა ასევე ცდილობს უზრუნველყოს, რომ რისკის მართვა იყოს ეფექტური, მომავალზე ორიენტირებული და თანმიმდევრული.

ჩვენი სტრუქტურა

სამეთვალყურეო საბჭოს მანდატი მოიცავს ბანკის რისკისადმი მიდრეკილებასა და რისკისადმი ტოლერანტულობის შეფასებას, ასევე, რისკის საფრთხეების მონიტორინგს, რათა ბანკის წინაშე არსებული მთავარი რისკების ხასიათი და მოცულობა შეესაბამებოდეს ბანკის საერთო და სტრატეგიულ მიზნებს.

სამეთვალყურეო საბჭო ანგარიშვალდებულია სისტემის ეფექტურობისა და რისკის მართვის პროცესის და შიდა კონტროლის შემოწმებაზე. ამ ვადებულების შესრულებაში მას დახმარებას უწევს აუდიტისა და კორპორატიული მართვის და რისკის კომიტეტები. სამეთვალყურეო საბჭოს, კომიტეტისა და დირექტორთა საბჭოს დონეზე, ჩვენ შევიმუშავეთ ოფიციალური წესები და პროცედურები, რომლებიც განმარტავს თუ როგორ უნდა მოხდეს რისკების სისტემატური გამოვლენა, შეფასება, შეჯამება, მართვა და მონიტორინგი.

თითოეული ბიზნესი მონაწილეობს რისკის მართვის პროცესში და ავლენს იმ მთავარ რისკებს, რომელიც გამოიყენება მისი ბიზნესის მიმართ. ჯგუფის წინაშე არსებული გაურკვევლობებს და მთავარი რისკები გამოვლენილია მისი „ქვემოდან-ზემოთ“ ტექნოლოგიის პროცესის გამოყენებით.

ყოველდღიურ რეჟიმში ბანკის დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვასა და სხვა შიდა კონტროლის წესებსა და პროცედურებზე. ჩვენი რისკის კულტურის საფუძველზე, მენეჯერებს გააჩნიათ რისკები მათი ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით. ბიზნესის ნებისმიერ დონეზე გამოვლენილი თითოეული რისკისთვის რისკი იზომება, რბილდება (თუ შესაძლებელია) ჩვენი პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად, რაც ექვემდებარება მონიტორინგს. მენეჯერები ვალდებული არიან განაცხადონ გამოვლენილი რისკის შესახებ და რეაგირება მოახდინონ ასეთ რისკებზე მუდმივად და ხშირად. დირექტორთა საბჭო რეგულარულად განიხილავს ქვემოდან-ზემოთ პროცესს დამოუკიდებელი გამოწვევის უზრუნველყოფით და რისკის მართვის შეფასებით და შიდა კონტროლი პოლიტიკის და პროცედურების საშუალებით. ჩვენი ანგარიშგების პროცესი საშუალებას იძლევა ძირითადი რისკების მართვა მოხდეს შესაბამისი უფლებამოსილების დონეზე და უზრუნველყოს მეტი დამაჯერებლობა კომიტეტებისა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის. ძირითადი სახეცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენს ჩვენს მთავარ რისკებზე და დაკავშირებულ შერბილების ღონისძიებებზე მოწმდება კვარტალურად (ან უფრო ხშირად, თუ აუცილებელია, სიტუაციიდან გამომდინარე სცილდება რეგულარული ანგარიშგების პროცესს) აუდიტის და კორპორატიული მართველობის და რისკის კომიტეტების მიერ, გარემოებიდან გამომდინარე, და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. ჯგუფის წინაშე არსებული მთავარი რისკები და გაურკვევლობები ვლინდება ზემოთ მითითებული პროცესების საშუალებით.

ამ მთავარი რისკების დაგაურკვევლობების აღწერა, მათ შორის ბოლოდროინდელი ტრენდები და პერსპექტივები, ასევე შერბილების ღონისძიებები, შეგიძლიათ იხილოთ ანგარიშის 75 – 83 გვერდებზე.

შიდა კონტროლი

სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია შეამოწმოს და დაამტკიცოს შიდა კონტროლის ჯგუფის სისტემა და მისი ადეკვატურობა და ეფექტურობა. კონტროლი ს ღონისძიებები მოწმდება რათა გარანტირებული იყოს ჩვენს წინაშე არსებული რისკების ეფექტური მართვა. გარკვეული საკითხები -როგორიცაა მთავარი კაპიტალური დანახარჯების დამტკიცება, მნიშვნელოვანი შენაძენები ან გაყიდვები და მთავარი კონტრაქტები- ექსკლუზიურად სამეთვალყურეო სბაჭოს პრეროგატივაა, სხვა საკითხებზე, სამეთვალყურეო საბჭოს ხშირად ეხმარება როგორც აუდიტის და კორპორატიული მართვის , ასევე რისკის კომიტეტები.

ფინანსურ ანგარიშგებაზე მათ შორის ჯგუფის კონსოლიდაციის პროცესზე შიდა კონტროლთან დაკავშირებით, ჩვენი ფინანსური პროცედურები მოიცავს სისტემის, ტრანსაქციულ და მენეჯმენტის კონტროლის ღონისძიებებს. ჯგუფმა მოამზადა დეტალური ყოველთვიური ანგარიშები, რომელიც მოიცავს შედარებასთან ერთად შედეგების ანალიზს, რელევანტურ სტრატეგიულ გეგმებს, ბიუჯეტს, პროგნოზებსა და წინასწარ შედეგებს. ისინი წარმოდგენილია და მათ ამოწმებს დირექტორთა საბჭო. ყოველ კვარტალში - ბანკის მთავარი ფინანსური დირექტორის მოადგილე, და ფინანსური ჯგუფის სხვა წევრები განიხილავენ ფინანსური ანგარიშგების და დაკავშირებული შიდა კონტროლის ღონსძიებებს აუდიტის და კორპორატიული მმართველობის კომიტეთან ერთად, რომელიც მნიშვნელოვანი გამოვლენილი შედეგების შესახებ აცნობებს სამეთვალყურეო საბჭოს. აუდიტისა და კორპორატიული მმართველობის კომიტეტი ასევე კვარტალურად განიხილავს ნახევარი წლის და სრული წლის ფინანსურ ანგარიშგებებს და აცხადებს შესაბამის შედეგებს, და აცნობებ სამეთვალყურეო საბჭოს. გარეშე და შიდა აუდიტორები ესწრებიან აუდიტისა და კორპორატიული მმართვეობის კომიტეტის კრებას, და აუდიტის კომიტეტი ხვდება მათ რეგულარულად როგორც დირექტორთა საბჭოსთან ერთად, ასევე მის გარეშე.

ჩვენი აუდიტის და კორპორატიული მმარველობის და რისკის კომიტეტები ამოწმებენ საოპერაციო და რისკთან შესაბამისობის შიდა კონტროლის ღონისძიებებს ბანკის რისკების მთავარი დირექტორის მოადგილესთან და საწარმოო საკითხების დირექტორთან, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისა (AML) და შესაბამისობის განყოფილების ხელმძრვანელთან, შიდა აუდიტის ხელმძღვანელთან და დირექტორთა საბჭოს სხვა წევრებთან ერთად, კვარტალში ერთხელ. ნებისმიერი გამოვლენილი პრობლემის შესახებ ეცნობება სამეთვალყურეო საბჭოს. სამეთვალყურეო საბჭო ასევე იღებს რეგულარულ განცხადებებს უშუალოდ ბანკის თითოეული რისკის განყოფილებიდან. მთავარი რისკი და შიდა კონსტროლის საკითხები განხილულია თითოეულ განცხადებაში. შიდა აუდიტი ამოწმებს რისკის სფეროების რაოდენობას აუდიტისა და კორპორტაიული მმართველობის კომიტეტის მიერვე დამტკიცებული წლიურ პროგრამის საშუალებით. ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკითხი ან რისკები, რომლებიც წარმოიქმნა შიდა აუდიტის საშუალებით ეცნობა აუდიტის და კორპორატიული მმართველობის კომიტეტს, რომელიც აკონტროლებს რომ შესაბამისი ღონისძიებები განხორციელდეს დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების უზრუნველყოფისთვის. შიდა აუდიტის ხელმძღვანელს აქვს პირდაპირი კავშირი უფლება აუდიტისა და კორპორატიული კომიტეტის თავმჯდომარის წინაშე.

ჩვენი შიდა კონტროლის სისტემები ასევე მხარდაჭერილია ჩვენი შეტყობინების პოლიტიკით, რომელსაც ახლავს ონლიან რეჟიმში შეტყობინების პოლიტიკა, რაც საშუალებას აძლევს თანამშრომლებს და კლიენტებს ანონიმურად წარმოადგინონ დარღვევების შესახებ ინფორმაცია. შეტყობინების პოლიტიკაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სამეთვალყურეო საბჭოს, და სამეთვალყურეო საბჭო და აუდიტის და კორპორატიული მმართველობის კომიტეტი იღებს კვარტალურად და გარემოებიდან გამომდინარე პოლიტიკის მოქმედების შესახებ ბანკის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისა (AML) და შესაბამისობის განყოფილების ხელმძრვანელისგან ინფორმაციას ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.

ეფექტურობის შემწმება

ყოველ წელს, ჩვენ ვამოწმეთ ჩვენი რისკის მართვის პროცესების და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობას, აუდიტისა და კორპორატიული მმრთველობის და რისკის კომიტეტების დახმარებით. ეს შემოწმება მოიცავს ყველა მატერიალურ სისტემებს, მათ შორის ფინანსურ, საოპერაციო და შესაბამისობის კონტროლის ღონისძიებები. უკანასკნელმა შემოწმებამ მოიცვა 2019 წლის 31 დეკემბრამდე ფინანსური წელი და მოიპოვა დასტური დირექტორთა საბჭოსა და შიდა აუდიტის განყოფილებიდან. სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია დაასკვნას გონივრულად , რომ სათანადო შიდა კონტროლის ღონისძიებები და რისკის მართვის სისტემები შენარჩუნდეს და იმოქმედოს ეფექტურად 2019 წლის განმავლობაში, და რომ სისტემამ განაგრძოს ეფექტურად ოპერირება ამ წლიური ანგარიშის დამტკიცების თარიღამდე, ამ შემოწმებამ არ გამოავლინა მნიშვნელოვანი სუსტი და უარყოფითი მხარეები სისტემებში. რადგან ჩვენ არ გამოვავლინეთ რაიმე მნიშვნელოვანი ნაკლი ან სუსტი მხარე, ჩვენ ვაგრელებთ ჩვენი სისტემის გაუმჯობესებას და მთავარი რისკების განსაკუთრების კი გამოკვეთილი რისკების, შემდგომი შერბილების მიმართულებით.

ბანკის რისკის მართვა

ბანკი არის ჯგუფის შემოსავლების მთავარი ოპერატორი და მოქმედებს ფინანსური მომსახურების სექტორში, ამიტომ მისი რისკის მართვა და შიდა კონტროლის სისტემები ფუნდამენტურია ამ ჯგუფისთვის. ეს ბანკის რისკის მართვის ორგანოების მიერ განხორციელებული სამუშაო უბრუნდება უშუალოდ ჯგუფს.

ბანკის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბანკის რისკის მართვის და შიდა კონტროლის სისტემა აღწერილია ქვემოთ.


ბანკის როლი რისკის მართვის მთლიან სტრუქტურაში

რისკის მართვა ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ჯგუფისთვის და ჯგუფის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტია. ბანკის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი მთავარი რისკებია: საკრედიტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი, ბაზრის რისკი (მათ შორის, სავალუტო და გაცვლითი კურსის რისკები) და საოპერაციო რისკები და სამართლებრივი რისკები. მომდევნო პარაგრაფებში აღწერილია ბანკის რისკის მართვის პოლიტიკა და ამ რისკებთან დაკავშირებული პროცედურები. ბიზნეს რისკები, როგორიცაა გარემოს, ტექნოლოგიის და მრეწველობის ცვლილება, კონტროლდება ბანკის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის საშუალებით.

ბანკის რისკის მართვის სისტემა ეფუძნება ნებისმიერი ოპერაციის პერიოდში რისკის მუდმივად შეფასების პრინციპს და მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- რისკის იდენტიფიკაცია;
- კონკრეტული რისკის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება;
- მისაღები რისკის დონის განსაზღვრა;
- რისკის მონიტორინგი და ზიანის შემცირება;
- მიმდინარე მონიტორინგი და კონტროლი, რაც ეფექტური კორექტირებების საშუალებას იძლევა რაიმე ნეგატიური ცვლილების აღმოჩენის შემთხვევაში იმ მონაცემებში, რომლებზე დაყრდნობითაც გაკეთდა წინასწარი რისკის შეფასება;
- რისკის მართვის სისტემის ეფექტიანობის ანალიზი.

ბანკის რისკის მართვის ორგანოები



ბანკის რისკის მართვის ორგანოები

ბანკის რისკის მართვის მთავარი ორგანოები არის: სამეთვალყურეო საბჭო, აუდიტის და კორპორატიული მართვის კომიტეტი, რისკის კომიტეტი, მმართველი საბჭო, შიდა აუდიტი, საკრედიტო კომიტეტი, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO) , ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის და შესაბამისობისა და იურიდიულ დეპარტამენტი. სამეთვალყურეო საბჭო , აუდიტის და კორპორატიული მმართველობის კომიტეტი და რისკის კომიტეტი ასრულებს იმავე როლს რასაც ჯგუფის საბჭო, ჯგუფის აუდიტის კომიტეტი და ჯგუფის რისკის კომიტეტი ბანკის დონეზე.

დირექტორთა საბჭო. დირექტორთა საბჭოს აქვს საერთო პასუხისმგებლობა ბანკის აქტივის, ვალდებულებისა და რისკის მართვის აქტივობებზე, პოლიტიკასა და პროცედურებზე. იმისთვის, რომ ეფექტურად განხორციელდეს რისკის მართვის სისტემა, დირექტორთა საბჭო გადასცემს ინდივიდუალურ რისკის მართვის ფუნქციებს ბანკის ფარგლებში სხვადასხვა გადაწყვეტილების მიმღებსა და აღმასრულებელ ორგანოს.

შიდა აუდიტის დეპარტამენტი. შიდა აუდიტის დეპარტამენტი პასუხისმგებელია ბანკის ოპერაციების, მოქმედებების, სისტემებისა და პროცესების რეგულარულ შემოწმებასა და აუდიტზე, რათა შეაფასოს და მოიპოვოს გონივრული, დამოუკიდებელი და ობიექტური მხარდაჭერა და დამატებითი ღირებულებისა და ბანკის ოპერაციების გაუმჯობესებისთვის საჭირო საკონსულტაციო მომსახურებები.
ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტი დამოუკიდებელია ბანკის დირექტორთა საბჭოსგან. ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ინიშნება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და ანგარიშს აბარებს უშუალოდ ბანკის აუდიტისა და კორპორატიული მმართველობის კომიტეტს. ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტი განიხილავს ყველა შეფასებას ბანკის მმართველ საბჭოსთან და ანგარიშს აბარებს ბანკის აუდიტისა და კორპორატიული მმართველობის კომიტეტს მის მიერ გამოვლენილი შედეგებისა და რეკომენდაციების შესახებ.
შიდა აუდიტის კომიტეტის მიზანია განსაზღვროს არის თუ არა დირექტორთა საბჭოს მიერ შექმნილი და დანერგილი ბანკის რისკის მართვის, შიდა კონტროლისა და კორპორატიული მართვის პროცესები ადეკვატური და ფუნქციონირებს საიმისოდ, რომ უზრუნველყოს:

- მატერიალური რისკები, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ, საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და საოპერაციო რისკებს, სათანადოდ იყოს იდენტიფიცირებული, შეფასებული, გაზომილი და მართული მთელს ბანკში, აუთსორსინგზე გადაცემული საქმიანობის ჩათვლით;
- სათანადოდ განხორციელდეს სხვადასხვა შიდა მმართველ ჯგუფებთან ურთიერთობა;
- მნიშვნელოვანი ფინანსური, მმართველობითი და საოპერაციო ინფორმაცია იყოს ზუსტი, საიმედო და დროული;
- ბანკი და მისი თანამშრომლები მოქმედებდნენ პატიოსნად და მათი ქმედებები შეესაბამებოდეს ნორმებს, სტანდარტებს, პროცედურებს და მოქმედ კანონმდებლობებსა და რეგულაციებს;
- რესურსების შეძენა ხდებოდეს ეკონომიურად, გამოიყენებოდეს ეფექტურად, და დაცული იყოს ადეკვატურად;
- პროგრამები, გეგმები და მიზნები სრულდებოდეს; და
- მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ან მარეგულირებელი საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზაციაზე, გამოვლინდეს და იმართოს დროულად და სათანადოდ.

იმისთვის, რომ შეასრულოს თავისი ფუნქციები, ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტს შეუზღუდავად მიუწვდება ხელი ბანკის ყველა ფუნქციაზე, ჩანაწერებზე, ქონებასა და პერსონალზე.

საკრედიტო კომიტეტი. ბანკს აქვს ხუთი საკრედიტო კომიტეტი (ერთობლივად „საკრედიტო კომიტეტები“), სადაც თითოეული პასუხისმგებელია ფიზიკური პირებისა და შეძლებული კლიენტების, კორპორატიული სესხების და კონტრაგენტების სესხებთან დაკავშირებით ბანკის საკრედიტო რისკის ზედამხედველობასა და მართვაზე. ეს სამი კომიტეტია: ფიზიკური კლიენტების საბანკო მომსახურების კომიტეტი, კორპორატიული საბანკო მომსახურების საკრედიტო კომიტეტი და ფინანსური და სამთავრობო კონტრაგენტის რისკის მართვის კომიტეტი (FGCRMC). ეს კომიტეტი მართავს, ამოწმებს და აკონტროლებს კონტრაგენტის რისკს ბანკის ფინანსურ და სამთავრობო კონტრაგენტებთან დაკავშირებით. თითოეული საკრედიტო კომიტეტი ამტკიცებს ინდივიდუალურ საკრედიტო ტრანზაქციას.

საკრედიტო კომიტეტის ქვეკომიტეტები საცალო და კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო კრედიტებისთვის

	ქვეკომიტეტი თავმჯდომარე	დასტურის ლიმიტი კორპორატიული საბანკო კრედიტებისთვის (აშშ)
რიგი I	შესაბამისი საკრედიტო რისკის დეპარტამენტის რისკის მენეჯერი	გამოკლებული 2.0 მილიონ აშშ დოლარზე ნაკლები
რიგი II	საკრედიტო რისკი დეპარტამენტის ხელმძღვანელი და მოადგილე	2.0 მილიონ აშშ დოლარსა და 10 მილიონ აშშ დოლარს შორის
რიგი III	ხელმძღვანელი/საკრედიტო რისკის შეფასება	10 მილიონ აშშ დოლარზე მეტი

	ქვეკომიტეტი თავმჯდომარე	დასტურის ლიმიტი საცალო საბანკო კრედიტებისთვის (აშშ)
რიგი I	შესაბამისი საკრედიტო რისკის მართვის განყოფილება	200,000 აშშ დოლარზე ნაკლები
რიგი II	საკრედიტო რისკის მართვის განყოფილების ხელმძღვანელი	200,000 -სა და 2.0 მილიონ აშშდ-ს შორის
რიგი III	საკრედიტო რისკის შეფასება/შესაბამისი საცალო ბანკინგის მიმართულების ხელმძღვანელი	2.0 მილიონი აშშ დოლარზე მეტი

თითოეული საკრედიტო კომიტეტი შედგება რიგი ქვეკომიტეტებისგან. ფინანსური და სამთავრობო კონტრაგენტის რისკის მართვის კომიტეტი მოიცავს ორ ქვეკომიტეტს. ეს კომიტეტი შედგება ექვსი წევრისგან - გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მიმართულებით, გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების საკითხებში, დირექტორის მოადგილე კორპორატიული საინვესტიციო ბანკინგის მიმართულებით, რაოდენობრივი რისკის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ხაზინის ხელმძღვანელი და სავაჭრო ფინანსების ხელმძღვანელი. ხმათა უმრავლესობა საკმარისია დასამტკიცებლად. თუ პოტენციური საკრედიტო მოცულობა აღემატება 10.0 მილიონ აშშ დოლარს, მაშინ გადაწყვეტილება მისაღებად გადაეცემა ALCO-ს.

ნაკლები მოცულობის საკრედიტო განცხადებებს ამტკიცებენ შესაბამისი საკრედიტო რისკის კომიტეტის საკრედიტო რისკის მენეჯერები. 1.0 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის მცირე და საშუალო
საწარმოების სესხებს ამტკიცებს მცირე და საშუალო საწარმოების საკრედიტო რისკის ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელი. კორპორატიული სესხების საკრედიტო კომიტეტი შედგება სამი ქვეკომიტეტისგან. გენერალური დირექტორის მონაწილეობა საჭიროა 10.0 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის კრედიტის დროს. მსესხებელთა ერთი ჯგუფისთვის 35.0 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის ყოველი კრედიტის შემთხვევაში, აუცილებელია სამეთვალყურეო საბჭოს დასტური. ქვედა რგოლის ქვეკომიტეტები იკრიბებიან ყოველდღიურად, მაშინ როცა უფრო მაღალი რგოლის ქვეკომიტეტები ჩვეულებრივ იკრიბებიან სამჯერ-ოთხჯერ კვირაში. საკრედიტო კომიტეტების თითოეული ქვეკომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს შესაბამისი წევრების ხმათა უმრავლესობით.

პრობლემური აქტივების კომიტეტს ხელმძღვანელობს ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი: პრობლემური სესხების მართვის დეპარტამენტის ხელძღვანელი (პირველი დონე უკავშირდება 500,000 ლარამდე სესხებს), გენერალური დირექტორის მოადგილე ოპერაციების მიმართულებით (მეორე დონე უკავშირდება სესხებს 500,000-1,000,000 ლარის დიაპაზონში) და გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მიმართულებით (მესამე დონე უკავშირდება 1,000,000 ლარზე მეტ სესხებს). პრობლემური სესხების მართვის დეპარტამენტი მართავს ბანკის რისკებს პრობლემურ სესხებთან მიმართებაში და ანგარიშს აბარებს გენერალური დირექტორის მოადგილეს ოპერაციების მიმართულებით. გადაწყვეტილებები ყველა კორპორატიულ კრედიტებთან დაკავშირებით, რომელიც იმართება პრობლემური კრედიტების მართვის დეპარტამენტის მიერ ხორციელდება გენერალური დირექტორის მიერ, ოპერაციების მიმართულებით და გენერალური დირექტორის მიერ რისკის მიმართულებით,

კორპორატიული სესხების ამოღების კომიტეტს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მიმართულებით და ის პასუხისმგებელია სესხებთან დაკავშირებით ბანკის ყველა რისკის მონიტორინგზე, რომლებსაც მართავს კორპორატიული სესხების ამოღების დეპარტამენტი. კორპორატიული სესხების ამოღების დეპარტამენტი ანგარიშს აბარებს გენერალური დირექტორის მოადგილეს კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურების მიმართულებით.

აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO). აქტივისა და ვალდებულების მართვის კომიტეტი არის მთავარი რისკის მართვის ორგანო, რომელიც განსაზღვრავს კაპიტალის ადეკვატურობასთან, საბაზრო რისკებთან და შესაბამის ლიმიტებთან, დაფინანსების ლიკვიდურობის რისკთან და შესაბამის ლიმიტებთან, საპროცენტო განაკვეთისა და წინასწარ გადახდის რისკებთან და შესაბამის ლიმიტებთან, ფულის ბაზრის საერთო პირობებსა და საკრედიტო რისკის ლიმიტებთან დაკავშირებულ წესებსა და მიმართულებებს. აქტივისა და ვალდებულების მართვის კომიტეტი ქმნის და პრაქტიკაში ნერგავს შესაბამის რისკის მართვისა და სტრეს ტესტის მოდელებს და რეგულარულად აკონტროლებს არსებულ რისკის ლიმიტებთან შესაბამისობას, და ამტკიცებს არასტანდარტული პირობების სახაზინო გარიგებებს. კერძოდ, აქტივისა და ვალდებულების მართვის კომიტეტი:

- განსაზღვრავს ფულის ბაზრის საკრედიტო რისკის მოცულობას / კრედიტის ლიმიტებს;
- განსაზღვრავს ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტებს სადღეღამისო პოზიციებთან დაკავშირებით;
- განსაზღვრავს „სტოპ-ლოსის“ ლიმიტებს სავალუტო ოპერაციებისა და ფასიანი ქაღალდებისათვის;
- აკონტროლებს არსებულ სავალუტო რისკთან, საპროცენტო განაკვეთის რისკთან და დაფინანსების ლიკვიდურობის რისკთან დაკავშირებული რისკის მართვის მოდელებთან შესაბამისობას;
- განსაზღვრავს სხვადასხვა ვადიანობის მიხედვით საპროცენტო განაკვეთების დიაპაზონებს, რომლებშიც ბანკს შეუძლია განათავსოს თავისი ლიკვიდური აქტივები და მოიზიდოს დაფინანსება, და
- ამოწმებს ფინანსური დეპარტამენტის და ფინანსური და სამთავრობო კონტრაგენტის რისკის მართვის კომიტეტის მიერ მომზადებულ სხვადასხვა სტრეს ტესტებსა და კაპიტალის ადეკვატურობის მოდელებს.

აქტივისა და ვალდებულების კომიტეტს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი და კომიტეტი იკრიბება ნებისმიერ დროს, როცა ის ამას საჭიროდ ჩათვლის, და გადაწყვეტილებების მიღება ხდება მისი წევრების ხმათა უმრავლესობით. აქტივისა და ვალდებულების კომიტეტის წევრები არიან: გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების საკითხში, გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მიმართულებით, გენერალური დირექტორის მოადგილე კორპორატიული საბანკო საქმიანობის მიმართულებით, გენერალური დირექტორის მოადგილე ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების მიმართულებით, და სახაზინო დეპარტამენტის ხელმძღვანელი. აქტივისა და ვალდებულების კომიტეტი ყოველთვიურად განიხილავს გასული პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებებს და ინდექსებს, მათ შორის, ბანკის ლიმიტებს/კოეფიციენტებს, ბალანსს, ოპერაციების ანგარიშგებებს, დაფარვის ვადიანობის დეფიციტს, საპროცენტო პოზიციას, კურსის ცვლილებებს, სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და დაფინანსების ლიკვიდურობის რისკის ანგარიშგებებს, მთლიანი ფულადი ნაკადების ანალიზს, კლიენტის ფულადი ნაკადების ანალიზს და კონცენტრაციის რისკის ანალიზს, და ასევე სამომავლო პროგნოზებს, სხვა ფინანსურ ანალიზს და მომავალი ზრდის გეგმებს.

აქტივისა და ვალდებულების კომიტეტი არის კაპიტალის ადეკვატურობის მართვის, ასევე შესაბამისი რისკების იდენტიფიკაციისა და მართვის მთავარი მმართველი ორგანო. აქტივისა და ვალდებულების კომიტეტი განსაზღვრავს ლიმიტებს და განიხილავს ამ ლიმიტების ფაქტობრივ შესრულებას, როგორც სებ-ის, ასევე, ბაზელ I-ის და ბაზელ II/III-ის კაპიტალის ადეკვატურობის რეგულაციებთან მიმართებაში. ფინანსური დეპარტამენტი პასუხისმგებელია რეგულარულ ყოველთვიურ მონიტორინგზე და ანგარიშის ჩაბარებაზე, რომელშიც გამოჩნდება სებ-ის, ბაზელ I-ის და და ბაზელ II/III-ის კაპიტალის ადეკვატურობის შესაბამისობა თავდაპირველ განცხადებებთან და აქტივისა და ვალდებულების კომიტეტის პოლიტიკებთან. კაპიტალის ადეკვატურობის მართვა, ასევე, ბანკის წლიური და ექვსთვიანი ბიუჯეტის დამტკიცება და ბიუჯეტის განხილვის პროცესები, ბანკის ყოველთვიური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია. ფინანსური დეპარტამენტი ამზადებს სებ-ის, ბაზელ I-ისა და ბაზელ II/III-ის კაპიტალური ადეკვატურობის ფაქტობრივ ანგარიშებს, ასევე, მათ პროგნოზებსა და ბიუჯეტებს და სხვადასხვა სტრეს სცენარებს ორივე რეგულაციისთვის, ხოლო, აქტივისა და ვალდებულების კომიტეტი და დირექტორთა საბჭო რეგულარულად განიხილავს მათ, გამოავლენს რისკებს, გასცემს რეკომენდაციებს, და საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგენს სამოქმედო გეგმებს.

იურიდიული დეპარტამენტი. იურიდიული დეპარტამენტის მთავარი მიზნებია იმის უზრუნველყოფა, რომ ბანკის საქმიანობები შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას და მინიმუმამდე ამცირებდეს სამართლებრივი რისკების მატერიალიზაციიდან წარმოქმნილ დანაკარგებს. იურიდიული დეპარტამენტი პასუხისმგებელია ბანკის საქმიანობებში სამართლებრივი რისკების დროულად გამოვლენისთვის საჭირო მექანიზმების გამოყენებასა და განვითარებაზე, ბანკის საქმიანობის გამოძიებაზე,რათა გამოვლინდეს ნებისმიერი სამართლებრივი რისკი, გამოვლენილი სამართლებრივი რისკების აღმოსაფხვრელად ყველა აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაზე, ბანკის სახელით სასამართლო პროცესებში მონაწილეობაზე, საჭიროების შემთხვევაში, და ბანკის იურიდიული დოკუმენტაციის ეფექტიანობის გაზრდის შესაძლებლობების შესწავლასა და მისი ბანკის ყოველდღიურ საქმიანობებში დანერგვაზე. იურიდიული დეპარატმენტი ასევე პასუხისმგებელია ბანკის და/ან მისი შვილობილი კომპანიების სტრუქტურული დანაყოფებისთვის იურიდიული დახმარების გაწევაზე.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა (AML) და შესაბამისობა. ბანკის ფულის გათეთრებასთან ბრძოლისა და შესაბამისობის დეპარტამენტი პასუხისმგებელია ბანკის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის დანერგვაზე (მათ შორის, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკასა და პროცედურების შემუშავებაზე, ტრანზაქციის მონიტორინგსა და ანგარიშგებაზე, და თანამშრომლების ტრენინგზე) მთელს ბანკში და მის შვილობილ კომპანიებში. ფულის გათეთრებასთან ბრძოლის პროგრამა ეფუძნება საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, FATF/Basel-ის, ევროპის პარლამენტის, აშშ-ს სანქციების პროგრამების სახაზინო დეპარტამენტის რეკომენდაციებს, დირექტივებსა და მოთხოვნებს, და ასევე, ადგილობრივ რეგულაციებს. ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტი ახორციელებს ბანკის ფულის გათეთრებასთან ბრძოლის სისტემებისა და კონტროლების შეფასებებს და უზრუნველყოფს შიდა კონტროლის ღონისძიებების დამოუკიდებლობას.

ბანკმა მიიღო რისკზე დაფუძნებული მიდგომა ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების მიმართ, მათ შორის, ფულის გათეთრებასთან ბრძოლის საერთო პოლიტიკა, კლიენტების მიღების პოლიტიკა და ფინანსური სანქციების შესაბამისობის პოლიტიკა. ბანკის რისკზე დაფუძნებული მიდგომა ნიშნავს, რომ ის იყენებს გაფართოებულ ფინანსურ ექსპერტიზას ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების მიმართ, ის განსაზღვრავს პროდუქტების, კლიენტების, მომსახურებების და იურისდიქციების მაღალი რისკის კატეგორიებს.

ბანკი ვალდებულია შეატყობინოს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ყველა ტრანზაქციის შესახებ, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ეს ანგარიშები ამჟამად წარმოდგენილია ფულის გათეთრებასთან ბრძოლისა და შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ ელექტრონული ფორმით კავშირს გარეთ რეჟიმში. ანგარიშგების პროცესი სრულად ავტომატიზებულია და გამყარებულია სპეციალური პროგრამული აპლიკაციით. უფრო მეტიც, ბანკი იყენებს ფულის გათეთრებასთან ბრძოლის სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც აკმაყოფილებს ინდუსტრიის მოთხოვნებს. ეს პროგრამა მოიცავს სანქციების, ასევე, აკრძალული პირებისა და ორგანიზაციების ჩამონათვალს, რომელიც განსაზღვრულია OFAC-ის, ევროკავშირის, გაეროსა და სხვა მსგავსი ორგანოების მიერ. მათ შორი გლობალური ახალი ამბები მონაცემთ ბაზა). ის საშუალებას იძლევა განხორციელდეს ყველა ტრანზაქციის სრულად ავტომატიზებული მონიტორინგი სპეციალური სიის მიხედვით. იმისათვის, რომ გამოავლინოს საეჭვო ტრანზაქციები.

ბანკს აქვს მარეგილირებელი ცვლილებოს მართვის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ახალ რეგულაციებთან დროულ შესაბამიობას, მათ შორის კონკრეტული სამოქმედო გეგმების მომზადებას, მონიტორინგს უწევს განხორციელების პროცესს და ზრდის ცნობიერებას თანამშრომლების ტრენინგის პროგრამის საშუალებით.

რისკის მართვის სისტემის დამნერგავი ორგანოები

ბანკის რისკის მართვის სისტემა ხორციელდება შემდეგი ორგანოების მიერ: საკრედიტო რისკის მართვის, რაოდენობრივი რისკის მართვისა და რისკის ანალიზის დეპარტამენტი, ხაზინის, საოპერაციო რისკის მართვის, იურიდიული, ფულის გათეთრებასთან ბრძოლისა და რეგულაციებთან შესაბამისობის და უსაფრთხოების დეპარტამენტები, ფინანსური დეპარატმენტი და სხვა დეპარტამენტები. საკრედიტო რისკის მართვის, რაოდენობრივი რისკის მართვისა და რისკის ანალიზის დეპარტამენტი და საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტები ანგარიშს აბარებენ გენერალური დირექტორის მოადგილეს რისკების მიმართულებით, ხოლო, იურიდიულ დეპარატმენტს ზედამხედველობას უწევს გენერალური იურიდიული კონსულტანტი, რომელიც პირდაპირ ანგარიშვალდებულია გენერალური დირექტორის წინაშე. ფინანსური დეპარტამენტი და სახაზინო დეპარტამენტი ანგარიშვალდებულნი არიან ფინანსების საკითხებში გენერალური დირექტორის მოადგილის წინაშე. ფულის გათეთრებასთან ბრძოლისა და შესაბამისობის დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია ოპერაციების მიმართულებით გენერალური დირექტორის მოადგილის წინაშე.

რაოდენობრივი რისკის მართვისა და რისკის ანალიზის დეპარატამენტი, ხაზინასთან კოორდინაციით, ახორციელებს ბანკის საბაზრო რისკის პოლიტიკას, არსებულ ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტებთან, კონტრაგენტის ლიმიტებთან, შესაძლო დანაკარგების VAR ლიმიტებთან და აქტივისა და ვალდებულების კომიტეტის მიერ განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფით.

სახაზინო დეპარტამენტი მართავს ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებს და მის მთლიან ფინანსურ სტრუქტურას, და ასევე უპირატესად პასუხისმგებელი არიან დაფინანსების და ბანკის ლიკვიდურობის რისკების მართვაზე.

ის მართავს სავალუტო კურსებს, ფულის ბაზარს, ფასიანი ქაღალდების პორტფელს და დერივატივების ოპერაციებს, აკონტროლებს ამ ოპერაციებისთვის აქტივისა და ვალდებულების კომიტეტის მიერ განსაზღვრულ ლიმიტებთან შესაბამისობას. სახაზინო დეპარტამენტი ასევე პასუხისმგებელია მოკლევადიანი ლიკვიდურობისა და სახაზინო თანხების ნაკადის მართვაზე, და აკონტროლებს ნაღდი ფულის მოცულობას ბანკის ბანკომატებში და მის სერვის ცენტრებში.

საკრედიტო რისკის მართვის დეპარატმენტი მართავს საკრედიტო რისკებს კონკრეტულ მსესხებლებთან დაკავშირებით და აფასებს მთლიანი საკრედიტო პორტფელის რისკებს. ის პასუხისმგებელია ბანკის საკრედიტო პოლიტიკასთან შესაბამისობასა და ბანკის სესხის პორტფელის ხარისხის მართვაზე.

პორტფელის რისკების მართვის დეპარატმენტი მართავს და აფასებს საკრედიტო რისკებს კონკრეტულ მსესხებლებთან დაკავშირებით და აფასებს მთლიანი საკრედიტო პორტფელის რისკებს და პასუხისმგებელია საკრედიტო დანაკარგების მინიმუმამდე შემცირების მიზნით საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ რეკომენდაციების უზრუნველყოფაზე. ის შეიმუშავებს ბანკის პორტფელის ხარისხის კონტროლის მოდელებს/მეთოდებს და უზრუნველყოფს ბანკის საკრედიტო პოლიტიკასა და არსებულ ლიმიტებთან შესაბამისობას.

საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტი გამოავლენს და აფასებს საოპერაციო რისკს ბანკის პროცესებისა და ოპერაციების ფარგლებში. ის ასევე გამოავლენს კრიტიკული რისკის არეალებს ან გაზრდილი რისკის დონის მქონე ოპერაციების ჯგუფებს და ავითარებს შიდა კონტროლის პროცედურებს საიმისოდ, რომ შეამციროს რისკები, ბიზნეს პროცესის ხელახალი დაგეგმვის სქემის საშუალებით (სხვა საშუალებებთან ერთად), მათ შორის, დოკუმენტების ცირკულაციით, ინფორმაციის ნაკადებით, ფუნქციების განაწილებით, ნებართვებითა და პასუხისმგებლობებით.

საინფორმაციო უსაფრთხოების დეპარტამენტი ამოწმებს და მართავს საქართველოს ბანკის კიბერ უსაფრთხოებისა და საინფორმაციო სისტემებს.

იურიდიული დეპარტამენტი ამოწმებს ყველა ცვლილებას, რომელიც კი ხდება კანონმდებლობასა და რეგულაციებში. ის ასევე უგზავნის ინფორმაციას საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ყველა შესაბამის დეპარტამენტს ბანკის ფარგლებში. იურიდიული დეპარტამენტი მონაწილეობას იღებს კანონმდებლობის და რეგულაციების დოკუმენტების შედგენაში კანონმდებლებისა და მარეგულირებლების, გარკვეული ასოცოაციების და სხვა პროფესიონალური ორგანოების თხოვნის შემდეგ.

საგადასახადო ანგარიშგება და საგადასახადო რისკების მართვის განყოფილება ფოკუსირებულია ბანკის საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობაზე, უზრუნველყოფს პრაქტიკულ კონსულტაციას და ამოწმებს საგადასახადო მოთხოვნებთან შესაბამისობას ბანკის ფარგლებში,

თითოეულ ჩამოთვლილ დეპარტამენტს აქვს თავისი პოლიტიკა და/ან სახელმძღვანელოები, რომლებიც დამტკიცებულია ბანკის დირექტორთა საბჭოს და/ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ (საჭიროების შემთხვევაში). სახელმძღვანელოები და პოლიტიკები მოიცავს ყოვლისმომცველ განმარტებებს ტრანზაქციის თითოეულ ეტაპზე, მათ შორის, და არა მხოლოდ, სახელმძღვანელოებს, რომლებიც ხაზს უსვამს აქტივისა და ვალდებულების მართვის წესებს, სავალუტო ოპერაციების პროცედურებს, ფიქსირებული შემოსავლების ინვესტიციების მითითებებს, ფიზიკური პირების საბანკო საქმიანობის პროცედურებს, სადეპოზიტო პოლიტიკას და საკრედიტო პოლიტიკას.

რისკის შეფასება და ანგარიშგება

ბანკი აფასებს რისკს იმ მეთოდის გამოყენებით, რომელიც ასახავს როგორც მოსალოდნელ დანაკარგს, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ნორმალურ გარემოებებში, ასევე მოულოდნელ დანაკარგებს, რომლებიც წარმოადგენს სხვადასხვა პროგნოზირების მოდელების საფუძველზე განსაზღვრულ საბოლოო ფაქტობრივი დანაკარგის მაჩვენებელს. ეს მოდელები იყენებს ძველი გამოცდილების საფუძველზე დაანგარიშებულ ალბათობებს, რომლებიც პერიოდულად კორექტირდება რათა ასახოს ეკონომიკური გარემო. ბანკი ასევე აკვირდება ყველაზე უარეს სცენარებს, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას ექსტრემალური მოვლენების შემთხვევაში.

რისკების მონიტორინგი და კონტროლი ძირითადად ხორციელდება ბანკის მიერ განსაზღვრული ლიმიტების საფუძველზე. ეს ლიმიტები ასახავს ბანკის ბიზნეს სტრატეგიას და საბაზრო გარემოს, ასევე იმ რისკის დონეს, რომელიც მისთვის მისაღებია, შერჩეულ ინდუსტრიებზე დამატებითი ყურადღების გამახვილებით. ბანკი ასევე ახორციელებს მიმდინარე მონიტორინგსა და კონტროლს, რომელიც ეფექტური კორექტირებების საშუალებას იძლევა იმ შემთხვევაში, თუ მოულოდნელი ცვლილება მოხდა იმ გარემოებებში, რომლებსაც ემყარებოდა რისკის წინასწარი შეფასებები. გარდა ამისა, ბანკი აკონტროლებს და ზომავს მთლიან რისკის აღების უნარიანობას, შეწონილი რისკის საფრთხესთან მიმართებაში, ყველა რისკის ტიპისა და აქტივობის ფარგლებში.
ბანკს აქვს მართვის საანგარიშგებო სისტემა, რომელიც მოითხოვს საკრედიტო რისკის მართვის, რაოდენობრივი რისკის მართვისა და ანალიტიკური, ფინანსური და სახაზინო დეპარტამენტებისგან, მოამზადონ გარკვეული ანგარიშები ყოველდღიურად და ყოველთვიურად. ყოველდღიურად, თითოეულმა დეპარტამენტმა უნდა მოამზადოს ოპერაციების ანგარიშები, ბალანსი და ხაზინის ანგარიში (რომელიც მოიცავს ბანკის ღია სავალუტო პოზიციებს, ფულის ნაკადებს, ლიმიტებს და სხვა ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთებს), და იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ სავალდებულო ფინანსურ კოეფიციენტებთან შესაბამისობა დაცული იყო. ყოველთვიურად წარმოდგენილი უნდა იყოს სტრუქტურული ლიკვიდურობის დეფიციტი ანგარიში, საპროცენტო განაკვეთის რისკის ანგარიში, ყოველთვიური ფინანსური ანგარიშგებები და ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს კვარტალური ანგარიში, რომელიც მოიცავს ბანკის საქმიანობის ანალიზს ბიუჯეტთან მიმართებაში. ყველა ბიზნესიდან მიღებული ინფორმაცია მოწმდება და მუშავდება, რათა გაანალიზდეს, გაკონტროლდეს და გამოვლინდეს რისკები ადრეულ ეტაპზე. ეს ინფორმაცია წარმოდგენილია და განემარტება დირექტორთა საბჭოს და თითოეული ბიზნეს განყოფილების ხელმძღვანელს. ეს ანგარიში მოიცავს მთლიან საკრედიტო რისკებს, ლიკვიდურობის კოეფიციენტებს და რისკის პროფილის ცვლილებებს. ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აფასებს საკრედიტო დანაკარგების რეზერვის გონივრულობას. ბანკის დირექტორთა საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო იღებს ყოვლისმომცველ რისკის ანგარიშს კვარტალში ერთხელ, რომელიც მოიცავს ყველა აუცილებელ ინფორმაციას ბანკის რისკის შესაფასებლად და დასკვნების გასაკეთებლად.

კონკრეტული რისკის ანგარიშები მზადდება და ვრცელდება ყველა დონეზე ბანკის ფარგლებში, რათა ყველა განყოფილებას მიეწვდებოდეს ხელი ყოვლისმომცველ, რელევანტურ და განახლებულ ინფორმაციაზე. ბანკის დირექტორთა საბჭოსა და ბანკის ყველა შესაბამის თანამშრომელს ყოველდღიურად მიეწოდება მოკლე ინფორმაცია საბაზრო ლიმიტების გამოყენებაზე, კერძო ინვესტიციებისა და ლიკვიდურობის, ასევე, ნებისმიერი სხვა რისკის განვითარების შესახებ.

რისკის შემცირება და ჭარბი რისკის კონცენტრაცია

მთლიანი რისკის მართვის ფარგლებში, ბანკი იყენებს დერივატივებსა და სხვა ინსტრუმენტებს, რათა მართოს საპროცენტო განაკვეთების, უცხოური ვალუტების, საკრედიტო რისკების ცვლილებების შედეგად წარმოშობილი პოზიციები და ფორვარდული ტრანზაქციების შედეგად წარმოქმნილი პოზიციები. თუმცა, ეს დერივატივები გამიზნულია ჰეჯირებისთვის, ისინი არ აკმაყოფილებენ პეჯირების აღრიცხვის პრინციპებს.

საკრედიტო რისკების შესამცირებლად, ბანკი აქტიურად იყენებს უზრუნველყოფას.

იმისათვის, რომ თავიდან იყოს აცილებული რისკების ჭარბი კონცენტრაცია, ბანკი ყურადღებას ამახვილებს დივერსიფიცირებული პორტფელის შენარჩუნებაზე. საკრედიტო რისკების გამოვლენილი კონცენტრაციები კონტროლდება და იმართება შესაბამისად. კონცენტრაციები წარმოიქმნება, როცა რამდენიმე კონტრაგენტი, ან შესაბამისი აქციონერები ჩართული არიან მსგავს ბიზნეს საქმიანობებში, ან იმ საქმიანობებში რომლებიც ერთსა და იმავე გეოგრაფიულ რეგიონშია მოქცეული, ან აქვთ მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლები, რომლის დროსაც ეკონომიკურ, პოლიტიკურ ან სხვა პირობებში განხორციელებული ცვლილებები მსგავს გავლენას იქონიებდა მათ მიერ საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების უნარიანობაზე. კონცენტრაციები ასევე მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის მთლიან ნაშთთან შედარებით, დიდი და მნიშვნელოვანი კრედიტების კომბინირებულ, მთლიან პოზიციას.

კონცენტრაციები მიუთითებს ბანკის შედეგების შეფარდებით სენსიტიურობაზე იმ განვითარებებთან მიმართებაში, რომლებიც გავლენას ახდენენ კონკრეტულ ინდუსტრიაზე ან გეოგრაფიულ მდებარეობაზე. გამოვლენილი საკრედიტო რისკების კონცენტრაციები კონტროლდება და იმართება შესაბამისად.

საკრედიტო რისკი

განმარტება: საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მსესხებელმა ან კონტრაგენტმა შეიძლება ვერ გადაიხადოს თანხები მთლიანად ან ნაწილობრივ, როცა მათი გადახდის დრო დადგება. საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოიქმნება ბანკის საკრედიტო საქმიანობის კონტექსტში.

ზიანის შემცირება: ბანკის საკრედიტო პოლიტიკის ზოგადი პრინციპები წარმოდგენილია საკრედიტო პოლიტიკებში. საკრედიტო პოლიტიკები ასევე გამოყოფს საკრედიტო რისკის კონტროლისა და მონიტორინგის პროცედურებს და ბანკის საკრედიტო რისკის მართვის სისტემებს. საკრედიტო პოლიტიკები განიხილება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად, საჭიროების შემთხვევაში. ამ განხილვების შედეგად შემოიღება სესხის რესტრუქტურიზაციის ახალი ინსტრუმენტები. ბანკი ასევე იყენებს სებ-ის დარეზერვების მეთოდოლოგიას, რათა შესაბამისობაში იყოს სებ-ის მოთხოვნებთან.

ბანკი თავის საკრედიტო პოლიტიკას მართავს ინდივიდუალურ კორპორატიულ მსესხებლებთან ან დაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფებთან, სადაზღვევო კომპანიების ვალდებულებასთან, და საბანკო ოპერაციების ტიპებთან მიმართებაში რისკის დასაშვებ დონეზე ლიმიტების დაწესებით, და სებ-ის მიერ განსაზღვრული პოზიციების ლიმიტების დაცვით. ბანკი აკონტროლებს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას, ითხოვს დამატებით უზრუნველყოფას ხელშეკრულების შესაბამისად და აკონტროლებს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას, როცა აფასებს კრედიტის სავარაუდო გაუფასურების გათვალისწინებით შექმნილი რეზერვის ადეკვატურობას. ბანკი ასევე ამცირებს თავის საკრედიტო რისკს უზრუნველყოფის მიღებით და სხვა უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენებით. ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული პოზიციების შესაბამისი რისკები იმართება შიდა და გარე საბალანსო პოზიციებზე ლიმიტების დაწესებით, და ასევე, ანგარიშსწორების ლიმიტებით ისეთ სავაჭრო ტრანზაქციებთან მიმართებაში, როგორიცაა სავალუტო კონტრაქტები.

საკრედიტო კომიტეტი ამტკიცებს ინდივიდუალურ ტრანზაქციებს, ხოლო, საკრედიტო რისკის მართვის დეპარტამენტი განსაზღვრავს საკრედიტო რისკის კატეგორიებს და დარეზერვების განაკვეთებს, რომლებიც წარმოდგენილია დარეზერვების მეთოდოლოგიაში. გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მიმართულებით და საკრედიტო რისკების მართვის დეპარტამენტი ყოველთვიურად ამოწმებენ პორტფელის საკრედიტო ხარისხს და განსაზღვრავენ დარეზერვების განაკვეთებს, ბანკის გენერალურ დირექტორთან და ფინანსების საკითხებში გენერალური დირექტორის მოადგილესთან კონსულტაციების საფუძველზე.

ბანკის საკრედიტო ხარისხის შემოწმების პროცესი უზრუნველყოფს კონტრაგენტების კრედიტუნარიანობაში შესაძლო ცვლილებების ადრეულ ეტაპზე გამოვლენას, მათ შორის, უზრუნველყოფის საშუალებების რეგულარულ შეფასებას. კონტრაგენტის ლიმიტები განისაზღვრება საკრედიტო რისკის კლასიფიკაციის სისტემის მეშვეობით, რომელიც ანიჭებს რისკის რეიტინგს თითოეულ კონტრაგენტს. რისკის რეიტინგები ექვემდებარება რეგულარულ გადახედვას. კრედიტის ხარისხის შემოწმების პროცესი საშუალებას აძლევს ბანკს შეაფასოს რისკების შედეგად წარმოქმნილი პოტენციური დანაკარგი, და განახორციელოს გამოსასწორებელი ღონისძიება. ბანკი აძლევს კლიენტებს გარანტიებს / აკრედიტივებს, რომლებმაც შესაძლოა ბანკს მოსთხოვოს მათი სახელით გადახდების განხორციელება. კლიენტებისგან ასეთი თანხების ამოღება ხდება გარანტიების / აკრედიტივების პირობების შესაბამისად. ისინი ბანკს უქმნიან სესხების მსგავს რისკებს და მათი შემცირება ხდება იმავე კონტროლის პროცესებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

სესხის დამტკიცების პროცედურა

კრედიტების დამტკიცების, კრედიტის ხარისხის მონიტორინგის, და არსებული კრედიტების გაგრძელების, რეფინანსირებისა და/ან რესტრუქტურიზაციის პროცედურები წარმოდგენილია ბანკის საკრედიტო პოლიტიკებში, რომლებსაც ამტკიცებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო და/ან დირექტორთა საბჭო. საკრედიტო კომიტეტები ამტკიცებენ ინდივიდუალურ ტრანზაქციებს.

ბანკი აფასებს კორპორატიული საინვესტიციო საბანკო მომსახურებების კლიენტებს მათი ფინანსური მდგომარეობის, საკრედიტო ისტორიის, ბიზნეს ოპერაციების, ბაზრის პოზიციის, მართვის, აქციონერის მხარდაჭერის დონის, შემოთავაზებული ბიზნესის და ფინანსური გეგმის და შემოთავაზებული უზრუნველყოფის ხარისხის საფუძველზე. სათანადო საკრედიტო კომიტეტის შესაბამისი დონე პასუხისმგებელია კრედიტის დამტკიცებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაზე, საკრედიტო მემორანდუმის საფუძველზე და, თუ საჭიროა, საკრედიტო რისკის მენეჯერის ანგარიშზე დაყრდნობით. კრედიტის დამტკიცების პროცედურა ფიზიკური პირების საბანკო მომსახურებებთან დაკავშირებით დამოკიდებულია ფიზიკურ პირებზე გაცემული პროდუქტების ტიპზე.

კრედიტის დამტკიცების პროცედურა ფიზიკური პირების საბანკო მომსახურებებთან დაკავშირებით დამოკიდებულია ფიზიკურ პირებზე გაცემული პროდუქტების ტიპზე. სამომხმარებლო კრედიტებთან დაკავშირებული განცხადებების, მათ შორის, საკრედიტო ბარათებისა და 50,000 ლარამდე ავტო სესხების დამტკიცება ხდება ქულების სისტემით. ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების კლიენტების იპოთეკურ სესხებზე განაცხადი კეთდება იპოთეკური სესხის ოფიცრის მიერ და წარედგინება საკრედიტო რისკის მენეჯერს, რომელიც აფასებს საკრედიტო რისკებს და განსაზღვრავს კრედიტის მოცულობას და პირობებს, რომლებიც უნდა დამტკიცდეს საკრედიტო კომიტეტის შესაბამის დონეზე. მიკრო საფინანსო სესხების შემთხვევაში, კრედიტ ოფიცრები აფასებენ საკრედიტო განცხადებებს, ამზადებენ პროექტის ანალიზს და წარუდგენენ შეთავაზებებს შესაბამის საკრედიტო კომიტეტს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. მცირე და საშუალო საწარმოებისთვის 1.0 მილიონ აშშ დოლარზე მეტის დასამტკიცებლად საჭიროა მცირე და საშუალო საწარმოების საკრედიტო რისკის ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის მიერ. მიკრო სესხები 40,000 ლარამდე უნდა დამტკიცდეს ქულების შიდა მოდელით.

უზრუნველყოფა

ბანკი ჩვეულებრივ მოითხოვს საკრედიტო უზრუნველყოფას ან უზრუნველყოფის საგანს მის მიერ გაცემული სესხებისა და საკრედიტო სახსრების სანაცვლოდ. საკრედიტო უზრუნველყოფის მთავარი ფორმებია გარანტიები და ბანკში მსესხებლის ანგარიშზე არსებულ თანხებზე ან სხვა აქტივებზე მოთხოვნის უფლებები. კორპორატიული კრედიტორებისთვის უზრუნველყოფის მთავარი ფორმებია უძრავი ქონება, მოწყობილობები, ინვენტარი და სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, ხოლო, ფიზიკურ პირებზე გაცემული კრედიტებისთვის - საცხოვრებელ ქონებაზე იპოთეკა. კორპორატიული კრედიტების შემთხვევაში, ბანკი ჩვეულებრივ მოითხოვს პერსონალურ გარანტიას მსესხებლის აქციონერებისგან. ბანკის შიდა სახელმძღვანელოს მითითებების შესაბამისად, უზრუნველყოფა წარმოდგენილი უნდა იყოს (თუ ის მოთხოვნილია) საიმისოდ, რომ დაფაროს ვალდებულებები ტრანზაქციის მთელი პერიოდის განმავლობაში.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის, კლიენტებზე გაცემული კრედიტების 86.9% უზრუნველყოფილი იყო. შემოთავაზებული უზრუნველყოფის შეფასების ანგარიში მზადდება აქტივის შეფასებისა და განკარგვის დეპარტამენტის მიერ ან მესამე მხარის აქტივის შეფასების კომიტეტის მიერ წარედგინება შესაბამის საკრედიტო კომიტეტს, საკრედიტო განცხადებასთან და საკრედიტო რისკის მენეჯერის ანგარიშთან ერთად.

შეფასება

პოზიციის რისკები და ლიმიტები უნდა შემოწმდეს ყოველწლიურად ან უფრო ხშირად. ბანკის შესაბამისობა საკრედიტო რისკის ლიმიტებთან მუდმივად მოწმდება საკრედიტო რისკის მართვის დეპარტამენტის მიერ. რეზერვი ეფუძნება მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს (ECL), რომელიც უკავშირდება ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობას მომდევნო 12 თვეში, თუ არ იქნება მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში კრედიტის გაცემის შემდეგ. რომელ შემთხვევაშიც რეზერვი ეფუძნება მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აქტივის ექსპლუატაციის ბოლომდე. საკრედიტო დანაკრგის რეზერვი ეფუძნება მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას, რომელიც ითვალისწინებს წარსულ მოვლენებს, არსებულ მდგომარეობას და მომავალ ეკონომიკურ მდგომარეობას.

ბანკმა შექმნა მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ფინანსური აქტივები კოლექტირდება და ინდივიდუალურ საფუძველზე, როცა ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურდება. ბანკი ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს კონკრეტული მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის, ვადაგადაცილების დღეების რაოდენობის, კრედიტის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკში ცვლილებების, და იმ კომერციულ, ფინანსურ ან ეკონომიკურ პირობებზე არახელსაყრელი ცვლილებების ნებისმიერი პროგნოზის გათვალისწინებით, რომლებიც გავლენას ახდენს მსესხებლის კრედიტუნარიანობაზე და სხვა ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, როგორიცაა გარეშე ბაზარი ან ზოგადი ეკონომიკური პირობები. თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების დანაკარგის თანხა შემცირდება და თუ ეს კლება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ წარმოქმნილ მოვლენას, ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგი აღდგება კორექტირებული რეზერვის ანგარიშით. გაუფასურების შედეგად დანაკარგების რეზერვის განსაზღვრა ეფუძნება რისკის ქვეშ არსებული აქტივების ანალიზს და ასახავს მოცულობას, რომელიც ბანკის ხელმძღვანელობის აზრით ადეკვატურია წარმოქმნილი დანაკარგების უზრუნველყოფისთვის მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

რეზერვები იქმნება მთლიანი საკრედიტო თანხის და დარიცხული პროცენტის მიხედვით. ბანკის შიდა საკრედიტო დანაკარგის რეზერვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება ფასს-ის მოთხოვნებს, ბანკი ყოფს თავის საკრედიტო პორტფელს მნიშვნელოვან და არამნიშვნელოვან კატეგორიებად. მნიშვნელოვანი კრედიტები განსაზღვრულია როგორც კრედიტები, რომლებიც აღემატება 1,0 მილიონ აშშ დოლარს, ხოლო, არამნიშვნელოვანი კრედიტები განსაზღვრულია, როგორც 1.0 აშშ დოლარზე ნაკლები თანხის კრედიტები. საკრედიტო რისკის მართვის დეპარტამენტი ახორციელებს ყველა დეფოლტირებული მნიშვნელოვანი კრედიტის ინდივიდუალურ შეფასებას. არადეფოლტირებული მნიშვნელოვან კრედიტებს ენიჭებათ კოლექტიური შეფასების კოეფიციენტი. რეზერვირების მიზნით, ყველა კრედიტი დაყოფილია სხვადასხვა ჯგუფად (როგორიცაა, იპოთეკური, სამომხმარებლო, მიკროსაფინანსო კრედიტები).

2005 წელს ბანკმა, გარკვეულ სხვა ქართულ ბანკებთან და საკრედიტო ინფორმაციის პროვაიდერ „საკრედიტო ინფორმაციის ჯგუფთან“ ერთად შექმნა სს „კრედიტ ინფო ჯორჯია“, რომელიც წარმოადგენს ცენტრალიზებულ საკრედიტო ბიუროს საქართველოში. 2005 წლის ივლისიდან, ყველა ქართული ბანკი უზიარებს მას ნეგატიურ საკრედიტო ინფორმაციას კლიენტებზე. 2009 წლიდან, ისინი აწვდიან და უზიარებენ სს „კრედიტ ინფო ჯორჯიას“ პოზიტიურ და ნეგატიურ საკრედიტო ინფორმაციას კლიენტებზე.

2018 წლის 1 იანვრიდან გაცემული 1.0 მილიონ აშშ დოლარამდე კრედიტები, რომლებიც უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით ჩამოიწერება, თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა 1,460 დღეზე მეტია. უზრუნველყოფის გარეშე კრედიტები და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილის გარდა სხვა უზრუნველყოფილი კრედიტები ექვემდებარება ჩამოწერას, თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა 150 დღეზე მეტია.

კორპორატიული კრედიტები და 1.0 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის კრედიტები, რომლებიც უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, შეიძლება ჩამოიწეროს რისკის მიმართულების ბანკის გენერალური დირექტორისა და საკრედიტო რისკის დეპარტამენტის მიერ შეფასების შემდეგ.

შემდგომი გამოყენებული საკრედიტო ზარალის რეზერვის შეფასებები, რომელიც წარმოიქმნა კოვიდ-19-ის ნეგატიური ეკონომიკური ზემოქმედების შედეგად

ეკონომიკური იზოლაციის ფონზე, ბანკის კლიენტის კრედიტორების ხარისხი მაინც მოქნილია, რომელიც ასახავს მნიშვნელოვან შემცირებას ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ბანკის კლიენტის კრედიტირების პორტფელის რისკში. კორპორატიულ სექტორში მაღალი დონის და მთავრობის ძლიერი მხარდაჭერის პროგრამები როგორც ფიზიკური პირების, ასევე კორპორატიული პროგრამების სახით, მოსალოდნელია, რომ ნაწილობრივ შეამცირებს კოვიდ 19-ის ნეგატიურ ეკონომიკურ ზემოქმედებას.

2020 წელს ბანკმა განახორციელა რეზერვირება, რათა მოეცვა მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები მთლიანი ეკონომიკური ციკლისთვის და გამოეყენებინა მაკრო-ეკონომიკური პროგნოზირების სცენარები, რომლებიც გამოაქვეყნა სებ-მა 2020 წლის მაისში სამწლიან პერიოდისთვის.

ქვემოთ წარმოდგენილი ვარაუდები გამოყნებული იქნა რეზერვების მოცულობის შესაფასებლად

ბანკმა გამოიყენა მაკრო პარამეტრები საქართველოს ეროვნული ბანკის პროგნოზირებული სცენარებისთვის–სამი სცენარი (საბაზისო, უარყოფითი და მზარდი) სამწლიანი პერიოდზე გათვლილი მაკრო პარამეტრების საფუძველზე, შესაბამისი ალბათობების დაშვებით. ამ სცენარების შეწონილი საშუალოს შედეგები შემდეგში გათვალისწინებულია შეფასებულ მოსალოდნელ საკრედიტო რეზერვებში(ECL):

-

	საბაზისო (50% ალბათობა)			უარყოფითი (25% ალბათობა)			ზრდა (25% ალბათობა))		
	2020	2021	2022	2020	2021	2022	2020	2021	2022
რეალური მშპ-ს ზრდა	-4.0%	4.5%	5.0%	-9.0%	2.5%	4.0%	-3.0%	6.0%	5.0%
CPI ინფლაცია	4.5%	1.5%	2.5%	7.0%	2.0%	2.5%	5.5%	4.0%	3.0%
GEL/US$ შეფარდება	3.20	3.20	3.20	3.52	3.70	3.51	3.04	2.89	2.89

- კოვიდ -19-ის პანდემიის უპრეცენდენტო ხასიათისა და მათთან დაკავშირებული გაურკვევლობების გამო ბანკმა ხელახლა გაითვალისწინა არსებული გაუფასურების მოდელი და გამოიყენა მენეჯმენტის გამოცდილება მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, რომელიც ასახავს კოვიდ -19-ის ეფექტს საკრედიტო რისკის რეზერვში, კერძოდ მსესხებლებისთვის სამწლიანი საგადასახადო შეღავათის მიცემა ავტომატურად არ იყო გათვალისწინებული როგორც SICR ღონისძიება (ე.ი 1 ეტაპის რისკების მე-2 ეტაპზე გადატანა)

- ბანკმა განახორციელა საკრედიტო პორტფელის და მოკლე და საშუალო ვადაში გამოვლენილ იმ რისკების ხარჯების უფრო ღმა ანალიზი, რომელსაც ზიანი მიაყენა კოვოდ -19-ის პანდემიამ (ტურიზმი და ჰოსპიტალური სექტორი, ასევე ზოგიერთი საცალო კლიენტი) და ამ საფრთხეების მე-2 ეტაპზე გადატანა. იგივე მიდგომა იქნა გამოყენებული მსესხებლებისთვის, ვინც დაკარგა სამუშაო და შემოსვალი კოვიდ -19 პანდემიის გამო და ვინც შეიტანალი იქნა მთავრობის საკომპენაციო პროგრამის სიაში.

- გარდა ამისა, შეფასებული საკრედიტო ზარალის რეზერვი ზემოთ მითითებული მსესხებლებისთვის უარყოფით სცენარში ჩვენ მივანიჭეთ დეფოლტის ალბათობა 1 და საკრედიტო ზარალის რეზერვი გაანგარიშდა როგორც შეწონილი საშუალო შეკვეცა საბაზისო ხაზში და 15%-იანი შეკვეცა კლებას სცენარში უძრავი ქონების უზრუნველყოფის ღირებულებები ღარში, რომელშიც აისახა სებ-ის პროგნოზი უძრავი ქონების ფასებზე და დაკორექტირდა აღდგენის განაკვეთების ვარდნა

ლიკვიდურობის რისკი

განმარტება: ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ბანკი ვერ შეძლებს თავისი გადახდის ვალდებულებების შესრულებას, როცა მათი გადახდის დრო დადგება ნორმალურ ან სტრესულ გარემოებებში.

მონიტორინგი: ლიკვიდურობის რისკი იმართება აქტივისა და ვალდებულების კომიტეტის მიერ დამტკიცებული ლიკვიდურობის ფარგლებში. ხაზინა მართავს ლიკვიდურობას ყოველდღიურად. იმისათვის, რომ მართოს ლიკვიდურობის რისკი, ის ახორციელებს კლიენტებისა და საბანკო ოპერაციების მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების ყოველდღიურ მონიტორინგს, რომელიც არის აქტივების / ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილი. ფინანსური დეპარტამენტი ამზადებს და წარუდგენს ყოველთვიურ ანგარიშებს აქტივისა და ვალდებულების კომიტეტს. აქტივისა და ვალდებულების კომიტეტი აკონტროლებს არსებული გადასახდელი თანხების პროპორციას, რათა ის შეესაბამებოდეს დეპოზიტიდან მოხსნად თანხებს, და ბანკთაშორის და სხვა ნასესხები სახსრების თანხებს, რომლებიც უნდა არსებობდეს გატანილი თანხების დასაფარად მოულოდნელი მოთხოვნის დროს.

ლიკვიდურობის რისკის მართვის სისტემა განსაზღვრავს ბანკის შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თავისი გადახდის ვალდებულებები, როგორც ნორმალურ პირობებში, ასევე კრიზისის დროს. ბანკმა შეიმუშავა მოდელი ბაზელ III-ის ლიკვიდურობის მითითებების საფუძველზე. ეს მიდგომა განსაზღვრულია იმის საგარანტიოდ, რომ სახსრების მართვის სისტემა საკმაოდ მოქნილი იქნება საიმისოდ, რომ უზრუნველყოს ლიკვიდურობა ბაზრის პირობების ფართო დიაპაზონის ფარგლებში. ლიკვიდურობის მართვის სისტემა პერიოდულად მოწმდება საიმისოდ, რომ ის შესაბამისობაში იყოს ბანკის მიმდინარე და დაგეგმილ საქმიანობებთან. ასეთი შემოწმება მოიცავს დაფინანსების მოდელირებულ სცენარებს, მოდელირების მიდგომას, საბითუმო ფონდირებას, ლიმიტის განსაზღვრას და ლიკვიდური აქტივების მინიმალურ მფლობელობას. ლიკვიდურობის სისტემა მოწმდება აქტივისა და ვალდებულების კომიტეტის მიერ, ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებამდე.

სახაზინო და დაფინანსების დეპარტამენტები ასევე ახორციელებენ ყოველწლიური დაფინანსების შემოწმებას, რომელიც განსაზღვრავს მომავალი წლისთვის არსებული დაფინანსების სტრატეგიას. ეს შემოწმება მოიცავს ტრენდებს სავალო ვალდებულებების გლობალურ ბაზრებზე, დაფინანსების ალტერნატივებს, გარეშე ანალიზს, ბანკის მომავალი დაფინანსების მოთხოვნების შეფასებებს, ბაზრის დაფინანსების მოცულობის შეფასებას და დაფინანსების რისკის ანალიზს. წლიური დაფინანსების გეგმა მოწმდება ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ და მტკიცდება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, როგორც წლიური ბიუჯეტის ნაწილი. დაფინანსებისა და სახაზინო დეპარტამენტები პერიოდულად ასევე ამოწმებენ სხვადასხვა დაფინანსების ვარიანტებს და აფასებენ ასეთი ვარიანტების რეფინანსირების რისკებს.

ზიანის შემცირება: ბანკის შესაძლებლობა განახორციელოს თავისი ვალდებულებები დამოკიდებულია მის უნარზე განახორციელოს აქტივების ეკვივალენტური მოცულობის რეალიზება დროის იმავე პერიოდში. ბანკს აქვს მაღალ მოთხოვნადი და დივერსიფიცირებული აქტივების პორტფელი, რომელიც მისი აზრით, შესაძლებელია ადვილად იქნას ლიკვიდირებული, ფულადი სახსრების ნაკადის გაუთვალისწინებელი შეწყვეტის შემთხვევაში. მას ასევე აქვს სავალდებულო საკრედიტო ხაზები, რომელზეც მას ხელი მიუწვდება საიმისოდ, რომ დააკმაყოფილოს თავისი ლიკვიდურობის მოთხოვნები. ასეთი საკრედიტო ხაზები ხელმისაწვდომია სებ-ის რეფინანსირების საშუალებით. გარდა ამისა, ბანკს აქვს ფულადი დეპოზიტი (სავალდებულო რეზერვი) სებ-ში, რომლის მოცულობა დამოკიდებულია კლიენტებისგან მოზიდული სახსრების დონეზე. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კლიენტების დეპოზიტების 25% გადაიდო მინიმალური რეზერვების სახით. გარდა ამისა, ქართულ ლარში დენომინირებული კლიენტების დეპოზიტების 5%-ის სახით, ბანკი ინარჩუნებს მინიმალურ საშუალო ნაშთს სებ-ში საკორესპონდენტო ანგარიშზე. საბითუმო დაფინანსებასა და სადეპოზიტო სერტიფიკატებთან დაკავშირებით, სებ-ი მოითხოვს ბანკისგან, რათა ამ უკანასკნელმა გადადოს თავისი არასუბორდინირებული უცხოური ვალუტის საბითუმო დაფინანსების 25% იმ ვალდებულებებიდან, რომელთა გადახდის დარჩენილი ვადა ერთ წელზე ნაკლებია, და 15% იმ ვალდებულებებიდან, რომელთა გადახდის ვადა ერთი-ორი წელია, ხოლო, არასუბორდინირებული ქართული ლარის საბითუმო დაფინანსების 5% გადადოს იმ სესხებიდან, რომელთა გადახდის დარჩენილი ვადა ერთ წელზე ნაკლებია. ქართულ ლარში დენომინირებული სადეპოზიტო სერტიფიკატებისთვის არ არსებობს მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები.

დაფინანსება: საქართველოს ბაზარზე, საბრუნავი საშუალებების შესავსები კრედიტი მოკლევადიანია, რომელთან დაკავშირებითაც განახლების დროის განსაზღვრა არის მოსალოდნელი. როგორც ასეთი აქტივების საბოლოო დაფარვის ვადა შეიძლება განსხვავდებოდეს ნებისმიერ ადგილას წარმოდგენილი ანალიზისგან. გარდა ამისა დაფარვის ვადებს შორის შუალედის ანალიზი არ ასახავს არსებული ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას.

ბანკის ლიკვიდურობის მთავარი წყაროებია:

- დეპოზიტები;
- სესხები საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებიდან;
- ბანკთაშორისი სადეპოზიტო ხელშეკრულებები;
- ობლიგაციების გამოშვება
- ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან ამონაგები; და
- კრედიტებზე ძირი თანხის გადახდები;.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის, კონსოლიდირებული კლიენტის დეპოზიტები და ობლიგაციები თანხა იყო 10,136.7 მილიონი ლარი (2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებთან შედარებით 8,196 მილიონი ლარი და 7,123,9 მილიონი ლარი) და წარმოადგენს მთლიანი ვალდებულებების 62,4%-ს (2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის 64.1%-სა და 64.0%-ს). საქართველოს კანონდებლობის შესაბამისად ბანკი ვალდებულია გადაიხადოს ასეთი დეპოზიტი დეპოზიტარის მიერ მთხოვნის შემთხვევაში. ვადაზე ადრე გამოტანის შემთხვევაში, დეპოზიტზე პროცენტი იგივე დარჩება ან შემცირდება. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის საკრედიტო ინსტიტუტებისთვის გადასახდელი თანხა და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების ღირებულება იყოს 5,825,7 მილიონ ლარი (2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის არსებულ 4.460,4 მილიონ ლართან და 3,911,9 მილიონ ლართან შედარებით) და წარმოადგენდა მთლიანი ვალდებულების 35.9%-ს (2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს არსებულ 34.9%-თან და 35.1%-თან შედარებით). საკრედიტო ინსტიტუტებისთვის გადასახდელი თანხა და სასესხო ფასიანი ქაღალდების თანხის აღება მოხდება კონტრპარტნიორების ფართო დიაპაზონიდან.
ბანკის მართვის საბჭო დარწმუნებულია, რომ ბანკის ლიკვიდურობა საკმარისია იმისთვის, რომ დაკმაყოფილდეს არსებული მოთხოვნები. ჯგუფის ლიკვიდური აქტივების, ვლდებულებების და ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადის დადგომის პროფილის შესახებ, ისევე როგორც ჯგუფის ლიკვიდურობის რისკი შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნების 27-ე და 29-ე შენიშვნა.

ნასესხები თანხების გადახდის განრიგი

აშშ მლნ	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029
ევრობრენდები და ობლიგაციები	174	–	–	339	–	–	–	–	–	–
პირველი რიგის კრედიტი	142	87	34	89	48	11	9	–	–	–
სუბორდინირებული სესხები	–	–	–	–	–	90	–	–	–	72
სულ	**316**	**87**	**34**	**428**	**48**	**101**	**9**	**–**	**–**	**72**
მთლიანი აქტივების %	**4.9%**	**1.3%**	**0.5%**	**6.6%**	**0.7%**	**1.6%**	**0.1%**	**0.0%**	**0.0%**	**1.1%**

ბაზრის რისკი

განმარტება: ბანკზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი (მათ შორის, სავალუტო კურსის რისკი და საპროცენტო განაკვეთის რისკი), რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის მერყეობას ბაზრის ცვლადი მაჩვენებლების ცვლილებების გამო. საბაზრო რისკის საფრთხე წარმოიქმნება ყველა იმ აქტივისა და ვალდებულების დაფარვის ვადიანობისა და ვალუტებს შორის სხვაობის გამო, რომლებზეც ბაზრის ცვალებადობა გავლენას ახდენს.

ზიანის შემცირება: ბანკის საბაზრო რისკის მართვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია აქტივისა და ვალდებულების კომიტეტის მიერ. ბანკის მიზანია, შეზღუდოს და შეამციროს ღია საბაზრო პოზიციებზე შესაძლო დანაკარგების მოცულობა, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას ბანკში, სავალუტო კურსისა და საპროცენტო განაკვეთების ნეგატიური ცვლილებების გამო. ბანკი ახდენს საბაზრო რისკის სავაჭრო ან არასავაჭრო პოზიციებად კლასიფიკაციას. სავაჭრო და არასავაჭრო პოზიციები იმართება და კონტროლდება სხვადასხვა სენსიტიურობის ანალიზის გამოყენებით. იმისთვის, რომ აღმოიფხვრას ეს რისკები, აქტივისა და ვალდებულების კომიტეტი თითოეული ტიპის ოპერაციისთვის სპეციალურად განსაზღვრავს რისკის ქვეშ არსებული მოცულობის (VAR) ლიმიტებს შესაძლო დანაკარგებზე (ამჟამად, VAR განსაზღვრულია მხოლოდ უცხოური ვალუტის გაცვლითი ოპერაციებისთვის) და რაოდენობრივი რისკის მართვისა და რისკის ანალიტიკური დეპარტამენტი აკონტროლებს ასეთ ლიმიტებთან შესაბამისობას.

სავალუტო კურსის რისკი: სავალუტო კურსის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება იქნება მერყევი სავალუტო კურსში არსებული ცვლილებების გამო. ბანკზე გავლენას ახდენს თავისი ფინანსური პოზიციის ფარგლებში არსებული სავალუტო კურსების მერყეობით გამოწვეული შედეგები. ბანკის სავალუტო რისკი გაანგარიშდება, როგორც ღია პოზიციების ერთობლიობა და კონტროლდება ბანკის სავალუტო კალათასთან მიმართებით VAR-ის დათვლით (განსაზღვრულია აქტივისა და ვალდებულების კომიტეტის მიერ).

ბანკი იყენებს ისტორიული სიმულაციის მეთოდს, რომელიც იყენებს 400 სამუშაო დღის სტატისტიკურ მონაცემებს. მისი ღია სავალუტო პოზიციები იმართება სახაზინო დეპარტამენტის მიერ ყოველდღიურად და კონტროლდება რაოდენობრივი რისკის მართვისა და რისკის ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ. აქტივისა და ვალდებულების კომიტეტი განსაზღვრავს ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტებს როგორც დღე-ღამეში, ასევე დღის განმავლობაში პოზიციებთან და „სტოპ-ლოსების“ ლიმიტებთან დაკავშირებით. ამჟამად, ბანკის კერძო სავაჭრო პოზიცია ლიმიტირებულია აქტივისა და ვალდებულების კომიტეტის მიერ, სებ-ის მიერ განსაზღვრული ბანკის მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის მაქსიმუმ 10.0%-ით. სავალუტო პოზიცია ასევე ლიმიტირებულია აქტივისა და ვალდებულების კომიტეტის მიერ, 50 მილიონი ლარის ოდენობის წლიური VAR-ით ერთდღიან სავაჭრო პერიოდზე, 98.0%-იანი „დასაშვები ზღვარით“.

აქტივისა და ვალდებულების კომიტეტის ლიმიტები უფრო კონსერვატიულია, ვიდრე სებ-ის მოთხოვნები, რაც შესაძლებლობას აძლევს ბანკებს იქონიონ საზედამხედველო კაპიტალის 20.0%-მდე ღია პოზიციები. ბანკი ასევე იყენებს სენსიტიურობის სტრეს ტესტებს თავისი ღია სავალუტო პოზიციების მიმართ, რათა შეფასდეს მის სუფთა აქტივებსა და მოგებებზე პოტენციური ნეგატიური ზემოქმედება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი: ბანკს აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი, რაც გამოწვეულია ფიქსირებულ და ცვლად საპროცენტო განაკვეთებში კრედიტების გაცემით, რომელთა თანხა და ვადიანობა განსხვავდება ფიქსირებულ და ცვლად საპროცენტო განაკვეთებში წარმოშობილი ვადიანი ვალდებულებების შესაბამისი პირობებისგან. საპროცენტო მარჟები, სხვადასხვა გადახდის ვადის მქონე აქტივებსა და ვალდებულებებზე, შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში ცვლილებების შედეგად.

სხვა ქართული ბანკების მსგავსად, ბანკის აქტივებისა და დეპოზიტების უმრავლესობას აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები. იმისთვის, რომ მინიმუმამდე შემცირდეს საპროცენტო განაკვეთის რისკი, ბანკი აკონტროლებს თავისი საპროცენტო განაკვეთის (ფასების გადახედვა) დეფიციტს და ინარჩუნებს საპროცენტო განაკვეთის მარჟას (პროცენტის მომტანი აქტივების სუფთა საპროცენტო შემოსავალი აქტივების გაუფასურებამდე, გაყოფილი პროცენტის მომტანი აქტივების საშუალოზე) იმ დონეზე, რომელიც საკმარისია საოპერაციო ხარჯების და რისკის პრემიუმის დასაფარად. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ლიმიტების ფარგლებში, აქტივისა და ვალდებულების კომიტეტი ამტკიცებს იმ საპროცენტო განაკვეთების დიაპაზონებს, სხვადასხვა დაფარვის ვადიანობის მიხედვით, რომლის ფარგლებშიც ბანკს შეუძლია განათავსოს აქტივები და მოიზიდოს ვალდებულებები. რაოდენობრივი რისკის მართვისა და რისკის ანალიზის დეპარტამენტი აანალიზებს ვადიანობის დეფიციტს და კაპიტალის სენსიტიურობას საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების მიმართ. თითოეული ვალუტის საპროცენტო განაკვეთის რისკის დონეები კონტროლდება ფინანსური, სახაზინო და რაოდენობრივი რისკის მართვისა და რისკი ანალიზის განყოფილების მიერ.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის სესხების მცოცავი განაკვთი შეადგენდა მთლიანი ვალდებულებების 9.1%-ს.

წინასწარ გადახდის რისკი: ბანკი ასევე შესაძლოა დაუდგეს წინასწარ გადახდის რისკი. ეს არის რისკი იმისა, რომ ბანკს მიადგება ფინანსური ზარალი იმის გამო, რომ მისი კლიენტები და კონტრაგენტები იხდიან ან ითხოვენ გადახდას მოსალოდნელზე ადრე, როგორიცაა ფიქსირებულ-განაკვეთიანი იპოთეკები, როცა საპროცენტო განაკვეთები მცირდება. ბანკი ამოწმებს დროზე ადრე გადახდების წინა ისტორიას თითოეულ საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებით ინდივიდუალურად, დროზე ადრე გადახდების საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთის გაანგარიშებით, შემდეგ იყენებს ამ ისტორიულ განაკვეთებს თითოეული საკრედიტო პროდუქტის ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბალანსო ღირებულების მიმართ, და ბოლოს ამრავლებს პროდუქტს თითოეული პროდუქტისთვის საშუალო შეწონილის ეფექტურ წლიურ საპროცენტო განაკვეთებზე. ეს ბანკს საშუალებას აძლევს გაიანგარიშოს გაუთვალისწინებელი დანაკარგების მოსალოდნელი რაოდენობა დროზე ადრე გადახდის შემთხვევაში.

ჯგუფის ბაზრის რისკის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნა 27.

საოპერაციო რისკი

განმარტება: საოპერაციო რისკი არის ზარალის რისკი, რომელიც წარმოიქმნება სისტემის მწყობლიდან გამოსვლი, ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომის, თარლითობის ან გარეშე მოვლენების შედეგად. როცა ვერ ხორციელდება კონტროლი საოპერაციო რისკმა შესაძლოა ზიანი მიაყენოს რეპუტაციას, ჰქონდეს სამარტლებრივი ან მარეგულირებელი სახის შედეგები, ან გამოიწვიოს ფინანსური დანაკარგი. ბანკი არ ვარაუდობს რომ შესაძლებელია ყველა საოპერაციო რისკის აღმოფხვრა, მაგრამ რისკის მართვის, ინტერგრირებული კონტროლის სისტემით და მონიტორინგისა და გამოხმაურების საშუალებით ბანკი ფიქრობს რომ მოახერხებს ამ რისკის მართვას. კიბერ რისკი, და ფული გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისა და შესაბამისობის რისკი, რამდენიმე სახის საოპერაციო რისკი, განხილულია მთავარ რისკებისა და გაურკვევლობების ნაწილში გვერდები75 - 83.

ზიანის შემცირება: ბანკი მართავს თავის საოპერაციო რისკებს ბანკის თანხის, გადახდების, ანგარიშგების, ვაჭრობის და ძირითადი დამუშავების ოპერაციების სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებული თავისი პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრის, მონიტორინგისა და მუდმივი გაუმჯობესებისა და მონაცემთა სარეზერვო ასლების და მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ აღდგენის ღონისძიებების საშუალებით.

ბანკმა შეიმუშავა სისტემა, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ ნორმატიულ აქტებს. პოლიტიკის რეგულარული შემოწმება და ცვლილებები ხორციელდება რისკების კომიტეტის მიერ, რომელიც ასევე პასუხისმგებელია საერთო რისკის აპეტიტის განსაზღვრაზე.

საოპერაციო რისკის მარვის დეპარტამენტი პასუხისმგებელია პროცედურების შემუშავებაზე, რათა იმართოს საოპერაციო რისკები ყველა პროდუქტში, საქმიანობაში, პროცესებსა და სისტემებში, და მთელი ბანკის მასშტაბით საოპერაციო რისკის სისტემის უწყვეტად დანერგვაზე. ეს დეპარტამენტი პასუხისმგებელია საოპერაციო რისკების იდენტიფიკაციასა და შეფასებაზე, კრიტიკული რისკების არეების გამოვლენაზე ან იმ ოპერაციათა ჯგუფების გამოვლენაზე, რომელთაც აქვთ გაზრდილი რისკის დონე; ის ავითარებს ზემდგომი ორგანოების მიერ განხილვის პროცესს, ითვალისწინებს ბიზნეს რეკომენდაციებს და ზიანის შემცირების სამოქმედო გეგმებს.

საოპერაციო რისკის მართვის კომიტეტი პასუხისმგებელია საოპერაციო რისკისადმი მიდრეკილებასა და ტოლერანტულობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების განსაზღვრაზე და გადახედვაზე.

საოპერაციო რისკები გამოვლენილია და შეფასებულია რამდენიმე მეთოდოლოგიის გამოყენებით, როგორებიცაა: შიდა დანაკარგის მონაცემთა ბაზის შეგროვება და ანალიზი, სცენარების ანალიზი, რისკისა და კონტროლის თვითშეფასება (RCSA), ახალი პროდუქტების შეფასება, ძირითადი რისკის ინდიკატორების (KRIs) ანალიზი, და სხვა. საოპერაციო რისკის ზემოქმედების შესამცირებლად, ბანკი იყენებს რამდენიმე მიდგომას, მათ შორის, კონტროლის ელემენტების დანერგვა ბიზნეს პროცესში, მოვალეობების განაწილება და პრევენციული კონტროლის ინსტრუმენტების განვითარება საოპერაციო სისტემების ფარგლებში.

იმისთვის, რომ გარანტირებული იყოს ადეკვატური რისკის მართვის კომპეტენციის დონეების მიღწევა და შენარჩუნება, როგორც რისკის მართვის პროცესის ნაწილი, ბანკი რეგულარულად უზრუნველყოფს პერსონალის საგანმანათლებლო და ტრენინგ კურსებს. კონკრეტული რისკის მართვის ტრენინგები ტარდება ყოველ წელს და მისი მიზანია რისკი მართვის სისტემის მიმოხილვის უზრუნველყოფა.

საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელიც ანგარიშვალდებულია რისკების მიმართულებით გენერალური დირექტორის მოადგილის წინაშე, პასუხისმგებელია ბანკის საოპერაციო რისკების ზედამხედველობაზე.

ახალი რისკი

ყველა ბიზნესიდან მოგროვილი ინფორმაცია მოწმდება და მუშავდება მისი ანალიზის, კონტროლის და ახალი რისკების გამოვლენის მიზნით. ეს ინფორმაცია წარედგინება და განემარტება დირექტორთა საბჭოს და თითოეული განყოფილების ხელმძღვანელს. ბანკი ასევე ითვალისწინებს უფრო ფართო მაკროეკონომიკურ რისკებს და რეგულარულად აწვდის ამის შესახებ ინფორმაციას სამეთვალყურეო საბჭოს.

კოვიდ-19 პანდემიის გავრცელება შეფასდა როგორც ახალი რისკი და ბანკი აკვირდება მის ზემოქმდებას ბიზნესზე, კლეინტებსა და თანამშრომლებზე. ბანკს აქვს ბიზნესის უწყვეტობის გეგმა ზემოქმედების შესამცირებლად. არსებობს გაურკვევლობა გლობალური აქტივობის შენელების მოცულობასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოიქმნება ამ პანდემიის შედეგად. პანდემიის გავრცელებამ სულ მცირე მოკლევადიანი ნეგატიური ზემოქმედება მოახდინა ქვეყნის საერთო ეკონომიკურ აქტივობაზე და გამოიწვია გლობალურუ მასშტაბით ეკონომიკის შეფერხება. ზოგიერთი ეკონომიკური სექტორი, მათ შორის ტურიზმი, სასტუმროს ბიზნესი და გასართობი ბიზნესი განსაკუთრებით დაზარალდა ქვეყანაში ამ ვირუსის გავრცელების შედეგად. ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაწეული დახმარებების შედეგად მთავრობამ შეძლო ქვეყის ეკონომიკის დახმარება და რეცესიის ეფექტის შემცირება.

პანდემიის ზემოქმედების შესამცირებლად ჯგუფმა შეიმუშავა ბიზნესის უწყვეტობის გეგმა. თანამშრომლები აგრძელებენ მუშაობას დისტანციურად. იმისთვის რომ შეემცირებინა კლიენტების ფილიალებში მისვლის რაოდენობა და რისკი, ჯგუფმა თავსი კლიენტებს შესთავაზა ციფრულ არხებში ჩართვა რადგან მომსახურებების აბსოლუტური უმრავლესობა შესაძლეებლია განხორციელდეს ფილიალში ვიზიტის გარეშე, გარდა ამისა, ჯგუფი ჩართულია მუდმივ კონტაქტშია კლიენტებთან და ეხმარება მათ პანდემიის შედეგების დაძლევაში. დივერსიფიცირებული პორტფელი ეხმარება ჯგუფს შეამციროს ვირუსის გავრცელების შედეგად წარმოქმნილი უარყოფითი ეფექტი, რომელიც გავლენას ახდენს მის ოპერაციებსა და რენტაბელობაზე.

კოვიდ-19-ის შედეგად წარმოქმნილი რისკის შესამცირებლად იხილეთ ბოლოდროინდელი მოვლენების ნაწილი გვერდი 5 და საკრედიტო ზარალის რეზერვების შეფასებები იხილეთ შემდგომ საკრედიტო ზარალის რეზერვის შეფასების ნაწილში, რომელიც გამოიყენება ეკონომიკაზე კოვიდ-19 -ის მიერ მიყენებული უარყოფითი ზემოქმედების შესაფასებლად. გვერდები 68 - 69.

ბანკი ასევე აღიარებს გამოწვევებს, რომელიც გამოიწვია კლიმატის ცვლილებამ. 2020 წელს ბანკი გაითვალისწინებს კლიმატის ცვლილების საკითხებს და რისკებს და განიხილავს ჯგუფისთვის შესაფერის მომდევნო ნაბიჯებს. ბანკი ასევე აპირებს ჩაერთოს პოლიტიკის შემქნელებთან რისკთან დაკავშირებით რომელსაც იწვევს კლიმატის ცვლილება და მიიღოს გადაწყვეტილებები, რომ ჯგუფის შემდგეშიც გააგრძელებს კლიმატთან დაკავშირებული რისკების მართვას, და გაითვალისწინებს კლიმატთან დაკავშიტრბული ფინანსური რისკების შესახებ მიზნობრივი ჯგუფის რეკომენდაციებს.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჩვენი რისკების დადგენა, პრიორიტეტებად დაყოფა და მართვა ჩვენი მიზნების და სტრატეგიული ამოცანების მხარდასაჭერად

ჩვენ წარმოვადგენთ ძირითად რისკებს და გაურკვევლობებს , რომლებიც დიდი ალბათობით გავლენას მოახდენენ ჩვენს სტარტეგიულ მიზნებზე, ბიზნეს მოდელზე, ოპერაციებზე, მომავალ ეფექტურობაზე, გადახდისუნარიანობაზე და ლიკვიდურობაზე. აღნიშნული ძირითადი რისკები აღწერილია ქვემოთ ცხრილში, სტრატეგიულ ბიზნეს მიზნებთან, ძირითად ფაქტორებთან/ტენდენციებთან, რისკების შერბილებისთვის განსაზღვრულ არსებით კონტროლთან და ჩვენს მიერ მიღებულ შემარბილებელ ზომებთან ერთად. ცნობილია, რომ ჯგუფი ჩამოთვლილზე მეტად ექვემდებარება რისკებს. ჩვენ წარმოგიდგენთ რისკებს, რომლებიც ჩვენი მოსაზრებით, ყველაზე დიდ გავლენას ახდენენ ჩვენს საქმიანობაზე და რომელიც სიღრმისეულად განხილულია ჯგუფის საბჭოს, აუდიტის და კორპორატიული მართვის ან რისკის კომიტეტის კრებებზე.

ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ჩამონათვალის რიგითობა არ აღნიშნავს მათ პრიორიტეტულ რიგს. შეუძლებელია ყველა ჩვენი რისკის სრული შერბილება. რისკის მართვის და შიდა კონტროლის ნებისმიერი სისტემა შექმნილია ბიზნეს მიზნების მიუღწევლობის რისკის მართვისთვის და არა აღმოფხვრისთვის და ითვალისწინებს მხოლოდ გონივრულ და არა სრულ გარანტიას, რომ წარმოდგენილი იქნება არსებითი უზუსტობების ან დანაკარგის გარეშე.

მაკროეკონომიკური გარემო

ძირითადი რისკი/ გაურკვევლობა

საქართველოსთან დაკავშირებულმა მაკროეკონომიკურმა ფაქტორებმა, მათ შორის ლარის გაუფასურებამ აშშ დოლარის მიმართ, შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს ჩვენჯს საკრედიტო პორტფელზე.

მთავარი ფაქტორები / ტენდენციები

ჯგუფი საქმიანობას ძირითადად ახორციელებს და მისი შემოსავლების ძირითადი წყარო განთავსებულია საქართველოში. საქართველოსთან დაკავშირებულმა მაკროეკონომიკურმა ფაქტორებმა, როგორიცაა ცვლილებები მშპ–ში, ინფლაციის და საპროცენტო განაკვეთებში, შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს ჩვენი საკრედიტო პორტფელის ხარისხზე, საკრედიტო ზარალზე, ჩვენს მარჟაზე და მომხმარებლის მოთხოვნაზე ჩვენს პროდუქტებზე და მომსახურებებზე. საქართველოს ეკონომიკამ მიაღწია რეალური მშპ–ს მყარ ზრდას, რომელიც შეადგენს 5.1% – 2019 წელს, რეალური მშპ–ს ზრდა შეადგენდა 4.8%–ს 2018 წელს და 2017 წელს საქსტატის შესაბამისად. გაურკვეველ და არასტაბილურ გლობალურ ეკონომიკურ მდგომარეობას შესაძლოა არსებითი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური შედეგები, რაც თავის მხრივ იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკაზე.

2020 წლის პირველი ნახევარის განმავლობაში, საქართველომ წარმოადგინა შეფასებული უარყოფითი რეალური მშპ–ს ზრდა, რომელიც შეადგენს 5.8%–ს საქსტატის მიხედვით, რადგან ქვეყანაში ამჟამად აღინიშნება ეკონომიკური ვარდნა კოვიდ–19 პანდემიის გამო. მოსალოდნელია, რომ რეალური მშპ შემცირდება 4%–ით 2020 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (“IMF”) შეფასებების საფუძველზე, თუმცა პროგნოზების მიხედვით ჩვეულებრივზე მაღალი იქნება გაურკვევლობის დონე. შემცირებული ექსპორტი, გარე ტურიზმის არარსებობა და შესუსტებული გადარიცხვები სავარაუდოდ გააღრმავებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს მშპ–ს 11.3%–მდე 2020 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის შესაბამისად. გლობალური რისკის არმიღების ზრდამ შესაძლოა შემაციროს კერძო ფინანსური შემოდინებები და შეაფერხოს ინვესტიციები. შესაბამისმა ორგანოებმა მოითხოვეს კოვიდ 19–ის პანდემიის შეტანა და მისი ეკონომიკური ზემოქმედების შემსუბუქება, თუმცა წარმოიქმნა საგადახდო ბალანსის დეფიციტი. გაურკვეველმა და ცვალებადმა გლობალურმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ შესაძლოა განაპირობოს მძიმე პოლიტიკური და მაკროეკონომიკური შედეგები გლობალურად, რაც თავის მხრივ გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე.

2019 წელს, ლარი დოლართან მიმართებით გაუფასურდა 7.1%–ით, 2018 წელს – 3.3%–ით. ლარის მერყეობამ დოლართან მიმართებით შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჩვენი საკრედიტო პორტფელის ხარისხზე, ამასთან გაზარდოს საკრედიტო რისკის ხარჯი და და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის / გაუფასურების რეზერვები. ჩვენი კლიენტების კრედიტუნარიანობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან მიმართებით და გაართულოს მათთვის სესხების დაფარვა. ლარის გაუფასურებამ ასევე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჩვენი კლიენტების უზრუნველყოფის ღირებულებაზე.

2019 წლის 31 დეკემბერს, ჩვენი კორპორატიული საბანკო და საცალო საბანკო სესხების დაახლოებით 80.2% და 43.7% ბანკისთვის და ჯგუფისთვის დენომინირებული იყო უცხოურ ვალუტაში. ჩვენი საკრედიტო რისკის ხარჯი შეადგენდა 0.8%-ს ჯგუფისთვის 2019 წელს, ხოლო ეს მაჩვენებელი 2018 წელს შეადგენდა 1.7%–ს.

კორონავირუსი (კოვიდ–19) განისაზღვრა ახალ რისკად და ბანკი ახორციელებს საქმიანობაზე, კლიენტებზე და თანამშრომლებზე მისი ზემოქმედების მონიტორინგს. არსებობს გაურკვევლობა გლობალური ვარდნის მოცულობასთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეულია პანდემიის შედეგად. პანდემიის აფეთქებამ მოკლევადიანი უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის საერთო ეკონომიკურ საქმიანობაზე და გამოიწვია გლობალური ეკონომიკური ვარდნა. რიგ ეკონომიკურ სექტორებზე, მათ შორის ტურიზმის, სასტუმროების და გართობის სექტორებზე, განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ვირუსის აფეთქების შედეგებმა ქვეყანაში. დაფინანსების და დახმარების სხვა ფორმების მნიშვნელოვანი წილი მოდის ფინანსურ ინსტიტუტებზე და მთავრობაზე, ქვეყნის ეკონომიკის მხარდაჭერის და რეცესიის ეფექტის შემცირების მიზნით.

კვლავ არსებობს გაურკვევლობა გლობალური ვარდნის მოცულობის შესახებ, რომელიც გამოწვეულია კოვიდ–19 პანდემიის შედეგად. საქართველოს ეკონომიკა სათანადოდ დივერსიფიცირებულია, როგორც სექტორების მიხედვით, ასევე სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის დამოკიდებულების თვალსაზრისით, თუმცა თუ ვირუსის გამო გაგრძელდება გლობალური ვარდნა, ეს სავარაუდოდ მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე.

შერბილება

ჯგუფი უწყვეტად აკონტროლებს ბაზრის მდგომარეობას და განიხილავს საბაზრო ცვლილებებს, ასევე ახორციელებს სტრეს და სცენარის ტესტებს მისი პოზიციის შესამოწმებლად უარყოფით ეკონომიკურ პირობებში, მათ შორის სავალუტო კურსის უარყოფითი ცვლილებების პირობებში.

ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი ადგენს ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტებს და ბანკის კერძო სავაჭრო პოზიციის ლიმიტებს, რომელიც უფრო კონსერვატულია ვიდრე საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ), ჩვენი მარეგულირებლის, მოთხოვნები. ხაზინის დეპარტამენტი ჩვენს ღია სავალუტო პოზიციას ყოველდღიურად მართავს. ღია სავალუტო პოზიციების მონიტორინგს ასევე ახორციელებენ ბანკის რაოდენობრივი რისკის მართვის და რისკის ანალიზის დეპარტამენტები.

ჩვენი კლიენტების კრედიტუნარიანობის შეფასების მიზნით, ჩვენ ვითვალისწინებთ სავალუტო კურსის რყევას როდესაც არსებობს სავალუტო შეუსაბამობა კლიენტის სესხსა და შემოსავალს შორის. ჩვენ გამოვყავით 75% დამატებითი კაპიტალი კლიენტების უცხოურ ვალუტაში სესხებისთვის, რომელთა შემოსავლის წყარო დენომინირებულია ლარში.

ბანკის საკრედიტო კომიტეტები და საკრედიტო რისკის დეპარტამენტი ადგენს კონტრაგენტის ლიმიტებს საკრედიტო რისკის კლასიფიკაციის და ინდივიდუალური ტრანზაქციების ქულათა სისტემის გამოყენებით. კრედიტის ხარისხის გადახედვის პროცესი უწყვეტია და უზრუნველყოფს კლიენტების კრედიტუნარიანობაში შესაძლო ცვლილებების ადრეულ დადგენას, მათ შორის უზრუნველყოფის რეგულარულ გადაფასებას, პოტენციურ ზარალს და რისკის შემცირებისთვის საჭირო გამოსწორების ზომებს, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს დამატებითი უზრუნველყოფის მოპოვებას სესხის ხელშეკრულებების შესაბამისად.

საპასუხისმგებლო კრედიტირების პრაქტიკის ხელშეწყობის მიზნით ბაზარზე, სებ–მა შემოიღო მაკროპრუდენციალური პოლიტიკის ინსტრუმენტები, რომელიც ცვლის კრედიტირების პირობებს ფიზიკური პირებისთვის. სესხის მომსახურებისა (PTI – payment to income ratio) და სესხის უზრუნველყოფის (LTV – Loan to value ratio) კოეფიციენტები, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 1 ნოემბრიდან კომერციული ბანკებისთვის და 2019 წლის 1 იანვრიდან სესხის ყველა ემიტენტისთვის, მოითხოვს ფინანსურმა დაწესებულებებმა გასცეს სესხი კლიენტის ვალის გადახდისუნარიანობის საფუძველზე და მისი მიზანია მაღალი რისკის პროდუქტების შემცირება ბაზარზე. ეს ინიციატივა უზრუნველყოფს ფინანსური სექტორის მდგრადობას უძრავი ქონების ფასის შემცირების შემთხვევაში და შემდგომ ამცირებს საკრედიტო პორტფელის ხარისხის რისკს. სებ–მა გაამარტივა ზემოხსენებული რეგულაცია 2020 წლის აპრილის თვიდან, კოვიდ–19 პანდემიაზე რეაგირების ფარგლებში. ცვლილებები ძირითადად ეხება ჰეჯირებულ მსესხებლებს, ხოლო PTI და LTV ზღვრები არაჰეჯირებული მსესხებლებისთვის უფრო კონსერვატული რჩება.

2016 წლიდან სებ–მა აქტიურად განახორციელა სხვადასხვა ზომები საქართველოს ეკონომიკის დედოლარიზაციისთვის.2019 წლის იანვარში მსესხებლების ჰეჯირებისთვის სავალუტო რისკების მიმართ, სებ–მა გაზარდა მცირე მოცულობის სესხების ზღვარი, რომლებიც უნდა გაიცეს მხოლოდ ადგილობრივ ვალუტაში 100,000 ლარიდან 200,000 ლარამდე.

სებ–ის ინიციატივებს შორის დედოლარიზაციის და ადგილობრივ ვალუტაში გრძელვადიან კრედიტირებაზე წვდომის გაზრდის მიმართულებით, არის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) ბაზელ III ფარგლებში, რომელიც ძალაშია 2017 წლის სექტემბრიდან. სებ–ის პრეფერენციალური მიდგომა ლართან მიმართებით გადაყვანილია 75% LCR–ში ადგილობრივი ვალუტის მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივებისთვის, ხოლო სავალდებულო კოეფიციენტი შეადგენს 100%–ს უცხოური ვალუტისთვის, ასევე ყველა ვალუტისთვის მთლიანობაში.

გარდა ამისა, სებ მოითხოვა ცვლილებები მინიმალური რეზერვების მოთხოვნებში ადგილობრივ და უცხოურ ვალუტაში მოზიდულ სახსრებზე. სებ–მა გაზარდა მინიმალური რეზერვის მოთხოვნები უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი სახსრებისთვის 20%–დან 25%–მდე, გადახდის ვადიდან გამომდინარე, რომელიც ძალაშია 2018 წლის 1 სექტემბრიდან და შემდეგ 30%–მდე, რომელიც ძალაშია 2019 წლის მაისის ბოლოდან, თუმცა აღნიშნული მოთხოვნა კვლავ შემცირდა 25%–მდე 2019 წლის ოქტომბერში. 2018 წლის ივნისში ფინანსური ინსტიტუტების სტიმულირებისთვის მოეხდინათ დაფინანსების გაზრდა ადგილობრივ ვალუტაში სებ–მა შეამცირა მინიმალური რეზერვის მოთხოვნები ადგილობრივ ვალუტაში დაფინანსებაზე 7%–დან 5%–მდე.

2016 წლის დასაწყისიდან ჩვენ ორიენტირებული ვიყავით ადგილობრივ ვალუტაში კრედიტირების ზრდაზე. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ IFIs-თან გრძელვადიანი დაფინანსებისთვის ლარში კლიენტებისთვის ლარში დენომინირებული სესხების გაზრდის მიზნით. გარდა ამისა 2017 წლის ივნისში ჩვენ განვახორციელეთ პირველი ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებული საერთაშორისო ობლიგაციის გამოშვება 500 მილიონი ლარის ოდენობით ადგილობრივ ვალუტაში კრედიტირების ჩვენი ლარში დენომინირებული საკრედიტო პორტფელისთვის.

2017 წლის დასაწყისიდან სებ–მა გააფართოვა აქტივების ჩამონათვალი, რომელთა გამოყენების უფლებაც ბანკებს აქვთ უზრუნველყოფის სახით რეპო ტრანზაქციებისთვის, რაც განაპირობებს დამატებით დაფინანსების წყაროს ჩვენი ლარში დენომინირებული საკრედიტო პორტფელისთვის.

მთავრობას და სებ–ს აქვს შესაბამისი ინსტრუმენტები ეკონომიკური საფრთხის შერბილების ხელშესაწყობად კონკრეტულ ფარგლებში და ეკონომიკური ზრდის შენარჩუნების მცდელობისთვის. ჩვენ ვაგრძელებთ კორონავირუსის პანდემიის მონიტორინგს და განვიხილავთ ჩვენი ბიზნესის მოქნილობის საკითხს.

რეგიონალური არასტაბილურობა

ძირითადი რისკები/ გაურკვევლობა

საქართველოს ეკონომიკაზე და ჩვენს საქმიანობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს რეგიონალურმა დაძაბულობამ და არასტაბილურობამ.

ჯგუფის საქმიანობას ძირითადად ახორციელებს და მისი შემოსავლების ძირითადი წყარო განთავსებულია საქართველოში. საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებულია რეგიონის ეკონომიკაზე კერძოდ რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის ეკონომიკაზე, რომლებიც მთავარ სავაჭრო პარტნიორებს წარმოადგენენ.

რეგიონში მიმდინარეობს გეოპოლიტიკური დაძაბულობა, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა და შეიარაღებული კონფლიქტი, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჩვენს საქმიანობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე.

რეგიონალური არასტაბილურობა (გაგრძელება)

მთავარი ფაქტორები / ტენდენციები

რუსული შეიარაღებული ძალები აგრძელებენ აფხაზეთის და ცხინვალის / სამხრეთ ოსეთის რეგიონების ოკუპაციას და დაძაბულობა რუსეთსა და საქართველოს შორის მუდმივად არსებობს. რუსეთი პოტენციურად ეწინააღმდეგება აღმოსავლეთით „ნატოს“ გაფართოებას, მათ შორის ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო. თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის შემოღებამ საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის სექტემბერში და უვიზო მიმოსვლა ევროკავშირში საქართველოს მოქალაქეებისთვის 2017 წლის მარტში, შესაძლოა გააძლიეროს დაძაბულობა აღნიშნულ ქვეყნებს შორის. მთავრობამ კონკრეტული ზომები მიიღო რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების მიმართულებით, მაგრამ წინამდებარე წლიური ანგარიშის თარიღისთვის ამ ზომებმა არ გამოიწვია ოფიციალური ან სამართლებრივი ცვლილებები აღნიშნულ ქვეყნებს შორის ურთიერთობებში.

2018 წლის ივნისში, ვადამდე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად თურქეთის კონსტიტუციაში ამოქმედდა ცვლილებები. ცვლილებები, რომელიც პრეზიდენტს ანიჭებს გაფართოებულ უფლებებს, სავარაუდოდ მოახდენს თურქეთის სამთავრობო სისტემის ტრანსფორმირებას საპარლამენტო სისტემიდან, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ სტაბილურობაზე თურქეთში.
2019 წლის 8 ივლისს, რუსეთის აკრძალვა პირდაპირ ფრენებზე საქართველოში, რომელიც დააწესა ივნისში ოკუპაციის წინააღმდეგ პროტესტის გამართვის გამო თბილისში, ამოქმედდა. ეს სანქცია სავარაუდოდ გავლენას მოახდენდა საქართველოს ტურიზმის სექტორზე. თუმცა, ამანს ასევე სხვა სტიმულები წარმოქმნა ქვეყნის ტურისტული ბაზის გამრავალფეროვნების კუთხით.

არსებობს მიმდინარე კონფლიქტი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, რაც გავლენას ახდენს რეგიონზე.

შერბილება

ჯგუფი აქტიურ მონიტორინგს ახორციელებს რეგიონულ და საბაზრო პირობებზე და რისკებზე, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკურ არასტაბილურობასთან და ახორციელებს სტრეს– და სცენარის ტესტებს ჩვენი ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად. ასევე შემუშავებულია საპასუხო სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები.

საქართველოში ეკონომიკური ზრდა შენარჩუნდა მიუხედავად რუსეთის აკრძალვისა პირდაპირ ფრენებზე საქართველოში 2019 წლის ივლისიდან. 2019 წელს შეფასებული რეალური მშპ–ს ზრდამ მიაღწია 5.2%–ს და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მიაღწია ისტორიულ მინიმუმს 2019 წლის მეორე ნახევარში მთლიანობაში. მიმდინარე ანგარიშის ხელსაყრელი დინამიკის მიუხედავად, აკრძალვა რუსეთიდან ფრენებზე გავლენა მოახდინა ლარზე პოლიტიკური და გეოპოლიტიკური გაურკვევლობის ზრდის გამო. ინფლაცია დაჩქარდა სექტემბრიდან და მიაღწია 7.0%–ს 2019 წლის დეკემბერში. ფასის ზრდამ გამოიწვია თამბაქოს აქციზის ზრდა და ლარის ნომინალური გაუფასურება. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განახორციელა ინტერვენცია და გაყიდა უცხოური ვალუტა და გაზარდა მონეტარული პოლიტიკის კოეფიციენტი ინფლაციური ფაქტორების აღმოფხვრისთვის. კერძოდ 2019 წლის ოქტომბერში, S&P Global Ratings გააუმჯობესა საქართველოს საკრედიტო რეიტინგი BB–მდე, რაც მიუთითებს ეკონომიკურ სტაბილურობას გარეშე ფაქტორების მიმართ, შედარებით მაღალი ზრდის პერსპექტივებს, გონივრულ სახელმწიფო დაფინანსების მართვას, რეზერვების მატებას და სტაბილურ და ჯანსაღ ფინანსურ სექტორს. ვთვლით, რომ საქართველოს ძალისხმევები თავისი ეკონომიკური კავშირების დივერსიფიცირების, ახალი მსხვილი ბაზრების პოტენციალის გამოყენების მიმართულებით – ევროკავშირი და ჩინეთი – და თავისი ინსტიტუტების გაძლიერების მიმართულებით იმისათვის, რომ შედარებით უკეთ გაუმკლავდეს გარე „შოკებს’.

2019 წლის დეკემბერში, IMF–ს აღმასრულებელმა საბჭომ დაამტკიცა 285 მილიონი აშშ დოლარის ეკონომიკური პროგრამის გაფართოება საქართველოსთან, რომელიც დამტკიცდა 2017 წელს, ერთი წლით 2021 წლის 11 აპრილამდე. პროგრამა არ ითვალისწინებს დამატებით დაფინანსებას, თუმცა კოვიდ–10 პანდემიის შემდეგ, შესაბამისმა ორგანოებმა მოითხოვეს დამატებითი ფინანსური დახმარება დაახლოებით 375 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. აღნიშნულმა ორგანოებმა ასევე უზრუნველყვეს დამატებითი დონორის დახმარება 1.5 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც სავარაუდოდ დაფარავს დაფინანსების დეფიციტს. 2020 წლის 1 მაისს, IMF–ს აღმასრულებელმა საბჭომ დაასრულა საქართველოს პროგრამის მეექვსე განხილვა. განხილვის დასრულების შემდეგ გამოიყო 200 მილიონი აშშ დოლარი ბიუჯეტის მხარდაჭერისთვის, საქართველოს დასახმარებლად საგადახდო ბალანსის და ფინანსური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რომელიც წარმოიქმნა კოვიდ–19 პანდემიის შედეგად, მათ შორის გაზრდილი ხარჯებისთვის ჯანდაცვის მომსახურებებზე და სოციალურ დაცვაზე.

შერბილება

ფისკალური დეფიციტი სავარაუდოდ დროებით გაღრმავდება საკარანტინო ზომების გამო შემოსავლების დაკარგვის და დამატებითი ხარჯის დაკმაყოფილებისთვის ეკონომიკური საქმიანობის მხარდასაჭერად. მონეტარული პოლიტიკა სავარაუდოდ დარჩება მოქნილი და დამოკიდებული ინფლაციის პროცესზე. გაცვლითი კურსის მოქნილობას კვლავ ექნება შემარბილებელი ძალა, თუმცა თავიდან უნდა იქნას აცილებული ლარის მეტისმეტი ცვალებადობა, რადგან ამან შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ფინანსურ სტაბილურობას. ადეკვატური ლიკვიდურობის უზრუნველყოფა და ბუფერული კაპიტალის (რეზერვები) გამოშვება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფინანსურ ინსტიტუტებში, ხელს შეუწყობს ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას.

2019 წლის განმავლობაში საქართველომ წარმოადგინა შეფასებული რეალური მშპს–ს ზრდა 5.2%–ის ოდენობით, ხოლო ინფლაცია აღემატებოდა სებ–ის 3.0%–იან სამიზნე დონეს, საშუალო წლიური ინფლაციით 4.9% და წლის ბოლოს ინფლაციით 7.0%. მაღალი ინფლაცია განიმარტება თამბაქოზე აქციზის ზრდით და ლარის გაუფასურებით. ტურისტების ჩამოსვლა და გადარიცხვები, რომელიც დოლარის შემოდინების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, გრძელდება. გაიზარდა ტურისტთა საერთო რაოდენობა, 2019 წლის ივლისში პირდაპირ ფრენებზე შემოღებული აკრძალვის გამო რუსეთიდან ტურისტების რიცხვის შემცირების მიუხედავად. ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მნიშვნელოვნად შემცირდა და შეადგინა 4.1.% მშპ 2019 წელს, 2016 წელს შეადგენდა 12.4%–ს, რაც ასახავს ექსპორტის ჯანასღ ზრდას და იმპორტის შემცირებას; გრძელდება ტენდენციები, რომელსაც ველოდებოდით.

2020 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში, საქართველომ წარმოადგინა შეფასებული უარყოფითი რეალური მშპს–ს ზრდა 5.8%, შესაბამისად ქვეყანაში ამჟამად აღინიშნება ეკონომიკური ვარდნა კოვიდ–19 პანდემიის გამო. მოსალოდნელია, რომ 2020 წელს რეალური მშპს შემცირდება 4%–ით საერთაშორისო სავალუტო ფონდის (“IMF”) შეფასებების საფუძველზე, თუმცა პროგნოზების მიხედვით ჩვეულებრივზე მაღალი იქნება გაურკვევლობის დონე. შემცირებული ექსპორტი, გარე ტურიზმის არარსებობა და შესუსტებული გადარიცხვები სავარაუდოდ გააღრმავებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს მშპ–ს 11.3%–მდე 2020 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის შესაბამისად. გლობალური რისკის არმიღების ზრდამ შესაძლოა შეამციროს კერძო ფინანსური შემოდინებები და შეაფერხოს ინვესტიციები.

შესაბამისმა ორგანოებმა მოითხოვეს კოვიდ 19–ის პანდემიის შეტანა და მისი ეკონომიკური ზემოქმედების შემსუბუქება, თუმცა წარმოიქმნა საგადახდო ბალანსის დეფიციტი. ინფლაცია თანდათანობით შემცირდა 2020 წლის მაისიდან და შეადგენდა 6.1.%–ს ივნისში, და კვლავ სებ–ის 3.0%–იანი სამიზნე დონის ზემოთ. მაღალი ინფლაცია აიხსნება ლარის გაუფასურების ზემოქმედების გაძლიერებით და კოვიდ–19 პანდემიის გამო მიწოდების ჯაჭვის დარღვევით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, 2020 წლის აპრილში გადარიცხვების მკვეთრი ვარდნის შემდეგ, შემცირება დავიდა ერთმნიშვნელიან ციფრამდე 2020 წლის მაისში და განახლდა ზრდა 17.8%–ზე წინა წელთან შედარებით, 2020 წლის ივნისში, რაც ხელს უწყობს მოთხოვნას გაზრდილი ეკონომიკური გაურკვევლობის პირობებში. ვინაიდან რეგულარული საერთაშორისო ფრენების განახლების ვადები გაურკვეველია არახელსაყრელი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო საქართველოს ტურიზმის ბაზრებზე, ტურიზმი მთავარ სუსტ ნაწილად რჩება. თუმცა ჩვენი საბროკერო და საინვესტიციო განყოფილება, Galt & Taggart, თვლის, რომ ქართველი ტურისტები დახარჯავენ დაახლოებით 500 მილიონ აშშ დოლარს ადგილობრივად 2020 წლის მეორე ნახევარში (აქედან 300 მილიონი აშშ დოლარი ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან, რომლებიც არ გაემგზავრნენ საზღვარგარეთ და 200 მილიონი აშშ დოლარი ჩვეულებრივი ადგილობრივი ტურისტის დანახარჯებისგან), რაც გარკვეულ შემსუბუქებას მოუტანს მოცემულ დარგს. სებ–ის მიერ უცხოური ვალუტის გაყიდვებით, 215 მილიონი აშშ დოალრის ოდენობით, 2020 წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად ანაზღაურდა უცხოური ვალუტის დეფიციტი ეკონომიკაში, შეჩერებული ტურისტული შემოდინებების გამო. კერძოდ აღნიშნული ინტერვენციების მიუხედავად, საერთასორისო რეზერვები სავარაუდოდ გაიზრდება, რომელიც ამჟამად შეადგენს 3.6 მილიარდ აშშ დოლარს, 2020 წლის ბოლოს, შესაბამისად რეზერვები ხელახლა შეივსება სასესხო სახსრებიდან დონორებისგან.

მთავრობის მიერ გადახედული 2020 წლის საბიუჯეტო დოკუმენტი დაამტკიცა საქართველოს პარლამენტის მიერ 2020 წლის ივნისში. გადახედული ბიუჯეტი მოიცავს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებულ ფინანსურ პარამეტრებს, 1.5 მილიარდი აშშ დოლარი დონორის დაფინანსება და საბიუჯეტო სტიმულირების ზომები კორონავირუსის პანდემიით ზემქმედებული კომპანიებისთვის და შინამეურნეობებისთვის. საბიუჯეტო სტრუქტურა ითვალისწინებს უარყოფით 4% მშპ–ს ზრდას 2020 წელს და ადგენს დეფლატორს 4.8%. მოსალოდნელია, რომ ფისკალური დეფიციტი გაიზრდება მშპ–ს 8.5%–მდე შემოსავლების შემცირების გამო (1.45 მილიარდი ლარი შემცირება თავდაპირველ ბიუჯეტთან შედარებით) და ხარჯის ზრდა ანტი–კრიზისულ ზომებთან დაკავშირებით (1.4 მილიარდი ზრდა თავდაპირველ ბიუჯეტთან შედარებით). ხარჯვის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის, მთავრობა გეგმავს გარე სესხების ზრდას 4.3 მილიარდი ლარით და შიდა ვალი გაიზრდება 649 მილიონი ლარით, საერთო სახელმწიფო ვალი სავარაუდოდ იქნება მშპ–ს 54.4% 2020 წელს. მთავრობა თვლის, რომ დაუბრუნდება კრიზისამდე არსებული ვალის მაჩვენებლებს საშუალო ვადაში. კერძოდ მთავრობა აიღებს მეტ სესხს დონორებისგან, ვიდრე ამჟამად ჭირდება, რაც ქმნის ფინანსურ ბუფერს, რომელიც ჯამში შეადგენს 2.7 მილიარდ ლარს გადახედულ ბიუჯეტში. ასეთი ბუფერები ქმნის ნდობას, რადგან სახსრები შეიძლება გმოყენებული იქნას კრიზისის გაღრმავების შემთხვევაში ან თუ აღდგენას გათვალისწინებულზე დიდი ხანი დასჭირდება.

საკრედიტო პორტფელის ხარისხი

ძირითადი რისკები/ გაურკვევლობა

ჯგუფმა შესაძლოა ვერ შეძლოს თავისი საკრედიტო პორტფელის ხარისხის შენარჩუნება

ჯგუფის საკრედიტო პორტფელის ხარისხი შესაძლოა გაუარესდეს გარეშე ფაქტორების გამო, რომელიც სცილდება ჯგუფის კონტროლის ფარგლებს, როგორიცაა უარყოფითი მოვლენები საქართველოს ეკონომიკაში ან მეზობელი ქვეყნების ეკონომიკაში, კონკრეტული კლიენტების შესახებ საკრედიტო ინფორმაციის ხელმიუწვდომლობა ან შეზღუდული ხელმისაწვდომობა, რისკის მართვის პროცედურების შეუსრულებლობა ან საკრედიტო პორტფელის სწრაფი გაფართოება.

ჯგუფის კორპორატიული საინვესტიციო საბანკო საკრედიტო პორტფელი კონცენტრირებულია და იმ პირობით, თუ ასეთი მსესხებლები გააფორმებენ შემდგომ სასესხო შეთანხმებებს ჯგუფთან, ეს გაზრდის ჯგუფის საკრედიტო და კონტრაგენტის საერთო რისკს აღნიშნულ კონტრაგენტებთან დაკავშირებით და შესაძლოა გამოიწვიოს ჯგუფის საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუარესება.

გარდა ამისა უზრუნველყოფის ღირებულება, რომელსაც ჯგუფი ფლობს სესხების სანაცვლოდ, შესაძლოა შემცირდეს, რაც სავარაუდოდ უარყოფით გავლენას მოახდენს ჯგუფის საქმიანობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე.

მთავარი ფაქტორები / ტენდენციები

2019 წლის განმავლობაში, განმავლობაში ჯგუფის და ბანკის საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტი შეადგენდა 0.8%-ს, ხოლო 2018 წელს - 1.7%-ს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის / გაუფასურების ხარჯები და ჯგუფის და ბანკის რისკის ღირებულება შესაძლოა გაიზარდოს ერთი მსხვილი მსესხებლის დეფოლტის ან მცირე მსესხებლების დეფოლტის არსებითი კონცენტრაციის შემთხვევაში. 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის უიმედო კრედიტები შეადგენდა მთლიანი გაცემული კრედიტების 2.1%-ს და 3.3%-ს, კლიენტებზე და ფინანსური იჯარის დებიტორულ დავალიანებებს.

კორპორატიული საბანკო საკრედიტო პორტფელი კონცენტრირებულია, ჯგუფის ათი უმსხვილესი კორპორატიული საბანკო მომსახურების მსესხებლები შეადგენს საკრედიტო პორტფელის 9%-ს, კლიენტებზე და ფინანსური იჯარის დებიტორულ დავალიანებებს (გაუფასურების რეზერვი) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი ფლობდა უზრუნველყოფას მთლიან სესხებზე, რომელიც შეადგენს საერთო გაცემული კრედიტების 86.7%-ს, %-ს, კლიენტებზე და ფინანსური იჯარის დებიტორულ დავალიანებებს. კორპორატიული საბანკო კრედიტებთან დაკავშირებით აღებული უზრუნველყოფის ძირითადი ფორმებია დაკავების უფლებები უძრავ ქონებაზე, ძირითად საშუალებებზე, კორპორატიული გარანტიები, მარაგები, ანაბრები და ფასიანი ქაღალდები, სატრანსპორტო მოწყობილობები. საცალო საბანკო კრედიტებისთვის აღებული უზრუნველყოფის გავრცელებული ფორმაა დაკავების უფლება საცხოვრებელ ქონებაზე.

შემცირებებმა საცხოვრებელი და კომერციული უძრავი ქონების ბაზარზე ან ეკონომიკური მდგომარეობის ზოგადმა გაუარესებამ იმ დარგებში, რომელშიც ჯგუფის კლიენტები ოპერირებენ, შესაძლოა გამოიწვიოს ლიკვიდურობა და სესხების უზრუნველყოფის ღირებულების შემცირება, მათ შორის აღნიშნული სესხების ძირი თანხის დაუფარავი ნაშთის შემცირება. გარდა ამისა, უზრუნველყოფის კლებადი ან არასტაბილური ფასები საქართველოში სავარაუდოდ გაართულებს ჯგუფისთვის ფლობილი უზრუნველყოფის ღირებულების ზუსტ შეფასებას. თუ იმ უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება, რომელსაც ფლობს ჯგუფი, მნიშვნელოვნად შემცირდება მომავალში, შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი რეზერვები და განაპირობოს მოსალოდნელზე დაბალი ანაზღაურების დონეები უზრუნველყოფილ სესხებზე. შემდგომმა ცვლილებებმა კანონებში ან რეგულაციებში შესაძლოა გააუფასუროს ასეთი უზრუნველყოფის ღირებულება.

მთავარი ფაქტორები / ტენდენციები

2020 წლის პირველ ნახევარში კოვიდ–19 პანდემიის შედეგად ეკონომიკური იზოლაციის ფონთან და მაკროეკონომიკურ გარემოსთან და მსესხებლების კრედიტუნარიანობის მოსალოდნელ გაუარესებასთან დაკავშირებით, ბანკმა მოახდინა წინასწარი რეზერვირება, რომელიც შეიქმნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასაფარად, სრული ეკონომიკური ციკლის განმავლობაში და გამოიყენა სებ–ის მიერ გამოქვეყნებული მაკროეკონომიკური პროგნოზული სცენარები.

შერბილება

ჯგუფი უწყვეტად ახორციელებს ბაზრის პირობების მონიტორინგს და ასევე ახორციელებს სტრეს და სცენარის ტესტირებას მისი მდგომარეობის შემოწმების მიზნით უარყოფით ეკონომიკურ პირობებში.

ჩვენმა ბანკის საკრედიტო კომიტეტებმა და საკრედიტო რისკის დეპარტამენტმა განსაზღვრა კონტრაგენტის ლიმიტები საკრედიტო რისკის კლასიფიკაციის და ინდივიდუალური ტრანზაქციების ქულათა სისტემის გამოყენებით. კრედიტის ხარისხის გადახედვის პროცესი უწყვეტია და უზრუნველყოფს კლიენტების კრედიტუნარიანობაში შესაძლო ცვლილებების ადრეულ დადგენას, მათ შორის უზრუნველყოფის რეგულარულ გადაფასებას, პოტენციურ ზარალს და რისკის შემცირებისთვის საჭირო გამოსწორების ზომებს, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს დამატებითი უზრუნველყოფის მოპოვებას სესხის ხელშეკრულებების შესაბამისად.

ჯგუფი უწყვეტად ახორციელებს კრედიტებზე მის მიერ ფლობილი უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების მონიტორინგს. უზრუნველყოფის შეფასებისას ჯგუფი ახდენს აქტივების საბაზრო ღირებულების დისკონტირებას, უზრუნველყოფის სალიკვიდაციო ღირებულების ასახვის მიზნით.

საკრედიტო პორტფელის ხარისხი (გაგრძელება)

შერბილება

საცალო საბანკო საკრედიტო პორტფელის თვალსაზრისით, საცალო კლიენტებისთვის სესხების გამოყოფისას, ჯგუფის მიზანია მკაცრად დაიცვას სებ-ის მიერ დადგენილი PTI და LTV კოეფიციენტები კლიენტების გადახდისუნარიანობის მკაცრი შეფასების საფუძველზე. ეს დამატებით ამცირებს საკრედიტო პორტფელის ხარისხის რისკს უძრავი ქონების ფასის შემცირებების შემთხვევაში.

კორპორატიული საინვესტიციო საბანკო საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის თვალსაზრისით, ჯგუფის მიზანია მკაცრად დაიცვას სებ-ის მიერ დადგენილი ლიმიტები კლიენტების რისკებთან დაკავშირებით, ჯგუფი აკონტროლებს კონცენტრაციის დონეს თავის საკრედიტო პორტფელში და თავისი უმსხვილესი მსესხებლების ფინანსურ მაჩვენებლებს და იყენებს უზრუნველყოფას ზარალის შესამცირებლად დეფოლტის შემთხვევაში თავის აქტიურ სარისკო საბანკო ოპერაციებზე, ამცირებს გარანტიის მოცულობას სარისკო სექტორში და ინარჩუნებს დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელის სექტორის კონცენტრაციას.

მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის რისკი

ძირითადი რისკები/ გაურკვევლობა

ჯგუფი ოპერირებს განვითარებად მარეგულირებელ გარემოში და ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის მარეგულირებელ ზედამხედველობას, რომელიც ზედამხედველობას უწევს საბაკო სექტორს და ფასიან ქაღალდებს საქართველოში.

საქართველოში ფინანსური სექტორი მკაცრად რეგულირდება. მარეგულირებელი გარემო განაგრძობს განვითარებას. თუმცა, ჩვენ არ შეგვიძლია წინასწარ განსაზღვროთ რა მარეგულირებელი ცვლილებები იქნება შემოღებული მომავალში ან რა გავლენას მოახდენს ისინი ჩვენს ოპერაციებზე.

მთავარი ფაქტორები / ტენდენციები

ჩვენი საბანკო ოპერაციები უნდა შეესაბამებოდეს მარეგულირებელი ორგანოს, სებ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტს და სხვა მარეგულირებელკოეფიციენტებს, მათ შორის რეზერვის მოთხოვნებს და სავალდებულო ფინანსურ კოეფიციენტებს. ჩვენს უნარზე - შევასრულოთ სებ-ის არსებული თუ შესწორებული მოტხოვნები - შესაძლოა გავლენა მოახდინოს მთელმა რიგმა ფაქტორებმ, მათ შორის ისეთმა ფაქტორებმა, რომელიც სცილდება ჩვენი კონტროლის ფარგლებს, როგორიცაა ბანკის რისკზე შეწონილი აქტივების ზრდა, კაპიტალის მოზიდვის უნარი, ჩვენი აქტივის ხარისხის გაუარესებით გამოწვეული ზარალი და/ან შემოსავლის დონის შემცირება და/ან ხარჯების ზრდა, ბანკის ფასიანი ქაღალდების პორტფელის ღირებულების შემცირება, ასევე გლობალური და საქართველოს ეკონომიკის შესუსტება.

შერბილება

უწყვეტი ინვესტიციები მოსახლეობაში და პროცესები შესაძლებლობას გვაძლევს დავაკმაყოფილოთ მიმდინარე მარეგულირებელი მოთხოვნები და საშუალებები, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას მოვახდინოთ რეაგირება მომავალ ცვლილებებზე რეგულაციაში.

ჩვენი ინტეგრირებული კონტროლის სტრუქტურის შესაბამისად, სათანადო სიფრთხილით ვაფასებთ საკანონმდებლო და მარეგულირებელი ცვლილებების გავლენას ჩვენი ოფიციალური რისკის დადგენის და შეფასების პროცესების ფარგლებში და შესაძლებლობის მიხედვით აქტიურ მონაწილეობას ვიღებთ შესაბამისი კანონმდებლობის შედგენაში. ამ პროცესის ფარგლებში ჩვენ ვმონაწილეობთ კონსტრუქციულ დიალოგში მარეგულირებელ ორგანოებთან და მივმართავთ გარეშე კონსულტაციას კანონდებლობაში შესაძლო ცვლილებებთან დაკავშირებით. შემდეგ ჩვენ შევიმუშავებთ შესაბამის პოლიტიკას, პროცედურებს და კონტროლის მექანიზმებს ჩვენი შესაბამისობის ვალდებულებების შესასრულებლად.

ჩვენი შესაბამისობის სტრუქტურა ყველა დონეზე ექვემდებარება შიდა აუდიტის და გარეშე სადაზღვევო მომსახურების პროვაიდერების მიერ რეგულარულ გადახედვას.

ლიკვიდურობის რისკი

ძირითადი რისკები/ გაურკვევლობა

ჯგუფი ექვემდებარება ლიკვიდურობის რისკს, როდესაც მისი აქტივების და ვალდებულებების დაფარვის ვადა არ ემთხვევა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფს თვლის, რომ ექნება საკმარისი სახსრები მომდევნო 18 თვის განმავლობაში და შემდეგ იმისათვის, რომ განახორციელოს თავისი სტრატეგია და ექნება საკმარისი ლიკვიდურობა მომდევნო 18 თვის განმავლობაში და შემდეგ, ლიკვიდურობის რისკი დამახასიათებელია საბანკო ოპერაციებისთვის და შესაძლოა გაიზარდოს მთელი რიგი ფაქტორების გამო, მათ შორის გადაჭარბებული მოლოდინები ან კონკრეტული დაფინანსების წყაროს მიუწვდომლობა, ცვლილებები საკრედიტო რეიტინგებში ან საერთო საბაზრო მოვლენა, როგორიცაა ფინანსური ბაზრის არასტაბილურობა.

საკრედიტო ბაზრებზე მსოფლიო მასშტაბით ბოლო წლებში აღინიშნა და შესაძლოა კვლავ აღინიშნოს ლიკვიდურობის და გრძელვადიანი დაფინანსების შემცირება გლობალური ეკონომიკური და ფინანსური ფაქტორების შედეგად. კრედიტის ხელმისაწვდომობაზე განვითარებად ბაზრებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტორის ნდობის დონე და ნებისმიერი ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს ინვესტორის ნდობაზე (მაგალითად ბანკის საკრედიტო რეიტინგის შემცირება ან სახელმწიფოს ჩარევა ან ვალის რესტრუქტურიზაცია შესაბამის დარგში) ასევე შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფასზე და დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე ჯგუფის კომპანიებისთვის, რომლებიც აღნიშნულ ბაზრებზე ახორციელებენ საქმიანობას.

მთავარი ფაქტორები / ტენდენციები

ჯგუფის ლიკვიდურობაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსური ბაზრის არახელსაყრელმა პირობებმა. თუ აქტივებს ჯგუფი ფლობს იმ მიზნით, რომ ლიკვიდურობა გახდეს არალიკვიდური ან მათი ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდება, ჯგუფმა შესაძლოა გადაწყვიტოს ან დასჭირდეს დაფინანსების სხვა წყაროების გამოყენება თავისი ოპერაციების დასაფინანსებლად და მომავალი ზრდისთვის. თუმცა მხოლოდ დაფინანსების შეზღუდული მოცულობა არის ხელმისაწვდომი საქართველოს შიდა საბანკო ბაზარზე და სხვა დაფინანსების წყაროების რესურსებმა შესაძლოა წარმოქმნას დამატებითი რისკები, მათ შორის იმის ალბათობა, რომ სხვა დაფინანსების წყაროები შესაძლოა იყოს უფრო ძვირი და ნაკლებ მოქნილი. გარდა ამისა, ჯგუფის უნარი ასეთ გარემოში დაფინანსების წყაროებზე წვდომაზე დამოკიდებულია მისთვის ხელმისაწვდომი საკრედიტო ხაზების დონეზე და თავის მხრივ დამოკიდებულია ჯგუფის ფინანსურ და საკრედიტო პირობებზე, ასევე ბაზრის საერთო ლიკვიდურობაზე.
მიმდინარე და მოკლევადიანი ლიკვიდურობის თვალსაზრისით, ჯგუფი ექვემდებარება თავისი კლიენტების მიერ ანაბრების დიდი მოცულობით მოულოდნელი, სწრაფი გატანის რისკს. გარემოებები, როდესაც დიდი ალბათობით კლიენტები სწრაფად გაიტანენ დიდი მოცულობით ანაბრებს, მოიცავს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ვარდნას, ნდობის შერყევა ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ან სოციალური, ეკონომიკური ან პოლიტიკური არასტაბილურობის პერიოდი. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტების მნიშვნელოვანი ნაწილი სწრაფად ან მოულოდნელად გამოიტანს მოთხოვნამდე ან ვადიან ანაბარს ან არ განაახლებს ვადიან ანაბარს დაფარვამდე, ამან შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის საქმიანობაზე, ფინანსურ პირობებზე და ოპერაციების შედეგებზე.

გარდა ამისა, თუ კოვიდ-19 პანდემიის გამო გაგრძელდება ეკონომიკური საქმიანობის რღვევა საქართველოში და გლობალური მასშტაბით, ამან შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის ლიკვიდურობაზე და დაფინანსების პოზიციებზე.

შერბილება

ჯგუფი მართავს თავის ლიკვიდურობის რისკს ლიკვიდურობის რისკის მართვის სტრუქტურის მეშვეობით, რომელიც ქმნის ჯგუფის შესაძლებლობას - შეასრულოს გადახდის ვალდებულებები როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პირობებში.

ბანკმა შეიმუშავა მოდელი, რომელიც ეფუძნება ბაზელი III ლიკვიდურობის სახელმძღვანელო პრინციპებს. ჯგუფი მართავს თავის ლიკვიდურობის რისკს ლიკვიდურობის სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე: ეს უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ბუფერს უმაღლესი ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) მოთხოვნებზე - 100% - რომელიც სავალდებულოა სებ-ის მითითებით 2017 წლის სექტემბრიდან. ძლიერი ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) აუმჯობესებს ჯგუფის მოკლევადიან მდგრადობას. გარდა ამისა ბანკი ფლობს კომფორტულ ბუფერს უმაღლესი წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის (NSFR) მოთხოვნებზე - 100% - რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 სექტემბერს. ძლიერი ბუფერი წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტზე (NSFR) ითვალისწინებს სტაბილური დაფინანსების წყაროებს უფრო გრძელვადიან ინტერვალში. ეს მიდგომა განსაზღვრულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაფინანსების სტრუქტურა საკმარისად მოქნილი იყოს ლიკვიდურობის უზრუნველყოფისთვის, საბაზრო პირობებში.

სხვა საკითხებთან ერთად, ჯგუფი აწარმოებს სხვადასხვა დაფინანსების ბაზას, რომელიც მოიცავს დაფინანსების მოკლევადიან წყაროებს (მათ შორის საცალო საბანკო და კორპორატიული საინვესტიციო საბანკო კლიენტის ანაბრები, ბანკთაშორის სესხები და სესხები სებ-დან) და დაფინანსების გრძელვადიან წყაროებს (მათ შორის ვადიანი საცალო საბანკო და კორპორატიული საინვესტიციო საბანკო ანაბრები, სესხები საერთაშორისო საკრედიტო დაწესებულებებიდან, ფასიანი ქაღალდების და გრძელვადიანი სავალო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა).

ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

შერბილება

კლიენტების დეპოზიტები დაფინანსების ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა ჯგუფისთვის. 2019, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების დეპოზიტების შეადგენს დაფინანსების 90.4%-ს, 90.9% და 91.4%-ს, მათგან 55.4%, 55.5%, და 56.8% გადასახდელია მოთხოვნისას. თუმცა, აღნიშნული თარიღების მდგომარეობით, წმინდა სესხების კოეფიციენტი კლიენტების მიმართ დეპოზიტებთან შეადგენდა 116.1%, 112.6%, და 105.4%-ს, და სებ-ის ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი შეადგენდა 136.7%, 120.1%, და 112.4% შესაბამისად.

ბანკს აქვს ძლიერი მხარდაჭერა საერთასორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან. ასევე უკვე მოიზიდა ახალი მოკლევადიანი სასესხო სახსრები როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ვალუტაში, გასული რამდენიმე თვის განმავლობაში 2020 წელს, 200 მილიონ აშშ დოლარზე მეტი საერთაშორისო საფინანსო კორპორაციიდან, ევროპის საინვესტიციო ბანკიდან, FMO - ჰოლანდიის მეწარმეობის განვითარების ბანკიდან (სხვა მონაწილე კრედიტორებთან თანამშრომლობით) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან, რომლის ნაწილი გაიხარჯა 2020 წლის პირველ ნახევარში. გარდა ამისა ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ჩვენს პარტნიორ ფინანსურ ინსტიტუტებთან და ველოდებით ახალი გრძელვადიანი საკრედიტო წყაროების ხელმოწერას, დაახლოებით 400 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, მომდევნო თვეების განმავლობაში, რაც გააუმჯობესებს ჩვენს ლიკვიდურობის პოზიციას და შესაძლებლობას მოგვცემს მხარი დავუჭიროთ ჩვენს კლიენტებს და ეკონომიკას, რომელშიც ვეწევით საქმიანობას აღნიშნული უპრეცედენტო დროის განმავლობაში.

გარდა ამისა, საქართველოს საბანკო სექტორის განახლებული სამეთვალყურეო გეგმის ფარგლებში, რომლის მიზანია საქართველოში კოვიდ-19 შედეგად წარმოქმნილი უარყოფითი ფინანსური და ეკონომიკური გამოწვევების წამოწევა, სებ-მა გამოაცხადა მზადყოფნა - გადახედოს და შეამციროს ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) მოთხოვნები (2020 წლის 1 მაისს, სებ-მა დროებით გააუქმა 75% ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) მოთხოვნები ერთი წლის ვადით ან სებ-ის შემდგომ შეტყობინებამდე), ასევე სავალდებულო რეზერვის მოთხოვნები, საჭიროების შემთხვევაში. გარდა ამისა სებ-მა უკვე გაფართოვა შესაბამისობის კრიტერიუმები რეპო-შესაბამისი ფასიანი ქაღალდებისთვის და შესაძლოა ეს საკითხი კვლავ გადაიხედოს მომავალში, საჭიროების შემტხვევაში, ადგილობრივი ვალუტის ლიკვიდურობის მხარდასაჭერად.

საოპერაციო რისკი, კიბერ-უსაფრთხოება, საინფორმაციო სისტემები და ფინანსური დანაშაული

ძირითადი რისკები/ გაურკვევლობა

ჩვენ გვაქვს კიბერ-უსაფრთხოების დარღვევის, ჩვენს სისტემებზე უნებართვო წვდომის და ფინანსური დანაშაულის ან ჩვენი საბანკო საქმიანობის პროცესებში ან სისტემებში გაუმართაობების ან ადამიანური ფაქტორების/შეცდომების რისკი, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ჩვენს მიერ კლიენტის მონმსახურებებს, გამოიწვიოს ფინანსური ზარალი, ჰქონდეს სამართლებრივი ან მარეგულირებელი შედეგები და.ან გავლენა მოახდინოს ჩვენს რეპუტაციაზე.

ჩვენ მნიშვნელოვნად დამოკიდებულნი ვართ ჩვენი რისკის მართვის სათანადო ფუნქციონირებაზე, შიდა კონტროლზე და სისტემებზე და შიდა პროცესებზე, მათ შორის მონაცემთა დაცვასთან, ინფორმაციული ტექნოლოგიების და ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით აღნიშნული საფრთხეების მართვის მიზნით.

ჩვენზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს, თუ ვერ შევარბილებთ ჩვენი პროდუქტების და მომსახურებების რისკს, რომელიც გამოიყენება ფინანსური დანაშაულის ხელშესაწყობად.

მთავარი ფაქტორები / ტენდენციები

კიბერ-უსაფრთხოების საფრთხეები წლის განმავლობაში იზრდება ბოლო რამდენიმე წელია და ჩვენთვის ცნობილი გახდა მთელი რიგი მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციების კიბერ-თავდასხმების შესახებ, თუმცა საბედნიეროდ ჩვენს საქმიანობაზე მას არსებითი გავლენა არ მოუხდენია. გარეშე საფრთხეების პროფილი უწყვეტად იცვლება და ჩვენი მოსაზრებით ასეთი საფრთხეები კვლავ გაგრძელდება.
გასული რამდენიმე წლის განმავლობაში, ჩვენი საქმიანობის გაფართოების შესაბამისად გაიზარდა ელექტრონული დანაშაულები, მათ შორის თაღლითობის შემთხვევები, თუმცა ზარალი მნიშვნელოვანი არ არის. ფულის გათეთრების (ML) და ტერორიზმის დაფინანსების (FT) რისკები , რომლის წინააღმდეგ ბანკს გააჩნია სათანადო დაცვის ზომები, ასევე გლობალურად გაიზარდა ბოლო წლებში. ბანკს კვლავ აქვს მკაცრი მარეგულირებელი და სამეთვალყურეო მოთხოვნები ფულის გათეთრების (ML) და ტერორიზმის დაფინანსების (FT) წინანაღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით. აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს იძლებითი ზომების მიღება მარეგულირებელის მიერ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ფულადი ჯარიმა და უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის რეპუტაციაზე.

საოპერაციო რისკი, კიბერ-უსაფრთხოება, საინფორმაციო სისტემები და ფინანსური დანაშაული (გაგრძელება)

შერბილება

ჩვენ გვაქვს ინტეგრირებული კონტროლის სტრუქტურა, რომელიც მოიცავს საოპერაციო რისკის მართვას, IT სისტემებს, კორპორატიული და სხვა მონაცემების უსაფრთხოებას, რომლებსაც მართავს ცალკე დეპარტამენტი.

ჩვენს გვაქვს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის (AML) / ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის (CTF) სტრუქტურა, რომელიც მოიცავს რისკზე დაფუძნებულ მიდგომას (RBA) ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის (AML) / ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის (CTF) რისკების მიმართულებით, იცნობდე შენს კლიენტს (KYC), ტრანზაქციის მონიტორინგის, სანქციების და ტრანზაქციის კონტროლის, ტრანზაქციის ანგარიშგების, საკორესპონდენტო ურთიერთობის შეფასების და მონიტორინგის მიმართულებით და ასევე ტრენინგ-პროგრამებთან დაკავშირებით. აღნიშნული სტრუქტურის მიზანია ადგილობრივი კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტების (ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი (FATF) რეკომენდაციები) და საერთაშორისო ფინანსური სანქციების პროგრამების შესრულება და დაცვა. ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის (AML) შესაბამისობის ფუნქციის გაუმჯობესებას ბანკის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის (AML) შესაბამისობის სტრუქტურის, პოლიტიკის და პროცედურების (მათ შორის ფულის გათეთრების (ML) და ტერორიზმის დაფინანსების (FT) რისკების მართვის პოლიტიკა, იცნობდე შენს კლიენტს (KYC) და კლიენტის მისაღებობის განსაზღვრის პოლიტიკა) გაძლიერებით. ჩვენ მნიშვნელოვანი რესურსების ინვესტიცია განვახორციელეთ ჩვენი ფულის გათეთრების (ML) და ტერორიზმის დაფინანსების (FT) რისკების მართვის შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის, მათ შორის ტრანზაქციის მონიტორინგის გადაწყვეტებისთვის. ჩვენ გვაქვს რეგულარული ცვლილების მართვის პროცედურა, რაც უზრუნველყოფს ახალი რეგულაციების დროულ შესრულებას.

ჩვენ ვადგენთ და ვაფასებთ საოპერაციო რისკის კატეგორიებს ჩვენი რისკის მართვის სტრუქტურის ფარგლებში, ვადგენთ კრიტიკული რისკის სფეროებს და ვადგენთ პოლიტიკას და უსაფრთხოების პროცედურებს აღნიშნული რისკების შესარბილებლად.

ჩვენ გვაქვს უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმები, მათ შორის პოლიტიკა, პროცედურები და უსაფრთხოების ტექნოლოგიები. ჩვენ ასევე რეგულარულად ვახორციელებთ IT და საინფორმაციო უსაფრთხოების შემოწმებებს შიდა ფარგლებში და გარეშე კონსულტანტების დახმარებით. ჩვენ გვაქვს რთული ანტივირუსული და დამცავი ბრანდმაუერი პოტენციური ჰაკერული პროგრამისგან დაცვის მიზნით. ჩვენ გავზარდეთ შიდა და გარეშე შეღწევის ტესტირება და გვაქვს სარეზერვო ავარიული აღდგენის და ბიზნეს უწყვეტობის გეგმები ბანკის ფარგლებში. ჩვენ გავაუმჯობესეთ წვდომის კონტროლი და პაროლის დაცვა “პრივილეგირებული წვდომის მონიტორინგის“ განხორციელებით თანამშრომლებისთვის, მაქსიმალური პრივილეგირებული წვდომით კონფიდენციალურ და კლიენტის მონაცემებზე. ჩვენ განვახორციელეთ დაცული ელ-ფოსტის შლუზის გადაწყვეტები, რამაც შეამცირა ჰაკერული შემთხვევის რაოდენობა 95%-ით. ასევე დავნერგეთ ინფორმაციული უსაფრთხოების და უსაფრთხოების მოვლენების მართვის სისტემა (SIEM), რომელიც სრულ ინფორმაციას გვაწვდის ჩვენს ინფრასტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების და მოვლენების შესახებ. ოპტიმიზებულია Oracle მონაცემთა ბაზის ბრანდმაუერი. Oracle Audit Vault და Database Firewall მოიცავს საწარმოს ხარისხის აუდიტური მონაცემების ბაზას, ანგარიშგების და ანალიზის ინსტრუმენტებს, საგანგაშო სტრუქტურას, აუდიტის პანელს და გართულებული მომდევნო თაობის მონაცემთა ბაზის შლუზს. ჩვენ შევქმენით პოლიტიკა, ღრუბლოვანი მონაცემების დაკარგვის პრევენციის / Cloud Data Loss Prevention დახმარებით და ამჟამად ვაკონტროლებთ და ვზღუდავთ ნებისმიერი კრიტიკული მონაცემის ატვირთვას ჩვენს შიდა საკომუნიკაციო პლატფორმაზე, მათ შორის სურათების, ოფისის ფაილების, ანგარიშის ნომრების და სხვ. ჩვენ შევქმენით კიბერ-უსაფრთხო სტრუქტურა, ინფორმაციული უსაფრთხოების რისკის მართვის სტრუქტურა და ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოლიტიკა. ჩვენ შევქმენით მაღალკვალიფიციური ჯგუფი უსაფრთხოების განყოფილებაში. ჩვენ ვაგრძელებთ ტექნოლოგიაში ჩვენი შესაძლებლობების გაფართოებას მზარდი საფრთხეების პრევენციის, გამოვლენის და მათზე რეაგირებისთვის.

ჩვენი შიდა აუდიტის განყოფილება უზრუნველყოფს ჩვენი რისკის მართვის, შიდა კონტროლის და სისტემების ადეკვატურობას და ეფექტურობას. ამ ტიპის საოპერაციო რისკი არის აუდიტის კომიტეტის რეგულარული დღის წესრიგის და ხშირი განხილვის საგანი სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე.

რესურსები და პასუხისმგებლობები

არაფინანსური ინფორმაცია

მდგრადობის კონცეფცია ჩვენი საქმიანობის საფუძველია და ასახავს ჩვენს წვლილს მდგრად განვითარებაში.

როგორც ჯგუფი, ჩვენ ვაღიარებთ, რომ ვიღებთ ვალდებულებას არამხოლოდ ჩვენი აქციონერების, ასევე ფართო საზოგადოების წინაშე, სადაც ჩვენ ვსაქმიანობთ. როგორც მსხვილი დამსაქმებელი საქართველოში გვევალება წამყვანი ფუნქცია შევასრულოთ ჩვენი ზემოქმედების შესამცირებლად გარემოზე, ვიყოთ საუკეთესო დამსაქმებელი და დადებითი ცვლილებები შევიტანოთ საზოგადოებაში.

ჩვენ ვთვლით, რომ მდგრადობა ჩვენი საქმიანობის ზრდის განუყოფელი ნაწილია. ჩვენი მდგრადობის დღის წესრიგი გვაძლევს საშუალებას ვიყოთ მომგებიანი, ასევე ეკოლოგიურად და სოციალურად პასუხისმგებელი. მდგრადობის მიდგომის განხორციელებით ჩვენს საქმიანობებში, ჩვენ მხარს ვუჭერთ გრძელვადიან ურთიერთობებს ჩვენს მთავარ დაინტერესებულ პირებთან, რაც უზრუნველყოფს მაღალ შემოსავლებს ინვესტიციაზე აქციონერებისთვის, აკმაყოფილებს კლიენტების ფინანსურ საჭიროებებს, ავითარებს თანამშრომლებს და შეაქვს წვლილი ადგილობრივი საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაში, ასევე ითვალისწინებს ეკოლოგიურ შედეგებს.

ჯგუფს და ბანკს აქვს ეკოლოგიური და სოციალური (E&S) პოლიტიკა ჯგუფისთვის ჯგუფის პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ეფექტური მართვის მიზნით საზოგადოებაზე და ეკოლოგიაზე. ამ პოლიტიკაში აღწერილია ჯგუფის სტრატეგია შეიმუშაოს მყარი მართვის კონტროლი ბუნებრივი რესურსების დაცვის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკების შემცირების და თანამშრომლებისთვის განვითარების თანაბარი შესაძლებლობების, სამართლიანი კომპენსაციის და სარგებელის მიცემის მიზნით. ჩვენ ვახორციელებთ მდგრადობის პრაქტიკას ჩვენს საქმიანობებში და მუდმივად ვეძებთ ახალ გზებს ჩვენი საქმიანობის გაუმჯობესებისთვის.

ჩვენს სამეთვალყურეო საბჭო სრულად ფლობს ეკოლოგიურ და სოციალურ საკითხებს და ჩვენს კორპორატიული მართვის პროცესს, რაც წევრებს აძლევს შესაძლებლობას სრული ინფორმაცია მიიღონ ESG -თან დაკავშირებულ საკითხებზე. ჩვენი რისკის კომიტეტი განიხილავს ESG-თან დაკავშირებულ რისკებს და აწვდის ინფორმაციას სამეთვალყურეო საბჭოს აღნიშნულ საკითხზე. სამეთვალყურეო საბჭოს ასევე მიეწოდება კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებზე ხელმძღვანელობის მიერ, მაგალითად სამუშაო, რომელიც შეასრულა ბანკმა აღნიშნული საზოგადოების ფარგლებში, როგორიცაა ბავშვების დახმარება საქართველოში, საბანკო პროდუქტების უკეთ გაგებისთვის. 2020 წელს ჩვენ გავაფართოვებთ ბანკის ფუნქციას კლიმატის ცვლილების საკითხებზე და რისკებზე და განვიხილავთ მომდევნო ნაბიჯებს კომპანიისთვის.

ეს ანგარიში ასახავს პოლიტიკას ზემოაღნიშნული პასუხისმგებლობების და იმ საშუალებების დასაკმაყოფილებლად, რის საფუძველზეც ხორციელდება აღნიშნული პოლიტიკა და ჩვენი მიღწევები 2019 წლის განმავლობაში.

ეკოლოგიური საკითხები

ჯგუფი აღიარებს, რომ მისი საქმიანობები პირდაპირ და არაპირდაპირ ზემოქმედებას ახდენს გარემოზე და აქედან გამომდინარე განსაზღვრავს მართვის მიდგომებს, რომელიც ხელს შეუწყობს გახდეს გარემოს დამცველი ინსტიტუტი. როგორც წამყვანი ფინანსური დაწესებულება საქართველოში, ბანკი იმ პროექტების მეშვეობით, რომელსაც ის აფინანსებს, მნიშვნელოვან არაპირდაპირ გავლენას ახდენს გარემოზე. გარემოზე პირდაპირ ზემოქმედებასთან დაკავშირებით, ჩვენ ვთვლით, რომ საბანკო საქმიანობის ზემოქმედება მნიშვნელოვანი არ არის.

პირდაპირი ზემოქმედება გარემოზე ბიზნეს საქმიანობის შედეგად

ჯგუფი ითვალისწინებს თავისი მთავარი დაინტერესებული პირების ინტერესებს (კლიენტების, აქციონერების, თანამშრომლების, კრედიტორების და ფართო საზოგადოების) სტრატეგიების და პროცესების შემუშავებისას მათი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. ჩვენ განუწყვეტლივ ვისწრაფვით დადებითი წვლილი შევიტანოთ საზოგადოებაში ჩვენი ბიზნეს საქმიანობის მეშვეობით სოციალურად ორიენტირებული პროდუქტების და მომსახურებების შემუშავების, სათანადო მიდგომების განხორციელების გზით ჩვენი ბიზნეს ოპერატორებისთვის, ასევე საქველმოქმედო ღონისძიებების გატარებით.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე არაპირდაპირი ზემოქმედების ეფექტურად მართვის მიზნით, ბანკმა პრიორიტეტი მიანიჭა მდგრადი ფინანსური პრინციპების ინტეგრაციას თავის საკრედიტო რისკის მართვის პროცედურებში 2012 წელს. ბანკი უზრუნველყოფს შესაბამის მიდგომას თავისი ფინანსური პროექტების გარემოს, ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკების შეფასებისა და მართვისთვის. ბანკი ყველა ღონისძიების განხორციელებისას ისწრაფვის იპოვოს მდგრადი გადაწყვეტები, რომელიც მომგებიანია კლიენტებისთვის და ამცირებს უარყოფით ზემოქემდებებს სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე.

E&S პოლიტიკის მთავარი მიზანია ეკოლოგიური და სოციალური სარგებელის გაზრდა კლიენტებისთვის. ESRM პროცედურების მეშვეობით ბანკი აძლიერებს კლიენტების შესაძლებლობებს ეკოლოგიურ და სოციალურ რეგულაციებთან შესაბამისობის თვალსაზრისით და იღებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას მოცემულ სფეროში. ESRM პროცედურები პერიოდულად ნახლდება და ამტკიცებს დირექტორთა საბჭო იმის გარანტიისთვის, რომ აღნიშნული პოლიტიკა კვლავ შეესაბამება მიზანს და ასახავს გამოცდილებას და ცვლილებებს შესაბამის კანონმდებლობაში. ESRM პროცედურები, მათი განხორციელებისთვის საჭირო სხვა ინსტრუმენტებთან ერთად, მოიცავს ბანკის ეკოლოგიური და სოციალური რისკის მართვის სისტემის (ESMS) ძირითად კომპონენტებს. ამ მექანიზმის საფუძველზე ბანკი ისწრაფვის გახდეს გარემოს დაცვაზე ორიენტირებული ფინანსური ინსტიტუტი.

გარდა ამისა, ESRM პოლიტიკის უფრო ეფექტური განხორციელების მიზნით, შეიქმნა E&S ჯგუფი, რომელიც მონაწილეობს კრედიტის განხილვის პროცესში და პასუხისმგებელია შემდეგზე:

- ინფორმაციის შეგროვება და გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედებების დადგენა, მსესხებლის საქმიანობიდან;
- მსესხებლის საქმიანობის გარემოსდაცვითი და სოციალური ეფექტურობის განხილვა და შეფასება.
- გარემოსდაცვითი ან სოციალური სამოქმედო გეგმების (ESAP) შემუშავება შეუსაბამობის შემთხვევაში; და
- გარემოსდაცვითი ან სოციალური სამოქმედო გეგმების (ESAP) განხორციელების და ეკოლოგიური და სოციალური ეფექტურობის მონიტორინგი პროექტის ყველა ეტაპზე.

ჩვენ ვახორციელებთ შემდეგ პროცედურებს ESMS სისტემის ფუნქციონირებისთვის:

- ჩვენ თავს ვიკავებთ ეკოლოგიურად და სოციალურად მგრძნობიარე ბიზნეს საქმიანობების დაფინანსებისგან, რომლებიც მითითებულია განვითარების დაფინანსების ისეთი ინსტიტუტების ექსკლუზიურ ჩამონათვალში, როგორიცაა EBRD, IFC, DEG, FMO და ADB, მათ შორის..
- ჩვენი მიზანია შევაფასოთ კლიენტის საქმიანობებთან დაკავშირებული ეკოლოგიური და სოციალური რისკის შედარებითი დონე. ჩვენ ვთხოვთ კონკრეტულ კლიენტებს განახორციელონ კონკრეტული გარემოსდაცვითი ან სოციალური სამოქმედო გეგმები, ბუნებრივ ან სოციალურ გარემოზე მათი ზემოქმედების თავიდან აცილების ან შერბილების მიზნით და დაიცვან კონკრეტული მონიტორინგის და ანგარიშგების მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრეთ ჩვენ ეკოლოგიური და სოციალური რისკის შემცირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნები შეტანილია პირობა-ვალდებულებად ბანკსა და კონკრეტულ ჩვენს კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.
- ჩვენი მიზანი რეგულარულად განვახორციელოთ ბანკის საქმიანობებთან დაკავშირებული ეკოლოგიური და სოციალური რისკების მონიტორინგი და შევაფასოთ კლიენტის მიერ შესაბამისი ხელშეკრულებების პირობების დაცვა.

ყოვლისმომცველი ეკოლოგიური და სოციალური შეფასების და სამოქმედო გეგმების უზრუნველყოფით, სათანადო კომპლექსური შემოწმების ფარგლებში ბანკი მხარს უჭერს თავის კლიენტებს შეასრულონ თავიანთი ეკოლოგიური და სოციალური ვალდებულებები და ქმნის სტრუქტურას მათთვის სათანადო ეკოლოგიური და სოციალური სტანდარტების მისაღწევად.

ჩვენ მივიღეთ ვალდებულებები ჩვენი კლიენტებისგან დავიცვათ გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები და თანახმა ვართ, რომ ისინი:

- წარუდგენენ ყველა მოთხოვნილ E&S ინფორმაციას ბანკს;
- უზრუნველყოფენ კომპეტენტური ფიზიკური პირების მონაწილეობას ეკოლოგიური და სოციალური კომპლექსური შემოწმების და მონიტორინგის პროცესში;
- გამოიჩენენ პასუხისმგებლობას გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების მიმართ; და
- აიღებენ მოქმედი ეკოლოგიური და სოციალური მოთხოვნების დაცვის ვალდბეულებას.

E&S რისკის მართვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დაცვის მიზნით, ბანკი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს, რომ მისი კლიენტები ასევე შეასრულებენ ეკოლოგიურ და სოციალურ პასუხისმგებლობებს სახელმწიფო რეგულაციების შესაბამისად და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების E&S სტანდარტებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ბანკი განიხილავს (1 მილიონი აშშ დოლარზე მეტი) აღნიშნული კლიენტების E&S ეფექტურობას საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) ეფექტურობის სტანდარტების შესაბამისად.

ეკოლოგიური და სოციალური საკითხების გამოკვლევა საპროექტო ობიექტებზე ხორციელდება პერსონალთან თანამშრომლობით, რომელიც უზრუნველყოფს უწყვეტ კონსულტაციას და სახელმძღვანელო მითითებებს სათანადო პრაქტიკასთან და სტანდარტებთან დაკავშირებით და მოთხოვნების შესრულების მონიტორინგს. შესაბამის შემთხვევებში, ბანკმა შესაძლოა გამოიყენოს დამოუკიდებელი გარეშე ექსპერტები განხორციელების და მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით. მონიტორინგის ფარგლებში ბანკი მოითხოვს თითოეულმა მაღალი რისკის მქონე კლიენტმა წარუდგინოს ბანკს წლიური ანგარიში მათი ეკოლოგიური და სოციალური მაჩვენებლების შესახებ და განახორციელონ ეკოლოგიური და სოციალური სამოქმედო გეგმები. ზოგ შემთხვევაში ბანკის პერსონალი ბანკის პერსონალი რეგულარულად სტუმრობს მაღალი რისკის მქონე კლიენტებს. E&S ჯგუფი აწარმოებს კონკრეტული სექტორების პორტფელის ღრმა ანალიზს, როდესაც E&S რისკები მაღალ რისკებად მიიჩნევა.

2019 წლის განმავლობაში, ბანკმა განახორციელა აქტიური ეკოლოგიური და სოციალური საკითხების კომპლექსური შემოწმება (ESDD), სადაც ბანკმა განახორციელა კლიენტების მონიტორინგი და შეიმუშავა სამოქმედო გეგმები შეუსაბამო კლიენტებისთვის. აღნიშნულმა კლიენტებმა დაიწყეს ეკოლოგიური და სოციალური რისკების და მათი ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების დადგენა, თავიდან აცილება, შერბილება და მართვა. სხვა კლიენტებმა განახორციელეს ეკოლოგიური და სოციალური მართვის სისტემები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

გარეშე საკითხების და შეკითხვების დასარეგულირებელი პროცედურები ESMS–ს ფარგლებში გათვალისწინებულია ბანკის E&S პოლიტიკასთან დაკავშირებით საზოგადოების შეკითხვების წარდგენის და ასეთ შეკითხვებზე ბანკის მიერ პასუხის დროულად გაცემის საშუალებები. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებაში, საქართველომ აიღო შესაბამის სექტორში თავისი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების და მისი ეფექტურად განხორციელების ვალდებულება.

დაახლოების პროცესში საქართველო აქტიურად ამუშავებს და ცვლის კანონმდებლობას შესაბამის სექტორებში. შედეგად ბანკი რეგულარულად ამოწმებს სამართლებრივ ცვლილებებს და შესწორებებს გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვასთან და შრომით საკითხებთან დაკავშირებით და მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს ESDD შესაძლებლობების გაუმჯობესებას. ბანკის პერსონალი ორიენტირებულია მიაწოდოს კლიენტებს ინფორმაცია შესაბამისი (არსებული და ახალი) რეგულაციების და კანონების შესახებ ESDD პროცესში, რომლის მიზანია საზოგადოების ინფორმირებულობის და შესაძლებლობების გაძლიერება გარემოს და სოციალური დაცვის სფეროში.

ტრენინგს დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული პოლიტიკის განხორციელებისთვის. 2019 წელს ბანკმა გადამზადების შესაძლებლობები მისცა E&S ჯგუფს და გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის პროცესში ჩართულ პერსონალს. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების განყოფილების ხელმძღვანელმა მონაწილეობა მიიღო IFC–ს მიერ ორგანიზებულ მე–13 წლიურ Performance Standards Community of Learning ფორუმზე, რომელიც წარმოადგენს ცოდნის გაზიარების ფორუმს, რომლის მიზანია განვითარებად ბაზრებზე ფინანსური ინსტიტუტების მიერ ეკოლოგიური და სოციალური სტანდარტების განხორციელების ხელშეწყობა.

აღნიშნული განყოფილების ღონისძიებამ მსოფლიოს მასშტაბით ეკოლოგიური და სოციალური რისკის მართვის სპეციალისტებს მისცა გამოცდილების გაზიარების, საინვესტიციო საქმიანობის პრაქტიკული მაგალითებიდან/კვლევებიდან ცოდნის მიღების და დიალოგში ჩართვის საშუალება. E&S განყოფილების ხელმძღვანელმა ასევე მონაწილეობა მიიღო მწვანე ობლიგაციების და მდგრადი ფინანსური მართვის პროგრამაში (Green Bonds and Sustainable Finance Executive Programme), რომელიც დაპროექტდა და წარმოდგენილი იქნა IFC-თან, სტოკჰოლმის ეკონომიკის ხელმძღვანელობის განათლების სკოლასთან (Stockholm School of Economics Executive Education) და კაპიტალის ბაზრის საერთაშორისო ასოციაციასთან (ICMA) პარტნიორობით, მწვანე ობლიგაციის ტექნიკური დახმარების პროგრამის, (Green Bond Technical Assistance Programme), ფარგლებში, მრავალი დონორის მიერ დაგინანსებული პროგრამა, რომელსაც მთლიანად მართავს და ხელმძღვანელობს IFC და მხარდაჭერილია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SECO), შვეიცარიის ეკონომიკის სახელმწიფო სამდივნოს (SIDA) და ლუქსემბურგის ფინანსთა სამინისტროს მიერ.

პროგრამაში წარმოდგენილია ღრმა ინფორმაცია მწვანე ობლიგაციების გამოშვების და ძირითადი ფაქტორების შესახებ მდგრად დაფინანსებაში, მათ შორის მჭიდროდ დაკავშირებულ პროდუქტებში, როგორიცაა მწვანე ობლიგაციები. E&S ჯგუფმა ასევე მონაწილეობა მიიღო ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) მიერ ორგანიზებულ ტრენინგ პროგრამაში „სასათბურე გაზების შემცირება სამრეწველო სექტორის გაუმჯობესებული ენერგოეფექტურობის გზით“. სოციალური და ეკოლოგიური რისკის მენეჯერი დამატებით დაესწრო FMO-ს - ჰოლანდიის მეწარმეობის განვითარების ბანკი - მიერ ორგანიზებულ ეკოლოგიური და სოციალური საკიტხების მასტერ კლასებს ფინანსური ინსტიტუტებისთვის.
უფრო ზოგადად, ბანკმა ჩაატარა რამდენიმე სასწავლო სემინარი მოცემულ სფეროში, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ბანკმა გადაამზადა 100–ზე მეტი თანამშრომელი. ინსტრუქტორებად მოწვეულნი იყვნენ წამყვანი ექსპერტები და სახელმწიფო ინსპექტორები. ჩვენ ვაპირებთ მომავალშიც ჩავატაროთ მსგავსი ტრენინგები

2018 წელს ბანკმა წარმოადგინა ეკოლოგიური და სოციალური გაუმჯობესების სისტემა, რომლის მხარდამჭერია „ფონდი მწვანე ზრდისთვის“, „ფონდის მწვანე ზრდისთვის“ ტექნიკური დახმარების ფარგლებში (GGF TAF). პროექტი ორიენტირებულია ბანკის ეკოლოგიური და სოციალური სტრუქტურის გაძლიერებაზე, იმისათვის, რომ გახდეს საუკეთესო პრაქტიკის მქონე ეკოლოგიური და სოციალური მართვის სისტემა საქართველოს ბაზარზე. პროექტის მიზანია (i) ბანკის მიმდინარე ეკოლოგიური და სოციალური პროცესების შეფასება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების რეკომენდაციების და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის, კერძოდ ISO 14001:2015 საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; (ii) შეფასების დროს დადგენილი ხარვეზების აღმოფხვრა დოკუმენტაციის და პროცესების გადახედვის და შესწორების გზით, კონსულტაციის გაწევა, რეკომენდაციების გაცემა და განხორციელების მხარდაჭერა საჭირო გაუმჯობესებებისთვის; და (iii) განახლებული ეკოლოგიური და სოციალური პროცედურების და სისტემების საბოლოო შეფასების განხორციელება, ჩვენს მიერ პროექტის საწყის ეტაპზე განსაზღვრული მოთხოვნების და საუკეთესო პრაქტიკის შესრულების დადასტურების მიზნით. პერსონალის ტრენინგი პროექტის ერთ–ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

პერსონალის ტრენინგი პროექტის ერთ-ერთი შედეგია. 2019 წელს ბანკის 18 თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა გარემოსდაცვითი მართვის სისტემის შესახებ ინფორმირებულობის და შიდა აუდიტის სასწავლო კურსში. ტრენინგის მიზანი იყო შესაბამისი პერსონალის აღჭურვა სისტემის გაუმჯობესებაში წვლის შეტანისთვის საჭირო ცოდნით და უნარებით. პროექტი დასრულდა 2019 წელს.

2019 წელს ბანკმა წარმოადგინა ახალი პროექტი, კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება, „ფონდი მწვანე ზრდისთვის“ (GGF) მხარდაჭერით, „ფონდის მწვანე ზრდისთვის“ ტექნიკური დახმარების ფარგლებში (GGF TAF). ამ პროექტის მიზანია საქართველოს ბანკის დახმარება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ნარჩენების მართვის დეტალური გეგმის არსებობა სარგებლის მომტანია ბანკისთვის არამხოლოდ ადგილობრივი კანონმდებლობის სრული დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით (რაც რათქმაუნდა ბანკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია), არამედ ასევე წარმოადგენს:

(ა) უფრო ზუსტ სურათს ბანკის მიერ საქმიანობის პროცესში გენერირებული ნარჩენების ტიპების და რაოდენობის შესახებ; (ბ) მყარ საფუძველს ნარჩენების მართვის სათანადო პრაქტიკებისთვის (ნარჩენების შეგროვება, დროებით შენახვა, წინასწარ დამუშავება, ტრანსპორტირება, რეგენერაცია, მოცილება და სხვა) რომელიც განხორციელდება ბანკის ფარგლებში; (გ) ბანკში განხორციელებული ნარჩენების მართვის საქმიანობების მეტ კონტროლს, იმგვარად, რომ ისინი აკმაყოფილებდეს საკანონმდებლო მოთხოვნებს, არის ეფექტური და საკმარისი სხვადასხვა ტიპის საშიში და არასაშიში ნარჩენების კონკრეტული თვისებების გათვალისწინებით; (დ) კონკრეტული ნარჩენების პრევენციის / შემცირების და რეგენერაციის (მათ შორის რეციკლირების) საქმიანობების დადგენის, დაგეგმვის და განხორციელების შესაძლებლობებს (კერძოდ საშიშ ნარჩენებთან დაკავშირებით).

პროექტის მიზანია ასევე საერთო სახელმძღვანელო დოკუმენტის შედგენა საკანონმდებლო მოთხოვნების შესახებ ნარჩენების მართვის გეგმასთან დაკავშირებით, რომელიც ბანკმა უნდა წარუდგინოს სხვა დაინტერესებულ პირებს (მიკრო, SME და ბანკის კორპორატიული კლიენტები). გარდა ამისა ერთდღიანი ტრენინგი ჩაუტარდებათ ბანკის თანამშრომლებს ბანკში ნარჩენების უსაფრთხო და სათანადო მართვის პრაქტიკების შესახებ.

2019 წელს ბანკმა წარმოადგინა გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის შეფასების და გაუმჯობესების სისტემა, რომლის მხარდამჭერია DEG - Deutsche Investitions - und Entwicklungsgesellschaft. პროექტის მიზანია: (ა) მოქმედი ESMS შეფასება; (ბ) ESMS გაუმჯობესება და გადახედვა, მაღალი რისკის მქონე კლიენტების მართვაზე და იდენტიფიკაციაზე ფოკუსირებით; (გ) კლიენტის დახმარება ეკოლოგიური და სოციალური საკითხების კომპლექსურ შემოწმებაში (ESDD) და შეფასება საქართველოს კანონმდებლობის და IFC ეფექტურობის სტანდარტების მიხედვით მაღალი რისკი მქონე კლიენტებთან დაკავშირებით; (დ) კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგის ჩატარება გაუმჯობესებულ ESMS შესაბამისი პერსონალისთვის; და (ე) ელექტრონული სასწავლო პროგრამის შემუშავება E&S რისკის მართვაში მონაწილე პერსონალისთვის.

ESMS განმავლობაში რამდენიმე ჯილდო იქნება მიღებული. 2014 წელს საქართველოს ბანკმა მოიპოვა „Green Service“ ჯილდო საქართველოს მწვანე ბიზნესის დაჯილდოებაზე / Green Business Awards, რომელიც ორგანიზებული იყო საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ. 2017 წელს EBRD-მა ბანკს გადასცა „2016 წლის გარიგების“ ჯილდო პროექტის დაფინანსებისთვის, რომლის მიზანი საქართველოს ერთ-ერთი ჰიდროელექტროსადგურის განახლებადი ენერგიის შესაძლებლობების მხარდაჭერა იყო. 2019 წელს Caucasus Energy Efficiency Programme ფარგლებში, ჩვენმა თანამშრომლებმა ზურა კოკოსაძემ და თამარ ბეღელურმა მიიღეს EBRD-ის ჯილდოები: საუკეთესო კორპორაციული ბანკირი და საუკეთესო ბანკირი უძრავი ქონების სფეროში, ენერგოეკონომიურობის კუთხით მაღალი შედეგებისთვის.

ბანკი ვალდებულია შეასრულოს მდგრადი განვითარების პრინციპები, დაიცვას გარემო და სურს გააუმჯობესოს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების დაცვის დონე, რომელიც მდგრადი განვითარების და ეკონომიკის ზრდის არსებითი კომპონენტია. ბანკი გააგრძელებს საქმიანობას ბუნებრივი და სოციალური გარემოს დაცვის საკითხების სათანადოდ გათვალისწინებით წვლილს შეიტანს მდგრადი საზოგადოების შექმნაში. ბანკი ასევე დაეხმარება კლიენტებს მიიღონ სარგებელი E&S პოლიტიკის სათანადოდ განხორციელების შედეგად.

პირდაპირი ზემოქმედება გარემოზე

ჩვენ ვთვლით, რომ პირდაპირი ზემოქმედება გარემოზე მნიშვნელოვანი არ არის. მიუხედავად ამისა ჩვენ ვახორციელებთ მთელ რიგ ღონისძიებებს ქაღალდის, ელექტროენერგიის და საწვავის მოხმარების შესამცირებლად. „მწვანე ყუთები“ განთავსებულია ბანკის სათავო ოფისების ყველა სართულზე და განკუთვნილია მაკულატურის შეგროვებისთვის მისი გადამუშავების მიზნით. ბანკის ზოგიერთი დეპარტამენტი, რომელიც ინტენსიურად იყენებს ქაღალდს, გადავიდა ორი მონიტორის პრინციპზე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ქაღალდის მაკულატურას. განათების სისტემა ბანკის ყველა სერვის-ცენტრში ჩანაცვლდა ენერგო-ეფექტური ლედ ნათურებით, რომელიც გაცილებით ნაკლებ ელექტროენერგიას მოიხმარს ტრადიციულ ეკონომიურ ნათურებთან შედარებით.

2019 წელს ბანკმა საწვავის მოხმარების შემცირების მიზნით მოახდინა თავისი ავტომობილების პარკის აუთსორსინგი. ნარჩენების მართვის ინიციატივებთან დაკავშირებით, იხილეთ ეკოლოგიური საკითხები ამ ნაწილის დასაწყისში.

სასათბურე გაზების ემისია და გამოთვლის მეთოდოლოგია

ჩვენ წარმოვადგინეთ ანგარიში ემისიების ყველა წყაროების შესახებ, რომელიც მოითხოვება კომპანიათა შესახებ 2006 წლის კანონის შესაბამისად (სტრატეგიული ანგარიში და დირექტორის ანგარიში), 2013 წლის რეგულაციებით (1 და 2 ასლი) და დამატებით ანგარიში 3 ნაწილით გათვალისწინებული ემისიების შესახებ, რომელიც ეხება ჩვენს საქმიანობას. ჩვენ არ გვეკისრება პასუხისმგებლობა ემისიების წყაროებზე, რომლებიც არ არის შეტანილი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში.

ემისიების შესახებ მონაცემების მომზადებისას გამოვიყენეთ მსოფლიო რესურსების ინსტიტუტის / მსოფლიო ბიზნეს საბჭო მდგრადი განვითარებისთვის (WRI/WBCSD) სასათბურე გაზების ემისიის პროტოკოლის გამოყენებით: კორპორატიული აღრიცხვის და ანგარიშგების სტანდარტი (რედაქტირებული ვერსია) და ემისიების ფაქტორები, გაერთიანებული სამეფოს მთავრობის სასათბურე გაზების კონვერსიის ფაქტორები კომპანიის ანგარიშგებისთვის, 2016 წ.

ჩვენი გამოქვეყნებული მონაცემები შეგროვდა და წარმოდგენილ იქნა ბანკთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს ყველა ოფისს და საცალო ფილიალებს, სადაც ბანკი ახორციელებს საოპერაციო კონტროლს. მონაცემები წარმოდგენილია ადგილზე წარმომადგენლების, ანგარიშ-ფაქტურების და მრიცხველის მაჩვენებლების საფუძველზე.

მონაცემები 2017 წლის შედარებითი სასათბურე გაზების ემისიების შესახებ ცხრილში წარმოდგენილია მხოლოდ ბანკთან დაკავშირებით.

სფერო 1 (საწვავის წვა და ობიექტების საქმიანობა) მოიცავს ემისიებს შემდეგიდან:

- ბუნებრივი გაზის, დიზელის და ბენზინის წვა სტაციონარულ მოწყობილობაში საკუთრებაში და კონტროლის ქვეშ არსებულ ობიექტებზე; და
- ბენზინის, დიზელის და საავიაციო საწვავის წვა საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო მოწყობილობებში.

სფერო 2 (საკუთარი მოხმარებისთვის შესყიდული ელექტროენერგია, გათბობის, ორთქლის და გაცივების სისტემები) მოიცავს ემისიებს შემდეგიდან:

- გამოყენებული ელექტროენერგია საკუთრებაში და კონტროლის ქვეშ არსებულ ობიექტებზე; ემისიების გამოსათვლელად ჩვენ გამოვიყენეთ კონვერსიის ფაქტორი არა-OECD ევროპის და ევრაზიის ქვეყნებისთვის (საშუალო)გაერთიანებული სამეფოს მთავრობის სასათბურე გაზების კონვერსიის ფაქტორები კომპანიის ანგარიშგებისთვის, 2016 წ.

სფერო 3 მოიცავს ემისიებს შემდეგიდან:

- თვითმფრინავით საქმიანი მივლინება (მოკლე მანძილზე და გრძელ მანძილზე); ინფორმაცია მგზავრობის კლასის შესახებ ხელმიუწვდომელია, თუმცა ჩვენ გამოვიყენეთ „საშუალო მგზავრის“ კონვერსიის ფაქტორი;;
- ხმელეთით ტრანსპორტირება, მათ შორის ტაქსების, ავტობუსების და ავტომობილის დაქირავება; და
- მონაცემები მგზავრობით გამოწვეული ემისიების შესახებ წარმოდგენილია მხოლოდ საქმიან მივლინებასთან დაკავშირებით და არ მოიცავს მონაცემებს ყოველდღიური მგზავრობის შესახებ.

სასათბურე გაზის ემისიების საერთო მონაცემები (ტონა - CO_2E)

	2019	2018	2017
სფერო 1	1,507	2,034	2,504
სფერო 2	7,488	7,370	7,141
სფერო 3	3,029	3,029	2,819
სულ ემისიები	**14,043**	**12,433**	**12,464**

ზემოქმედება სოციალურ გარემოზე საქმიანობის შედეგად

საქართველოს ბანკი აგრძელებს საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის მხარდაჭერას იმ დარგების დაფინანსების გზით, რომლებსაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის განვითარებისთვის.

კორპორატიული საბანკო საქმიანობა

განათლება

საქართველოს ბანკმა დააფინანსა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) ახალი 33,000 კვადრატული მეტრი შენობა თბილისში. სეუ, რომელიც დაარსდა 2001 წელს, არის ერთ-ერთი უმსხვილესი კერძო უნივერსიტეტი საქართველოში, რომელიც სხვადასხვა კურსებს 6,500 საბაკალავრო ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.

ახალი შენობით გაიზარდა სეუ-ს შესაძლებლობები 12,000 სტუდენტით და მასში წარმოდგენილია სხვადასხვა საგანმანათლებლო და სპორტული კომპლექსები, მათ შორის უდიდესი კერძო ლაბორატორია, შიდა საცურაო აუზი და მრავალფუნქციური სპორტის დარბაზები.

ტურიზმი

საქართველოს ბანკმა დააფინანსა ხუთ-ვარსკვლავიანი 161 ნომრიანი სასტუმრო Wyndham Grand Hotel, რომელიც მდებარეობს თბილისის ცენტრში. სასტუმრო იღებს მზარდ, მაღალხარისხიან ტურისტულ სეგმენტს. და სთავაზობს დასვენებისა და კომფორტის ფართო სპექტრს, როგორიცაა: სპა, გამაჯანსაღებელი კლუბი, აუზი, სატრენაჟორო დარბაზი, ბარი სახურავზე და რესტორანი.

მშენებლობა

„ჰაიდელბერგცემენტი“ არის სამშენებლო მასალების მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელი, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2006 წლიდან და არის ლიდერი ადგილობრივ ცემენტის ბაზარზე. უწყვეტი 14 წლიანი საქმიანობის შემდეგ საქართველოს შვილობილი კომპანია „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“, ამჟამად ამუშავებს ორ ინტეგრირებულ თანამედროვე ცემენტის ქარხანას (კასპი და რუსთავი), ცემენტის ქარხანას ფოთში, ცემენტის ტერმინალს შავი ზღვის სანაპიროზე და 13 მზა ბეტონის საწარმო საქართველოს სხვადასხვა ნაწილში. „ჰაიდელბერგცემენტმა“ განახორციელა 300 მილიონ ევროზე მეტი ინვესტიცია საქართველოში, მათგან დიდი ნაწილი მიმართული იყო არსებული ცემენტის წარხნების მოდერნიზაციაზე და ბეტონის და აგრეგატების ბიზნეს ხაზების გაფართოებაზე. 2019 წელს დასრულდა კასპის ქარხნის მოდერნიზაცია ახალი საშრობით. პროექტი ნაწილობრივ დაფინანსდა საქართველოს ბანკის მიერ.

„ზოდი“ არის სამშენებლო მასალების ერთ-ერთი წამყვანი იმპორტიორი და მწარმოებელი საქართველოში. 2018 წლის მეორე ნახევარში „ზოდმა“ დაიწყო ქართული ბუნებრივი ქვის (გრანიტი, ტუფი, ორფუძიანი ბაზალტი და კირქვა) ქარხნის გახსნის იდეის შემუშავება და მაღალი ხარისხის და კონკურენტული ფასის შეთავაზება ბაზარზე. ბანკის დახმარებით და „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, აღნიშნული იდეა წარმატებით განხორციელდა 2019 წელს და კომპანია ამჟამად ამუშავებს თანამედროვე იტალიური, თურქული და ჩინური დანადგარებით აღჭურვილ ქარხანას და წლიური მოცულობა შეადგენს 50,000 კვადრატულ მეტრს.

ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზნად რჩება. 2019 წელს საქართველოს ბანკმა გასცა გარანტიები, ჯამში 146 მილიონი ლარის ოდენობით სამშენებლო სამუშაოებისთვის ჩუმათელეთი-ხევის E-60 მაგისტრალის გაუმჯობესებაზე და ქვეშეთი-კობის გზის (გზის მონაკვეთი) მშენებლობაზე ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფანი (ქვეშეთი - კობი) გზის პროექტი.

ექსპორტი

2019 წელს, ისრაელში დაფუძნებული საერთაშორისო თავდაცვის რადიოელექტრონიკის კომპანიაElbit Systems, საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ საინვესტიციო ინსტრუმენტთან, საპარტნიორო ფონდთან თანამშრომლობით, გახსნა მაღალ-ტექნოლოგიური თანამედროვე საავიაციო ნაწილების ქარხანა თბილისში. ქარხანა აწარმოებს სამოქალაქო საავიაციო ნაწილებს და გააჩნია გრძელვადიანი მიწოდების კონტრაქტები თვითმფრინავების მსოფლიოს უმსხვილეს მწარმოებლებთან. პროდუქციის 100 იქნება ექსპორტირებული. საქართველოს ბანკმა დააფინანსა ობიექტის მშენებლობა და სპეციალურად დაპროექტებული დანადგარი საავიაციო მასალების წარმოებისთვის.

მომსახურებები

2018 წელს , „გრინვეი საქართველომ“ გაიმარჯვა სახელმწიფო ტენდერში და აიღო ტექინსპექტირების 51 ახალი ხაზის გამართვის ვალდებულება მთელი საქართველოს მასშტაბით, ათწლიანი ლიცენზიით. ამჟამად „გრინვეი“ ამუშავებს ათ ინსპექტირების ცენტრს დედაქალაქის ყველაზე მოხერხებულ ადგილებში, 16 ინსპექტირების ცენტრს რეგიონებში და სამ მობილურ ინსპექტირების სადგურს, 17 რეგიონში. ყველა ინსპექტირების ცენტრი აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა ექვსი თვის განმავლობაში, 2019 წლის ბოლოს. ამჟამად „გრინვეი საქართველო“ უდავო ბაზრის ლიდერია საბაზრო წილის თვალსაზრისით. პროექტი ნაწილობრივ დააფინანსა საქართველოს ბანკმა.

„ჯი თი გრუპი“ (GT Group) ფლობს წამყვან პოზიციებს სატვირთო და სპეციალური ტექნიკის ვაჭრობის სფეროში საქართველოში. კომპანიის საქმიანობები ასევე მოიცავს იმპორტს და სასოფლო-სამეურნეო დანადგარების მომსახურებებს. 2019 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი 220 საზოგადოებრივი მომსახურების ავტობუსების შესყიდვაზე თბილისის თბილისის მერიისთვის. „ჯი თი გრუპმა“ მოიგო ტენდერი და საქართველოს ბანკმა დააფინანსა პროექტი.

საცალო საბანკო მომსახურება

საქართველოს ბანკი აგრძელებს მთელი რიგი ინოვაციური სოციალურად ორიენტირებული ფინანსური პროდუქტების და მომსახურებების შექმნას, რომელიც დამატებით სარგებელს მისცემს ფიზიკურ პირებს და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებს (SMEs) და დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს.

Express საბანკო მომსახურება

საქართველოს საბანკო სექტორი კვლავ აწყდება სირთულეებს ეკონომიკური და გეოგრაფიული ბარიერების დაძლევაში თავისი ფინანსური მომსახურებების გაფართოებასთან დაკავშირებით რეგიონებში და მოსახლეობის დაბალშემოსავლიან სეგმენტში.

ჩვენი Express საბანკო მომსახურება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ საკითხის მოგვარებაში.

- 2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით, 162 Express ფილიალის ქსელი და 3,217 Express Pay გადახდის აპარატი არის განთავსებული ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის დაშორებულ მთიან რეგიონებში.
- Express ფინანსური პროდუქტები, როგორიცაა Express ბარათი, Express ანაბარი და Express სესხი მარტივი, ადვილად ხელმისაწვდომი და ხელსაყრელია მოსახლეობის იმ სეგმენტისთვის, რომელსაც სხვაგვარად არ აქვს წვდომა საბანკო პროდუქტებზე და მომსახურებებზე. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკმა მოიზიდა 542,566 კლიენტი, მათგან 24,842 გახდა ბანკის კლიენტი 2019 წელს.

Express საბანკო მომსახურების ფარგლებში ჩვენ პრიორიტეტი მივანიჭეთ თვითმომსახურების უნარების განვითარებას. ჩვენ ვგეგმავთ გავაფართოოთ Express Pay გადახდის აპარატების მიერ შეთავაზებული მომსახურებები. ყველა ეს ცვლილება უფრო მეტად ხელმისაწვდომს გახდის საბანკო მომსახურებას ჩვენი კლიენტებისთვის. 2017 წელს ბანკმა შეიმუშავა ვებ-ბაზაზე განცხადების დამუშავების ინსტრუმენტები, რითაც შესაძლებელია სრული საკრედიტო ციკლის დასრულება დისტანციურად.

Express სტუდენტური ბარათი ითვალისწინებს სპეციალურ ფასდაკლებებს საზოგადოებრივ ტრანსპორტში და უფასო დისტანციურ საბანკო მომსახურებებს სხვა სარგებელთან ერთად. გარდა ამისა სტუდენტს შეუძლია მიიღოს სპეციალური # სტუდენტური შესვენების ფასდაკლებები სხვადასხვა მაღაზიაში, კაფეებში და გასართობ ცენტრებში. სტუდენტები ავტომატურად ერთვებიან Plus+ ლოიალობის პროგრამაში - ეს არის ბანკის ინიციატივა, რომელიც სხვადასხვა სტატუსის დონეებს სთავაზობს კლიენტებს და ანიჭებს ქულებს, რომელიც გროვდება კლიენტის ბანკთან ურთიერთობის საფუძველზე და შეიძლება გადახდილ იქნას პარტნიორი კომპანიების პროდუქტებში და/ან მომსახურებებში, კლიენტის მოთხოვნით. Plus+ ქულები შეიძლება ასევე გადაიცვალოს მობილური ტელეფონის ბალანსის შევსებაზე და გამოყენებულ იქნას საზოგადოებრივ ტრანსპორტში, კომუნალური გადასახადების და სხვა პროდუქტების გადასახდელად. ეს პროგრამა სტიმულს აძლევს სტუდენტებს გამოიყენონ ფინანსური მომსახურებები და მხარს უჭერს მათ ფინანსურად სწავლის დასრულებამდე

ახალგაზრდების მხარდაჭერა

ჩვენ შევიმუშავეთ ფართო ფინანსური პროდუქტების ასორტიმენტი ახალგაზრდების მხარდასაჭერად საქართველოში. მაგალითად საბავშვო ანაბარის სპეციალური პირობებით ჩვენ მშობლებს ვაძლევთ შესაძლებლობას უზრუნველყონ თავიანთი შვილების მომავალი. ანაბარის გახსნა შესაძლებელია მინიმუმ 10 ლარიდან მინიმუმ ორი წლის ვადით ნებისმიერ დროს ბავშვის დაბადებიდან 18 წლამდე. წლიური საპროცენტო განაკვეთი (10.3% ლარში და 1.0%-3.5%-მდე უცხოურ ვალუტაში) ემატება საწყის შენატანს. 2019 წელს ჩვენ გავხსენით დაახლოებით 8,000 საბავშვო ანაბარის ანგარიში.

სხვა მაგალითი ბანკის პროდუქტებისა, რომლის მიზანია ახალგაზრდების მხარდაჭერა, არის სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტი “sCool Card” – მრავალფუნქციური ბარათი სკოლის მოსწავლეებისთვის. ამ პროექტის მთავარი მიზანია ასწავლოს ბავშვებს ფინანსური კულტურა და მიიღონ ცოდნა ფინანსური მომსახურებების შესახებ ადრეულ ეტაპზე.. sCool Card ხელმისაწვდომია უფასოდ და ასევე უფასოა ყველა ტრანზაქცია და მომსახურება. sCool Card სპეციალურ სარგებელს აძლევს საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებს. სარგებელში შედის უფასო საზოგადოებრივი ტრანსპორტი თბილისში (მეტრო, ავტობუსი) და ბათუმში (ავტობუსები) ფასდაკლება ბავშვებს შორის პოპულარულ გასართობ ცენტრებში, ასევე წიგნის მაღაზიებში, სათამაშოების მაღაზიებში, საბავშვო კაფეებში, აგრეთვე ქულების დაგროვება (sCoola) თითოეული ტრანზაქციით.

საბანკო პროდუქტების უკეთ გაგებაში ბავშვების დასახმარებლად, ბანკმა გახსნა sCool Card Business School, სადაც გამოცდილი პერსონალი ატარებს ტრენინგს ისეთ თემებზე, როგორიცაა „ფულის მნიშვნელობა“, „ბანკი და მე“, „ოჯახის ბიუჯეტი“, „მე ვარ მენეჯერი“ და სხვა. საქართველოს ბანკი და sCool Card არიან Child Friendly Banking Award 2017 ჯილდოს, The Global Inclusion Awards 2017 (ბერლინი, გერმანია) ჯილდოს ფინალისტები.

მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები (MSME)

ჩვენ ვაგრძელებთ MSMEs საწარმოების დაფინანსებას, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის ხერხემალს და ხელს უწყობს საქართველოს მდგრად განვითარებას. ჩვენი საკუთარი მიკროსაფინანსო და SME სესხის პროგრამების გარდა, ასევე მონაწილეობას ვიღებთ სხვადასხვა პროექტებში, რომლებიც მხარს უჭერს მეწარმეებს. 2015 წლიდან ბანკი არის სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს (APMA) პარტნიორი, რომელიც მხარს უჭერს MSMEs-ს სოფლის მეურნეობის სექტორში. ერთობლივად ჩვენ გვაქვს თანა-დაფინანსებული აგროსესხები, ფიქსირებული წლიური საპროცენტო განაკვეთით, რომელსაც ნაწილობრივ იხდის APMA. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მიერ MSMEs -ზე გაცემული მთლიანი სესხის საერთო თანხამ შეადგინა 2.7 მილიარდი ლარი, აქედან 173 მილიონი ლარი გაიცა Preferential Agriculture Lending Program პროგრამის მეშვეობით.

2018 წელს ბანკმა გააგრძელა მიკრობიზნესის მფლობელების დაფინანსება და ამ სეგმენტს თვლის პორტფელის ზრდის ერთ-ერთ მთავარ სფეროდ.

ბანკმა დანიშნა პერსონალი და განსაზღვრა პროცესები თავის Micro-Express სესხებთან დაკავშირებით მიკრო ბიზნესისთვის და სთავაზობს მათ სესხებს 40,000 ლარის ფარგლებში. ავტომატიზაციის და ციფრულ ფორმატზე გადასვლის ზრდა ბანკის მიკრო კრედიტირების სტრატეგიის ერთ-ერთი საფუძველია, რითაც საბანკო საქმიანობა ხდება სწრაფი, ერთგვაროვანი და სასიამოვნო.

საქართველოს ბანკი აპირებს დამატებით გააფართოოს MSMEs-ს დაფინანსება. გარდა ამისა ბანკი ისწრაფვის განავითაროს ფინანსური პროდუქტები და კრედიტირების პრაქტიკა კონკრეტულად იმ MSMEs-თვის, რომლებსაც უძღვებიან ქალები, რაც საბოლოოდ გაზრდის მათ ჩართულობას საქართველოს კერძო სექტორის განვითარებაში.

MSMEs-ის ფინანსური დახმარების გარდა, ბანკი აწარმოებს MSME პორტალს www.businesshub.ge. პორტალზე წარმოდგენილია ფინანსური და ბიზნესთან დაკავშირებული რჩევები მეწარმეებისთვის მათი ფინანსური განათლების და ხელმძღვანელობის უნარების გასაუმჯობესებლად და უზრუნველყოფს მათი ბიზნესების მდგრად განვითარებას. პორტალი აწვდის ინფორმაციას მეწარმეებს ტრენინგების შესახებ და უზრუნველყოფს ცოდნით და უნარებით ბუღალტრული აღრიცხვის, იურიდიული დოკუმენტების, ბიზნესის განვითარების, გაყიდვების და მარკეტინგის შესახებ.

ბანკი ეხმარება თავის კლიენტებს პროდუქტების მარკეტინგში ვიდეო მასალების მეშვეობით, რომელიც ჩვენი შექმნილია და გამოქვეყნებულია ჩვენს გვერდებზე სოციალურ მედიაში. #Icreate კუთხეები, რომლებიც განთავსებულია საქართველოს ბანკის ფილიალებში, ასევე ფართო შესაძლებლობებს აძლევს კლიენტებს წარმოადგინონ და რეკლამა გაუკეთონ თავიანთ პროდუქტებს უფასოდ.

MSME კლიენტების ეკოლოგიური და სოციალური რისკის მართვის პროცესები ჩართულია ბანკის მთლიან საქმიანობებში. ყოვლისმომცველი ეკოლოგიური და სოციალური რისკის შეფასებებით და საჭირო სამოქმედო გეგმების განხორციელებით, ჩვენ ხელს ვუწყობთ ჩვენს MSME კლიენტებს დაიცვან ეკოლოგიური და სოციალური კანონმდებლობა.

ობიექტზე ვიზიტების დროს ჩვენს კლიენტებს ვაძლევთ რჩევებს და სახელმძღვანელოს სათანადო პრაქტიკაზე და სტანდარტებზე მოცემულ სფეროებში. ჩვენ მათ მივაწვდით ინფორმაციას გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების , ასევე შრომითი საკითხების შესახებ. ასევე ვახორციელებთ მათ მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური კანონმდებლობის დაცვას. შეუსაბამობის შემთხვევაში ჩვენი MSME კლიენტების ეკოლოგიური და სოციალური რისკების სათანადო და დროული მართვა ეხმარება მათ ისეთი პრობლემების მოგვარებაში, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ფინანსური და იურიდიული სანქციები სახელმწიფოს სამართალდამცავი უწყებიდან.

დამატებითი ინფორმაცია ჩვენს მიერ MSME მხარდაჭერის შესახებ იხილეთ გვერდებზე 35 - 38.

დაფინანსება და ქველმოქმედება

ჩვენი დაფინანსების და საქველმოქმედო ღონისძიებების ფარგლებში, ჯგუფი ორიენტირებულია ხელი შეუწყოს და გააუმჯობესოს წვდომა განათლებაზე, დაიცვას ბუნება, დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, განავითაროს სოციალური საწარმოები და ხელი შეუწყოს ინოვაციურ პროექტებს, რომელიც მიმართულია სოციალურ კეთილდღეობაზე. ჯგუფის სპონსორული და საქველმოქმედო პოლიტიკა ხელს უწყობს პარტნიორობას სხვადასხვა ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან (NGOs) მდგრადი შედეგების მისაღებად და დადებითი ცვლილებების განსახორციელებლად. საქველმოქმედო ფონდები დაკავშრებულია ბანკის ფონდის „სიცოცხლის ხის“ მეშვეობით, რომელიც თავის მხრივ ანაწილებს დაფინანსებას საგრანტო კონკურსების გზით, დაფინანსების გამჭვირვალე და სამართლიანი მეთოდებით. ჯგუფი ასევე ახორციელებს საკუთარ სოციალურ პროექტებს.

2019 წელს სიცოცხლის ხემ გამოყო დაახლოებით 1.9 მილიონი ლარი განათლების, ბუნების დაცვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, სოციალური პლატფორმების და სოციალური მეწარმეობის განვითარების მხარდასაჭერად. საქართველოს ბანკმა ფონდ „სიცოცხლის ხესთან“ ერთად შექმნა საქველმოქმედო პლატფორმა www.donate.ge, რომელიც აკავშირებს გაჭირვებულ ადამიანებს მათთან, ვისაც სურს მათი დახმარება სხვადასხვა საგნებით, ტანსაცმლით, წიგნებით და სხვა. პლატფორმა სთავაზობს საგნების შეგროვებას, დახარისხებას და მიწოდებას. 2018-2019 წლებში შეგროვდა 84,769 ნივთი 963 დონორისგან და www.donate.ge უკვე დაეხმარა 2,181 ბენეფიციარს

.

საქართველოს ბანკი აღიარებს ზემოქმედებას, რომელიც შესაძლოა მოახდინოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. აქედან გამომდინარე ბანკმა გამოსცა საგრანტო პროგრამა სოციალურად მართული საწარმოების მხარდაჭერაზე საქართველოში. 2016-2019 წლებში, საქართველოს ბანკმა მხარი დაუჭირა ათ სოციალურ 650,000 ლარით და 50,000 ლარით თითოეულ პროექტზე. ბანკი არის სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის პარტნიორი თავისი როლის მაქსიმალურად შესრულებაში საზოგადოებრივ საქმიანობაში.

განათლებაზე წვდომის ხელშეწყობა და გაუმჯობესება

2013 წელს ბანკი გახდა პირველი ქართული კომპანია, რომელიც თანამშრომლობს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სტიპენდიის პროგრამაზე მსოფლიოში - „ჩივნინგის სტიპენდიაზე“ / Chevening scholarship. თანამშრომლობა შესაძლებლობას აძლევს ქართველ სტუდენტებს განათლება მიიღონ დიდ ბრიტანეთში. 2019 წელს ჯგუფმა უზრუნველყო 100 ათასი გირვანქა სტერლინგი სამი სტუდენტის სამაგისტრო პროგრამის დასაფინანსებლად. „ჩივნინგთან“ პარტნიორობა გაგრძელდება მომდევნო წლის განმავლობაში და ჯგუფი შეარჩევს მათ სწავლას დიდ ბრიტანეთში.

2014 წელს საქართველოს ბანკმა ხელი მოაწერა პარტნიორობის ხელშეკრულება პრესტიჟულ აშშ ფულბრაიტის (Fulbright) სტიპენდიის პროგრამის ფარგლებში. საქართველოს ბანკის შენატანის წყალობით საქართველოდან შერჩეულ სტუდენტებს შეუძლიათ გაიარონ ორწლიანი სამაგისტრო პროგრამა აშშ-ს უნივერსიტეტში. 2019 წელს ორწლიან პროგრამაზე სტუდენტების დაფინანსებამ შეადგინა 100 ათასი აშშ დოლარი. 2014 წლიდან ბანკმა გამოყო 400 ათასი აშშ დოლარი აშშ ფულბრაიტის სტიპენდიის დაფინანსების პროგრამისთვის

2018 წლიდან საქართველოს ბანკი მხარს უჭერს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს (SDSU) საქართველოში. 2018-2019 აკადემიურ წელს ბანკი დააფინანსებს სტიპენდიას ათი სტუდენტისთვის 80 ათასი აშშ დოლარით.

Miami Ad School Berlin კურსდამთავრებულის და საქართველოს ბანკის ყოფილი თანამშრომლის, ნიკა გუჯეჯიანის, რომელიც სამწუხაროდ გარდაიცვალა 2019 წელს, პატივსაცემად, საქართველოს ბანკმა და Miami Ad School Europe გადაწყვიტეს ნიკას სახელობის სტიპენდიის დაწესება. თანა-დამფუძნებელი, ნიკლას ფრინგს-რაპი, მმართველი დირექტორი, საბინე გეორგი და საქართველოს ბანკი გულწრფელად მხარს უჭერს ამ ინიციატივას. 2020 წლის დაწყებიდან ჩვენ გავეცით ნიკა გუჯეჯიანის სახელობის ერთი სტიპენდია 100% Miami Ad School Europe-ში.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ბანკი მხარს უჭერს საჯარო მეტყველების კონკურსს, რომელიც ჩატარდა ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთა კავშირის ორგანიზებით. კონკურსი უმაღლესი სკოლის გამოსაშვები და უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტებს აძლევს საშუალებას მოამზადონ სიტყვა წინასწარ შერჩეულ თემაზე და წარდგეს კომპეტენტური ჟიურის წინაშე. გამარჯვებულს ენიჭება ანაზღაურებული გამგზავრება ლონდონში საჯარო მეტყველების კონკურსზე დასასწრებად. ჩვენი მიზანია კვლავ დავიჭიროთ მხარი ამ კონკურსს 2020 წელს.

ბანკი მხარს უჭერს ყოველ TEDx Tbilisi კონფერენციას მისი პირველი ჩატარების თარიღიდან 2012 წლიდან. TEDx კონფერენცია არის ადგილობრივად ორგანიზებული TED ფორმატის ღონისძიება, სადაც საზოგადოება, ორგანიზაციები და ფიზიკური პირები იკრიბება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებზე ერთმანეთთან სასაუბროდ.

პრაქტიკული მაგალითი

2018 წელს საქართველოს ბანკის კორპორატიული საბანკო მომსახურების ჯგუფმა მოაწყო თანამედროვე ქართული ნახატების საქველმოქმედო აუქციონი-გამოფენა და მოიწვია თავისი ათი უმსხვილესი კლიენტი მონაწილეობის მისაღებად. შედეგად, აუქციონიდან შეგროვებული 75,000 აშშ დოლარი დაამრგვალა 100,000 აშშ დოლარამდე და აღნიშნული თანხა საქართველოს მთიანი რეგიონების ყველაზე ნიჭიერი ბავშვების დასაფინანსებლად მიმართა. პირველი ხუთი ბავშვი ისწავლის ინგლისში ზაფხულის სკოლაში დიდ ბრიტანეთში. ამ ბავშვებმა პოპულარობა მოიპოვეს სოციალურ მედიაში საქართველოს რეგიონების გაცნობისთვის.

მოზიდული სახსრების ნაწილი გამოყენებული იქნა მრავალფუნქციური ბიბლიოთეკების ორგანიზებისთვის ორი კონფლიქტის ზონის ტერიტორიაზე, სოფლებში დიცი და ხურვალეთი 260-ზე მეტ სტუდენტზე.

ინტერნეტზე წვდომის გასავრცელებლად ფინანსურად ნაკლებ უზრუნველყოფილი ოჯახებისთვის, ჩვენ მხარს ვუჭერთ სოციალურ პროექტს www.charte.ge. ვთვლით, რომ ეს პროექტი მნიშვნელოვანია განათლების ხელმისაწვდომობისთვის. პარტნიორობა გაგრძელდება 2020 წელსაც.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდაჭერა

2014 წლიდან ბანკი ორიენტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდაჭერაზე, რომლებიც ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად სოციალურ ჯგუფს წარმოადგენს საქართველოში. 2019 წელს ბანკმა ამ მიზნით ფონდს სიცოცხლის ხეს გადასცა 75 ათასი ლარი. ფონდი სიცოცხლის ხე ანაწილებს სახსრებს საგრანტო კონკურსების მეშვეობით - ერთ-ერთი განსაზღვრულია შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის, რომელიც მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან და მეორე მათგანის მიზანია სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობა. კონკურსში მონაწილეობისთვის წინადადებები და შეთავაზებები ორიენტირებული უნდა იყოს მცირე საწარმოს შექმნაზე, რომლის მიზანი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საარსებო პირობების გაუმჯობესება.

საკადრო საკითხები

ჩვენი წარმატების მთავარი ფაქტორია შეკრული და პროფესიონალი ჯგუფი, რომელსაც აქვს უნარი განახორციელოს ჯგუფის მიზნები. ჩვენი მიზანია მოვიზიდოთ საუკეთესო პროფესიონალები, ვიზრუნოთ და გავითვალისწინოთ მათი მოთხოვნები, დავაბანდოთ ინვესტიცია მათ განვითარებაში და გავაძლიეროთ მათი დაინტერესება.

ადამიანური კაპიტალის მართვის (HCM) დეპარტამენტი და მენჯმენტის სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი ყველაზე ძვირფასი აქტივის - ჩვენი თანამშრომლების მართვაში. HCM დეპარტამენტი ამუშავებს ადამიანური რესურსების (HR) პოლიტიკას და პროცედურებს, რომელიც განსაზღვრავს მთავარ პრინციპებს, სფეროებს, მიდგომებს და მეთოდებს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანური კაპიტალის მართვის სისტემების შექმნაში ყველა ჩვენს საქმიანობაში.

ამ ნაწილში წარმოდგენილია პრინციპები, რომელიც ეხება მოვალეობების შესრულებას ჩვენი თანამშრომლების წინაშე, აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების საშუალებები და მიღწეული პოლიტიკის მიზნები 2019 წლის განმავლობაში. საქართველოს ბანკის ადამიანური კაპიტალის მართვის (HCM) დეპარტამენტი აკონტროლებს აღნიშნულ პოლიტიკას დირექტორთა საბჭოსთან კოორდინაციით და უზრუნველყოფს შესაბამის განახლებებს ორგანიზაციული, სტრატეგიული ან სისტემური ცვლილებების შესაბამისად. მაგალითად, ჩვენი ანაზღაურების პოლიტიკა, ქცევის კოდექსი, ასევე ადამიანთა უფლებების პოლიტიკა გადაიხედა და შესწორდა 2019 წელს შემორებული მარეგულირებელი მოთხოვნების საფუძველზე.

ჩვენი HR პოლიტიკა და პროცედურები მოიცავს და არა მხოლოდ შემდეგს:

- საკადრო დაგეგმარება და თანამშრომელთა მიღება;
- HR ადმინისტრაცია;
- ანაზღაურება - კომპენსაცია და სარეგებელი;
- HR საქმიანობები – ბიუჯეტი და ანგარიშგება;
- თანამშრომელთა ქცევის კოდექსი;
- თანამშრომელთა სწავლება და განვითარება;
- ადამიანის უფლებები;
- საჩივრები;
- შემცირება; და
- ნეპოტიზმთან ბრძოლა.

ბანკის ადამიანური კაპიტალის მართვის (HCM) დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს ჩვენი შვილობილი კომპანიების HR მენეჯერებთან და ხელმძღვანელობასთან მთავარი პრინციპების სათანადოდ განხორციელების და საჭირო მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით ყველა HR -თან დაკავშირებულ საკითხზე.

ჩვენ ვაღიარებთ ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობას და ჩვენი მიზანია დავნერგოთ სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნეს პრაქტიკა.

ჩვენი ადამინური რესურსების პოლიტიკა განსაზღვრავს პრიორიტეტებს და კონტროლის პროცედურებს თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის და ნებისმიერ საფუძველზე, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების გამო დისკრიმინაციის ან შევიწროების პრევენციის მიზნით. ჩვენი ადამიანების უფლებების დაცვის პოლიტიკა ვრცელდება ყველა თანამშრომელზე და მოიცავს პროცედურებს შრომითიმოწყობის პროცესების (მათ შორის კადრების დაკომპლექტების პროცედურებს და პროცედურებს, რომლებიც არეგულირებს იმ თანამშრომელთა სამუშაო სტაჟის უწყვეტობის საკითხს, რომელიც გახდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი საქმიანობის პერიოდში), ტრენინგის და განვითარების შესახებ.

თანამშრომლების ჩართულობა

ჩვენი მიზანია თანამშრომელთა ჩართულობა. და მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა თანამშრომელი ყველა დონეზე ინფორმირებული იყოს ჩვენი ჯგუფის შესახებ. ჩვენ ვცდილობთ უწყვეტად მივაწოდოთ ჩვენს თანამშრომლებს ინფორმაცია, მათ შორის და არამხოლოდ ინფორმაცია ჩვენი კორპორატიული კულტურის, ჯგუფის სტრატეგიის და ეფექტურობის, საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების, როგორიცაა ფინანსური და ეკონომიკური ფაქტორები და ჩვენი პოლიტიკის და პროცედურების შესახებ. ჩვენ ინფორმაციას წარმოვადგენთ სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის მენეჯერების, პრეზენტაციების, ახალი თანამშრომლების წარდგენის პროცესის, ინტრანეტის, კორპორატიული სოციალური ქსელის - Workplace - მეშვეობით, რაც იძლევა პირდაპირი „ონლაინ“ კომუნიკაციის, ელ-ფოსტის და რეგულარული შეკრებებისა და სამსახურის გარეთ შეხვედრების შესაძლებლობას. კორპორატიული სოციალური ქსელი, Workplace, ჩვენს შიდა სკაომუნიკაციო ინსტრუმენტებს დაემატა 2019 წელს. ქსელი ხელს უწყობს თანამშრომელთა ჩართულობას გუნდური მუშაობის ახალი დონის, ღია, პირდაპირი და პერსონალიზებული კომუნიკაციის მეშვეობით..

2019 წელს ბანკმა კოლექტივთან ურთიერთობა გარდაქმნა თანამშრომლის შთაბეჭდილების მართვაში. ამ ინფორმაციის მიზანია თანამშრომლის შთაბეჭდილების და პასუხისმგებლობის ამაღლება ორგანიზაციის წინაშე ინტერაქტიული კონსულტაციის და კომუნიკაციის გზით ჩვენს თანამშრომლებთან და მენეჯერებთან და მათი კმაყოფილების და ჩართულობის უზრუნველყოფა საქართველოს ბანკში მუშაობის პერიოდში.

თანამშრომლის შთაბეჭდილების მართვა უზრუნველყოფს ჩვენი ღირებულებების დაცვას კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში და თითოეული თანამშრომლის დაინტერესებას, უფლებამოსილების მინიჭებას და უკუკავშირის და პატივისცემის კულტურის გაძლიერებას.

ჩვენ ვაფასებთ ჩვენი თანამშრომლების მოსაზრებებს. რეგულარულად გავდივართ კონსულტაციებს მათთან და ვახორციელებთ უკუკავშირის სისტემებს, როგორიცაა თანამშრომელთა კმაყოფილების რეგულარული კვლევა, რაც უზრუნველყოფს ჩვენი თანამშრომლების მოსაზრებების გათვალისწინებას იმ გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ ინტერესებზე. თანამშრომლების მოსაზრებების გაგება ასევე ხელს შეუწყობს კლიენტზე ორიენტირებული მიდგომის გაუმჯობესებას. 2018 წელს სამეთვალყურეო საბჭოს ინიციატივით, ბანკმა შემოიღო ღონისძიება Employee Voice on Board, სადაც ისწავლება გაზიარების კულტურა, უკუპასუხი, გამჭვირვალობა, თანაბარი შესაძლებლობები, დაფასება, ნდობა და პატივისცემა. 2019 წელს რეგულარული შეხვედრები მოცემული ინიციატივის ფარგლებში მხარდაჭერილი იყო სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ქ-ნი ჰანა ლოიკანენის მიერ, რომელიც მუშაობს თანამშრომელთა ჩართულობის საკითხებზე და თავმჯდომარე ნილ ჯანინის მიერ. საბჭოს სხვა წევრებმა მონაწილეობა მიიღეს აღნიშნულ განხილვებში, რომელიც ჩატარდა ღია და არაოფიციალურ ატმოსფეროში, სადაც მონაწილეებს შეეძლოთ საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი გამოწვევების და შესაძლებლობების, მოტივაციების და უარყოფითი ფაქტორების განსახილველად. აღნიშნული ინიციატივა ხელს უწყობს ერთობლივი პასუხისმგებლობის კულტურას და მუდმივ განვითარებას, თანამშრომლების და მათი როლის ასახვის გზით დიდ ორგანიზაციულ კონტექსტში.

ნდობის და ღია დიალოგის კულტურის ხელშესაწყობად, 2019 წელს, მმართველი საბჭო ეწვია ბანკის სერვის ცენტრებს, რამაც სხვა შესაძლებლობა მისცა თანამშრომლებს განიხილონ საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენენ მათზე და ანიჭებს უფლებას წვლილი შეიტანონ ორგანიზაციულ და სამუშაო ადგილის განვითარების პროცესში. მმართველმა საბჭომ დიდი ინტერესი გამოხატა პერსონალის და ორგანიზაციის საკითხებზე. თითოეულ მონაწილეს შეეძლო გამოეხატა მოსაზრებები და თითოეული მათგანი წახალისებული იქნა აეღო პასუხისმგებლობა და უფრო აქტიურად ჩართულიყო ბანკის წარმატებაში / განვითარებაში. უკუკავშირი აღნიშნული ვიზიტებიდან და შესაბამისი ქმედებების კონტროლი პრობლემების აღმოსაფხვრელად, უზრუნველყოფილი იქნა თანამშრომლებისთვის გენერალური დირექტორის ბ-ნი არჩილ გაჩეჩილაძის მიერ, მის მოადგილესთან და სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად, რომლებიც აკონტროლებენ საცალო ბიზნესს. აღნიშნულის შესახებ ინფორმირება მოხდა Workplace პირდაპირი ეთერით და თანამშრომლებს მიეცათ წარმომდგენებთან პირდაპირი ურთიერთობის, შეკიტხვების დასმის და პასუხების მიღების შესაძლებლობა კონკრეტულ საკითხებზე უკუკავშირთან და შესაბამისი სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით.

Barrett Organisational Values შეფასების შემდეგ 2017 წელს, ჩვენ ყურადღებით ვაკონტროლებთ თანამშრომელთა ჩართულობას და კულტურულ ფაქტორებს. 2019 წელს ჩატარდა თანამშრომლების ჩართულობის კვლევა, Korn Ferry's Engaged Performance™ Framework გამოყენებით, უკრაინაში Korn Ferry წარმომადგენლობასთან თანამშრომლობით და განხორციელდა Barrett Organisational Values შეფასების მეორე ტალღა. კვლევების შედეგებმა, სხვადასხვა ინიციატივებიდან მიღებულ ინფორმაციასთან ერთად, ასახა ზუსტი და ღრმა ცოდნა არსებული მდგომარეობის და საჭიროებების შესახებ თანამშრომელთა ჩართულობასთან და თანამშრომლის პროდუქტიულობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით. საერთო 68% ჩართულობით, Korn Ferry კვლევის შესაბამისად, მეტი ფოკუსი თანამშრომლის წახალისებაზე და გუნდური მუშაობაზე, Barrett-ის შეფასებაში კულტურის სასურველ კომპონენტებად განისაზღვრა.

აღნიშნული შედეგების საფუძველზე, ბანკმა ფოკუსი გადაიტანა კლიენტზე ორიენტირებული კულტურის ახალ ასპექტებზე. თითოეულის გამოცდილების გაუმჯობესების მიზნით ჩვენ გავაერთიანეთ კლიენტის შთაბეჭდილება / კმაყოფილების და ადამიანური კაპიტალის მართვა ერთ ყოვლისმომცველ მიმართულებად, რადგან რთულია კლიენტის კმაყოფილების მაღალი დონის შენარჩუნება თანამშრომლის კმაყოფილების გაუმჯობესების და ამაღლების გარეშე. ამ მიდგომის განხორციელების ინიციატივების და მთავარი საქმიანობები დაინერგება 2020 წელს. ჩვენ ვაპირებთ გადავხედოთ, გავანალიზოთ და ახალი ფორმა მივცეთ პერსონალის საქმიანობას თანამშრომლის საუკეთესო შტაბეჭდილების შესაქმნელად ბაზარზე, განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობებით და თანამშრომლის ჩართულობის მაღალი დონის უზრუნველოფისთვის, საუკეთესო ტალანტების მოზიდვით და დასაქმებით.

კლიენტის და პერსონალის შთაბეჭდილების / კმაყოფილების ინტეგრაციასთან ერთად, 2019 წელი ასევე იყო სწრაფი ტრანსფორმაციის წელი. ბანკმა დაასრულა ტრანსფორმაცია სწრაფი მიწოდების მოდელზე. ჩვენი მთავარი ფოკუსი კეთდება კლიენტის შტაბეჭდილებაზე და შესაბამისად ვისწრაფვით გავაუმჯობესოთ მიწოდების ეფექტურობა და შევამციროთ დანერგვის ვადა თვითორგანიზებული კომპლექსური ჯგუფებისთვის უფლებამოსილების და შესაძლებლობების მიცემის გზით, პროდუქტებთან და ციფრულ არხებთან დაკავშირებით და ზედა დონის სტრატეგიის განხორციელების და მიზნების მიღწევის გზით ჯგუფის დონეზე. ჩვენი მოქნილი მიდგომა უზრუნველყოფს ტექნოლოგიის და ადამიანური გამოცდილების დაკავშირებას რეალური დროის, სწრაფი და პერსონალიზებული ციფრული მომსახურებების შექმნით.

აღნიშნული ტრანსფორმაციები მოიცავს რეგულარულ უკუკავშირს კლიენტებისგან, კომპანიებიდან და თანამშრომლებიდან - ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი უკუკავშირის კულტურის განვითარებას და გაუმჯობესებას ღია და კონსტრუქციული დიალოგით ორმხრივი ნდობის საფუძველზე. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ჩვენ ვეხმარებით ერთმანეთს ზრდასა და განვითარებაში. ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობები ამ კულტურის ნაწილია და ჩვენ რეგულარულად ხორციელდება 2019 წელს:

- მერიის შეხვედრები გენერალურ დირექტორთან;
- გენერალური დირექტორის საინფორმაციო ბიულეტენები, სამადლობელი ელ-ფოსტები და CEO VLOG – Workplace-ზე;
- საქმიანობის კვარტალური მიმოხილვა (QBRs) ხელმძღვანელობასთან; და
- Employee Voice on Board შეხვედრებზე.

თანამშრომლის ჩართულობის ინიციატივების წარმატების და ეფექტურობის შესაფასებლად და მათი მდგრადობის მონიტორინგისთვის, ჩვენ შემოვიღეთ ENPS პრგრამა, ჩვენი ადამიანური კაპიტალის მთავარი KPI (ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებელი) (დეტალები იხილეთ 56 გვერდზე). ჩვენ ვიყენებთ კლიენტის შთაბეჭდილების ონლაინ პლატფორმას Medallia რათა დავეხმაროთ თანამშრომლებს პროდუქტიულობის ამაღლებაში, ჩვენი კლიენტებისგან პირდაპირი უკუკავშირის ანალიზის და ჩვენი საქმიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოყენების გზით (იხილეთ დამატებითი ინფორმაცია Medallia-ზე კლიენტის შთაბეჭდილების ნაწილის გვერდზე 44).

სამართლიანი მიდგომის უზრუნველყოფის მიზნით ჩვენი თანამშრომლების და მათი ანაზღაურების მიმართულებით, ბანკი აკონტროლებს თანამშრომლების ანაზღაურების ტენდენციებს შრომის ბაზრის კომპენსაციის კვლევების საფუძველზე ფინანსურ სექტორში. 2019 წლის კვლევის შედეგები და ანალიზი შიდა მონაცემებით, ადასტურებს, რომ ბანკი ინარჩუნებს კონკურენტუნარიანი დამსაქმებლის პოზიციას.

ჩვენი ანაზღაურების სტრუქტურა ხელს უწყობს თანამშრომლის მუშაობას, რომელიც კონტროლდება რეგულარულად. საქმიანობის განხილვა ჩვენი უკუკავშრის პროცესის ნაწილია. მათი სიხშირე იცვლება პოზიციის მიხედვით და შეიძლება ჩატარდეს ყოველთვიურად, კვარტალურად, წელიწადში ორჯერ და ყოველწლიურად, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე.

ბანკის თანამშრომელთა ანაზღაურების პაკეტი მოიცავს შემდეგ ბენეფიტებს:

- დეკრეტული შევებულების კომპენსაცია (გადაეხადა 385 თანამშრომელს 2019 წელს);
- ჩვენი თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ფინანსური დახმარება ქორწინებასთან, შვილის შეძენასთან ან აყვანასთან, თანამშრომლის ან მისი ოჯახის წევრის გარდაცვალებასთან, თანამშრომლის ოჯახის წევრის ავადმყოფობასთან, თანამშრომლის ავადმყოფობასთან დაკავშირებით (კონკრეტულ შემთხვევებში) როდესაც სადაზღვევო პაკეტი არ ფარავს ხარჯებს;
- მოქნილი ერთდღიანი შვებულება(დეი-ოფ) საქართველოს შრომისნ კოდექსით დადგენილის გარდა; და
- სპეციალური ტარიფები საბანკო პროდუქტებზე და მომსახურებებზე.

საქართველოს ბანკი მისი აფილირებული პირები ისწრაფვიან ხელი შეუწყონ თანასწორობას და მრავალფეროვნებას, კულტურას, რომელიც აქტიურად აფასებს განსხვავებას და აღიარებს, რომ სხვადასხვა კვალიფიკაციის და გამოცდილების ადამიანებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი და სასარგებლო ინფორმაციის მიტანა სამუშაო ადგილზე. ჩვენი მიზანია ვიყოთ ინკლუზიური ორგანიზაცია, სადაც აფასებენ, პატივს სცემენ და ეყრდნობიან მრავალფეროვნებას და აქვს განსხვავებული პერსონალის მოზიდვის და დასაქმების უნარი.

ბანკის მიზანია უზრუნველყოს, რომ არ მოხდეს ფიზიკური პირის ან ჯგუფის პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით (გენდერული, ოჯახური მდგომარეობა, ეთნიკური წარმოშობა, შეზღუდული შესაძლებლობები, ასაკი, სექსუალური ორიენტაცია, წარმომავლობა და ეროვნება, პოლიტიკური ან რელიგიური რწმენა) დასაქმებასთან დაკავშირებით. ყველა ადამიანის უნივერსალური უფლებები, რომელიც ითვალისწინებს პატივისცემით, თანასწორად და ღირსეულ მოპყრობას, მხარდაჭერილი და დეკლარირებულია ჩვენს თანამშრომლის კორპორატიულ სახელმძღვანელოში და ადამიანური უფლებების პოლიტიკაში. ნეპოტიზმთან ბრძოლის პოლიტიკით ჩვენ ვუზრუნველყოფთ და მხარს ვუჭერთ სამართლიან და გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

2019 წელს, ბანკმა ჩაატარა თვით-შეფასება, ქალთა უფლებების გაძლიერების პრინციპებით გათვალისწინებული სახელმძღვანელოთი, რომელიც შეიქმნა „გაეროს გლობალური პაქტის და გაეროს - ქალების“ საფუძველზე. შედეგები შესაძლებლობას მოგვცემს გავაძლიეროთ ჩვენი მიდგომა გენდერული მრავალფეროვნების მიმართულებით.


დირექტორები
რაოდენობა

7



თანამშრომლების რაოდენობა ასაკის მიხედვით
საქართველოს ბანკი

5,879




უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა
რაოდენობა

52




თანამშრომლების რაოდენობა ასაკის მიხედვით
BNB

565



ყველა თანამშრომლის
რაოდენობა

6,547



კვალიფიციური კადრების მოზიდვა და მართვა

ჩვენი საკადრო პოტენციალის მართვის სისტემის მიზანია ჩვენს ბაზარზე არსებული საუკეთესო კვალიფიციური კადრების მოზიდვა და აყვანა და მათი სრულად ჩართვა ჯგუფში. საკადრო პოლიტიკა ჯგუფური ინტერვიუებით, შესაბამისი კონტროლის პროცედურებით და ონლაინ პერსონალის შერჩევის ავტომატიზირებული სისტემით (ATS) უზრუნველყოფს სამუშაოზე აყვანის ობიექტურ პროცესს, რაც დასაქმების თანაბარ შესაძლებლობას აძლევს სხვადასხვა განათლების და გამოცდილების მქონე ყველა კანდიდატს ჩვენი საქმიანობის განვითარების და ახალი სამუშაო მოთხოვნების შესაბამისად.

განაცხადების განხილვის პროცესი ხორციელდება არა-დისკრიმინაციული მიდგომით და კანდიდატებისგან არ მოითხოვს ინფორმაციას ასაკის, დაბადების თარიღის, სქესის შესახებ და/ან ფოტოს, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურობას და თანაბარ წვდომას დასაქმებაზე. ჩვენი მიზანია ასევე ვუზრუნველოთ კადრების განვითარება შიდა ფარგლებში და ვაკანტური პოზიციების დაკავებისას პრიორიტეტი ენიჭება შიდა პერსონალს, განსაკუთრებით იმ სიტუაციაში, როდესაც ვაკანსიები ხელმძღვანელობის უმაღლეს და შუა რგოლს ეხება.

ახალგაზრდა ნიჭიერი კადრების მოზიდვის მიზნით ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ საქართველოს წამყვან ბიზნეს სკოლებთან და უნივერსიტეტებთან, და მუდმივად ვზრდით ჩვენი პარტნიორების რაოდენობას, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტებს შორის მრავალფეროვნებას და აფართოებს დისციპლინების სპექტრს, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ კადრების შერჩევისას. ბანკი რეგულარულად მონაწილეობს ვაკანსიების ბაზარზე და ახორციელებს ინტენსიურ სტაჟირების / სტუდენტების განვითარების პროგრამებს. 2012 წლიდან ჩვენ რეგულარულად ვახორციელებთ სტაჟირების პროგრამებს სპეციალურ ფორმატში და მუდმივად ვაუმჯობესებთ მათ. 2019 წლის განმავლობაში, 38 პირმა მიიღო მონაწილეობა ჩვენს სტუდენტის განვითარების პროგრამაში, მათგან 15 მონაწილე გახდა საქართველოს ბანკის სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელი. პროგრამა ამჟამად ხორციელდება Leaderator (ლიდერატორი) სახელით და სათანადოდ არის აღიარებული საქართველოს შრომის ბაზარზე სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შორის. 2019 წელს განხორციელდა განახლება, რესტრუქტურიზაცია და რამდენიმე მიმართულების დანერგვა: კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურება, რომელიც მოიცავს დაგროვებული ქონების მართვას, IT, SME, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი, ფინანსური მართვა, საცალო საბანკო მომსახურებები და ციფრული პროდუქტები, ბიზნესის განვითარების ანალიტიკა, ბიზნესის ეფექტურობა, საბანკო რეგულაციები და შესაბამისობა. პროგრამაში მონაწილეობა მხარდაჭერილია ფინანსურად და წარმოადგენს მოქნილ განრიგს სტუდენტების აკადემიური პროცესის ხელშეწყობის მიზნით. პროგრამა იზიდავს პერსპექტიულ კურსდამთავრებულებს და აძლევს მათ ბანკის 360° სურათის ნახვის, რეალურ პროექტებზე მუშაობის და „ქოუჩინგის“ მიღების და ბანკის უმაღლესი და საშუალო რგოლის ხელმძღვანელობისგან მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობას.

მონაწილეები გადიან პროფესიულ ტრენინგს და აქვთ შანსი გახდნენ ქვეყანაში წამყვანი ფინანსური ინსტიტუტის წევრები.

ბანკი აფასებს თავისი თანამშრომლების ნიჭს და უზრუნველყოფს სხვადასხვა აქტივობებს მათ შესანარჩუნებლად, ლიდერული თვისებების და უნარების განვითარების და სხვადასხვა პროფესიული სერტიფიკაციის პროგრამებში მათი ჩართვის გზით. ჩვენ ვქმნით თანაბარ შესაძლებლობებს სამუშაო ადგილზე, სადაც სხვადასხვა კულტურის და ღირებულებების მქონე ადამიანებს აქვთ საინტერესო და გამოწვევებით სავსე სამუშაო გარემო. თანამშრომლებს ეძლევათ სხვადასხვა კარიერული განვითარების, ასევე პერსონალური ზრდის, შესაძლებლობები. შიდა დაწინაურებები პროფესიონალი კადრების მოზიდვის და შენარჩუნების სისტემის შემადგენელი ნაწილია და ქმნის თანამშრომლების ლოიალობის და შენარჩუნების საფუძველს. განახლებების ანალოგიურად, რომელიც შემოვიღეთ 2019 წელს სტუდენტთა განვითარების პროგრამაში - Leaderator - ჩვენ ვგეგმავთ განვაახლოთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი ტოპ-კადრების განვითარების პროჰრამა 2020 წელს - რათა ისინი გახდნენ უფრო მეტად კონკურენუნარიანები და მორგებული ტოპ- პერსონალზე. კოვიდ-19 პანდემიის გამო პროგრამის განხორციელების განრიგი გადაიხედა. ბანკი ასევე სთავაზობს კონკურენტუნარიან ანაზღაურებას თავის თანამშრომლებს და ხელს უწყობს ბალანსის შენარჩუნებას პირად ცხოვრებასა და სამსახურს შორის, დამატებითი ერთდღიანი შვებულებების მიცემით, საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულის გარდა. ბანკი თავისი პროფესიონალი თანამშრომლების ჩართულობას და შრომას აჯილდოებს წლის საუკეთესო თანამშრომლის და გუნდის სტატუსის მინიჭებით.

ტრენინგი და განვითარება

ჩვენი თანამშრომლების მართვის მიზნით იმ ფორმით, რომელიც მაქსიმალურად ხელს შეუწყობს ჩვენს ბიზნეს სტრატეგიას, ჩვენ ვცდილობთ დავეხმაროთ მათ მონაწილეობა მიიღონ საქმიანობის ეფექტურობაში პერსონალური და პროფესიული განვითარების გზით. ჩვენი მიზანია ძლიერი და ეფექტური ლიდერის განვითარება, ამისათვის შევიმუშავეთ ლიდერშიპის განვითარების პროგრამა.

ბანკის კორპორატიული სასწავლო სისტემა შედგება შიდა და გარეშე სასწავლო კურსებისგან, რომელიც შედგენილია ფრონტ და ბექ ოფისის თანამშრომლების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ჯგუფში. შუა და ზედა რგოლის თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა გაიარონ ტრენინგი საქართველოს ფარგლებს გარეთ ცნობილ ინსტიტუტებში.

2014 წლიდან საქართველოს ბანკმა დაიწყო ლიდერშიპის განვითარების ხელმძღვანელობის კოუჩინგის პროგრამა - რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალურ მიდგომას ლიდერული უნარების განვითარების მიმართულებით. პროგრამა წარმატებით გაგრძელდა 2019 წლის განმავლობაში და შემდეგ გაგრძელდა ქვედა ლიდერშიპის დონეზე, რამაც სარგებელი მოუტანა მონაწილეებს პერსონალურად მორგებული განვითარების პროცესით.

პროგრამაში მონაწილე თანამშრომლებმა მიიღეს უდიდესი ცოდნა თავიანთი ლიდერული ძლიერი მხარეების და მომავალი ზრდის შესაძლებლობების შესახებ. წინა წლების გამოცდილების საფუძველზე ბანკი რეგულარულად ანახლებს და აუმჯობესებს თავის ლიდერშიპის განვითარების სისტემას 360 გრადუსიან უკუკავშირის პროცესთან ერთად. ლიდერშიპის კომპეტენციის მოდელების ბოლო განახლება წარმოდგენილი იყო 2018 წელს 360 გრადუსიანი უკუკავშირით.

ბანკმა შეიმუშავა ფართო სასწავლო პროგრამა ფრონტ ოფისის თანამშრომლებისთვის მათთვის შესაბამისი უნარების განვითარებისთვის, როგორიცაა ეფექტური კომუნიკაცია და კლიენტთან მყარი და ღირებული ურთიერთობების დამყარება.

2018 წელს ჩვენ პარტნიორული ურთიერთობა გვაქვს საერთაშორისო და საკონსულტაციო და ტრენინგ- კომპანიასთან Franklin Covey სასწავლო პროგრამების შემუშავებისთვის ჩვენი გაყიდვების პერსონალისთვის ბანკის კლიენტზე ორიენტირებული მიდგომის უკეთ შეცნობის მიზნით. აღნიშნული სასწავლო პროგრამების მონაწილეებმა გაიუმჯობესეს კლიენტებთან დიალოგის წარმოების უნარები საერთო მიზნების მიღწევის მიზნით, შეიმუშავეს კლიენტებისთვის გრძელვადიანი მდგრადი გადაწყვეტები და დაეხმარა მათ პროდუქტების და მომსახურებების ყიდვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შიდა კლიენტზე ორიენტირებული გაყიდვების პროგრამა შემუშავდა აღნიშნული გამოცდილების საფუძველზე ჩვენი ჯგუფის მიერ. პროგრამის მიზანია ჩვენი პერსონალის გაყიდვების და კლინტთან ურთიერთობის უნარების გაუმჯობესება ორმხრივად მომგებიანი ურთიერთობის შემუშავებისთვის კლიენტებთან, რაც აძლიერებს კლიენტზე ორიენტირებულ მიდგომას და აძლევს მათ შესაბამის გამოცდილებას და ტექნოლოგიას.

ბანკის მენტორობის პროგრამა ფრონტ ოფისის ტრენინგის შემადგენელი ნაწილია. თითოეულ ახალ თანამშრომელს რეგულარულად მიეწოდება რჩევა, სახელმძღვანელო მითითება და პრაქტიკული ინსტრუქციები დანიშნული მენტორისგან, რომელიც მოგვიანებით ასევე აფასებს ახალი თანამშრომლის საქმიანობას. ამ პროგრამის მეშვეობით ჩვენი მიზანია ინდივიდუალურად დავეხმაროთ ჩვენს თანამშრომლებს მათი პროფესიული მიზნების მიღწევაში.

2017 წელს ბანკმა განახორციელა ონლაინ სწავლების მართვის სისტემა (LMS) რომელიც მის თანამშრომლებს აძლევს კორპორატიული სწავლების ადვილი და კომფორტული წვდომის შესაძლებლობას. LMS მოიცავს 70-ზე მეტ დისტანციურ და შერეულ კურსს პროფესიული განვითარების თემაზე, სხვადასხვა ბლოგებს, ნათარგმნ სტატიებს და ვიდეო მასალას მნიშვნელოვანი თემების შესახებ. ერთ-ერთი თემა, რომელიც ინტენსიურად გაშუქდა ონლაინ ტრენინგით, არის შესაბამისობა, მათ შორის რისკები, უსაფრთხოება და შიდა და გარე ნორმების დაცვა, რომელიც ვრცელდება ყოველდღიურ სამსახურეობრივ მოვალეობებზე. აღნიშნული კურსები ამაღლებს ინფორმირებულობას საქმიანობების და ინიციატივების შესახებ, რომელიც იცავს ჩვენს ღირებულებებს.

ბანკი უზრუნველყოფს პირდაპირი შესაბამისობის კურსებს შიდა და გარე პროვაიდერებთან (შესაბამისობის ტრენინგის საათები გაიზარდა 50%-ზე მეტით 2018 წლიდან 2019 წლამდე).

ბანკმა განაახლა თავისი პერსონალის ადაპტაციის პროგრამა, რომელიც წარმოადგენს სპეციალურ ღია ღონისძიებას თანამშრომლებისთვის ყველა დონეზე. ეს არის საორიენტაციო პროგრამა, სადაც წარმოდგენილია და განიხილება ინფორმაცია ორგანიზაციული კულტურის, ბანკის ღირებულებების და ბენეფიტების შესახებ თანამშრომლებისთვის. მონაწილეები ასევე ინფორმაციას იღებენ ბანკის სოციალური პასუხისმგებლობების, კარიერული / დაწინაურების შესაძლებლობების, სწავლების, პერსონალური და პროფესიული განვითარების შესახებ.

აღნიშნული ინტენსიური ტრენინგი იყო 2019 წლის სასწავლო პროგრამის ნაწილი, რომელიც ტრანსფორმაციაში მონაწილე თანამშრომლებს აძლევს სხვადასხვა ტექნიკურ და პერსონალურ უნარებს (მაგ. Agile Bootcamps და შესაბამისი პროფესიული სერტიფიკატები, ეფექტური უკუკავშირის მიწოდება, ქოუჩინგი ჯგუფებში და სხვა) და უზრუნველყოფს თანაბარ გადასვლას და ეფექტურობას ახალი მოვალეობების შესრულებაში.

პოლიტიკა ადამიანის უფლებების სფეროში

საქართველოს ბანკის მიზანია დანერგოს მოწინავე პრაქტიკების ადამიანის უფლებების სფეროში თავის საქმიანობებში და იყენებს აღნიშნულ მიდგომას მართვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესის საფუძვლად. ჩვენ ვთვლით, რომ ადამიანის უფლებების დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალური პასუხისმგებლობების ღირებულებების შექმნაში. ჩვენი ადამიანების უფლებების დაცვის პოლიტიკა ითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს საქმიანობის შესრულების დროს:

- ჩვნ ვმოქმედებთ კეთილსინდისიერად, სამართლიანად და გამჭვირვალედ.
- ჩვენი კრიტერიუმები ინვესტიციებთან დაკავშირებით ითვალისწინებს ეკონომიკურ შემოსავალს, გარემოზე ზემოქმედებას, სოციალურ შედეგებს და ადამიანის უფლებებს;
- ადამიანებს ვეპყრობით სამართლიანად და პატივისცემით;
- ვქმნით ჯანსაღ, უსაფრთხო და დაცულ სამუშაო გარემოს; და
- ჩვენი ინიციატივებით, ხელს ვუწყობთ ადამიანის უფლებების დაცვას.

აღნიშნული პრინციპების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით ბანკის ყოველდღიურ საქმიანობებში, ადამიანის უფლებების პოლიტიკა ითვალისწინებს მკაფიო სტანდარტებს:

- თანაბარ შესაძლებლობებს დისკრიმინაციის გარეშე;
- სამუშაო გარემოს შევიწროების გარეშე; და
- საჩივრების განხილვის პოლიტიკას.

ადამიანური რესურსების და ადამიანის უფლებების პოლიტიკა თანამშრომლის ადაპტაციის პაკეტის განუყოფელი ნაწილია. პოლიტიკა ხელმისაწვდომია თანამშრომლებისთვის ინტრანეტში და შესწორებების კომუნიკაცია ხდება ელექტრონულად. ჩვენ ვაკონტროლებთ თანამშრომლების ინფორმირებულობას აღნიშნული პოლიტიკის შესახებ და ვუზრუნველყოფთ, რომ ჩვენი თანამშრომლები სრულად ისარგებლებენ შესაძლებლობებით.

ნეპოტიზმთან ბრძოლის პოლიტიკა

თანამშრომლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, საქართველოს ბანკი იცავს ნეპოტიზმთან ბრძოლის პოლიტიკას, რომლის მიზანია ნეპოტიზმის და ფავორიტიზმის შემთხვევების პრევენცია ბანკში, თანამშრომლების დაქირავების და მართვის ყველა პროცესში (განვითარება / სწავლება, დაწინაურება, ანაზღაურება და სხვა), უზრუნველოფს გამჭვირვალობას, მიუკერძოებლობას და თანაბარ შესაძლებლობებს.

ეთიკის კოდექსი, მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკა

ჯგუფს აქვს ეთიკის კოდექსი, ასევე მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკა, რომელიც ასევე ვრცელდება ჯგუფის კომპანიებზე. ბანკში კორპორატიული უსაფრთხოების განყოფილება პასუხისმგებელია მექრთამეობასთან ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით კონტროლის მექანიზმების მონიტორინგსა და განხორციელებაზე. დეპარტამენტში შემუსავებულია პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს მომწოდებლებთან და სხვა მესამე მხარეებთან ურთიერთობების დამყარების პროცესს, ასევე საჯარო ტენდერების ჩატარების და სხვა საკითხებს. კორპორატიული უსაფრთხოების განყოფილება უზრუნველყოფს წლიურ ონლაინ ტრენინგს თანამშრომლებისთვის კორუფციასთან ბრძოლის საკითხებზე, რომელიც ასევე შეტანილია საწყის ტრენინგებში. სხვა პერსონალისთვის, შექმნილია ონლაინ ტრენინგის პლატფორმა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა თანამშრომელმა გაიაროს წლიური ონლაინ ტრენინგი. ტრენინგებში ასევე შეტანილია მექრთამეობასთან ბრძლის საკითხები.

ბანკი, როგორც მექრთამეობის და კორუფციის პრევენციისთვის მოწოდებული ორგანიზაცია, უზრუნველყოფს შიდა კონტროლის მექანიზმების არსებობას ადგილზე და მათ ეფექტურად გამოყენებას.

მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკის განხორციელების პროცესი მოიცავს შემდეგს:

- ინფორმაციის გამჟღავნების შიდა ცხელი ხაზის სისტემის მუშაობა;
- ბანკის პერსონალის მიერ მიღებული ან მათთვის შეთავაზებული საჩუქრების ან სხვა სარგებელის, მათ შორის გამასპინძლების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება;
- კორუფციის შესახებ ნებაყოფლობითი გამჟღავნება;
- მესამე მხარის შემოწმება იმ რისკის დონის დასადგენად, რომელიც შესაძლოა წარმოექმნათ ასეთმა მესამე მხარეებმა;
- ყველა საქველმოქმედო და პოლიტიკური დონაცია ნებადართული უნდა იყოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ.
- დაინტერესებული პირების ინფორმირება კორუფციასთან და მექრთამეობასთან ბრძოლის პრინციპების შესახებ საქმიანი ურთიერთობების დაწყებამდე;
- კორუფციასთან და მექრთამეობასთან ბრძოლის მუხლების შეტანის უზრუნველყოფა კლიენტებთან და მესამე მხარეებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში;
- კორუფციასთან და მექრთამეობასთან ბრძოლის საკითხების შეტანის უზრუნველყოფა საკონტრაქტო ხელშეკრულებებში პარტნიორებთან / კონტრაგენტებთან; და
- ონლაინ ტრენინგ პროგრამები, რომელთა მიზანია ინფორმირებულობის ამაღლება კორუფციასთან და მექრთამეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ჯგუფის მიერ მესამე მხარის შემოწმების ფარგლებში იმ რისკის დონის დასადგენად, რომელიც შესაძლოა შექმნან ასეთმა მესამე მხარეებმა, ჯგუფი ახორციელებს შემდეგ კომპლექსური შემოწმების პროცესებს: არაპირდაპირი კვლევა, რომელიც მოიცავს წარმოდგენილი ბიზნეს პარტნიორების მიერ განხორციელებული საქმიანობების ზოგად კვლევას, როგორიცაა აგენტები, ერთობლივი საწარმოს პარტნიორები, კონტრაქტორები, მომწოდებლები და სხვა მესამე მხარეები; მათი რეპუტაცია და ინფორმაცია არის თუ არა კომპანია დაკავშირებული მხარე.

ბანკს ასევე გააჩნია იცნობდე შენს კლიენტს (KYE) პროცედურები, რომლის საფუძველზე ბანკი ახორციელებს სხვადასხვა შემოწმების პროცედურებს კადრების დაკომპლექტების, დასაქმების და გათავისუფლების ეტაპებზე.

კლიენტის შთაბეჭდილება/კმაყოფილება

საქართველოს ბანკი განსაზღვრავს კლიენტის კმაყოფილებას ერთ-ერთ სტრატეგიულ პრიორიტეტად და შეაქვს მისი პრინციპები ყველა ურთიერთობაში / შეხების წერტილებში კლიენტებთან, ახალი პროდუქტის და ქსელის შემუშავებაში და ბექ- ოფისის ბიზნეს პროცესის ოპტიმიზაციაში. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ გვერდებზე 44-დან 47-მდე.

განათლება საბანკო საკითხებზე

ჯგუფი აღიარებს საზოგადოების ინტერესის მნიშვნელობას როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში. ბანკი იმ საზოგადოებაზე, სადაც ოპერირებს, დადებითი გავლენის მოხდენის მიზნით, მოტივირებულია მიაწოდოს სრული ინფორმაცია მათი უფლებების და ფინანსური ტრანზაქციების შესახებ.

ქვეყნის მასშტაბით ფინანსური განათლების ამაღლების მიზნით საქართველოს ბანკმა საქართველოს ეროვნულ ბანკთან (სებ) ერთად და გერმანიის შემნახველი ბანკების ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობისთვის მხარდაჭერით შექმნა ვებ-გვერდი www.grovia.com.ge სადაც მითითებულია ინფორმაცია მსოფლიოს დაზოგვის დღის, საბანკო პროდუქტების და მომსახურებების და კლიენტის უფლებების შესახებ. პროექტს საფუძვლად უდევს ფინანსური სექტორის მიმართ საზოგადოების ნდობის აღდგენის და ხალხსა და კომერციულ ბანკებს შორის არსებული ბარიერების დაძლევის იდეა.

გროვია, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო დაზოგვის დღის სიმბოლოს საქართველოში შეიქმნა პროექტის „დანაზოგების დაგროვება და ფინანსური შესაძლებლობები“-ს ფარგლებში, რომელსაც გერმანული შემნახველი ბანკების ფონდი საერთაშორისო თანამშრომლობისთვის (SBFIC) გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროსთან ერთად ახორციელებს. დანაზოგები მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვის, ფინანსური ინსტიტუტებისა და მოსახლეობისთვის. დანაზოგები მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვის და ფინანსური ინსტიტუტებისთვის. დაზოგვის კულტურა პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის ფინანსურ განათლებასთან და ეკონომიკურ საკითხებთან; ფინანსური განათლების ამაღლების საკითხი განიხილება როგორც ფინანსური მომსახურების, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, უკვე გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები ფინანსური მომსახურებების შესახებ მოსახლეობის განათლების შესაძლებლობების გაფართოების კუთხით. „გროვია“ ფინანსური განათლებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია, რომელიც მოსახლეობას ეხმარება დასაბუთებული და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში პირადი ფინანსების შესახებ.

გროვიას ერთ-ერთი მიზანია სკოლის მოსწავლეებში დაზოგვის უნარების განვითარება. სხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით, ჩვენ ორგანიზებას ვუწევთ სხვადასხვა შეხვედრების ჩატარებას სკოლებში და ვამაღლებთ ინფორმირებულობის დონეს ფინანსური რესურსების სათანადო მართვის საკითხებზე. გარდა ამისა საქართველოს ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობით მოვაწყობთ შეხვედრებს სკოლის მოსწავლეებთან და ვასწავლით მათ ფინანსების მთავარ პრინციპებს ინტერაქტიული ლექციების და თამაშების მეშვეობით. მსგავსი საგანმანათლებლო ღონისძიებები ასევე ორგანიზებულია საქართველოს რეგიონებში.

გროვიას გარდა საქართველოს ბანკმა შეადგინა საბანკო ტერმინოლოგიის ლექსიკონი, რომელიც ეხმარება კლიენტებს უკეთ გაიგონ მათთვის შეთავაზებული საბანკო პროდუქტები, წაიკითხონ და კომენტარი გააკეთონ კონტრაქტებზე, რომელსაც ხელი უნდა მოაწერონ და შედეგად მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით. ლექსიკონი მოიცავს 1000-ზე მეტ საბანკო, ფინანსურ, იურიდიულ, საბუღალტრო, სადაზღვევო და მარკეტინგულ ტერმინებს და ფრაზებს და ხელმისაწვდომია ბანკის სერვის ცენტრებში, ასევე ინტერნეტში, ვებ-გვერდზე: www.terminebi.ge. ნაბეჭდი ასლები ასევე ხელმისაწვდომია საჯარო ბიბლიოთეკებში და უნივერსიტეტებში. მსგავსი პროექტები წარმატებით განხორციელდა სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში, მათ შორის გერმანიასა და პოლონეთში

უსაფრთხოების საკითხები

საქართველოს ბანკი იღებს ზომებს თანამშრომლების უსაფრთხოების გარანტიისთვის. გარანტიისთვის. ბანკი რეგულარულად ახორციელებს სახანძრო და სხვა საგანგებო სიტუაციებში რეაგირების სწავლებებს და ტრენინგებს. ბანკის ყველა მთავარ ფილიალში შერჩეული თანამშრომლები პერიოდულად გადიან გადამზადებას პირველადი დახმარების გაწევის საკითხზე. 2019 წლის სექტემბრიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, რითაც დაგვეკისრა ვალდებულება შევქმნათ სამი ადამიანისგან შემდგარი განყოფილება (კანონი მოითხოვს ორგანიზაციებმა, რომლებსაც ჰყავთ 100-ზე მეტი თანამშრომელზე, განყოფილებაში ყვადეთ მინიმუმ ორი პირი). სამივე თანამშრომელს გავლილი აქვს ტრენინგი შესაბამის ინსტიტუტებში და მიღებული აქვთ სერტიფიკატები, რაც ასევე კანონის სავალდებულო მოთხოვნაა. განყოფილება მოიცავს როგორც სახანძრო და სხვა საგანგებო სიტუაციებში რეაგირების, ასევე გადაუდებელი სამედიცინო დახმარების და შრომის უსაფრთხოების საკითხებს. აღნიშნული განყოფილება ტრენინგს გადის მინიმუმ ორჯერ წელწიადში საქართველოს ბანკის ყველა ფილიალში საქართველოს მასშტაბით.

საქართველოს ბანკი იღებს ზომებს თანამშრომლების უსაფრთხოების გარანტიისთვის, მათი შანტაჟირების, შეურაცხყოფის, დევნის და სხვა შემთხვევაში. 2018 წელს ბანკმა განახორციელა პროექტი - „ჩემი იურისტი“ - რომელიც შეიქმნა თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების დასაცავად, მათ წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავად არიან სამართალდარღვევაში ბრალდებულნი. 2019 წელს ჩვენ დავიწყეთ ჩვენი პირველი შემთხვევების დამუშავება და ვგეგმავთ ვიმუშაოთ ჩვენს კოლეგებთან აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მხარდაჭერის მიზნით.

ბანკის ყველა სერვის ცენტრი აღჭურვილია უსაფრთხოების სისტემით და დაცულია პოლიციის მიერ განგაშის სიგნალის აქტივაციის შემთხვევაში. ბანკი ასევე იყენებს საკუთარ დაცვას, რომელიც 24 საათის განმავლობაში იცავს სერვის ცენტრებს. 2019 წელს ჩვენ შევქმენით უსაფრთხოების ახალი მოდელი ახლოს მდებარე ფილიალებში. ჩვენ შევცვალეთ დაცვის ადმინისტრატორები სათანადოდ გადამზადებული და აღჭურვილი საპატრულო ჯგუფებით. 24-საათიანი ფილიალები კონტროლდება ჩვენი მონიტორინგის ცენტრის მიერ. ჩვენ განვახორციელეთ 360° სათვალთვალო სისტემა ჩვენს სერვის ცენტრებში. ამჟამად ვმუშაობთ ვიდეო ანალიტიკის და სახის ამოცნობის სისტემების დანერგვაზე.

2019 წელს ჩვენ გავაძლიერეთ უსაფრთხოების სისტემები საქართველოს ბანკის ფილიალებში. ამის მიზანი იყო ძარცვის მცდელობის უკიდურესად გართულება. ჩვენ დავაწესეთ 24-საათიანი მონიტორინგის ცხელი ხაზი თანამშრომლებისთვის უსაფრთხოების საკითხების ანგარიშგების მიზნით. ბანკმა წარმოადგინა რიგი ინიციატივები ფიზიკური ურთიერთქმედების შემცირების და კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ბანკის სრული შესაძლებლობების შენარჩუნებით, რომელიც საჭიროა კლიენტების მხარდაჭერისა და დახმარებისთვის. დეტალები იხილეთ ბოლო მოვლენების ნაწილი, გვერდი 5.

ჯგუფის პოლიტიკა

ჯგუფის აქვს ქცევის კოდექსი, ასევე პოლიტიკა, რომელიც ეხება ეკოლოგიურ საკითხებს, თანამშრომლებს, სოციალურ საკითხებს, ჩვენს მიერ ადამიანის უფლებების დაცვას და მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლას.

შესრულება

ფინანსური შედეგების მიმოხილვა

უწყვეტი მძლავრი დინამიკა- შესანიშნავი ზრდა და განსაკუთრებული რენტაბელობა, გამყარებული ძლიერი აქტივის ხარისხით და კაპიტალის პოზიციით

ჯგუფმა წარმოადგინა მეორე წლის ძლიერი საბალანსო უწყისი და საკომისიო შემოსავლის ზრდა, კომბინირებულ რენტაბელობასთან ერთად , რომლის მიღევა შესაძლებელი გახდა შესანიშნავი კლიენტის ფრანშიზის ზრდის , საცალო და კორპორატიულ და საინვესტიციო საბანკო მომსახურებების ბიზნესში ხარჯების კარგი მართვის საშუალებით, ძირითად შესაძლებლობებში ინვესტირების გაგრძელების ფონზე, და აქტივის ხარისხში მუდმივი სიახლეების მიღწევით, ახალი ხელმძღვანელობა წარმატებით ახორციელებს ახალ სტრატეგიას მნიშვნელოვნად დაბალი რისკის მქონე ნომინალურ გარემოში და ჯგუფი კვლავაც ინარჩუნებს ძალიან კარგ პოზიციას და აქვს კარგი დინამიკა და მომავალში მაღალი შემოსავლები.

მოგება-ზარალის ანგარიშგების მაჩავნებლები[16]

ათასი ლარი	2019	2018	Change y-o-y
სუფთა საპროცენტო შემოსავალი	783,573	731,544	7.1%
სუფთა შემოსვალი მოსაკრებლებიდან და საკომისიოებიდან	152,282	129,524	17.6%
უცხოური ვალუტიდან სუფთა მოგება სხვა სუფთა შემოსავალი	118,590	125,660	-5.6%
სხვა სუფთა შემოსავალი	17,728	4,986	255.6%
შემოსავალი ოპერაციიდან	**1,072,173**	**991,714**	**8.1%**
საოპერაციო ხარჯები	**(386,163)**	**(356,541)**	**8.3%**
მოგება დაკავშირებული საწარმოებიდან	789	1,339	-41.1%
საოპერაციო შემოსავალი რისკის ღირებულებამდე	**686,799**	**636,512**	**7.9%**
რისკის ღირებულება	(100,452)	(160,339)	-37.4%
სუფთა საოპერაციო შემოსავალი ერთჯერად ხარჯებამდე და მოგების გადასახადამდე	**586,347**	**476,173**	**23.1%**
სუფთა ერთჯერადი ხარჯები	(606)	(26,249)	-97.7%
მოგება მოგების გადასახადამდე და ერთჯერად ხარჯებამდე	**585,741**	**449,924**	**30.2%**
მოგების გადასახადის ხარჯები	(58,618)	(34,862)	68.1%
ერთჯერადად გადახდილ ხარჯების მიხედვით კორექტირებული მოგება	**527,123**	**415,062**	**27.0%**
ერთჯერადი ხარჯები	(14,236)	(71,534)	-80.1%
მოგება	**512,887**	**343,528**	**49.3%**

162019 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგების კორექტირებული მოგება გამორიცხავს თანამშრომლისთვის14.1 მლნ ერთჯერად გადახდის ხარჯებს (საშემოსავლო გადასახდის გარეშე) რომელიც უკავშირდებოდა ყოფილი დირექტორის და აღმასრულებელი მენეჯმენტის საბოლოო ანაზღაურებას, ეს თანხა მოიცავს 12.4 მლნ ლარს (მთლიანი საშემოსავლო გადასახადი) გამოკლებული ხელფასებიდან და თანამშრომლის სხვა ანაზღაურებიდან და 4.0 მლნ ლარს (მთლიანი საშემოსავლო გადასახადი) გამოკლებული არაერთჯერადი გადახდის ჰუნქტებიდან. 2018 წელს მოგება-ზარალის ანგარიშგების კორექტირებული მოგება გამორიცხავს თანამშრომლისთვის 3.9 მლნ ერთჯერად გადახდის ხარჯებს (საშემოსავლო გადასახდის გარეშე) რომელიც უკავშირდებოდა ყოფილი დირექტორის და აღმასრულებელი მენეჯმენტის საბოლოო ანაზღაურებას, და დაყოფასთან დაკავშირებული ხარჯები (საშემოსვალო გადასახდის გარეშე) და გადავადებული საგადასახადო ნაშთის ერთჯერადი გადახდის გავლენა გამოირიცხება არაერთჯერადი გადახდის ჰუნქტებიდან, გამოყენებულ აქტივებზე მოგება და აქტივების საშუალო ღირებულებიდან მოგება დაკორექტირდა შესაბამისად ორივე წარმოდგენილი პერიოდისთვის.

საბალანსო უწყისის მაჩვენებლები

ათას ლარში	2019	2018	Change y-o-y
ლიკვიდური აქტივები	5,533,902	4,458,268	24.1%
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,159,205	1,220,524	76.9%
საკრედიტო ინსტიტუტებიდან მისღები თანხები	1,613,674	1,305,191	23.6%
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	1,761,023	1,932,553	-8.9%
კლიენტებზე გაცემული კრედიტები და ფინანსური იჯარიდან მისაღები თანხები	11,766,754	9,229,320	27.5%
ძირითადი საშუალებები	339,726	312,017	8.9%
სულ აქტივები	**18,323,223**	**14,523,587**	**26.2%**
კლიენტის დეპოზიტები და ობლიგაციები	10,136,695	8,196,551	23.7%
საკრედიტო ინსტიტუტებისთვის გადასახდელი თანხები	3,684,921	2,749,348	34.0%
DFI-სგან მიღებული კრედიტები	1,397,345	1,125,127	24.2%
მოკლევადიანი კრედიტები ცენტრალური ბანკებიდან	1,551,953	1,118,957	38.7%
კრედიტები და დეპოზიტები კომერციული ბანკებიდან	735,623	505,264	45.6%
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	2,140,781	1,711,032	25.1%
სულ ვალდებულებები	**16,245,826**	**12,792,559**	**27.0%**
სულ კაპიტალი	**2,077,397**	**1,731,028**	**20.0%**

ძირითადი კოეფიციენტები

	2019	2018
ROAA (კორექტირებული)[17]	3.3%	3.1%
ROAA (ასახული)	3.2%	2.6%
ROAE (კორექტირებული)[17]	27.8%	26.3%
ROAE (ასახული)	27.0%	21.8%
სუფთა საპროცენტო მარჟა	5.7%	6.6%
ლიკვიდური აქტივების მომგებიანობა	3.5%	3.8%
კრედიტის შემოსავლიანობა	11.7%	13.5%
ფონდირების ღირებულება	4.5%	4.9%
ხარჯი/შემოსვალი (კორექტირებული)[18]	36.0%	36.0%
ხარჯი/შემოსვალი (ასახული)	37.2%	36.0%
ვადაგასული კრედიტები კლიენტებზე გაცემული მთლიან კრედიტებთან მიმართებაში	2.1%	3.3%
ვადაგასული კრედიტების მოცვის კოეფიციენტი	77.7%	90.0%
ვადაგასული კრედიტების მოცვის კოეფიციენტი, კორექტირებული უზრუნველყოფის დისკონტირებული ღირებულების მიხედვით	136.4%	129.4%
კრედიტთან დაკავშირებული ხარჯები	0.8%	1.7%
სებ (Basel III) CET1 კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	11.5%	12.2%
სებ (Basel III) Tier I კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	13.6%	12.2%
სებ (Basel III) სულ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	18.1%	16.6%

შედეგები

- **სანიმუშო შესრულება.** მოგება დაკორექტირდა ერთჯერადად გადახდილი თანხების მიხედვითდა შეადგინა 527 . 1 მლნ ლარი 2019 წელს დაახლოებით 27,0%-ით მეტი წინა წელთან შედარებით, 27,8% მომგებიანობით (გამოყენებულ აქტივებზე უკუგება) 2019 წელს.
  2019.
- **საკრედიტო პორტფელის ზრდამ წინა წელთან შედარებით შეადგინა 27.5% 2019 წლის 31 დეკემბრისთვის. ზრდა ფულადი ერთეულის საფუძველზე იყო** 22.6% წინა წელთან შედარებით. საცალო საბანკო მომსახურების საკრედიტო პორტფელიის წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში იყო 67.1% 2019 წლის 31 დეკემბერს, 2018 წელს 71.1%.

[17] 2019 წელს მოგება-ზარალის ანგარიშგება დაკორექტირდა და მოგება გამორიცხავს 14.1 მლნ ლარს, ერჯერად გადახდას თანაშრომლისთვის (საშემოსავლოს გარეშე) რომელიც უკავშირდება ყოფილი გენერალური დირექტორის და აღმასრულებელი მენჯმენტის საბოლოო ანაზღაურებას. ამ თანხაში შედის 12.3 მლნ ლარი (ბრუტო საშემოსავლო გადასახადი) რომელიც გამოირიცხება ხელფასიდან და ხვა ანაზრაურებიდან 4.0 მლნ ლარი (ბრუტო საშემოსავლო გადასახადი) გამოქვითული ერაერთჯერადი გადახდიდან. . 2018 წელს საშემოსავლო გადასახადი დაკორექტირდა მოგება გამორიცხვას 3.9 მლნ ლარს ერჯერად გადახდას თანაშრომლისთვის (საშემოსვალოს გარეშ) რომელიც უკავშირდება ყოფილი გენერალური დირექტორის და აღმსრულებელი მენჯემენტის საბოლოო ანაზღაურებას და 67.7 მლნ ლარი გაყოფასთან დაკავშირებული ხარჯები (სუფთა საშემოსავლო გადასახადის გარეშე), რომელიც უკავშირდება ყოფილი გენერალური დირექტორის საბოლოო ანაზღაურებას. ROAE და ROAA დაკორექტირდა შესაბამისად ორივე წარმოდგენილი პერიოდის მიხედვით.

[18] The 2019წელს ხარჯი/შემოსავლის შეფარდება დაკორექტირდა 12.4მლნ ლარი ერთჯერადი გადახდა თანამშრომლის ხარჯები (ბრუტო საშემოსავლო გადასახადი) რომელიც უკავშირდება ყოფილი გენერალური დირექტორის და აღმასრულებელი მენჯემენტის საბოლოო ანაზღაურებას.

- **აქტივის კარგი ხარისხი.** 2019 წელს საკრედიტო რისკის კოეფიციენტი გაუმჯობესდა 0.8%-მდე (წინა წელთა შედარები 90bps), რაც ძირითადად ასახავს მაღალი ხარისხის იპოთეკურ სეგმენტში და მცირე და საშუალო საწარმოს კლიენტებზე გაცემული კრედიტირებაზე ასევე საშუალო და მცირე ზომის კორპორატიული კრედიტების დაფარვაზე მზარდ ფოკუსირებას. გადავადებული კრედიტების მთლიანი საკრედიტო კოეფიციენტი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის 2.1%-მდე შემცირდა (2018 წელის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3.3%) , გადავადებული კრედიტების მოცვის კოეფიციენტი 77.7%-ის ნიშნულზე იყო, ხოლო უზრუნველყოფის დისკონტირებული ღირებულებით კორექტირებული გადავადებული კრედიტების მოცვის კოეფიციენტი 136.4% იყო (2018 წელლი 31 დეკემბერს 129.4%).

- **სარედიტო პორტფელის და კლიენტის დეპოზიტების დოლარიზაცია.** საკრედიტო პორტფელის ადგილობრივი ვალუტა შეადგენდა მთლიანი საკრედიტო პორტფელის 42.1%-ს 2019 წლის 31 დეკემბრისთვის (39.2% ერთი წლის წინ). საკრედიტო პორტფელის შეცვლა ნაწილობრივ გამოწვეული იყო მთავრობის დედოლარიზაციის ინიციატივებით და ჩვენი მიზანი იყო ჩვენ პორტფელში გაზრდილიყო ადგილობრივი ვალუტის წილი. ამჟამად საკრედიტო პორტფელის ნაწილი, რომელიც უფრო სენსიტიურია უცხოური ვალუტის რისკების მიმართა უმეტესწილად დაექვემდებარა დე-დოლარიზაციას. საცალო ბანკინგის კრედიტების 72.6% გამოშვებული იქნა ადგილობრივ ვალუტაში 2019 წელს.

- **კაპიტალის ძლიერი პოზიციები.** Basel III CET1, Tier 1 და მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი იყო 11.5 %, 13.6% და 18.1% ნიშნულზე 2019 წელის 31 დეკემბერს, ყველა აღემატებოდა მინიმალურ მოთხოვნილ დონეებს 10.1%, 12.2% და 17.1%.

- **2019 წლის მარტში, ბანკმა გამოუშვა** თავისი საპილოტე 100მილიონი აშშ დოლარი. 11.125% .დამატებითი 1-ლი **რიგის კაპიტალის უვადო სუბორდინირებული ობლიგაციები.** მარეგულირებელმა დაადასტურა ამ ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაცია როგორც დამატებითი 1-ლი რიგის დამატებითი ინსტრუმენტი რაც მიღებული იქნა 2019 წლის აპრილში. გამოშვების დროს, ამან დაუმატა დაახლოებით 230 საბაზისო ქულა ბანკის 1-ლი რიგის კაპიტალის კოეფიციენტს.

- **2019 წლის დეკემბერში ბანკმა ხელი მოაწერა 10 წლიან 107 მლნ აშშ დოლარის სუბორდინირებულ სინდიცირებულ** საკრედიტო ხელშეკრულებას, რომელიც უზრუნველყო FMO - გერმანული სამეწარმეო განვითარების ბანკმა სხვა მონაწილე კრედიტორებთან ერთად. ეს კრედიტი შეფასებულია როგორც ბანკის მე-2 რიგის კაპიტალის ინტრუმენტი (გადახდის შემდეგ და საქართველსო სებ-ის დასტურის შემდეგ) ბაზელ III-ის ფარგლებში, რაც დაეხმარება კაპიტალის პოზიციაში შემდგომ ცვლილებებს. 52 მლნ აშშდ უკვე დაიხარჯა ბანკის მიერ და მარეგულირებლის დასტურით მიენიჭა კლასიფიკაცია 2019 წლის დეკემბერში. სესხის დანარჩენი ნაწილი სავარაუდოდ გამოყენებული იქნება 2020 წელს ექვსი თვის განმავლობაში.

- **საცალო საბანკო მომსახურებას ("RB")** კვლავაც მოაქვს სოლიდური სუფთა პროცენტიდან შემოსავალი, რომელიც დაგენერირდა მოსაკრებლებთან და საკომისიოდან მიღებულ შემოსავლებთან ერთად 2019 წელს. საცალო საბანკო მომსახურების სუფთა საკრედიტო პორტფელმა მიაღწია 7,427.7 მლნ -ს 2019 წლის 31 დეკემბერს, წინა წელთან შედარებით 18.5%-ით მეტს. ეს ზრდა უმეტესწილად მიღებული იქნა იპოთეკით და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმეობზე გაცემული კრედიტების საშუალებით, იმავდროულად საცალო საბანკო მომსახურების კლიენტების დეპოზიტები გაიზარდა 5,712 მლნ აშშ დოლარამდე 2019 წლის 31 დეკემბერს, წინა წელთან შედარებით 31.7%-ით მეტი. საცალო საბანკო მომსახურების სუფთა საპროცენტო მარჟა დასტაბილურდა 6.1%-მდე 2019 წელს.

- **კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურება ("CIB")** ასახავს განსაკუთრებულ ზრდას, სუფთა საპროცენტო შემოსავალს და მოსაკრებლებიდან და საკომისიოდან შემოსავალს , კაპიტალის კარგ ხარისხთან ერთად. კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო საქმიანობის სუფთა საკრედიტო პორტფელმა მიაღწია 3,636.1 მლნ ლარს 2019 წლის 31 დეკემბერს, 48.1%-ს წინა წელთან შედარებით. ზრდა ფულად ერთეულებში იყო 40.1 % წინა წელთან შედარებით. კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურების კლიენტების ტოპ ათეულის კონცენტრაცია იყო 9% 2019 წლის 31 დეკემბერს (7% 2018 წლის 31 დეკემბრს) .

- **მმართველობის ქვეშ არსებული აქტივები ("AUM")** ჯგუფის საინვესტიციო მართვის ბიზნესის ფარგლებში, გაიზარდა 1,506 მლნ ლარამდე 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, დაახლობით 6.6%-ით მეტი წინა წელთან შედარებით.

- **ციფრული არხები.** ჩვენ აქტიურად ვაგრძელებთა ჩვენიი ციფრული სტრატეგიის განვითარებას .

- **ბანკმა გააგრძელა ახალი მახასიათბელების დანერგვა ჩვენ მობილურ საბანკო აპლიკაციაზე და ჩვენი ფიზიკური კლიენტებისთვის ინტერნეტ ბანკზე.** ამის შედეგად, აქტიური ინტერნეტ და მობილური საბანკო მომსახურებების მომხმარებლებმა (დაახლოებით 53.9%-იანი ნაზრდი წინა წელთან შედარებით) ისევე როგორც ჩვენი მობილური და ინტერნეტ საბანკო მომსახურებების საშუალებით განხორციელებული ტარნზაქციების რაოდენობა გაიზარდა 2019 წელს. სულ ციფრული არხების საშუალებით 2019 წელს ყოველდღიურად განხორციელდა 93%-ზე მეტი ტრანზაქცია.

- 2019 წლის 1 კვარტალში ბანკმა შექმნა ახალი ბიზნეს ინტერნეტ ბანკინგის პლატფორმა **(Business iBank)** მიკრო , მცირე და საშუალო ზომოს საწარმეოების კლიენტებისთვის, რომელიც ბევრი მახასიათბელით დაპროექტებულია იმგვარად, რომ მისი გამოყენება იყო მარტივი და უპრობლემო. ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ იმაზე, რომ ჩვენი Business iBank უფრო სასარგებლო იყოს ბიზნეს ტრანზაქციებისთვის, რაც სამომავლოდ გაზრდის ციფრული არხებების აქტიურ მომხმარებელ კლიენტთა რაოდენობას. ამის შედეგად, 2019 წელს Business iBank -ის გამოყენების

შედეგად ჩვენ უკვე დავინახეთ მნიშვნელოვანი ზრდა რაოდენობრივად და ტრანსზაქციების მოცულობის თვალსაზრისით (დაახლოებით 57.6% და დაახლოებით 31.7% წინა წელთა შედარებით). 2019 წლის განმავლობაში იურიდიული პირების მიერ მთლიანი ტრანზაქციების 93%-ზე მეტი ტრანზაქცია ინტერნეტ ბანკის საშუალებით განხორციელდა.

შედეგების განხილვა

ჯგუფის ბიზნესი შედგება სამი სეგმენტისგან . (1) საცალო საბანკო მომსახურების ოპერაციები საქართველოში ძირთადად უზრუნველყოფს სამომხმარებლო კრედიტებს, იპოთეკურ კრედიტებს, ოვერდაფტებს, საკრედიტო ბარათებს და სხვა საკრედიტო მომსახურებას, სახსრების გადარიცხვას და ანგარიშსწორების მომსახურებებს, და მართავს კლიენტების დეპოზიტებს როგორც ინდივიდუალურად, ასევე იურიდი პირებისთვის. საცალო ბანკინგის მიზანია ახალი და მასობრიცი საცალო სეგემენტი,მცირე და საშუალო ზომის საწარმოები და მიკრო ბიზნესი. (2) კორპორატიული და საინვესტიციო ბანკინგი- მოიცავს კორპორატიულ საბანკო მომსახურებას და საინვეტიციო მართვის ოპერაციებს საქართველოში. კორპორატიული საბანკო მომსახურება ძირითადად უზრუნველყოფს კრედიტებს და სხვა საკრედიტო მომსახურებებს, თანხების გადარიცხვას და ანგარიშსწორების მომსახურებებს, სავაწრო ფინანსურ მომაახურებებს, დოკუმენტურ ოპერაციების დახმარებას, მართავს დანაზოგებს და ვადიან დეპოზიტებს კორპორატიული და ინატიტუციური კლიენტებისთვის. საინვეტიციო მენეჯმენტის ბიზნესი ძირითადად უზრუნველყოფს კერძო საბანკო მომსახურებას მდიდარი კლიენტებისთვის (3) **BNB,** რომელიც მოიცავს სს ბელორუსკი ნაროდნი ბანკს, ძირთადად უზრუნეველყოფს საცალო და კორპორატიულ საბანკო მომსახურებას კლიენტებისთვის ბელორუსში.

საოპერაციო შემოსავალი

ათასი ლარი	2019	2018	Change y-o-y
პროცენტიდან შემოსვალაი	1,414,001	1,307,378	8.2%
საპროცენტო ხარჯი	(630,428)	(575,834)	9.5%
სუფტა პროცენტიდან შემოსავალი	**783,573**	**731,544**	**7.1%**
მოსაკრებლებიდან და საკომისიოდან შემოსავალი	278,251	223,320	24.6%
მოსაკრებლებისა და საკომისიოს ხარჯები	(125,969)	(93,796)	34.3%
მოსაკრებლებიდან და საკომისიოდან სუფთა შემოსავალი	**152,282**	**129,524**	**17.6%**
უცხოური ვალუტიდან სუფთა მოგება	118,590	125,660	-5.6%
სუფთა სხვა შემოსავალი	17,728	4,986	255.6%
საოპერაციო შემოსავალი	**1,072,173**	**991,714**	**8.1%**

შესრულება

- ***ძლიერი საოპერაციო შემოსავალი 1,072მლნ ლარი 2019 წელს,*** *8.1%-ით მეტი წინა წელთან შედარებით. საოპერაციო შემოსავლის ზრდა 2019 წელს ძირითადად განპირობებული იყო წმინდა საპროცენტო შემოსავალში 7.1% ზრდით წინა წელთან შედარებით, რაც გამომდინარეობდა ძლიერი საკრედიტო პორტფელის ზრდით წლის განმავლობაში. დამატებით, წმინდა მოსაკრებელის და საკომისიო შემოსავლის და სხვა წმინდა შემოსავლის შენატანებმა წვლილი შეიტანა საოპერაციო შემოსავლის ზრდაში წინა წელთან შედარებით. ეს უკანასკნელი ძირითადად განპირობებული იყო 12.8 მლნ ლარის მოგებით, საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგად 2019 წელს.*

- ***ჩვენი წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM) იყო 5.7% - 2019 წელს.*** *2019 წლის განმავლობაში, სესხის შემოსავლიანობა შემცირდა 180 bps (საბაზისო პუნქტით) წინა წელთან შედარებით, ხოლო ნასესხები სახსრების ხარჯი შემცირდა 40 საბაზისო პუნქტით წინა წელთან შედარებით, რამაც გამოიწვია წმინდა საპროცენტო მარჟის (NIM) შემცირება 90 საბაზისო პუნქტით წინა წელთან შედარებით. by 90bps y-o-y. წმინდა საპროცენტო მარჟის (NIM) შემცირება წინა წელთან შედარებით განპირობებული იყო ნაწილობრივ სებ-ის სავალდებულო გაზრდილი მინიმალური რეზერვის მოთხოვნებით.*

- ***ლიკვიდური აქტივების შემოსავალი.*** *ლიკვიდური აქტივების შემოსავლიანობა იყო 3.5% - 2019 წელს, რომელიც შემცირდა 30 საბაზისო პუნქტით წინა წელთან შედარებით, ძირითადად ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებული ლიკვიდური აქტივების შემოსავლის შემცირების გამო და ასახავს სებ-ის მონეტარული პოლიტიკის დინამიკას წლის განმავლობაში. ასევე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ლიკვიდური აქტივების შემოსავალი, რომელიც ასახავს: ა) სებ-ის სავალდებულო რეზერვების ზრდას, რომელიც ძირითადად განპირობებული იყო ცვლილებებით 2018 წლის სექტემბრიდან სებ-ის სავალდებულო მინიმალური რეზერვების მოთხოვნებში, რომლის საფუძველზე ადგილობრივი ბანკების მიერ მოზიდული სახსრები უცხოურ ვალუტაში, გადაიდო 25%-მდე სარეზერვო მოთხოვნებისთვის, დაფარვის ვადის მიხედვით, და 2019 წლის მაისიდან ამ მოთხოვნის 30%-მდე ზრდას (თუმცა სავალდებულო რეზერვების მოთხოვნები უცხოურ ვალუტაში მოზიდულ სახსრებზე შემცირდა 25%-მდე 2019 წლის ოქტომბერში); ბ) 2018 წლის 12 ივლისიდან, სებ-მა შეამცირა საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაში სავალდებულო რეზერვებზე US Fed განაკვეთიდან მაქსიმალურ ზღვრამდე, მინუს 50 საბაზისო პუნქტი - Fed განაკვეთის მაქსიმალურ ზღვრამდე მინუს 200 საბაზისო პუნქტი, შემცირდა ნულამდე აშშ დოლარის რეზერვებისთვის და ECB განაკვეთიდან მინუს 50 საბაზისო პუნქტი - ECB განაკვეთამდე მინუს 200 საბაზისო პუნქტი, შემცირდა უარყოფით 60 საბაზისო პუნქტზე ევროში დენომინირებული რეზერვებისთვის (თუმცა, 2019 წლის 3 ოქტომბრიდან მოქმედებს შემდეგი განაკვეთები - აშშ Fed განაკვეთის ზედა ზღვარი, მინუს 50 საბაზისო პუნქტი აშშ დოლარში რეზერვებისთვის და ECB განაკვეთი მინუს 20 საბაზისო პუნქტი ევროსი დენომინირებული რეზერვებისთვის).*

- ***ნასესხები სახსრების ხარჯიანობა .*** *სახსრების ხარჯიანობა შეადგენდა 2.5%-ს 2019 წელს, რომელიც შემცირდა 40 საბაზისო პუნქტით წინა წელთან შედარებით. სახსრების ხარჯის შემცირება წინა წელთან შედარებით ძირითადად განპირობებული იყო კლიენტის დეპოზიტების და ობლიგაციები ღირებულების შემცირებით (შემცირდა 50 საბაზისო პუნქტით წინა წელთან შედარებით 2019 წელს) საკრედიტო ინსტიტუტებისთვის დავალიანების თანხების ღირებულების შემცირებასთან ერთად (შემცირდა 20 საბაზისო პუნქტით წინა წელთან შედარებით). ლიბორის განაკვეთის და დაბალი საშუალო სებ-ის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირების საფუძველზე 2019 წელს, ასევე 65 მილიონი სუბორდინირებული ვალის დაფარვის შესაბამისად 2019 წლის აპრილში. გარდა ამისა, 2019 წლის დაწყებიდან, ბანკმა გააფორმა კონკრეტული სავალუტო სვოპის ხელშეკრულებები წმინდა საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებისთვის ევროში კრედიტირებისთვის, რამაც ხელი შეუწყო სახსრების ხარჯის ყველა კომპონენტის შემცირებას წინა წელთან შედარებით. შემცირება ნაწილობრივ კომპენსირდა სახსრების ხარჯის გაზრდით, სადამფუძნებლო 100 მილიონი აშშ დოლარის გამოშვების შედეგად, დამატებითი 1 რიგის კაპიტალის უვადო სუბორდინირებული სესხის გაზრდით 2019 წლის მარტის ბოლოს.*

- ***წმინდა საკომისიო შემოსავალი****. წმინდა საკომისიო შემოსავალმა მიაღწია 152.3 მილიონ ლარს 2019 წელს, გაიზარდა 17.6%-ით წინა წელთან შედარებით. ზრდა ძირითადად განპირობებული იყო მნიშვნელოვანი საკომისიო შემოსავლების მიღებით ჩვენი კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო განყოფილების მიერ გაცემული აკრედიტივებიდან და გარანტიებიდან.*

- ***წმინდა მოგება საკურსო სხვაობით გამოწვეული.*** *სავალუტო რყევის, კლიენტის ნაკადების, ასევე უცხოური ფინანსური ინსტიტუტების ძლიერი ინტერესის შესაბამისად ადგილობრივ ვალუტაში, საკურსო სხვაობით გამოწვეული წმინდა მოგება შემცირდა 5.6% წინა წელთან შედარებით, 2019 წელს.*

- ***სხვა შემოსავალი.*** *სხვა შემოსავლისზრდა წინა წელთან შედარებით 2019 წელს მნიშვნელოვნად განპირობებული იყო 12.8 მილიონი ლარის წმინდა მოგებით, საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგად 2019 წელს.*

წმინდა საოპერაციო შემოსავალი ერთჯერად ხარჯებამდე, რისკის ღირებულებამდე და მოგებამდე[19]

ათასი ლარი	*2019*	*2018*	*ცვლილება წინა წელთან შედარებით*
*ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი**	*(211,245)*	*(202,225)*	*4.5%*
ადმინისტარციული ხარჯები	*(97,659)*	*(108,147)*	*-9.7%*
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება	*(73,275)*	*(42,413)*	*72.8%*
სხვა საოპერაციო ხარჯები	*(3,984)*	*(3,756)*	*6.1%*
საოპერაციო ხარჯები	***(386,163)***	***(356,541)***	***8.3%***
მოგება მეკავშირე საწარმოებიდან	*789*	*1,339*	*-41.1%*
საოპერაციო შემოსავალი რისკის ხარჯამდე	***686,799***	***636,512***	***7.9%***
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი / გაუფასურების ხარჯი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე.	*(87,734)*	*(140,192)*	*-37.4%*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი / გაუფასურების ხარჯი ფინანსური იჯარის დებიტორულ დავალიანებებზე	*(885)*	*(164)*	*NMF*
სხვა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	*347*	*(2,245)*	*NMF*
რეზერვები რისკის ღირებულებასთან დაკავშირებით	*(12,180)*	*(17,738)*	*-31.3%*
რისკის ღირებულება	***(100,452)***	***(160,339)***	***-37.4%***
წმინდა საოპერაციო შემოსავალი ერთჯერად ხარჯებამდე და მოგების გადასახადამდე	***586,347***	***476,173***	***23.1%***
წმინდა ერთჯერადი ხარჯები	*(606)*	*(26,249)*	*-97.7%*
მოგება მოგების გადასახადამდე და ერთჯერად ხარჯებამდე	***585,741***	***449,924***	***30.2%***
მოგების გადასახადის ხარჯი	*(58,618)*	*(34,862)*	*68.1%*
მოგება კორექტირებული ერთჯერად ხარჯებზე	***527,123***	***415,062***	***27.0%***
ყოფილი გენერალური დირექტორის და აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილების შეწყვეტის ერთჯერადი ხარჯები (გადასახადის შემდეგ), გაყოფის ხარჯები გადასახადის შემდეგ) და გადავადებული საგადასახადო ნაშთის ხელახლა შეფასების ერთჯერადი გავლენა.	*(14,236)*	*(71,534)*	*-80.1%*
მოგება	***512,887***	***343,528***	***49.3%***

- ***საოპერაციო ხარჯები*** *კორექტირებული თანამშრომლის ერთჯერად ხარჯებზე ყოფილი აღმასრულებელი ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილების შეწყვეტის ანაზღაურებასთან დაკავშირებით (წილობრივ ინსტრუმენტებზე დაფუძნებული*

[19] 2019 წლის კორექტირებული მოგება ცხრილში არ მოიცავს 14.2 მილიონი ლარის ერთჯერად პერსონალის ხარჯებს (მოგების გადასახადის შემდეგ) ყოფილი გენერალური დირექტორის და აღმასრულებელი ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. ეს თანხა შეადგენს 12.4 მილიონ ლარს (მოგების გადასახადამდე) ამოღებულია ხელფასებიდან და სხვა სარგებელიდან და 4.0 მილიონი ლარი ლარს (მოგების გადასახადამდე) ამოღებულია ერთჯერადი მუხლებიდან. 2018 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგების კორექტირებული მოგება არ მოიცავს 3.9 მლნ ერთჯერად პერსონალის ხარჯებს (მოგების გადასახადის შემდეგ) ყოფილი გენერალური დირექტორის და აღმასრულებელი ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. და 67.7 მილიონი ლარის გაყოფის ხარჯებს (მოგების გადასახადამდე) და გადავადებული საგადასახადო ნაშთის ხელახლა შეფასების ერთჯერად გავლენას.

კომპენსაციის დაჩქარება) შეადგენდა 386.2 მილიონ ლარს 2019 წელს, გაიზარდა 8.3%-ით წინა წელთან შედარებით. ხელფასების და თანამშრომელთა სხვა სარგებელის ხარჯების ზრდა ძირითადად განპირობებული იყო გაზრდილი ინვესტიციებით ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ რესურსებში Agile ტრანსფორმაციის პროცესის ფარგლებში, ორიენტირებული ციფრულ ტექნოლოგიებზე, ინვესტიციებზე მარკეტინგში და ფილიალის ქსელში.

- *წინა წელთან შედარებით შემცირება **ადმინისტრაციულ ხარჯებში** და ზრდა **ცვეთის, ამორტიზაციის და გაუფასურების ხარჯებში** 2019 წელს ძირითადად განპირობებულია ახალი სტანდარტის ფასს 16, იჯარები, მიღებით, რომელიც ცვლის ბასს 17, იჯარები, ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული სტანდარტის მიღების შედეგად, ჯგუფმა აღრიცხა თავის ბალანსზე აქტივები საიჯარო ქონების გამოყენების უფლებასთან დაკავშირებით საიჯარო კონტრაქტებით გათვალისწინებული გადახდების შესაბამის ვალდებულებებთან ერთად. ამ გავლენის გარდა, ცვეთის, ამორტიზაციის და გაუფასურების ხარჯების ზრდა გამოწვეული იყო გაზრდილი ინვესტიციებით 2019 წელს..*
- ***აქტივის გაუმჯობესებული ხარისხი.** საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტი შეადგენდა 0.8%-ს 2019 წელს, რომელიც შემცირდა 90 საბაზისო პუნქტით წინა წელთან შედარებით. RB-ს საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ხარჯი შეადგენდა 1.2%-ს 2019 წელს, შემცირდა 90 საბაზისო პუნქტით წინა წელთან შედარებით, ხოლო CIB-ის საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ხარჯი შეადგენდა 0.1%-ს 2019 წელს, შემცირდა 80 საბაზისო პუნქტით. RB-ს საკრედიტო რისკის ხარჯის კოეფიციენტის შემცირება ასახავს საკრედიტო პორტფელის გაუმჯობესებულ ხარისხს იპოთეკურ სეგმენტში და SME კლიენტებისთვის ჩვენს მიერ კრედიტირებაზე ორიენტირების გაზრდის გამო, ხოლო CIB-ის საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ხარჯის გაუმჯობესება წლის განმავლობაში ძირითადად განპირობებული იყო საშუალოდან მცირე მოცულობის კორპორატიული სესხების აღდგენით 2019 წელს.*
- ***ჩვენი საკრედიტო პორტფელის ხარისხი დარჩა ძლიერი 2019 წელს,** რაც დასტურდება შემდეგი კონტროლირებული მაჩვენებლებით. NPLs გაუმჯობესება გაცემულ სესხებზე ძირითადად განპირობებული იყო რამდენიმე პრობლემური კორპორატიული სესხის ჩამოწერით და დაფარვით 2019 წელს. NPL დაფარვის კოეფიციენტი ასევე შემცირდა წლის განმავლობაში განხორციელებული ჩამოწერების შედეგად. შესაბამისად წელს. NPL დაფარვის კოეფიციენტი, რომელიც კორექტირდა უზრუნველყოფის დისკონტირებულ ღირებულებაზე, გაუმჯობესდა წინა წელთან შედარებით 2019 წლის 31 დეკემბერს.*

ათასი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული	*2019*	*2018*	*ცვლილება წინა წელთან შედარებით*
NPLs	*252,695*	*318,356*	*-20.6%*
NPLs მთლიან სესხებზე	*2.1%*	*3.3%*	
NPLs მთლიან სესხებზე, RB	*1.5%*	*2.1%*	
NPLs მთლიან სესხებზე, CIB	*3.2%*	*5.9%*	
NPL დაფარვის კოეფიციენტი	*77.7%*	*90.0%*	
NPL დაფარვის კოეფიციენტი, კორექტირებული უზრუნველყოფის დისკონტირებულ ღირებულებაზე	*136.4%*	*129.4%*	

- ***BNB – ჯგუფის შვილობილი ბანკი ბელარუსში - რჩება ძლიერ კაპიტალიზებული,** კაპიტალის ადეკვატორობის კოეფიციენტით, რომელიც აღემატება ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მოთხოვნებს ("NBRB"). 2019 წლის 31 დეკემბერს, სულ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი შეადგენდა 15.0%-ს, რომელიც აღემატება 12.5%-იან მინიმალურ მოთხოვნას, ხოლო 1-ლი რიგის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი შეადგენდა 9.1%-ს, და აღემატებოდა ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის 7% მინიმალურ მოთხოვნებს. ROAE შეადგენდა 14.5% -ს 2019 წელს, ხოლო 2018 წელს შეადგენდა 14.6%-ს.*
- ***მთლიანობაში, მოგება, კორექტირებული ერთჯერად ხარჯებზე,** შეადგენდა 527.1 მილიონ ლარს 2019 წელს (გაიზარდა 27.0%-ითწინა წელთან შედარებით), ხოლო ROAE[5] შეადგენდა 27.8% -ს 2019 წელს (26.3% - 2018 წელს).*

საბალანსო მაჩვენებლები

ათასი ლარი	2019	2018	ცვლილება წინა წელთან შედარებით
ლიკვიდური აქტივები	5,533,902	4,458,268	24.1%
წმინდა სესხები და ფინანსური იჯარის დებიტორული დავალიანებები	11,766,754	9,229,320	27.5%
კლიენტის დეპოზიტები და ობლიგაციები	10,136,695	8,196,551	23.7%
საკრედიტო დაწესებულებებისთვის გადასახდელი თანხები	3,684,921	2,749,348	34.0%
სესხები DFI-დან	1,397,345	1,125,127	24.2%
მოკლევადიანი სესხები ცენტრალური ბანკებიდან	1,551,953	1,118,957	38.7%
სესხები და დეპოზიტები კომერციული ბანკებიდან	735,623	505,264	45.6%
გაცემული სავალო ფასიანი ქაღალდები	2,140,781	1,711,032	25.1%
ლიკვიდობის და კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები			
წმინდა სესხები / კლიენტის დეპოზიტები და ობლიგაციები	116.1%	112.6%	
წმინდა სესხები / კლიენტის დეპოზიტები და ობლიგაციები+ DFI	102.0%	99.0%	
ლიკვიდური აქტივები / სულ აქტივები	30.2%	30.7%	
ლიკვიდური აქტივები / სულ ვალდებულებები	34.1%	34.9%	
სებ-ის ლიკვიდობის კოეფიციენტი	31.1%	31.9%	
სებ-ის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი	136.7%	120.1%	
სებ (ბაზელ III) CET1 კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	11.5%	12.2%	
სებ (ბაზელ III) Tier I კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	13.6%	12.2%	
სებ (ბაზელ III) სულ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	18.1%	16.6%	

ჩვენი ბალანსი რჩება მაღალ ლიკვიდური *(სებ ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტი შეადგენს 136.7%)* ***და ძლიერ კაპიტალიზებული*** *(სებ ბაზელ Basel III Tier I კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი - 13.6%)* ***სათანადოდ დივერსიფიცირებული დაფინანსების ბაზით*** *(კლიენტის დეპოზიტები მთლიან ვალდებულებებთან, რომელიც შეადგენს 62.4%).*

- ***ლიკვიდურობა****. ლიკვიდური აქტივები შეადგენს 5,533.9 მილიონ ლარს 2019 წლის 31 დეკემბერს, გაიზარდა 24.1%-ით წინა წელთან შედარებით. აღსანიშნავი ზრდა წლის განმავლობაში იყო სავალდებულო რეზერვები (სებ-ი) ჭარბ ლიკვიდობასთან ერთად, რომელიც გამოყენებული იქნა საკრედიტო დაწესებულებებში. სებ-ის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი შეადგენდა 136.7%-ს 2019 წლის 31 დეკემბერს (120.1% - 2018 წლის 31 დეკემბერს), აღემატება 100% მინიმალური მოთხოვნის დონეს .*
- ***საკრედიტო პორტფელი****. ჩვენი წმინდა საკრედიტო პორტფელი და ფინანსური იჯარის დებიტორული დავალიანებები აღწევდა 11,766.8 მილიონ ლარს 2019 წლის 31 დეკემბერს, გაიზარდა 27.5%-ით წინა წელთან შედარებით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საცალო საკრედიტო პორტფელი წარმოადგენდა საერთო სასესხო პორტფელის 67.1%-ს, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 71.1%-ს. როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ვალუტაში პორტფელები მნიშვნელოვნად გაიზარდა წინა წელთან შედარებით. ადგილობრივ ვალუტაში საკრედიტო პორტფელის ზრდა ნაწილობრივ განპირობებული იყო მთავრობის დე-დოლარიზაციის ინიციატივებით და ჩვენი მიზნით, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ ვალუტაში სესხების წილის ზრდას პორტფელში.*
- ***ჩვენი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია და კლიენტის დეპოზიტები*** *. საცალო კლიენტის საკრედიტო პორტფელი უცხოურ ვალუტაში შეადგენდა საერთო RB საკრედიტო პორტფელის 43.3%-ს 2019 წლის 31 დეკემბერს (49.5% - 2018 წლის 31 დეკემბერს), ხოლო საცალო კლიენტის დეპოზიტების უცხოურ ვალუტაში შეადგენდა საერთო RB დეპოზიტების 68.0% -ს 2019 წლის 31 დეკემბერს. 2019 წლის 31 დეკემბერს, CIB-ის საკრედიტო პორტფელი დენომინირებული იყო უცხოურ ვალუტაში (81.2% - 2018 წლის 31 დეკემბერს), ხოლო CIB-ის დეპოზიტების 65.9% დენომინირებული იყო უცხოურ ვალუტაში..*
- ***წმინდა სესხების კლიენტის სახსრებზე და DFI კოეფიციენტი.*** *ჩვენი წმინდა სესხები კლიენტის სახსრებზე და DFI კოეფიციანტი, რომელიც სათანადოდ კონტროლდება ხელმძღვანელობის მიერ, დარჩა მყარი 102.0% -ზე 2019 წლის 31 დეკემბერს, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 99.0%-ს.*
- ***დივერსიფიცირებული დაფინანსების ბაზა.*** *გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები გაიზარდა 25.1%-ით წინა წელთან შედარებით 2019 წლის 31 დეკემბერს. წინა წელთან შედარებით ზრდა ძირითადად განპირობებული იყო 100 მილიონი აშშდ დამატებითი 1-ლი რიგის კაპიტალის გამოშვებით 2019 წლის მარტში.*
- ***კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები****. 2019 წლის 31 დეკემბერს, ბაზელ III საბაზო კაპიტალის 1-ლრიგის, 1-ლრიგის და საერთო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციანტები შეადგენდა 11.5%, 13.6% და 18.1%, შესაბამისად, ყველა მათგანი აღემატება მინიმალური მოთხოვნის 10.1%, 12.2% და 17.1%.*
  - *2019 წლის მარტში ბანკმა გამოუშვა 100 მილიონი აშშ დოლარი, 11.125% დამატებითი 1 რიგის კაპიტალის უვადო სუბორდინირებული ობლიგაციები, გადასახდელი 5.25 წლის შემდეგ და ყოველ შემდგომ პროცენტის გადახდის დღეს,*

საქართველოს ეროვნული ბანკის წინასწარი თანხმობის საფუძველზე, 100.00% გამოშვების ფასით ("ობლიგაციები"). ობლიგაციები მითითებულია ირლანდიის საფონდო ბირჟაზე და მინიჭებული აქვს B- კატეგორია (Fitch). გამოშვება იყო 1 რიგის კაპიტალის ობლიგაციების პირველი საერთაშორისო შეთავაზება საქართველოდან და სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან. მარეგულირებლის ნებართვა აღნიშნული ობლიგაციების დამატებით 1 რიგის ინსტრუმენტად კლასიფიკაციის შესახებ მიღებულ იქნა 2019 წლის აპრილში.

- *2019 წლის დეკემბერში, ბანკმა ხელი მოაწერა ათწლიან 107 მილიონი აშშ დოლარის სუბორდინირებულ სინდიცირებულ სესხის ხელშეკრულებას შეთანხმების აგენტია FMO – Dutch entrepreneurial development bank სხვა მონაწილე კრედიტორებთან ერთად (ბანკის არსებული და ახალი აპრტნიორი ფინანსური ინსტიტუტები). რომელიც სავარაუდოდ განიხილება ბანკის 2 რიგის კაპიტალის ინსტრუმენტად (საქართველოს ბანკის მიერ გამოყოფის და დამტკიცების შემდეგ) ბაზელ III ფარგლებში, რაც ხელს შეუწყობს ბანკის კაპიტალის გაუმჯობესებას. მთლიანი კრედიტიდან 52 მილიონი აშშ დოლარი ბანკმა დახარჯა 2019 წლის დეკემბერში, ხოლო 55 მილიონ აშშ დოლარი 2020 წლის აპრილში და მარეგულირებლის ნებართვა კლასიფიკაციაზე მიღებული იქნა 2019 წლის დეკემბერში და 2020 წლის აპრილში.*

მმართველობა

კორპორატიული მართვის ჩარჩო

ბანკი

ბანკის კორპორატიული ორგანოებია აქციონერთა საერთო კრება ("GMS"), სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო, რომელთაგან თითოეულს გააჩნია საკუთარი პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება საქართველოს კანონმდებლობის და ბანკის წესდების **(`წესდება")** შესაბამისად. აქციონერთა საერთო კრება არის ბანკის უმაღლესი შიდა მმართველი ორგანოა, იგი ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, რომლებიც პასუხს აგებენ დირექტორთა საბჭოს ზედამხედველობაზე. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს წევრებს დირექტორთა საბჭოში, რომელიც წარმოადგენს ბანკის ყოველდღიურ ოპერაციებზე პირდაპირ პასუხისმგებელ აღმასრულებელ ორგანოს. ბანკის საბოლოო მშობელი კომპანია საქართველოს ბანკის ჯგუფი, განსაზღვრავს ბანკის და მთლიანად ჯგუფის სტრატეგიას. კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად **(„კანონი საბანკო საქმიანობის შესახებ“),** (2018 წლის 26 სექტემბრით დათარიღებული სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება #215/04), საქართველოს კომერციული ბანკები ვალდებული არიან ჰქონდეთ აუდიტისა და რისკი კომიტეტები, რომლებიც არჩეულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე, სისტემურად მნიშვნელოვან ბანკებს დამატებით მოეთხოვებათ ჰქონდეთ კორპორატიული მმართველობის და ანაზღაურების კომიტეტები მათი სამეთვალყურეო საბჭოების დაქვემდებარებაში. როგორც ეს ქვემოთ 3.3 ნაწილშია აღწერილი დეტალურად ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ეხმარება ხუთი კომიტეტი, რომელიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან შემდგარი ხუთი კომიტეტისგან, კერძოდ: აუდიტისა და კორპორატიული მართვის კომიტეტის, რისკის კომიტეტი, ნომინაციის კომიტეტი, სპეციალური კომიტეტი და ანაზღაურების კომიტეტი. შესაბამისი კომიტეტები წევრები არჩეულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

ჯგუფი

ღსს საქართველოს ბანკის ჯგუფის დონეზე, საქართველოს ბანკის ჯგუფის დირექტორთა საბჭო (რომელიც ამჟამად შედგება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან, როგორც არა-აღმასრულებელი დირექტორებისგან, ბანკის გენერალური დირექტორისგან, როგორც მთავარი აღმასრულებელი დირექტორისგან, და ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისგან, როგორც თავმჯდომარისგან) („საქართველოს ბანკის ჯგუფის დირექტორთა საბჭო“), თავისი აუდიტის, რისკის, ნომინაციის და ანაზღაურების კომიტეტებით, საბოლოოდ პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვასა და შიდა კონტროლზე.
საქართველოს ბანკის ჯგუფსა და ბანკის კორპორატიული მმართველობის ჩარჩოს შორის ურთიერთობა დამატებით აღწერილია ქვემოთ.

აქციონერთა ჩართულობა და აქციონერთა საერთო კრების ფუნქციები

აქციონერთა ჩართულობის წესი, ბანკის წესდებაზე დაყრდნობით

ბანკის წესდების მიხედვით, ყოველწლიური აქციონერთა საერთო კრება (GMS) უნდა შეიკრიბოს ბანკის საბუღალტრო წიგნების გარე აუდიტის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი თვისა და ნებისმიერ შემთხვევაში - წინა ფისკალური წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ექვსი თვის შემდეგ.

აქციონერთა საერთო კრების დრო, ადგილი და დღის წესრიგი ქვეყნდება ბეჭდურ მედიაში აღნიშნულ GMS-მდე არანაკლებ 20 დღით ადრე. წესდების თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს ჩანაწერის თარიღს აქციონერთა საერთო კრებისთვის. იმ აქციონერებს, რომელთაც უკავიათ მინიმუმ ხმის უფლების მქონე აქციების 1.0%, შეტყობინება ეგზავნებათ დაზღვეული ფოსტით. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში, შეტყობინებას იღებენ ბანკის საკუთარ კაპიტალში შედარებით მცირე წილის მფლობელებიც. ყოველწლიური GMS განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა წლიური ანგარიშგება და წლიური ანგარიშები, დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს შეთავაზებები დივიდენდების განაწილებაზე, ბანკის რეზერვები და დივიდენდების პოლიტიკა და ასეთი პოლიტიკის დასაბუთება დირექტორთა საბჭოს მიერ, აუდიტორის არჩევა და სხვა საკითხები, რომლებიც წარმოდგენილი იქნება განსახილველად დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, ასევე აქციონერების მიერ საქართველოს კანონმდებლობის და წესდების თანახმად წამოყენებული საკითხები.

აქციონერთა საერთო კრების ქვორუმი დაკმაყოფილებულია, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელთა მინიმუმ ნახევარი ან მათი წარმომადგენლები. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში, შეიკრიბება ახალი აქციონერთა საერთო კრება იმავე დღის წესრიგით და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ პერიოდში, კანონმდებლობით ან წესდებით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად. ახალი აქციონერთა საერთო კრების ქვორუმი დაკმაყოფილებულია, თუ მას ესწრებიან მინიმუმ ხმის უფლების მქონე აქციების 25.0%-ის მფლობელები. თუ აღნიშნულ ახალ აქციონერთა საერთო კრებაზე ქვორუმი არ შედგება, მოწვეული იქნება ახალი აქციონერთა საერთო კრება, რომლის ქვორუმიც დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, დამსწრე და ხმის უფლების მქონე აქციონერების ან მათი წარმომადგენლების რაოდენობის მიუხედავად.

საგანგებო აქციონერთა საერთო კრება (“EGM”) მოწვეული იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც დირექტორთა საბჭო, სამეთვალყურეო საბჭო ან გამოცემული აქციების მინიმუმ 5.0%-ის მფლობელი აქციონერი/აქციონერთა ჯგუფი ასეთი კრების მოწვევას საჭიროდ მიიჩნევს. კანონის შესაბამისად, აქციონერები, რომლებიც ინდივიდუალურად ან ერთად ფლობენ სულ გამოშვებული კაპიტალის მინიმუმ 5.0%-ს, უფლებამოსილნი არიან, დაასახელონ განსახილველი საკითხი ბოლო აქციონერთა საერთო კრების ჩატარებიდან არანაკლებ ერთ თვეში და მოითხოვონ დირექტორთა საბჭოს მიერ საგანგებო აქციონერთა საერთო კრების მოწვევა. დირექტორთა საბჭო მოიწვევს ასეთ კრებას აქციონერებისგან მოთხოვნის მიღებიდან არაუმეტეს სამ თვეში. იმ შემთხვევაში, თუ აქციონერ(ებ)ის მიერ მოთხოვნილი საგანგებო აქციონერთა საერთო კრების ერთადერთი საკითხი დღის წესრიგში არის ერთი ან რამდენიმე დირექტორის გათავისუფლება და ეს მოთხოვნა 20 დღის განმავლობაში არ დაკმაყოფილდება, ინიციატორი აქციონერები უფლებამოსილნი არიან, მოიწვიონ საგანგებო აქციონერთა საერთო კრება აქციონერებისთვის დაზღვეული ფოსტით შეტყობინების გაგზავნის გზით. ასეთი საგანგებო აქციონერთა საერთო კრების ქვორუმი დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ მას ესწრებიან სულ მცირე ხმის უფლების მქონე აქციების 75.0%-ის მფლობელები. თუ საგანგებო აქციონერთა საერთო კრების ქვორუმი ვერ შედგება, აქციონერები უფლებამოსილნი არიან, განმეორებით მოიწვიონ კრება პირველი საგანგებო აქციონერთა საერთო კრებიდან არანაკლებ 20 დღეში. ასეთ შემთხვევაში, ქვორუმის მოთხოვნა იგივე იქნება. თუ მეორე კრების ქვორუმიც ვერ შედგება, აქციონერები უფლებამოსილნი არიან, მიმართონ შესაბამისი იურისდიქციის სასამართლოს, რომელიც დაავალდებულებს დირექტორთა საბჭოს, მოიწვიონ საგანგებო აქციონერთა საერთო კრება, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან სამი თვის განმავლობაში..

აქციონერთა საერთო კრება ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ან მისი არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოადგილე ან სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი სხვა წევრი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არყოფნის შემთხვევაში, კრებას ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. დგება კრების ოქმი, რომელსაც ამოწმებს ნოტარიუსი.
საქართველოს კანონმდებლობით და წესდებით აქციონერები უფლებამოსილნი არიან, აქციონერთა საერთო კრებაზე მიიღონ დადგენილება შემდეგ საკითხებზე:

- წესდების დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა (მათ შორის, შეუზღუდავად, საწესდებო კაპიტალისა და კორპორატიული სახელის შეცვლა);
- სააქციო კაპიტალის ზრდა ან სააქციო კაპიტალის შემცირება;
- ბანკის ლიკვიდაცია;
- შერწყმის დამტკიცება, ბანკის გაყოფა ან სხვა იურიდიულ პირად გარდაქმნა;
- აქციების ყიდვის უპირატესი უფლების სრული ან ნაწილობრივი გაუქმება სააქციო კაპიტალის ზრდის დროს;
- სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს შეთავაზებების დამტკიცება მოგების განაწილების შესახებ, ან იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ორგანოებს არ შეუძლიათ ერთობლივი შეთავაზების წარმოდგენა, გადაწყვეტილების მიღება სუფთა მოგების გამოყენების შესახებ;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და გათავისუფლება და მათი მომსახურების პირობების განსაზღვრა;
- ქცევის კოდექსის დაწესება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის;
- სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს ანგარიშების დამტკიცება;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების დამტკიცება;
- აუდიტორების დანიშვნა;
- სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს წევრების წინააღმდეგ სამართალწარმოებაში მონაწილეობის დამტკიცება, მათ შორის, წარმომადგენლის დანიშვნა ასეთი სამართალწარმოების ფარგლებში.
- ბანკის აქტივების შეძენის, გაყიდვის, გადაცემის, გადაცვლის (ან მსგავსი ტრანზაქციების) დამტკიცება ან ბანკის აქტივების დატვირთვა, რომელთა ღირებულება აღემატება ბანკის საერთო აქტივების 25.0%-ს;
- წლიური ანგარიშების დამტკიცება; და
- კანონით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

წესდების თანახმად, გადაწყვეტილებებს ყველა სხვა საკითხის შესახებ იღებს სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში.

ჩატარებულ აქციონერთა კრებები და 2019 წელს მიღებული დადგენილებები

- 2019 წლის 28 თებერვალს ბანკის ხმის უფლების მქონე აქციების 75%-ზე მეტის მფლობელმა აქციონერმა -სს „ბიჯეო ჯგუფმა“ დაამტკიცა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების ტარიფები
- 2019 წლის 14 მაისს ბანკის ხმის უფლების მქონე აქციების 75%-ზე მეტის მფლობელმა აქციონერმა -სს „ბიჯეო ჯგუფმა“ დაამტკიცა 2018 ფინანსური წლის სრული მოგებიდან დივიდენდების განაწილება 139.200.000 ლარის ოდენობით
- 2019 წლის 13 აგვისტოს ბანკის ხმის უფლების მქონე აქციების 75%-ზე მეტის მფლობელმა აქციონერმა -სს „ბიჯეო ჯგუფმა“ დაამტკიცა ქ-ნ ჰანა ლოიკანენის როგორც სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრის დანიშვნა.

კომერციული ბანკის აქციების მფლობელთა წესი, სებ-ის რეგულაციების საფუძველზე

საბანკო საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად, პირი, რომელიც გასამართლებულია მძიმე ან უკიდურესად მძიმე დანაშაულისთვის, ტერორიზმის დაფინანსებისთვის და/ან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის, ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისთვის, არ არის უფლებამოსილი, ფლობდეს აქციების მნიშვნელოვან ნაწილს (განისაზღვრება, როგორც ავტორიზებული სააქციო კაპიტალის 10.0%-ზე მეტი, ან პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელობაში არსებული სრულად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალის 10.0%-ზე მეტი) კომერციულ ბანკში. სებ-ი უფლებამოსილია, ნორმატიული აქტით განსაზღვროს შესაბამისობის დამატებითი კრიტერიუმები აქციათა მნიშვნელოვანი ნაწილის მფლობელებისთვის.
საბანკო საქმიანობის შესახებ კანონის მიხედვით, პირი, რომელსაც განზრახული აქვს აქციების შეძენა ქართულ ბანკში და რომელიც შესაბამისი შესყიდვის შედეგად გახდება ბანკის სააქციო კაპიტალის 10%, 25% ან 50%-ის ბენეფიციარი მფლობელი, ვალდებულია, სებ-ს წარუდგინოს დეკლარაცია და მიიღოს მისგან წინასწარი დასტური. ზოგადად, სებ ვალდებულია, გამოსცეს ან გააუქმოს საკუთარი თანხმობა დეკლარაციის წარდგენიდან ერთი თვის განმავლობაში; თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის დამაკმაყოფილებელი სებ-ისთვის, იგი უფლებამოსილია, გაახანგრძლივოს აღნიშნული ვადა სამ თვემდე.

ტრანზაქცია, რომლითაც პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელობაში იღებს ქართული ბანკის ავტორიზებული სააქციო კაპიტალის ან სრულად ანაზღაურებული გამოშვებული სააქციო კაპიტალის 10%-ზე მეტს, სებ-ისთვის დეკლარაციის წარდგენის გარეშე ან სებ-ის თანხმობის გარეშე, ითვლება ბათილად და ძალადაკარგულად.

სებ უფლებამოსილია, მოსთხოვოს ბანკს დეკლარაციის წარდგენა ბანკის ავტორიზებული სააქციო კაპიტალის ან სრულად ანაზღაურებული გამოშვებული სააქციო კაპიტალის 10%-ზე მეტის პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელების შესახებ. ასეთ შემთხვევაში, სებ-ი უფლებამოსილია, დროებით ან განუსაზღვრელი ვადით შეუჩეროს შესაბამის პირს ხმის მიცემის უფლება ან მოითხოვოს აღნიშნული პირის მიერ აქციების მფლობელობის 10%-მდე შემცირება. სებ უფლებამოსილია, უარი განაცხადოს დამტკიცებაზე, თუ ტრანზაქციამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საქართველოს ფინანსური სექტორის სტაბილურობას, გამოიწვიოს საერთაშორისო ორგანიზაციების ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების მიერ განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევა, ან იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელსაც კომერციულ ბანკში აქციების შესყიდვა სურს, ვერ წარმოადგენს ყველა საჭირო ინფორმაციას ასეთი აქციების შესაძენად გამოყენებული ფულადი სახსრების წარმომავლობის შესახებ. სებ უფლებამოსილია, ნორმატიული აქტით განსაზღვროს შესაბამისობის დამატებითი კრიტერიუმები აქციების მნიშვნელოვანი წილის მფლობელებისთვის.

ამასთან, საბანკო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად პირი, ან ერთობლივად მოქმედი აქციონერთა ჯგუფი, რომლებსაც განზრახული აქვთ ქართულ ბანკში არსებული აქციების გაყიდვა, და რომელთა მფლობელობა, შესაბამისი გაყიდვის შედეგად 10%-ზე, 25%-ზე ან 50%-ზე ნაკლები ხდება, ვალდებულნი არიან, ასეთი გაყიდვის წინ აცნობონ სებ-ს და წარმოადგინონ დეტალური ინფორმაცია აღნიშნული ტრანზაქციის შესახებ.

არსებობს გარკვეული ანგარიშგების ვალდებულებები ქართული ბანკის აქციების მნიშვნელოვანი ნაწილის მფლობელობასთან დაკავშირებით. საბანკო საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად, კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან, წლიურ ანგარიშგებასთან ერთად სებ-ს წარუდგინონ ინფორმაცია მათი სააქციო კაპიტალის 10%-ზე მეტის ბენეფიციარისა და პირდაპირი მფლობელების შესახებ (სებ-ის 2006 წლის 23 მაისის ბრძანება No 145 აწესებს შედარებით დაბალ 5%-იან ზღვარს). ასეთი ინფორმაცია უნდა მომზადდეს კომერციული ბანკის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელმაც ასევე უნდა მიუთითოს, ადასტურებს თუ არა აღნიშნული ინფორმაციის სიზუსტეს. ამასთან, პირი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ბენეფიციურად ფლობს კომერციული ბანკის აქციების 10%-ზე მეტს, ვალდებულია, ყოველი კალენდარული წლის აპრილში სებ-ს წარუდგინოს დეკლარაცია წინა კალენდარული წლის 31 დეკემბრისთვის მის მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობის შესახებ. ბანკის აქციონერების ინფორმაცია წარმოდგენილია ზემოთ 2.1 ნაწილში (მფლობელობა).

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო, საქართველოს ბანკის ჯგუფის დირექტორთა საბჭო და კომიტეტები

წესდებისა და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ბანკის სამეთვალყურეო საბჭო ასრულებს მეტწილად ისეთივე როლს, როგორსაც საქართველოს ბანკის ჯგუფის დირექტორთა საბჭო ბანკის დონეზე. წესდების შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭომ ზედამხედველობა უნდა გაუწიოს ბანკის დირექტორთა საბჭოს, დაამტკიცოს ბანკის რისკის სტრატეგია და პრინციპები, და საბოლოოდ პასუხისმგებელია რისკების გამოვლენასა და კონტროლზე. ის ამტკიცებს საკრედიტო პოლიტიკას, რომელიც მოიცავს საკრედიტო რისკის კონტროლისა და მონიტორინგის პროცედურებს და ბანკის საკრედიტო რისკის მართვის სისტემებს, და ამტკიცებს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, რომელიც გათვალისწინებული არ არის შესაბამისი საკრედიტო კომიტეტის კომპეტენციის სფეროთი (მათ შორის 35.0 მლნ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის ერთჯერად სესხთან დაკავშირებულ რისკებს). დირექტორთა საბჭო ყოველ კვარტალში განსახილველად წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს საერთო საკრედიტო ანგარიშგების და ბაზრის ანგარიშგებას.

ანგარიშგების თარიღისთვის სამეთვალყურეო საბჭო შედგება შვიდი წევრისგან, რომელთაგან თითოეულს ირჩევს აქციონერთა საერთო კრება, სებ-ის დასტურის საფუძველზე. // თუმცა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამეთვალყურეო საბჭო შედგებოდა რვა წევრისგან (დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ) წევრები ინიშნებიან ოთხწლიანი ვადით, და მათი ხელახალი დანიშვნა და ვადის გაგრძელება შეუზღუდავია. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა მოვალეობების შესრულებისას უნდა იმოქმედონ ბანკის ყველა აქციონერის და მისი ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე. სამეთვალყურეო საბჭოს დახმარებას უწევს ხუთი სხვადასხვა კომიტეტი, რომლებიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან: აუდიტისა და კორპორატიული მართვის კომიტეტი, რისკის მართვის კომიტეტი, ნომინაციის კომიტეტი, ანაზღაურების კომიტეტი და სპეციალური კომიტეტი. შესაბამისი კომიტეტის წევრებს ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭოს რისკის, აუდიტის და კორპორატიული მართვის, ნომინაციისა და ანაზღაურების კომიტეტების ფუნქციები აღწერილი ქვემოთ.

ქვემოთ გრაფიკში წარმოდგენილია კომიტეტები, რომლებიც ოპერირებენ სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებაში და მათი ძირითა ვალდებულებები.



სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ბანკის გრძელვადიან წარმატებაზე და ბანკის საქმიანობის მართვის შედეგად აქციონერებისთვის მდგრადი ღირებულების შექმნასა და მიწოდებაზე. სამეთვალყურეო საბჭო ადგენს ბანკის ძირითად ღირებულებებს; ადგენს და აკონტროლებს ბანკის სტრატეგიის შესრულებას ძლიერი და ეფექტური რისკის მართვის და შიდა კონტროლის ფარგლებში; ხელს უწყობს კორპორაციული მართვის კულტურას საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, თავის მრავალ სხვა პასუხისმგებლობასთან ერთად.

სამეთვალყურეო საბჭოს ვალდებულებების სფერო და ანგარიშგება

თითოეულმა კომიტეტმა შეათანხმა ვალდებულებების სფერო, რომელსაც ყოველწლიურად განიხილავს თითოეული კომიტეტი და ნებისმიერი ცვლილება მტკიცდება საქართველოს ბანკის ჯგუფის დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

ყველა არა-აღმასრულებელ დირექტორს აქვს მუდმივი მიწვევა დაესწროს კომიტეტის კრებებს (და არა უბრალოდ კომიტეტის წევრების დასწრების შეზღუდვა).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ბანკის ჯგუფის დირექტორთა საბჭოს შედგება რვა წევრისაგან. 2020 წლის 31 იანვრის მდგომარეობით ბ-ნმა ანდრეს ვოლფმა დატოვა სამეთვალყურეო საბჭო. ქვემოთ წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და მათი პროფესიული წარსული:

- **ნილ ჯანინი**
  თავმჯდომარე

ნილ ჯანინი დაინიშნა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ 2010 წლის სექტემბერში და შემდეგ ხელახლა იქნა არჩეული წესდების შესაბამისად. ბ-ნ ჯანინი ასევე არის ბანკის ნომინაციის კომიტეტის თავმჯდომარე, ასევე ანაზღაურების კომიტეტის წევრი. ბ-ნი ჯანინი ასევე არის საქართველოს ბანკის ჯგუფის არა-აღმასრულებელი თავმჯდომარე, ასევე ჯგუფის ნომინაციის კომიტეტის თავმჯდომარე და მისი ანაზღაურების კომიტეტის წევრი. ბ-ნი ჯანინი ადრე მუშაობდა ბიჯეი გრუფ ფიელსის თავმჯდომარედ, რომელიც მოიცავს ბიჯეი გრუფ ფიელსის ნომინაციისა და ანაზღაურების კომიტეტებს. ბ-ნი ჯანონი ასევე მუშაობდა საქართველოს ჰელქეა გრუფ ფლს-ს არააღმსრულებელ დირექტორად 2015 წლის სექტემბრიდან 2018 წლის აპრილამდე.

უნარ-ჩვევები და გამოცდილება:

ბ-ნი ჯანინი ადრე იყოს ბიჯეი გრუფ ფიელსი თავმჯდომარე 2011 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის მაისამდე, რომელიც მოიცავდა პოზიციებს ჯგუფის ნომინაციისა და ანაზღაურების კომიტეტებში. ბ-ნი ჯანინი ასევე იყო საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის არა-აღმასრულებელი დირექტორი 2015 წლის სექტემბრიდან 2018 წლის აპრილამდე. ბ-ნი ჯანინი არის როგორც მომგებიანი, ასევე არამომგებიანი ორგანიზაციების აღმასრულებელი დირექტორების მრჩეველი და აგრძელებს საკონსულტაციო მომსახურებების გაწევას McKinsey & Company-თვის. ბანკში მუშაობის დაწყებამდე 2010 წელს, ბ-ნი ჯანინი იყო პარიზის ოფისში დაფუძნებული McKinsey & Company-ის დირექტორი 27 წლის განმავლობაში, 1982 წლიდან მის პენსიაზე გასვლამდე. McKinsey & Company-ში დაიწყო მუშობა საცალო, აქტივების მართვის და კორპორატიული საბანკო საქმიანობის სექტორებში, და აქტიურად იყოს ჩართული ორგანიზაციული პრაქტიკის ყველა ასპექტში, მათ შორის, დიზაინში, ხელმძღვანელობაში, მმართველობაში, წარმოების გაფართოებასა და ტრანსფორმაციაში. 2009 წელს, დირექტორების ფრანგული ინსტიტუტის წევრად ყოფნისას, ბატონმა ჯანინმა ნაშრომი გამოაქვეყნა კომპანიის სტრატეგიის განსაზღვრისა და დანერგვის საკითხებში დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობის შესახებ. McKinsey & Company-ში მუშაობის დაწყებამდე, ბატონი ჯანინი მუშაობდა Chase Manhattan Bank-ში (ამჟამად JP Morgan Chase) ნიუ იორკსა და პარიზში, ასევე, Procter & Gamble-ში ტორონტოში. ბატონი ჯანინი სხვადასხვა დროს მუშაობდა ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. ბატონი ჯანინი ასევე არის Neil Janin Limited-ის დირექტორი, რომლის მეშვეობითაც ახორციელებს საკონსულტაციო მომსახურებებს.

განათლება:

ბატონ ჯანინს მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი ტორონტოში და მინიჭებული აქვს საპატიო ხარისხი ეკონომიკისა და საბუღალტრო ანგარიშგების სფეროში მონრეალის მაკგილის უნივერსიტეტის მიერ.

- **ჰანა ლოიკანენი**
  უფროსი დამოუკიდებელი წევრი

ჰანა ლოიკანენი დაინიშნა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად 2015 წლის აგვისტოში და როგორც უფროსი დამოუკიდებელი წევრი 2019 წლის აგვისტოში. ქ-ნი ლოიკანენი არის ასევე ბანკის ნომინაციის კომიტეტის, ანაზღაურების კომიტეტისა და აუდიტისა და კორპორატიული მმართველობის კომიტეტის წევრი. ქ-ნი ლოიკანენი ასევე არის ჯგუფის უფროსი დამოუკიდებელი არა-აღმასრულებელი დირექტორი, ასევე ჯგუფის ფლს აუდიტისა და ნომინაციის კომიტეტის წევრი. ქ-ნი ლოიკანენი ადრე იყო ჯგუფის ფლს-ს დამოუკიდებელი არა-აღმასრულებელი დირექტორი რომელშიც შედის ჯგუფის ნომინაციისა და რისკი კომიტეტებში წევრობა.

უნარ-ჩვევები და გამოცდილება:
ქალბატონ ლოიკანენს აქვს ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის 25 წლიანი გამოცდილება რუსეთში და აღმოსავლეთ ევროპაში.. ის მუშაობდა შვედური აქტივის მართვის კომპანიის ისტ კაპიტალის მოსკოვის ოფისში 2007 წლიდან 2015 წლამდე, მართავდა კერძო სააქციო ფონდს, რომელიც ფოკუსირებული იყო რეგიონის ფინანსურ ინსტიტუტებში ინვესტირებებზე. //ამ პერიოდში ის იყო რამდენიმე რეგიონული ბანკის საბჭოს წევრი, რომლებიც განსაკუთრებით ფოკუსირებული იყო კორპორატიულ მმართველობასა და ბიზნეს განვითარებაზე. მანამდე ქ-ნი ლოიკანენს ეკავ რუსეთში FIM გრუპის, ფინური საინვესტიციო ბანკში ქვეყნის მენეჯერის და აღმასრულებელი დირექტორის პოზიცია, სადაც ის პასუხიმგებელი იყო FIM გრუპის საბროკერო და კორპორატიული დაფინანსების ოპერაციებზე რუსეთში. FIM გრუპში თავისი საქმიანობის დროს, კომპანია კონსულტაციას უწევდა რამდენიმე უცხოურ კომპანიას მათ შერწყმისა და შეძენების საქმიანობაში რუსეთში. უფრო ადრე თავის კარიერიის დროს ქ-ნი ლოიკანენი მუშაობდა Nordea Finance-თვის სხადასხვა ხელმძღვანელ პოზიციაზე პოლონეთში , ბალტიის სახელმწიფოებსა და სკანდინავიაში, რომლიც ფოკუსირებული იყო ბიზნესის განვითარებაზე, სტრატეგიასა და ბიზნეს ინტეგრაციაზე; სკანდიბნავიური Enskilda Banken -თვის მოსკოვში , სადაც ის პასუხისმგებელი იყო SEB'--ის სავალო კაპიტალის ბაზრის ოპერირებაზე რუსეთში; და MeritaNordbanken -თვის სანქტ პეტერბურგში, სადაც ის ფოკუსირებული იყო სავაჭრო ფინანსურ და საკორესპონდენტო საბანკო საქმიანობაზე. საქართველოს ბანკის გრუფ ფლს-ში თავისი დირექტორობის გარდა ქ-ნი ლოიკნანე ასრულებდა არა-აღამსრულებელი დირექტორის ფუნქციას, იყოს კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტის თავმჯდომარე, და PJSC Rosbank - ის აუდიტის კომიტეტის წევრი, უნივერსალური ბანკი რომელიც შეტანილია მოსკოვის საფონდო ბირჟის ლისტინგში (Société Générale Group რუსეთში). 2014 წლიდან ის იყო ჰელსინკში დაფუძნებული დამოუკიდებელი ქონების მართვის კომპანიის მიერ რეგულირებადი T&B Capital-ის არა-აღმსრულებელი თავმჯდომარე,

განათლება:
ქალბატონი ლოიკანენი ფლობს ჰელსინკის ეკონომიკის სკოლის მიერ გაცემულ მაგისტრის ხარისხს ეკონომიკასა და ბიზნესის ადმინისტრირებაში, და იყო ჰელსინკის ეკონომიკის სკოლის სტიპენდიანტი ახალი სამხრეთ უელსის უნივერსიტეტში.

- **თამაზ გიორგაძე**
  დამოუკიდებელი წევრი

თამაზ გიორგაძე დაინიშნა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად 2013 წელს და შემდეგ ხელახლა იქნა დანიშნული წესდების შესაბამისად. ბ-ნი გიორგაძე არის ბანკის რისკების კომიტეტის თავმჯდომარე და ანაზღაურების კომიტეტის და ნომინაციის კომიტეტის წევრი. ბ-ნი გიორგაძე ასევე არის ჯგუფის დამოუკიდებელი არა-აღმასრულებელი დირექტორი, ასევე ჯგუფის რისკების კომიტეტის თავმჯდომარე და ანაზღაურებისა და ნომინაციის კომიტეტების წევრი. ბ-ნი გიორგაძე ადრე იყო საქართველოს ბანკის ჯგუფის ფლს-ის დამოუკიდებელი არა-აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც შეტანილია საქართველოს ბანკის ჯგუფის აუდიტის, ნომინაციისა და რისკების კომიტეტებში.

უნარ-ჩვევები და გამოცდილება:
2013 წელს ბატონმა გიორგაძემ დააფუძნა Raisin GmbH (ყოფილი SavingsGlobal GmbH), რომელმაც პირველმა დაიწყო გლობალური დეპოზიტის შუამავლის ფუნქციის შესრულება ევროპაში და სადაც ბატონი გიორგაძე კვლავ განაგრძობს გენერალური დირექტორის პოზიციაზე მუშაობას. აღნიშნული კომპანიის დაფუძნებამდე ბატონ გიორგაძეს ათწლიანი კარიერა ჰქონდა ბერლინში McKinsey & Company-ში, სადაც პარტნიორის მოვალეობას ასრულებდა 2009-დან 2013 წლამდე. McKinsey & Company-ში მუშაობისას, ის თანამშრომლობდა გერმანიაში, შვეიცარიაში, რუსეთში, საქართველოსა და ვიეტნამში არსებულ ბანკებთან, მისი საქმიანობა ეხებოდა სტრატეგიას, რისკის იდენტიფიკაციას და მართვას, სადეპოზიტო და საინვესტიციო პროდუქტებს, ოპერაციებს და გაყიდვებს. 1994 წლიდან 1995 წლამდე, McKinsey & Company-ში მუშაობის დაწყებამდე, ბატონი გიორგაძე საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწედ მუშაობდა საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში. Raisin GmbH-ის გარდა, ბატონი გიორგაძე არ არის სხვა რომელიმე კომპანიის დირექტორი.
განათლება:

ბატონ გიორგაძეს მოპოვებული აქვს ორი დოქტორის ხარისხი, ერთი ეკონომიკის დარგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, მეორე კი სოფლის მეურნეობის დარგში Justus-Liebig University Gießen-დან, გერმანიაში. ბატონი გიორგაძე Justus-Liebig University Gießen-ში სამართალმცოდნეობასაც ეუფლებოდა და სწავლა წარჩინებით დაასრულა.

- **ალასდერ (ალ) ბრიჩი**
  დამოუკიდებელი წევრი

2010 წლის სექტემბერში ალ ბრიჩმა დაიკავა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის ადგილი. ბ-ნი ბრიჩი არის ბანკის ანაზღაურების კომიტეტის თავმჯდომარე და ასევე არის ნომინაციის კომიტეტის წევრი. ბ-ნი ბრიჩი ასევე არის ჯგუფის დამოუკიდებელი არა-აღმასრულებელი დირექტორი, ასევე ჯგუფის ანაზღაურების კომიტეტის თავმჯდომარე და რისკისა და ნომინაციის კომიტეტების წევრი. ის ადრე იყო ჯგუფის დამოუკიდებელი არა-აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც მოიცავდა ჯგუფის ანაზღაურების, ნომინაციისა და რისკის კომიტეტებში პოზიციებს.

უნარ-ჩვევები და გამოცდილება:
2013 წელს, ბატონი ბრიჩი გახდა Gemsstock Limited-ის თანადამფუძნებელი, რაც წარმოადგენს UK FCA-რეგულირებულ ფონდის სამართავ კომპანიას, სადაც ის ასევე იკავებს გენერალური დირექტორის პოზიციას. 2010 წელს ბატონმა ბრიჩმა შვეიცარიაში დააფუძნა აქტივების მართვის ფირმა Furka Advisors AG, სადაც მუშაობდა გენერალური დირექტორის პოზიციაზე, Gemsstock Limited-ის დაფუძნებამდე, რომელიც მართავს Gemsstock-ის ფონდს, რომელსაც წარსულში Gemsstock Growth Fund ეწოდებოდა და მის მართვას ბატონი ბრიჩი ახორციელებდა Furka Advisors AG-ში. მისი ადრინდელი კარიერა მოიცავდა კვლევას საინვესტიციო ბანკებში, ძირითადად რუსეთში. 2003 წლის იანვარში ბრიჩი გადავიდა Brunswick UBS-ში (შემდგომში UBS Russia), სადაც მთავარი ეკონომისტი იყო და მოგვიანებით დაინიშნა კვლევისა და მართვის დირექტორის პოზიციაზე, რომელსაც იკავებდა 2007 წლის ოქტომბრამდე. 1998 წლიდან 2002 წლამდე, ბატონი ბრიჩი იყო რუსეთის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ეკონომისტი Goldman Sachs-ში, რომელიც მოსკოვშია დაფუძნებული. ბატონი ბრიჩი ასევე არის 2008 წელს დაარსებული ახალი ამბების მომწოდებელი ვებ-გვერდის The Browser.com-ის თანადამფუძნებელი. ბატონი ბრიჩი იკავებს დირექტორის პოზიციას Gemsstock Limited-ში, Gemsstock ფონდში, The Browser-ში და Furka Holdings AG-ში, რომლებიც კერძო კომპანიებია. ის ასევე არის East Capital-ის მრჩეველი.

განათლება::

ბატონმა ბრიჩმა ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი მოიპოვა ლონდონის ეკონომიკის სკოლაში. ის ასევე ფლობს ედინბურგის უნივერსიტეტის მიერ გაცემულ ბაკალავრის ხარისხს მათემატიკასა და ფილოსოფიაში.

- **ჯონათან მუირი**
  დამოუკიდებელი წევრი

ჯონათან მუირი დაინიშნა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად 2017 წლის აგვისტოში. ის არის ბანკის სპეციალური კომიტეტის და აუდიტის კორპორატიული მმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე, ასევე ნომინაციის კომიტეტის წევრი. ბ-ნი მუირი ასევე არის ჯგუფის დამოუკიდებელი არა-აღმასრულებელი დირექტორი, ჯგუფის აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე და ნომინაციის კომიტეტის წევრი. ადრე ის იყო ჯგუფის დირექტორთა საბჭოს დამოუკიდებელი არა-აღმასრულებელი დირექტორი, მას შემდეგ რაც ის 2016 წლის დეკემბრიდან იყო საქართველოს ბანკის დირექტორთა საბჭოს კონსულტანტი.

უნარ-ჩვევები და გამოცდილება:

ბატონ მუირს აქვს 30 წლიანი გამოცდილება ბუღალტერიასა და ფინანსებში. იგი არის LetterOne Holdings SA-ის გენერალური დირექტორი და LetterOne Investment Holdings-ის გენერალური დირექტორი. LetterOne არის საერთაშორისო საინვესტიციო ბიზნესი, რომელიც შედგება ორი ჯგუფისგან და მიზნად ისახავს ინვესტიციების განხორციელებას ჯანდაცვის, ენერგეტიკის, ტელეკომუნიკაციებისა და ტექნოლოგიების, და საცალო ვაჭრობის სექტორებში. LetterOne-მდე, ბატონი მუირი იყო გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების საკითხებში (2008-2013) და ფინანსების და კონტროლის ვიცე-პრეზიდენტი (2003-2008) TNK-BP-ში, რომელსაც შეუერთდა მას შემდეგ რაც ეკავა გენერალური დირექტორის მოადგილის პოზიცია ფინანსების საკითხებში SIDANCO-ში, TNK-BP-ის ერთ-ერთ მემკვიდრე კომპანიაში. მანამდე, ის იყო გლობალური აუდიტისა და საკონსულტაციო კომპანია Ernst & Young-ის პარტნიორი (1985-2000).
განათლება:
ბატონმა მუირმა წარჩინებით დაამთავრა წმ. ენდრიუს სახელობის უნივერსიტეტი. იგი არის ბრიტანეთში კვალიფიცირებული დიპლომირებული ბუღალტერი და ინგლისის და უელსის სერტიფიცირებული ბუღალტრების ინსტიტუტის წევრი.

- **სესილ ქუილენ**
  დამოუკიდებელი წევრი

სესილ ქუილენი არჩეული იქნა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად 2018 წლის ივნისში. ბ-ნი ქუილენი ასევე იყო ბანკის აუდიტისა და კორპორატიული მმართველობის, ანაზღაურების, ნომინაციის და სპეციალური კომიტეტების წევრი. ის ასევე იყო საქართველოს ბანკის ჯგუფის დამოუკიდებელი არა-აღმასრულებელი დირექტორი და ჯგუფის აუდიტის, ანაზღაურებისა და ნომინაციის კომიტეტების წევრი.

უნარ-ჩვევები და გამოცდილება:
ბ-ნი ქუილენი არის იურისტი და ლონდონში დაფუძნებული გლობალური იურიდიული ფირმის Linklaters LLP-ს აშშ პარტნიორი. ის არის ფირმის აშშ ფასიანი ქაღალდების გამოყენების პრაქტიკის ხელმძღვანელი. ბ-ნი ქუილენი მუშაობს ფასიანი ქაღალდებისა და ფინანსური საკითხების ფართო სპექტრზე. მისი საქმიანობისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დსთ-ს ქვეყნებში და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ტრანზაქციებს. ბ-ნი ქუილენი არის საერთაშორისო ადვოკატთან ასოციაციის ფასიანი ქაღალდების სამართლის კომიტეტის სპეციალისტი და ხელმძღვანელობს მის დაზღვევისა და დისტრიბუციის ქვეკომიტეტს, ასევე არის ფასიანი ქაღალდების რეგულაციის საკონსულტაციო კომიტეტის წევრი ევროპის იურიდიული პრაქტიკის ინსტიტუტში. ის არის ვირჯინიის სამართლის სკოლის ფონდის მინდობილი პირი. ბ-ნი ქუილენი გახდა Linklaters-ის პარტნიორი 1996 წელს და იყო ფირმის ნიუ იორკის ოფისის რეზიდენტი 2000 წელს ლონდონის ოფისში გადასვლამდე. მას აქვს პრაქტიკის უფლება ნიუ იორკში და კოლუმბიის ოლქში და არის რეგისტრირებული უცხოელი იურისტი ინგლისსა და უელში.
განათლება:
ბ-ნი ქუილენმა მიიღო ბაკალავრის დიპლომი ჰარვარდში და იურისტის დიპლომი ვირჯინიის უნივერსიტეტში.

- **ვერონიკ მაკქაროლ**
  დამოუკიდებელი წევრი

ვეტონიკ მაკქაროლი დაინიშნა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად 2019 წლის 11 თებერვალს. ქ-ნი მაკქაროლი ასევე არის ბანკის რისკების, ნომინაციისა და სპეციალური კომიტეტების წევრი. ის ასევე არის საქართველოს ბანკის ჯგუფის დამოუკიდებელი არა-აღმასრულებელი დირექტორი, ასევე ჯგუფის რისკებისა და ნომინაციის კომიტეტების წევრი.

უნარ-ჩვევები და გამოცდილება:
ქ-ნი მაკქაროლს აქვს 30 წელზე მეტი გამოცდილება ფინანსური მომსახურებების სფეროში, კერძოდ კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო საქმიანობასა და რისკი მართვაში. ბოლო დრომდე ის იყო Credit Agricole CIB-ს აღმასრულებელი დირექტორი, პასუხისმგებელი იყო სტრატეგიასა და ბიზნეს ტრანსფორმაციაზე. 2016 წელს CACIB -სთან შეერთებამდე, მან 19 წელი იმუშავა საკონსულტაციო ფირმებში, ეხმარებოდა მსხვილ საბანკო კლიენტებს ფინანსურ საკითხებში, მათ შორის იყო McKinsey & Company (2013-2016), Oliver Wyman (2004-2013) და Andersen/Ernst & Young (1996-2003)-ს პარტნიორი. ქ-ნი მაკქაროლმა დაიწყო თავისი კარიერა 1986 წელს კაპიტალის ბაზრებზე Banque Indosuez-ში, და ასრულებდა სხვადასხვა ფიქსირებული შემოსავლის და შემდეგ ბაზრის რისკი მართვის მომსახურებებს. ქ-ნი მაკქაროლი ასწავლის ფინანსებს Paris Dauphine University-ში.

განათლება:
ქ-ნმა მაკქაროლმა დაამთავრა ESSEC (Ecole Superieure des Sciences Economiques et Commerciales) 1985 წელს.

ანდრეას ვოლფი დაინიშნა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრად 2018 წლის 6 დეკემბერს. ბ-ნი ვოლფი ასევე არის ბანკის აუდიტის და კორპორატიული მმართველობის, ნომინაციისა და სპეციალური კომიტეტების წევრი. ის ასევე არის საქართველოს ბანკის ჯგუფის დამოუკიდებელი არა-აღმასრულებელი დირექტორი, ასევე ჯგუფის აუდიტისა და ნომინაციის კომიტეტების წევრი. ბ-ნი ვოლფი ჩამოქვეითდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან 2020 წლის 31 იანვარს სხვა ბიზნეს ვალდებულებების გამო.

სამეთვალყურეო საბჭოს მრავალფეროვნება და დამოუკიდებლობა

ბანკი მიიჩნევს, რომ ბიზნესის ეფექტურად მართვისთვის მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი უნარ-ჩვევები, ცოდნა, გამოცდილება, მსოფლმხედველობა და მიდგომა, გეოგრაფიული მდებარეობა, ეროვნება და სქესი. საქართველოს ბანკის ჯგუფის დირექტორთა საბჭო და მისი ნომინაციის კომიტეტი მუშაობს იმის უზრუნველსაყოფად, რომ საქართველოს ბანკის ჯგუფის დირექტორთა საბჭომ შეინარჩუნოს უნარ-ჩვევების, გამოცდილების, დამოუკიდებლობისა და საბანკო ცოდნის სწორი ბალანსი, რომელიც აუცილებელია მისი პასუხისმგებლობის განსახორციელებლად.

სამეთვალყურეო საბჭო მიიჩნევს, რომ მისი ზომა და შემადგენლობა, ისევე როგორც, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ზომა და შემადგენლობა შესაბამისია. კერძოდ, საქართველოს ბანკის ჯგუფის დირექტორთა საბჭომ დაადგინა, რომ თითოეული არა-აღმასრულებელი დირექტორი დამოუკიდებელია ხასიათისა და მსჯელობის თვალსაზრისით. ანალოგიურად, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე, თითოეული წევრი დამოუკიდებელია ხასიათისა და მსჯელობის თვალსაზრისით. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს უკავია და/ან ადრე ეკავა მაღალი პოზიციები მრავალ მსგავს ინდუსტრიაში, რაც უმნიშვნელოვანეს გარე პერსპექტივას სძენს სამეთვალყურეო საბჭოს განხილვებს, მათი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების გზით და საშუალებას აძლევს მნიშვნელოვნად შეუწყონ ხელი გადაწყვეტილების მიღებას. არცერთ კერძო პირს ან პირთა ჯგუფს არ შეუძლია დომინანტური გავლენის მოხდენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და არცერთ კერძო პირის მიმართ არ არის გაუმართლებელი ნდობა.

ბანკი ყველა სახის მრავალფეროვნებას აფასებს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოზე ექვსი სხვადასხვა ეროვნების დირექტორი იყო წარმოდგენილი. ბანკმა უნდა შეინარჩუნოს და განავითაროს გენდერული ბალანსი. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რვა დირექტორიდან 2 იყო ქალი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობა ფასდება და ბანკის აზრით თითოეული მათგანი მოქმედებს დამოუკიდებლად და ობიექტურად და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რაიმე სახის ურთიერთობის გარეშე, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ გადაწყვეტილებაზე. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ვალდებულება აცნობოს სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი გარემოების შესახებ. რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ დამოუკიდებლობაზე.

შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვის და სამეთვალყურეო საბჭოს დანიშვნის პროცედურები

ბანკის დონეზე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება დაინიშნონ და გათავისუფლდნენ აქციონერთა საერთო კრებაზე, ბანკის წესდებით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად. საბანკო რეგლამენტი შეიცავს გარკვეულ შეზღუდვებს იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება გახდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, მაგალითად, ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების ან ეკონომიკური დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის არჩევა დაუშვებელია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოზე. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის მუშაობის სავალდებულო ვადაა ოთხი წელი. სამეთვალყურეო საბჭოს, ასევე ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელ თითოეულ აქციონერს უფლება აქვს, წარმოადგინოს რეკომენდაცია სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ ვაკანტურ ადგილზე, ერთი ან მეტი კანდიდატისთვის.

გარდა ამისა, აქციების მფლობელებს, რომლებიც წარმოადგენენ სააქციო კაპიტალის მინიმუმ 20.0%-ს, უფლება აქვთ, საკუთარი წარმომადგენელი წარადგინონ სამეთვალყურეო საბჭოს ვაკანტურ ადგილზე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ირჩევენ ერთობლივი კენჭისყრის შედეგად. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება ამავე დროს იყოს დირექტორთა საბჭოს წევრი. დირექტორთა საბჭოს წევრები არ შეიძლება ფლობდნენ სამეთვალყურეო საბჭოს ადგილების უმრავლესობას. ბანკის წესდების თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო ირჩევს თავმჯდომარესა და ვიცე-თავმჯდომარეს მისი წევრებისგან.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (ან მისი არყოფნის შემთხვევაში, ვიცე-თავმჯდომარე) იწვევს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს და განსაზღვრავს დღის წესრიგს. ნებისმიერ წევრს შეუძლია დღის წესრიგში საკითხის დამატება ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მოწვევის მოთხოვნა. სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრები ტარდება მინიმუმ კვარტალში ერთხელ. წერილობითი შეტყობინება შესაბამის დღის წესრიგთან ერთად უნდა გაიგზავნოს კრებამდე მინიმუმ 8 დღით ადრე.

ბანკს მიაჩნია, რომ შემდგომი ღონისძიებების ეფექტიანი დაგეგმვა ამცირებს კვალიფიციური და გამოცდილი კადრის წასვლასთან ან არარსებობასთან დაკავშირებულ რისკებს. ბანკი აღიარებს ამას და მისი მიზანია უზრუნველყოს, რომ სამეთვალყურეო საბჭო და მენეჯმენტი ყოველთვის სათანადოდ იყოს დაკომპლექტებული წევრების უნარებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, რათა ეფექტურად და წარმატებით იქნას მიღწეული ბანკის სტრატეგია. ბანკი ასევე აღნიშნავს, რომ მუშაობის გრძელვადიანი ვადა განაპირობებს ბანკის სპეციფიკური ცოდნის გაღრმავებას, რაც მნიშვნელოვანია ხარისხის შენარჩუნებისთვის.

სამეთვალყურეო საბჭოს როლი

როგორც საქართველოს ბანკის ჯგუფის დირექტორთა საბჭოს, ასევე, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი მოვალეობაა ბანკის ხანგრძლივი წარმატების უზრუნველყოფა, ხელმძღვანელობის მიმართვით აქციონერებისთვის მდგრადი ღირებულების შექმნისა და მოწოდებისკენ. აღნიშნული ხორციელდება ხელმძღვანელობის მიერ ბანკის სტრატეგიის განსაზღვრით და მისი განხორციელებით. სამეთვალყურეო საბჭო ანგარიშვალდებულია აქციონერების მიმართ ბანკის ფინანსური მდგომარეობის თვალსაზრისით.

ბანკი მიიჩნევს, რომ თავისი სტრატეგიის წარმატებით განხორციელებისთვის საჭიროა სტრატეგიის შესაბამისობა ბანკის შიდა მართვის სისტემასთან. ბანკი განიხილავს რისკის მართვის და შიდა კონტროლის მძლავრ სისტემას, როგორც

მნიშვნელოვან საშუალებას, რათა განხორციელდეს ბანკის სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც რისკის აპეტიტი დადგინდება და რისკები განისაზღვრება, შეფასდება, და მოხდება მისი მართვა და ეფექტური ანგარიშგება.

ზედა დონეზე ბანკის ძირითადი ღირებულებების დადგენის და ხელმძღვანელობის დემონსტრირებით, სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია ძირითადი პოლიტიკის და პროცედურების განხორციელება, რომლებიც ბანკის მიერ შექმნილია იმ ვარაუდით, რომ ყველა თანამშრომელი იმოქმედებს ეთიკურად და გამჭვირვალედ მის მიერ შესრულებული ყველა ოპერაციის ფარგლებში.

ხელმძღვანელობის მიერ სტრატეგიის განხორციელება, და ფინანსური შედეგები ასევე, ექვემდებარება მონიტორინგს. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო მიზანი ხანგრძლივი ზრდაა, ბანკს ასევე ესაჭიროება მოკლევადიანი მიზნების დასახვა, ამიტომ, საჭიროა უზრუნველყოფილი იყოს მართებული ბალანსი ამ ორს შორის.

ბანკი ითვალისწინებს ნაკისრ ვალდებულებებს და იმას, თუ რა ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს მისმა გადაწყვეტილებებმა ბანკის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეზე, მაგალითად, თანამშრომლებზე, აქციონერებზე, კლიენტებზე და მომხმარებლებზე, ზოგადად გარემოსა და საზოგადოებაზე.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას ბანკის მიერ საკუთარი პასუხისმგებლობების შესრულება, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასამტკიცებლად იქნა წარმოდგენილი სპეციფიკური ძირითადი გადაწყვეტილებები. ამასთან, სამეთვალყურეო საბჭო პერიოდულად მიიღებს ანგარიშებს და რეკომენდაციებს ნებისმიერი საკითხის შესახებ, რომლებსაც იგი ბანკისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს.

<u>ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობები მოიცავს შემდეგს:</u>

- დირექტორთა საბჭოს საქმიანობის ზედამხედველობა;
- გენერალური დირექტორისა და სხვა დირექტორების დანიშვნა და გათავისუფლება, მათთან სამუშაო კონტრაქტების გაფორმება და შეწყვეტა, ასევე დირექტორთა საბჭოს წევრებისათვის ქცევის კოდექსის შემუშავება;
- ბანკის პოლიტიკისა და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების დამტკიცება და შეცვლა;
- საბანკო ანგარიშების და ქონების შემოწმება, სალარო აპარატების, ფასიანი ქაღალდების და აქტივების შემოწმების ჩათვლით, პირადად ან მოწვეული ექსპერტების დახმარებით;
- დირექტორთა საბჭოსგან ბანკის საქმიანობის შესახებ ანგარიშების მოთხოვნა (მათ შორის, ასოცირებული კომპანიებისა და შვილობილი კომპანიების შესახებ) და შიდა აუდიტის ან გარე ინსპექტირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადახედვა;
- საჭიროების შემთხვევაში, საგანგებო საერთო კრების ჩატარება;
- წლიური ანგარიშების და დირექტორთა საბჭოს მიერ მოგების განაწილებაზე გაკეთებული შემოთავაზებების განხილვა;
- ბანკის წარმოდგენა ბანკის გენერალური დირექტორისა და სხვა დირექტორების წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოების ფარგლებში;
- წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;
- აუდიტის კომიტეტის წევრების არჩევა და გათავისუფლება;
- გადაწყვეტილების მიღება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში; და
- დაამტკიცოს ბანკის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებები (იხილეთ გვერდი 134)

აქ წარმოდგენილია საკითხები მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებას, წესდების შესაბამისად:

- წილის შესყიდვა და გაყიდვა სხვა კომპანიებში, თუ ასეთი წილი აღემატება ასეთი კომპანიის მთლიანი კაპიტალის 50%-ს (ორმოცდაათი პროცენტი) ან გარიგების მოცულობა აღემატება წინა კალენდარული თვის ბოლოსთვის არსებულ ბანკის სააქციო კაპიტალის ღირებულების 2.5%-ს (ორნახევარი პროცენტი);
- უძრავი ქონების და საკუთრების უფლების ფლობის უფლებების შეძენა, გადაცემა და ვალდებულებით დატვირთვა, თუ ასეთი გარიგება სცილდება ბანკის რუტინული ეკონომიკური აქტივობის ფარგლებს და ასეთი გარიგების მოცულობა აღემატება წინა კალენდარული თვის ბოლოსთვის არსებულ ბანკის სააქციო კაპიტალის ღირებულების 2.5%-ს (ორნახევარ პროცენტს)
- ფილიალების გახსნა და ლიკვიდაცია;
- ინვესტიციები, რომლის ნაწილობრივი ან მთლიანი მოცულობა აღემატება წინა კალენდარული თვის ბოლოსთვის არსებულ ბანკის სააქციო კაპიტალის ღირებულების 2.5%-ს;
- სესხის სახსრები აღემატა წინა კალენდარული თვის ბოლოსთვის არსებულ ბანკის სააქციო კაპიტალის მოცულობის 2.5%-ს (ორნახევარ პროცენტს) ;
- უზრუნველყოფილი სესხები, თუ ისინი ექცევა რუტინული ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში;
- ახალი საბანკო საქმიანობის დაწყება ან არსებული საბანკო საქმიანობის შეწყვეტა ან შეჩერება;
- ბანკის ბიზნეს სტრატეგიის და ბიზნეს გეგმის საერთო პრინციპების განსაზღვრა და წლიური ბიუჯეტის და გრძელვადიანი ვალდებულებების შემუშავება და დამტკიცება;
- ბანკის ხელმძღვანელობის ანაზღაურების და/ან დამატებითი სარგებელის განსაზღვრა (გენერალური დირექტორი და სხვა დირექტორთა საბჭოს წევრები, და ნებისმიერი სხვა ზედა რგოლის მენეჯერი, რომელიც არჩეულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ) ;
- სავაჭრო წარმომადგენლების დანიშვნა და გათავისუფლება;
- ხელშეკრულებების ან კონტრაქტების დამტკიცება, რომლის მიხედვითაც არაერთჯერადი ხარჯები ან რამდენიმე ტრანშიანი ბანკის დანახარჯები უნდა განხორციელდეს, რომელიც უნდა აღემატებოდეს წინა კალენდარული თვის ბოლოსთვის ბანკის სააქციო კაპიტალის ღირებულების 1%-ს;
- შიდა პოლიტიკის და სესხი გაცემის, ინვესტირების, გაცვლითი კურსის, აქტივების და ვალდებულებების მართვის პროცედურების განსაზღვრა და დამტკიცება, მათი კლასიფიკაცია და ადეკვატური უზრუნველყოფა;
- ბანკის აქციების გამოსყიდვა კანონმდებლობით გათვალისიწინებული შემთხვევებში ან თუ ზიანი მიადგა აქციების უკან გამოსყიდვით (მათ შორის და არა მხოლოდ სახაზინო აქციები); და
- სხვა აქტივობები, რომელმაც შესაძლოა დაცული იქნას მოქმედი კანონმდებლობით.

სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა

წლის განმავლობაში, ჩვეულებრივ, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ოთხი დაგეგმილი შეხვედრა იმართება. რაც შეეხება დანარჩენ შეხვედრებს, მსჯელობა და საკითხების დამტკიცება განხორციელდა ტელეკონფერენციის ან ელ-ფოსტით მიმოწერის გზით. რადგან კორონა -19-ის გამო სამეთვალყურეო საბჭოს კრებების ხორციელდება ვიდეოკონფერენციისა და სატელეფონო ზარების საშუალებით.

თითოეულ დაგეგმილ შეხვედრაზე, სამეთვალყურეო საბჭო ანგარიშს იღებს თავმჯდომარისგან, გენერალური დირექტორისგან და გენერალური დირექტორის მოადგილისგან ფინანსების საკითხებში, ბანკის მუშაობის და შედეგების შესახებ. ძირითადი შვილობილი კომპანიების გენერალური დირექტორები და ბანკის გენერალური დირექტორების მოადგილეები რეგულარულად აწვდიან სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმაციას თავიანთ სეგმენტში მთელი წლის განმავლობაში მიმდინარე მუშაობის, სტრატეგიული განვითარების და ინიციატივების შესახებ. გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მიმართულებით, და გენერალური მრჩეველი რეგულარულად აბარებენ ანგარიშს სამეთვალყურეო საბჭოს სრულ შემადგენლობას. სამეთვალყურეო საბჭო განახლებულ ინფორმაციას იღებს ბანკის ოპერატიული ნაწილიდან, შიდა კონტროლის, რისკების მართვის, შესაბამისობის, შიდა აუდიტის, ადამიანური რესურსებისა და კორპორატიული პასუხისმგებლობის საკითხებზე. ტიპიური კვარტალური შეხვედრა მოიცავს მსჯელობას შემდეგი საკითხების შესახებ.

ტიპიური კვარტალური შეხვედრა მოიცავს მსჯელობას შემდეგი საკითხების შესახებ:

- კომიტეტის თავმჯდომარეებისგან მიღებული განახლებული ინფორმაცია შესაბამისი კომიტეტის წინა დღეს გამართულ სხდომაზე განხილულ საკითხებზე;
- მაკროეკონომიკური გარემო;
- ფინანსური მაჩვენებლები;
- ბიზნეს სეგმენტის შედეგები და განვითარება;
- სიღრმისეული მსჯელობა სტრატეგიისა და შესრულების მაჩვენებლების შესახებ ერთ ან მეტ ბიზნეს ერთეულში;
- ახალი სტრატეგიული ინიციატივები და სტრატეგიის პროგრესი;
- განახლებული ინფორმაცია მარეგულირებელი, საკანონმდებლო და სხვა კორპორატიული მართვის შესახებ;
- განვითარება ძირითადი რისკების და რისკების მართვის მიმართულებით.

რისკების მართვის სისტემისა და შიდა კონტროლის სისტემის დეტალური შეფასება ხორციელდება მინიმუმ წელიწადში ორჯერ, რისკების მართვის და აუდიტის კომიტეტების მეშვეობით ან სრული სამეთვალყურეო საბჭოს მეშვეობით. სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრები მოქნილია, რათა უზრუნველყოფილი იყოს საგანგებო საკითხების მოგვარება მათი წარმოშობისთანავე, შეძლებისდაგვარად სწრაფად.

თავმჯდომარე ხვდება გენერალურ დირექტორს თითოეული კრების შემდეგ, შემდგომი ღონისძიებების შესათანხმებლად და იმაზე სამსჯელოდ, რამდენად ეფექტური იყო შეხვედრა.

თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი ოფიციალური შეხვედრების გარდა ინარჩუნებენ ხშირ კონტაქტს (პირადად ან სხვა სახით) ერთმანეთთან და სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრებთან მთელი წლის განმავლობაში.

<u>სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის დაწყება, მიმდინარე ტრენინგი და პროფესიული განვითარება</u>

თანამდებობაზე დანიშვნისთანავე, სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი ერთვება მოსამზადებელ პროგრამაში, რომლის განმავლობაშიც ის ხვდება აღმასრულებელი დირექტორატის წევრებს, იღებს ინფორმაციას სამეთვალყურეო საბჭოს და ინდივიდუალური დირექტორების, ასევე, თითოეული სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტის ფუნქციისა და აღნიშნული კომიტეტების უფლებამოსილების შესახებ. ახალ წევრს აცნობენ იურიდიულ და სხვა ვალდებულებებს. ინდუქციური შეკრებები განსაზღვრულია რომ უნდა იყოს ინტერაქტიული და მოერგოს ფიზიკური პირის ადრინდელ გამოცდილებას.

ბანკი ვალდებულია, უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მუდმივი განვითარება, რათა მათ საკუთარ ცოდნაზე დაყრდნობით შეიქმნან დეტალური წარმოდგენა იმ ბიზნესის, ბაზრების და მარეგულირებელი გარემოს შესახებ, რომელშიც ბანკი ახორციელებს საკუთარ საქმიანობას, და ცვალებადი კორპორატიული მმართველობის სისტემის შესახებ.

სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრი მონაწილეობდა 2019 წელს მიმდინარე ტრენინგსა და პროფესიული განვითარების პროგრამაში, მათ შორის ბრიფინგებში, ობიექტზე განხორციელებულ ვიზიტებში, განვითარების შესახებ ჩატარებულ სესიებში და პრეზენტაციებში, რომლებსაც მმართველობის წევრები, გარეშე სპიკერები და ბანკის პროფესიონალი კონსულტანტები წარადგენდნენ.

ბანკი ასევე უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრის წვდომას სამეთვალყურეო საბჭოს მდივნის კონსულტაციებზე, ასევე, დამოუკიდებელი პროფესიონალების კონსულტაციებზე, ბანკის ხარჯებით, მათი პასუხისმგებლობის ფარგლებში არსებული ნებისმიერი საკითხის შესახებ.

<u>სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის შეფასება</u>

საქართველოს ბანკის ჯგუფის დირექტორთა საბჭო და შესაბამისად, ბანკის სამეთვალყურეო საბჭო მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს მისი ეფექტიანობა და აღიარებს, რომ მისი წლიური შეფასების პროცესი ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

2019 წელს საქართველოს ბანკის ჯგუფმა განახორციელა მთლიანად ჯგუფის დირექტორთა საბჭოს და მისი კომიტეტების შიდა შეფასება. ამ შეფასების შედეგად ჯგუფი დარწმუნდა, რომ ჯგუფის დირექტორთა საბჭოზე წარმოდგენილია უნარ-ჩვევების, გამოცდილებისა და პიროვნული თვისებების ისეთი მრავალფეროვნება, რომელიც უზრუნველყოფს ღია, გამჭვირვალე განხილვებსა და ცვლილებას. საქართველოს ბანკის ჯგუფის დირექტორთა საბჭოს შეფასება უმეტეს შემთხვევაში მაღალია და ადასტურებს, რომ საბჭო მუშაობს ეფექტურად. საქართველოს ბანკის ჯგუფის საბჭო ასევე აღიარებს შემდგომი გაუმჯობესების საჭიროებას და მათი მოგვარებისთვის 2020 წლისთვის განსაზღვრულ მიზნებს. ამ შეფასების საფუძველზე, საქართველოს ბანკის ჯგუფის საბჭოს მიზნები 2020 წლისთვის შემდეგია:

- ხელი შეუწყოს გუნდური მუშაობისა და ინიციატივის აღების კულტურის განვითარებას ბანკის ყველა დონეზე;
- გამოავლინოს ინტერესი ბანკის ციფრული ტრანსფორმაციის საკითხების მიმართ;
- მიაღწიოს მეტ მრავალფეროვნებას სამეთვალყურეო საბჭოში და ბანკის ზედა რგოლის დონეზე.

გარდა ამისა 2019 წლის სექტემბერში, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები იკრიბება საიმისოდ რომ შეაფასოს თავმჯდომარის საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს უფროსი დამოუკიდებელი წევრი და გააკეთოს დასკვნა, რომ თავმჯდომარემ უზრუნველყოს ხელმღვანელობის ეფექტურობა, თავმჯდომარე ასევე შეხვდა წევრებს გენერალური დირექტორის გარეშე 2019 წლის დეკემბერში.

2020 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, საქართველოს ბანკის ჯგუფის საბჭო/ბანკის სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს სამოქმედო გეგმას- ბიზნესის უწყვეტობის გეგმას - როგორც კოვიდ 19-ის პანდემიის აფეთქების საპასუხოდ. სამოქმედო გეგმის მთავარი მიზანია დაეხმაროს საქართველოში კოვიდ 19-ის გავრცელების შეფერხებას; უზრუნველყოს თანამშრომლობის მუშაობა უსაფრთხო გარემოში; იზრუნოს თავის კლიენტებზე და მოახდინოს საჭიროებების ადაპტირება ცვალებად გარემოში; გაითვალისწინოს კოვიდ 19-ის ზემოქმედების გაგრძელება და გაურკვევლობები ბანკის ფინანსურ მდგომარეობაში; და უზრუნველყოს ბანკის პროდიტებისა და მომსახურებების უწყვეტი მიწოდება. ბიზნესის უწყვეტობის გეგმამ საშუალება მისცა ბანკს დაარეგულიროს ახალი გარემო და განახორციელოს ახალი საოპერაციო მოდელი ეფექტურად. იხილეთ ბიზნეს უწყვეტობის გეგმის დეტალები და ბანკის მიერ განხორციელებული ღონისძიებები ბოლოდროინდელი განვითარების ნაწილში მე-5 გვერდზე.

<u>სამეთვალყურეო საბჭო და კომიტეტის კრებაზე დასწრება</u>

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია საქართველოს ბანკის ჯგუფის დირექტორთა საბჭოსა და შემდგომში სამეთვალყურეო საბჭოს და კომიტეტის კრებებზე დასწრების შესახებ, 2019 წელს:

წევრები	საბჭო	აუდიტისა და კორპორატიული მმართველობის	ნომინაციის კომიტეტი	ანაზღაურების კომიტეტი	რისკის კომიტეტი
ნილ ჯანინინი	6/6 დაგეგმილი 4/4 სიტუაციის მიხედვით	n/a	2/2	2/2 დაგეგმილი 3/3 სიტუაციის მიხედვით	n/a
ალასდარ ბრიჩი	6/6 დაგეგმილი 4/4 სიტუაციის მიხედვით	n/a	2/2	2/2 დაგეგმილი 3/3 სიტუაციის მიხედვით	4/4
თამაზ გიორგაძე	5/6 დაგეგმილი 4/4 სიტუაციის მიხედვით	n/a	2/2	2/2 დაგეგმილი 2/3 სიტუაციის მიხედვით	4/4
არჩილ გაჩეჩილაძე	6/6 დაგეგმილი 3/3 სიტუაციის მიხედვით	n/a	ა/გ	n/a	1/1
ჰანა ლიოკანენი	6/6 დაგეგმილი 3/3 სიტუაციის მიხედვით	6/6 დაგეგმილი 3/4 სიტუაციის მიხედვით	2/2	1/1 დაგეგმილი	n/a
ვერონიკ მაკქაროლი	5/6 დაგეგმილი 4/4 სიტუაციის მიხედვით	n/a	2/2	n/a	4/4
ჯონათან მუირი	5/6 დაგეგმილი 4/4 სიტუაციის მიხედვით	6/6 დაგეგმილი 4/4 სიტუაციის მიხედვით	2/2	n/a	n/a
სესილ ქუილენ	6/6 დაგეგმილი 4/4 სიტუაციის მიხედვით	6/6 დაგეგმილი 4/4 სიტუაციის მიხედვით	2/2	2/2 დაგეგმილი 3/3 სიტუაციის მიხედვით	n/a
ანდრეს ვოლფ[20]	5/6 დაგეგმილი 4/4 სიტუაციის მიხედვით	6/6 დაგეგმილი 4/4 სიტუაციის მიხედვით	2/2	n/a	n/a

კომიტეტები

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს და საქართველოს ბანკის ჯგუფის დირექტორთა საბჭოს გადანაწილებული აქვთ უფლებამოსილება შესაბამის საბჭოს კომიტეტებზე, რათა ამ უკანასკნელებმა მათთვის შეასრულონ გარკვეული დავალებები, ეფექტიანად ფუნქციონირების თვალსაზრისით და საჭირო დონის ყურადღების მისაქცევად, შესაბამისი საკითხების განხილვისას, და რათა უზრუნველყოფილი იყოს ფინანსური, აუდიტის, შიდა კონტროლისა და რისკების საკითხების დამოუკიდებელი ზედამხედველობა და ანაზღაურების საკითხები; თუმცა, ამავდროულად, ისინი იტოვებენ უფლებამოსილებას დაამტკიცონ გარკვეული ძირითადი საკითხები, როგორც ეს წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოსთვის მინდობილი ბანკის დონეზე განსახილველი საკითხების ფარგლებში, და რომელიც ყოველწლიურად გადაიხედება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

[20] ბ-ნი ანდრეს ვოლფი ჩამოქვეითდა საბჭოს წევრობიდან 2020 წლის 31 იანვრიდან.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ჰქონდა შემდეგი კომიტეტები:

- აუდიტისა და კორპორატიული მმართველობის კომიტეტი;
- რისკების კომიტეტი;
- ნომინაციის კომიტეტი (2019 წლის 22 იანვრიდან);
- ანაზღაურების კომიტეტი და;
- სპეციალური კომიტეტი (2019 წლის 7 იანვრიდან*);*

აუდიტისა და კორპორატიული მმართველობის კომიტეტი;

აუდიტისა და კორპორატიული მმართველობის კომიტეტი ეხმარება სამეთვალყურეო საბჭოს ბანკის ფინანსური და ანგარიშგების პროცესების ზედამხედველობაში. იგი მონიტორინგს უწევს ფინანსური ანგარიშგების მთლიანობას და პასუხისმგებელია შიდა აუდიტის ფუნქციისა და გარე აუდიტორის მართვაზე, სამეთვალყურეო საბჭოსთვის ანგარიშის ჩაბარებით. ის განიხილავს პოლიტიკის, პროცედურებისა და სისტემების ეფექტიანობას, რომელიც უკავშირდება, სხვა ოპერაციულ რისკებთან ერთად, შესაბამისობას, IT-სა და ინფორმაციულ უსაფრთხოებას (მათ შორის, კიბერ-უსაფრთხოებას), და მჭიდროდ თანამშრომლობს რისკების კომიტეტთან, რისკის მართვის და შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობის შესაფასებლად. აუდიტის კომიტეტი აკონტროლებს შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მართვას, ფინანსური ანგარიშგების პროცესთან მიმართებაში.

აუდიტის და კორპორატიული მმართველობის კომიტეტის უფლებები და ვალდებულებებია:

- განსაზღვროს საბუღალტრო და ანგარიშგების წესები ბანკისთვის, ზედამხედველობა გაუწიოს ამ წესების შესრულებას და შეამოწმოს ბანკის საბუღალტრო წიგნები და ჟურნალები ბანკის შიდა და გარე აუდიტის საშუალებით;
- ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის მიერ მოქმედ კანონმდებლობის დაცვას;
- დაამტკიცოს ბანკის შიდა აუდიტის მმართველობითი რეგულაციები და უზრუნველყოს ბანკის შიდა აუდიტის ფუნქციონირება;
- უზრუნველყოფილი იყოს შიდა აუდიტის სამეთვალყურეო საბჭოსგან და დირექტორთა საბჭოსგან დამოუკიდებლობა;
- დაამტკიცოს შიდა აუდიტის საოპერაციო გეგმა მომდევნო ფინანსური წლისთვის;
- განიხილოს შიდა აუდიტის კვარტალური ანგარიშები, დაამტკიცოს და წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს აუდიტს შესამოწმებლად და რეკომენდაციებისთვის;
- ზედამხედველობა გაუწიოს შიდა აუდიტის აქტივობებს, უზრუნველყოს მისი შესაბამისობა კვარტალურ და წლიურ საოპერაციო გეგმებთან;
- შეაფასოს შიდა აუდიტის და ინდივიდუალური აუდიტორების დირექტორის მიერ განხორციელებული აქტივობები;
- დაამტკიცოს წლიური საოპერაციო გეგმა კვარტალურად, რომელიც მომზადებულია შიდა აუდიტორის მიერ და ზედამხედველობა გაუწიოს მის შესრულებას;
- შეაფასოს შიდა აუდიტის სამსახურის თითოეული თანამშრომლის აქტივობების შეფასებას მათი პროფესიული უნარების და მათი უნარის გათვალისწინებით იმუშაოს დამოუკიდებლად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები;
- სამეთვალყურეო საბჭომ დირექტორთა საბჭოსთან ერთად, უზრუნველყოს შიდა აუდიტის თანამშრომლობა ბანკის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან;
- რეკომენდაციები მისცეს სამეთვალყურეო საბჭოს ბანკის შიდა აუდიტის ხელმძღვანელისა და ხელმძღვანელის მოადგილის დასაქმებასა /გათავისუფლებასთან ასევე ანაზღაურებასთან დაკავშირებით;
- რეკომენდაციები მისცეს (შიდა აუდიტის ხელმძღვანელთან ხელშეკრულების შესაბამისად) დირექტორთა საბჭოს შიდა აუდიტის სხვა თანამშრომლების დასაქმების/გათავისუფლების შესახებ. ასევე ასეთი პირის ონალის ანაზღაურების შესახებ;
- უზრუნველყოს ბანკის შიდა და გარე აუდიტორებთან ურთიერთობის ზედამხედველობა და უზრუნველყოს მათი ადეკვატური ფუნქციონირება, დამოუკიდებლობა და ეფექტური თანამშრომლობა;
- განსაზღვროს შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკა;
- დაამტკიცოს, ან რეკომენდაცია მისცეს სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერებს, გარეშე აუდიტორის დანიშვნის, ანაზღაურებისა და გათავისუფლების შესახებ;
- ზედამხედველობა გაუწიოს სააღრიცხვო პოლიტიკის და პრაქტიკის შექმნას ბანკის მიერ;
- უზრუნველყოს ბანკის შიდა მართველის სტრუქტურის რელევანტურობა მოთხოვნებთან და ბანკის შიდა წესებთან/ კორპორატიულ მმართველობის დოკუმენტის შესაბამისად;
- უზრუნველყოს რომ არსებობდეს ეფექტური გადაწყვეტილების მიმღები სისტემა ბანკში, რომელიც უზრუნველყოფს რეპუტაციის რისკის შეფასებას გადაწყვეტილების მიღების დროს, ასევე დაიცვას შესაბამისი კანონმდებლობა და ბანკის შიდა სტანდარტები და წესები;

- აიღოს პასუხიმგებლობა და განახორციელოს საქართველოს ეთიკის კოდექსით განსაზღვრული მოვალეობები და კომერციული ბანკების პროფესიული ქცევის სტანდარტები;
- ხელი შეუწყოს გარეშე აუდიტორების საქმიანობას; და
- წარუდგინოს პერიოდული ანგარიშების მისი საქმიანობის შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს.

აუდიტისა და კორპორატიული მმართველობის კომიტეტის შეკრებები უნდა ჩატარდეს სულ მცირე კვარტალში ერთხელ. საგანგებო შემთხვევებში კრება შეიძლება ჩატარდეს სამეთვალყურეო საბჭოს მოთხოვნით. აუდიტი და კორპორატიული მმართველობის კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს ხმების უბრალო უმეტესობით. დამსწრე წევრებს არ აქვთ უფლება თავი შეიკავონ ხმის მიცემისგან.

ჰანა ლოკანენი, ჯონათან მუირი და სესილი ქუილენი არიან ბანკის აუდიტისა და კორპორატიული მმართველობის კომიტეტის წევრები. აუდიტის და კორპორატიული მმართველობის კომიტეტი ბოლოს დამტკიცდა 2019 წლის 22 იანვარს. ჯონათან მუირი არის აუდიტისა და კორპორატიული მმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე.

რისკის კომიტეტი

რისკის კომიტეტის მთავარი მოვალეობა არის რისკის ზედამხედველობა. ის განიხილავს ბანკის რისკის აპეტიტს სტრატეგიასთან ერთად, განსაზღვრავს და ამოწმებს რისკს და რისკის მართვის ინფრასტრუქტურას, ზედამხედველობას უწევს რისკის მოგვარებისთვის საჭირო სტრატეგიის განხორციელებას, განიხილავს ბანკის რისკის პოლიტიკას რეგულარულად, თანამშრომლობს და ამოწმებს რისკის ოფიცრის საქმიანობას, უზრუნველყოფს რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოსთვის რისკის სტრატეგიებთან და პოლიტიკის ეფექტურობასთან დაკავშირებით აუდიტისა და კორპორატიული მმართველობის კომიტეტთან ერთად აფასებს რისკის მართვის და შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობას. რისკი კომიტეტი ზედამხედველობას უწევს ბანკის რისკების გამოვლენას და კონსულტაციას უწევს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის სტრატეგიის შესახებ. რისკის კომიტეტი რეგულარულად განიხილავს და ამტკიცებს ბანკის მიერ რისკის შეფასებაში გამოყენებულ პარამეტრებსა და მეთოდოლოგიას და განიხილავს ბანკის უნარს გამოავლინოს და მართოს ახალი რისკის ტიპი. რისკის კომიტეტი ასევე განსაზღვრავს სტანდარტებს დიდი რისკების და გარკვეული რისკის ტიპების კრიტიკული მნიშვნელობის, მათ შორის და არა მხოლოდ საკრედიტო რისკის ბაზრის რისკის და საოპერაციო რისკის ზუსტად და დროულად შესამოწმებლად.

ალასდაირ ბრიჩი, თამაზ გიორგაძე და ვინცენტ მაკაროლი არიან რისკის კომიტეტის წევრები, მისი შემადგენლობა ბოლოს დამტკიცდა 2019 წლის 25 თებერვალს, თამაზ გიორგაძე არის თავმჯდომარე,

ნომინაციის კომიტეტი

ნომინაციის კომიტეტი (რეკომენდებულია სისტემატურად მნიშვნელოვანი ბანკებისთვის) რეკომენდაციებს აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს როგორც დირექტორების, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნის თაობაზე, უზრუნველყოფს, რომ სამეთვალყურეო საბჭოში არ დომინირებდეს რომელიმე ერთი ფიზიკური პირი ან პირთა მცირე ჯგუფი. ნომინაციის კომიტეტი შექმნილია იმისათვის, რომ რეგულარულად განიხილოს სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა, ზომა და შემადგენლობა (მათ შორის, უნარები, ცოდნა, გამოცდილება და მრავალფეროვნება). ამ კომიტეტმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს დირექტორებისა და სხვა ხელმძღვანელ აღმასრულებელ პირებთან დაკავშირებით მონაცვლეობის დაგეგმვაში; და რეკომენდაციები გაუწიოს სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი და არა-აღმასრულებელი დირექტორების და სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებში წევრების დანიშვნასთან დაკავშირებით. ეს კომიტეტი ასევე აკონტროლებს სამეთვალყურეო საბჭოს ეფექტურობის ყოველწლიურ განხილვას. და ნილ ჯანინი ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას.

ანაზღაურების კომიტეტი

ანაზღაურების კომიტეტი განიხილავს და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციას უწევს გენერალური დირექტორის, გენერალური დირექტორის მოადგილეებისა და აღმასრულებელი დირექტორებისთვის შრომის ანაზღაურების წესზე, რათა უზრუნველყოს ანაზღაურების პაკეტების მეშვეობით ბანკის გრძელვადიანი წარმატება და ხელმძღვანელობის სათანადოდ დაჯილდოება ბანკის საქმიანობაში მათი წვლილის გათვალისწინებით,. კომიტეტი განსაზღვრავს ზემოთ ჩამოთვლილ პოზიციებზე ანაზღაურების პაკეტებს, მათი დასაქმების პირობებთან ერთად და აფასებს აღმასრულებელი დირექტორების მუშაობას, შესრულების ძირითად მაჩვენებლებთან მიმართებაში. ანაზღაურების კომიტეტის ფუნქციებში შედის დირექტორთა საბჭოს და სხვა ზედა რგოლის თანამდებობის პირების დასაქმებისა პირობების განსაზღვრა და პერიოდულად მათი მოქმედების შეფასებას. ანაზღაურების კომიტეტი განიხილავს გენერალური დირექტორის რეკომენდაციას ბანკის თანამშრომლების მთლიან ბონუსთან დაკავშირებით ასევე დირექტორთა საბჭოს და გარკვეული თანამდებობის პირების ინდივიდუალურ ბონუსებს.

ბანკის ანაზღაურების კომიტეტის წევრები არიან ალასდარ ბრიჩი (თავმჯდომარე), ჰანა ლოიკანენი, ნილ ჯანინი, თამაზ გიორგაძე და სესილი ქუილენი, მისი შემადგენლობა ბოლოს დამტკიცდა 2019 წლის 19 სექტემბერს

სპეციალური კომიტეტი

სპეციალური კომიტეტი შეიქმნა 2019 წლის 7 იანვარს კორპორატიული მმართველობის ინტერესებიდან გამომდინარე და უზრუნველყოფს კონტროლსა და დამატებით უსაფრთხოებას ბანკის ფარგლებში, გაყოფის შემდგომ პერიოდში. სპეციალური კომიტეტის ფუნქციები მოიცავს დაყოფის შემდგომი პროცესის საერთო კონტროლს, მათ შორის, ბანკსა და ყოფილ ბიჯეო ჯგუფის კომპანიებს შორის გარკვეული გარიგებების შემოწმებას და დადასტურებას.
.ჯონათან მუირი, სესილი ქუილენი და ვერონიკ მაქკაროლი არის სპეციალური კომიტეტის წევრები, მისი შემადგენლობა ბოლოს დამტკიცდა 2019 წლის 22 თებერვალს და ჯონათან მუირი არის თავმჯდომარე. .

<u>სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშგების პირობები</u>
თითოეული კომიტეტისთვის განსაზღვრული და შეთანხმებულია პირობები, რომლებიც ყოველწლიურად განიხილება თითოეული კომიტეტის მიერ და ნებისმიერ ცვლილებას ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო, შესაბამისად.
<u>კომიტეტის კრებაზე დასწრება</u>
ბანკის კომიტეტის შეკრებებზე დასწრების დეტალები 2019 წელს წარმოდგენილია ზემოთ 125-ე გვერდზე.

<u>ურთიერთობა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და საქართველოს ბანკის ჯგუფის საბჭოს შორის</u>

ბანკის ჯგუფის დონეზე საბჭოს წევრების არჩევა ხდება ბანკის აქციონერების წლიურ საერთო კრებაზე და ისინი იყოფა „ექსკლუზიურ“ და „არა-ექსკლუზიურ“ დირექტორებად („არაექსკლუზიური დირექტორები“). ბანკის ჯგუფის საბჭოს რვა წევრიდან შვიდი იყო დამოუკიდებელი „არაექსკლუზიური წევრი. თითოეული თავმჯდომარე და არა-ექსკლუზიური დირექტორები ზუსტად განსაზღვრავს როლებს ბანკის საბჭოს სტრუქტურის ფარგლებში.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე, არ არის „ექსკლუზიური“ დირექტორები, რადგან აღმასრულებელი უფლებები ხორციელდება ბანკის ხელმძღვანელობის მიერ, როგორც ეს წარმოდგენილია ქვემოთ. სამეთვალყურეო საბჭო დანიშნულია აქციონერთა საერთო კრების მიერ , როგორც ეს აღწერილია ზემოთ 3.2 ნაწილში. სამეთვალყურეო საბჭო ირჩევს თავის თავმჯდომარეს და კომიტეტის წევრებს.

ბანკის ჯგუფის საბჭოსა და ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს შორის ურთიერთობა დამატებით აღწერილია ქვემოთ.

- რადგან საქართველოს ბანკის ჯგუფის საბჭო ინარჩუნებს პასუხიმგებლობას ჯგუფის მართვაზე, ის გადასცემს უფლებამოსილებას ზოგიერთ საკითხზე თავის კომიტეტს (აუდიტი, ნომინაცია, ანაზღაურება, რისკი). ბანკის სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს მსგავს ფუნქციებს ბანკის დონეზე და ინარჩუნებს უფლებას ბანკის მართვაზე,
- საქართველოს ბანკის ჯგუფის საბჭო განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას, თვალყურს ადევნებს მის განხორციელებას და განსაზღრავს ჯგუფის პოლიტიკას, რომელიც ნაწილდება მთავარ მოქმედ შვილობილ კომპანიებზე საჭიროებისამებრ. ჯგუფის საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო შესაბამისად, აკონტროლებს ბანკის ჯგუფის მმართველ ჯგუფს და დირექტორთა საბჭოს სტრატეგიის აღსრულებას და ფინანსურ საქმიანობას რამდენიმე გზით, მათ შორის:

    - რეგულარული ანგარიშები ბანკის ჯგუფის საბჭოს კრებებზე და სამეთვალყურეო საბჭოს კრებებზე ბანკის გენერალური დირექტორისგან, ფინანსური დირექტორისგან და გენერალური დირექტორის მოადგილისგან საკითხებზე, რომელიც მოიცავს სტრატეგიას, სტრატეგიის და ფინანსური საქმიანობის პროგრესს;
    - თითოეულ დაგეგმილ რიგით კრებაზე ცვლის საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარეს და სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარეს;
    - თითოეულ დაგეგმილ კრებაზე ცვლის მაკროეკონომიკურ და ბიზნეს სეგმენტის საქმიანობას.
    - თითოეულ აუდიტისა და კორპორატიული მართვის კომიტეტის დაგეგმილ რიგით კრებაზე, რომელიც ეხება შიდა აუდიტს ცვლის აუდიტს, აუდიტის და კორპორატიული მართვის კომიტეტის თავმჯდომარე აცნობებს სერიოზული საკითხების შესახებ ჯგუფის საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს; და
    - განიხილავს და ამტკიცებს პოლიტიკას იმ დიაპაზონში, რომელიც რელევანტურად ითვლება ჯგუფის საბჭოს მიერ ბანკისთვის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.
- ბანკის ჯგუფის საბჭოს აქვს განსაზღვრულ საკითხთა განრიგი, რომელიც ინახება ბანკის საბჭოსთვის და იკრიბება კვარტალში ერთხელ, რათა განიხილოს სტრატეგიული საკითხები და ბიზნეს საქმიანობა, ბანკის ჯგუფის საბჭოს კომიტეტმა დოკუმენტურად წარმოადგინა პირობები.

<u>საკადრო რეზერვის დაგეგმვისა და ბანკის საბჭო/სამეთვალყურეო საბჭოს დანიშვნის პროცედურები</u>

საქართველოს ბანკის დონეზე, ბანკის ჯგუფის საბჭოს ნომინაციის კომიტეტი პასუხიმგებელია როგორც დირექტორის ასევე ჯგუფის აღმსრულებელი მმართველიობის საკადრო რეზერვი დაგეგმვაზე. ბანკის საბჭოში ახალი დირექტორების დანიშვნისთვის არსებობს ოფიციალური და გამჭვირვალე პროცედურა.

ბანკის საკადრო რეზერვის დაგეგმვის მოდელი მოიცავს დამოუკიდებელი კონსულტანტების დაქირავება ბანკის საბჭოსა და კომიტეტებში. ამ გზით ბანკის ჯგუფი და ბანკი იღებს ობიექტურ შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღებაში და შეუძლია განსაზღვროს აქვს თუ არა ცალკეულ კონსულტანტს საჭირო უნარები - და ცოდნა და რამდენად ესმის საბანკო საქმე- დაინიშნოს დამოუკიდებელ არაექსკლუზიურ დირექტორად და/ან ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად .

დანიშვნის დროს, არააღმასრულებელ დირექტორებს ეძლევათ დანიშვნის ბრძანებ, რომელიც განსაზღვრავს მათი დირექტორობის პირობებს, მათ შორის გადასახდელი საზღაური და მოსალოდნელი დროის დანახარჯი. თითოეული არააღმასრულებელი დირექტორი სავარაუდოდ ვალდებულია ამ საქმიანობისთვის გამოიყენოს დაახლოებით 25-35 დღე წელიწადში. დამატებითი დროის ხარჯი საჭიროა იმისთვის, რომ შესრულდეს ბანკის საბჭოს კომიტეტის წევრის და/ბანკი საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარის როლი. ბანკის ჯგუფი კმაყოფილია, რომ ყველა არააღმასრულებელი დირექტორი ითვალისწინებს დროს, რომელიც აუცილებელია ბანკის ჯგუფის საბჭოს ეფექტურობაში წვლილის შესატანად. არა-აღმასრულებელი დირექტორების დანიშვნის წერილები შეიძლება შემოწმდეს კომპანიის რეგისტრირებულ ოფისში ნორმალური სამუშაო საათების განმავლობაში.

გარეშე არა-აღმასრულებელი დირექტორების ნებისმიერი დანიშვნა ან სხვა მნიშვნელოვანი ვალდებულება, საჭიროებს ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებას. არა-აღმასრულებელი დირექტორები ფლობენ გარეშე დირექტორების ან სხვა გარეშე პოზიციებს , მაგრამ ბანკის საბჭო დარწმუნებულია, რომ მათ მაინც აქვთ საკმარისი დრო თავიანთი როგორც ბანკის დორექტორის მოვალეობების შესასრულებლად და რომ სხვა გარეშე დირექტორობის პოზიციებს ბანკი განიხილავს როგორც ღირებულ გამოცდილებას.

დირექტორთა საბჭო და მმართველი გუნდი

ბანკის დირექტორთა საბჭო შედგება ქვემოთ ჩამოთვლილი წევრებისგან. დირექტორთა საბჭოს ყველა წევრის საქმიანობის მისამართია: საქართველო, თბილისი, 0160 გაგარინის ქ. 29ა.

სახელი და გვარი	ამჟამინდელი პოზიცია
არჩილ გაჩეჩილაძე	გენერალური დირექტორი
სულხან გვალია	გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების საკითხებში
ლევან ყულიჯანაშვილი	გენერალური დირექტორის მოადგილე, ოპერაციები
მიხეილ გომართელი	გენერალური დირექტორის მოადგილე, საცალო საბანკო ოპერაციები - განვითარებადი მასიური საცალო, და მიკრო ბიზნესის ბანკინგი
გიორგი ჭილაძე	გენერალური დირექტორის მოადგილე, რისკების მიმართულებით
ვახტანგ ბობოხიძე	გენერალური დირექტორის მოადგილე, ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით
გიორგი ფაილოძე	გენერალურო დირექტორის მოადგილე, კორპორატიული და საინვესტიციო ბანკინგი

დირექტორთა საბჭოს გარდა, ქვემოთ ჩამოთვლილი პირები არიან ბანკის ხელმძღვანელი ჯგუფის ნაწილს წარმოადგენენ:

სახელი	მიმდინარე პოზიცია
ეთერ (ეთუნა) ირემაძე	სოლო ბიზნეს ბანკინგის ხელმძღვანელი
ზურბ მასურაშვილი	მცირე და საშუალო ბიზნეს ბანკინგის ხელმძღვანელი
ეკატერინე ლილუაშვილი	ქონების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი
ანდრო რატიანი	ინოვაციის განყოფილების ხელმძღვანელი
ლევან გომშიაშვილი	მარკეტინგის დირექტორი
ნუცა გოგილაშვილი	კლიენტების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და ადამიანური კაპიტალის მართვის განყოფილების ხელმძღვანელი

ქვემოთ წარმოდგენილია ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრების პროფესიული გამოცდილება:

- **არჩილ გაჩეჩილაძე**

  გენერალური დირექტორი

არჩილ გაჩეჩილაძე დაინიშნა საქართველოს ბანკის ჯგუფის და ბანკის მთავარ აღმასრულებელ დირექტორად და გენერალურ დირექტორად 2019 წლის 28 იანვარს. ბ-ნი გაჩეჩილაძე ასევე არის საქართველოს ბანკის ჯგუფის რისკის კომიტეტის წევრი. ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე, ბ-ნი გაჩეჩილაძე, 2017 წლის იანვრიდან 2019 წლის იანვრამდე, იყო Georgian Global Utilities-ის გენერალური დირექტორი. ბ-ნი გაჩეჩილაძე შეუერთდა ბანკს 2009 წელს, როგორც გენერალური დირექტორის მოადგილე, კორპორატიული ბანკინგის მიმართულებით (2009-2013) და მას შემდეგ სხვადასხვა თანამდებობას იკავებდა ბანკში და მის ჰოლდინგურ და დაკავშირებულ კომპანიებში, როგორიცაა, გენერალური დირექტორის მოადგილე, ინვესტიციების მართვის მიმართულებით, (2013-2015), სს ბიჯეო ჯგუფის ფინანსური დირექტორი (2015-2016) და ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე, კორპორატიული საინვესტიციო ბანკინგის მიმართულებით (2016-2017). ბ-ნ გაჩეჩილაძეს აქვს 17-წლიანი გამოცდილება ფინანსური მომსახურებების სფეროში, მათ შორის, მას ეკავა სხვადასხვა ხელმძღვანელი პოზიცია როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორიცაა, „თიბისი ბანკი“ (2008-2009), Lehman Brothers Private Equity (ამჟამად Trilantic Capital Partners) (2006-2008), Salford Equity Partners, KPMG და World Bank's CERMA (1998-2004). ბ-ნმა გაჩეჩილაძემ მიიღო ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მაგისტრის ხარისხი Cornell University-ში. ის ასევე არის CFA-ის ინსტიტუტის პროფესიონალური სერტიფიკატის მფლობელი და არის CFA-ის საზოგადოების წევრი გაერთიანებულ სამეფოში.

- **სულხან გვალია**

  გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსური დირექტორი

სულხან გვალია დაინიშნა გენერალური დირექტორის მოადგილედ, ფინანსების მიმართულებით, 2019 წლის მაისში. ბ-ნ გვალიას აქვს ჭარბი გამოცდილება საბანკო საქმიანობის სფეროში, მუშაობდა ბანკის სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე, მათ შორის, როგორც გენერალური დირექტორის მოადგილე, რისკების მიმართულებით (2005-2013) და კორპორატიული ბანკინგის ხელმძღვანელი (2012-2016). ამ თანამდებობებამდე, ბ-ნი გვალია იყო „თბილუნივერსალ ბანკის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სანამ მას შეიძენდა „საქართველოს ბანკი“ 2004 წლის ნოემბერში. ამ ახალ თანამდებობაზე დანიშვნამდე, ბ-ნი გვალია გახლდათ საქართველოში ელექტრომობილების დამტენი ინფრასტრუქტურის განმავითარებელი ერთადერთი ქართული კომპანიის E-Space Limited, Tbilisi–ის დამფუძნებელი. ის ასევე არის არა-აღმასრულებელი დამოუკიდებელი დირექტორი „ინკომბანკში“ (სომხეთი). ბ-ნ გვალიას აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურისტის დიპლომი.

- **ლევან ყულიჯანიშვილი**

  გენერალური დირექტორის მოადგილე, ოპერაციები

ლევან ყულიჯანიშვილი 2017 წლის სექტემბერში დაინიშნა ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილედ ოპერაციების მიმართულებით. დანიშვნამდე, ის იყო ჯგუფის ფინანსური დირექტორი და სს „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების მიმართულებით (2016 წლის თებერვლიდან). ის მუშაობს ბანკში 1997 წლიდან. ბანკში მუშაობის 20 წლის მანძილზე, ბ-ნი ყულიჯანიშვილი იკავებდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებს, მათ შორის, ის იყო შესაბამისობისა და შიდა კონტროლის უფროსი (2009 წლიდან, გენერალური დირექტორის მოადგილედ დანიშვნამდე, ფინანსების მიმართულებით), შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი (2000-დან 2009-მდე), ფინანსური მონიტორინგის, სტრატეგიისა და დაგეგმარების დეპარტამენტის მენეჯერი (1999-დან 2000-მდე) და ფინანსური ანალიზის განყოფილების უფროსი (1997-დან 1999-მდე). მან ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკასა და ვაჭრობაში მოიპოვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო, მაგისტრის ხარისხი მიიღო გრენობლის ბიზნეს სკოლაში.

- **მიხეილ გომართელი**

  გენერალური დირექტორის მოადგილე, საცალო საბანკო საქმიანობა - განვითარებადი და მასიური საცალო, და მიკრო ბიზნესის ბანკინგი

2017 წლის თებერვალში, საცალო საბანკო საქმიანობის მნიშვნელოვანი ზრდის გამო საცალო ბანკინგის ორად გაყოფის შემდეგ, ბატონი გომართელი დაინიშნა გენერალური დირექტორის მოადგილედ საცალო საბანკო საქმიანობა - განვითარებადი და მასიური საცალო, და მიკრო ბიზნესის ბანკინგი მიმართულებით. მანამდე, 2009 წლის თებერვლიდან ბატონი გომართელი ასრულებდა საცალო ბანკინგის ერთადერთი გენერალური დირექტორის მოადგილის მოვალეობას. ის ბანკში მუშაობს 1997 წლის დეკემბრიდან. ამ 20 წლის განმავლობაში, იგი იკავებდა მრავალ ხელმძღვანელ პოზიციას, მათ შორის იყო საცალო ბანკინგის თანა-თავმჯდომარე (2007 წლის მარტიდან 2009 წლის თებერვლამდე), ბიზნესის განვითარების უფროსი (2004 წლის მარტიდან 2005 წლის ივლისამდე), სტრატეგიისა და დაგეგმარების უფროსი (2004-დან 2005-მდე), ფილიალის მართვისა და გაყიდვების კოორდინაციის უფროსი (2003-2004), ფილიალის მართვისა და მარკეტინგის უფროსი (2002-2003), და საბანკო პროდუქტებისა და მარკეტინგის უფროსი (2000-2002). ბატონმა გომართელმა ეკონომისტის ბაკალავრის ხარისხი მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

- **გიორგი ჭილაძე**

  გენერალური დირექტორის მოადგილე რისკის მიმართულებით

ბატონი ჭილაძე 2013 წლის სექტემბერში დაინიშნა გენერალური დირექტორის მოადგილის პოზიციაზე რისკების მიმართულებით. ის კვლავ დაბრუნდა ბანკში სამუშაოდ, მას შემდეგ რაც 2008-2012 წლებში იკავებდა გენერალური დირექტორის მოადგილის პოზიციას ფინანსების საკითხებში. 2012-2013 წლებში, ბატონი ჭილაძე იყო საპარტნიორო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე, და ის ასრულებდა BTA ბანკის (საქართველო) გენერალური დირექტორის მოვალეობას 2005-2008 წლებში. BTA ბანკში გადასვლამდე, ის იყო სს „Europace სადაზღვევო კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი წევრი და მმართველობის საკონსულტაციო ფირმის შპს „Altergroup-ის“ დამფუძნებელი პარტნიორი. ბატონი ჭილაძე მანამდე მუშაობდა აშშ-ში, ნიუ იორკში, Bear Stearns-ის პროგრამული ვაჭრობის განყოფილებაში, სანამ საქართველოში დაბრუნდებოდა 2003 წელს. ბატონმა ჭილაძემ ფიზიკის დოქტორის ხარისხი მიიღო ბალტიმორში, მერილენდის ჯონ ჰოპკინსის სახელობის უნივერსიტეტში, ბაკალავრის ხარისხი კი მიღებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

- **ვახტანგ ბობოხიძე**

  გენერალური დირექტორის მოადგილე, ინფორმაციის მიმართულებით

ბ-ნი ბობოხიძე დაინიშნა გენერალური დირექტორის მოადგილედ ინფორმაციის მიმართულებით 2018 წლის მარტში, მანამდე ის მუშაობდა IT -ს ხელმძღვანელად 2016 წლის აპრილიდან. ის შეუერთდა ბანკს 2005 წლის ბოლოს როგორც ხარისხის მართვის მენეჯერი, სანამ 2010 წელს ის არ გადავიდა სს ბანკ რესპუბლიკაში. ბ-ნი ბობოხიძე დაბრუნდა ბანკში 2010 წლის დეკემბერში როგორც IT-ის ბიზნეს კონსულტანტი და ამჟამად არის საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი. მან მიიღო ბაკალავრის ხარისხი და მაგისტრის ხარისხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

- **გიორგი ფაილოძე**

  გენერალური დირექტორის მოადგილე, კორპორატიული და საინვესტიციო ბანკინგი

გიორგი ფაილოძე დაინიშნა გენერალური დირექტორის მოადგილედ, სს საქართველოს ბანკის კორპორატიული და საინვესტიციო ბანკიგის მიმართულებით 2019 წლის ივნისში. ბ-ნ ფაილოძეს აქვს კარგი გამოცდილება გლობალური ფინანსური მომსახურების სექტორში, მუშაობდა საერთაშორისო და ადგილობრივი ბანკინგის დაწესებულებებში. ბანკში მუშაობის დაწყებამდე ბ-ნი ფაილოძე იყო Evercore -ის ვიცე პრეზიდენტი, საინვესტიციო ბანკინგის საკონსულტაციო ფირმაში, სადაც მას მოუწია ცხოვრება ლონდონში (2017-2019) და ნიუ იორკში (2015-2017). Evercore-ში მუშაობის დროს მან წარმოადგინა სტრატეგია , ვალისა და კაპიტალის საკითხებში კონსულტაციას უწევდა კორპორატიულ და კერძო კაპიტალის საკითხებში კლიენტებისთვის სხვადასხვა სექტორში. Evercore-ში მუშაობის დაწყებამდე ბ-ნმა ფაილოძემ ორი წელი იმუშავა კორპორატიულ და საინვესტიციო ბანკინგის სისტემაში სითიგრუფში ნიუ იორკში. ბა-ნმა ფაილოძემ დაიწყო თავისი საბანკო კარიერა საქართველოში, სადაც მას ეკავა სხვადასხვა ხელმძღვანელი პოზიცია თიბისი ბანკში და HSBC ბანკ ჯორჯიაში. ბ-ნმა ფაილოძემ მიიღო თავისი მაგისტრის ხარისხი კორნელის უნივერსიტეტში და ბაკალავრის ხარისხი კავკასიის ბიზნეს სკოლაში.

- **ეთერ (ეთუნა) ირემაძე**

  „სოლო“ ბიზნეს ბანკინგის განყოფილების ხელმძღვანელი

ეთერ ირემაძე დაინიშნა სს საქართველოს ბანკის „სოლო“ ბიზნეს ბანკინგის განყოფილების ხელმძღვანელად 2019 წლის მაისში. ქ-ნ ირემაძეს აქვს 18 წელზე მეტი გამოცდილება ფინანსურ მომსახურების საკითხებში. ის შეუერთდა ბანკს 2006 წელს და ეკავა სხვადასხვა თანამდებობა, მათ შორის იყოს Blue Chip Corporate Banking-ის განყოფილების ხელმძღვანელი, რომელშიც შედიოდა სტრუქტურირებულ სესხები, M&As, მნიშვნელოვანი გამოსყიდვები ქვეყანაში. ასევე საპროექტო დაფინანსება. თავის ბოლოდროინდელი დანიშვნამდე. ქ-ნმა ირემაძემ მიიღო ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკასა და კომერციაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მაგისტრის ხარისხი გრენობლის ბიზნეს სკოლაში.

- **ზურაბ მასურაშვილი**

  მცირე და საშუალო ბიზნეს ბანკინგის განყოფილების ხელმძღვანელი

ზურაბ მასურაშვილი დაინიშნა სს საქართველოს ბანკის მცირე და საშუალო ბიზნესის ბანკინგის განყოფილების ხელმძღვანელად 2019 წლის მაისში. ამ დანიშვნამდე, ბ-ნ მასურაშვილს ეკავა რამდენიმე თანამდებობა ბანკში 2015 წლიდან, მათ შორის იყო ექსპრეს ბიზნესის ხელმძღვანელი, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმძღვანელი და საცალო ბიზნეს ბანკინგის ხელმძღვანელი. ბ-ნი მასურაშვილს აქვს გამოცდილება ფინანსური მომსახურებების საკითხში. 2002-2007 წლებიდან მას ეკავა რამდენიმე პოზიცია ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში როგორიცაა EBRD-ის მცირე საწარმოებისთვის სესხის გაცემის პროგრამა, მსოფლიო ბანკის Access to Rural Finance-ის პროგრამა ბანგლადეშში და GTZ-ს მიკრო ფინანსები და სოფლად ფინანსური სექტორის რეფორმა. 2007-2015 წლებიდან, ბანკში სამუშაოს დაწყებამდე, ის მუშაობდა სს პრივატბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. ბ-ნი მასურაშვილმა მიიღო ბაკალავრის ხარისხი გეოლოგიაში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

- **ეკატერინე ლილუაშვილი**

  ქონების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი

ეკატერინე ლილუაშვილი დაინიშნა სს საქართველოს ბანკის ქონების მართვის განყოფილების ხელმძღვანელად 2019 წლის მაისში. ქ-ნ ლილუაშვილს აქვს კარგი გამოცდილება ფინანსური მომსახურებების სფეროში. ან დაიწყო ბანკში მუშაობა 2008 წელს და ეკავა სხვადასხვა ხელმძღვანელი პოზიცია, მათ შორის იყო საერთაშორისო ბიზნეს განვითარების განყოფილებაში (2015-2019) და კერძო ბანკირი (2008-2015). ბანკში მუშაობის დაწყებამდე ბ -ნი ლილუაშვილი მუშაობდა ბანკ რესპუბლიკაში (სოსიეტე ჟენერალი ჯგუფი) როგორც კერძო ბანკირი. ქ-ნმა ლილუაშვილმა მიიღო ბაკალავრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში ევროპის მართვის სკოლაში თბილისში და მიიღო ბანკინგის საკითხებში ხარისხი კორპორატიული განათლების უნივერსიტეტში - – Berufsakademie Mosbach, გერმანია, კერძო საბანკო საკითხებში სპეციალიზაციით.

- **ანდრო რატიანი**

  ინოვაციის განყოფილების ხელმძღვანელი

ანდრო რატიანი დაინიშნა სს საქართველოს ბანკის ინოვაციის განყოფილების ხელმძღვანელად 2018 წლის იანვარში. ბ-ნ რატიანს აქვს კარგი გამოცდილება გლობალურ ფინანსური მომსახურებების სექტორში, მუშაობდა საერთაშორისო ბანკინგის დაწესებულებებში და იყო ფინანსური მომსახურების პროვაიდერი. ბანკში მუშაობის დაწყებამდე ბ-ნი რატიანი იყო დირექტორი - ნიუ იორკში დაფუძნებული *პროდუქტის მართვის გლობალური* ხელმძღვანელი IHS მარკეტში, ის ზედამხედველობას უწევდა და მართავდა გლობალურ და US-based Strategic Technology -ს სტრატეგიული ტექნოლოგიური პროექტებს სინდიკატებისთვის სესხის გაცემის მიზნით. IHS მარკეტში მუსშაობის დაწყებამდე , ბ-მა რატიანმა ექვსი წელი გაატარა UBS AG Investment Bank-სა და ქონების მართვის ბანკში ნიუ იორკში, სადაც ის უძღვებოდა მრავალმხრივ სტრატეგიულ ტექნოლოგიურ პროექტებს. UBS -მდე ბ-ნი რატიანი მუშაობდა Wells Fargo-ში (2009-2011), Wachovia Bank-ის შეძენის ეტაპზე. ბ-ნმა რატიანმა დაიწყო თავისი საბანკო კარიერა საქართველოში, სადაც ის სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა საქართველოს ბანკის კორპორატიულ და საინვესტიციო ბანკინგის დეპარტამენტში (2002-2006). ბ-ნმა რატიანმა მიიღოს ბაკალავრის ხარისხი ბიზნეს ადმინისტრირებაში ჰავაის უნივერსიტეტში და მაგისტრის ხარისხი ტექნოლოგიის მართვაში კოლუმბიის უნივერსიტეტში.

- **ლევან გომშიაშვილი**

  მარკეტინგის დირექტორი

ლევან გომშიაშვილი დაინიშნა სს საქართველოს ბანკის მარკეტინგის დირექტორად 2019 წლის მაისში. ბ-ნ გომშიაშვილს აქვს კარგი გამოცდილება მარკეტინგში. მან დაიწყო თავისი კარიერა საქართველოს რკინიგზაში, მის ფუნქციებში შედიოდა რეკლამირება და პროექტის მართვა. ბაკში მუშაობის დაწყებამდე ბ-ნი გომშიაშვილი იყო კრეატიული სააგენტოს HOLMES&WATSON -ის დამფუძნებელი, სადაც ის ასრულებდა ბანკინგის საკითხებში კლიენტებთან მუშაობას, ასევე მუშაობდა სხვა სექტორში. ბ-ნი გომშიაშვილი არის ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების თბილისის კომუნიკაციის სკოლის დამფუძნებელი, რომელიც ორიენტირებულია ExEd-ზე. ბ-ნი გომშიაშვილმა მიიღო მართვის მაგისტრის ხარისხი ედინბურგის უნივერსიტეტში.

- **ნუცა გოგილაშვილი**

კლიენტებთან მუშაობის გამოცდილების და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი

ნუცა გოგილაშვილი დაინიშნა კლიენტებთან მუშაობის გამოცდილების და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელად 2019 წლის აგვისტოში. ქ-ნ გოგილაშვილს აქვს რვა წელზე მეტი ხნის გამოცდილება ფინანსური მომსახურებების სფეროში, მათ შორის ეკავა სხვადასხვა ხელმძღვანელი პოზიცია როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში. მან დაიწყო ბანკში მუშაობა 2016 წლის მაისში და ეკავა სხვადასხვა ხელმძღვანელი პოზიცია, მათ შორის იყო კორპორატიული და საინვესტიციო ბანკინგის სტრატეგიული პროცესების ხელმძღვანელი 2016 წელს და იყო კლიენტებთან მუშაობის მართვის განყოფილების ხელმძღვანელი 2017 წლის იანვრიდან. ბანკში მუშაობის დაწყებამდე ის იყო თიბისის ბანკის სტრატეგიული დაგეგმვისა და ბიუჯეტირების განყოფილების ხელმძღვანელი. ქ-მა გოგილაშვილმა მიიღო ფინანსებში მაგისტრის ხარისხი საფრანგეთში კასისის ბიზნეს სკოლიდან ლონდონში და ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკაში მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტში.

<u>დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობები</u>

ბანკის დირექტორთა საბჭო არის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ბანკის ყოველდღიურ მართვაზე (გარდა აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის გამოყოფილი ფუნქციებისა) და ის შედგება გენერალური დირექტორისა და არანაკლებ სამი დირექტორისგან. ბანკის დირექტორთა საბჭო ანგარიშვალდებულია აქციონერთა და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე, მის წევრებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორთა საბჭოს ნებისმიერ წევრს უფლება აქვს, მოითხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრისგან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მოწვევა და იგი უფლებამოსილია, მიმართოს აღნიშნულ კრებას.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს ბანკის დირექტორთა საბჭოს თითოეული წევრის ანაზღაურების და დასაქმების სხვა პირობებს. ბანკის დირექტორთა საბჭოს გარკვეული დადგენილებები წინასწარ უნდა დაამტკიცოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ.

დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად ანაწილებს პასუხისმგებლობას დირექტორთა საბჭოს წევრებს შორის. დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობა მოიცავს შემდეგს:

- ბანკის ყოველდღიური საქმიანობის განხორციელება;
- აქციონერთა საერთო კრებისა ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების დღის წესრიგის განხილვა, ყველა საჭირო ინფორმაციის მოპოვება, წინადადებების მომზადება და რეზოლუციების შედგენა;
- მომავალი წლის ბიზნეს გეგმის მომზადება და წარდგენა სამეთვალყურეო საბჭოზე დასამტკიცებლად (ასეთი ბიზნეს გეგმა უნდა შეიცავდეს ბიუჯეტს, მოგებისა და ზარალის პროგნოზირებას და ბანკის ინვესტიციების გეგმას);
- ბანკის ფულადი სახსრებისა და ფასეულობების დაკრედიტების, ანგარიშსწორების, დაფინანსების, ფულადი მომსახურებების, უსაფრთხოების, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხების განხილვა და შიდა კონტროლი;
- გადაწყვეტილებები ბანკის ფილიალებისა და სერვის ცენტრების ფუნქციონირების შესახებ, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ფილიალის მენეჯერებმა და სერვის ცენტრების ხელმძღვანელებმა შეასრულონ თავიანთი ამოცანები და ფუნქციები;
- შიდა აუდიტის ან გარე ინსპექტირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის და ფილიალის მენეჯერების და სერვის ცენტრების ხელმძღვანელების მიერ წარდგენილი ანგარიშების გადახედვა, და პარალელურად შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება;
- GMS-სა და სამეთვალყურეო საბჭოზე მიღებული რეზოლუციების შესრულების უზრუნველყოფა;
- სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკის, კანონქვემდებარე ნორმატიული და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავება და ასეთ პოლიტიკასთან, კანონქვემდებარე ნორმატიულ და მარეგულირებელ დოკუმენტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- კადრების დანიშვნის, გათავისუფლების, ტრენინგისა და ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- საჭიროების შემთხვევაში, საგანგებო საერთო კრების მოწვევა;
- ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც შეიძლება დაეკისროს დირექტორთა საბჭოს სამეთვალყურეო საბჭოს და / ან GMS-ის მიერ; და
- ბანკის წესდებისა და მოქმედი კანონების მიერ განსაზღვრული მოვალეობების შესრულება.

დირექტორთა საბჭოს შეუძლია შემდეგი საქმიანობის განხორციელება მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში:

- სხვა კომპანიებში აქციების მოპოვება და განკარგვა, თუ ასეთი წილის / აქციების რაოდენობა აღემატება ამ კომპანიის საერთო კაპიტალის 50.0%-ს, ან ტრანზაქციის მოცულობა აღემატება ბანკის კაპიტალის ღირებულების 2.5%-ს, წინა კალენდარული თვის ბოლოს მდგომარეობით;
- უძრავი ქონების შეძენა, მასთან დაკავშირებული საკუთრების უფლების მოპოვება და გადაცემა, თუ ასეთი გარიგება ბანკის რუტინული ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებს სცილდება და ასეთი გარიგების მოცულობა აღემატება ბანკის კაპიტალის ღირებულების 2.5%-ს, წინა კალენდარული თვის ბოლოს მდგომარეობით;
- ფილიალების ჩამოყალიბება და ლიკვიდაცია;
- ინვესტიციების განხორციელება, რომელთა ნაწილობრივი ან საერთო თანხა აღემატება ბანკის კაპიტალის ღირებულების 2.5%-ს, წინა კალენდარული თვის ბოლოს მდგომარეობით;
- სესხის აღება, რომლის მოცულობაც აღემატება ბანკის კაპიტალის ღირებულების 2.5%-ს, წინა კალენდარული თვის ბოლოს მდგომარეობით;
- სავალო დაფინანსების უზრუნველყოფა, თუ ასეთი დაფინანსება რუტინული ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებს სცილდება;
- საბანკო საქმიანობის ახალი ტიპის დაწყება ან საბანკო საქმიანობის არსებული ტიპის შეწყვეტა ან შეჩერება;
- ბიზნესის სტრატეგიის ზოგადი პრინციპებისა და ბანკის ბიზნეს გეგმის მიღება და წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების შემუშავება და დამტკიცება;
- ბანკის ხელმძღვანელობისთვის ანაზღაურების და / ან დამატებითი სარგებლის განსაზღვრა (გენერალური დირექტორი, დირექტორთა საბჭოს სხვა წევრები და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შერჩეული სხვა ხელმძღვანელი პირები);
- სავაჭრო წარმომადგენლების დანიშვნა და გათავისუფლება;
- ისეთი ხელშეკრულების ან კონტრაქტის დამტკიცება, რომლის მიხედვითაც ბანკის ხარჯები (ერთი ან რამდენიმე ტრანშით გადასახდელი) აღემატება ბანკის კაპიტალის ღირებულების 1.0%-ს, წინა კალენდარული თვის ბოლოს მდგომარეობით;
- შიდა პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრა და დამტკიცება დაკრედიტების, ინვესტიციების, უცხოური ვალუტის, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და ადეკვატური უზრუნველყოფის ირგვლივ;
- კრედიტებსა და დეპოზიტებზე გამოყენებული მინიმალური და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრა და დამტკიცება;
- ბანკის აქციების გამოსყიდვა, რომლებიც გათვალისწინებულია შესაბამისი კანონებით, მათ შორის გამოსყიდული საკუთარი აქციები;
- მსესხებელთა ერთი ჯგუფისთვის 25.0 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის ყოველი კრედიტის შემთხვევაში, აუცილებელია სამეთვალყურეო საბჭოს დასტური; და
- სხვა საქმიანობა, რომელიც შეიძლება გათვალისწინებული იყოს არსებული კანონებით..

დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია: (i) ბანკის სახელით დამოუკიდებლად მოქმედებაზე (სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი საჭირო თანხმობით); (ii) დირექტორთა საბჭოს სხდომების თავმჯდომარეობაზე, დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და GMS-ის გადაწყვეტილებების განხორციელების ზედამხედველობაზე, სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით დავალებების გადანაწილებაზე დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის, და ასევე, ბანკის სხვა მენეჯერებისთვის, და ამ მიზნით, შესაბამისი ბრძანებების, ინსტრუქციებისა და სხვა დირექტივების გამოშვება; (iii) სამეთვალყურეო საბჭოსთვის ბანკის თანამშრომლების ანაზღაურებისა და პრემიების შესახებ რეკომენდაციების წარდგენა დასამტკიცებლად; (iv) თანამშრომლების დანიშვნა და გათავისუფლება, დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული თანამშრომლის დასაქმების გეგმის შესაბამისად; (v) ბანკის მიზნების მისაღწევად საჭირო ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელება (გარდა იმათი, რომლებიც შედის აქციონერთა საერთო კრებისა ან სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში). გენერალურ დირექტორს შეუძლია თავისი პირდაპირი დავალებები გადასცეს დირექტორთა საბჭოს სხვა წევრებს ან ბანკის შესაბამისი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, თუ ეს მიზანშეწონილად მიაჩნია.

აქციების გამოსყიდვა

წლის განმავლობაში არც ბანკს და არც ჯგუფს არ შეუძენია სს „საქართველოს ბანკის აქციები.
Sanne Fiduciary Services Limited (“ნდობით აღჭურვილი მესაკუთრე”) მოქმედებს, როგორც ნდობით აღჭურვილი მესაკუთრე სასესხო ინსტრუმენტებით ჯგუფის ხელმძღვანელი პირების საკომპენსაციო გადახდის გეგმასთან (EECP) დაკავშირებით. ჯგუფი შენატანებს ახორციელებს ნდობით აღჭურვილ მესაკუთრე კომპანიაში EECP -ის ფარგლებში გაცემულ კომპენსაციებთან დაკავშირებით. სს BGEO ჯგუფს სამართლებრივი ვალდებულება გააჩნია მოახდინოს კომპენსაციების ანგარიშსწორება. კომპენსაციის გაცემის დროს ბანკი მოქმედებს როგორც მშობელი და „დედა“ კომპანიის აგენტი.

2019 წელს ჯგუფმა განსაზღვრა ნდობით აღჭურვილი მესაკუთრე კომპანიის დასაქმებულთა საკომპენსაციო გადახდებთან დაკავშირებით - Sanne Fiduciary Services Limited (“ნდობით აღჭურვილი მესაკუთრე”), რომელიც მოქმედებს, როგორც ნდობით აღჭურვილი მესაკუთრე სასესხო ინსტრუმენტებით ჯგუფის თანამშრომლების საკომპენსაციო გადახდის გეგმასთან დაკავშირებით (EECP).

2019 წელს, ჯგუფმა განახორციელა 51,302 ლარის ოდენობის შენატანი (2018: GEL 65,420, 2017: GEL 125,270) ჯგუფის შიდა შევსების სახით, აქციებზე დაფუძნებული კომპენსაციის სქემების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების პროცედურები და რისკების მართვა

ჯგუფის და ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცედურები ცენტრალიზებულია და იმართება და კონტროლდება ბანკის და ჯგუფის საბიუჯეტო და ანგარიშგების დეპარტამენტის მიერ. თითოეულ შვილობილ კომპანიას ჰყავს განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების ჯგუფი. მათი ფუნქცია და საქმიანობა კოორდინირებულია და კონტროლდება ჯგუფის ანგარიშგების გუნდის მიერ. პროცესის მთლიან მონიტორინგს ხელმძღვანელობას უწევს ჯგუფის მთავარი ფინანსური დირექტორი. ბანკის და ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცედურების მიზანია სრული წლიური და მოკლე შუალედური დამოუკიდებელი და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადება IFRS-ის და EU IFRS-ის შესაბამისად. 2007 წელს ჯგუფმა გამოუშვა ფინანსური ანგარიშგების პროცედურების სახელმძღვანელო, რომელიც წარმოადგენს ინსტრუქციების და ნიმუშების ნაკრებს, სადაც განსაზღვრულია ძირითადი კომპონენტები, წესები, პროცედურები და ვადები ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებით. სახელმძღვანელო მუდმივად ახლდება ჯგუფში ან ანგარიშების სტანდარტებში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების პროცესი იწყება შვილობილი კომპანიის დონეზე. თითოეული შვილობილი კომპანიის საფინანსო განყოფილება ამზადებს შესაბამისი ფინანსური ანგარიშების სრულ პაკეტს, რომელიც შემდეგ გადაიხდება და მტკიცდება შვილობილი კომპანიის მთავარი ფინანსური დირექტორების მიერ.

შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშები და საინფორმაციო პაკეტები შემდგომ გაეგზავნება ჯგუფის საბიუჯეტო და ანგარიშგების ჯგუფს, რომელიც განიხილავს ანგარიშებს და მოახდენს მათ კონსოლიდირებას ჯგუფის და ბანკის ფინანსურ ანგარიშგებებში. სრული კონსოლიდირებული ანგარიში გადახედილი და დამტკიცებული უნდა იქნას ჯგუფის და ბანკის მთავარი ფინანსური დირექტორის მიერ.

მთავარი ფინანსური დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ, ფინანსურ ანგარიშგებებს გადახედავს დირექტორთა საბჭო, აუდიტის კომიტეტი, სამეთვალყურეო საბჭო და გარე აუდიტორები.
ბანკის და ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებები დირექტორთა საბჭოს, აუდიტის კომიტეტის და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ნებადართულია გამოსაცემად.

ბანკის და ჯგუფის შიდა აუდიტის დეპარტამენტი რეგულარულად ახორციელებს ბანკის და ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებების და ანგარიშების გადახედვას და წარუდგენს მათ ფინანსურ დეპარტმენტს და ჯგუფის ანგარიშგების და საბიუჯეტო ჯგუფს შესწორების და გაუმჯობესების მიზნით.

დირექტორთა საბჭოს განცხადება

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია წლიური ანგარიშის და კონსოლიდირებული და ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაზე მოქმედი კანონმდებლობის და რეგულაციების შესაბამისად. მიგვაჩნია, რომ წლიური ანგარიში და კონსოლიდირებული და ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგებები მთლიანობაში არის სამართლიანი, დაბალანსებული და გასაგები და აქციონერებს აძლევს საჭირო ინფორმაციას იმისთვის, რომ შეაფასონ ჯგუფის მდგომარეობა და საქმიანობის შედეგები, ბიზნეს მოდელი და სტრატეგია.

დირექტორთა საბჭოს დავალებით
არჩილ გაჩეჩილაძე
გენერალური დირექტორი
21 სექტემბერი 2020

დამატებითი ინფორმაცია

აბრივიატურები

ბანკი	სს საქართველოს ბანკი
საბჭო	საქართველოს ბანკის ჯგუფის ფიელსი დირექტორთა საბჭო
ჯგუფი	ბანკი და მისი შვილობილი კომპანიები
დირეტორები	საქართტველოს ბანკის ჯგუფის საბჭოს დირექტორები
ანგარიში	სს საქართველოს ბანკის ხელმძღვანელობის ანგარიში
CFO ანუ მთავარი ფინანსური დირეტორი	ბანკის მთავარი ფინანსური დირექტორი
CRO ანუ მტავარი რისკის ოფიცერი	ბანკის მათვარი რისკის ოფიცერი
წესდეა	ბანკის წესდება
GMS	აქციონერთა საერთო კრება
IFRSs	საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები
დირეტქორთა საბჭო/აღამსრულე ბელინ Board/აღმასრულე ბელი ორგანო	ბანკის ად ჯგუფის მმართველი საბჭო
სამეთვალყურეო საბჭო	ბანკისა და ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭო
უკუგება საკუთარ კაპიტალზე (ROAE)	მოგება პერიოდისთვის, რომელიც მიკუთვნებულია საქართევლოს ბანკის ჯგუფის აქციონერებს გაყოფილი ყოველთვიურ საშუალო საკუთარ კაპიტალზე მიკუთვნებული იმავე პერიოდში საქართევლოს ბანკის ჯგფის აქციონერებს

გლოსარიუმი

ალტერნატიული შესრულების ღონისძიებები (APMs) ამ წლიურ ანგარიშში, ხელმძღვანელობა იყენებს სხვადასხვა APM-ებს , რომელიც მათი აზრით იძლევა დამატებით სასარგებლო ინფორმაციას ჯგუფის ფინანსური საქმიანობის შესახებ. ეს APM-ები არ არის განსაზღვრული საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებით, და ასევე შეიძელბა პირდაპირ შევადაროთ სხვა კომპანიებს, რომლებიც იყენებენ მსგავს ღონისძიებებს. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს APM-ები საუკეთესოდ წარმოადგენს ჩვენს ფინანსურ საქმიანობას რადგან ეს ღონისძიებები გამოიყენება ხელმძვანელობის მიერ საიმისოდ რომ შეაფასონ ჩვენი საოპერაციო საქმიანობა და მიიღონ ყოველდღიური გადაწყვეტილებები.

საბაზისო შემოსავალი აქციაზე მოგება პერიოდისთვის, რომელიც იწყება ჯგუფის აქციონერებს მიკუთვნებული ოპერაციებიდან გაყოფილი იმავე პერიოდში ბრუნვაში გამოშვებული ცავულებრივი აქციების შეწონილ საშუალოზე;

ნეტო კაპტალი ერთ აქციაზე. ჯგუფის აქციონერებს მიკუთვნებული მთლიანი კაპიტალი გაყოფილი ამ პერიოდის ბოლოს ბრუნვაში არსებულ ჩვეულებრივი აქციებზე; სუფთა ბრუნვაში არსებული ჩვეულებრივი აქციები, ტოლია ამ პერიოდის ბოლოს ბრუნვაში არსებული მთალიანი აქციების რაოდენობის, გამოკლებული ამ პერიოდის ბოლოს არსებული სახაზინო აქციების რაოდენობა;

ფულადი ერთეულის ბაზა იცველბა მუდმივი სავალუტო კურსის გათვალისწინებით;

მოზიდული ფულადი სახსრების ღირებულება პერიოდის განმავლობაში საპროცენტო ხარჯები გაყოფილი პროცენტიანი ვალდებულებების ყოველთვიურ საშუალო მაჩვნებელზე;

საკრედიტო რისკის ღირებულება მოსალოდნელი ზარალი/ გაუფასურებით გამოწვეული ცვლილება კლიენტებზე გაცემულ კრედიტებთან და იმავე პერიოდში ფინანსურ ლიზინგიდან მისაღებ თანხებთან დაკავშირებით;

მოგება-ზარალის შეფარდება საოპერაციო ხარჯები გაყოფილი საოპერაციო შემოსავალზე;

გაყოფა საქართველოს ბანკის ჯგუფის ფიელსი მოიცავდა საბანკო ბიზნესს და საინვესტიციო ბიზნესს ჯგუფის გაყოფამდე 2018 წლის 29 მაისს. of Georgia Group PLC combined a Banking Business and an Investment Business prior to the Group Demerger on 29 May 2018, which resulted in the Investment Business's separation from the Group effective from 29 May 2018 (the "Demerger");

კლიენტებზე გაცემული კრედიტების თანხა ამ წლიური ანგარიშის საშუალებით წარმოდგენილია სუფთა საკრდიტო ზარალის რეზერვი კონტრაქტით შეთანხმებული დარიცხულ საპროცენტო შემოსავლზე;

პროცენტიანი ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტებისთვის, კლიენტის დებოზიტებსა და ობლიგაციებზე და გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადასახდელი თანხები;

საპროცენტო შემოსავლის მომცემი აქტივები (ნაღდი ფულის გარდა) საკრედიტო ინსტიტუტებიდან, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან (კორპორატიული აქციების გარეშე) და კლიენტებზე გასაცემის სუფთა კრედიტებიდან და ფინანსური ლიზინგიდან მისაღები თანხები;

ლევერიჯი (times) მთლიანი ვალდებულებები გაყოფილი მთლიან კაპიტალზე;

ლიკვიდური აქტივები ფული და ფულის ეკვივალენტები, საკრედიტო ინსტიტუტებიდნ და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან მისაღები თანხები;

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი (LCR) მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები (განსაზღვრული სებ-ის მიერ) გაყოფილი სუფტა გადინებულ თანხებზე მომდევნო 30 დრის განმავლობაში (განსაზღვრული სებ-ის მიერ);

კრედიტიდან შემოსავალი კლიენტებზე გაცემული კრედიტებიდან საპროცენტო შემოსავალი და ფინანსური ლიზინგიდან მისაღები თანხები გაყოფილი კლიენტებზე გაცემული კრედიტების და ფინანსური ლიზინგიდან მისღები თანხების ყოველთვიურ საშუალო მაჩვენებლზე;

სებ-ის ლიკვიდურობის კოეფიციენტი ყოველდრიური სასუალოლიკვიდური აქტივები (განსაზრვრული სებ-ის მიერ) თვის განმავლობაში გაყოფილი ყოველდღიურ საშუალო ვალდებულებებზე (განსაზღვრუი სებ-ის მიერ) თვის განმავლობაში;

სებ (Basel III) საბაზისო კაპიტალის 1-ლი რიგის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი საბაზისო კაპიტალის 1-ლი რიგის კაპიტალი გაყოფილი მთლიან რისკ-შეწონილ აქტივებზე, ორივე გაანგარიშებული საქართველოს ეროვნული ბანკის მითითებების შესაბამისად;

სებ (Basel III) 1-ლი რიგის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 1-ლი რიგის კაპიტალი გაყოფილი მთლიან რისკ-შეწონილ აქტივებზე, ორივე გაანგარიშებული საქართველოს ეროვნული ბანკის მითითებების შესაბამისად;

სებ (Basel III) სულ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი მთლიანი ნომინალური კაპიტალი გაყოფილი მთლიან რისკ-შეწონილ აქტივებზე, ორივე გაანგარიშებული საქართველოს ეროვნული ბანკის მითითებების შესაბამისად;

ბანკის სუფთა საპროცენტო მარჟა (NIM) საანგარიშო პერიოდის სუფთა საპროცენტო შემოსავალი გაყოფილია ყოველთვიურ საშუალო საპროცენტო და მათ შორი იმავე პერიოდში ნაღდი ფულით შემოსავალზე,

სუფთა კრედიტები წლიური ანგარიშის ყველა ნაწილში გარდა კონსოლიდირებული აუდიტური ფინანსური ანგარიშგებისა, სუფთა კრედიტები განსაზღვრულია როგორც კლიენტებზე გაცემული ნეტო კრედიტები და ფინანსური ლიზინგი დან მისაღები თანხები გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის/გაუფასურების შედეგად ზარალი.

ვადაგადასული კრედიტის (NPLs) ძირ თანხებსა და კრედიტებზე პროცენტის 90 დრეზე მეტი ხნით გადამეტება და ნებიმიერი სხვა ხელმზღვანელობის მიერ შეფასებული პოტენციური ზარალი.

გადავადებული კრედიტების მოცვის კოეფიციენტი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის/გაუფასურების შედეგად კრედიტებზე და ფინანსური ლიზინგიდან შემოსავლების გაუფასურების რეზერვი გაყოფილი გადავადებულ კრედიტებზე

გადავადებული კრედიტების მოცვის კოეფიციენტი დარეგულირებულ უზრუნველყოფის დისკონტირებული ღირებულებსი მიხედვით0)მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის/გაუფასურების შედეგად კრედიტებზე და ფინანსური ლიზინგიდან შემოსავლების გაუფასურების რეზერვი გაყოფილი გადავადებულ კრედიტებზე

მოცვის კოეფიციენტი (უზრუნველყოფის კორეტოტრბული დისკონტირებული ღირებულება) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის/ კრედიტის გაუფასურების ზარალის და ფინანსური ლიზინგის კომპენსაცია გაყოფილი გადავადებულ კრედიტებზე (უზრუნველყოფის დისკონტრირებული ღირებულება ემატება უკან კომპენსაციას მოსალოდნელ საკრედიტო ზარალსა/გაუფასურების ზარალთან დაკავსირებით)

საოპერაციო ბერკეტი პროცენტული ცვლილება საოპერაციო შემოსავალში გამოკლებული საოპერაციო ხარჯებში პროცენტული ცვლილება;

შემოსავალი საშუალო მთლიან აქტივებზე (ROAA) მოგება პერიოდისთვის, გაყოფილი იმავე პერიოდისთვის მთლიან აქტივების ყოველთვიურ საშუალოზე;

მთლიან კაპიტალის საშუალოზე შემოსავალი (ROAE) მოგება პერიოდისთვის, რომელიც მიკუთვნებულია საქართველოს ბანკის ჯგუფის აქციონერებს, გაყოფილი იმავე პერიოდში საქართველოს ბანკის ჯგუფს მიკუთვნებული კაპიტალის საშუალო თვიურ მაჩვენებლზე ;

სს „საქართველოს ბანკი და შვილობილი კომპანიები“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2019 წ.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 1
მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 4
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 5

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა 6
2. მომზადების საფუძველი 7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 36
5. რეკლასიფიკაცია 44
6. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ 48
7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 52
8. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ 52
9. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები 53
10. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები 54
11. საინვესტიციო ქონება 72
12. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 73
13. გუდვილი 77
14. გადასახადით დაბეგვრა 79
15. სხვა აქტივები და სხვა ვალდებულებები 82
16. კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები 83
17. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა ნასესხები სახსრები 84
18. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები 86
19. პირობითი ვალდებულებები 87
20. საკუთარი კაპიტალი 88
21. წმინდა საპროცენტო შემოსავალი 89
22. წმინდა საკომისიო შემოსავალი 90
23. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი და სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 92
24. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 93
25. წმინდა არარეგულარული მუხლები 95
26. წილობრივი გადახდა 95
27. რისკის მართვა 98
28. სამართლიანი ღირებულების შეფასება 121
29. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 129
30. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები 132
31. კაპიტალის ადეკვატურობა 133

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საქართველოს ბანკის“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „საქართველოს ბანკისა“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით *„აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (*IESBA კოდექსი*) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და აუდიტზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, შესაბამისად ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ. ქვემოთ, თითოეული საკითხისთვის მოცემული განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, წარმოდგენილია ჩვენივე აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით *„აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*, აღნიშნული საკითხების ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რითაც შევაფასებდით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ჩვენი აუდიტის პროცედურების, მათ შორის ქვემოთ მოცემული საკითხების განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები, წარმოადგენს თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს. ~

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი	**როგორ მივუდექით ამ საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი და ფასს (IFRS) 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება	
ვინაიდან მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვის და ახლად მიღებული ფასს (IFRS) 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ („ფასს 9“) მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა კომპლექსურია და განსჯას საჭიროებს, ეს საკითხი აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხად მივიჩნიეთ. დანაკარგების გამო სესხების გაუფასურება გამოითვლება ერთდროულად კოლექტიური დარეზერვების მოდელითა და დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე ინდივიდუალური სასესხო რეზერვის შექმნით, და აგრეთვე რეგრესული საპროგნოზო შეფასებების საფუძველზე. კოლექტიური და ინდივიდუალური დარეზერვება დამოკიდებულია მთელ რიგ	ჩვენ შევისწავლეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენის პროცესი და შევაფასეთ კონტროლის იმ ძირითადი მექანიზმების მოწყობა და ქმედუნარიანობა, რომლებიც მოიცავდა ინდივიდუალური რეზერვის შექმნისთვის სესხების იდენტიფიკაციის, რისკის შესაბამისი დონის მიხედვით მსესხებლების კლასიფიკაციის და გაუფასურების ეტაპების, საკრედიტო მონიტორინგის, მონაცემთა სიზუსტისა და სისრულის კონტროლს. კონტროლის ავტომატიზებული მექანიზმების შემოწმებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩვენი სპეციალისტები ჩავრთეთ. აუდიტის განმავლობაში, ძირითადად, შემდეგი საკითხები გავაანალიზეთ: • შევაფასეთ საკრედიტო რისკის მოდელები და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია დარეზერვების ძირითადი პარამეტრების დადგენისა და თითოეული პორტფელისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განსაზღვრისთვის;

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი	როგორ მივუდექით ამ საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში
დაშვებასა და განსჯაზე. მაგალითად: ▸ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელ მოდელში გამოყენებული სააღრიცხვო ინტერპრეტაციები და დაშვებები; ▸ სესხების გადანაწილება პირველ, მეორე და მესამე ეტაპებზე ფასს 9-ში წარმოდგენილი კრიტერიუმების მიხედვით; ▸ სხვადასხვა ეკონომიკური სცენარის გავლენის შეფასებაში გამოყენებული ამოსავალი მონაცემები და დაშვებები; ▸ დეფოლტის ალბათობის, დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების და დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების განსაზღვრა, უზრუნველყოფის საგნის შეფასების ჩათვლით, და ▸ ინდივიდუალურად დადგენილი რეზერვების შეფასება, მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისა და უზრუნველყოფის საგნის შეფასების ჩათვლით. ▸ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების სიზუსტე და ადეკვატურობა. რეზერვის დადგენისას გამოყენებული განსჯისა და მოდელირების სხვადასხვა ხერხის გამო, დაშვებებმა და პროგნოზებმა შეიძლება განაპირობოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მნიშვნელოვნად განსხვავებული რეზერვი. კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების შესახებ ინფორმაცია ასახულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-10 შენიშვნაში *„კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები“* და 27-ე შენიშვნაში *„რისკის მართვა“.*	• შევაფასეთ ხელმძღვანელობის განსჯა, რომელსაც იგი ეყრდნობა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ინდივიდუალურად და კოლექტიურად დადგენისას, რაოდენობრივ და ხარისხობრივ კრიტერიუმებზე დაყრდნობით; • შევამოწმეთ სესხების გადანაწილება გაუფასურების შესაბამის ეტაპებზე წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით; • შევამოწმეთ პროგნოზირებული სამომავლო ფულადი ნაკადები, უზრუნველყოფის საგნიდან მიღებული ფულადი ნაკადების ჩათვლით, რომლებიც უკავშირდება მომხმარებლებზე გაცემულ მნიშვნელოვნად გაუფასურებულ სესხებსა და ავანსებს. ჩვენს აუდიტის პროცედურებში შედიოდა ჯგუფის მიერ შემუშავებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდოლოგიის შეფასება, რომლითაც იგი ქმნის რეზერვებს მომხმარებლებზე გაცემული სესხებისა და ავანსებისთვის. ჩვენ შევაფასეთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ შერჩეული საკრედიტო რისკის ფაქტორები და ნორმები იმის დასადგენად, ხომ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა - ინდივიდუალურად ან კოლექტიურად. შევაფასეთ საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობის მიერ შერჩეული კრიტერიუმების გამოყენების თანმიმდევრულობა. კოლექტიურად შეფასებული რეზერვის შესამოწმებლად, მოდელირების ჩვენი შიდა სპეციალისტების მხარდაჭერით შევაფასეთ საბაზისო სტატისტიკური მოდელები, მთავარი ამოსავალი მონაცემები და გამოყენებული დაშვებები და ასევე შევაფასეთ საპროგნოზო ინფორმაციის ჩართვა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშებაში. ამასთანავე, გავაანალიზეთ მოდელების მთავარი ამოსავალი მონაცემების ცვლილების მიმართ რეზერვების მგრძნობელობა. ჩვენ შემთხვევითობის პრინციპით შევარჩიეთ საკრედიტო რისკით მნიშვნელოვნად გაუფასურებული კორპორაციული კრედიტები და საფუძვლიანად შევამოწმეთ სამომავლო ფულადი ნაკადების შესახებ დაშვებები, უზრუნველყოფის საგნის ღირებულებისა და მოსალოდნელი შედეგების დადგომის ალბათობების ჩათვლით. შევაფასეთ მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების შესახებ განმარტებითი შენიშვნების საკმარისობა და მართებულობა.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი	როგორ მივუდექით ამ საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში
საინვესტიციო ქონების შეფასება	
ჯგუფი საინვესტიციო უძრავი ქონებისთვის სამართლიანი ღირებულების მოდელს იყენებს. ჯგუფმა საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების დასადგენად პროფესიონალი შემფასებელი დაიქირავა. უძრავი ქონების შეფასებას ახასიათებს გაურკვევლობა და ეყრდნობა ვარაუდებს. ამასთან, ჯგუფის უძრავი ქონება ძირითადად საქართველოში მდებარეობს, სადაც მეორადი ბაზარი შედარებით არალიკვიდურია, რის გამოც იზრდება ამ შეფასებებში განსჯის გამოყენების აუცილებლობა. ეს შეფასებები, მათი დიდი მნიშვნელობისა და სუბიექტური ხასიათის გამო აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხია. საინვესტიციო ქონების შეფასების შესახებ ინფორმაცია ასახულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ მე-3 შენიშვნაში *„მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა“*, მე-11 შენიშვნაში *„საინვესტიციო ქონება“* და 28-ე შენიშვნაში *„სამართლიანი ღირებულების შეფასება“*.	ჯგუფის უძრავი ქონების ობიექტების შესაფასებლად, რომლებიც შემთხვევითობის პრინციპით შევარჩიეთ, დავიქირავეთ უძრავი ქონების შეფასების სპეციალისტები. სპეციალისტებმა ასევე შეაფასეს ჯგუფის მიერ დაქირავებული გარე შემფასებლების კომპეტენტურობა და ობიექტურობა, გაანალიზეს გამოყენებული მეთოდები და დაშვებები და შეამოწმეს შემფასებლების მიერ წარმოდგენილი მონაცემები. განვიხილეთ, რამდენადაა აღიარებული შეფასების შედეგები და ჯგუფის განმარტებები საინვესტიციო ქონების შეფასებასთან დაკავშირებით.

სხვა ინფორმაცია ასახულია ჯგუფის 2019 წლის წლიურ ანგარიშში.

სხვა ინფორმაცია გულისხმობს წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით.
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და აუდიტის კომიტეტის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ჯგუფი ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნესოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

აუდიტის კომიტეტს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ამასთანავე, აუდიტის კომიტეტს წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ ვაკმაყოფილებთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ვატყობინებთ ყოველგვარი ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც გონივრულობის ფარგლებში შეიძლება ეჭვს იწვევდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ, და, თუ შესაძლებელია, წარმოვადგენთ შესაბამის გარანტიებს.

Building a better working world

აუდიტის კომიტეტისთვის წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში და, შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენს აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. აღნიშნულ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონით ან ნორმატიული აქტით არ არის აკრძალული საკითხის საჯაროობა, ან თუ, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადავწყვეტთ, რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამით გამოწვეულმა უარყოფითმა შედეგებმა გადაწონოს ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელი.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის ოლეგ იუშენკოვი.



ოლეგ იუშენკოვი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2020 წლის 4 მარტი

აუდიტის კომიტეტისთვის წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში და, შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენს აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. აღნიშნულ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონით ან ნორმატიული აქტით არ არის აკრძალული საკითხის საჯაროობა, ან თუ, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადავწყვეტთ, რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამით გამოწვეულმა უარყოფითმა შედეგებმა გადაწონოს ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელი.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის ოლეგ იუშენკოვი.

ოლეგ იუშენკოვი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

4 მარტი, 2020 წ.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2019	2018	2017
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	2,159,205	1,220,524	1,501,654
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	8	1,613,674	1,305,191	1,216,343
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	1,761,023	1,932,553	1,613,759
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	10	11,766,754	9,229,320	7,510,884
დებიტორული დავალიანება და სხვა სესხები		2,585	19,702	1,803
გადასდილი ავანსები		51,117	50,068	55,953
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		5,983	8,787	16,328
გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები		95,990		
საინვესტიციო ქონება	11	228,666	155,183	202,534
ძირითადი საშუალებები	12	339,726	312,017	305,474
გუდვილი	13	33,453	33,453	33,453
არამატერიალური აქტივები	12	95,471	76,569	50,948
მოგების გადასახადის აქტივები	14	282	19,357	826
სხვა აქტივები	15	133,010	118,455	110,757
გასაყიდად გამიზნული აქტივები		36,284	42,408	
სულ აქტივები		18,323,223	14,523,587	12,620,716
ვალდებულებები				
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	16	10,136,695	8,196,551	7,123,866
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	17	3,684,921	2,749,348	3,162,209
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	18	2,140,781	1,711,032	749,655
საიჯარო ვალდებულება		94,518		
დარიცხვები და გადავადებული შემოსავალი		50,064	44,730	37,658
მოგების გადასახადის ვალდებულებები	14	37,918	28,833	20,095
სხვა ვალდებულებები	15	100,929	62,065	45,314
სულ ვალდებულებები		16,245,826	12,792,559	11,138,797
საკუთარი კაპიტალი	20			
საწესდებო კაპიტალი		27,994	27,994	27,821
დამატებით შეტანილი კაპიტალი		183,875	174,011	141,154
გამოსყიდული აქციები		(10)	(9)	(9)
სხვა რეზერვები		(30,874)	11,048	10,212
გაუნაწილებელი მოგება		1,896,412	1,517,984	1,302,741
სულ საკუთარი კაპიტალი		2,077,397	1,731,028	1,481,919
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		18,323,223	14,523,587	12,620,716

** გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2018 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან ისინი ასახავს ფინანსური ანგარიშგებების წარდგენის მე-5 შენიშვნაში აღწერილ ცვლილებებს.*

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად დირექტორთა საბჭოს მიერ:

არჩილ გაჩეჩილაძე — გენერალური დირექტორი

სულხან გვალია — ფინანსური დირექტორი

4 მარტი, 2020 წ.

6-135 გვერდებზე დართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	*2019*	*2018*	*2017*
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	2,159,205	1,220,524	1,501,654
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	8	1,613,674	1,305,191	1,216,343
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	1,761,023	1,932,553	1,613,759
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	10	11,766,754	9,229,320	7,510,884
დებიტორული დავალიანება და სხვა სესხები		2,585	19,702	1,803
გადახდილი ავანსები		51,117	50,068	55,953
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		5,983	8,787	16,328
გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები		95,990	-	-
საინვესტიციო ქონება	11	228,666	155,183	202,534
ძირითადი საშუალებები	12	339,726	312,017	305,474
გუდვილი	13	33,453	33,453	33,453
არამატერიალური აქტივები	12	95,471	76,569	50,948
მოგების გადასახადის აქტივები	14	282	19,357	826
სხვა აქტივები	15	133,010	118,455	110,757
გასაყიდად გამიზნული აქტივები		36,284	42,408	-
სულ აქტივები		**18,323,223**	**14,523,587**	**12,620,716**
ვალდებულებები				
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	16	10,136,695	8,196,551	7,123,866
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	17	3,684,921	2,749,348	3,162,209
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	18	2,140,781	1,711,032	749,655
საიჯარო ვალდებულება		94,518	-	-
დარიცხვები და გადავადებული შემოსავალი		50,064	44,730	37,658
მოგების გადასახადის ვალდებულებები	14	37,918	28,833	20,095
სხვა ვალდებულებები	15	100,929	62,065	45,314
სულ ვალდებულებები		**16,245,826**	**12,792,559**	**11,138,797**
საკუთარი კაპიტალი	20			
საწესდებო კაპიტალი		27,994	27,994	27,821
დამატებით შეტანილი კაპიტალი		183,875	174,011	141,154
გამოსყიდული აქციები		(10)	(9)	(9)
სხვა რეზერვები		(30,874)	11,048	10,212
გაუნაწილებელი მოგება		1,896,412	1,517,984	1,302,741
სულ საკუთარი კაპიტალი		**2,077,397**	**1,731,028**	**1,481,919**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**18,323,223**	**14,523,587**	**12,620,716**

** გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2018 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან ისინი ასახავს ფინანსური ანგარიშგებების წარდგენის მე-5 შენიშვნაში აღწერილ ცვლილებებს.*

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად დირექტორთა საბჭოს მიერ:

არჩილ გაჩეჩილაძე — გენერალური დირექტორი

სულხან გვალია — ფინანსური დირექტორი

4 მარტი, 2020 წ.

6-135 გვერდებზე დართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	*2019*	*2018*	*2017*
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი		1,388,391	1,289,431	1,095,921
სხვა საპროცენტო შემოსავალი		25,610	17,947	9,464
საპროცენტო შემოსავალი		**1,414,001**	**1,307,378**	**1,105,385**
საპროცენტო ხარჯი		(622,130)	(569,879)	(460,838)
ანაბრის დაზღვევის საკომისიო		(8,298)	(5,955)	-
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	21	**783,573**	**731,544**	**644,547**
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო		278,251	223,320	191,000
საკომისიო ხარჯი		(125,969)	(93,796)	(74,730)
წმინდა საკომისიო შემოსავალი	22	**152,282**	**129,524**	**116,270**
წმინდა სავალუტო შემოსულობა		118,590	125,660	85,740
სხვა (ხარჯი) შემოსავალი, წმინდა		17,728	4,986	14,186
საოპერაციო შემოსავალი		**1,072,173**	**991,714**	**860,743**
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	23	(223,657)	(202,225)	(186,885)
ადმინისტრაციული ხარჯები	23	(97,659)	(108,147)	(95,007)
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება		(73,275)	(42,413)	(38,414)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(3,984)	(3,756)	(3,063)
საოპერაციო ხარჯები		**(398,575)**	**(356,541)**	**(323,369)**
მოგება მეკავშირე საწარმოებიდან		789	1,339	1,311
საოპერაციო შემოსავალი რისკის ხარჯამდე		**674,387**	**636,512**	**538,685**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი /გაუფასურების რეზერვის ხარჯი მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე	24	(87,734)	(140,192)	(156,558)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი /გაუფასურების რეზერვის ხარჯი ფინანსურ ინვესტიციებთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე	24	(885)	(164)	(475)
სხვა მოსალოდნელი საკრედიტო (ზარალი) / ამოღება	24	347	(2,245)	-
სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვის ხარჯი და ანარიცხები		(12,180)	(17,738)	(11,316)
რისკის ხარჯი		**(100,452)**	**(160,339)**	**(168,349)**
წმინდა საოპერაციო შემოსავალი არარეგულარულ მუხლებამდე		**573,935**	**476,173**	**370,336**
წმინდა არარეგულარული მუხლები	25	(4,591)	(76,066)	(3,589)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		**569,344**	**400,107**	**366,747**
მოგების გადასახადის ხარჯი	14	(56,457)	(56,579)	(27,840)
წლის მოგება		**512,887**	**343,528**	**338,907**
მთლიანი მოგება, მიკუთვნებადი შემდეგი პირებისთვის:				
- ბანკის აქციონერები		512,887	343,528	338,761
- არასაკონტროლო პაკეტების მფლობელები		-	-	146
		512,887	**343,528**	**338,907**
საბაზისო და განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე	20	18.3280	12.3452	12.1803

** გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2018 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან ისინი ასახავს ფინანსური ანგარიშგებების წარდგენის მე-5 შენიშვნაში აღწერილ ცვლილებებს.*

6-135 გვერდებზე დართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2019	2018	2017
წლის მოგება		**512,887**	**343,528**	**338,907**
სხვა სრული (ზარალი) შემოსავალი უწყვეტი საქმიანობიდან				
სხვა სრული შემოსავალი (ზარალი) უწყვეტი საქმიანობიდან, რომელიც მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირდება მომდევნო პერიოდებში:				
- სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციების სამართლიანი ღირებულების წმინდა ცვლილება, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	9	(41,452)	2,199	n/a
- გასაყიდად გამიზნული ფასიანი ქაღალდების არარეალიზებული გადაფასება		n/a	n/a	3,595
- რეალიზებული შემოსულობა ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		(5,473)	1,023	n/a
- არარეალიზებული შემოსულობა მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში რეკლასიფიცირებული გასაყიდად გამიზნული ფასიანი ქაღალდებიდან		n/a	n/a	(2,058)
- ცვლილება იმ სავალო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებიდან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვში, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, და რეკლასიფიცირებული მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში		(129)	238	n/a
– საკურსო სხვაობებიდან მიღებული შემოსულობა (ზარალი)		9,927	(4,825)	(3,259)
მოგების გადასახადით დაბეგვრის გავლენა	14	-	(265)	(551)
წმინდა სხვა სრული (ზარალი) შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირებაც ხდება		**(37,127)**	**(1,630)**	**(2,273)**
სხვა სრული შემოსავალი უწყვეტი საქმიანობიდან, რომელიც მოგებაში ან ზარალში არ რეკლასიფიცირდება მომდევნო პერიოდებში:				
- საინვესტიციო ქონებაში რეკლასიფიცირებული ძირითადი საშუალებების გადაფასება		-	1,043	3,483
- წმინდა ზარალი ინვესტიციებიდან წილობრივ ინსტრუმენტებში, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		(54)	(2,525)	n/a
მოგების გადასახადით დაბეგვრის გავლენა	14	-	-	(781)
წმინდა სხვა სრული (ზარალი) შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირებაც არ ხდება		**(54)**	**(1,482)**	**2,702**
წლის სხვა სრული (ზარალი) შემოსავალი, წმინდა		**(37,181)**	**(3,112)**	**429**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**475,706**	**340,416**	**339,336**
მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც მიკუთვნებადია შემდეგი პირებისთვის:				
- ბანკის აქციონერები		475,706	340,416	339,190
- არასაკონტროლო პაკეტების მფლობელები		-	-	146
		475,706	**340,416**	**339,336**

6-135 გვერდებზე დართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	ბანკის აქციონერთათვის გაწკუთვნილი							
	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გამოსყიდული აქციები	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ	არასაკონტროლო პაკეტის მფლობელები	სულ საკუთარი კაპიტალი
31 დეკემბერი, 2016 წ.	**27,821**	**216,030**	**(9)**	**252**	**975,314**	**1,219,408**	**13,736**	**1,233,144**
ფასს 15-ის ვადაზე ადრე მიღების ეფექტი	-	-	-	-	(10,827)	(10,827)	-	(10,827)
1 იანვარი, 2017 წ.	**27,821**	**216,030**	**(9)**	**252**	**964,487**	**1,208,581**	**13,736**	**1,222,317**
წლის მოგება	-	-	-	-	338,761	338,761	146	338,907
წლის სხვა სრული (ზარალი) შემოსავალი:	-	-	-	936	(507)	429	-	429
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**-**	**-**	**-**	**936**	**338,254**	**339,190**	**146**	**339,336**
საკუთარი კაპიტალის ზრდა წილობრივი გადახდების შედეგად	-	50,394	-	-	-	50,394	-	50,394
არასაკონტროლო პაკეტის შესყიდვა არსებულ შვილობილ კომპანიებში	-	-	-	13,882	-	13,882	(13,882)	-
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს შეძენა	-	-	-	(4,858)	-	(4,858)	-	(4,858)
შენატანები წილობრივი გადახდის პროგრამის ფარგლებში (26-ე შენიშვნა)	-	(125,270)	-	-	-	(125,270)	-	(125,270)
31 დეკემბერი, 2017 წ.	**27,821**	**141,154**	**(9)**	**10,212**	**1,302,741**	**1,481,919**	**-**	**1,481,919**
ფასს 9-ის გამოყენება (შენიშვნა 3)	-	-	-	3,268	(7,605)	(4,337)	-	(4,337)
1 იანვარი, 2018 წ.	**27,821**	**141,154**	**(9)**	**13,480**	**1,295,136**	**1,477,582**	**-**	**1,477,582**
წლის მოგება	-	-	-	-	343,528	343,528	-	343,528
წლის სხვა სრული (ზარალი) შემოსავალი:	-	-	-	(717)	(2,395)	(3,112)	-	(3,112)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**-**	**-**	**-**	**(717)**	**341,133**	**340,416**	**-**	**340,416**
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის გადატანა, წმინდა	-	-	-	(4,240)	4,240	-	-	-
საკუთარი კაპიტალის ზრდა წილობრივი გადახდების შედეგად	-	82,483	-	-	-	82,483	-	82,483
ბანკის აქციონერებზე განაწილებული დივიდენდები (შენიშვნა 20)	-	-	-	-	(120,000)	(120,000)	-	(120,000)
წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციების გაყიდვა, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ჯორჯიან კაპიტალის აქციები	-	-	-	2,525	(2,525)	-	-	-
თანამშრომლებისთვის საინვესტიციო საქმიანობის აქციების გადაცემა გამოყოფის შედეგად	-	2,649	-	-	-	2,649	-	2,649
სააქციო კაპიტალის გამოშვება (შენიშვნა 20)	173	13,145	-	-	-	13,318	-	13,318
გაცემები წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის სქემის ფარგლებში (შენიშვნა 26)	-	(65,420)	-	-	-	(65,420)	-	(65,420)
31 დეკემბერი, 2018 წ.	**27,994**	**174,011**	**(9)**	**11,048**	**1,517,984**	**1,731,028**	**-**	**1,731,028**
წლის მოგება	-	-	-	-	512,887	512,887	-	512,887
წლის სხვა სრული ზარალი	-	-	-	(41,922)	4,741	(37,181)	-	(37,181)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**-**	**-**	**-**	**(41,922)**	**517,628**	**475,706**	**-**	**475,706**
საკუთარი კაპიტალის ზრდა წილობრივი გადახდების შედეგად	-	61,272	-	-	-	61,272	-	61,272
საკუთარი აქციების გამოსყიდვა	-	(106)	(1)	-	-	(107)	-	(107)
ბანკის აქციონერებზე გაცემული დივიდენდები (შენიშვნა 20)	-	-	-	-	(139,200)	(139,200)	-	(139,200)
გაცემები წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის სქემის ფარგლებში (შენიშვნა 26)	-	(51,302)	-	-	-	(51,302)	-	(51,302)
31 დეკემბერი, 2019 წ.	**27,994**	**183,875**	**(10)**	**(30,874)**	**1,896,412**	**2,077,397**	**-**	**2,077,397**

6-135 გვერდებზე დართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2019	2018	2017
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები				
მიღებული პროცენტი		1,384,282	1,286,400	1,086,379
გადახდილი პროცენტი		(613,347)	(571,907)	(458,060)
მიღებული საკომისიო		255,032	247,785	186,007
გადახდილი საკომისიო		(125,969)	(93,796)	(74,730)
წმინდა რეალიზებული შემოსულობა უცხოური ვალუტებიდან		100,554	92,651	66,502
მომხმარებლებზე გაცემული ჩამოწერილი სესხების ამოღება	10	35,524	35,306	52,792
წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში გადახდილი ფულადი სახსრები		(11,814)	-	-
სხვა მიღებული შემოსავალი (გადახდილი ხარჯი)		1,993	23,731	(11,284)
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(166,867)	(152,189)	(136,014)
გადახდილი ზოგადი, ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები		(77,334)	(111,379)	(81,666)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**782,054**	**756,602**	**629,926**
საოპერაციო აქტივების წმინდა (ზრდა)/კლება				
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		(193,008)	(50,741)	(294,287)
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები		(2,139,802)	(1,744,165)	(1,463,949)
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები		10,198	(90,749)	(12,980)
საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/(კლება)				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		834,394	(469,057)	(271,170)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები		45,198	943,026	568,250
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები		1,431,541	902,776	1,436,334
სხვა ვალდებულებები		22,825	5,704	(4,799)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		**793,400**	**253,396**	**587,325**
მოგების გადახდილი გადასახადი		(28,297)	(64,508)	(9,303)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**765,103**	**188,888**	**578,022**
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი ნაკადები				
შვილობილი კომპანიების შესყიდვა, მიღებული ფულადი სახსრების გამოკლებით		-	-	(8,133)
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა (შესყიდვა), წმინდა		121,209	(311,752)	(321,379)
შემოსულობა საინვესტიციო ქონების და გადაყიდად გამიზნული აქტივების გაყიდვიდან		64,665	85,143	11,067
შემოსავალი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან		5,315	1,638	2,015
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(107,067)	(81,479)	(104,601)
მიღებული დივიდენდები		210	-	-
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული (ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		**84,332**	**(306,450)**	**(421,031)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული (ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები				
შემოსულობა დამატებითი პირველადი კაპიტალის სავალო ინსტრუმენტების გამოშვებიდან		268,160	-	-
საოჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები		(8,205)	-	-
გადახდილი დივიდენდები		(138,926)	(119,760)	(211)
საკუთარი აქციების გამოსყიდვა		(107)	-	-
გაცემები წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის სქემის ფარგლებში (შენიშვნა 26)		(51,302)	(65,420)	(125,270)
სააქციო კაპიტალის გამოშვება (შენიშვნა 20)		-	13,318	-
წილების შესყიდვა არსებულ შვილობილ კომპანიებში		-	-	(21,701)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული / (ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		**69,620**	**(171,862)**	**(147,182)**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		19,633	8,374	4,675
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(7)	(80)	n/a
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა (კლება)		**938,681**	**(281,130)**	**14,484**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	**1,220,524**	**1,501,654**	**1,487,170**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	**2,159,205**	**1,220,524**	**1,501,654**

** გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2018 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან ისინი ასახავს ფინანსური ანგარიშგებების წარდგენის მე-5 შენიშვნაში აღწერილ ცვლილებებს.*

6-135 გვერდებზე დართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

სს „საქართველოს ბანკი“ (შემდგომში „ბანკი“) 1994 წლის 21 ოქტომბერს დაარსდა როგორც სააქციო საზოგადოება („სს“) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ბანკი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“ ან „საქართველოს ცენტრალური ბანკი“) მიერ 1994 წლის 15 დეკემბერს გაცემული ზოგადი საბანკო ლიცენზიის საფუძველზე.

ბანკი იღებს ანაბრებს მოსახლეობისგან, გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ და აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს. ბანკის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში, საქართველოში. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკის 272 ფილიალი მოქმედებდა საქართველოს ყველა დიდ ქალაქში (2018 წლის 31 დეკემბერი: 276, 2017 წლის 31 დეკემბერი: 286). ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0160, გაგარინის ქ. 29. ბანკის საიდენტიფიკაციო ნომერია 204378869.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საჯარო სააქციო საზოგადოება „ბიჯეო ჯგუფი“ („საჯარო სააქციო საზოგადოება „ბიჯეო“, ყოფილი საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჰოლდინგი“) იყო ინგლისსა და უელსში დაფუძნებული საჯარო სააქციო საზოგადოება და წარმოადგენდა ბანკის საბოლოო მშობელ კომპანიას. 2012 წლის 28 თებერვლიდან საჯარო სააქციო საზოგადოება „ბიჯეოს“ აქციები განთავსდა დიდი ბრიტანეთის ლისტინგის ორგანოს ოფიციალური სიის პრემიუმ ლისტინგის სეგმენტში და სავაჭრო სისტემაში დაშვებული იქნა საჯარო სააქციო საზოგადოება „ლონდონის საფონდო ბირჟის“ რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების ძირითად ბაზარზე.

2015 წლის აგვისტოში, მას შემდეგ, რაც სებ-მა განიზრახა საქართველოში მოქმედი ბანკების ინდივიდუალურად დარეგულირება და ამით ადგილობრივად დარეგულირებული საბანკო ერთეულების ინვესტიციების შეზღუდვა ისეთ შვილობილ კომპანიებში, რომლებიც არასაბანკო საქმიანობას ეწევიან, ბანკმა დაასრულა იურიდიული რესტრუქტურიზაცია. ამის შედეგად, საჯარო სააქციო საზოგადოება „ბიჯეომ“, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკის მშობელ კომპანიად დააფუძნა ახალი ჰოლდინგური კომპანია - სს „ბიჯეო ჯგუფი“ (შემდგომში „სს „ბიჯეო“).

2017 წლის 3 ივლისს საჯარო სააქციო საზოგადოება „ბიჯეო ჯგუფმა“ განაცხადა, რომ 2018 წლის პირველი ნახევრის ბოლოსთვის იგი ორ მიმართულებად - ლონდონის ბირჟაზე დარეგისტრირებულ საბანკო ბიზნესის მიმართულებად - საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფად“ და ლონდონის ბირჟაზე დარეგისტრირებულ საინვესტიციო ბიზნესის მიმართულებად - საჯარო სააქციო საზოგადოება „ჯორჯია კაპიტალად“ დაიყოფოდა. აღნიშნული გაყოფა (შემდგომში „გაყოფა“) 2018 წლის 29 მაისს დასრულდა, რის შედეგადაც, საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფი“ (შემდგომში „საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფი“) გახდა სს „ბიჯეო ჯგუფის“ 100%-იანი მფლობელი, რომელიც ბანკის მთავარი აქციონერია. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფი“ წარმოადგენდა ბანკის საბოლოო მშობელ კომპანიას.

ბანკი და მისი დანარჩენი შვილობილი კომპანიები, ძირითადად, საქართველოსა და ბელარუსში დაფუძნებული კომპანიების ჯგუფია (შემდგომში „ჯგუფი“). მათი ძირითადი საქმიანობაა საბანკო მომსახურების გაწევა იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის. ბანკი არის ჯგუფის ძირითადი საოპერაციო ერთეული და მასზე მოდის ჯგუფის საქმიანობის დიდი წილი.

2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „ბიჯეო“ ბანკის მთავარი აქციონერი იყო:

მფლობელი	*31 დეკემბერი, 2019 წ.*	*31 დეკემბერი, 2018 წ.*	*31 დეკემბერი, 2017 წ.*
სს "ბიჯეო ჯგუფი"	79.78%	79.78%	99.55%
საჯარო სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკის ჯგუფი"	19.78%	19.78%	-
სხვა*	0.44%	0.44%	0.45%
სულ	**100.00%**	**100.00%**	**100.00%**

**** საქართველოს საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული აქციები***

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასსს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფასიკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის ანგარიშგებისთვის.

ბანკი და მისი საქართველოში მდებარე შვილობილი კომპანიები ვალდებულები არიან, ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოონ და ფინანსური ანგარიშგება მარეგულირებელი ორგანოსთვის მოამზადონ ქართულ ლარში, ხოლო ბანკის საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე შვილობილი კომპანიები ამას შესაბამის ადგილობრივ ვალუტებში ახორციელებენ. ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, შემდეგი გამონაკლისებით:

- ფინანსური აქტივებისა და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების, წარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, და საინვესტიციო უძრავი ქონების სამართლიანი ღირებულებით შეფასება;
- სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით;
- გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივების შეფასება თვითღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესით.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („ლარი“), თითო აქციის ღირებულების გარდა, და თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო

ბანკის დირექტორთა საბჭომ შეაფასა, ჯგუფს შესწევს თუ არა უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და მიაჩნია, რომ ჯგუფს აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას ისეთი არსებითი განუსაზღვრელობის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენებდა ჯგუფის უნარს, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ განჭვრეტად მომავალში. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

შვილობილი და მეკავშირე კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგ შვილობილ და მეკავშირე კომპანიებს მოიცავს:

შვილობილი კომპანიები	ბაზის უფლების მქონე და წგეუღირებული აქციების წილი საჩუქდებო კაპიტალში			ინვესტიციები			რეგისტრაციის ქვეყანა	მისამართი	საქმიანობის სფერო	დაფუძნების თარიღი	შეძენის თარიღი	საამართლებრივი ფორმა / სტატუსი
	31 დეკემბერი, 2019 წ	31 დეკემბერი, 2018 წ	31 დეკემბერი, 2017 წ	31 დეკემბერი, 2019 წ	31 დეკემბერი, 2018 წ	31 დეკემბერი, 2017 წ						
საქართველოს ბანკის წარმომადგენლობა გაერთიანებულ სამეფოში	100.00%	100.00%	100.00%	-	-	-	გაერთიანებული სამეფო	ლონდონი, ბრუკ სტრიტი 84, W1K 5EH	ინფორმირება და სბაზრო კვლევა	17/8/2010	–	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ააიპ "ფონდი სიცოცხლის ხე" (ყოფილი ააიპ "საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი")	100.00%	100.00%	100.00%	-	-	-	საქართველო	თბილისი, 0105, პეკინის ქ. 3	საქველმოქმედო საქმიანობა	25/8/2008	–	არაკომერციული ორგანიზაცია
საქართველოს ბანკის წარმომადგენლობა უნგრეთში	100.00%	100.00%	100.00%	6,282	5,194	4,135	უნგრეთი	1054 Budapest, Honvéd utca 8. Bank Center Süleyman Seba Caddesi No:48 A Blok Daire 82 Akaretler Beşiktaş 34357 სტამბოლი	წარმომადგენლობა	18/6/2012	–	წარმომადგენლობა
სს "საქართველოს ბანკის" წარმომადგენლობა თურქეთში	100.00%	100.00%	100.00%	-	-	-	თურქეთი	წარმომადგენლობა	25/12/2013	–	წარმომადგენლობა	
შპს "საქართველოს ფინანსური ინვესტიცია"	100.00%	100.00%	100.00%	3,577	3,577	3,577	ისრაელი	7 Menahem Begin, Ramat Gan 52681, ისრაელი	ინფორმირება და სბაზრო კვლევა	9/2/2009	–	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
შპს "პროფესიული საკალათბურთო კლუბი დინამო თბილისი"	(ა)	(ა)	100.00%	-	-	2,250	საქართველო	თბილისი, 0159, დიღმის მასივი, მე-3 კარტალი, ნაკვეთი #38/3.	სპორტი	10/1/2011	–	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
შპს "საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი"	(ბ)	100.00%	100.00%	-	2,476	2,281	საქართველო	თბილისი, 0194, მიქელაძის ქ.29	განათლება	15/10/2013	–	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
"ბენდერლოკ ინვესტმენტ ლიმიტედი"	100.00%	100.00%	100.00%	58,745	58,745	58,745	კვიპროსი	არქ. მაკარიუ III 58, ირის თაუერი, მე-8 სართ., ოფისი 702; 1075, ნიკოზია	ინვესტიციები	12/5/2009	13/10/2009	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
□ სს „ბელარუსის ეროვნული ბანკი"	99.98%	99.98%	99.98%	106,276	103,700	102,474	ბელარუსი	ნეზავისიმოსტი ავენიუ 87ა, მინსკი, 220012	საბანკო საქმიანობა	16/4/1992	3/6/2008	სააქციო საზოგადოება
□ შპს "ბელარუსის ეროვნული ბანკის ლიზინგი"	99.90%	99.90%	99.90%	11	10	10	ბელარუსი	ნეზავისიმოსტი ავენიუ 87ა, მე-3 ოთახი, მინსკი, 220012	ოყარა	30/3/2006	3/6/2008	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია"	100.00%	100.00%	100.00%	22,414	22,414	22,414	საქართველო	თბილისი, ყაზბეგის ქ. 3-5	ოყარა	29/10/2001	31/12/2004	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
□ პრაიმ ლიზინგი	100.00%	100.00%	100.00%	2	2	2	საქართველო	თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, კვ. წერეთლის გამზ. 114	ოყარა	27/1/2012	21/1/2015	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მეკავშირე კომპანიები	ბაზის უფლების მქონე და წგეუღირებული აქციების წილი			ინვესტიციები			რეგისტრაციის ქვეყანა	მისამართი	საქმიანობის სფერო	დაფუძნების თარიღი	შეძენის თარიღი	საამართლებრივი ფორმა / სტატუსი
	31 დეკემბერი, 2019 წ	31 დეკემბერი, 2018 წ	31 დეკემბერი, 2017 წ	31 დეკემბერი, 2019 წ	31 დეკემბერი, 2018 წ	31 დეკემბერი, 2017 წ						
სს "კრედიტინფო" (გ)	21.08%	21.08%	21.08%	12,949	12,371	11,031	საქართველო	საქართველო, თბილისი, თარხნიშვილის ქ. 2	ფინანსური შუამავლობა	14/2/2005	14/2/2005	სააქციო საზოგადოება

(ა) 2018 წელს სს „საქართველოს ბანკმა“ გაყიდა თავისი ინვესტიცია პროფესიონალურ საკალათბურთო კლუბ „დინამო თბილისში“.
(ბ) 2019 წელს სს „საქართველოს ბანკმა“ გაყიდა თავისი ინვესტიცია „საქართველოს ბანკის უნივერსიტეტში“.
(გ) სს „კრედიტინფოს“ თავდაპირველი ინვესტიცია შეადგენდა 95 ლარს, რომელიც გაიზარდა 9,720 ლარამდე ინვესტიციის სამართლიან ღირებულებად გადაფასების შედეგად, როდესაც კაპიტალის ინვესტიცია მეკავშირე საწარმო გახდა. ინვესტიციის მოგებისა თუ ზარალის წილის აღიარება ასევე მოხდა მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფი ახდენს შვილობილი კომპანიის კონსოლიდაციას მასზე კონტროლის შეძენისთანავე. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფს აქვს ინვესტიციის ობიექტზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევენ, ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა მართოს);
- ჯგუფი იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე ახორციელებს თუ არა კონტროლს, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან საკონტრაქტო გარიგებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები;

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის აქციონერებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შეთხვევაში ხდება შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური აქტივი და ვალდებულება, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შვილობილი საწარმოს საკუთარ კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. თუ ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი:

- ჩამოწერს შვილობილი საწარმოს აქტივებს (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებებს;
- ჩამოწერს არასაკონტროლო პაკეტის საბალანსო ღირებულებას;
- ჩამოწერს კაპიტალში ასახულ ჯამურ საკურსო სხვაობებს;
- ასახავს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას;
- ასახავს ნებისმიერი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას;
- ასახავს მოგებაში და ზარალში დეფიციტს ან მეტობას;
- ასევე მოახდენს მშობელი კომპანიის სხვა სრულ შემოსავალში ადრე ასახული კომპონენტების წილის რეკლასიფიკაციას მოგებასა და ზარალზე, ან გაუნაწილებელ მოგებაზე, როგორც ეს საჭირო იქნებოდა იმ შემთხვევაში, ჯგუფს პირდაპირ რომ გაესხვისებინა შესაბამისი აქტივები ან ჩამოეწერა ვალდებულებები.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შესყიდვის მეთოდით. შესყიდვის ღირებულება გამოითვლება შემდეგი კომპონენტების დაჯგუფებით: შესყიდვის დღეს სამართლიანი ღირებულებით გადახდილი საფასური და შეძენილი კომპანიის ნებისმიერი უმცირესობის წილის მოცულობა. საწარმოთა გაერთიანების თითოეულ შემთხვევაში, ჯგუფი შეძენილი კომპანიის არასაკონტროლო პაკეტს აფასებს სამართლიანი ღირებულებით ან ამოცნობადი წმინდა აქტივების პროპორციული წილის შესაბამისად, ხოლო არასაკონტროლო პაკეტის სხვა კომპონენტებს - მათი შეძენის თარიღისთვის არსებული სამართლიანი ღირებულებით. შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების აღიარება ხდება მათი გაწევისთანავე და შედის ადმინისტრაციულ ხარჯებში.

როდესაც ჯგუფი შეისყიდის ბიზნესს, კლასიფიკაციის მიზნებისთვის აფასებს მის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შესყიდვის თარიღისათვის არსებული საკონტრაქტო ვალდებულებების, ეკონომიკური გარემოებებისა და რელევანტური პირობების შესაბამისად. აღნიშნული მოიცავს შესყიდული საწარმოს მიერ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტების განცალკევებას ძირითად ხელშეკრულებებში.

თუ საწარმოთა გაერთიანება ეტაპობრივად მოხდა, მფლობელობაში არსებული სააქციო წილი გადაფასდება შესყიდვის თარიღისთვის მის სამართლიან ღირებულებამდე და მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში. მისი გათვალისწინება შემდეგ გუდვილის განსაზღვრის დროს ხდება.

ნებისმიერი პირობითი ანაზღაურება, რომელიც გადახდილ უნდა იქნას შემძენის მიერ, აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისათვის. პირობითი საფასური, რომელიც მოიაზრება აქტივად ან ვალდებულებად, წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს და შეესაბამება ფასს (IFRS) 9-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სამართლიან ღირებულებაში შემდგომი ცვლილებები აისახება მოგებაში ან ზარალში, ან როგორც სხვა სრული შემოსავლის ცვლილება. იმ შემთხვევაში თუ პირობითი ანაზღაურება არ შეესაბამება ფასს 9-ს, იგი ფასდება შესაბამისი ფასს-ის მიხედვით. პირობითი ანაზღაურება, რომელიც კლასიფიცირდება კაპიტალად, არ გადაფასდება და შემდგომი ცვლილებებიც აღირიცხება კაპიტალში.

გუდვილის აღიარება თავდაპირველად ხდება თვითღირებულებით, და ტოლია წმინდა ამოცნობადი შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების ღირებულების ზემოთ გადახდილი ნამეტი ღირებულებისა (სხვაობა უმცირესობის და მფლობელობაში ადრე არსებულ ნებისმიერ წილში გადახდილ და ნაკისრი ანაზღაურების ჯამს და წმინდა შეძენილ აქტივებსა და ნაკისრ ვალდებულებებს შორის). თუ შეძენილი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება მეტია მთლიანად გადახდილ ანაზღაურებაზე, ჯგუფი ხელახლა აფასებს, სწორად ამოიცნო თუ არა ყველა შეძენილი აქტივი და ნაკისრი ვალდებულება და გადასინჯავს შეძენის თარიღისთვის ასაღიარებელი თანხების შესაფასებლად გამოყენებულ პროცედურას. თუ ხელახალი შეფასების შედეგად წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება მაინც გადააჭარბებს მთლიანად გადახდილ საზღაურს, მაშინ ხდება შემოსულობის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

პირველადი აღიარების შემდგომ, გუდვილის შეფასება ხდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება ნებისმიერი დარიცხული გაუფასურების ზარალი. გაუფასურების დადგენის მიზნებისათვის, საწარმოთა გაერთიანებისას წარმოქმნილი გუდვილი შესყიდვის თარიღიდან გადანაწილდება ჯგუფის ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულებზე, რომლებიც, როგორც მოსალოდნელია, ისარგებლებენ გაერთიანებით, განურჩევლად იმისა, აღნიშნულ ბიზნეს ერთეულებს შეძენილი საწარმოს სხვა აქტივები მიეკუთვნება, თუ ვალდებულებები.

როდესაც გუდვილი მიეკუთვნება ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულს და ამ ერთეულის ოპერაციების ნაწილი არის გასხვისებული, გასხვისებულ ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილი ჩართულია აღნიშნული ოპერაციის საბალანსო ღირებულებაში იმისთვის, რომ მოხდეს

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი (გაგრძელება)

გასხვისებით მიღებული შემოსულობის ან ზარალის მართებული განსაზღვრა. ასეთ შემთხვევაში, გასხვისებულ ოპერაციაზე მიკუთვნილი გუდვილის განსაზღვრა ხდება გასხვისებული ოპერაციის ღირებულებასა და ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულში შენარჩუნებული ხვედრითი წილის მიხედვით.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოები წარმოადგენენ კომპანიებს, რომლებშიც ჯგუფი ზოგადად ფლობს ხმის უფლების 20%-დან 50%-მდე, ან სხვაგვარად შესწევს უნარი მოახდინოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება, მაგრამ რომელსაც ის არ აკონტროლებს ან სხვა პირთან ერთად აკონტროლებს. მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციები იანგარიშება კაპიტალ-მეთოდით და თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, გუდვილის ჩათვლით. შემდგომი ცვლილებები საბალანსო ღირებულებაში ასახავს მეკავშირე საწარმოში ჯგუფის წმინდა აქტივების წილში შესყიდვის შემდგომ მომხდარ ცვლილებებს. მეკავშირე საწარმოების მოგება-ზარალში ჯგუფის წილი აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხოლო რეზერვებში მისი გადაადგილების წილი აისახება სხვა სრულ შემოსავალში. თუმცა, როდესაც ჯგუფის ზარალის წილი მეკავშირე საწარმოში უტოლდება ან აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოში, ჯგუფი არ ასახავს შემდგომ დანაკარგებს, თუ ის ვალდებული არ არის შემდგომი გადახდების განხორციელებაზე მეკავშირე საწარმოში ან მისი სახელით.

არარეალიზებული შემოსულობა ჯგუფსა და მის მეკავშირე საწარმოებს შორის ტრანსაქციებზე იქვითება მეკავშირე საწარმოთა კაპიტალში ჯგუფის წილის მოცულობით. არარეალიზებული ზარალიც იქვითება, თუ ტრანსაქცია არ ამტკიცებს გადაცემული აქტივის გაუფასურებას. როდესაც კაპიტალის ინვესტიცია ხდება მეკავშირე კომპანია, ინვესტიცია გადაფასდება სამართლიან ღირებულებამდე და მანამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული ყველა შემოსულობა ან ზარალი რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე კომპანიებში მშობელი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში

მშობელი კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე კომპანიებში აღირიცხება თვითღირებულებით. ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე კომპანიებში აღირიცხება ფასს 5-ის „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ მიხედვით, როდესაც ხდება მათი კლასიფიცირება გასაყიდად ან გასანაწილებლად გამიზნულად. შვილობილი ან მეკავშირე კომპანიისგან მიღებული დივიდენდების აღიარება მშობელი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება მაშინ, როდესაც მშობელი კომპანია იღებს დივიდენდის მიღების უფლებას.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ჯგუფი ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორიცაა სავაჭრო და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, მომხმარებლებზე გაცემული გარკვეული სესხები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და არაფინანსური აქტივები (მაგალითად, საინვესტიციო უძრავი ქონება) აფასებს სამართლიანი ღირებულებით ყოველი საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღით. გარდა ამისა, ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 28-ე შენიშვნაში.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე სახარბიელო ბაზარი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებებისას:

- დონე 1 – მსგავსი აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ჯგუფი ყველა თავისი ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას ახდენს ამ აქტივების მართვის ბიზნესმოდელისა და სახელშეკრულებო პირობების მიხედვით და აფასებს შემდეგიდან ერთ-ერთით:

- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავალო ინსტრუმენტების გაყიდვისას მისი მოგებაში ან ზარალში გადატანით;
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, წილობრივი ინსტრუმენტების გაყიდვისას მისი მოგებაში ან ზარალში გადატანის გარეშე; და
- ამორტიზებული ღირებულება.

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ისინი ვაჭრობისთვის არის განკუთვნილი.

ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები არ არის გამოყოფილი შესაბამისი ფინანსური აქტივისგან. ამის ნაცვლად, ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება ბიზნესმოდელისა და მათი სახელშეკრულებო პირობების მიხედვით.
ყველა წარმოებული ინსტრუმენტი ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, და ის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში, კორექტირდება გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებით.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო შეფასება არის გარიგების ფასი. თუ ჯგუფი გადაწყვეტს, რომ თავდაპირველი აღიარებისას შეფასებული სამართლიანი ღირებულება განსხვავდება გარიგების ფასისგან, მაშინ:

- თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით (ე. ი. 1 დონის ამოსავალი მონაცემი) ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც გამოიყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ ჯგუფი აღიარებს სხვაობას თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, როგორც შემოსულობას ან ზარალს.

ყველა დანარჩენ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება დაკორექტირდება, რომ გადაავადოს სხვაობა თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ჯგუფი ამ გადავადებულ სხვაობას შემოსულობად ან ზარალად აღიარებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას წარმოშობს ისეთი ფაქტორის (დროის ჩათვლით) ცვლილება, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ამ აქტივის თუ ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი შეფასება

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი ამორტიზებული ღირებულებით აფასებს მოთხოვნებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, მომხმარებლებზე გაცემულ სესხებს და სხვა ფინანსური აქტივებს თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანიც არის ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად.
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI) ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე.

ამ პირობების შესახებ უფრო დაწვრილებით მოცემულია ქვემოთ.

ბიზნესმოდელი

ჯგუფი თავის ბიზნესმოდელს იმ დონეზე განსაზღვრავს, რომ საუკეთესოდ ასახავს იმას, თუ როგორ მართავს ის ფინანსური აქტივების ჯგუფებს თავისი ბიზნესამოცანების მისაღწევად. ბიზნესმოდელი თითოეული ინსტრუმენტისთვის კი არ ფასდება, არამედ უფრო მაღალ, ინსტრუმენტის თითოეული ტიპის აგრეგირებული პორტფელების, დონეზე და ეყრდნობა შემდეგ დაკვირვებად (ემპირიულ) ფაქტორებს:

- რისკები, რომლებიც მოქმედებს ბიზნესმოდელის ეფექტურობაზე (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში არსებულ ფინანსურ აქტივებზე) და, კერძოდ, როგორ იმართება ეს რისკები;
- როგორ ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება ეყრდნობა თუ არა მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ან ამოღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს)
- როგორ ხდება კონკრეტული ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და წარდგენა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის.

ფასს 9-ის მიხედვით სამი ბიზნესმოდელი არსებობს:

- ფლობა ფულადი ნაკადების მისაღებად: მისი მიზანია აქტივის ფლობა ვადის ამოწურვამდე საპროცენტო შემოსავლის, კონტრაჰენტისგან ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდების მისაღებად.
- ფლობა ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად: ეს მოდელი ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობის მოდელის მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ საწარმომ შეიძლება გადაწყვიტოს თავისი ყველა ან ზოგიერთი აქტივის გაყიდვა მათი ვადის ამოწურვამდე, გარემოებების ცვლილების გამო, ან აქტივების ფლობა ლიკვიდურობის მიზნით.
- სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ აკმაყოფილებს „ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობის“ ან „ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობის“ კრიტერიუმებს.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები (SPPI)

თუ ფინანსური აქტივი ფლობილია ან „ფლობა ფულადი ნაკადების მისაღებად“ ბიზნესმოდელის, ან „ფლობა ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად“ ბიზნესმოდელის ფარგლებში, მაშინ კლასიფიკაციის განსაზღვრისთვის თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფი აფასებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოდგენს თუ არა. SPPI ტესტირება თითოეული ინსტრუმენტისთვის ცალკე ხდება.

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილზე დარიცხული პროცენტის გადახდებს, შეესაბამება მთავარ საკრედიტო შეთანხმებებს. პროცენტი არის ფულის დროითი ღირებულებისა და დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირითად თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის კომპენსაცია. იგი ასევე შეიძლება მოიცავდეს დაკრედიტებასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების (მაგ. ლიკვიდურობის რისკი) და დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებული დანახარჯების (მაგ. ადმინისტრაციული დანახარჯები) ანაზღაურებას, და ასევე ძირითად საკრედიტო შეთანხმებით გათვალისწინებულ მოგების მარჟას.

იმის შესაფასებლად, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებია (SPPI) თუ არა, ჯგუფი განიხილავს, ხომ არ შეიცავს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები ისეთი პირობას, რომელმაც შეიძლება შეცვალოს ინსტრუმენტის ვადის განმავლობაში წარმოშობილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოძრაობის დრო ან სიდიდე, რამაც, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს იმაზე, ჩაითვლება თუ არა, რომ ინსტრუმენტმა გაიარა SPPI ტესტირება.

თუ ფინანსური აქტივები SPPI ტესტირებას ვერ გაივლის, ისინი ფასდება სამართლიანი ღირებულებით და მოგებაში ან ზარალში ასახვით, ხოლო მიღებული პროცენტის აღიარება ხდება სხვა საპროცენტო შემოსავალში.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სასესხო ინსტრუმენტები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ჯგუფი სავალო საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს აფასებს სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), როდესაც კმაყოფილდება ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ინსტრუმენტი ფლობილია ბიზნესმოდელის ფარგლებში, რომლის მიზანიც მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით და ამ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობით ლიკვიდურობის მართვის მიზნებისთვის.
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები აკმაყოფილებს SPPI ტესტს.

სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შემდეგ ფასდება სამართლიანი ღირებულებით და სამართლიან ღირებულებაში შესული ცვლილებების შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება სხვა სრულ შემოსავალში. საპროცენტო შემოსავალი და საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში იმავე წესით, როგორითაც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. აღიარების შეწყვეტისას სხვა სრულ შემოსავალში ასახული კუმულაციური შემოსულობა ან ზარალი სხვა სრული შემოსავლიდან რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

წილობრივი ინსტრუმენტები რომლებიც სამართლიანი ღირებულებით შეფასებულია, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ოფციონი

თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფმა შეიძლება არჩიოს თავისი წილობრივი ინსტრუმენტების შეუქცევადად კლასიფიცირება წილობრივ ინსტრუმენტებად, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ისინი აკმაყოფილებს ბასს 32-ით *„ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“* მიხედვით „კაპიტალის“ განმარტებას და მათი ფლობის მიზანი არ არის ვაჭრობა. თითოეული ინსტრუმენტისთვის კლასიფიკაცია ცალკე ხდება.

ამ წილობრივ ინსტრუმენტებზე მიღებული შემოსულობა და ზარალი არასდროს გადაიტანება მოგებაში ან ზარალში. დივიდენდების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. წილობრივი ინსტრუმენტები, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, არ ექვემდებარება გაუფასურების შემოწმებას.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ისეთი ბიზნესმოდელით მართული ფინანსური აქტივების ჯგუფები, რომლის მიზანი არც ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობაა და არც ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობა და გაყიდვა, ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ჯგუფი სხვადასხვა კონტრაჰენტთან აქვს გარიგებები წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს მოიცავს საპროცენტო განაკვეთის სვოპებს, ფორვარდებს და სხვა მსგავს ინსტრუმენტებს. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით და აისახება აქტივებად, თუ მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და ვალდებულებებად, თუ მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაში წმინდა ცვლილებები აისახება ფინანსური ინსტრუმენტებიდან მიღებულ წმინდა შემოსულობაში / ზარალში, რომლებიც სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, გარდა უცხოური ვალუტის წარმოებულებიდან მიღებული შემოსულობისა / ზარალისა, რომლებიც წარმოდგენილია წმინდა უცხოური ვალუტის შემოსულობაში. 2019 წლის დასაწყისიდან ჯგუფი აფორმებს გარკვეულ სავალუტო სვოპის შეთანხმებებს, რათა თავისი დაფინანსების დანახარჯები გარკვეულ ვალუტებში შეუსაბამოს ამავე ვალუტებში საკრედიტო საქმიანობიდან წარმოქმნილ შემოსავალს. ამის შედეგად, ჯგუფი ახდენს საპროცენტო გადაკვეთის რისკის ეკონომიკურ ჰეჯირებას, თუმცა ფასს 9-ის მიხედვით ჰეჯირების აღრიცხვა არ გამოიყენება. წმინდა ცვლილებები ისეთი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებში, რომლებიც წარმოდგენილია წმინდა სავალუტო შემოსულობაში, არ მოიცავს დაფიქსირებული სავალუტო განაკვეთის სხვაობების (დიფერენციალის) შემობრუნებას. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია საპროცენტო ხარჯის ნაწილში, რათა ასახოს ჯგუფის რისკის მართვის ამოცანა.

ფინანსური გარანტიები, აკრედიტივები და სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური გარანტიები, აკრედიტივები და სხვა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებებში სამართლიანი ღირებულებით, და წარმოადგენს მიღებულ პრემიას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ჯგუფის ვალდებულება თითოეული გარანტიის მიხედვით ფასდება ან თავდაპირველად აღიარებული თანხით, რომელსაც აკლდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული კუმულაციური ამორტიზაცია, ან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით, იმისდა მიხედვით, თუ რომელია უფრო მეტია.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ცენტრალური ბანკების მიმართ მოთხოვნებს, გარდა მათში განთავსებული სავალდებულო რეზერვებისა, მოთხოვნებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, რომლებსაც აქვს წარმოქმნიდან 90-დღიანი ვადა, კონტრაქტის მიხედვით უფლებრივად არ იტვირთება და თავისუფლად არის კონვერტირებადი ფულის გარკვეულ ოდენობებად.

ნასესხები სახსრები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე საკონტრაქტო გარიგებების შედეგად ჯგუფს წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს ვალდებულებებს საკრედიტო დაწესებულებებისა და მომხმარებლების წინაშე (მარტივი თამასუქების ჩათვლით). აღნიშნული თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საფასურის რეალური ღირებულებით, რასაც აკლდება შესაბამის ოპერაციასთან პირდაპირ დაკავშირებული თანხები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ხდება ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

დამატებით გამოშვებული პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტები უვადო ანუიტეტით და პროცენტის ნებაყოფლობითი გადახდის პირობით, კლასიფიცირდება ფინანსურ ვალდებულებებად მაშინ, როდესაც ინსტრუმენტები არ არის კონვერტირებადი საკუთარ კაპიტალად და ჯგუფს არ აქვს უპირობო უფლება, თავიდან აიცილოს ფულადი სახსრების მიწოდება წინასწარ განსაზღვრული გამომწვევი მოვლენის შემთხვევაში. ასეთი ინსტრუმენტები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ხოლო შესაბამისი პროცენტი მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აისახება საპროცენტო ხარჯში.

თუ ჯგუფი შეისყიდის საკუთარ სესხს, მას ამოიღებენ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან, ხოლო სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საფასურს შორის აღირიცხება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ისეთი აქტივის შეძენისთვის, აგებისა თუ წარმოებისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხის მიღების ხარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც აქტივის ღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება პერიოდის ხარჯად. სესხის მიღების ხარჯი შედგება პროცენტისგან და სხვა ხარჯებისგან, რომლებსაც საწარმო გაიღებს სესხის მიღებასთან დაკავშირებით.

სუბორდინირებული ვალი

სუბორდინირებული ვალი წარმოადგენს ბანკის მიერ საერთაშორისო ან ადგილობრივი საფინანსო ბაზრებიდან მოზიდულ გრძელვადიან ფულად სახსრებს. ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში, სუბორდინირებული ვალის მფლობელებს სხვა კრედიტორებთან შედარებით ექნებათ სესხის დაფარვის უფრო დაბალი პრიორიტეტი. სუბორდინირებული ვალი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა (2019 წლის 1 იანვრიდან მოქმედი პოლიტიკა)

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ხელშეკრულების გაფორმების დროს ჯგუფი აფასებს, ხელშეკრულება წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება წარმოადგენს ან შეიცავს იჯარას, თუ იგი გულისხმობს გარკვეული პერიოდის განმავლობაში კონკრეტული აქტივის გაკონტროლების ან გამოყენების უფლებას ანაზღაურების სანაცვლოდ. ჯგუფი იჯარის დაწყების თარიღად მიიჩნევს იმ დღეს, როდესაც მეიჯარე საბაზისო აქტივს გამოყენებისთვის გადასცემს ჯგუფს. თუ საიჯარო ხელშეკრულება იჯარის რამდენიმე კომპონენტს შეიცავს, ჯგუფი ხელშეკრულებაში ანაზღაურებას შეუსაბამებს იჯარის თითოეულ კომპონენტს ფარდობითი ინდივიდუალური ფასების საფუძველზე და მათ ცალ-ცალკე აღრიცხავს.

ჯგუფის ძირითადი საიჯარო საქმიანობა მოიცავს მომსახურების ცენტრების, ბანკომატების სივრცეებისა და საწყობების იჯარას. შეუქცევად იჯარას 10 წლამდე ვადა აქვს. საიჯარო გადასახდელები, უმეტეს შემთხვევაში, ფიქსირებულია. ხელშეკრულებებში, როგორც წესი, არ არის შესული იჯარის ვადის გაგრძელების ან შეწყვეტის პირობა და არ შეიცავს დათქმებს.

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივის და საიჯარო ვალდებულების აღიარება

ჯგუფი იჯარის დაწყების თარიღისთვის აღიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივი თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, რაც მოიცავს იჯარის ამოქმედების თარიღით ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადახდებით დაკორექტირებული საიჯარო ვალდებულების საწყის ოდენობას. ამას ემატება გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები და საბაზისო აქტივის დემონტაჟსა და ობიექტიდან გატანასთან, ან სავარაუდო დემონტაჟის ხარჯები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამის შემდეგ გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის განმავლობაში ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით. ჯგუფი გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივებზე იყენებს თვითღირებულების მოდელს, იმ აქტივების გარდა, რომლებიც აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განსაზღვრებას. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გადაფასების მოდელი.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება მომავალი საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, გარდა დღგ-ის გადახდებისა, და მისი დისკონტირება ხდება ჯგუფის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთით. საიჯარო ვალდებულება შემდეგ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.
აღიარებიდან გამონაკლისები

ჯგუფი იყენებს აღიარების გამონაკლისებს იმ საიჯარო ხელშეკრულებებზე, რომელთა მიხედვითაც, იჯარის ვადა მთავრდება 12 თვეში თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, და აგრეთვე იმ საიჯარო ხელშეკრულებებზე, რომელთა საბაზისო აქტივი დაბალი ღირებულებისაა. ჯგუფი ამ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადასახდელებს აღიარებს, როგორც ხარჯს და იჯარის ვადას წრფივი მეთოდით არიცხავს.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა (2019 წლის 1 იანვრიდან მოქმედი პოლიტიკა)

ჯგუფი, როგორც მოიჯარე (გაგრძელება)

საიჯარო ხელშეკრულებების მოდიფიკაცია

თუ საიჯარო ხელშეკრულების მოდიფიკაცია ხდება იჯარის გამოყენების სფეროს ან იჯარის ღირებულების შეცვლით, რომელიც იჯარის თავდაპირველი პირობების ნაწილი არ ყოფილა, ჯგუფი განსაზღვრავს, მოდიფიკაციის შედეგად წარმოიქმნება თუ არა:

- განცალკევებული იჯარა, ან
- ცვლილება არსებული იჯარის აღრიცხვის წესში

ჯგუფი იჯარის მოდიფიკაციას ასახავს, როგორც განცალკევებულ იჯარას, თუ არსებობს ორივე შემდეგი პირობა:

- მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო იმის გამო, რომ იჯარას ემატება ერთი ან რამდენიმე საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება; და
- იჯარის ანაზღაურება იზრდება ისეთი ოდენობით, რომელიც თანაზომადია იჯარის გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი განცალკევებული ხელშეკრულების ფასისა და ასევე კონკრეტული ხელშეკრულების გარემოებების ამსახველი, ამ განცალკევებული ფასის ნებისმიერი შესაბამისი კორექტირების გათვალისწინებით.

იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, ჯგუფი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას შემდეგნაირად:

- ამცირებს აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულებას იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო. ჯგუფი მოგებაში ან ზარალში აღიარებს ნებისმიერ შემოსულობას ან ზარალს, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიან შეწყვეტასთან; ან
- შესაბამისად აკორექტირებს აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ჯგუფი, როგორც მეიჯარე

იჯარის დასაწყისში ჯგუფი თავის თითოეულ იჯარას ან საოპერაციო იჯარის, ან ფინანსური იჯარის კლასიფიკაციას ანიჭებს.

ფინანსური იჯარა

იჯარა, რომელიც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს მოიჯარეს გადასცემს, ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება. ყველა დანარჩენი იჯარა საოპერაციო იჯარაა. ჯგუფი ფინანსური იჯარაზე დავალიანებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იჯარაში განხორციელებული წმინდა ინვესტიციის თანხის ოდენობით, იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან. მინიმალური საიჯარო გადასახადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას დისკონტირების ფაქტორად გამოიყენება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი. თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები შედის ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების პირველად შეფასებაში. მიღებული საიჯარო გადასახდელები გადანაწილდება ფინანსურ იჯარასა და დაუფარავი საიჯარო გადასახდელების შემცირებას შორის. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება იმისდა მიხედვით, თუ როგორია მუდმივი პერიოდული უკუგების კოეფიციენტი მიმდინარე წმინდა ინვესტიციაზე.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა (2019 წლის 1 იანვრიდან მოქმედი პოლიტიკა)

საოპერაციო იჯარა

ჯგუფი საოპერაციო იჯარის აქტივებს წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების ხასიათის მიხედვით. საოპერაციო იჯარიდან საიჯარო შემოსავლის აღიარება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში, როგორც წმინდა სხვა შემოსავლისა. საოპერაციო იჯარიდან შემოსავლების მიღების თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება.

იჯარის აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც 2019 წლის 1 იანვრამდე იყო ძალაში, წარმოდგენილია წინა წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პრინციპების მიმოხილვა

ჯგუფი ყველა სესხსა და სხვა სავალო ფინანსურ აქტივებზე (რომლებიც არ არის აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღრიცხავს სასესხო ვალდებულებებთან და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებთან ერთად. ამ თავში ყველა მოიხსენიება „ფინანსურ აქტივებად“. ფასს 9-ის მიხედვით, წილობრივი ინსტრუმენტები არ ექვემდებარება გაუფასურებას.

რეზერვი ეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, თუ სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. ასეთ შემთხვევაში რეზერვი ეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივის განმარტებას, მაშინ რეზერვი დაეყრდნობა აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებას.

ჯგუფი გამარტივებულ მიდგომას იყენებს სავაჭრო, საიჯარო და სხვა დებიტორული დავალიანებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის და აღრიცხავს მათი არსებობის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად, ჯგუფი ჯერ ინდივიდუალურად აფასებს, არსებობს თუ არა ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სესხების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. შემდეგ ის კოლექტიურად აფასებს სესხებს, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის მნიშვნელოვანი და სესხებს, რომლებიც არის მნიშვნელოვანი, მაგრამ რომელთა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ინდივიდუალური შეფასების მიხედვით, არ არსებობს.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისადმი ეტაპობრივი მიდგომა

ჯგუფმა დანერგა პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის აფასებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი, რისთვისაც ითვალისწინებს დეფოლტის რისკის ცვლილებას ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. ზემოაღნიშნულ პროცესზე დაყრდნობით, ჯგუფი თავის ფინანსურ ინსტრუმენტებს აჯგუფებს შემდეგნაირად: პირველი სტადია, მეორე სტადია, მესამე სტადია და „შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული“, ქვემოთ აღწერილი წესით:

- პირველი სტადია: ჯგუფი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღიარებს იმ ოდენობით, რომ გაუტოლდეს 12-თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. ეს ზარალი არის აქტივის არსებობის განმავლობაში დეფოლტის შემთხვევების გამო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში იმ დაშვებით, რომ საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ არის გაზრდილი. 12 თვეზე ნაკლები დარჩენილი ვადის მქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში გამოიყენება დეფოლტის ალბათობა, რომელიც შეესაბამება დარჩენილ ვადას.
- მეორე სტადია: იმ ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი ამ ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებიდან მნიშვნელოვნად გაზრდილად ითვლება, ჯგუფი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღიარებს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით. ამისათვის საჭიროა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა აქტივის მთელი არსებობის განმავლობაში დეფოლტის ალბათობაზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში დეფოლტის დადგომის ალბათობას. საკრედიტო ზარალის რეზერვი ამ სტადიაზე უფრო მაღალია საკრედიტო რისკის ზრდის გამო და აგრეთვე იმიტომ, რომ უფრო გრძელვადიანი პერიოდია გასათვალისწინებელი პირველი სტადიის 12-თვიან პერიოდთან შედარებით. ფინანსური ინსტრუმენტები მეორე სტადიაზე ჯერ არ ითვლება საკრედიტო რისკით გაუფასურებულად.
- მესამე სტადია: თუ ფინანსური ინსტრუმენტები საკრედიტო რისკით უფასურდება, ისინი გადაინაცვლებს მესამე სტადიაზე. ჯგუფი ზარალის რეზერვს აღიარებს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით, რაც ასახავს ამ საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის 100%-იან ალბათობას.

ფასს 9-ის გაუფასურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მოქმედების არეალში მოქცეული ფინანსური ინსტრუმენტები ზემოთ წარმოდგენილი სამი სტადიიდან ერთ-ერთში კლასიფიცირდება. შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებული თუ არ არის, ახლად წარმოქმნილი აქტივები კლასიფიცირდება პირველ სტადიად და ამ სტადიაზე რჩება მანამ, სანამ ჩაითვლება, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რა შემთხვევაშიც აქტივი გადადის მე-2 სტადიაზე.

შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივები არის ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულია თავდაპირველი აღიარებისას. შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას და საპროცენტო შემოსავლის აღიარება შემდეგ ხდება საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვალისწინებს ფინანსური აქტივის ყველა სახელშეკრულებო პირობას და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ან შემცირება ხდება მხოლოდ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილების შესაბამისად, თუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება აქტივის მთელი არსებობის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე დაყრდნობით. შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ აქტივად აღიარებული აქტივი ამ სტატუსს ჩამოწერამდე შეინარჩუნებს. ფასს 9-ასთან დაკავშირებით გამოყენებული ძირითადი შეფასებები და ვარაუდები წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ჯგუფმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით. მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით

როდესაც უწყვეტი გამოყენება მიიღებს გადაცემულ აქტივზე წერილობითი და/ან შეძენილი ოფციონის ფორმას (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით), ჯგუფის ჩართულობის ხარისხი წარმოადგენს იმ გადაცემული აქტივის თანხას, რომლითაც შესაძლებელია აქტივის გამოსყიდვა. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს წერილობითი მიწოდების ოფციონი (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით) სამართლიანი ღირებულებით ასახულ აქტივზე, ჯგუფის ჩართულობის ხარისხი შემოიფარგლება გადაცემული აქტივების სამართლიან ღირებულებასა და ოფციონის რეალიზაციის ფასს შორის უმცირესით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა და მოდიფიკაცია

ჯგუფი ზოგჯერ ახდენს ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების რესტრუქტურიზაციას ან სხვაგვარ მოდიფიკაციას. ასეთ დროს ჯგუფი რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმების საფუძველზე აფასებს, ახალი პირობები არის თუ არა არსებითად განსხვავებული თავდაპირველი პირობებისგან. ჯგუფი ფინანსური აქტივის, მაგალითად, მომხმარებელზე გაცემული სესხის, აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც რესტრუქტურიზაციის შედეგად პირობები იმდენად შეიცვალა, რომ საქმე არსებითად ახალ სესხთან გვაქვს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების პირობების რესტრუქტურიზაცია განპირობებულია მსესხებლის ფინანსური სიძნელეებით. როდესაც ხდება ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა, სხვაობის აღიარება ხდება აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის სახით, თუკი გაუფასურების ზარალი უკვე არ არის აღრიცხული. ახლად აღიარებული სესხების კლასიფიცირება ხდება პირველ სტადიად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ახალი სესხი ითვლება შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ სესხად.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა (გაგრძელება)

ჯგუფი შემდეგ ფაქტორებს ითვალისწინებს იმის გადასაწყვეტად, ჩამოწეროს (შეწყვიტოს აღიარება) თუ არა ფინანსური ინსტრუმენტი:

- სესხის ვალუტის ცვლილება;
- საპროცენტო განაკვეთის ტიპის ცვლილება;
- წილობრივი მახასიათებლის შემოტანა;
- კონტრაჰენტის შეცვლა;
- თუ მოდიფიკაცია იმგვარია, რომ ინსტრუმენტი აღარ დააკმაყოფილებდა SPPI კრიტერიუმს.

თუ პირობები არსებითად განსხვავებული არ არის, ან რესტრუქტურიზაცია განპირობებულია მსესხებლის ფინანსური სიძნელეებით, ამ შემთხვევაში, რესტრუქტურიზაცია ან მოდიფიკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას და ჯგუფი გადაიანგარიშებს მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას ფინანსური აქტივის გადაფასებული ფულადი ნაკადების საფუძველზე და მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს საპროცენტო შემოსავალში აღიარებს. ახალი მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულება გამოითვლება მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით.

იძულების ღონისძიების გამოყენებისგან თავის შეკავება და სესხების მოდიფიკაცია

ზოგჯერ ჯგუფი დათმობაზე მიდის ან, როდესაც მსესხებელს ფინანსური სიძნელეები აქვს, ცვლის სესხის თავდაპირველ პირობებს, ნაცვლად იმისა, რომ დაისაკუთროს ან იძულებითი ღონისძიების გზით მიიღოს უზრუნველყოფის საგანი. ჯგუფი იძულების ღონისძიების გამოყენებისგან თავს იკავებს მაშინ, როდესაც მიდის ასეთ დათმობებსა და მოდიფიკაციებზე მსესხებლის არსებული ან მოსალოდნელი ფინანსური სიძნელეების პასუხად და, მსესხებელი ფინანსურად გამართული რომ ყოფილიყო, ჯგუფი ამ პირობებს არ დათანხმდებოდა. იძულების ღონისძიების გამოყენებისგან თავის შეკავება შესაძლოა მოიცავდეს სესხის დაფარვის გადავადებას და სესხის ახალ პირობებზე შეთანხმებას. პირობების შეცვლის შემდეგ ნებისმიერი გაუფასურება ფასდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც გაანგარიშებულია პირობების მოდიფიკაციამდე. აქტივები, რომლებზეც ხდება იძულების ღონისძიების გამოყენებისგან თავის შეკავება, მიეკუთვნება მესამე სტადიას. გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რამდენ ხანს დარჩება აქტივი ამ კატეგორიაში, მიიღება ინდივიდუალურად კომერციული და მცირე და საშუალო ზომის სესხების შემთხვევაში, ხოლო დანარჩენი სესხების შემთხვევაში, მინიმუმ ექვსი თანმიმდევრული გადახდაა საჭირო იმისთვის, რომ სესხი ამ კატეგორიიდან მეორე სტადიაზე გადავიდეს. სესხის მეორე სტადიაზე გადასვლის შემდეგ ჯგუფი ხელახლა აფასებს, ხომ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, თუმცა, პირველ სტადიაზე გადატანამდე ასეთი აქტივები მეორე სტადიაზე რჩება მინიმუმ 12-თვიანი საცდელი ვადით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

გასაყიდად არსებული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები

გრძელვადიან აქტივებსა და გასასხვისებელი აქტივების ჯგუფს გასაყიდად არსებულის კატეგორიას ჯგუფი იმ შემთხვევაში მიაკუთვნებს, თუ მათი საბალანსო ღირებულების ამოღება ძირითადად გაყიდვის ოპერაციიდან და არა მათი უწყვეტი გამოყენებით მოხდება. გასაყიდად განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები და გასასხვისებელი აქტივების ჯგუფები ფასდება საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული რეალიზაციაზე დანახარჯები) შორის უმცირესით. გაყიდვის დანახარჯები არის ნაზარდი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ არის მიკუთვნებადი აქტივის (გასასხვისებელი აქტივების ჯგუფის) გასხვისებისთვის, ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯებისა და მოგების გადასახადის ხარჯის გამოკლებით.

გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმი დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ გაყიდვის მაღალი ალბათობა არსებობს და აქტივი ან გასასხვისებელი აქტივების ჯგუფი არსებულ მდგომარეობაში ხელმისაწვდომია დაუყოვნებლივ გასაყიდად. გაყიდვის გარიგების შესასრულებლად საჭირო ნაბიჯები იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ არ არის მოსალოდნელი გაყიდვაში ცვლილებების შესვლა ან გაყიდვის გადაწყვეტილების შეცვლა. ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი უნდა ჰქონდეს აქტივის გაყიდვა და აქტივი უნდა გაიყიდოს კლასიფიკაციიდან ერთი წლის განმავლობაში.

გასაყიდად გამიზნული აქტივის თავდაპირველ კლასიფიკაციამდე ამ აქტივის საბალანსო ღირებულება ფასდება მოქმედი ფასს-ების შესაბამისად.

გასაყიდად არსებულის კატეგორიაში შესული ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ცვეთა ან ამორტიზაცია არ ხდება.

გასაყიდად გამიზნულის კატეგორიაში შესული აქტივები და ვალდებულებები სხვა აქტივებისა და ვალდებულებებისგან ცალკეა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

გასასხვისებელი აქტივების ჯგუფი ითვლება შეწყვეტილ ოპერაციად მაშინ, თუ ის არის სამეურნეო სუბიექტის კომპონენტი, რომელიც ან გასხვისებულია, ან კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად არსებული, და:

- წარმოადგენს საქმიანობის ცალკე აღებულ ძირითად მიმართულებას ან საქმიანობის გეოგრაფიულ არეალს
- არის საქმიანობის ცალკე აღებული ძირითადი მიმართულების ან გეოგრაფიული არეალის საქმიანობის გასხვისების ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილი ან
- არის შვილობილი კომპანია, რომელიც შეძენილია მხოლოდ და მხოლოდ გადაყიდვის მიზნით.

შეწყვეტილი ოპერაციები არ აისახება უწყვეტი საქმიანობის შედეგებში და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება როგორც შეწყვეტილი ოპერაციებიდან წმინდა მოგების ან ზარალის ერთიანი თანხა. შეწყვეტილი ოპერაციების საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობებისთვის მიკუთვნებადი წმინდა ფულადი ნაკადები ცალკეა წარმოდგენილი ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადით დაბეგვრა

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება შესაბამის ტერიტორიაზე მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად, სადაც საქართველოს ბანკის ჯგუფი და მისი შვილობილი კომპანიები საქმიანობენ.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის პირველადი აღიარებიდან ან აქტივისა და ვალდებულებიდან იმ გარიგებაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღირიცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება გამოსაქვითი დროებითი სხვაობების გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც მოქმედებდა ან არსებითად ამოქმედებული იყო ანგარიშგების დღეს.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები წარმოდგენილია დროებით სხვაობებზე, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციებიდან შვილობილ კომპანიებში, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლოა გაკონტროლებულ იქნას დროებითი სხვაობის აღდგენის დრო და ახლო მომავალში მათი აღდგენა არ არის მოსალოდნელი.

საქართველოსა და ბელარუსში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მიწა ან შენობა ან შენობის ნაწილი, რომელიც გამიზნულია საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის ღირებულების ზრდისთვის და რომელსაც ჯგუფი არ იყენებს.

საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, ტრანსაქციის ხარჯების ჩათვლით და შემდეგ ხელმეორედ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს საბაზრო პირობებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ჯგუფის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სხვადასხვა წყაროს საფუძველზე, მათ შორის დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშების მიხედვით, რომლებსაც აქვთ აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ანალოგიური ადგილმდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასების გამოცდილება. რაც შეეხება გარკვეულ საინვესტიციო ქონებას, რომლის გამოსყიდვის ოფციონი გადაცემულია წინა მფლობელებისთვის, ასეთი ქონების სამართლიანი ღირებულება საანგარიშგებო თარიღისთვის განისაზღვრა გამოსყიდვის ღირებულებით.

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეცვლით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი, ასევე იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა შემოსავლის მუხლში.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

თუ საინვესტიციო ქონებას დაიკავებს მესაკუთრე, მაშინ ხდება მისი რეკლასიფიცირება ძირითად საშუალებებად და მისი საბალანსო ღირებულება რეკლასიფიცირების თარიღისთვის ხდება მისი დასაშვები ღირებულება, რომელიც შემდგომში ცვეთას ექვემდებარება. იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ქონება აკმაყოფილებს გასაყიდად გამიზნული აქტივის კრიტერიუმებს, მისი გადატანა ხდება გასაყიდად გამიზნული აქტივების კატეგორიაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები იმაზე მიანიშნებს, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

აქტივის ცვეთა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ექსპლუატაციისთვის მზად არის და ხელმისაწვდომია. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
საოფისე შენობები და სერვისცენტრები	100-მდე
ავეჯი და მოწყობილობები	3-20
კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	2-7

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და მეთოდები გადაისინჯება და დაკორექტირდება შესაბამისად.

დაუმთავრებელი მშენებლობები თვითღირებულებით აღირიცხება და ცვეთა არ ერიცხება მანამ, სანამ არ გახდება ექსპლუატაციისთვის ვარგისი და მოხდება მათი კლასიფიცირება ძირითადი საშუალებების შესაბამის ჯგუფში.

საიჯარო ქონების გაუმჯობესებების ცვეთა ხდება შესაბამისი საიჯარო აქტივის მთლიანი ვადის განმავლობაში, ან იჯარის მოსალოდნელ ვადაზე, რომელიც უფრო ხანმოკლეა.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გუდვილის გაუფასურება

გუდვილის გაუფასურების შეფასება ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად თუ მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება გაუფასურებული იყოს.

გაუფასურების შემოწმების მიზნით, საწარმოთა გაერთიანებისას დარიცხული გუდვილი შესყიდვის თარიღიდან გადანაწილდება ჯგუფის ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ერთეულებზე ან ასეთ ერთეულთა ჯგუფებზე, რომლებიც სავარაუდოდ საწარმოთა გაერთიანების შედეგად მიღებული სინერგიიდან სარგებელს მიიღებენ, განურჩევლად იმისა, აღნიშნულ ერთეულებს ან ერთეულთა ჯგუფებს ჯგუფის სხვა აქტივები განეკუთვნება, თუ ვალდებულებები. ფულადი სახსრების წარმომქმნელი თითოეული ერთეული ან ერთეულთა ჯგუფი, რომლებზეც გუდვილია გადანაწილებული:

- წარმოადგენს უმცირეს დონეს, რომელზეც ჯგუფი ახდენს გუდვილის მონიტორინგს შიდა მართვის მიზნებისთვის; და
- არ აღემატება ფასს (IFRS) 8-ის „საოპერაციო სეგმენტები“ შესაბამისად განმარტებული სეგმენტის სიდიდეს.

გაუფასურება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებით, რომელსაც გუდვილი უკავშირდება. თუ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენა მომავალ პერიოდებში შეუძლებელია.

არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივის ღირებულება წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები ითვლება სასრულად, ამორტიზდება ოთხიდან 15 წლამდე ვადაზე და გაუფასურების დასადგენად მოწმდება მაშინ, როდესაც არსებობს არამატერიალური აქტივების გაუფასურების ნიშნები. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება, სულ მცირე, ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

კომპიუტერული პროგრამების მართვასთან დაკავშირებული დანახარჯები მათი გაწევისთანავე აღირიცხება ხარჯების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ხარჯები (დაკავშირებული ახალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებასა და დიზაინთან) აღიარებულია, როგორც არამატერიალური აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის სურვილი და ტექნიკური უნარი იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება თუ გაყიდვა, აგრეთვე აქტივს შეეძლოს სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოტანა განვითარების ხარჯების გათვალისწინებით. უნდა არსებობდეს რესურსები აქტივის ბოლომდე მიყვანისთვის და შესაძლებელი იყოს განვითარების ხარჯების სანდოდ შეფასება. კვლევასა და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე გაწეული სხვა დანახარჯების აღრიცხვა მათი გაწევისთანავე ხდება სხვა ხარჯების ნაწილში.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები

ჯგუფის თანამშრომლები (უმაღლესი რგოლის აღმასრულებელი პირების ჩათვლით) იღებენ აქციებზე დაფუძნებულ ანაზღაურებას, რომლის მიხედვითაც ისინი ჯგუფისგან გაწეული მომსახურების სანაცვლოდ ანაზღაურების სახით წილობრივ ინსტრუმენტებს იღებენ („წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული განსაზღვრული გარიგებები“).

ოპერაციები წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით

თანამშრომლებთან წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გარიგებების ხარჯი ფასდება გადაცემის თარიღისთვის მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე.

წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების ოპერაციების ღირებულების აღიარება, საკუთარი კაპიტალის შესაბამის ზრდასთან ერთად, ხდება იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესრულდა სამუშაო და/ან გაიწია მომსახურება, დასრულებული იმ თარიღით, როდესაც შესაბამის თანამშრომლებს სრულად გადაეცა აქციების ფლობის უფლება (შემდგომში „უფლების გადაცემის თარიღი“). უფლების გადაცემის თარიღამდე ანგარიშგების ყოველი თარიღით აღიარებული წილობრივი ინსტრუმენტებით განხორციელებული ოპერაციების მთლიანი ხარჯი ასახავს უფლების გადაცემის პერიოდის გასვლას და ჯგუფის შეფასებით წილობრივი ინსტრუმენტების იმ რაოდენობას, რა რაოდენობაზეც საბოლოოდ გადაიცემა უფლება. მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშის ხარჯი ან დანარიცხი მოცემული პერიოდისთვის წარმოადგენს ამ პერიოდის დასაწყისში და დასასრულს აღიარებული კუმულაციური ხარჯების მოძრაობას.

ხარჯის აღიარება არ ხდება იმ გაცემული წილობრივი ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებზეც საბოლოოდ არ გადაიცემა უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წილობრივი ინსტრუმენტის გადაცემისას უფლების გადაცემა პირობითია და დამოკიდებულია საბაზრო პირობებზე და ითვლება უფლების გადაცემად იმისდა მიუხედავად, დაკმაყოფილდა თუ არა საბაზრო პირობა, თუმცა ყველა დანარჩენი სახელშეკრულებო პირობა დაკმაყოფილებული უნდა იყოს.

თუ წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების პირობები შეიცვლება, ხდება მინიმალური ხარჯის აღიარება ისე, თითქოს პირობები არ შეცვლილა. დამატებითი ხარჯის აღიარება მოხდება ნებისმიერი ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც ცვლილების დღეს ჩატარებული შეფასებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის სისტემის მთლიან სამართლიან ღირებულებას ზრდის ან სხვაგვარად არის სარგებლის მომტანი თანამშრომლისთვის.

თუ წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული ახალი გადახდა განისაზღვრება, როგორც წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გაუქმებული გადახდის ჩანაცვლება, წილობრივი ინსტრუმენტების ჩანაცვლება აღირიცხება მოდიფიკაციის სახით.

თუ წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორება გაუქმდება, ეს აღირიცხება ისე, თითქოს უფლების გადაცემა მოხდა გაუქმების დღეს და მასთან დაკავშირებული ყოველგვარი ხარჯი, რომელიც ჯერ არ არის აღიარებული, დაუყოვნებლივ აღიარდება. თუმცა თუ ახალი ანაზღაურება ჩაანაცვლებს გაუქმებულს და გაცემის დღეს აღირიცხება, როგორც ჩანაცვლებული ანაზღაურება, გაუქმებული და ახალი ანაზღაურება აისახება ისე, თითქოს ისინი წარმოადგენდნენ თავდაპირველი ანაზღაურების მოდიფიკაციას, წინა აბზაცში აღწერილის შესაბამისად.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები საკუთარ კაპიტალად არის კლასიფიცირებული. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია საკუთარი კაპიტალის შემოსავლებიდან გამოქვითვების სახით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

გამოსყიდული აქციები

როდესაც საქართველოს ბანკის ჯგუფი ან მისი შვილობილი კომპანიები იძენენ საქართველოს ბანკის ჯგუფის აქციებს, გადახდილი საფასური და ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ხარჯები (მოგების გადასახადის გამოკლებით) გამოიქვითება მთლიანი კაპიტალიდან, როგორც გამოსყიდული აქციები მათ გაუქმებამდე ან ხელახლა გამოშვებამდე. შემდგომში ასეთი აქციების გაყიდვის ან ხელახლა გამოშვების შემთხვევაში ხდება მიღებული საფასურის ჩართვა საკუთარ კაპიტალში. გამოსყიდული აქციები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით და დაკორექტირდება პრემიებით დამატებით შეტანილ კაპიტალთან მიმართებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები გაცხადდება მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე. დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ემატება დივიდენდის თანხას და პირდაპირ საკუთარ კაპიტალში აღირიცხება.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემოსავლისა და ხარჯის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისა და პროცენტიანი ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ჯგუფი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

პირველ და მეორე სტადიებზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, ჯგუფი საპროცენტო შემოსავალს გამოითვლის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით მთლიან საბალანსო ღირებულებაზე. მესამე სტადიაზე მყოფი ფინანსური აქტივების საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ამორტიზებულ ღირებულებაზე (ანუ მთლიან საბალანსო ღირებულებას გამოკლებული საკრედიტო ზარალის რეზერვი). ისეთი ფინასური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც კლასიფიცირდება, როგორც მხოლოდ შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ ინსტრუმენტებად, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ამ შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივების ამორტიზებულ ღირებულებაზე. ფასს 9-ის შედეგად ბუღალტრული აღრიცხვის 1-ელ საერთაშორისო სტანდარტში (ბასს 1) „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ შესული ცვლილებების გამო ჯგუფი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ცალკე წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალს, რომელსაც გამოითვლის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მიღებული გასამრჯელო და საკომისიო

ჯგუფი იღებს შემოსავალს გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მომხმარებლებისთვის გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურების სანაცვლოდ. გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი აღირიცხება მაშინ, როდესაც ჯგუფი აკმაყოფილებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. შემოსავალი გასამრჯელოდან შესაძლოა დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო

გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო დაირიცხება იმავე პერიოდში. აღნიშნული გასამრჯელო მოიცავს შემოსავალს საკომისიო მოსაკრებლიდან და გასამრჯელოებს აქტივების მართვიდან, მეურვეობიდან, მომსახურებების ან პროდუქტების პაკეტებიდან, ასევე სხვა მართვის თუ საკონსულტაციო მომსახურებიდან. სასესხო ვალდებულებები, რომლებიც სავარაუდოდ ჩამოიწერება და სხვა საკრედიტო თანხები გადავადებულია (ყველა ზღვრულ ხარჯთან ერთად) და აღიარებულია, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

მომხმარებელთა წახალისების პროგრამა

ბიზნესში მომხმარებელთა წახალისების პროგრამის დაგროვილი ქულები აღირიცხება როგორც გადავადებული შემოსავალი და მისი აღიარება თანდათანობით, მათი მიღებისთანავე ხდება შემოსავლებში. ჯგუფი მომხმარებელთა წახალისების პროგრამიდან მიღებულ საერთო შემოსავალს აღიარებს მაშინ, როდესაც შესრულდება სახელშეკრულებო ვალდებულება ანუ როდესაც მომხმარებელი გამოისყიდის ქულებს ან ქულებს ვადა გაუვა. აქ ჯგუფი მოქმედებს როგორც პრინციპალი. ჯგუფი თავის შემოსავალს აფასებს როგორც თავის ანგარიშზე შენარჩუნებულ წმინდა თანხას, რომელიც წარმოადგენს სხვაობას სასაჩუქრე ქულებზე მიკუთვნებულ ანაზღაურებასა და სასაჩუქრე ქულების გაცემისთანავე საჩუქრების მოწოდებისთვის მესამე მხარისათვის გადასახდელ თანხას შორის. ამ შემთხვევაში ჯგუფი მოქმედებს როგორც აგენტი). ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს დაგროვილი ქულების იმ ნაწილს, რომლის გამოყენებაც სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით მოსალოდნელია მომხმარებლების მიერ. ეს ქულები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღირიცხება ვალდებულებად და მათი აღიარება შემოსავალში ხდება ამ ქულების მიღების ან ვადის ამოწურვისთანავე.

სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება დროის გარკვეულ მომენტში ხდება
ისეთი ტრანსაქციის ტიპის მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული საკომისიო შემოსავალი, როგორიცაა ანგარიშსწორება, საბროკერო საქმიანობა, ნაღდი ფულის და ვალუტის კონვერტაციის ოპერაციები, აღირიცხება მაშინ, როდესაც დასრულდება მომსახურების გაწევა იმ პირობით, რომ ასეთი საკომისიო არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა პირობით ვალდებულებას, რომელიც ჯგუფის კონტროლს არ ექვემდებარება. ვალუტის კონვერტაციის ოპერაციებიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი წარმოადგენს დამატებით საკომისიოს (გარდა უცხოურ ვალუტაში შესრულებული გარიგებებისა, რომლის შემოსავალიც აღირიცხება წმინდა უცხოური ვალუტის შემოსულობაში), რომელიც მომხმარებლებს ეკისრება ვალუტის კონვერტაციის მომსახურებისთვის საზღვარგარეთ ბარათების გამოყენების შემთხვევაში.

შემოსავალი დივიდენდებიდან

დივიდენდიდან შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როცა ჯგუფს განესაზღვრება თანხების მიღების უფლება.

არარეგულარული მუხლები

ჯგუფი ცალკე ახდენს არარეგულარული ხასიათის შემოსავლისა და ხარჯების კლასიფიცირებასა და გაცხადებას. ჯგუფი არარეგულარულ შემოსავალს ან ხარჯს განსაზღვრავს, როგორც ეკონომიკური, ბიზნესის ან ფინანსური მოვლენის შედეგად განპირობებულ ან მისგან გამომდინარე შემოსავალს ან ხარჯს, რომელიც არ არის ჯგუფის ჩვეულებრივი და რეგულარული საქმიანობისთვის დამახასიათებელი და გამოწვეულია წინასწარ გაურკვეველი და არაპროგნოზირებადი გარე ფაქტორებით, რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია და ამიტომ მათი გათვალისწინება არ უნდა მოხდეს სამომავლო პროგნოზების გაკეთებიდან.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამუშაო, წარსადგენი ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ჯგუფის წარსადგენი ვალუტაა. საქართველოს ბანკის ჯგუფის და ბანკის სამუშაო ვალუტა ქართული ლარია. ჯგუფის თითოეული წევრი თავად განსაზღვრავს სამუშაო ვალუტას და თითოეული მათგანის ფინანსურ ანგარიშგებაში შესული მუხლები ფასდება ამ სამუშაო ვალუტის გამოყენებით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ შემოსულობას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა. იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება სხვა სრულ შემოსავალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში. ხოლო როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება სხვა მოგებაში ან ზარალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვაობები გარკვეული ოპერაციის სახელშეკრულებო სავალუტო კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს აისახება უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ შემოსულობას გამოკლებული ზარალის მუხლში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო:

	ლარი გირვანქა სტერლინგთან მიმართებით	*ლარი აშშ დოლართან მიმართებით*	*ლარი ევროსთან მიმართებით*	*ლარი ბელარუსულ რუბლთან მიმართებით*
31 დეკემბერი, 2019 წ.	3.7593	2.8677	3.2095	1.3639
31 დეკემბერი, 2018 წ.	3.3955	2.6766	3.0701	1.2418
31 დეკემბერი, 2017 წ.	3.5005	2.5922	3.1044	1.3083

საანგარიშგებო თარიღისთვის იმ სამეურნეო სუბიექტების აქტივები და ვალდებულებები, რომელთა სამუშაო ვალუტა ჯგუფის წარსადგენი ვალუტისგან განსხვავდება, ლარში გადაიყვანება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსით, ხოლო მათი მოგება-ზარალის ანგარიშგების კონვერტაცია ხდება წლის საშუალო შეწონილი სავალუტო კურსით. გადაანგარიშებისას წარმომდგარი საკურსო სხვაობა აისახება სხვა სრულ შემოსავალში. ჯგუფის წარსადგენი ვალუტისგან განსხვავებული სამუშაო ვალუტის მქონე შვილობილი ან მეკავშირე საწარმოს გასხვისებისას, სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ამ კონკრეტულ სამეურნეო სუბიექტთან დაკავშირებული გადავადებული კუმულაციური თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

უცხოური ოპერაციის შეძენის შედეგად მიღებული გუდვილი და ამ შეძენის შედეგად აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში სამართლიანი ღირებულების მისაღებად შეტანილი კორექტივები აღირიცხება, როგორც უცხოური ოპერაციების აქტივები და ვალდებულებები და კონვერტირდება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი კურსით.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში ჯგუფმა პირველად გამოიყენა ფასს 16 „იჯარა“. ამ ახალი სააღრიცხვო სტანდარტების მიღება შემდეგი ხასიათისა და ეფექტის მქონე ცვლილებებს განაპირობებს.

2019 წელს რამდენიმე სხვა ცვლილება და ინტერპრეტაცია მოქმედებს პირველად, მაგრამ გავლენას არ ახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

ფასს 16-ზე გადასვლა

ჯგუფმა მიიღო ფასს 16 „იჯარა“ 2019 წლის 1 იანვარს, მიღების სავალდებულო თარიღით. ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 17-ს „იჯარა“, ფასიკ 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ჯგუფმა ახალი სტანდარტი გამოიყენა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით და, 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ამას გაუნაწილებელ მოგებაზე თავდაპირველი გამოყენების ეფექტი არ მოუხდენია. ამის შედეგად, ჯგუფს არ გადაუანგარიშებია პირველად გამოყენების წინამორბედი წლის შედარებადი თანხები. სტანდარტი გავრცელდა იმ ხელშეკრულებებზე, რომლებიც მანამდე ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით იჯარად განისაზღვრებოდა.

ჯგუფი, როგორც მეიჯარე

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის მიხედვით აღრიცხვისგან. მეიჯარე გააგრძელებს იჯარების კლასიფიცირებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარებად, ბასს 17-ის ანალოგიური პრინციპებით. შესაბამისად, ფასს 16-ს გავლენა არ მოუხდენია იმ იჯარებზე, რომლებშიც ჯგუფი მეიჯარედ გამოდის.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ფასს 16-ის მიღებისას ჯგუფმა აღიარა იმ იჯარებთან დაკავშირებული საიჯარო ვალდებულებები, რომლებიც მანამდე „საოპერაციო იჯარებად“ იყო კლასიფიცირებული ბასს 17-ის „იჯარა“ მიხედვით. ეს საიჯარო ვალდებულებები შეფასდა დარჩენილი საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, დამატებული ღირებულების გადასახადისთვის მიკუთვნებადი გადახდების ჩათვლით, რომლებიც დისკონტირდა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით. 2019 წლის განმავლობაში ჯგუფმა გადასინჯა თავისი თავდაპირველი მიდგომა და დღგ-ის გადახდები გამორიცხა ფასსს 16-ის მიხედვით მიღებული ნაშთებიდან, რათა შესაბამისობაში მოეყვანა მსოფლიოში მიღებულ პრაქტიკასთან. 2019 წლის 1 იანვარს საიჯარო ვალდებულებებზე გამოყენებული შეწონილი საშუალო ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი 5% იყო.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

ჯგუფი, როგორც მოიჯარე (გაგრძელება)

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები შეფასდა ფასს 16-ზე გადასვლისთანავე საიჯარო ვალდებულებების თანაბარი ოდენობით და დაკორექტირდა წინასწარ გადახდილი თანხებით, რომლებიც ბანკმა მაშინვე, თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე, აღიარა. შესაბამისად, 2019 წლის 1 იანვარს ჯგუფს არ უღიარებია ფასს 16-ზე გადასვლის ეფექტი თავის გაუნაწილებელ მოგებაზე.

ფასს 16-ზე გადასვლის ეფექტი ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ასეთი იყო:

	ფასს 16-ზე გადასვლის ეფექტი
გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები	79,165
გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივებად რეკლასიფიცირებული ავანსები	(12,249)
საიჯარო ვალდებულება	66,916

ცხრილში შეჯერებულია ჯგუფის მიერ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცხადებული ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ახალი სტანდარტის მიხედვით აღიარებული საიჯარო ვალდებულებები.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩვეულებრივ იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეჯერება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღიარებულ საიჯარო ვალდებულებებთან	
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღიარებული საიჯარო ვალდებულებები	66,916
დისკონტირების ეფექტი (ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)	56,055
აღიარებიდან გამონაკლისებია:	
- მოკლევადიანი იჯარები	729
- დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები	352
სხვა (დღგ-ის ხარჯი)	8,410
საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების თანახმად	**132,462**

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი ან შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

ჯგუფი, როგორც მოიჯარე (გაგრძელება)

არცერთი აქტივი არ შეესაბამება საინვესტიციო ქონების განმარტებას. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების შემდეგი მოძრაობა დაფიქსირდა:

	შეფასებული თვითღირებულებით
თვითღირებულება	
1 იანვარი, 2019 წ.	**79,165**
შემოსვლები	39,464
გასვლები	(3,632)
საკურსო სხვაობები	42
31 დეკემბერი, 2019 წ.	**115,039**
დაგროვილი ცვეთა	
1 იანვარი, 2019 წ.	**-**
ცვეთის დანარიცხი	19,751
გასვლები	(718)
საკურსო სხვაობები	16
31 დეკემბერი, 2019 წ.	**19,049**
წმინდა საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი, 2019 წ.	**79,165**
31 დეკემბერი, 2019 წ.	**95,990**

ფასიკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია - „მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა“

ეს ინტერპრეტაცია განმარტავს, როგორ უნდა მოხდეს ბასს (IAS) 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ აღიარების და შეფასების მოთხოვნების გამოყენება, როდესაც მოგების გადასახადით გამოთვლის მიდგომებს თან ახლავს გაურკვევლობა. მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა როცა არსებობს, ეს ინტერპრეტაცია განსაზღვრავს:

- საწარმო მოგების გადასახადის გამოთვლასთან დაკავშირებულ საგადასახადო მიდგომებს ცალ-ცალკე იხილავს თუ არა;
- რა დაშვებებს აკეთებს საწარმო საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო მიდგომების შემოწმების ჩატარებასთან დაკავშირებით;
- როგორ განსაზღვრავს საწარმო დასაბეგრ მოგებას (საგადასახადო ზარალს), საგადასახადო ბაზას, გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებსა და საგადასახადო განაკვეთებს; და
- როგორ ითვალისწინებს საწარმო ფაქტებსა და გარემოებებში მომხდარ ცვლილებებს.

ჯგუფი წყვეტს, თითოეულ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომას ცალ-ცალკე განიხილავს, თუ ერთ ან რამდენიმე სხვა გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, გამომდინარე იქიდან, რომელი მიდგომის გამოყენებით უფრო უკეთ იქნება შესაძლებელი გაურკვევლობის გადაჭრის შედეგის პროგნოზირება. ამ ინტერპრეტაციის გამოყენებისას ჯგუფმა განიხილა, ჰქონდა თუ არა მას გაურკვეველი საგადასახადო მიდგომები. ჯგუფის, გადასახადებთან თავისი შესაბამისობის საფუძველზე მოელის, რომ მისი საგადასახადო მიდგომები (შვილობილი კომპანიების მიდგომების ჩათვლით) მისაღები აღმოჩნდება საგადასახადო ორგანოებისთვის. ამ ინტერპრეტაციას გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების დასადგენად, ჯგუფის დირექტორთა საბჭო და ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას იყენებენ თავიანთ შეხედულებებსა და შეფასებებს. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

როდესაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების მიღება აქტიური ბაზრებიდან ვერ ხერხდება, ისინი განისაზღვრება შეფასების სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის მათემატიკური მოდელებით. ამ მეთოდებისთვის ინფორმაცია აიღება ბაზრიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, სამართლიანი ღირებულება შეფასების საფუძველზე განისაზღვრება (28-ე შენიშვნა).

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლების მიერ. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შიდა კაპიტალიზაციისა (იგივე დისკონტირებული სამომავლო ფულადი ნაკადების მეთოდი) და გაყიდვების შედარების მეთოდების კომბინაციის გამოყენებით.

ჯგუფი თავის საინვესტიციო ქონებას საკმარისი სიხშირით აფასებს, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისგან, რომელიც განისაზღვრებოდა სამართლიანი ღირებულების გამოყენებით ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. შეფასების შედეგები წარმოდგენილია მე-11 შენიშვნაში, ხოლო შეფასებაში გამოყენებული ამოსავალი მონაცემები და ხერხები აღწერილია 28-ე შენიშვნაში. ჯგუფის უძრავი ქონება ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში მდებარეობს. მართალია, საქართველოში მეორადი ბაზარი საკმარის საბაზრო ინფორმაციას იძლევა მცირე და საშუალო ზომის ქონების სამართლიანი ღირებულებით შეფასებისთვის, დიდი ზომის ქონების შეფასება მოითხოვს სხვადასხვა საბაზრო და არასაბაზრო ამოსავალი მონაცემების გამოყენებას ხელმისაწვდომ შედარებად გასაყიდ ფასებში შესატანი კორექტირებების განსაზღვრისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა ყველაზე ზუსტ ხელმისაწვდომ ინფორმაციას, ფაქტობრივი შედეგები შეიძლება მაინც განსხვავებული იყოს.

ფინანსური აქტივების რეზერვი

ფასს 9 ხელმძღვანელობას ავალდებულებს მთელი რიგი გადაწყვეტილების (განსჯის), დაშვების და შეფასების გაკეთებას, რაც გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვზე. შეფასებები და გადაწყვეტილებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ცოდნასა და წარსულში მიღებულ გამოცდილებას. ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ძირითადი გადაწყვეტილებები მოცემულია ქვემოთ.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

დეფოლტის, საკრედიტო რისკით გაუფასურების და გამოსწორების (აღმოფხვრის) განმარტება (27-ე შენიშვნა)

ჯგუფი დეფოლტს განმარტავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. განმარტება შეიძლება სხვადასხვა პროდუქტისთვის განსხვავებული იყოს. განმარტება შეესაბამება შიდა საკრედიტო რისკის მართვის მიზნებისთვის გამოყენებულ განმარტებას და აკმაყოფილებს ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კლასიფიკაციის შიდა წესებს. კონტრაჰენტი დეფოლტში მყოფად კლასიფიცირდება ან პროცენტის, ძირითადი თანხის თუ საკომისიოს გადახდის 90 დღით დაგვიანების შემთხვევაში, ან გაკოტრების, თაღლითობის წარმოების, იძულებითი ლიკვიდაციის პროცესის დაწყების თუ გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის სხვა მტკიცებულების აღმოჩენის შემთხვევაში, იმისდა მიხედვით, თუ რომელი დგება უფრო გვიან. იმის განსაზღვრა, ფინანსური ინსტრუმენტი არის თუ არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული, ეყრდნობა დეფოლტის რისკს და არ ითვალისწინებს საკრედიტო რისკის შემამცირებელ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა უზრუნველყოფის საგანი ან გარანტია (თავდებობა).

ინსტრუმენტი საკრედიტო რისკით გაუფასურებულად ითვლება მაშინ, თუ კონტრაჰენტი არის დეფოლტის სიტუაციაში და/ან ინსტრუმენტი არის შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებული.

როდესაც ხდება ფინანსური აქტივის კლასიფიცირება საკრედიტო რისკით გაუფასურებულად (გარდა შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივებისა), იგი ინარჩუნებს ამ კლასიფიკაციას, თუ ყველა ვადაგადაცილებული თანხა არ არის ამოღებული ან არ არსებობს კრედიტის დაფარვის ზოგადი მტკიცებულება. საკრედიტო რისკის გამო რესტრუქტურიზებული ფინანსური აქტივების გასვლის კრიტერიუმებად გამოიყენება მინიმუმ ექვსი თანმიმდევრული თვის გადახდები. გამონაკლისია კორპორაციული სესხების პორტფელი და სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. მათ შემთხვევაში გასვლის კრიტერიუმებად განისაზღვრება გაკოტრებული ან კრედიტუუნარო სტატუსის შეცვლა, ლიკვიდურობის პრობლემების აღმოფხვრა ან კრედიტის ამოღების სხვა ზოგადი მტკიცებულება, რაც ინდივიდუალურად ფასდება. საკრედიტო რისკით გაუფასურებული სხვა ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, გასვლის კრიტერიუმებად განისაზღვრება მთლიანი ვადაგადაცილებული თანხის დაფარვა, რეფინანსირების ან უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის გარდა.

როდესაც საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივი დააკმაყოფილებს დეფოლტის სიტუაციიდან გასვლის კრიტერიუმებს, იგი დარჩება მეორე სტადიაზე მინიმუმ მომდევნო 12 თანმიმდევრული თვის განმავლობაში. 12 თანმიმდევრული გადახდის შემდეგ გადაიტანება პირველ სტადიაზე, თუ საკრედიტო რისკი სესხის გაცემის თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად არ არის გაზრდილი.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა არ არის ფასს 9-ით განმარტებული ტერმინი და ამიტომ მის მნიშვნელობას განსაზღვრავს ხელმძღვანელობა თავისი გამოცდილებისა და განსჯის საფუძველზე. იმის შესაფასებლად, საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი თუ არა, ჯგუფმა დაადგინა მთელი რიგი ხარისხობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმი სხვადასხვა ფაქტორის ჰოლისტიკური ანალიზის საფუძველზე. ამ ფაქტორებს შორისაა როგორც კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტისთვის ან მსესხებლისთვის სპეციფიკური, ისე პორტფელის გარკვეული ნაწილებისთვის დამახასიათებელი ფაქტორები. ეს კრიტერიუმებია:

- საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რომელიც გამოიხატება თავდაპირველი აღიარების შემდეგ დეფოლტის რისკის ფარდობითი და/ან აბსოლუტური ზრდით. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განისაზღვრება სესხის გაცემის თარიღისთვის საკრედიტო რისკის რეიტინგების (შიდა და გარე) და საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო რისკის რეიტინგების თითოეული აქტივისთვის ინდივიდუალურად შედარების საფუძველზე. ზღვარი (ლიმიტები) ცალ-ცალკე განისაზღვრება კორპორაციული, საცალო და მცირე/საშუალო საწარმოებისთვის და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელებისთვის იმისდა მიხედვით, თუ რა თავდაპირველი რეიტინგი ჰქონდა მინიჭებული ამ ინსტრუმენტებს მათი წარმოქმნისას.
- კომერციულ, ფინანსურ ან ეკონომიკური პირობებში უარყოფითი ცვლილებების პროგნოზის არსებობა, რომლებიც ცუდად აისახება მსესხებლის კრედიტუნარიანობაზე.
- სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაცია მსესხებლის ფინანსური პრობლემების გამო, გარდა დეფოლტისა
- ცალკეული ხელშეკრულების დონეზე ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა აღემატება დადგენილ 30-დღიან ნორმას.
- სხვა ხარისხობრივი მაჩვენებლები, მაგალითად, საკრედიტო რისკის გარე საბაზრო მაჩვენებლები ან ზოგადი ეკონომიკური პირობები, რომლებიც მიანიშნებს იმაზე, რომ სესხის გაცემის თარიღიდან რისკის დონე მნიშვნელოვნად არის გაზრდილი.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ზემოაღნიშნული ნიშნები ვლინდება ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე, რათა მოხდეს თავდაპირველი აღიარების თარიღიდან საკრედიტო რისკის ცვლილების დაფიქსირება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ასახავს მიუკერძოებელ, ალბათობით შეწონილ შეფასებას, რომელიც ეყრდნობა შემდეგ ძირითად ფაქტორებს: დეფოლტის ალბათობა, დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში, და დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება, რაც უფრო დაწვრილებით ქვემოთაა განმარტებული:

დეფოლტის ალბათობის შეფასება: ჯგუფი დეფოლტის ალბათობას აფასებს სარეიტინგო მოდელის კლასიფიკაციის შედეგებისა და მიგრაციის მატრიცების მიდგომის ერთობლიობაზე დაყრდნობით, რაც კორექტირდება მინიმუმ სამწლიანი მაკროეკონომიკური მოლოდინების მიხედვით ყველა პორტფელისთვის, რათა წარმოადგენდეს დეფოლტის ალბათობის პარამეტრების საპროგნოზო (მომავალზე ორიენტირებული) შეფასებებს. მიგრაციის მატრიცა იქმნება ისე, რომ ასახავდეს მონაცემების ისტორიული პერიოდის განმავლობაში წლიური მიგრაციის საშუალო შეწონილს. რისკის ჯგუფები განისაზღვრება იმგვარად, რომ უზრუნველყოფდეს შიდაჯგუფურ ერთგვაროვნებას და დეფოლტის ალბათობის მოსალოდნელი დონეების დიფერენციაციას. სასესხო პორტფელების შემთხვევაში, გარდა კორპორაციული სესხებისა, დეფოლტის ალბათობა დამატებით კორექტირდება ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნიდან გასული დროის გათვალისწინებით. მოდელები მოიცავს როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და, სადაც შესაძლებელია, ეფუძნება წამყვანი სარეიტინგო სააგენტოების, საკრედიტო ბიუროს და შიდა საკრედიტო რეიტინგის სისტემების ინფორმაციას. ვინაიდან მესამე სტადიის ფინანსური ინსტრუმენტები ვადაგადაცილებულია, დეფოლტის ალბათობა ამ შემთხვევაში 100%-ს უდრის.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება (გაგრძელება)

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება: დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მოცულობას ფინანსური აქტივის არსებობის განმავლობაში პოტენციური დეფოლტის დადგომის მომენტისთვის. იგი წარმოადგენს დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ ფულად ნაკადებს, ძირითადი თანხის, პროცენტის და ჯარიმების მოსალოდნელი გადახდების გათვალისწინებით, რომლებიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. პირველი სტადიის ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების გამოსათვლელად ბანკი აფასებს დეფოლტის შესაძლო მოვლენებს 12 თვის განმავლობაში, რათა გამოიანგარიშოს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. მეორე და მესამე სტადიებისა და შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება ფასდება ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მომხდარი მოვლენებისთვის. ჯგუფი დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებას სხვადასხვანაირად აფასებს დაფარვის გრაფიკის მქონე პროდუქტებისა და დაფარვის გრაფიკის არმქონე პროდუქტებისთვის. დაფარვის გრაფიკის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ საპროგნოზო დავალიანებას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიდგომის გამოყენებით, რომელშიც შეაქვს კორექტირებები მოსალოდნელი ავანსებისა და ვადაგადაცილებული დღეების გათვალისწინებით. დაფარვის გრაფიკის არმქონე პროდუქტების შემთხვევაში, როგორიცაა საკრედიტო ბარათები, საკრედიტო ხაზები და ფინანსური გარანტიები, ჯგუფი გამოითვლის დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ მოსალოდნელ დავალიანებას ლიმიტის ათვისების მიდგომის გამოყენებით.

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში: დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში განიმარტება, როგორც კონტრაჰენტის მხრიდან გადაუხდელობის შედეგად მოსალოდნელი დანაკარგი. იგი წარმოადგენს დავალიანების შეფასებას, რომლის ამოღებაც ვერ მოხერხდება დეფოლტის შემთხვევის გამო და ამიტომ თვალსაჩინოდ ასახავს დანაკარგების სერიოზულობას. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების დადგენისას გასათვალისწინებელია უზრუნველყოფის საგნიდან და საკრედიტო რისკის შემცირების სხვა საშუალებებიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები ან გაკოტრების პროცესიდან მოსალოდნელ თანხებს არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ასევე, სადაც შესაძლებელია, ქონების რეალიზაციისთვის საჭირო დროს და მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობას. ჯგუფი თავის ფინანსურ ინსტრუმენტებს ყოფს ერთგვაროვან პორტფელებად იმ ძირითადი მახასიათებლების მიხედვით, რომლებიც აქტუალურია სამომავლო ფულადი ნაკადების შესაფასებლად. გამოყენებული მონაცემები მოიცავს წარსულში მიღებული ზარალის მონაცემებს და გარიგების უფრო მეტ მახასიათებლებს (მაგ. პროდუქტის ტიპი, უზრუნველყოფის ტიპების უფრო ფართო სპექტრი). ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჯგუფი აფასებს დავალიანების ამოღების მაჩვენებელს (არა უზრუნველყოფის საგნის მეშვეობით), დეფოლტის აღმოფხვრის მაჩვენებელს და ხელახალი დეფოლტის ალბათობას. უზრუნველყოფის საგნის მეშვეობით დავალიანების ამოღება თითოეული ინსტრუმენტისთვის ცალკე განიხილება დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების გაანგარიშებისას.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას გათვალისწინებული აქტივები

ფასს 9-ის მიხედვით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლაში უნდა აისახოს უზრუნველყოფის საგნიდან და საკრედიტო რისკის შემცირების სხვა საშუალებებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადები. უზრუნველყოფის საგნის ბუღალტრული აღრიცხვა და ასახვა ფასს 9-ის მიზნებისთვის შეესაბამება ჯგუფის რისკის მართვის ზოგად პრინციპებს, პოლიტიკასა და პროცესებს. ჯგუფის პოლიტიკა საკრედიტო ხელშეკრულებების ფარგლებში მისთვის გადაცემული უზრუნველყოფის საგნის ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ იგივეა, როგორიც იყო ბასს 39-ის მოქმედების დროს. უზრუნველყოფის საგანი, თუ დასაკუთრებული არ არის, არ აისახება ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. უზრუნველყოფის საგნის სამართლიანი ღირებულება გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლაზე. სამართლიანი ღირებულება, როგორც წესი, ფასდება უზრუნველყოფის გადაცემის თარიღიდან და გადაფასდება ყოველწლიურად, რათა ასახოს ყველა არსებითი რისკი.

საპროგნოზო ინფორმაცია

ფასს 9-ის მიხედვით, საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება გონივრულ და დასაბუთებულ საპროგნოზო ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მიიღება გაუმართლებელი დანახარჯისა და ძალისხმევის გარეშე და ითვალისწინებს წარსულში მომხდარ მოვლენებს, ამჟამად არსებულ პირობებს და სამომავლო ეკონომიკური პირობების პროგნოზს.

იმისათვის, რომ ჯგუფმა საკრედიტო ზარალის რეზერვში ასახოს საპროგნოზო ინფორმაცია, იგი იყენებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემულ მაკროეკონომიკურ პროგნოზებს საქართველოში მოქმედი შვილობილი კომპანიებისთვის, ხოლო ბელარუსის ეროვნული ბანკი იყენებს ბელარუსში მოქმედი არასამთავრობო კვლევითი ცენტრისგან მიღებულ ინფორმაციას. მაკროეკონომიკური ცვლადები, რომლებსაც ეს პროგნოზები შეიცავს და რომლებსაც ჯგუფი იყენებს თავის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელში, მოიცავს მშპ-ის ზრდის ტემპს, სავალუტო კურსსა და ინფლაციის ტემპს. ეს საპროგნოზო მაკროეკონომიკური ცვლადები ახლდება ნახევარ წელიწადს ერთხელ ქართული კომპანიების, ხოლო კვარტალურად - ბელარუსის ეროვნული ბანკის შემთხვევაში.

ალბათობით შეწონილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასადგენად საჭიროა მთელი რიგი სამომავლო ეკონომიკური პირობის შეფასება. ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის სამ სხვადასხვა ეკონომიკურ სცენარს მიმართავს: ოპტიმისტურს (0.25-იანი წონა), საბაზოსა (0.50-იანი წონა) და პესიმისტურს (0.25-იანი წონა) თითოეული შესაბამისი პორტფელისთვის. თითოეული სცენარისთვის წონა გამოითვლება ალბათური ეკონომიკური მოდელის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს უახლეს ინფორმაციას და საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიღებულ ისტორიულ მონაცემებს.

ჯგუფის აზრით, ეს პროგნოზები ყველაზე ზუსტად აფასებს მოვლენების შესაძლო განვითარებას იმ სარწმუნო ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომია.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

საპროგნოზო ცვლადების დაშვებები

ქვემოთ წარმოდგენილია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თითოეული გეოგრაფიული სეგმენტისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული პერიოდის ბოლოს ყველაზე მნიშვნელოვანი დაშვებები. ყველა პორტფელისთვის გამოყენებულია „საბაზო“, „ოპტიმისტური“ და „პესიმისტური“ სცენარები.

საქართველო

მთავარი ფაქტორები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სცენარი	მინიჭებული წონა	31 დეკემბერი, 2019 წ.			31 დეკემბერი, 2018 წ.			1 იანვარი, 2018 წ.		
			2020	2021	2022	2019	2020	2021	2018	2019	2020
მშპ-ის ზრდა, %											
	ოპტიმისტური	25%	5.50%	6.00%	5.00%	6.00%	5.50%	5.00%	5.50%	6.00%	5.70%
	საბაზო	50%	4.50%	5.00%	5.00%	5.00%	5.00%	5.00%	4.50%	4.80%	5.00%
	პესიმისტური	25%	2.50%	3.50%	4.50%	2.00%	2.50%	3.50%	3.00%	2.00%	3.00%
ლარი/აშშ დოლარის სავალუტო კურსი, %											
	ოპტიმისტური	25%	5.00%	5.00%	0.00%	10.00%	5.00%	-5.00%	5.00%	7.00%	0.00%
	საბაზო	50%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%
	პესიმისტური	25%	-10.00%	-5.00%	5.00%	-15.00%	-10.00%	5.00%	-10.00%	-15.00%	-10.00%
სფი-ს ინფლაციის ტემპი, %											
	ოპტიმისტური	25%	4.50%	3.50%	3.00%	3.40%	3.20%	3.00%	2.50%	2.50%	2.70%
	საბაზო	50%	4.50%	2.50%	3.00%	2.90%	3.00%	3.00%	3.50%	3.00%	3.00%
	პესიმისტური	25%	7.00%	5.00%	3.00%	4.50%	4.00%	3.00%	4.50%	4.30%	3.80%

ბელარუსი

მთავარი ფაქტორები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სცენარი	მინიჭებული წონა	31 დეკემბერი, 2019 წ.				31 დეკემბერი, 2018 წ.				1 იანვარი, 2018 წ.			
			2020 Q1	2020 Q2	2020 Q3	2020 Q4	2019 Q1	2019 Q2	2019 Q3	2019 Q4	2018Q1	2018Q2	2018Q3	2018Q4
მშპ-ის ზრდა, %														
	ოპტიმისტური	25%	3.44%	2.94%	3.19%	3.65%	0.87%	1.13%	1.98%	2.82%	3.24%	3.38%	3.56%	3.11%
	საბაზო	50%	1.56%	0.84%	0.96%	1.16%	0.40%	0.30%	0.75%	1.41%	2.96%	2.61%	2.24%	1.58%
	პესიმისტური	25%	-0.31%	-1.26%	-1.27%	-1.32%	-0.07%	-0.53%	-0.47%	0.00%	2.67%	1.85%	1.02%	-0.14%
ბელარუსული რუბლი/აშშ დოლარის სავალუტო კურსი, %														
	ოპტიმისტური	25%	-5.12%	-5.40%	-4.66%	-3.30%	8.23%	6.94%	4.25%	2.55%	4.78%	4.97%	5.31%	5.56%
	საბაზო	50%	-0.60%	0.67%	2.69%	2.78%	10.11%	9.55%	7.61%	5.57%	5.45%	5.91%	6.39%	6.78%
	პესიმისტური	25%	3.92%	6.69%	10.04%	8.52%	12.61%	13.50%	12.83%	10.95%	6.12%	6.69%	7.15%	8.17%
სფი-ს ინფლაციის ტემპი, %														
	ოპტიმისტური	25%	1.49%	0.42%	-0.27%	0.52%	9.06%	5.70%	0.35%	5.59%	1.87%	4.22%	8.91%	4.74%
	საბაზო	50%	2.06%	0.99%	0.32%	1.63%	10.90%	7.22%	1.73%	6.80%	5.00%	8.05%	13.21%	9.77%
	პესიმისტური	25%	2.62%	1.55%	0.88%	2.74%	12.75%	8.72%	3.09%	7.99%	7.94%	11.06%	16.15%	13.39%

ყველა სხვა პარამეტრი თუ უცვლელი დარჩება, მშპ-ის ზრდა, ხოლო სავალუტო კურსის ვარდნა და ინფლაციის ტემპის კლება გამოიწვევდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემცირებას, ხოლო ამის საპირისპირო ცვლილებები გამოიწვევდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას. მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე. მას მოჰყვება სავალუტო კურსი და ინფლაცია. საცალო პორტფელზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ნაკლებად მოქმედებს სავალუტო კურსი, რადგან დიდი წილი ლარში გამოხატულ დავალიანებაზე მოდის. თუმცა, საცალო პორტფელიდან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე მოქმედებს ინფლაცია, რომელსაც საწარმოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე მნიშვნელოვანი გავლენა არ აქვს.

2019 წელს ბელარუსული რუბლი 2.6%-ით გამყარდა აშშ დოლართან მიმართებით. ამის გამო 2019 წელს ბელარუსული რუბლის და აშშ დოლარის გაცვლითი კურსის დაშვებები, რომელთა საფუძველზეც შეფასდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მნიშვნელოვნად განსხვავდება ფაქტობრივი დინამიკისგან. ამან გამოიწვია მნიშვნელოვანი აცდენები წლიურ მოლოდინებში 2020 წლის თითოეული კვარტალისთვის, როგორც ზედა ცხრილშია წარმოდგენილი.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

საპროგნოზო ცვლადების დაშვებები (გაგრძელება)

ცხრილში ნაჩვენებია აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხების მგრძნობელობა ამ მოდელში გამოყენებული საპროგნოზო დაშვებების მიმართ. ამ მიზნით, თითოეულ მაკროეკონომიკურ სცენარს ინდივიდუალურად 100%-იანი წონა მიენიჭა და გადაანგარიშდა შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძნობელობა საპროგნოზო დაშვებების მიმართ:

	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
	გაცხადებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	*გაცხადებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გადაფარვა*	*მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გადაფარვა სცენარების მიხედვით*		
			ოპტიმისტური	*საბაზო*	*პესიმისტური*
კომერციული სესხები	90,612	2.31%	2.29%	2.31%	2.34%
იპოთეკური სესხები	9,017	0.29%	0.29%	0.29%	0.29%
მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხები	44,545	1.67%	1.63%	1.67%	1.73%
სამომხმარებლო სესხები	72,707	3.49%	3.44%	3.47%	3.55%
სალომბარდო სესხები	253	0.30%	0.30%	0.30%	0.30%

ფინანსური ინსტრუმენტების დაჯგუფება კოლექტიური შეფასებისთვის

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნებისთვის, ერთგვაროვანი ფინანსური ინსტრუმენტები ერთიანდება შემდეგი წესით: კორპორატიული სესხების პორტფელი ჯგუფდება სესხის დაფარვის წყაროს ტიპების მიხედვით; საცალო სესხების პორტფელი ჯგუფდება საკრედიტო რისკის ისეთი მახასიათებლების საფუძველზე, როგორიცაა აქტივის ტიპი, უზრუნველყოფის დონე, დაფარვის წყაროს ტიპი და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები. რაც შეეხება საშუალო და მცირე საწარმოებზე გაცემულ და მიკროსესხების პორტფელებს, აქ ფინანსური ინსტრუმენტები ჯგუფდება აქტივის ტიპის, ვადაგადაცილების პერიოდის, უზრუნველყოფის დონისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების მიხედვით.

განახლებადი პროდუქტების მოსალოდნელი ვადის განსაზღვრა

განახლებადი პროდუქტების შემთხვევაში, ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადა განისაზღვრება ან მომდევნო განახლების თარიღზე დაყრდნობით, ან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ ფაქტობრივ ვადაზე დაყრდნობით, რომელიც განისაზღვრება ემპირიული დაკვირვებით ამ ინსტრუმენტის არსებობის განმავლობაში.

ჩამოწერა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ჩამოწერს მაშინ, როდესაც მათი ამოღების გონივრული მოლოდინი აღარ არსებობს, რაც არსებითად უცვლელია კორპორაციული და არაუზრუნველყოფილი სესხების პორტფელებისა თუ უზრუნველყოფილი სესხების შემთხვევაში, გარდა უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებისა. იპოთეკების და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სხვა სესხების შემთხვევაში ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა, რომლის შემდეგაც ნაშთები მიიჩნევა უიმედოდ და უნდა ჩამოიწეროს, 365 დღიდან 1460 დღემდე გაიზარდა. თუ ჩამოსაწერი თანხა სესხებზე შესაძლო დანაკარგების დარიცხულ რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ აღირიცხება, როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯი. დავალიანების ყოველგვარი შემდგომი ამოღება კრედიტდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯის ანგარიშზე.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელის რეტროსპექტული ტესტირება

ჯგუფის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელის ხარისხისა და საიმედოობის მონიტორინგისთვის ჯგუფი ატარებს რეტროსპექტული ტესტირების და საბაზრო მონაცემებთან შედარების პროცედურებს, რაც გულისხმობს მოდელის შედეგების შედარებას ფაქტობრივ შედეგებთან, შიდა გამოცდილებასა და გარე დაკვირვებადი მონაცემების მიხედვით. დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის ჯგუფი მიმართავს სტატისტიკურ მოდელირებას, რათა მიიღოს დეფოლტის რაოდენობის პროგნოზირებული განაწილება. დეფოლტების დაკვირვებადი რაოდენობა შემდეგ ედრება ამ განაწილებას, რაც ჯგუფს მოდელში სტატისტიკური ნდობის ინტერვალის მიღების საშუალებას აძლევს. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების განსაზღვრისთვის რეტროსპექტული ტესტირებისას ხდება დაკვირვებადი ზარალის შედარება პროგნოზირებულ დანაკარგებთან დეფოლტის შემთხვევაში. თუ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გადახრის ან პარამეტრიზაციის ნაკლოვანებების აღმოჩენის შემთხვევაში, ხდება შესაბამისი მოდელების დახვეწა და გადახედვა. რეტროსპექტული ტესტირების პროცედურების შედეგად მოდელში შესული ნებისმიერი ცვლილებები აღირიცხება, როგორც ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში პერსპექტიულად გამოყენებით.

(ათას ლარში)

5. რეკლასიფიკაცია

ფინანსური ანგარიშგების წარდგენაში შესული ცვლილება

გამოყოფის შედეგად, ჯგუფმა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დამთავრებული წლის წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში განაახლა გარკვეული მუხლების დასახელებები, რათა შესაბამისობაში ყოფილიყო ფინანსურ დაწესებულებებში არსებულ გავრცელებულ პრაქტიკასთან.

ჯგუფმა ასევე შეცვალა თავისი საანგარიშგებო სეგმენტების წარდგენა. ფასს 8-ის მოთხოვნების შესაბამისად, ცვლილება რეტროსპექტულად გავრცელდა შედარებად პერიოდებზე. ცვლილება, ძირითადად, წარდგენას უკავშირდებოდა. ჯგუფს მიაჩნია, რომ თავისი საანგარიშგებო სეგმენტების განახლებული შემადგენლობა და წარდგენა უფრო სრულყოფილ ინფორმაციას აწვდის ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, რადგან ფინანსური ანგარიშგება უკეთ ასახავს ჯგუფის შიდა ოპერაციების შესახებ ხელმძღვანელობის მოსაზრებებს და რესურსების გადანაწილების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესს.

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებების მუხლები, რომლებსაც ცვლილება შეეხო:

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	***რეკლასიფიკაციამდე***	***რეკლასიფიკაცია***	***რეკლასიფიკაციის შემდეგ***
კლიენტებზე გაცემული სესხები	9,120,881	(9,120,881)	-
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	108,439	(108,439)	-
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	-	9,229,320	9,229,320
მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები	19,234	(19,234)	-
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები	123	(123)	-
მოგების გადასახადის აქტივები	-	19,357	19,357
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	12,371	(12,371)	-
სხვა აქტივები	134,573	(16,118)	118,455
დებიტორული დავალიანება და სხვა სესხები	-	19,702	19,702
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	-	8,787	8,787
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	8,196,551	(8,196,551)	-
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	-	8,196,551	8,196,551
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა ნასესხები სახსრები	2,749,348	(2,749,348)	-
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	-	2,749,348	2,749,348
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	679	(679)	-
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	28,154	(28,154)	-
მოგების გადასახადის ვალდებულებები	-	28,833	28,833
ანარიცხები	4,582	(4,582)	-
სხვა ვალდებულებები	102,213	(102,213)	-
დარიცხვები და გადავადებული შემოსავალი	-	44,730	44,730
სხვა ვალდებულებები	-	62,065	62,065

(ათას ლარში)

5. რეკლასიფიკაცია (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების წარდგენაში შესული ცვლილება (გაგრძელება)

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	*რეკლასიფიკაციამდე*	*რეკლასიფიკაცია*	*რეკლასიფიკაციის შემდეგ*
31 დეკემბერი, 2018 წ.			
საპროცენტო შემოსავალი	1,307,378	(1,307,378)	-
კლიენტებზე გაცემული სესხები	*1,124,611*	*(1,124,611)*	-
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	*136,115*	*(136,115)*	-
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	*28,705*	*(28,705)*	-
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	*17,947*	*(17,947)*	-
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი	-	*1,289,431*	*1,289,431*
სხვა საპროცენტო შემოსავალი	-	*17,947*	*17,947*
საპროცენტო შემოსავალი	-	1,307,378	1,307,378
საპროცენტო ხარჯი	(569,879)	569,879	-
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	*(254,680)*	*254,680*	-
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა ნასესხები სახსრები	*(204,437)*	*204,437*	-
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	*(110,762)*	*110,762*	-
საპროცენტო ხარჯი	-	*(569,879)*	*(569,879)*
წმინდა შემოსულობა უცხოური ვალუტებიდან:	*125,660*	*(125,660)*	-
- გარიგებები	*92,651*	*(92,651)*	-
- საკურსო სხვაობები	*33,009*	*(33,009)*	-
წმინდა სავალუტო შემოსულობა	-	125,660	125,660
წმინდა შემოსულობა უძრავი ქონებიდან	*5,138*	*(5,138)*	-
წმინდა ზარალი ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტიდან, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ახახვით	*(1,023)*	*1,023*	-
წმინდა შემოსულობა ფინანსური აქტივებიდან, რომლებიც აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	*(878)*	*878*	-
წმინდა შემოსულობა (ზარალი) საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	*190*	*(190)*	-
სხვა წმინდა საოპერაციო შემოსავალი (ხარჯი) (მეკავშირე საწარმოებისგან მიღებული მოგების გარდა)	*1,559*	*(1,559)*	-
სხვა (ხარჯი) შემოსავალი, წმინდა	-	4,986	4,986
შემოსავალი *(მეკავშირე საწარმოებისგან მიღებული მოგების გარდა)*	991,714	(991,714)	-
მოგება მეკავშირე საწარმოებიდან	*1,339*	*(1,339)*	-
საოპერაციო შემოსავალი	-	991,714	991,714
მოგება მეკავშირე საწარმოებიდან	-	1,339	1,339
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(108,147)	108,147	-
ადმინისტრაციული ხარჯები	-	(108,147)	(108,147)

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	*რეკლასიფიკაციამდე*	*რეკლასიფიკაცია*	*რეკლასიფიკაციის შემდეგ*
წმინდა ფულადი ნაკადები უძრავი ქონებიდან	5,114	(5,114)	-
სხვა მიღებული შემოსავალი (გადახდილი ხარჯი)	18,617	(18,617)	-
სხვა მიღებული შემოსავალი (გადახდილი ხარჯი)	-	23,731	23,731
კლიენტებზე გაცემული სესხები	(1,707,438)	1,707,438	-
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	(36,727)	36,727	-
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	-	(1,744,165)	(1,744,165)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა ნასესხები სახსრები	(469,057)	469,057	-
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	-	(469,057)	(469,057)
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	902,776	(902,776)	-
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	-	902,776	902,776

(ათას ლარში)

5. რეკლასიფიკაცია (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების წარდგენაში შესული ცვლილება (გაგრძელება)

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	*რეკლასიფიკაციამდე*	*რეკლასიფიკაცია*	*რეკლასიფიკაციის შემდეგ*
კლიენტებზე გაცემული სესხები	7,445,578	(7,445,578)	-
ფინანსურ ოჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	65,306	(65,306)	-
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ ოჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	-	7,510,884	7,510,884
მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები	696	(696)	-
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები	130	(130)	-
მოგების გადასახადის აქტივები	-	826	826
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	11,031	(11,031)	-
სხვა აქტივები	117,857	(7,100)	110,757
დებიტორული დავალიანება და სხვა სესხები	-	1,803	1,803
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	-	16,328	16,328
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	7,123,866	(7,123,866)	-
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	-	7,123,866	7,123,866
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა ნასესხები სახსრები	3,162,209	(3,162,209)	-
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	-	3,162,209	3,162,209
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	8,753	(8,753)	-
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	11,342	(11,342)	-
მოგების გადასახადის ვალდებულებები	-	20,095	20,095
ანარიცხები	2,815	(2,815)	-
სხვა ვალდებულებები	80,157	(80,157)	-
დარიცხვები და გადავადებული შემოსავალი	-	37,658	37,658
სხვა ვალდებულებები	-	45,314	45,314

(ათას ლარში)

5. რეკლასიფიკაცია (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების წარდგენაში შესული ცვლილება (გაგრძელება)

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	*რეკლასიფიკაციამდე*	*რეკლასიფიკაცია*	*რეკლასიფიკაციის შემდეგ*
საპროცენტო შემოსავალი	1,105,385	(1,105,385)	-
კლიენტებზე გაცემული სესხები	*965,614*	*(965,614)*	-
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	*113,276*	*(113,276)*	-
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	*17,031*	*(17,031)*	-
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	*9,464*	*(9,464)*	-
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი	-	*1,095,921*	*1,095,921*
სხვა საპროცენტო შემოსავალი	-	*9,464*	*9,464*
საპროცენტო შემოსავალი	-	1,105,385	1,105,385
საპროცენტო ხარჯი	(460,838)	460,838	-
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	*(221,410)*	*221,410*	-
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა ნასესხები სახსრები	*(195,594)*	*195,594*	-
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	*(43,834)*	*43,834*	-
საპროცენტო ხარჯი	-	*(460,838)*	*(460,838)*
წმინდა შემოსულობა უცხოური ვალუტებიდან:	*85,740*	*(85,740)*	-
- გარიგებები	*66,502*	*(66,502)*	-
- საკურსო სხვაობები	*19,238*	*(19,238)*	-
წმინდა სავალუტო შემოსულობა	-	85,740	85,740
წმინდა შემოსულობა უძრავი ქონებიდან	*5,679*	*(5,679)*	-
წმინდა შემოსულობა გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან	*2,060*	*(2,060)*	-
წმინდა ზარალი (შემოსულობა) სხვა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	*1,478*	*(1,478)*	-
წმინდა შემოსულობა (ზარალი) საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	*7,336*	*(7,336)*	-
სხვა წმინდა საოპერაციო შემოსავალი (ხარჯი) (მეკავშირე საწარმოებისგან მიღებული მოგების გარდა)	*(2,367)*	*2,367*	-
სხვა (ხარჯი) შემოსავალი, წმინდა	-	14,186	14,186
შემოსავალი *(მეკავშირე საწარმოებისგან მიღებული მოგების გარდა)*	860,743	(860,743)	-
მოგება მეკავშირე საწარმოებიდან	*1,311*	*(1,311)*	-
საოპერაციო შემოსავალი	-	860,743	860,743
მოგება მეკავშირე საწარმოებიდან	-	1,311	1,311
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(95,007)	95,007	-
ადმინისტრაციული ხარჯები	-	(95,007)	(95,007)

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	*რეკლასიფიკაციამდე*	*რეკლასიფიკაცია*	*რეკლასიფიკაციის შემდეგ*
წმინდა ფულადი ნაკადები უძრავი ქონებიდან	5,336	(5,336)	-
სხვა მიღებული შემოსავალი (გადახდილი ხარჯი)	(16,620)	16,620	-
სხვა მიღებული შემოსავალი (გადახდილი ხარჯი)	-	(11,284)	(11,284)
კლიენტებზე გაცემული სესხები	(1,456,372)	1,456,372	-
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	(7,577)	7,577	-
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	-	(1,463,949)	(1,463,949)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა ნასესხები სახსრები	(271,170)	271,170	-
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	-	(271,170)	(271,170)
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	1,436,334	(1,436,334)	-
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	-	1,436,334	1,436,334

(ათას ლარში)

6. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ

ჯგუფი ახდენს შემოსავლის დეზაგრეგირებას მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან თითოეული სეგმენტის პროდუქტების და მომსახურებების მიხედვით, რადგან ჯგუფს მიაჩნია, რომ ამ გზით ყველაზე ნათლად ასახავს იმას, თუ როგორ მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები შემოსავლებისა და ფულადი ნაკადების ხასიათზე, ოდენობაზე, დროულობასა და გაურკვევლობაზე.

2019 წელს ჯგუფმა შეცვალა საანგარიშგებო სეგმენტების შემადგენლობა (თავისი საქმიანობის სეგმენტირება) და ცვლილება რეტროსპექტულად გამოიყენა შედარებად პერიოდებზე. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მე-5 შენიშვნა.

მართვის მიზნებისათვის ჯგუფი დაყოფილია შემდეგ საოპერაციო სეგმენტებად პროდუქტებისა და მომსახურების მიხედვით:

საცალო საბანკო მომსახურება (BNB-ის საცალო საბანკო მომსახურების გამოკლებით) - ძირითადად გულისხმობს სამომხმარებლო სესხების, იპოთეკური სესხების, ოვერდრაფტების, საკრედიტო ბარათების და სხვა საკრედიტო პროდუქტების გაცემას, ფულადი გზავნილების და ანგარიშსწორების მომსახურებას, იურიდიული და ფიზიკური პირების ანაბრების მართვას. საცალო საბანკო მომსახურების სამიზნე სეგმენტებია საცალო მომსახურების და პრემიალური სეგმენტები, ამასთანავე მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები;

კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურება - მოიცავს კორპორატიულ საბანკო მომსახურებას და ინვესტიციის მართვის ოპერაციებს საქართველოში. კორპორატიული საბანკო მომსახურება ძირითადად გულისხმობს სესხებისა და სხვა საკრედიტო პროდუქტების გაცემას, ფულად გზავნილებსა და ანგარიშსწორების მომსახურებას, დოკუმენტური ოპერაციების მხარდაჭერას და კორპორატიული მომხმარებლებისთვის შემნახველი და ვადიანი ანაბრების მართვას. ინვესტიციების მართვის ოპერაციები ძირითადად გულისხმობს კერძო საბანკო მომსახურების გაწევას შეძლებული კლიენტებისთვის;

„ბელარუსის ეროვნული ბანკი“ - ნიშნავს სს „ბელარუსკი ნაროდნი ბანკს“, რომელიც ძირითადად საცალო და კორპორაციულ საბანკო მომსახურებას სწევს ბელარუსში.

სხვა საბანკო საქმიანობა - მოიცავს ჰოლდინგურ კომპანიებს: შესაბამისობის, მართვის მომსახურებების გაწევა ჯგუფის საოპერაციო საქმიანობებისთვის და რამდენიმე მცირე კორპორატიული და სოციალური პასუხისმგებლობის კომპანია.

ხელმძღვანელობა აკონტროლებს თავისი სეგმენტების საოპერაციო შედეგებს ცალ-ცალკე, რათა მიიღოს გადაწყვეტილებები რესურსების განაწილებასა და შესრულებული საქმიანობის შეფასებაზე. სეგმენტის საქმიანობა, რომელიც ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია განმარტებული, ისევე ფასდება, როგორც მოგება ან ზარალი მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

საოპერაციო სეგმენტებს შორის გარიგებები ხდება გაშლილი ხელის პრინციპით, ანუ მესამე პირებთან შემდგარი გარიგებების მსგავსად.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა საქართველოშია კონცენტრირებული, ბელარუსის ეროვნული ბანკის გარდა, რომელიც ბელარუსში საქმიანობს.

2019, 2018 და 2017 წლებში არცერთ გარე მომხმარებელთან ან კონტრაჰენტთან დადებული გარიგებებიდან მიღებული შემოსავალი არ შეადგენდა ჯგუფის საოპერაციო შემოსავლის 10%-ს ან მეტს.

(ათას ლარში)

6. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

ქვედა ცხრილებში მოცემულია ინფორმაცია ჯგუფის გარკვეული საოპერაციო სეგმენტების მოგება-ზარალის ანგარიშგებისა და გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის:

	საცალო საბანკო მომსახურება	*კორპორატიული საინვესტიციო საბანკო საქმიანობა*	*ბელარუსის ეროვნული ბანკი*	*სხვა*	*გაქვითვები*	*ჯგუფი სულ*
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	545,605	210,359	27,586	-	23	783,573
წმინდა საკომისიო შემოსავალი	113,113	32,000	7,169	-	-	152,282
წმინდა სავალუტო შემოსულობა	49,901	48,001	20,688	-	-	118,590
სხვა (ხარჯი) შემოსავალი, წმინდა	5,937	11,587	463	-	(259)	17,728
საოპერაციო შემოსავალი	**714,556**	**301,947**	**55,906**	**-**	**(236)**	**1,072,173**
საოპერაციო ხარჯები	(275,590)	(90,217)	(32,445)	(559)	236	(398,575)
მოგება მეკავშირე საწარმოებიდან	789	-	-	-	-	789
საოპერაციო შემოსავალი რისკის ხარჯამდე	**439,755**	**211,730**	**23,461**	**(559)**	**-**	**674,387**
რისკის ხარჯი	(89,824)	(7,936)	(2,692)	-	-	(100,452)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი არარეგულარულ მუხლებამდე	**349,931**	**203,794**	**20,769**	**(559)**	**-**	**573,935**
წმინდა არარეგულარული ხარჯი/ზარალი	(3,110)	(1,372)	(109)	-	-	(4,591)
დასაბეგრი მოგება	**346,821**	**202,422**	**20,660**	**(559)**	**-**	**569,344**
მოგების გადასახადის ხარჯი	(34,025)	(19,028)	(3,404)	-	-	(56,457)
მოგება პერიოდის განმავლობაში	**312,796**	**183,394**	**17,256**	**(559)**	**-**	**512,887**
აქტივები და ვალდებულებები						
სულ აქტივები	11,254,762	6,136,536	943,070	1,280	(12,425)	18,323,223
სულ ვალდებულებები	10,115,832	5,308,522	833,874	23	(12,425)	16,245,826
სხვა ინფორმაცია სეგმენტების შესახებ						
ძირითადი საშუალებები	69,472	9,829	1,150	10	-	80,461
არამატერიალური აქტივები	27,947	2,744	2,083	-	-	32,774
კაპიტალური დანახარჯები	**97,419**	**12,573**	**3,233**	**10**	**-**	**113,235**
ცვეთა და ამორტიზაცია	(61,493)	(8,239)	(3,543)	-	-	(73,275)

(ათას ლარში)

6. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

ქვედა ცხრილებში მოცემულია ინფორმაცია ჯგუფის გარკვეული საოპერაციო სეგმენტების მოგება-ზარალის ანგარიშგებისა და გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის:

	საცალო საბანკო მომსახურება	*კორპორატიული საინვესტიციო საბანკო საქმიანობა*	*ბელარუსის ეროვნული ბანკი*	*სხვა*	*გაქვითვები*	*ჯგუფი სულ*
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	547,524	158,198	25,794	10	18	731,544
წმინდა საკომისიო შემოსავალი	98,497	23,222	7,805	-	-	129,524
წმინდა სავალუტო შემოსულობა (ზარალი)	55,374	53,686	16,605	(5)	-	125,660
სხვა შემოსავალი (ხარჯი), წმინდა	199	4,182	795	5	(195)	4,986
საოპერაციო შემოსავალი	**701,594**	**239,288**	**50,999**	**10**	**(177)**	**991,714**
საოპერაციო ხარჯები	(251,811)	(75,396)	(29,252)	(259)	177	(356,541)
მოგება მეკავშირე საწარმოებიდან	1,339	-	-	-	-	1,339
საოპერაციო შემოსავალი რისკის ხარჯამდე	**451,122**	**163,892**	**21,747**	**(249)**	**-**	**636,512**
რისკის ხარჯი	(130,742)	(26,527)	(3,070)	-	-	(160,339)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი არარეგულარულ მუხლებამდე	**320,380**	**137,365**	**18,677**	**(249)**	**-**	**476,173**
წმინდა არარეგულარული ხარჯი/ზარალი	(50,339)	(25,011)	(716)	-	-	(76,066)
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	**270,041**	**112,354**	**17,961**	**(249)**	**-**	**400,107**
მოგების გადასახადის ხარჯი	(36,735)	(16,298)	(3,545)	(1)	-	(56,579)
პერიოდის მოგება (ზარალი)	**233,306**	**96,056**	**14,416**	**(250)**	**-**	**343,528**
აქტივები და ვალდებულებები						
სულ აქტივები	9,490,405	4,362,272	680,550	1,874	(11,514)	14,523,587
სულ ვალდებულებები	8,410,833	3,797,762	595,287	191	(11,514)	12,792,559
სხვა ინფორმაცია სეგმენტების შესახებ						
ძირითადი საშუალებები	48,160	6,141	1,841	48	-	56,190
არამატერიალური აქტივები	36,223	3,000	1,343	67	-	40,633
კაპიტალური დანახარჯები	**84,383**	**9,141**	**3,184**	**115**	**-**	**96,823**
ცვეთა და ამორტიზაცია	(36,216)	(4,834)	(1,363)	-	-	(42,413)

(ათას ლარში)

6. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

ქვედა ცხრილებში მოცემულია ინფორმაცია ჯგუფის გარკვეული საოპერაციო სეგმენტების მოგება-ზარალის ანგარიშგებისა და გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის:

	საცალო საბანკო მომსახურება	*კორპორატიული საინვესტიციო საბანკო საქმიანობა*	*ბელარუსის ეროვნული ბანკი*	*სხვა*	*გაქვითვები*	*ჯგუფი სულ*
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	480,241	134,866	29,397	9	34	644,547
წმინდა საკომისიო შემოსავალი	83,418	23,516	9,336	-	-	116,270
წმინდა სავალუტო შემოსულობა (ზარალი)	27,940	46,948	10,852	-	-	85,740
სხვა შემოსავალი (ხარჯი), წმინდა	3,881	8,726	1,774	-	(195)	14,186
საოპერაციო შემოსავალი	**595,480**	**214,056**	**51,359**	**9**	**(161)**	**860,743**
საოპერაციო ხარჯები	(224,892)	(71,007)	(27,063)	(568)	161	(323,369)
მოგება მეკავშირე საწარმოებიდან	1,311	-	-	-	-	1,311
საოპერაციო შემოსავალი რისკის ხარჯამდე	**371,899**	**143,049**	**24,296**	**(559)**	**-**	**538,685**
რისკის ხარჯი	(110,562)	(48,694)	(9,093)	-	-	(168,349)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი არარეგულარულ მუხლებამდე	**261,337**	**94,355**	**15,203**	**(559)**	**-**	**370,336**
წმინდა არარეგულარული ხარჯი/ზარალი	(2,584)	(945)	(60)	-	-	(3,589)
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	**258,753**	**93,410**	**15,143**	**(559)**	**-**	**366,747**
მოგების გადასახადის ხარჯი	(18,870)	(6,713)	(2,257)	-	-	(27,840)
პერიოდის მოგება (ზარალი)	**239,883**	**86,697**	**12,886**	**(559)**	**-**	**338,907**
აქტივები და ვალდებულებები						
სულ აქტივები	7,707,139	4,303,895	624,835	1,953	(17,106)	12,620,716
სულ ვალდებულებები	6,877,763	3,732,620	545,315	205	(17,106)	11,138,797
სხვა ინფორმაცია სეგმენტების შესახებ						
ძირითადი საშუალებები	41,915	6,099	1,464	-	-	49,478
არამატერიალური აქტივები	18,819	2,750	999	-	-	22,568
კაპიტალური დანახარჯები	**60,734**	**8,849**	**2,463**	**-**	**-**	**72,046**
ცვეთა და ამორტიზაცია	(32,407)	(4,909)	(1,098)	-	-	(38,414)

(ათას ლარში)

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2019	*2018*	*2017*
ნაღდი ფული სალაროში	674,130	513,222	464,877
მიმდინარე ანგარიშები ცენტრალურ ბანკებში, სავალდებულო რეზერვების გარდა	405,560	298,788	91,692
მიმდინარე ანგარიშები საკრედიტო დაწესებულებებში	458,529	236,653	181,131
90-დღემდე ვადის მქონე ანაბრები საკრედიტო დაწესებულებებში	621,120	172,003	763,954
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**2,159,339**	**1,220,666**	**1,501,654**
გამოკლებული - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(134)	(142)	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**2,159,205**	**1,220,524**	**1,501,654**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 841,866 ლარი (2018 წ.: 315,081 ლარი, 2017 წ.: 929,676 ლარი) იყო განთავსებული მიმდინარე და ვადიან ანაბრებზე ეთგოს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ და ცენტრალურ ბანკებში, რომლებიც კონტაჰენტებად გამოდიან ჯგუფის მიერ განხორციელებულ საერთაშორისო ანგარიშსწორების ოპერაციებში. ჯგუფმა მიიღო 2.20%-მდე წლიური პროცენტი ამ ანაბრებზე (2018 წ.:: 3.00%-მდე, 2017 წ.: 2.00%-მდე). ხელმძღვანელობა არ მოელის ზარალს, რომელიც გამოწვეულია ისეთი კონტრაჰენტების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ამასთან, მათი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

8. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

	2019	*2018*	*2017*
სავალდებულო რეზერვები ცენტრალურ ბანკებში	1,577,911	1,244,885	1,000,565
ბანკთაშორის გაცემულ სესხებზე მისაღები თანხები	30,414	17,586	6,551
ღია ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ანაბრები	5,691	-	-
ვადიანი ანაბრები 90 დღეზე მეტი ვადით	5	43,459	209,227
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	**1,614,021**	**1,305,930**	**1,216,343**
გამოკლებული - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(347)	(739)	-
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	**1,613,674**	**1,305,191**	**1,216,343**

ცენტრალურ ბანკებში განთავსებული სავალდებულო რეზერვები წარმოადგენს სებ-ში და ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნულ ბანკში განთავსებულ თანხებს. საკრედიტო დაწესებულებებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში და ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნულ ბანკში დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) გახსნა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია საკრედიტო დაწესებულებების მიერ მოზიდული თანხების მოცულობაზე. ნორმატიული აქტის შესაბამისად, ჯგუფს შეზღუდული აქვს დეპოზიტზე არსებული თანხების გამოტანის უფლება. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის ჯგუფმა საქართველოს ეროვნულ ბანკში და ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნულ ბანკში განთავსებულ სავალდებულო რეზერვებზე 1.25%-მდე პროცენტი მიიღო (2018 წ.: 1.00%, 2017 წ.: 1.00%).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არცერთი ბანკთაშორისი სასესხო მოთხოვნები არ მოიცავდა არა-ეთგოს ბანკებში განთავსებულ ანაბრებს (2018 წ.: 17,586 ლარი, 2017 წ.: 6,551 ლარი).

(ათას ლარში)

9. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

	2019	*2018*	*2017*
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - სავალო ინსტრუმენტები	1,758,235	1,932,087	n/a
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც განიხილება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულად, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - წილობრივი ინსტრუმენტები	2,788	466	n/a
გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	n/a	n/a	1,613,759
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	**1,761,023**	**1,932,553**	**1,613,759**

	2019	*2018*	*2017*
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები*	647,886	899,024	n/a
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები**	120,519	100,111	n/a
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები უცხოურ ვალუტაში	66,961	7,762	n/a
ცენტრალური ბანკების სადეპოზიტო სერტიფიკატები	8,912	63,394	n/a
სხვა სავალო ინსტრუმენტები***	913,957	861,796	n/a
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - სავალო ინსტრუმენტები	**1,758,235**	**1,932,087**	**n/a**

	2019	*2018*	*2017*
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები*	n/a	n/a	847,839
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები**	n/a	n/a	77,460
ცენტრალური ბანკების სადეპოზიტო სერტიფიკატები	n/a	n/a	73,415
სხვა სავალო ინსტრუმენტები***	n/a	n/a	614,844
კორპორაციული აქციები	n/a	n/a	201
გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	**n/a**	**n/a**	**1,613,759**

** სებ-ისგან მიღებული მოკლევადიანი სესხები უზრუნველყოფილი იყო 576,017 ლარით (2018 წ.: 573,517 ლარით, 2017 წ.: 448,558 ლარით).*

*** სებ-ისგან მიღებული მოკლევადიანი სესხები უზრუნველყოფილი იყო 74,564 ლარით (2018 წ.: ნული, 2017 წ.: ნული).*

**** სებ-ისგან მიღებული მოკლევადიანი სესხები უზრუნველყოფილი იყო 684,546 ლარით (2018 წ.: 674,616 ლარით, 2017 წ.: 475,735 ლარით).*

სხვა სავალო ინსტრუმენტები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ძირითადად მოიცავდა ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის მიერ გამოშვებულ 309,351 ლარის ობლიგაციებს (2018 წ.: 249,659 ლარი, 2017 წ.: 268,057 ლარი), ნიდერლანდების განვითარების საფინანსო კომპანიის მიერ გამოშვებულ 156,494 ლარის ობლიგაციებს, რომლებიც ლარშია გამოხატული (2018 წ.: 163,454 ლარი, 2017 წ.: ნული), შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის მიერ გამოშვებულ 150,865 ლარის ობლიგაციებს, რომლებიც ლარშია გამოხატული (2018 წ.: 136,504 ლარი, 2017 წ.: 60,625 ლარი), საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ გამოშვებულ 208,948 ლარის ობლიგაციებს, რომლებიც ლარშია გამოხატული (2018 წ.: 110,545 ლარი, 2017 წ.: 110,862 ლარი), აზიის განვითარების ბანკის მიერ გამოშვებულ 58,863 ლარის ობლიგაციებს, რომლებიც ლარშია გამოხატული (2018 წ.: 65,145 ლარი, 2017 წ.: 65,245 ლარი), და საერთაშორისოდ აღიარებული საინვესტიციო ბანკის ნულოვან ობლიგაციებს, რომლებიც აშშ დოლარშია გამოხატული (2018 წ.: ნული, 2017 წ.: 26,666).

(ათას ლარში)

9. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები (გაგრძელება)

2019 წლის განმავლობაში სებ-ის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, რომელიც ერთ-ერთი უმთავრესი ცვლადია ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების შეფასებაში, 2018 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელთან შედარებით, 200 საბაზისო პუნქტით გაიზარდა და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის 9.0% შეადგინა. ამან 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილ სავალო ინსტრუმენტებში (რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით) განხორციელებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულების წმინდა ცვლილების მნიშვნელოვანი მოძრაობა გამოიწვია.

10. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები

	2019	*2018*	*2017*
კომერციული სესხები	3,929,443	2,794,818	2,412,513
იპოთეკური სესხები	3,066,683	2,549,453	1,712,515
მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხები	2,660,220	2,129,215	1,776,044
სამომხმარებლო სესხები	2,085,108	1,876,888	1,751,106
სალომბარდო სესხები	85,540	80,771	67,940
მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით, მთლიანი	**11,826,994**	**9,431,145**	**7,720,118**
გამოკლებული - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(217,134)	(310,264)	(274,540)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით, წმინდა	**11,609,860**	**9,120,881**	**7,445,578**
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები, მთლიანი	**159,191**	**110,087**	**67,686**
გამოკლებული - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(2,297)	(1,648)	(2,380)
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები, წმინდა	**156,894**	**108,439**	**65,306**
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები, სულ	**11,766,754**	**9,229,320**	**7,510,884**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომხმარებლებზე გაცემული 577,246 ლარის საბალანსო ღირებულების სესხებით (2018 წ.: 357,342 ლარი, 2017 წ.: 333,944 ლარი) იყო უზრუნველყოფილი სებ-ისგან მიღებული მოკლევადიანი სესხები.

(ათას ლარში)

10. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხებისა და სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის / გაუფასურების რეზერვის მოძრაობა სეგმენტების მიხედვით, სადაც შექმნილ ან შეძენილ ახალ ფინანსურ აქტივებში და წლის განმავლობაში დაფარულ აქტივებში შედის განახლებადი სესხებისა და კლიენტების დავალიანების ზრდის ეფექტი, როცა არსებული სესხები გადაიფარება წლის განმავლობაში გაფორმებული ახალი ხელშეკრულებებით: ყველა ახალი ფინანსური აქტივი წარმოიქმნება ან პირველ სტადიაზე, ან „შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებულის“ კატეგორიაში. არსებულ ფინანსურ აქტივებზე დამატებითი ტრანშებს ათვისება ასახულია მეორე და მესამე სტადიებში, თუ მსესხებლის საკრედიტო რისკი გაუარესებულია. საკურსო სხვაობები უკავშირდება ჯგუფის იმ შვილობილი კომპანიების მიერ გაცემულ სესხებს, რომელთა სამუშაო ვალუტა განსხვავდება ჯგუფის წარსადგენი ვალუტისგან, ხოლო სავალუტო კურსის მოძრაობა უკავშირდება ჯგუფის მიერ გაცემულ სესხებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია გამოხატული. წმინდა სხვა ცვლილებები მთლიან სასესხო ნაშთებში მოიცავს დარიცხულ პროცენტში მომხდარი ცვლილებების ეფექტებს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის წმინდა სხვა შეფასება მოიცავს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებების ეფექტს, რომელიც გამოწვეულია დეფოლტის ალბათობების და სხვა ამოსავალი მონაცემების ცვლილებით, ასევე დარიცხული პროცენტის ცვლილებებისთვის მისაკუთვნებელი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ეფექტით.

(ათას ლარში)

10. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (გაგრძელება)

	31 დეკემბერი, 2019 წ.				
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული კომერციული სესხები, მთლიანი:	*პირველი ეტაპი*	*მეორე ეტაპი*	*მესამე ეტაპი*	*შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებული*	*სულ*
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**2,217,533**	**327,829**	**242,419**	**7,037**	**2,794,818**
შექმნილი ან შეძენილი ახალი ფინანსური აქტივი	4,159,399	163,280	6,632	-	4,329,311
გადატანა 1-ელ ეტაპზე	571,826	(571,826)	-	-	-
გადატანა მე-2 ეტაპზე	(858,838)	883,222	(24,384)	-	-
გადატანა მე-3 ეტაპზე	(10,482)	(47,956)	58,438	-	-
აქტივები, რომელთა აღიარება შეწყვეტილია გადაცემის ხელშეკრულების გამო	(60,246)	(17,550)	-	-	(77,796)
გადახდილი აქტივები	(2,926,575)	(437,483)	(60,747)	(257)	(3,425,062)
ხელახალი სეგმენტაცია	190,519	3,134	2,608	-	196,261
მოდიფიკაციების გავლენა	-	4	(233)	-	(229)
ჩამოწერა	-	-	(97,392)	-	(97,392)
ჩამოწერილი თანხების აღდგენა	-	-	9,980	-	9,980
დისკონტის ამორტიზაცია	-	-	2,635	(143)	2,492
საკურსო სხვაობები	21,608	2,433	1,546	-	25,587
სავალუტო კურსის მოძრაობა	80,611	27,417	12,033	483	120,544
სხვა წმინდა ცვლილებები	25,189	16,990	8,209	541	50,929
ნაშთი 31 დეკემბერი, 2019 წ.	**3,410,544**	**349,494**	**161,744**	**7,661**	**3,929,443**
ინდივიდუალურად შეფასებული	-	-	157,060	-	157,060
კოლექტიურად შეფასებული	3,410,544	349,494	4,684	7,661	3,772,383
ნაშთი 31 დეკემბერი, 2019 წ.	**3,410,544**	**349,494**	**161,744**	**7,661**	**3,929,443**

	31 დეკემბერი, 2019 წ.				
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული კომერციული სესხები, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი:	*პირველი ეტაპი*	*მეორე ეტაპი*	*მესამე ეტაპი*	*შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებული*	*სულ*
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**4,541**	**5,552**	**156,383**	**524**	**167,000**
შექმნილი ან შეძენილი ახალი ფინანსური აქტივი	12,672	282	887	-	13,841
გადატანა 1-ელ ეტაპზე	1,238	(1,238)	-	-	-
გადატანა მე-2 ეტაპზე	(2,980)	5,450	(2,470)	-	-
გადატანა მე-3 ეტაპზე	(3,491)	(1,691)	5,182	-	-
წლის განმავლობაში ეტაპებს შორის გადატანილი დავალიანებების გავლენა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	374	322	9,643	-	10,339
აქტივები, რომელთა აღიარება შეწყვეტილია გადაცემის ხელშეკრულების გამო	(439)	-	-	-	(439)
გადახდილი აქტივები	(3,519)	(4,576)	(28,000)	-	(36,095)
ხელახალი სეგმენტაცია	274	6	-	-	280
მოდიფიკაციების გავლენა	-	-	6	-	6
ჩამოწერა	-	-	(97,392)	-	(97,392)
ჩამოწერილი თანხების აღდგენა	-	-	9,980	-	9,980
დისკონტის ამორტიზაცია	-	-	2,635	(143)	2,492
საკურსო სხვაობები	209	188	509	-	906
სავალუტო კურსის მოძრაობა	(65)	18	10,358	49	10,360
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სხვა წმინდა შეფასება	88	(899)	10,274	(129)	9,334
ნაშთი 31 დეკემბერი, 2019 წ.	**8,902**	**3,414**	**77,995**	**301**	**90,612**
ინდივიდუალურად შეფასებული	-	-	77,632	-	77,632
კოლექტიურად შეფასებული	8,902	3,414	363	301	12,980
ნაშთი 31 დეკემბერი, 2019 წ.	**8,902**	**3,414**	**77,995**	**301**	**90,612**

(ათას ლარში)

10. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (გაგრძელება)

	31 დეკემბერი, 2019 წ.				
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სამომხმარებლო სესხები, მთლიანი:	*პირველი ეტაპი*	*მეორე ეტაპი*	*მესამე ეტაპი*	*შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებული*	*სულ*
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**1,650,080**	**101,146**	**121,191**	**4,471**	**1,876,888**
შექმნილი ან შეძენილი ახალი ფინანსური აქტივი	2,053,009	9,012	2,534	9,421	2,073,976
გადატანა 1-ელ ეტაპზე	225,501	(163,946)	(61,555)	-	-
გადატანა მე-2 ეტაპზე	(321,349)	359,360	(38,011)	-	-
გადატანა მე-3 ეტაპზე	(219,354)	(117,177)	336,531	-	-
გადახდილი აქტივები	(1,560,409)	(77,936)	(199,564)	(4,323)	(1,842,232)
ხელახალი სეგმენტაცია	(100)	(272)	138	-	(234)
მოდიფიკაციების გავლენა	-	-	(3,270)	(62)	(3,332)
ჩამოწერა	-	-	(86,364)	-	(86,364)
ჩამოწერილი თანხების აღდგენა	-	-	18,121	-	18,121
დისკონტის ამორტიზაცია	-	-	3,859	15	3,874
საკურსო სხვაობები	6,578	29	32	-	6,639
სავალუტო კურსის მოძრაობა	16,513	1,232	1,566	86	19,397
სხვა წმინდა ცვლილებები	6,326	(1,290)	13,206	133	18,375
ნაშთი 31 დეკემბერი, 2019 წ.	**1,856,795**	**110,158**	**108,414**	**9,741**	**2,085,108**
ინდივიდუალურად შეფასებული	-	-	2,023	-	2,023
კოლექტიურად შეფასებული	1,856,795	110,158	106,391	9,741	2,083,085
ნაშთი 31 დეკემბერი, 2019 წ.	**1,856,795**	**110,158**	**108,414**	**9,741**	**2,085,108**

	31 დეკემბერი, 2019 წ.				
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სამომხმარებლო სესხები, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი:	*პირველი ეტაპი*	*მეორე ეტაპი*	*მესამე ეტაპი*	*შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებული*	*სულ*
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**19,654**	**9,355**	**62,143**	**389**	**91,541**
შექმნილი ან შეძენილი ახალი ფინანსური აქტივი	64,876	1,384	1,337	42	67,639
გადატანა 1-ელ ეტაპზე	33,555	(9,958)	(23,597)	-	-
გადატანა მე-2 ეტაპზე	(9,492)	27,018	(17,526)	-	-
გადატანა მე-3 ეტაპზე	(55,580)	(9,651)	65,231	-	-
წლის განმავლობაში ეტაპებს შორის გადატანილი დავალიანებების გავლენა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(25,472)	(13,980)	38,527	-	(925)
გადახდილი აქტივები	(11,730)	(6,557)	(64,332)	(311)	(82,930)
ხელახალი სეგმენტაცია	-	-	-	-	-
მოდიფიკაციების გავლენა	-	-	(895)	(5)	(900)
ჩამოწერა	-	-	(86,364)	-	(86,364)
ჩამოწერილი თანხების აღდგენა	-	-	18,121	-	18,121
დისკონტის ამორტიზაცია	-	-	3,859	15	3,874
საკურსო სხვაობები	17	10	(358)	-	(331)
სავალუტო კურსის მოძრაობა	53	22	242	17	334
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სხვა წმინდა შეფასება	942	8,702	52,937	67	62,648
ნაშთი 31 დეკემბერი, 2019 წ.	**16,823**	**6,345**	**49,325**	**214**	**72,707**
ინდივიდუალურად შეფასებული	-	-	248	-	248
კოლექტიურად შეფასებული	16,823	6,345	49,077	214	72,459
ნაშთი 31 დეკემბერი, 2019 წ.	**16,823**	**6,345**	**49,325**	**214**	**72,707**

(ათას ლარში)

10. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული მიკრო, მცირე და საშუალო სესხები, მთლიანი:	*31 დეკემბერი, 2019 წ.*				
საცალო და კორპორაციული საბანკო მომსახურების ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის შემდეგი დამატებითი დაშვებები გაკეთდა:

- სესხებისა და ანაბრების სტაბილური, ორგანული ზრდა;
- თვითღირებულებაში / შემოსავლების სტრუქტურაში ან კოეფიციენტში არსებითი ცვლილებების გარეშე; და
- ვაჭრობის დაფინანსების ან სხვა დოკუმენტური საქმიანობების სტაბილური, ორგანული ზრდა.

მგრძნობიაროაბა დაშვებებში ცვლილებების მიმართ

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფულადი სახსრების წარმომქმნელი თითოეული ერთეულის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებულ ძირითად დაშვებებში გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილებები არ გამოიწვევს გუდვილის გაუფასურებას. გამოყენების ღირებულების ნამეტი საბალანსო ღირებულებაზე განისაზღვრება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული წმინდა საბალანსო ღირებულების საფუძველზე. შესაძლო ცვლილებად მიჩნეული იქნა +/-1% დისკონტირების განაკვეთსა და ზრდის ტემპში.

(ათას ლარში)

14. გადასახადით დაბეგვრა

მოგების გადასახადის კრედიტი (ხარჯი) მოიცავს შემდეგს:

	2019	*2018*	*2017*
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	(48,340)	(37,896)	(38,024)
გადავადებული მოგების გადასახადის კრედიტი (ხარჯი)	(8,117)	(18,683)	10,184
მოგების გადასახადის (ხარჯი) კრედიტი	**(56,457)**	**(56,579)**	**(27,840)**

2019 წლის, 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში სხვა სრული შემოსავალში პირდაპირ შესულ მუხლებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი:

	2019	*2018*	*2017*
საკურსო სხვაობები	-	-	(578)
წმინდა ზარალი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან	-	(265)	27
შენობების გადაფასება	-	-	(781)
მოგების გადასახადის ხარჯი სხვა სრულ შემოსავალში	**-**	**(265)**	**(1,332)**

ჯგუფის შემოსავლის დიდ ნაწილზე ვრცელდება მოგების გადასახადის განაკვეთი, რომლითაც იბეგრება შვილობილი კომპანიების შემოსავალი, და მერყეობს 15%-დან 25%-მდე (2018 წ.: 15%-დან 25%-მდე, 2017 წ.: 15%-დან 25%-მდე).

2018 წლის 12 ივნისს ფინანსური დაწესებულებების, მათ შორის ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების, მოგების გადასახადით დაბეგვრის არსებულ მოდელში ცვლილება შევიდა. ცვლილების მიხედვით, გაუნაწილებელი მოგება დაიბეგრება ნულოვანი საგადასახადო განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგება 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით 2023 წლის 1 იანვრიდან, ნაცვლად 2019 წლის 1 იანვრისა, რომელიც ძალაში 2016 წელს შევიდა. ცვლილებამ მაშინვე მოახდინა გავლენა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც მიკუთვნებადია წინა პერიოდებთან დაკავშირებით აღიარებული დროებითი სხვაობებისთვის. 2018 წლის 30 ივნისისთვის გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები ხელახლა შეფასდა ცვლილების დანერგვის ახალი თარიღის შესაბამისად. ჯგუფმა გამოითვალა გადავადებული გადასახადების ის ნაწილი, რომლის გამოყენებას აპირებს 2023 წლის 1 იანვრამდე ფინანსური საქმიანობისთვის და აღიარა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შესაბამისი ნაწილი. გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ჯგუფი გააგრძელებს ამავე პერიოდში მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახული გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების მხოლოდ იმ ნაწილის აღიარებას, რომლის გამოყენებასაც 2023 წლის 1 იანვრამდე მოელის.

მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოგების გადასახადის განაკვეთისგან. ქვემოთ მოცემულია 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ტარიფის მიხედვით გამოთვლილი მოგების გადასახადის ხარჯის და რეალური ხარჯის შედარება:

	2019	*2018*	*2017*
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე	**569,344**	**400,107**	**366,747**
საშუალო საგადასახადო განაკვეთი	15%	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი საშუალო საგადასახადო განაკვეთის შემთხვევაში	**(85,402)**	**(60,016)**	**(55,012)**
გადასახადი თითოეულ ქვეყანაში მოგების გადასახადის ადგილობრივი განაკვეთის შემთხვევაში	(308)	(788)	(1,273)
მოგება, რომელიც დაბეგვრას არ ექვემდებარება	29,833	37,670	24,150
წინა წლის დეკლარაციების შესწორება	-	-	4,645
საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების ეფექტი	-	(30,275)	-
გამოუქვითავი ხარჯები	(825)	(4,424)	(350)
სხვა	245	1,254	-
მოგების გადასახადის (ხარჯი) სარგებელი	**(56,457)**	**(56,579)**	**(27,840)**

(ათას ლარში)

14. გადასახადები (გაგრძელება)

საქართველოსა და ბელარუსში მოქმედი გადასახადები მოიცავს მოგების გადასახადს, საშემოსავლო გადასახადს, ქონების გადასახადს, დამატებითი ღირებულების გადასახადს და სხვ. თუმცა მათი რეგულირება ხშირად ბუნდოვანია ან საერთოდ არ ხდება, და არასაკმარისი პრეცედენტი არსებობს. ამის გამო საგადასახადო რისკები საქართველოსა და ბელარუსში ჩვეულებრივ გაცილებით მაღალია, ვიდრე უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემის მქონე ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი არსებითად აკმაყოფილებს იმ საგადასახადო კანონებს, რომლებიც მის საქმიანობას ეხება. ამის მიუხედავად, მაინც არსებობს იმის რისკი, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ამა თუ იმ კანონის სხვაგვარი ინტერპრეტაცია მოახდინონ.

	2019	*2018*	*2017*
მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები	75	19,234	696
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები	207	123	130
მოგების გადასახადი აქტივები	**282**	**19,357**	**826**
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	1,563	679	8,753
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	36,355	28,154	11,342
მოგების გადასახადის ვალდებულებები	**37,918**	**28,833**	**20,095**

(ათას ლარში)

14. გადასახადები (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი მოძრაობა შესაბამის წლებში:

	დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება				*დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება*				*დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება*		
	2016	*მოგება-ზარალის ანგარიშგებაში*	*ფასს 15-ის მიღება*	*სხვა სრულ შემოსავალში*	*2017*	*მოგება-ზარალის ანგარიშგებაში*	*ფასს 9-ის მიღება*	*სხვა სრულ შემოსავალში*	*2018*	*მოგება-ზარალის ანგარიშგებაში*	*2019*
გადასახადის ეფექტი გამოსაქვით დროებით სხვაობებზე:											
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	-	-	-	-	-	26	77	-	103	(40)	63
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	-	-	-	-	-	-	66	66
საინვესტიციო ქონება	490	(284)	-	(18)	188	17	-	-	205	23	228
გაუფასურების რეზერვი და სხვა დანაკარგების ანარიცხები მომდევნო პერიოდებში	6,491	1,292	-	(7)	7,776	(7,159)	-	-	617	(617)	-
გადატანილი საგადასახადო ზარალი	-	-	-	-	-	8	10	-	18	(18)	-
ძირითადი საშუალებები	820	81	-	(179)	722	1,255	-	-	1,977	150	2,127
არამატერიალური აქტივები	-	-	-	-	-	-	-	-	-	199	199
საიჯარო ვალდებულება	-	-	-	-	-	-	-	-	-	8,306	8,306
დარიცხვები და გადავადებული შემოსავალი	-	-	-	-	-	-	-	-	-	1,691	1,691
სხვა აქტივები და ვალდებულებები	2,196	1,824	-	(214)	3,806	3,820	(87)	-	7,539	(4,780)	2,759
გადავადებული საგადასახადო აქტივები	**9,997**	**2,913**	**-**	**(418)**	**12,492**	**(2,033)**	**-**	**-**	**10,459**	**4,980**	**15,439**
გადასახადის ეფექტი დასაბეგრ დროებით სხვაობებზე:											
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	1,230	(470)	-	-	760	1,825	-	-	2,585	(635)	1,950
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	-	-	2,722	-	-	2,722	(411)	2,311
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	-	-	-	2,669	-	-	2,669	(599)	2,070
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	-	-	(26)	83	265	322	(322)	-
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	18,466	(4,423)	-	(262)	13,781	3,463	(1,973)	-	15,271	10,633	25,904
ძირითადი საშუალებები	6,417	(2,668)	-	1,203	4,952	5,468	-	-	10,420	(1,269)	9,151
საინვესტიციო ქონება	-	-	-	-	-	584	-	-	584	(356)	228
გასაყიდად გამიზნული აქტივები	-	-	-	-	-	-	-	-	-	1,227	1,227
გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები	-	-	-	-	-	-	-	-	-	8,465	8,465
არამატერიალური აქტივები	19	(2)	-	(1)	16	(4)	-	-	12	9	21
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	-	-	-	-	-	-	-	-	-	35	35
დარიცხვები და გადავადებული შემოსავალი	-	-	-	-	-	-	-	-	-	225	225
სხვა აქტივები და ვალდებულებები	5,840	292	(1,911)	(26)	4,195	(51)	(239)	-	3,905	(3,905)	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	**31,972**	**(7,271)**	**(1,911)**	**914**	**23,704**	**16,650**	**(2,129)**	**265**	**38,490**	**13,097**	**51,587**
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	**(21,975)**	**10,184**	**1,911**	**(1,332)**	**(11,212)**	**(18,683)**	**2,129**	**(265)**	**(28,031)**	**(8,117)**	**(36,148)**

(ათას ლარში)

15. სხვა აქტივები და სხვა ვალდებულებები

სხვა აქტივებს მიეკუთვნება:

	2019	*2018*	*2017*
წარმოებული ფინანსური აქტივები	34,559	35,557	13,484
ფულადი გადარიცხვების ოპერაციებიდან მისაღები თანხები	33,909	8,866	12,890
ფინანსური იჯარით გადაცემის მიზნით ნაყიდი აქტივები	22,984	13,783	10,477
სხვა დებიტორული დავალიანება	14,064	20,561	10,458
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	12,949	12,371	11,031
ჯგუფის საგადასახადო აქტივები	8,776	4,255	4,377
ამოღებული უზრუნველყოფა	7,164	4,374	52,095
ანგარიშსწორება ოპერაციებზე	144	167	929
სხვა	6,615	22,952	16,349
	141,164	**122,886**	**132,090**
გამოკლებული - სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვი	(8,154)	(4,431)	(21,333)
სხვა აქტივები	**133,010**	**118,455**	**110,757**

სხვა ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	2019	*2018*	*2017*
კრედიტორები	24,462	10,038	18,974
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების მარჟა	12,532	-	-
სხვა საგადასახადო დავალიანება	12,100	7,728	7,346
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	10,836	11,569	3,948
ანარიცხები	6,154	4,582	2,815
მიღებული ავანსები	5,072	8,279	2,761
კრედიტორული დავალიანება	1,852	323	98
გადასახდელი დივიდენდები	1,578	1,304	1,064
სხვა	26,343	18,242	8,308
სხვა ვალდებულებები	**100,929**	**62,065**	**45,314**

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებს, რომლებიც აღრიცხულია აქტივებად და ვალდებულებებად მათ პირობით თანხებთან ერთად. ჯამურად აღრიცხული პირობითი თანხა წარმოადგენს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის შესაბამისი აქტივის ან ვალდებულების, განაკვეთის ან ინდექსის თანხას და საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ფასდება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილება. პირობითი თანხები ასახავს ოპერაციათა მოცულობას წლის ბოლოსთვის და არ მოიცავს საკრედიტო რისკს.

	2019		
	პირობითი თანხა	*სამართლიანი ღირებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით აქტივი*	*ვალდებულება*
სავალუტო ხელშეკრულებები			
ფორვარდები და სვოპები - ადგილობრივ ვალუტაში	797,784	5,620	1,242
ფორვარდები და სვოპები - უცხოურ ვალუტაში	5,482,178	26,373	7,680
საპროცენტო განაკვეთის კონტრაქტები			
ოფციონები - უცხოურ ვალუტაში	8,351	2,566	1,914
სულ წარმოებული აქტივები/ვალდებულებები	**6,288,313**	**34,559**	**10,836**

(ათას ლარში)

15. სხვა აქტივები და სხვა ვალდებულებები (გაგრძელება)

	2018			*2017*		
	პირობითი თანხა	*სამართლიანი ღირებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით აქტივი*	*სამართლიანი ღირებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით ვალდებულება*	*პირობითი თანხა*	*სამართლიანი ღირებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით აქტივი*	*სამართლიანი ღირებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით ვალდებულება*
სავალუტო ხელშეკრულებები						
ფორვარდები და სვოპები - ადგილობრივ ვალუტაში	721,906	3,110	981	370,523	3,039	1,958
ფორვარდები და სვოპები - უცხოურ ვალუტაში	1,920,039	19,811	4,228	227,585	1,576	534
საპროცენტო განაკვეთის კონტრაქტები						
ფორვარდები და სვოპები - უცხოურ ვალუტაში	1,109,990	12,636	6,360	777,660	7,368	-
ოფციონები - უცხოურ ვალუტაში	-	-	-	10,183	1,501	1,456
სულ წარმოებული აქტივები/ვალდებულებები	**3,751,935**	**35,557**	**11,569**	**1,385,951**	**13,484**	**3,948**

16. კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები

კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები მოიცავს შემდეგს:

	2019	*2018*	*2017*
ვადიანი ანაბრები	5,055,089	4,064,347	3,352,379
მიმდინარე ანგარიშები	5,081,606	4,132,204	3,697,021
გამოშვებული მარტივი თამასუქები	-	-	74,466
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	**10,136,695**	**8,196,551**	**7,123,866**
აკრედიტივებისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად ფლობილი (შენიშვნა 19)	**90,346**	**125,393**	**98,399**

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მიერ გამოშვებული მარტივი თამასუქები მოიცავს თამასუქებს, რომლებიც ფინანსური დაწესებულებების კერძო მფლობელობაშია და ფაქტობრივად არის სადეპოზიტო სერთიფიკატების ეკვივალენტური, ფიქსირებული ვადითა და ასევე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების მიმართ ვალდებულებები 828,952 ლარის (8%) ოდენობით ათ უმსხვილეს მეანაბრეზე მოდიოდა (2018 წ.: 966,873 ლარი (12%), 2017 წ.: 1,066,616 ლარი (15%).

კლიენტების ანაბრები და თამასუქები მოიცავს შემდეგი ტიპის მომხმარებლების ანგარიშებს:

	2019	*2018*	*2017*
ფიზიკური პირები	6,449,190	4,827,522	3,866,404
კერძო საწარმოები	3,325,496	2,828,809	2,793,175
სახელმწიფო და სახელმწიფო საკუთრებში მყოფი სუბიექტები	362,009	540,220	464,287
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	**10,136,695**	**8,196,551**	**7,123,866**

(ათას ლარში)

16. კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები (გაგრძელება)

კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები საქმიანობის სფეროს მიხედვით:

	2019	*2018*	*2017*
ფიზიკური პირები	6,449,190	4,827,522	3,866,404
მშენებლობა	632,389	572,628	279,623
ვაჭრობა	533,548	536,833	593,752
სახელმწიფო მომსახურება	320,470	508,410	438,492
ფინანსური შუამავლობა	576,361	471,488	659,464
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	419,570	342,745	257,818
მომსახურება	293,887	304,190	306,061
წარმოება	269,627	178,619	225,336
უძრავი ქონება	125,679	101,020	105,030
ელექტროენერგიის, გაზის მიწოდება და წყალმომარაგება	93,757	95,987	109,780
სასტუმროს ბიზნესი	62,084	40,216	44,241
სხვა	360,133	216,893	237,865
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	**10,136,695**	**8,196,551**	**7,123,866**

17. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა ნასესხები სახსრები

ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე მოიცავს:

	2019	*2018*	*2017*
მოკლევადიანი სესხები საქართველოს ეროვნული ბანკიდან	1,551,953	1,118,957	793,528
საერთაშორისო საკრედიტო დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	1,211,518	895,994	1,087,897
ვადიანი ანაბრები და ბანკთაშორისი სესხები	195,982	196,523	261,173
საკორესპონდენტო ანგარიშები	263,975	118,693	204,512
სხვა ნასესხები სახსრები*	-	-	386,426
	3,223,428	**2,330,167**	**2,733,536**
არაკონვერტირებადი სუბორდინირებული ვალი	461,493	419,181	428,673
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	**3,684,921**	**2,749,348**	**3,162,209**

** სხვა ნასესხები სახსრები წარმოდგენილია სს „ბიჯეოსგან“ ნასესხები აშშ დოლარში გამოხატული ფულადი სახსრებით, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა 2023 წელს იწურებოდა, მაგრამ წინსწრებით დაიფარა 2018 წლის მარტში.*

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფმა 6.50%-მდე გადაიხადა საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებისგან აშშ დოლარში ნასესხებ სახსრებზე (2018 წ.: 6.10%-მდე, 2017 წ.: 6.27%-მდე). 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფმა 11.13%-მდე გადაიხადა აშშ დოლარში აღებულ სუბორდინირებულ სესხზე (2018 წ.: 10.00%-მდე და 2017 წ.: 8.92%-მდე).

საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან ზოგი გრძელვადიანი სესხი აღებულია გარკვეული პირობებით („კრედიტორის პირობები“), რომ ჯგუფი შეინარჩუნებს კაპიტალის ადეკვატურობის გარკვეულ ლიმიტებს, ლიკვიდურობას, სავალუტო პოზიციებს, საკრედიტო რისკების მოცულობას, მოზიდული სახსრების წილს და ა. შ. 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებისგან აღებულ მნიშვნელოვან სესხებზე აკმაყოფილებდა კრედიტორთა ყველა პირობას.

(ათას ლარში)

17. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

2015 წლის მაისში ბანკმა გააფორმა 90 მილიონი აშშ დოლარის სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან. სესხს, რომელშიც 20 მილიონი აშშ დოლარით მონაწილეობს ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის, ათწლიანი ვადა აქვს. სესხი სებ-მა დაამტკიცა, როგორც ბანკის მეორადი კაპიტალი ბაზელ II-ის ჩარჩოს თანახმად და, როგორც ბანკის მეორადი კაპიტალი, დაფარვის ვადის გასვლამდე გაათავისუფლა ბაზელ III-ის ჩარჩოს მოქმედებისგან. სესხი შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას და ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებიც ახასიათებს განვითარების ფინანსურ დაწესებულებასთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, ხოლო გადაუხდელობის (დეფოლტის) ჩვეული შემთხვევების დადგომისას (გადახდისუუნარობის და/ან მოქმედი რეგულაციების მიხედვით ლიკვიდაციის დადგომის გარდა) ვადაზე ადრე დაფარვის ოფციონი მოქმედებს მხოლოდ (1) სესხის ვადიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ; და (ii) მხოლოდ სებ-ის მხრიდან სესხის დაფარვის ასეთ დაჩქარებაზე წინასწარი დასტურის შემთხვევაში.

2019 წლის ივნისში ბანკმა და ევროპულმა ფონდმა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის გააფორმეს 10 მილიონი აშშ დოლარის სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულება ათი წლის ვადით. სუბორდინირებული სესხი, ბაზელ III-ის ჩარჩოს თანახმად, მეორად კაპიტალს წარმოადგენს.

2019 წლის სექტემბერში ბანკმა responsAbility Micro and SME Finance Fund-თან გააფორმა 10 მილიონი აშშ დოლარის სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულება ათი წლის ვადით. სუბორდინირებული სესხი, ბაზელ III-ის ჩარჩოს თანახმად, მეორად კაპიტალს წარმოადგენს.

2019 წლის დეკემბერში ბანკმა ხელი მოაწერა 107 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ათწლიანი სუბორდინირებული სინდიცირებული სესხის ხელშეკრულებას, რომელიც მას გამოუყო FMO-მ - ნიდერლანდების სამეწარმეო განვითარების ბანკმა - სხვა კრედიტორებთან ერთად. სესხის გაცემული ტრანში, 52 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, შევიდა ბანკის მეორად კაპიტალში საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობით, ბაზელ III-ის ჩარჩოს შესაბამისად. მარეგულირებელმა ორგანომ კლასიფიკაცია ოფიციალურად დაამტკიცა 2019 წლის დეკემბერში. დარჩენილი აუთვისებელი ტრანში, სავარაუდოდ, ანალოგიურად აისახება ბანკის მეორად კაპიტალში მას შემდეგ, რაც სებ-ისგან შესაბამისი დამტკიცების შემდეგ. მეორადი კაპიტალის მოქმედი წესების თანახმად, სესხი კრედიტორებს დაფარვის დაჩქარების უფლებას აძლევს სებ-ის რეგულაციებით განსაზღვრული გადახდისუუნარობის ან ლიკვიდაციის დადგომის შემთხვევაში. ვადაზე ადრე დაფარვის სხვა მიზეზები შეიძლება იყოს: (i) თუ სესხი ან მისი ნაწილი ვერ კვალიფიცირდება მეორად კაპიტალად სებ-ის მიერ შესაბამისი სესხის ან მისი ნაწილის გაცემიდან 45 დღეში; და (ii) დაფარვა სებ-ის წინასწარი თანხმობით მხოლოდ კანონდარღვევის ან კონტროლის ცვლილების შემთხვევაში, სესხის ვადიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ.

სუბორდინირებული ვალის ხელშეკრულების დეტალები (მთლიანი სუბორდინირებული ვალის 10%-ზე მეტი, ხელშეკრულების საფუძველზე):

კრედიტის გამცემი	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თავდაპირველი სახელშეკრულებო ღირებულება	საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია	29-ივნ-15	15-ივნ-25	9.4%	აშშ დოლარი	90,000	258,020
FMO - ნიდერლანდების სამეწარმეო განვითარების ბანკი	20-დეკ-19	20-დეკ-29	7.6%	აშშ დოლარი	52,000	144,778

(ათას ლარში)

18. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს შემდეგს:

	2019	*2018*	*2017*
გამოშვებული ევროობლიგაციები და თამასუქები	1,442,298	1,350,921	454,953
დამატებითი პირველადი კაპიტალის გამოშვებული თამასუქები	282,407	-	-
სადეპოზიტო სერთიფიკატები	343,536	323,171	268,552
ადგილობრივი ობლიგაციები	72,540	36,940	26,150
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	**2,140,781**	**1,711,032**	**749,655**

2019 წლის 21 მარტს სს „საქართველოს ბანკმა“ წარმატებით მოახდინა 100 მილიონი აშშ დოლარის 11.125%-იანი დამატებითი პირველადი კაპიტალის უვადო სუბორდინირებული თამასუქების პირველადი შეთავაზება, რომელთა გამოსყიდვა შესაძლებელია 5.25 წლის შემდეგ და აგრეთვე პროცენტის გადახდის ყოველი მომდევნო თარიღით, საქართველოს ეროვნული ბანკის წინასწარი თანხმობის შემთხვევაში (შემდგომში „თამასუქები“). თამასუქები გამოშვებულია აშშ-ის ფასიანი ქაღალდების და ბირჟების კომისიის „დებულება S“-ის თანახმად და გასაყიდი ფასი შეადგენს საემისიო ფასის 100.00%-ს. თამასუქები, ბაზელ III-ის ჩარჩოს თანახმად, კვალიფიცირდება, როგორც ბანკის დამატებითი პირველადი კაპიტალი, სებ-ისგან დამტკიცების პირობით.

ცვლილება ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში

	გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**
შემოსულობა დამატებითი პირველადი კაპიტალის სავალო ინსტრუმენტების გამოშვებიდან	268,160
სხვა მოძრაობა	14,247
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**282,407**

(ათას ლარში)

19. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული

საი-ინვესტი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს ჰქონდა სასამართლო დავა შპს „საი-ინვესტთან“ 7 მილიონი ევროს ოდენობის ანაბარზე გირაოსთან დაკავშირებით, რომლის გამოყენებითაც შემცირდა შპს „სპორტ ინვესტის“ მიერ სს „საქართველოს ბანკისთვის“ გადასახდელი სესხის თანხა. ბანკის ხელმძღვანელობის აზრით ამ სარჩელის გამო არსებითი ზარალის მიღების დაბალი ალბათობა არსებობს, შესაბამისად, ანარიცხები ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ შეუქმნია.

რუსთავის აზოტი

2019 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკს დავა ჰქონდა თბილისის მერიაში ისთ-ვესტ იუნაითიდ ბანკთან (East-West United Bank S.A), აგროქიმთან (Agrochim S.A.) და სისტემა ჰოლდინგ ლიმიტედთან (Systema Holding Limited) (შემდგომში „მოსარჩელეები“) შპს „რუსთავის აზოტის“ დაუფარავი სესხის უზრუნველყოფის საგნის (უძრავ-მოძრავი ქონება და არამატერიალური აქტივები) აუქციონის გზით რეალიზაციის თაობაზე. მოსარჩელეები მოითხოვენ შპს „რუსთავის აზოტის“ კუთვნილ ქონებაზე საკუთრების უფლების აღდგენას და ზიანის ანაზღაურებას დაახლოებით 93.6 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. ანარიცხები არ შექმნილა, რადგან ბანკის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს მოთხოვნა უსაფუძვლოა და ამ სარჩელიდან მნიშვნელოვანი ზარალის მიღება მოსალოდნელი არ არის.

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში შესაძლებელია ჯგუფისა და ბანკის წინააღმდეგ სარჩელები აღიძრას. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის ან ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

პირობითი ფინანსური ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ფინანსური პირობითი ვალდებულებები მოიცავდა შემდეგს:

	2019	*2018*	*2017*
კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული ვალდებულებები			
გაცემული გარანტიები	1,347,841	1,015,567	630,413
გაცემული სესხების აუთვისებელი ნაწილი	281,615	278,253	261,397
აკრედიტივები	54,815	42,009	43,423
	1,684,271	**1,335,829**	**935,233**
გამოკლებული - აკრედიტივებისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად ფლობილი ფულადი სახსრები (შენიშვნა 16)	(90,346)	(125,393)	(98,399)
გამოკლებული - ანარიცხები (შენიშვნა 15)	(6,154)	(4,582)	(2,815)
ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან			
1 წლამდე	1,935	29,377	20,115
1 წელზე გვიან, მაგრამ არაუგვიანეს 5 წლისა	906	74,331	47,558
5 წელზე მეტი	146	28,754	18,486
	2,987	**132,462**	**86,159**
პირობითი ვალდებულებები კაპიტალური დანახარჯებიდან	**4,279**	**6,616**	**2,538**

(ათას ლარში)

20. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2019 წლის, 2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნებადართული საწესდებო კაპიტალი შედგებოდა 43,308,125 გამოშვებული აქციისგან (2018 წ.: 43,308,125 აქცია, 2017 წ.: 43,308,125 აქცია). 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოშვებული და სრულად განაღდებული საწესდებო კაპიტალი შედგებოდა 27,993,660 ჩვეულებრივი აქციისგან (2018 წ.: 27,993,660; 2017 წ.: 27,821,150). თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება ერთი (1) ლარია. ქვემოთ მოცემულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით გამოშვებული აქციები:

	ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა	*ჩვეულებრივი აქციების ღირებულება*
31 დეკემბერი, 2016 წ.	**27,821,150**	**27,821**
31 დეკემბერი, 2017 წ.	**27,821,150**	**27,821**
საწესდებო კაპიტალის გამოშვება	172,510	173
31 დეკემბერი, 2018 წ.	**27,993,660**	**27,994**
31 დეკემბერი, 2019 წ.	**27,993,660**	**27,994**

გამოსყიდული აქციები

ჯგუფის მფლობელობაში არსებული გამოსყიდული აქციების რაოდენობა 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 10,173-ს (2018 წლის 31 დეკემბერი: 8,995; 2017 წლის 31 დეკემბერი: 8,995), რომელთა ნომინალური ღირებულება იყო 10 ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 9 ლარი; 2017 წლის 31 დეკემბერი: 9 ლარი).

დივიდენდები

აქციონერებს ლარში გამოხატული დივიდენდების მიღების უფლება აქვთ.

2019 წლის 14 მაისს სს „საქართველოს ბანკის“ აქციონერთა საერთო კრებამ გამოაცხადა 2018 წლის შუალედური მოგების დივიდენდები, თითო აქციაზე 4.97 ლარის ოდენობით. 2019 წლის 17 ივნისს აქციონერებმა მიიღეს საბოლოო დივიდენდები სულ 139,200 ლარის ოდენობით.

2018 წლის 14 ივნისს სს „საქართველოს ბანკის“ აქციონერთა საერთო კრებამ გამოაცხადა 2017 წლის შუალედური მოგების დივიდენდები, თითო აქციაზე 4.31 ლარის ოდენობით. 2018 წლის 2 ივლისს აქციონერებმა მიიღეს საბოლოო დივიდენდები სულ 120,000 ლარის ოდენობით.

(ათას ლარში)

20. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

შემოსავალი აქციაზე

	2019	*2018*	*2017*
საბაზისო და განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე			
ბანკი ჩვეულებრივი აქციების მფლობელებისთვის განკუთვნილი წლის მოგება	512,887	343,528	338,761
წლის განმავლობაში მიმოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა	27,983,827	27,826,807	27,812,155
შემოსავალი აქციაზე	18.3280	12.3452	12.1803

სხვა რეზერვების ხასიათი და დანიშნულება

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან არარეალიზებული შემოსულობა (ზარალი)
ეს რეზერვი ასახავს საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სამართლიან ღირებულებაში შესულ ცვლილებებს.

არსებულ შვილობილ კომპანიებში წილის გაყიდვიდან/ყიდვიდან ან გაზავებიდან მიღებული არარეალიზებული შემოსულობა (ზარალი)
ეს რეზერვი ასახავს არსებულ შვილობილ კომპანიებში წილის გაყიდვიდან/ყიდვიდან ან გაზავებიდან მიღებულ არარეალიზებულ შემოსულობას (ზარალს)

უცხოური ვალუტის კონვერტაციის რეზერვი
უცხოური ვალუტის კონვერტაცის რეზერვი გამოიყენება იმისათვის, რომ აღრიცხოს უცხოური შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებების გადაანგარიშების შედეგად წარმოშობილი საკურსო სხვაობები.

მოძრაობა ამ ანგარიშზე 2019 წლის 31 დეკემბრით, 2018 წლის 31 დეკემბრით და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში წარმოდგენილია სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებებში.

21. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2019	*2018*	*2017*
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი	**1,388,391**	**1,289,431**	**1,095,921**
მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან	1,233,626	1,128,518	965,614
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან	136,957	136,115	113,276
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებიდან	27,168	28,705	17,031
წმინდა ზარალი ფინანსური აქტივების მოდიფიკაციიდან	(9,360)	(3,907)	-
სხვა საპროცენტო შემოსავალი	**25,610**	**17,947**	**9,464**
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან	25,610	17,947	9,464
საპროცენტო შემოსავალი	**1,414,001**	**1,307,378**	**1,105,385**
კლიენტების ანაბრებსა და თამასუქებზე	(292,149)	(254,680)	(221,410)
საკრედიტო დაწესებულებების წინაშე ვალდებულებებზე	(203,234)	(204,437)	(195,594)
გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე	(164,881)	(110,762)	(43,834)
სავალუტო სვოპების პროცენტის ელემენტი	43,048	-	-
საიჯარო ვალდებულებაზე	(4,914)	-	-
საპროცენტო ხარჯი	**(622,130)**	**(569,879)**	**(460,838)**
ანაბრის დაზღვევის საკომისიო	(8,298)	(5,955)	-
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**783,573**	**731,544**	**644,547**

(ათას ლარში)

22. წმინდა საკომისიო შემოსავალი

	2019	*2018*	*2017*
საანგარიშსწორებო ოპერაციები	216,112	183,184	151,630
გარანტიები და აკრედიტივები	25,793	18,211	17,879
საკასო ოპერაციები	19,074	15,585	15,735
ვალუტის კონვერტაციის ოპერაციები	10,874	1,691	447
საბროკერო მომსახურების ღირებულება	38	-	-
სხვა	6,360	4,649	5,309
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	**278,251**	**223,320**	**191,000**
საანგარიშსწორებო ოპერაციები	(109,925)	(84,224)	(63,813)
საკასო ოპერაციები	(8,531)	(5,133)	(5,157)
გარანტიები და აკრედიტივები	(1,670)	(1,629)	(2,177)
სადაზღვევო ბროკერის მომსახურების ღირებულება	(1,007)	(261)	(211)
ვალუტის კონვერტაციის ოპერაციები	(1,281)	(301)	(27)
სხვა	(3,555)	(2,248)	(3,345)
საკომისიო ხარჯი	**(125,969)**	**(93,796)**	**(74,730)**
წმინდა საკომისიო შემოსავალი	**152,282**	**129,524**	**116,270**

სხვა მომხმარებლებისგან მიღებული შემოსავალი

ჯგუფმა შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარა შემდეგი თანხები, რომლებიც დაკავშირებული იყო მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან:

	2019	**2018**	**2017**
სულ შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	288,594	238,048	193,160

სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

ჯგუფმა აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2019 წ.	**31 დეკემბერი, 2018 წ.**	**31 დეკემბერი, 2017 წ.**
დარიცხვები და გადავადებული შემოსავალი	29,489	23,837	17,730

ჯგუფი არ აკორექტირებს ანაზღაურების დაპირებულ თანხას დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის შესაბამისად, თუ ჯგუფი ხელშეკრულების გაფორმებისას მოელის, რომ მომხმარებლისთვის ჯგუფის მიერ დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემასა და მომხმარებლის მიერ საქონლის ან მომსახურების ღირებულების გადახდას შორის ვადა მაქსიმუმ ერთი წელია.

ჯგუფმა აღიარა 7,222 ლარის შემოსავალი მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში (2018 წ.: 6,873, ლარი, 2017 წ: 5,531 ლარი), რომელიც უკავშირდება მომდევნო პერიოდზე გადატანილ სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ასახულია გადავადებულ შემოსავალში.

(ათას ლარში)

22. წმინდა საკომისიო შემოსავალი (გაგრძელება)

დარჩენილ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე განაწილებული გარიგების ფასი

ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია შემოსავალი, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია მომავალში იმ სახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც საანგარიშგებო თარიღისთვის არ არის დაკმაყოფილებული:

	2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს	2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს	2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს	3-5 წელიწადში	5-10 წელიწადში	სულ
შემოსავალი, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია კლიენტებთან გაფორმებულ აქტიურ კონტრაქტებზე უწყვეტი საქმიანობიდან	27,071	13,913	8,299	5,025	2,690	**56,998**
	2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს	**2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს**	**2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს**	**3-5 წელიწადში**	**5-10 წელიწადში**	**სულ**
შემოსავალი, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია კლიენტებთან გაფორმებულ აქტიურ კონტრაქტებზე უწყვეტი საქმიანობიდან	21,677	9,427	5,533	2,169	152	**38,958**
	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს	**2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს**	**2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს**	**3-5 წელიწადში**	**5-10 წელიწადში**	**სულ**
შემოსავალი, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია კლიენტებთან გაფორმებულ აქტიურ კონტრაქტებზე უწყვეტი საქმიანობიდან	16,773	7,559	3,223	3,618	495	**31,668**

ჯგუფი იყენებს ფასს 15-ის 121-ე მუხლით გათვალისწინებულ პრაქტიკული მიზანშეწონილობის პრინციპს და არ წარმოადგენს ინფორმაციას დარჩენილი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ, რომელთა თავდაპირველი მოსალოდნელი ვადაც მაქსიმუმ ერთი წელია.

(ათას ლარში)

23. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი და სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2019	*2018*	*2017*
ხელფასები და პრემიები	(216,112)	(197,697)	(183,016)
სოციალური გადასახადის ხარჯი	(4,919)	(4,528)	(3,869)
საპენსიო დანახარჯები	(2,626)	-	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	**(223,657)**	**(202,225)**	**(186,885)**

ხელფასები და პრემიები მოიცავს 57,287 ლარის, 48,338 ლარის და 50,393 ლარის დანახარჯებს წილობრივი ანაზღაურების პროგრამის ფარგლებში 2019 წლის 31 დეკემბრით, 2018 წლის 31 დეკემბრითა და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის, შესაბამისად, რომელიც უკავშირდება წილობრივი ანაზღაურების ჯგუფის მასშტაბით დამტკიცებულ სქემას (26-ე და 30-ე შენიშვნები).

თანამშრომლების საშუალო რაოდენობა წელიწადში:	*2019*	*2018*	*2017*
მუდმივ შტატზე:			
ზედა რგოლის ხელმძღვანელობა	13	7	8
საშუალო რგოლის ხელმძღვანელობა	52	58	46
სხვა თანამშრომლები	6,420	6,406	5,907
	6,485	**6,471**	**5,961**
დროებით დასაქმებული:			
ზედა რგოლის ხელმძღვანელობა	-	-	-
საშუალო რგოლის ხელმძღვანელობა	-	-	-
სხვა თანამშრომლები	26	11	47
	26	**11**	**47**
სულ	**6,511**	**6,482**	**6,008**

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	*2018*	*2017*
მარკეტინგი და რეკლამა	(18,292)	(17,166)	(14,575)
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	(13,227)	(12,881)	(12,637)
იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურება	(13,040)	(11,509)	(7,977)
საოპერაციო გადასახადები	(10,502)	(7,177)	(6,824)
კორპორაციული წამახალისებელი ღონისძიებები	(9,546)	(5,830)	(5,239)
იჯარა და ქირა	(7,127)	(26,643)	(24,195)
საოფისე მარაგები	(5,662)	(5,729)	(5,596)
კომუნიკაცია	(5,364)	(5,030)	(5,140)
მგზავრობის ხარჯი	(3,996)	(1,773)	(1,641)
თანამშრომელთა შერჩევა და გადამზადება	(3,195)	(5,928)	(3,386)
დაზღვევა	(2,845)	(2,369)	(2,757)
დაცვა-უსაფრთხოება	(1,650)	(2,841)	(2,211)
ჯარიმები	(260)	(568)	(49)
სხვა	(2,953)	(2,703)	(2,780)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**(97,659)**	**(108,147)**	**(95,007)**

აუდიტორის გასამრჯელო

(ათას ლარში)

23. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი და სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები (გაგრძელება)

აუდიტორების გასამრჯელო შესულია იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯებში ზემოთ და მოიცავს შემდეგს:

	2019	*2018*	*2017*
ბანკის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გასამრჯელო 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	521	797	428
სხვა მარწმუნებელი მომსახურების დანახარჯები	573	186	812
სხვა პროფესიული მომსახურების დანახარჯები	-	779	-
სულ გასამრჯელო	**1,094**	**1,762**	**1,240**

ზედა ცხრილში წარმოდგენილი თანხები ასახავს შპს „იუაისთვის“ და მისი მეკავშირე კომპანიებისთვის გადახდილ გასამრჯელოებს. მშობელი კომპანიისა და ჯგუფის შვილობილი კომპანიების აუდიტში სხვა აუდიტორებისთვის გადახდილი გასამრჯელო, რომლებიც იუაისთან არ არიან დაკავშირებულები, შეადგენდა 193 ლარს (2018 წ.: 24 ლარი, 2017 წ.: 67 ლარი), ხოლო ჯგუფისთვის გაწეულ სხვა მომსახურებაში გადახდილი გასამრჯელო იყო 56 ლარი (2018 წ.: 49 ლარი, 2017 წ.: 207 ლარი).

24. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დარიცხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახული წლისთვის:

	31 დეკემბერი, 2019 წ.							
	პირველი ეტაპი		მეორე ეტაპი		მესამე ეტაპი		შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებული	*სულ*
	ინდივიდუალური	*კოლექტიური*	*ინდივიდუალური*	*კოლექტიური*	*ინდივიდუალური*	*კოლექტიური*		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	(7)	-	-	-	-	-	(7)
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	-	424	-	-	-	-	-	424
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - სავალო ინსტრუმენტები	-	129	-	-	-	-	-	129
მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით	-	(4,787)	-	5,159	72,903	(159,862)	(1,147)	(87,734)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით	-	-	-	-	-	-	-	-
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	-	(249)	-	(32)	228	(832)	-	(885)
ფინანსური გარანტიები	-	(378)	-	(15)	141	138	-	(114)
მომხმარებლებზე გაცემული აკრედიტივი	-	(207)	-	117	(13)	-	-	(103)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	55	-	13	(50)	-	-	18
დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი, 2019 წ.	**-**	**(5,020)**	**-**	**5,242**	**73,209**	**(160,556)**	**(1,147)**	**(88,272)**

(ათას ლარში)

24. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (გაგრძელება)

	31 დეკემბერი, 2018 წ.							
	პირველი ეტაპი		მეორე ეტაპი		მესამე ეტაპი		შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებული	***სულ***
	ინდივიდუალური	***კოლექტიური***	***ინდივიდუალური***	***კოლექტიური***	***ინდივიდუალური***	***კოლექტიური***		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	(62)	-	-	-	-	-	(62)
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	-	(141)	-	-	-	-	-	(141)
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - სავალო ინსტრუმენტები	-	(1,065)	-	-	-	-	-	(1,065)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით	-	17,079	-	4,089	5,165	(170,153)	3,628	(140,192)
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	-	(71)	-	792	(254)	(631)	-	(164)
დებიტორული დავალიანება და სხვა სესხები	-	(6)	-	-	-	-	-	(6)
ფინანსური გარანტიები	-	(1,854)	-	16	291	84	-	(1,463)
მომხმარებლებზე გაცემული აკრედიტივი	-	186	-	15	-	621	-	822
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	(252)	-	(78)	-	-	-	(330)
დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი, 2018 წ.	**-**	**13,814**	**-**	**4,834**	**5,202**	**(170,079)**	**3,628**	**(142,601)**

ქვემოთ მოცემულია 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების ზარალის ინდივიდუალური და კოლექტიური რეზერვების შეჯერება:

	2017		
	ინდივიდუალური გაუფასურება	***კოლექტიური გაუფასურება***	***სულ***
	2017	*2017*	*2017*
1 იანვარი	**171,265**	**77,812**	**249,077**
წლის დანარიცხი	58,823	97,735	156,558
აღდგენები	10,948	41,844	52,792
ჩამოწერა	(49,554)	(101,705)	(151,259)
მომხმარებლებზე გაცემულ გაუფასურებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი	(10,768)	(21,536)	(32,304)
საკურსო სხვაობები	(307)	(17)	(324)
31 დეკემბერი	**180,407**	**94,133**	**274,540**

(ათას ლარში)

25. წმინდა არარეგულარული მუხლები

	2019	*2018*	*2017*
შრომითი საქმიანობის შეწყვეტის გასამრჯელო	(3,985)	(4,401)	(868)
ზარალი შვილობილი კომპანიის გაყიდვიდან	(224)	(1,414)	-
გამოყოფასთან დაკავშირებული ხარჯები*	-	(34,984)	-
სოციალური პასუხისმგებლობის ხარჯი**	-	(11,478)	-
მშობელი კომპანიის სესხის წინსწრებით დაფარვით გამოწვეული ზარალი	-	(10,432)	-
სხვა	(382)	(13,357)	(2,721)
წმინდა არარეგულარული ხარჯი/ზარალი	**(4,591)**	**(76,066)**	**(3,589)**

** გამოყოფასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს: თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ხარჯებს 31,913 ლარის ოდენობით, მათ შორის საინვესტიციო ბიზნესის თანამშრომლების წილობრივი ანაზღაურების დაჩქარებას, მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებულ 1,663 ლარის გამოყოფის დანახარჯებს და გამოყოფასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს 1,408 ლარის ოდენობით.*

*** კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მოიცავს საქართველოში სოფლად ოპტიკურ-ბოჭკოვანი ფართოდიაპაზონიანი ქსელის ინფრასტრუქტურის მხარდასაჭერ ერთჯერად პროექტს.*

26. წილობრივი გადახდა

აღმასრულებელი პირების წილობრივი ანაზღაურების პროგრამა და თანამშრომელთა წილობრივი ანაზღაურების პროგრამა

Sanne Fiduciary Services Limited (შემდგომში „სატრასტო კომპანია“) გამოდის ნდობით აღჭურვილ პირად ჯგუფის „აღმასრულებელი პირების წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაციის სქემაში“ (შემდგომში „EECP“). ჯგუფი სატრასტო კომპანიაში შენატანებს ხორციელებს EECP-ის ფარგლებში გასაცემი კომპენსაციების შესაბამისად. სს „ბიჯეოს“ სამართლებრივი ვალდებულება აქვს გასცეს კომპენსაცია. კომპენსაციის გაცემისას ბანკი გამოდის მშობელი კომპანიისა და საბოლოო მშობელი კომპანიის აგენტად.

2019 წელს ჯგუფმა ჩამოაყალიბა თანამშრომელთა წილობრივი ანაზღაურების სატრასტო კომპანია - Sanne Fiduciary Services (შემდგომში „სატრასტო კომპანია“) გამოდის ნდობით აღჭურვილ პირად ჯგუფის „თანამშრომელთა წილობრივი ანაზღაურების პროგრამაში“.

2019 წელს ჯგუფმა ზემოაღწერილი წილობრივი ანაზღაურების სქემების ფარგლებში 51,302 ლარი გამოჰყო შიდაჯგუფური გადანაწილებისთვის (2018 წ.: 65,420 ლარი, 2017 წ.: 125,270 ლარი).

გამოყოფის შემდეგ საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფის“ ანაზღაურების კომიტეტმა გადაწყვიტა დირექტორთა საბჭოს წევრების პირობით წილობრივ ანაზღაურებაში ცვლილების შეტანა გამოყოფამდე საჯარო სააქციო საზოგადოება „ბიჯეო ჯგუფის“ და ლისტინგის შემდეგ საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფის“ აქციების შედარებითი ფასების საფუძველზე.

2019 წლის მარტში საქართველოს ბანკის ჯგუფის ანაზღაურების კომიტეტმა გადაწყვიტა, დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის გადაეცა საქართველოს ბანკის ჯგუფის 344,000 ჩვეულებრივი აქცია, ხოლო ჯგუფის 33 აღმასრულებელი პირისთვის - საქართველოს ბანკის ჯგუფის 185,670 ჩვეულებრივი აქცია. გადაცემულ აქციებზე მოქმედებს უფლების გადაცემის სამწლიანი ვადა, რომლის ერთადერთი პირობაც, ორივე შემთხვევაში, ამ ხნის განმავლობაში ბანკში უწყვეტი დასაქმებაა. ჯგუფი წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღებად მიიჩნევს 2019 წლის 10 და 20 მარტს. ჯგუფის შეფასებით, 2019 წლის 10 და 20 მარტს გადაცემული აქციების სამართლიანი ღირებულება იყო 56.51 ლარი და 59.04 ლარი ერთ აქციაზე, შესაბამისად.

(ათას ლარში)

26. წილობრივი გადახდა (გაგრძელება)

აღმასრულებელი პირების წილობრივი ანაზღაურების პროგრამა და თანამშრომელთა წილობრივი ანაზღაურების პროგრამა (გაგრძელება)

2018 წლის თებერვალში ბიჯეოს ანაზღაურების კომიტეტმა გადაწყვიტა, დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის გადაეცა საჯარო სააქციო საზოგადოება „ბიჯეო ჯგუფის“ 232,548 ჩვეულებრივი აქცია, ხოლო ჯგუფის 16 აღმასრულებელი პირისთვის - საჯარო სააქციო საზოგადოება „ბიჯეო ჯგუფის“ 79,050 ჩვეულებრივი აქცია. გადაცემულ აქციებზე მოქმედებს უფლების გადაცემის სამწლიანი ვადა, რომლის ერთადერთი პირობაც, ორივე შემთხვევაში, ამ ხნის განმავლობაში ბანკში უწყვეტი დასაქმებაა. ჯგუფი წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღად მიიჩნევს 2018 წლის 14 თებერვალს. ჯგუფის შეფასებით, 2018 წლის 14 თებერვალს გადაცემული აქციების სამართლიანი ღირებულება იყო 114.56 ლარი ერთ აქციაზე.

2017 წლის თებერვალში საჯარო სააქციო საზოგადოება „ბიჯეო ჯგუფის“ ანაზღაურების კომიტეტმა გადაწყვიტა, დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის გადაეცა საჯარო სააქციო საზოგადოება „ბიჯეო ჯგუფის“ 253,950 ჩვეულებრივი აქცია, ხოლო ჯგუფის 19 აღმასრულებელი პირისთვის - საჯარო სააქციო საზოგადოება „ბიჯეო ჯგუფის“ 70,550 ჩვეულებრივი აქცია. დირექტორთა საბჭოსთვის და დანარჩენი 19 აღმასრულებელი პირისთვის გადაცემულ აქციებზე მოქმედებს უფლების გადაცემის ორწლიანი ან სამწლიანი ვადა დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის და სამწლიანი ვადა აღმასრულებელი პირებისთვის. ორივე შემთხვევაში ერთადერთი მოთხოვნა ამ ხნის განმავლობაში უწყვეტი დასაქმებაა. ჯგუფი წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღად მიიჩნევს 2017 წლის 28 თებერვალს. ჯგუფის შეფასებით, 2017 წლის 28 თებერვალს გადაცემული აქციების სამართლიანი ღირებულება იყო 90.01 ლარი ერთ აქციაზე.

2019 წელს დირექტორთა საბჭოს წევრებმა ხელი მოაწერეს ახალ სამწლიან ხელშეკრულებას ფიქსირებული პირობითი წილობრივი ანაზღაურების თაობაზე სულ საქართველოს ბანკის ჯგუფის 915,000 ჩვეულებრივი აქციით. თითოეული აღმასრულებელი პირისთვის განკუთვნილი აქციების მთლიანი რაოდენობა გაიცემა სამ და ხუთ თანაბარ ნაწილად სამი და ხუთი თანმიმდევრული წლის განმავლობაში. აქედან თითოეული განაცემი დაექვემდებარება უფლების გადაცემის ოთხწლიან პერიოდს. ჯგუფი წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღად მიიჩნევს 2019 წლის 9 იანვარს, 2019 წლის 1 მაისს და 2019 წლის 3 მაისს. ჯგუფის შეფასებით, 2019 წლის 9 იანვარს, 2019 წლის 1 მაისს და 2019 წლის 3 მაისს აქციების სამართლიანი ღირებულება, შესაბამისად, შეადგენდა 52.04 ლარს, 60.57 ლარს და 60.14 ლარს.

2018 წელს დირექტორთა საბჭოს წევრებმა ხელი მოაწერეს ახალ სამწლიან ხელშეკრულებას ფიქსირებული პირობითი წილობრივი ანაზღაურების თაობაზე ჯამში საჯარო სააქციო საზოგადოება „ბიჯეო ჯგუფის“ 82,000 ჩვეულებრივი აქციით და საქართველოს ბანკის ჯგუფის 115,000 ჩვეულებრივი აქციით. თითოეული აღმასრულებელი პირისთვის განკუთვნილი აქციების მთლიანი რაოდენობა გაიცემა სამ თანაბარ ნაწილად სამი თანმიმდევრული წლის განმავლობაში 2019 წლის იანვრიდან. აქედან თითოეული განაცემი დაექვემდებარება უფლების გადაცემის ოთხწლიან პერიოდს. ჯგუფი წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღებად მიიჩნევს 2018 წლის 16 თებერვალს, 2018 წლის 23 მარტს და 2018 წლის 10 ივლისს. ჯგუფის შეფასებით, 2018 წლის 16 თებერვალს, 2018 წლის 23 მარტს და 2018 წლის 10 ივლისს აქციების სამართლიანი ღირებულება, შესაბამისად, შეადგენდა 115.03 ლარს, 122.23 ლარს და 60.47 ლარს.

2016 წლის ბოლოს და 2017 წლის განმავლობაში, დირექტორთა საბჭოს ახალმა წევრებმა ხელი მოაწერეს ახალ სამწლიან ხელშეკრულებას ფიქსირებული პირობითი წილობრივი ანაზღაურების თაობაზე სულ საჯარო სააქციო საზოგადოება „ბიჯეოს“ 141,000 ჩვეულებრივი აქციით. თითოეული აღმასრულებელი პირისთვის განკუთვნილი აქციების მთლიანი რაოდენობა გაიცემა სამ თანაბარ ნაწილად სამი თანმიმდევრული წლის განმავლობაში 2018 წლის იანვრიდან. აქედან თითოეული განაცემი დაექვემდებარება უფლების გადაცემის ოთხწლიან პერიოდს. ჯგუფი წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღად მიიჩნევს 2016 წლის 11 და 18 ოქტომბერს და 2017 წლის 1 მარტს. ჯგუფის შეფასებით, 2016 წლის 11 და 18 ოქტომბერს და 2017 წლის 1 მარტს აქციების სამართლიანი ღირებულება, შესაბამისად, შეადგენდა 86.4 ლარს, 87.6 ლარს და 92.2 ლარს.

(ათას ლარში)

26. წილობრივი გადახდა (გაგრძელება)

აღმასრულებელი პირების წილობრივი ანაზღაურების პროგრამა და თანამშრომელთა წილობრივი ანაზღაურების პროგრამა (გაგრძელება)

ბანკი თავის არააღმასრულებელ თანამშრომლებს კომპენსაციის სახით აქციებს გადასცემს. 2019 წლის მარტში, 2018 წლის თებერვალში და 2017 წლის თებერვალში, ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ გადაწყვიტა, შესაბამისად, 256,436, 158,960 და 131,710 ჩვეულებრივი აქციის გადაცემა თავისი ზოგიერთი არააღმასრულებელი თანამშრომლისთვის. ყველა გადაცემულ აქციაზე მოქმედებს უფლების გადაცემის სამწლიანი ვადა და უფლების გადაცემის ერთადერთი პირობა უწყვეტი დასაქმებაა. ჯგუფი ამ წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღებად, შესაბამისი თანმიმდევრობით, მიიჩნევს 2019 წლის 10 მარტს, 2018 წლის 14 თებერვალს და 2017 წლის 28 თებერვალს. ჯგუფის შეფასებით, 2019 წლის 10 მარტს, 2018 წლის 14 თებერვალს და 2017 წლის 28 თებერვალს გადაცემული აქციების სამართლიანი ღირებულება იყო 56.51 ლარი, 114.56 ლარი და 90.01 ლარი ერთ აქციაზე, შესაბამისად.

შეჯამება

შეფასების თარიღისთვის გადაცემული აქციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ბაზარზე არსებული ფასებით.

გადაცემული აქციების საშუალო შეწონილი სამართლიანი ღირებულება წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღისთვის იყო 56.92 ლარი ერთ აქციაზე 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს (2018 წლის 31 დეკემბერი: 106.38 ლარი ერთ აქციაზე; 2017 წლის 31 დეკემბერი: 89.79 ლარი ერთ აქციაზე).

ჯგუფის მთლიანი წილობრივი გადახდის ხარჯი 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა 61,272 ლარს (2018 წლის 31 დეკემბერი: 82,760 ლარი; 2017 წლის 31 დეკემბერი: 50,393 ლარი) და შევიდა „ხელფასებსა და თანამშრომელთა სხვა სარგებელში“, როგორც „ხელფასები და ბონუსები“.

ქვემოთ შეჯამებულია ინფორმაცია წილობრივი გადახდების შესახებ:

	2019	*2018*	*2017*
გაცემული წილობრივი ინსტრუმენტის მთლიანი რაოდენობა	1,701,106	667,558	597,210
- მათ შორის, დირექტორთა საბჭოსთვის	*1,259,000*	*429,548*	*394,950*
საშუალო შეწონილი ღირებულება უფლებების მინიჭების თარიღისთვის ერთ აქციაზე (ლარში, მთლიანი ოდენობით)	56.92	106.38	89.79
ღირებულება წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღისთვის, სულ (ლარი)	**96,832**	**71,012**	**53,626**
წლის განმავლობაში აღიარებული ხარჯები, სულ (ლარი)	**(61,272)**	**(82,760)**	**(50,393)**

**** 2019 წლის განმავლობაში აღიარებული ხარჯი მოიცავს 3,985 ლარის არარეგულარულ ხარჯს. 2018 წლის განმავლობაშია აღიარებული ხარჯი მოიცავს 34,422 ლარის არარეგულარულ ხარჯს.***

(ათას ლარში)

27. რისკის მართვა

შესავალი

ჯგუფის საქმიანობისთვის გარკვეული რისკებია დამახასიათებელი, და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების მეშვეობით. რისკის მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის რენტაბელურობისათვის და ჯგუფის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისი საქმიანობის ფარგლებში. ჯგუფს აქვს საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი თავის მხრივ იყოფა სავაჭრო და არასავაჭრო რისკებად. მისთვის ასევე დამახასიათებელია საოპერაციო რისკები.

რისკების კონტროლის დამოუკიდებელი პროცესი არ მოიცავს ისეთ ბიზნეს რისკებს, როგორებიცაა გარემო პირობების, ტექნოლოგიების და ინდუსტრიის ცვლილებების რისკები. მათი კონტროლი ხდება ჯგუფის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესით.

რისკების მართვის სტრუქტურა

<u>აუდიტის კომიტეტი</u>
აუდიტის კომიტეტი ეხმარება დირექტორთა საბჭოს ჯგუფის ფინანსური და ანგარიშგების პროცესების ზედამხედველობაში. იგი აკონტროლებს ფინანსური ანგარიშგების სისრულეს და პასუხს აგებს მართვის ფუნქციაზე როგორც შიდა აუდიტის, ისე გარე აუდიტორის წინაშე, რის შესახებაც ანგარიშებს წარუდგენს დირექტორთა საბჭოს. ამოწმებს საოპერაციო რისკების, შესაბამისობის, საინფორმაციო ტექნოლოგიების და შიდა უსაფრთხოების (კიბერუსაფრთხოების ჩათვლით) და სხვა დანერგილი პოლიტიკის, პროცედურების და სისტემების გამართულობას და მჭიდროდ თანამშრომლობს რისკის კომიტეტთან რისკის მართვის და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობის შესაფასებლად.

<u>რისკის კომიტეტი</u>
რისკის კომიტეტი დირექტორთა საბჭოს ეხმარება რისკის ზედამხედველობაში. იგი ამოწმებს ჯგუფის ამტანობას რისკების მიმართ სტრატეგიის შესაბამისად, განსაზღვრავს და აკონტროლებს რისკის მოცულობას და რისკის მართვის ინფრასტრუქტურას, ზედამხედველობს რისკის შემცირების სტრატეგიის განხორციელებას და აუდიტის კომიტეტთან ერთად აფასებს რისკის მართვის და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობას.

<u>დირექტორთა საბჭო</u>
დირექტორთა საბჭო პასუხს აგებს ბანკის აქტივების, ვალდებულებების და რისკის მართვაზე, პოლიტიკასა და პროცედურებზე. რისკის მართვის სისტემის ეფექტურად დანერგვის მიზნით, დირექტორთა საბჭო ცალკეული რისკის მართვის ფუნქციის დელეგირებას ახდენს ბანკის სხვადასხვა გადაწყვეტილების მიმღებ და აღმასრულებელ ორგანოზე.

<u>ბანკის აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი</u>
ბანკის აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი („ალკო“) არის რისკის მართვის უმთავრესი ორგანო, რომელიც ადგენს პოლიტიკასა და სახელმძღვანელოებს კაპიტალის ადეკვატურობის, საბაზრო რისკების და შესაბამისი ლიმიტების, დაფინანსების ლიკვიდურობის რისკის და შესაბამისი ლიმიტების, საპროცენტო განაკვეთის და წინასწარ გადახდის რისკების და შესაბამისი ლიმიტების, ფულადი ბაზრების ზოგადი პირობების და საკრედიტო რისკის ლიმიტების შესახებ, შეიმუშავებს და პრაქტიკაში განახორციელებს რისკის მართვის და სტრესული ტესტირების მოდელებს და რეგულარულად აკონტროლებს რისკების წინასწარ დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობას.

(ათას ლარში)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

შესავალი (გაგრძელება)

რისკების მართვის სტრუქტურა (გაგრძელება)

<u>შიდა აუდიტი</u>
შიდა აუდიტის დეპარტამენტი პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვის, შიდა კონტროლის და კორპორაციული მართვის პროცესების ყოველწლიურ აუდიტზე, რომლის მიზანიც არის საოპერაციო და სხვა რისკების დონეების დაწევა, ჯგუფის შიდა კონტროლის სისტემების აუდიტზე და ჯგუფის სხვადასხვა დეპარტამენტისა და სამმართველოს დარღვევების ან შეცდომების გამოვლენაზე. იგი ამოწმებს ჯგუფის ადეკვატურობას და შესაბამისობას ამ პროცესებთან. ჯგუფის შიდა აუდიტის დეპარტამენტი ყველა შეფასების შედეგს განიხილავს ხელმძღვანელობასთან და აუდიტის კომიტეტს შედეგებსა და რეკომენდაციებს მოახსენებს.

რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემა

ჯგუფის რისკები ფასდება ისეთი მეთოდით, რომელიც განიხილავს როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში მოსალოდნელ დანაკარგს, ისე გაუთვალისწინებელ დანაკარგებს, რომელიც წარმოადგენს პროგნოზირების სხვადასხვა მოდელის საფუძველზე ნავარაუდევ რეალურ ზარალს. მეთოდი ალბათობებს იყენებს წარსულში მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომლებიც დაკორექტირებულია ეკონომიკური გარემოს გასათვალისწინებლად. ჯგუფი სამ სხვადასხვა ძირითად სცენარს განიხილავს, საიდანაც ერთი არის საბაზო სცენარი (ანუ პროგნოზი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში), ხოლო დანარჩენი ორი არის პრობლემური და კრიზისული სცენარები, რომლებიც შესაბამისად წარმოადგენენ უფრო ცუდ და ყველაზე ცუდ შემთხვევებს და უკიდურესი და ნაკლებად სავარაუდო მოვლენების დადგომისას არის მოსალოდნელი.

რისკების მონიტორინგი და კონტროლი უმთავრესად ხორციელდება ჯგუფის მიერ დადგენილ ლიმიტებზე დაყრდნობით. ეს ლიმიტები ასახავს ჯგუფის ბიზნეს სტრატეგიას, საბაზრო გარემოს და მისთვის მისაღებ რისკის დონეს, ამავდროულად განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება შერჩეულ დარგებზე. გარდა ამისა, ჯგუფი მონიტორინგს უწევს და აფასებს რისკის დასაშვებ დონეს რისკის ყველა ტიპისა და ღონისძიების გათვალისწინებით.

ყველა საქმიანობიდან მიღებული ინფორმაცია მოწმდება და მუშავდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადრეული რისკების განსაზღვრა, ანალიზი და კონტროლი. ამ ინფორმაციის წარდგენა და განმარტება ხდება დირექტორთა საბჭოსთვის და თითოეული ბიზნესგანყოფილების ხელმძღვანელისთვის. ანგარიშები ასახავს აგრეგირებულ საკრედიტო რისკებს და მათ ლიმიტებს, ამ ლიმიტებიდან გამონაკლისებს, ლიკვიდურობის კოეფიციენტებსა და ლიკვიდურობის ლიმიტებს, საბაზრო რისკის კოეფიციენტებს და მათ ლიმიტებს და ცვლილებებს რისკის პროფილში. წამყვანი ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აფასებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მართებულობას. დირექტორთა საბჭო იღებს საკრედიტო რისკის ამომწურავ ანგარიშს და აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის ანგარიშს. ამ ანგარიშებში ჯგუფის რისკების შეფასებისა და მათზე დასკვნების გამოტანისთვის საჭირო სრული ინფორმაციაა წარმოდგენილი.

რისკების შესახებ სპეციალურად მომზადებული ანგარიშები მზადდება და ვრცელდება ჯგუფის ყველა დონეზე, რათა ყველა განყოფილებას ჰქონდეს წვდომა ამომწურავ, სათანადო და განახლებულ ინფორმაციაზე.

დირექტორთა საბჭოს და ჯგუფის ყველა შესაბამის თანამშრომელს უტარდება ყოველდღიური ბრიფინგი საბაზრო შეზღუდვების, ქონებრივი ინვესტიციებისა და ლიკვიდურობის, ასევე სხვა რისკის წარმოშობის შესახებ.

(ათას ლარში)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

შესავალი (გაგრძელება)

რისკის შემცირება

მთლიანი რისკის მართვისას ჯგუფი იყენებს წარმოებულ და სხვა ინსტრუმენტებს, რომ მართოს საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით გამოწვეული, სავალუტო, კაპიტალის, საკრედიტო რისკები და პროგნოზირებული გარიგებებიდან წარმოშობილი რისკები. მართალია, ამ ინსტრუმენტების მიზანი ჰეჯირებაა, ჰეჯირების აღრიცხვა მათ არ ეხება.

საკრედიტო რისკის შესამცირებლად ჯგუფი აქტიურად იყენებს უზრუნველყოფას (უფრო დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ).

რისკის ჭარბი კონცენტრაცია

კონცენტრაცია წარმოიქმნება, როდესაც მთელი რიგი მონაწილე მხარეები ჩართულნი არიან ანალოგიურ საქმიანობებში, ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ერთეულში საქმიანობენ, ან ეს კონტრაჰენტები წარმოადგენენ ერთმანეთთან დაკავშირებულ მხარეებს, ან აქვთ მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლები, რის გამოც მათ მიერ საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების უნარზე ერთნაირად მოქმედებს ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა პირობების ცვლილებები. კონცენტრაციები ასევე გულისხმობს მნიშვნელოვანი და მსხვილი კრედიტების გაერთიანებულ, აგრეგირებულ რისკებს შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტის მთლიან დაუფარავ ნაშთთან შედარებით. კონცენტრაცია მიგვანიშნებს ჯგუფის საქმიანობის მეტ მგრძნობელობაზე იმ გარემოებების მიმართ, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ კონკრეტულ დარგზე ან გეოგრაფიულ მდებარეობაზე.

რისკების გადაჭარბებული კონცენტრაციის თავიდან აცილების მიზნით ჯგუფის პოლიტიკა და პროცედურები შეიცავს სპეციალურ მითითებებს ფინანსური აქტივების დივერსიფიცირებული პორტფელის შენარჩუნებაზე. გამოვლენის შემდეგ საკრედიტო რისკების ან ლიკვიდურობის/გადაუხდელობის რისკების კონცენტრაცია შესაბამისად იმართება.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი განიცდის ზარალს, თუ მისმა მომხმარებლებმა ვერ შეძლეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით ცალკეული კონტრაჰენტისთვის, ასევე გეოგრაფიული, დარგობრივი, პროდუქტებისა და ვალუტების მიხედვით კონცენტრაციებისთვის, და რისკების ამ ლიმიტებთან დაცვის მონიტორინგით.

ჯგუფმა შეიმუშავა საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი, რათა უზრუნველყოს გარიგებაში მონაწილე მხარეების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული გამოვლენა. მათ შორისაა უზრუნველყოფის რეგულარული შემოწმებაც. გარიგებაში მონაწილე მხარის შეზღუდვები დგინდება საკრედიტო რისკის კლასიფიკაციის სისტემის გამოყენებით, რომელიც თითოეულ მონაწილე მხარეს ანიჭებს რისკის რეიტინგს. რისკის რეიტინგი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებებს.

საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი ჯგუფს საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები. მაქსიმალური საკრედიტო რისკის ლიმიტი უტოლდება შესაბამისი ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებას და წარმოდგენილი გარანტიების და თავდებობების პირობით თანხებს.

(ათას ლარში)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკრედიტო რისკის ლიმიტი ყოველთვის უტოლდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ, დადებითი სამართლიანი ღირებულების მქონე წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს.

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების რისკი

ჯგუფი თავის მომხმარებლებს სთავაზობს გარანტიებს და აკრედიტივებს, რომელთა მიხედვითაც ჯგუფს შესაძლოა მოუხდეს მათი სახელით გადახდა. ასეთი თანხების ამოღება მომხმარებლებისგან ხდება გარანტიისა და აკრედიტივის პირობების მიხედვით. ამ შემთხვევაში, ჯგუფი დგას სესხის გაცემისთვის დამახასიათებელი რისკების წინაშე, ამ რისკების შემცირება ხდება სესხებზე გამოყენებული პოლიტიკისა და კონტროლის პროცესების შესაბამისად.

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით

ჯგუფი ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხს მართავს საკრედიტო რეიტინგების შიდა და გარე სისტემით, რომლთაც გამოითვლება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

კორპორატიული სესხების პორტფელებისთვის ჯგუფს აქვს შიდა რეიტინგის მოდელი, რომელშიც მომხმარებლებს მინიჭებული აქვთ შიდა შეფასებები 1-დან 7-მდე. მოდელები მოიხმარს როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და, უშუალოდ მსესხებლის შესახებ ინფორმაციის გარდა, ასევე გამოიყენებს დამატებით გარე ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მსესხებლის ქცევაზე. ჯგუფის პოლიტიკა ითვალისწინებს მთლიანი საკრედიტო პორტფელის რისკების ზუსტ და სისტემატურ შეფასებას. ეს ამარტივებს არსებული რისკების ეფექტურ მართვასა და საკრედიტო რისკის გავლენის შედარებას საქმიანობის ყველა სფეროს, გეოგრაფიული არეალისა და პროდუქტის მიხედვით. რეიტინგის სისტემა დამყარებულია სხვადასხვა ფინანსურ ანალიზზე, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს აუცილებელ კომპონენტს კონტრაჰენტის რისკის შეფასებისთვის. რისკის ყველა შიდა რეიტინგი მორგებულია სხვადასხვა კატეგორიებზე და მიიღება ჯგუფის სარეიტინგო პოლიტიკაზე დაყრდნობით. რისკის რეიტინგები ექვემდებარება მუდმივ შეფასებასა და განახლებას.

საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო სესხების შემთხვევაში, ჯგუფი იყენებს საკრედიტო ბიუროსგან მიღებულ გარე რეიტინგებს.

ჯგუფის სახაზინო, სავაჭრო და ბანკთაშორისი ურთიერთობები და კონტრაჰენტები არიან ფინანსური მომსახურების გამწევი დაწესებულებები, ბანკები და საბროკერო-სადილერო კომპანიები. თუ სარეიტინგო სააგენტოების გარე რეიტინგები ხელმისაწვდომია ამ სესხებისთვის, ჯგუფის საკრედიტო განყოფილება ამ გარე რეიტინგებს იყენებს. თუ გარე რეიტინგები არ არის ხელმისაწვდომი, ამ სესხებს ენიჭება შიდა რეიტინგები.

(ათას ლარში)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული შიდა და გარე რეიტინგები.

შიდა რეიტინგის აღწერა*	შიდა რეიტინგის შეფასება		გარე რეიტინგის შეფასება	
			საკრედიტო ბიურო	Standard & Poor's
მაღალი შეფასება				
	Aaa	1	A	AAA
	Aa1	2+	B	AA+
	Aa2	2	C1	AA
	Aa3	2-	C2	AA-
	A1	3+	C3	A+
	A2	3		A
	A3	3-		A-
	Baa1	4+		BBB+
	Baa2	4		BBB
	Baa3	4-		BBB-
სტანდარტული შეფასება				
	Ba1	5+	D1	BB+
	Ba2	5	D2	BB
	Ba3	5-	D3	BB-
	B1	6+		B+
	B2	6		B
დაბალი შეფასება				
	B3	6-	E1	B-
	Caa1	7+	E2	CCC+
	Caa2	7	E3	CCC
	Caa3	7-		CCC-
	Ca			CC
				C

** სხვადასხვა კატეგორიის რეიტინგები არ უნდა იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული.*

(ათას ლარში)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია აქტივების სხვადასხვა კლასის საკრედიტო ხარისხი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მთლიანი თანხებით, ჯგუფის საკრედიტო რეიტინგის სისტემაზე დაყრდნობით.

გადაუხდელი ფინანსური აქტივი, რომელიც 90 დღეზე მეტი ხნითაა ვადაგადაცილებული, ფასდება, როგორც უიმედო სესხი ან განისაზღვრება ინდივიდუალურად მსესხებლის ფინანსური სიძნელეების შესახებ სხვა ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში	*31 დეკემბერი, 2019 წ.*	
	პირველი ეტაპი	*სულ*
მაღალი შეფასება	924,686	924,686
სტანდარტული შეფასება	369,730	369,730
დაბალი შეფასება	848	848
შეფასების გარეშე	189,945	189,945
ნაშთი 31 დეკემბერი, 2019 წ.	**1,485,209**	**1,485,209**

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	*31 დეკემბერი, 2019 წ.*	
	პირველი ეტაპი	*სულ*
მაღალი შეფასება	30,957	30,957
სტანდარტული შეფასება	1,570,270	1,570,270
დაბალი შეფასება	-	-
შეფასების გარეშე	12,794	12,794
ნაშთი 31 დეკემბერი, 2019 წ.	**1,614,021**	**1,614,021**

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - სავალო ინსტრუმენტები	*31 დეკემბერი, 2019 წ.*	
	პირველი ეტაპი	*სულ*
მაღალი შეფასება	884,565	884,565
სტანდარტული შეფასება	771,422	771,422
დაბალი შეფასება	11,040	11,040
შეფასების გარეშე	95,457	95,457
ნაშთი 31 დეკემბერი, 2019 წ.	**1,762,484**	**1,762,484**

(ათას ლარში)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული კომერციული სესხები	*31 დეკემბერი, 2019 წ.*				
	პირველი ეტაპი	*მეორე ეტაპი*	*მესამე ეტაპი*	*შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებული*	*სულ*
მაღალი შეფასება	1,639,445	31,717	-	-	1,671,162
სტანდარტული შეფასება	588,780	175,331	-	-	764,111
დაბალი შეფასება	334,032	116,850	-	6,583	457,465
შეფასების გარეშე	848,287	25,596	-	-	873,883
დეფოლტის სიტუაციაში					
უმოქმედო	-	-	134,963	-	134,963
სხვა	-	-	26,781	1,078	27,859
ნაშთი 31 დეკემბერი, 2019 წ.	**3,410,544**	**349,494**	**161,744**	**7,661**	**3,929,443**

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სამომხმარებლო სესხები	*31 დეკემბერი, 2019 წ.*				
	პირველი ეტაპი	*მეორე ეტაპი*	*მესამე ეტაპი*	*შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებული*	*სულ*
მაღალი შეფასება	963,492	11,884	-	471	975,847
სტანდარტული შეფასება	569,722	15,113	-	206	585,041
დაბალი შეფასება	155,999	82,621	-	1,673	240,293
შეფასების გარეშე	167,582	540	-	-	168,122
დეფოლტის სიტუაციაში					
უმოქმედო	-	-	25,524	548	26,072
სხვა	-	-	82,890	6,843	89,733
ნაშთი 31 დეკემბერი, 2019 წ.	**1,856,795**	**110,158**	**108,414**	**9,741**	**2,085,108**

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული მიკრო, მცირე და საშუალო სესხები	*31 დეკემბერი, 2019 წ.*				
	პირველი ეტაპი	*მეორე ეტაპი*	*მესამე ეტაპი*	*შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებული*	*სულ*
მაღალი შეფასება	1,361,741	13,919	-	-	1,375,660
სტანდარტული შეფასება	645,784	31,867	-	9	677,660
დაბალი შეფასება	91,539	45,411	-	99	137,049
შეფასების გარეშე	327,802	21,933	-	-	349,735
დეფოლტის სიტუაციაში					
უმოქმედო	-	-	72,911	950	73,861
სხვა	-	-	45,564	691	46,255
ნაშთი 31 დეკემბერი, 2019 წ.	**2,426,866**	**113,130**	**118,475**	**1,749**	**2,660,220**

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული იპოთეკური სესხები	*31 დეკემბერი, 2019 წ.*				
	პირველი ეტაპი	*მეორე ეტაპი*	*მესამე ეტაპი*	*შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებული*	*სულ*
მაღალი შეფასება	2,130,690	52,274	-	731	2,183,695
სტანდარტული შეფასება	481,063	33,680	-	1,968	516,711
დაბალი შეფასება	101,978	73,922	-	3,050	178,950
შეფასების გარეშე	51,228	162	-	-	51,390
დეფოლტის სიტუაციაში					
უმოქმედო	-	-	21,005	3,399	24,404
სხვა	-	-	88,408	23,125	111,533
ნაშთი 31 დეკემბერი, 2019 წ.	**2,764,959**	**160,038**	**109,413**	**32,273**	**3,066,683**

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სალომბარდო სესხები	*31 დეკემბერი, 2019 წ.*				
	პირველი ეტაპი	*მეორე ეტაპი*	*მესამე ეტაპი*	*შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებული*	*სულ*
მაღალი შეფასება	-	-	-	-	-
სტანდარტული შეფასება	-	-	-	-	-
დაბალი შეფასება	-	-	-	-	-
შეფასების გარეშე	80,795	1,114	-	-	81,909
დეფოლტის სიტუაციაში					
უმოქმედო	-	-	101	-	101
სხვა	-	-	3,530	-	3,530
ნაშთი 31 დეკემბერი, 2019 წ.	**80,795**	**1,114**	**3,631**	**-**	**85,540**

(ათას ლარში)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	*31 დეკემბერი, 2019 წ.*			
	პირველი ეტაპი	*მეორე ეტაპი*	*მესამე ეტაპი*	*სულ*
მაღალი შეფასება	14,679	133	-	14,812
სტანდარტული შეფასება	6,450	692	-	7,142
დაბალი შეფასება	7,664	233	-	7,897
შეფასების გარეშე	101,439	11,440	-	112,879
დეფოლტის სიტუაციაში				
უმოქმედო	-	-	6,457	6,457
სხვა	-	-	10,004	10,004
ნაშთი 31 დეკემბერი, 2019 წ.	**130,232**	**12,498**	**16,461**	**159,191**

დებიტორული დავალიანება	*31 დეკემბერი, 2019 წ.*	
	პირველი ეტაპი	*სულ*
შეფასების გარეშე	2,585	2,585
ნაშთი 31 დეკემბერი, 2019 წ.	**2,585**	**2,585**

გაცემული გარანტიები	*31 დეკემბერი, 2019 წ.*			
	პირველი ეტაპი	*მეორე ეტაპი*	*მესამე ეტაპი*	*სულ*
მაღალი შეფასება	178,025	-	-	178,025
სტანდარტული შეფასება	36,410	6,220	-	42,630
დაბალი შეფასება	50,215	9,580	-	59,795
შეფასების გარეშე	1,065,866	499	-	1,066,365
დეფოლტის სიტუაციაში				
სხვა	-	-	1,026	1,026
ნაშთი 31 დეკემბერი, 2019 წ.	**1,330,516**	**16,299**	**1,026**	**1,347,841**

აკრედიტივები	*31 დეკემბერი, 2019 წ.*			
	პირველი ეტაპი	*მეორე ეტაპი*	*მესამე ეტაპი*	*სულ*
მაღალი შეფასება	24,503	-	-	24,503
სტანდარტული შეფასება	21,388	-	-	21,388
დაბალი შეფასება	1,147	-	-	1,147
შეფასების გარეშე	7,165	-	-	7,165
დეფოლტის სიტუაციაში				
სხვა	-	-	612	612
ნაშთი 31 დეკემბერი, 2019 წ.	**54,203**	**-**	**612**	**54,815**

გაცემული სესხების აუთვისებელი ნაწილი	*31 დეკემბერი, 2019 წ.*			
	პირველი ეტაპი	*მეორე ეტაპი*	*მესამე ეტაპი*	*სულ*
მაღალი შეფასება	180,375	201	-	180,576
სტანდარტული შეფასება	24,818	372	-	25,190
დაბალი შეფასება	6,496	3,438	-	9,934
შეფასების გარეშე	63,960	613	-	64,573
დეფოლტის სიტუაციაში				
სხვა	-	-	1,342	1,342
ნაშთი 31 დეკემბერი, 2019 წ.	**275,649**	**4,624**	**1,342**	**281,615**

(ათას ლარში)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში	*31 დეკემბერი, 2018 წ.*	
	პირველი ეტაპი	*სულ*
მაღალი შეფასება	315,934	315,934
სტანდარტული შეფასება	302,981	302,981
დაბალი შეფასება	765	765
შეფასების გარეშე	87,764	87,764
ნაშთი 31 დეკემბერი, 2018 წ.	**707,444**	**707,444**

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	*31 დეკემბერი, 2018 წ.*	
	პირველი ეტაპი	*სულ*
მაღალი შეფასება	29,744	29,744
სტანდარტული შეფასება	1,256,325	1,256,325
დაბალი შეფასება	-	-
შეფასების გარეშე	19,861	19,861
ნაშთი 31 დეკემბერი, 2018 წ.	**1,305,930**	**1,305,930**

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - სავალო ინსტრუმენტები	*31 დეკემბერი, 2018 წ.*	
	პირველი ეტაპი	*სულ*
მაღალი შეფასება	830,008	830,008
სტანდარტული შეფასება	1,028,605	1,028,605
დაბალი შეფასება	6,246	6,246
შეფასების გარეშე	71,531	71,531
ნაშთი 31 დეკემბერი, 2018 წ.	**1,936,390**	**1,936,390**

(ათას ლარში)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული კომერციული სესხები	*31 დეკემბერი, 2018 წ.*				
	პირველი ეტაპი	*მეორე ეტაპი*	*მესამე ეტაპი*	*შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებული*	*სულ*
მაღალი შეფასება	1,327,033	59,862	-	-	1,386,895
სტანდარტული შეფასება	362,875	160,192	-	-	523,067
დაბალი შეფასება	102,328	73,296	-	6,050	181,674
შეფასების გარეშე	425,297	34,479	-	-	459,776
დეფოლტის სიტუაციაში					
უმოქმედო	-	-	187,641	-	187,641
სხვა	-	-	54,778	987	55,765
ნაშთი 31 დეკემბერი, 2018 წ.	**2,217,533**	**327,829**	**242,419**	**7,037**	**2,794,818**

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სამომხმარებლო სესხები	*31 დეკემბერი, 2018 წ.*				
	პირველი ეტაპი	*მეორე ეტაპი*	*მესამე ეტაპი*	*შე ძენისას ან შექმნისას გაუფასურებული*	*სულ*
მაღალი შეფასება	749,583	2,731	-	109	752,423
სტანდარტული შეფასება	299,181	4,100	-	-	303,281
დაბალი შეფასება	483,340	93,786	-	194	577,320
შეფასების გარეშე	117,976	529	76	-	118,581
დეფოლტის სიტუაციაში					
უმოქმედო	-	-	38,831	214	39,045
სხვა	-	-	82,284	3,954	86,238
ნაშთი 31 დეკემბერი, 2018 წ.	**1,650,080**	**101,146**	**121,191**	**4,471**	**1,876,888**

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული მიკრო, მცირე და საშუალო სესხები	*31 დეკემბერი, 2018 წ.*				
	პირველი ეტაპი	*მეორე ეტაპი*	*მესამე ეტაპი*	*შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებული*	*სულ*
მაღალი შეფასება	1,024,192	7,449	-	-	1,031,641
სტანდარტული შეფასება	347,357	10,016	-	-	357,373
დაბალი შეფასება	240,321	45,920	-	5	286,246
შეფასების გარეშე	302,094	21,926	-	5	324,025
დეფოლტის სიტუაციაში					
უმოქმედო	-	-	80,244	1,979	82,223
სხვა	-	-	47,461	246	47,707
ნაშთი 31 დეკემბერი, 2018 წ.	**1,913,964**	**85,311**	**127,705**	**2,235**	**2,129,215**

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული იპოთეკური სესხები	*31 დეკემბერი, 2018 წ.*				
	პირველი ეტაპი	*მეორე ეტაპი*	*მესამე ეტაპი*	*შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებული*	*სულ*
მაღალი შეფასება	1,691,375	18,777	-	311	1,710,463
სტანდარტული შეფასება	290,796	7,038	-	-	297,834
დაბალი შეფასება	319,076	60,994	-	533	380,603
შეფასების გარეშე	49,960	-	-	-	49,960
დეფოლტის სიტუაციაში					
უმოქმედო	-	-	23,239	3,455	26,694
სხვა	-	-	65,010	18,889	83,899
ნაშთი 31 დეკემბერი, 2018 წ.	**2,351,207**	**86,809**	**88,249**	**23,188**	**2,549,453**

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სალომბარდო სესხები	*31 დეკემბერი, 2018 წ.*				
	პირველი ეტაპი	*მეორე ეტაპი*	*მესამე ეტაპი*	*შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებული*	*სულ*
მაღალი შეფასება	-	-	-	-	-
სტანდარტული შეფასება	-	-	-	-	-
დაბალი შეფასება	-	-	-	-	-
შეფასების გარეშე	75,483	541	-	-	76,024
დეფოლტის სიტუაციაში					
უმოქმედო	-	-	369	-	369
სხვა	-	-	4,378	-	4,378
ნაშთი 31 დეკემბერი, 2018 წ.	**75,483**	**541**	**4,747**	**-**	**80,771**

(ათას ლარში)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	*31 დეკემბერი, 2018 წ.*			
	პირველი ეტაპი	*მეორე ეტაპი*	*მესამე ეტაპი*	*სულ*
მაღალი შეფასება	19,375	1,375	-	20,750
სტანდარტული შეფასება	7,659	213	-	7,872
დაბალი შეფასება	1,914	794	-	2,708
შეფასების გარეშე	72,002	3,424	683	76,109
დეფოლტის სიტუაციაში				
უმოქმედო	-	-	2,410	2,410
სხვა	-	-	238	238
ნაშთი 31 დეკემბერი, 2018 წ.	**100,950**	**5,806**	**3,331**	**110,087**

დებიტორული დავალიანება	*31 დეკემბერი, 2018 წ.*			
	პირველი ეტაპი	*მეორე ეტაპი*	*მესამე ეტაპი*	*სულ*
შეფასების გარეშე	19,702	-	-	19,702
ნაშთი 31 დეკემბერი, 2018 წ.	**19,702**	**-**	**-**	**19,702**

გაცემული გარანტიები	*31 დეკემბერი, 2018 წ.*			
	პირველი ეტაპი	*მეორე ეტაპი*	*მესამე ეტაპი*	*სულ*
მაღალი შეფასება	165,401	5,697	-	171,098
სტანდარტული შეფასება	37,795	5,708	-	43,503
დაბალი შეფასება	17,791	466	-	18,257
შეფასების გარეშე	760,203	8	-	760,211
დეფოლტის სიტუაციაში				
სხვა	-	-	22,498	22,498
ნაშთი 31 დეკემბერი, 2018 წ.	**981,190**	**11,879**	**22,498**	**1,015,567**

აკრედიტივები	*31 დეკემბერი, 2018 წ.*			
	პირველი ეტაპი	*მეორე ეტაპი*	*მესამე ეტაპი*	*სულ*
მაღალი შეფასება	31,381	2,553	-	33,934
სტანდარტული შეფასება	4,844	-	-	4,844
დაბალი შეფასება	-	2,355	-	2,355
შეფასების გარეშე	876	-	-	876
ნაშთი 31 დეკემბერი, 2018 წ.	**37,101**	**4,908**	**-**	**42,009**

გაცემული სესხების აუთვისებელი ნაწილი	*31 დეკემბერი, 2018 წ.*			
	პირველი ეტაპი	*მეორე ეტაპი*	*მესამე ეტაპი*	*სულ*
მაღალი შეფასება	185,926	165	-	186,091
სტანდარტული შეფასება	22,951	150	-	23,101
დაბალი შეფასება	19,349	3,495	-	22,844
შეფასების გარეშე	44,350	466	61	44,877
დეფოლტის სიტუაციაში				
სხვა	-	-	1,340	1,340
ნაშთი 31 დეკემბერი, 2018 წ.	**272,576**	**4,276**	**1,401**	**278,253**

(ათას ლარში)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია აქტივების სხვადასხვა კლასის საკრედიტო ხარისხი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საკრედიტო მუხლებისთვის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის საკრედიტო რეიტინგის სისტემაზე დაყრდნობით.

		არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული				
31 დეკემბერი, 2017 წ.	*შენიშვნები*	*მაღალი შეფასება*	*სტანდარტული შეფასება*	*სტანდარტულზე დაბალი შეფასება*	*ვადაგადაცილებული ან ინდივიდუალურად გაუფასურებული*	*სულ*
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	8	1,216,343	-	-	-	1,216,343
სავალო ფასიანი ქაღალდები გასაყიდად გამიზნული	9	1,613,558	-	-	-	1,613,558
მომხმარებლებზე გაცემული სესხები:	10					
კომერციული სესხები		1,820,670	275,044	6,193	310,606	2,412,513
სამომხმარებლო სესხები		1,580,503	37,612	31,915	101,076	1,751,106
მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხები		1,547,233	105,302	30,019	93,490	1,776,044
იპოთეკური სესხები		1,619,638	28,961	19,783	44,133	1,712,515
სალომბარდო სესხები		65,865	-	-	2,075	67,940
		6,633,909	**446,919**	**87,910**	**551,380**	**7,720,118**
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	10	48,069	12,161	2,063	5,393	67,686
სულ		**9,511,879**	**459,080**	**89,973**	**556,773**	**10,617,705**

(ათას ლარში)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია სასესხო პორტფელის თანაფარდობა ჯგუფის მფლობელობაში ამ პორტფელთან დაკავშირებით არსებული უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებასთან. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნის 72.86% გადაფასებულია ბოლო ორი წლისთვის. რაც შეეხება იპოთეკურ სესხებს, თუ სესხის უზრუნველყოფის საგნის ოფიციალურად დარეგისტრირება ვერ ხერხდება მისი მშენებლობის დასრულებამდე, შესაბამისი სესხი აისახება, როგორც არაუზრუნველყოფილი მიუხედავად იმისა, რომ ის, როგორც წესი, სამშენებლო კომპანიის კორპორატიული გარანტიით არის უზრუნველყოფილი.

	31 დეკემბერი, 2019 წ.									
	მთლიანი საბალანსო ღირებულება, სულ	*არაუზრუნველ-ყოფილი*	*სესხის მოცულობის თანაფარდობა უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებასთან %*							
			50%-ზე ნაკლები	*50%- 80%*	*80% - 90%*	*90%- 100%*	*100%-200%*	*200%-300%*	*300%-400%*	*400%-ზე მეტი*
კომერციული სესხები	3,929,443	341,826	588,389	866,246	165,358	185,995	676,067	184,026	231,606	689,930
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გადაფარვა	2.31%	2.01%	0.45%	0.04%	0.56%	2.24%	9.89%	0.47%	0.46%	1.01%
იპოთეკური სესხები	3,066,683	49,727	766,251	1,599,275	479,140	86,572	66,568	9,160	821	9,169
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გადაფარვა	0.29%	2.89%	0.05%	0.04%	0.19%	1.68%	4.97%	6.97%	1.83%	1.91%
მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხები	2,660,220	327,718	750,020	797,114	181,543	156,002	378,363	36,562	12,762	20,136
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გადაფარვა	1.67%	7.43%	0.20%	0.26%	0.62%	0.77%	2.78%	4.10%	7.35%	6.64%
სამომხმარებლო სესხები	2,085,108	1,159,510	387,116	322,747	93,823	46,122	73,502	547	359	1,382
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გადაფარვა	3.49%	6.11%	0.02%	0.15%	0.37%	0.63%	0.82%	14.44%	0.56%	1.52%
სალომბარდო სესხები	85,540	-	2,810	20,994	52,695	2,701	6,284	1	10	45
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გადაფარვა	0.30%	n/a	0.00%	0.03%	0.28%	0.78%	0.51%	0.00%	80.00%	80.00%
კლიენტებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით, მთლიანი	**11,826,994**	**1,878,781**	**2,494,586**	**3,606,376**	**972,559**	**477,392**	**1,200,784**	**230,296**	**245,558**	**720,662**

(ათას ლარში)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ფასს 9-ზე გადასვლამდე, ჯგუფის საკრედიტო რიკების შეფასების პოლიტიკის მიხედვით ვადაგადაუცილებელი და ინდივიდუალურად არაგაუფასურებული ფინანსური აქტივები განისაზღვრებოდა შემდეგნაირად:

- ფინანსური აქტივი, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებულია, მაგრამ წარსულში ყოფილა მაქსიმუმ 30 დღით ვადაგადაცილებული, ფასდება, როგორც მაღალი ხარისხის ფინანსური აქტივი;
- ფინანსური აქტივი, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებულია, მაგრამ წარსულში ყოფილა 31 დღეზე მეტი და 60 დღეზე ნაკლები ხნით ვადაგადაცილებული, ფასდება, როგორც სტანდარტული ხარისხის ფინანსური აქტივი;
- საანგარიშგებო თარიღისთვის არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული ფინანსური აქტივი, რომელიც წარსულში ყოფილა 60-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული, ან რომლის მსესხებელს აქვს მინიმუმ ერთი დამატებითი სესხი, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ვადაგადაცილებულია 60-ზე მეტი დღით, ფასდება როგორც ქვესტანდარტული ხარისხის ფინანსური აქტივი.

ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული სესხების ხანდაზმულობის ანალიზი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით შემდეგია:

31 დეკემბერი, 2017 წ.	*30 დღეზე ნაკლები*	*31-დან 60 დღემდე*	*61-დან 90 დღემდე*	*90 დღეზე მეტი*	*სულ*
მომხმარებლებზე გაცემული სესხები:					
სამომხმარებლო სესხები	42,625	15,044	12,321	28,907	98,897
მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხები	7,486	8,822	4,777	19,288	40,373
იპოთეკური სესხები	14,446	4,969	2,144	7,903	29,462
კომერციული სესხები	1,487	452	208	227	2,374
ფინანსურ ოჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	2,499	227	-	74	2,800
სულ	**68,543**	**29,514**	**19,450**	**56,399**	**173,906**

(ათას ლარში)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

რესტრუქტურიზებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება კატეგორიების მიხედვით:

წლის განმავლობაში ჯგუფმა შეცვალა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მომხმარებლებზე გაცემულ გარკვეულ სესხებზე და ავანსებზე. ყველა ასეთი სესხი მანამდე გადაიტანებოდა, მინიმუმ, მეორე სტადიაზე, ხოლო დანაკარგების რეზერვი ფასდებოდა აქტივის არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი თანხით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ინფორმაციას ფინანსურ აქტივებზე, რომელთა მოდიფიცირებაც მოხდა მაშინ, როცა მათთან დაკავშირებული ზარალის რეზერვი შეფასდა აქტივის არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი თანხით:

2019 წლის განმავლობაში მოდიფიცირებული ფინანსური აქტივები	***ამორტიზებული ღირებულება მოდიფიკაციამდე***	***წმინდა ზარალი მოდიფიკაციის შედეგად***
კომერციული სესხები	35,186	(229)
სამომხმარებლო სესხები	33,470	(3,332)
მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხები	77,075	(4,038)
იპოთეკური სესხები	51,776	(1,761)
სალომბარდო სესხები	-	-
	197,507	**(9,360)**

2018 წლის განმავლობაში მოდიფიცირებული ფინანსური აქტივები	***ამორტიზებული ღირებულება მოდიფიკაციამდე***	***წმინდა ზარალი მოდიფიკაციის შედეგად***
კომერციული სესხები	9,529	-
სამომხმარებლო სესხები	19,144	(2,065)
მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხები	21,852	(1,152)
იპოთეკური სესხები	5,883	(690)
სალომბარდო სესხები	-	-
	56,408	**(3,907)**

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს რესტრუქტურიზებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას კატეგორიების მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრისთვის:

	2017
მომხმარებლებზე გაცემული სესხები:	
კომერციული სესხები	103,365
მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხები	47,539
იპოთეკური სესხები	44,058
სამომხმარებლო სესხები	39,318
ფინანსურ ინჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	5,508
სულ	**239,788**

(ათას ლარში)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

რესტრუქტურიზებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება კატეგორიების მიხედვით: (გაგრძელება)

იმ სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულება, რომლებიც ადრე მოდიფიცირდა (როდესაც იყვნენ მეორე ან მესამე სტადიაზე) და ახლა მიკუთვნებულია პირველი სტადიისთვის, ხოლო მათთან დაკავშირებული ზარალის რეზერვი შეფასებულია 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის ოდენობით, წარმოდგენილია ქვედა ცხრილში (ასეთი სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოვლენილი არ არის):

თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოდიფიცირებული ფინანსური აქტივები, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	*მთლიანი საბალანსო ღირებულება*	*შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი*
მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხები	27	-
იპოთეკური სესხები	8	-
	35	**-**

ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია მოცემულია ქვემოთ:

	2019			
	საქართველო	*ევროპა*	*დსთ და სხვა ქვეყნები*	*სულ*
აქტივები:				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,020,942	841,866	296,397	2,159,205
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,570,497	30,433	12,744	1,613,674
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	792,613	827,974	140,436	1,761,023
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	11,183,417	2,461	580,876	11,766,754
ყველა სხვა აქტივი	934,451	35,144	52,972	1,022,567
	15,501,920	**1,737,878**	**1,083,425**	**18,323,223**
ვალდებულებები:				
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	7,478,013	808,626	1,850,056	10,136,695
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	1,850,651	1,759,038	75,232	3,684,921
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	72,540	1,998,803	69,438	2,140,781
საიჯარო ვალდებულება	89,382	-	5,136	94,518
ყველა სხვა ვალდებულება	173,315	9,689	5,907	188,911
	9,663,901	**4,576,156**	**2,005,769**	**16,245,826**
ღია საბალანსო პოზიცია, წმინდა	**5,838,019**	**(2,838,278)**	**(922,344)**	**2,077,397**

(ათას ლარში)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

	2018				2017			
	საქართველო	ეგთო	დსთ და სხვა ქვეყნები	სულ	საქართველო	ეგთო	დსთ და სხვა ქვეყნები	სულ
აქტივები:								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	789,187	315,081	116,256	1,220,524	475,133	929,676	96,845	1,501,654
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,258,544	26,982	19,665	1,305,191	1,023,145	182,699	10,499	1,216,343
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	1,020,244	779,097	133,212	1,932,553	980,876	559,468	73,415	1,613,759
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	8,794,495	2,168	432,657	9,229,320	7,111,369	-	399,515	7,510,884
ყველა სხვა აქტივი	746,276	43,937	45,786	835,999	702,272	4,271	71,533	778,076
	12,608,746	**1,167,265**	**747,576**	**14,523,587**	**10,292,795**	**1,676,114**	**651,807**	**12,620,716**
ვალდებულებები:								
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	6,071,067	658,852	1,466,632	8,196,551	5,356,374	663,234	1,104,258	7,123,866
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	1,300,444	1,360,473	88,431	2,749,348	1,455,058	1,631,331	75,820	3,162,209
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	36,940	1,635,929	38,163	1,711,032	26,149	694,994	28,512	749,655
ყველა სხვა ვალდებულება	120,474	9,715	5,439	135,628	98,511	571	3,985	103,067
	7,528,925	**3,664,969**	**1,598,665**	**12,792,559**	**6,936,092**	**2,990,130**	**1,212,575**	**11,138,797**
ღია საბალანსო პოზიცია, წმინდა	**5,079,821**	**(2,497,704)**	**(851,089)**	**1,731,028**	**3,356,703**	**(1,314,016)**	**(560,768)**	**1,481,919**

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ხელმძღვანელობა ძირითადი სადეპოზიტო ბაზის გარდა იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდურობის მიხედვით და რეგულარულ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდურობას. აღნიშნულ პროცედურებთან ერთად, ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელია საჭიროებისამებრ გამოყენებულ იქნას დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფისთვის.

ჯგუფი ფლობს საკმაოდ რეალიზებადი და დივერსიფიცირებული აქტივების პორტფელს, რომელთა ლიკვიდაციაც მარტივად არის შესაძლებელი ფულადი ნაკადების მოულოდნელი შეწყვეტის შემთხვევაში. ჯგუფი ასევე ფლობს საკრედიტო ხაზებს, რომლებიც შეუძლია გამოიყენოს ლიკვიდურობის მიზნით. ამასთან, ჯგუფი ფლობს ფულად დეპოზიტს (სავალდებულო რეზერვი) სებ-ში, რომლის მოცულობაც დამოკიდებულია მოზიდულ სამომხმარებლო სახსრებზე.

ბანკის ლიკვიდურობის პოზიციას ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს და მართავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ლიკვიდურობის კოეფიციენტების მიხედვით. სებ-ის მიერ დადგენილი ყოველთვიური საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნა 30%-ია და გამოითვლება როგორც საშუალო ლიკვიდური აქტივები თვის განმავლობაში (სებ-ის განმარტების შესაბამისად) გაყოფილი ამავე თვის საშუალო ვალდებულებებზე (სებ-ის მიერ დადგენილი გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით). 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეს კოეფიციენტები ასე გამოიყურებოდა:

	2019	2018	2017
ლიკვიდურობის საშუალო წლიური კოეფიციენტი*	35.7%	33.3%	39.8%
ლიკვიდურობის მაქსიმალური საშუალო თვიური კოეფიციენტი*	38.5%	36.8%	44.8%
ლიკვიდურობის მინიმალური საშუალო თვიური კოეფიციენტი*	31.1%	30.2%	34.4%

** გამოითვლება სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად.*

(ათას ლარში)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი და ფინანსების მართვა (გაგრძელება)

საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი სს „საქართველოს ბანკისთვის“ ინდივიდუალურად გამოითვლება როგორც ყოველდღიური ლიკვიდურობის კოეფიციენტების საშუალო წლიური (არითმეტიკული), რომლებიც, თავის მხრივ, გამოითვლება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ლიკვიდური აქტივების ვალდებულებებთან თანაფარდობით:

ლიკვიდური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისგან და მათი ეკვივალენტებისგან და სხვა აქტივებისგან, რომელთა დაუყოვნებლივ ნაღდ ფულად გარდაქმნა არის შესაძლებელი. ეს აქტივებში შედის საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები და სებ-ის მიერ გამოშვებული სადეპოზიტო სერთიფიკატები და არ შედის მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, ბანკთაშორისი დეპოზიტების გარდა, და/ან არა-ეთგოს ქვეყნების მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების სავალო ფასიანი ქაღალდები, თანხები დაყადაღებულ „ნოსტრო“ ანგარიშებზე, გაუფასურებული ბანკთაშორისი დეპოზიტები და სებ-ში განთავსებული სავალდებულო რეზერვის თანხები, რომლებითაც უზრუნველყოფილია სებ-ისგან მიღებული სესხები.

ვალდებულებები შედგება ბალანსზე ასახული მთლიანი ვალდებულებებისგან, რომლებშიც არ შედის დავალიანება საკრედიტო დაწესებულებების წინაშე, რომელთა დაფარვა საანგარიშგებო თარიღიდან ექვსი თვის შემდეგ უნდა მოხდეს, სამაგიეროდ, შედის გარებალანსური ვალდებულებები, რომელთა დარჩენილი ვადა საანგარიშგებო თარიღის შემდეგ ექვს თვეზე ნაკლებია. გარებალანსურ ვალდებულებებში შედის ყველა ვალდებულება გარდა ფინანსური გარანტიებისა და აკრედიტივებისა, რომლებიც სრულად არის უზრუნველყოფილი ბანკში განთავსებული მომხმარებელთა ანაბრებით, და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოებით წარმოშობილი ვალდებულებები. ლიკვიდურობის მაქსიმალური და მინიმალური კოეფიციენტები აღებულია შესაბამისი საანგარიშგებო წლების ისტორიული მონაცემებიდან.

გარდა ამისა, 2017 წლის 15 მაისს სებ-მა გამოსცა ბრძანება კომერციული ბანკების ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 სექტემბერს. ამ ბრძანების მიხედვით, ბანკები ვალდებულები არიან, რომ შეინარჩუნონ ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრა როგორც მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების თანაფარდობა წმინდა ფულად გადინებებთან მომდევნო 30 დღის განმავლობაში. ბრძანების თანახმად, სტრესულ პერიოდებს თუ არ ჩავთვლით, კოეფიციენტი 100%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 136.7%-ს გაუტოლდა (2018 წ.: 120.1%).

ჯგუფი ასევე აბალანსებს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ვადებს და უარყოფით გეპებზე მაქსიმალურ ლიმიტს აწესებს, განსხვავებით ბანკის ინდივიდუალური მთლიანი საზედამხედველო კაპიტალისა, რომელიც გამოითვლება სებ-ის რეგულაციის შესაბამისად. კოეფიციენტების შეფასება, მონიტორინგი და დადგენილ ლიმიტებთან შედარება ყოველთვიურად ხდება. გადახვევების აღმოჩენის შემთხვევაში, ცვლილებების სტრატეგიებს/ნაბიჯებს განიხილავს და ამტკიცებს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა. ამის მიუხედავად, ჯგუფის მოლოდინით, ბევრი მომხმარებელი არ მოითხოვს ვალდებულებების დაფარვას იმ უადრესი თარიღით, რომლითაც შეიძლება ბანკს დაევალოს გადახდა; და ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფულადი ნაკადებს, რომელიც ეფუძნება დეპოზიტების ვადაზე ადრე გატანის ისტორიულ მონაცემებს.

(ათას ლარში)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი და ფინანსების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები 31 დეკემბერი, 2019 წ.	*3 თვეზე ნაკლები*	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	3,927,501	5,347,629	996,836	106,542	10,378,508
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	2,001,097	516,867	1,153,537	787,759	4,459,260
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	73,144	761,606	1,453,124	334,625	2,622,499
საიჯარო ვალდებულება	5,937	16,812	65,650	27,503	115,902
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	4,826	5,823	187	-	10,836
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	**6,012,505**	**6,648,737**	**3,669,334**	**1,256,429**	**17,587,005**

ფინანსური ვალდებულებები 31 დეკემბერი, 2018 წ.	*3 თვეზე ნაკლები*	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	3,126,421	4,388,790	765,904	79,108	8,360,223
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	1,383,079	244,340	1,153,815	302,379	3,083,613
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	54,953	354,362	1,652,340	-	2,061,655
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	10,574	995	-	-	11,569
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	**4,575,027**	**4,988,487**	**3,572,059**	**381,487**	**13,517,060**

ფინანსური ვალდებულებები 31 დეკემბერი, 2017 წ.	*3 თვეზე ნაკლები*	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	2,952,578	3,624,515	626,061	65,597	7,268,751
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	1,321,995	538,270	962,370	917,642	3,740,277
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	15,036	140,508	749,631	-	905,175
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	3,139	809	-	-	3,948
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	**4,292,748**	**4,304,102**	**2,338,062**	**983,239**	**11,918,151**

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საკონტრაქტო ვადის ამოწურვას ჯგუფის პირობითი ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის მიხედვით.

	3 თვეზე ნაკლები	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
31 დეკემბერი, 2019 წ.	504,195	250,739	790,631	145,972	1,691,537
31 დეკემბერი, 2018 წ.	423,886	337,522	616,522	96,977	1,474,907
31 დეკემბერი, 2017 წ.	398,504	192,724	329,458	103,244	1,023,930

ჯგუფის ვარაუდით, შესაძლოა ყველა პირობითი ვალდებულება ან უზრუნველყოფა არ იქნას გამოყენებული ვალდებულებების ვადის ამოწურვამდე.

ვადიანობის ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათ ლიკვიდაციას წარსულში უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე ეს ცხრილებშია ნაჩვენები. ეს ნაშთები ზედა ცხრილებში გათვალისწინებულია სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში გადასახდელ თანხებში.

დამატებითი პირველადი კაპიტალის თამასუქები წარმოდგენილია „ხუთ წელზე მეტ“ ვადაში, თუ პირველი ქოლ-ოფციონის თარიღამდე თამასუქის გამოშვებიდან ხუთი წელია გასული.

(ათას ლარში)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მოძრაობა ან სამართლიანი ღირებულება შეიცვლება ისეთი საბაზრო ცვლილებების შედეგად, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთები, უცხოური ვალუტის კურსი და კაპიტალის ფასები. ჯგუფი ახორციელებს საბაზრო რისკის კლასიფიცირებას სავაჭრო ან არა-სავაჭრო პორტფელებად. სავაჭრო და არასავაჭრო პოზიციები იმართება და მოწმდება მგრძნობელობის ანალიზების გამოყენებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას იქონიებს ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომავალ მოძრაობაზე ან სამართლიან ღირებულებებზე. მოცემული ცხრილი ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძნობელობას საპროცენტო განაკვეთის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ ცვლილებაზე, როდესაც სხვა ცვლადები უცვლელია:

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგების მგრძნობელობა არის საპროცენტო განაკვეთის დასაშვები ცვლილების ეფექტი წმინდა საპროცენტო შემოსავალზე წლის მანძილზე, რაც ეფუძნება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის არსებულ ცვლადი განაკვეთის არა-სავაჭრო ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებს. საბაზისო პუნქტებში შესული ცვლილებები გამოითვლება ბოლო თვის განმავლობაში ცვალებადი განაკვეთების ყოველდღიური ცვლილებების სტანდარტული გადახრების გამრავლებით შესაბამის ცვალებად განაკვეთებზე. 2019 წლის, 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში მგრძნობელობის ანალიზს არ გამოუვლენია რამე მნიშვნელოვანი პოტენციური გავლენა ჯგუფის საკუთარ კაპიტალზე.

(ათას ლარში)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი (გაგრძელება)

ვალუტა	*საბაზისო ერთეულის ზრდა 2019*	*წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა 2019*	*სხვა სრული შემოსავლის მგრძნობელობა 2019*
ლარი	64	4,207	5,806
ევრო	(2)	(168)	-
აშშ დოლარი	7	94	-

ვალუტა	*საბაზისო ერთეულის კლება 2019*	*წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა 2019*	*სხვა სრული შემოსავლის მგრძნობელობა 2019*
ლარი	64	(4,207)	(5,806)
ევრო	(2)	168	-
აშშ დოლარი	7	(94)	-

ვალუტა	*საბაზისო ერთეულის ზრდა 2018*	*წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა 2018*	*სხვა სრული შემოსავლის მგრძნობელობა 2018*
ლარი	6	251	1,019
ევრო	(1)	(50)	(2)
აშშ დოლარი	6	121	63

ვალუტა	*საბაზისო ერთეულის კლება 2018*	*წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა 2018*	*სხვა სრული შემოსავლის მგრძნობელობა 2018*
ლარი	6	(251)	(1,019)
ევრო	(1)	50	2
აშშ დოლარი	6	(121)	(63)

ვალუტა	*საბაზისო ერთეულის ზრდა 2017*	*წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა 2017*	*სხვა სრული შემოსავლის მგრძნობელობა 2017*
ლარი	13	443	(1,159)
ევრო	1	(22)	-
აშშ დოლარი	3	(73)	-

ვალუტა	*საბაზისო ერთეულის კლება 2017*	*წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა 2017*	*სხვა სრული შემოსავლის მგრძნობელობა 2017*
ლარი	13	(443)	1,159
ევრო	1	22	-
აშშ დოლარი	3	73	-

სავალუტო რისკი

(ათას ლარში)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. დირექტორთა საბჭოს სებ-ის დირექტივების მიხედვით აქვს დაწესებული ლიმიტები სავალუტო პოზიციებზე. პოზიციების კონტროლი ხდება ყოველდღიურად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ის ვალუტები, რომლებში გამოხატულ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებზე ჯგუფს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვანი რისკი ჰქონდა. ანალიზის დროს, ფასდება უცხოური ვალუტის ქართული ლარის მიმართ კურსის ცვლილების ეფექტი, როდესაც მოგება-ზარალის ანგარიშგების ყველა სხვა პირობა უცვლელია (სავალუტო კურსის მიმართ მგრნობიარე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების გამო). ქართულ ლართან მიმართებაში სავალუტო კურსის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების გავლენა გამოითვლება როგორც თორმეტი თვის განმავლობაში სავალუტო კურსის ყოველდღიური ცვლილებების სტანდარტული გადახრა. ცხრილში უარყოფითი მაჩვენებელი ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას მოგება-ზარალის ანგარიშგებასა ან კაპიტალში, ხოლო დადებითი მაჩვენებელი კი ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის, 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მგრძნობელობის ანალიზს არ გამოუვლენია რამე მნიშვნელოვანი პოტენციური გავლენა ჯგუფის საკუთარ კაპიტალზე.

ვალუტა	*სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება*	*ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე*	*სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება*	*ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე*	*სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება*	*ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე*
	2019		*2018*		*2017*	
ევრო	7.9%	(308)	9.9%	(324)	12.0%	(2,487)
აშშ დოლარი	6.4%	(2,915)	7.1%	10,877	8.9%	5,758

წინასწარი გადახდების რისკი

წინასწარ გადახდის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფის განიცდის ზარალს, თუ მისი მომხმარებლები ან კონტრაჰენტები გადაიხდიან, ან მოითხოვენ გადახდას მოსალოდნელზე ადრე, მაგალითად, ფიქსირებული განაკვეთის იპოთეკის შემთხვევაში, როცა საპროცენტო განაკვეთების შემცირდება, ან სხვა საკრედიტო პროდუქტების შემთხვევაში, ან მსგავსი მიზეზით.

ჯგუფი ნაადრევი გადახდების ეფექტის დასადგენად თითოეული სასესხო პროდუქტისთვის ინდივიდუალურად გამოითვლის ვადაზე ადრე გადახდების საშუალო შეწონილ მაჩვენებლებს, ამ ისტორიულ მაჩვენებლებს იყენებს შესაბამისი პროდუქტების მიმდინარე საბალანსო ღირებულებაზე საანგარიშგებო თარიღისთვის და ამრავლებს თითოეული პროდუქტის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთების საშუალო შეწონილზე. ეს მოდელი არ განასხვავებს გადახდის სხვადასხვა მიზეზს (მაგ. ადგილის გამოცვლა, რეფინანსირება და რესტრუქტურიზაცია) და ითვალისწინებს წინსწრებით გადახდის ჯარიმების ეფექტს ჯგუფის შემოსავალზე.

წინასწარ გადახდის რისკის მოსალოდნელი ეფექტი ჯგუფის წმინდა საპროცენტო შემოსავალზე 2019 წლის 31 დეკემბრით, 2018 წლის 31 დეკემბრითა და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის ასეთია:

	ეფექტი წმინდა საპროცენტო შემოსავალზე
2019	(40,014)
2018	(73,870)
2017	(46,527)

(ათას ლარში)

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

საოპერაციო რისკი

